143
1931

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ფილოსოფია

6-7

საქართველოს ეროვნულ მეცნიერთა ასოციაციის

1931

ხახელგამი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

საქართველოს პროლეტარ
მწერალთა ასოციაციი
უფლებამოსილი ორგანო

პროლეტარული მწერლობა

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ
და სამხატვრო-სალიტერატურ
ჟურნალი

54845

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

1931 წელიწადი მეხუთე
სახელგამი-ტფილისი

6-7

ამხ. სტალინის სიტყვა და საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ამოცანები

ამხ. სტალინის ისტორიული სიტყვა „სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანების“ შესახებ, სოციალისტური აღმშენებლობის ყველა დარგის მუშაობის ხასიათს და მეთოდებს საზღვრავს. ძირითადი ამოცანა, რომელიც პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობის წინაშე დგას ამხ. სტალინის მითითებათა რეალიზაციისათვის ბრძოლაა. ყოველი მწერალი, ყოველი ლიტერატურული წრე, მთელი ასოციაცია უნდა იბრძოდეს პარტიისა და მუშათა კლასის ბელადის დირექტივების შესრულებისათვის. ამხ. სტალინის მითითებათა შესრულებისათვის ბრძოლა უნდა ტარდებოდეს ასოციაციის წევრთა მიერ დაზგასთან, უჯრედში, საწარმოო თათბირებზე; ეს ბრძოლა უნდა მიიმართებოდეს მხატვრული სიტყვითაც.

ამხ. სტალინის სიტყვის ყოველი მუხლი, ყოველი აბზაცი — გადაუდებელი თემაა მხატვრული შემოქმედებისათვის. „გლეხის სოფლიდან ქალაქში გაქცევის“ ლიკვიდაცია და ამ ნიადაგზე ახალი კუთხით წამოჭრილი მუშა-ხელის საკითხი, საბჭოთა მუშის ტიპის გამოცვლა, შრომის პროცესების მექანიზაცია, ბრძოლა „გათანაბრებასთან“, და „გაუპიროვნებასთან“, მობრუნების ნიშნები ძველი სამრეწველო-ტეხნიკური ინტელიგენციის რიგებში და სხვ. ნუთუ ყველა ეს ერთად აღებული არაა თემები სრულღირებული მხატვრული ნაწარმოებებისათვის, ნუთუ ეს არ საჭიროებს მხატვრულ დამუშავებას? ამ თემების ირგვლივ უნდა მობილიზებულ იქნას ასოციაციის კადრები.

ლიტწრეებმა წარმოებებში ურთიერთშორის სოციალისტური შეჯიბრება უნდა გაშალონ ამხ. სტალინის მითითებათა თავიანთ საწარმოში შესრულების მხატვრული მომსახურების მიზნით. ასეთივე შეჯიბრება უნდა გაშალოს მთელმა ასოციაციამ, რომელიც თავის თავზე ვალდებულებას იღებს უმოკლეს დროში გამოსცეს მხატვრული კრებულები მიძღვნილი ამ ამოცანათა ბრძოლისათვის.

საქარ. პრ. მწერალთა ასოციაციას მთლიანად ეხება ამხ. სტალინის მითითება, რომ „ახალი“ მდგომარეობა მოითხოვს „ხელმძღვანელობის ახალ ხერხებს“, რომ ამისათვის საჭიროა სამეურნეო მუშაკებმა საწარმოს არა „საერთოდ“, არა „ჰაერიდან“, არამედ კონკრეტულად, საგნობრივად უხელმძღვანელონ. საჭიროა, რომ ყოველ საკითხს მიუდგენ არა ზოგადი ლაყბობის თვალსაზრისით, არამედ უაღრესად საქმიანად, რომ არ დაკმაყოფილდენ მიმოწერით ან საერთო ფრაზებით და ლოზუნგებით, არამედ გაეცნონ საქმის ტეხნიკას, საქმის დეტალებს, გაეცნონ „წვრილმანებს“, ვინაიდან „წვრილმანებიდან“ კეთდება ახალი დიდი საქმეები. უნდა შესწყდეს „ხელმძღვანელობის გაწევა“ ქაღალდით და გადავიდეთ ნამდვილ საქმიან, ბოლშევიკურ მუშაობაზე.

აქვს თუ არა ადგილი საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში ამხ. სტალინის მიერ მითითებულ ნაკლს? აქვს. არსებობს „საერთო ხელმძღვანელობა“, ჯერ კიდევ საკმარისადაა „საერთო ლაყბობა“, „ქაღალდით ხელმძღვანელობა“ და ა. შ. ეს ეხება, როგორც ასოციაციის სამდივნოს, ისე ადგილობრივ ორგანიზაციებს. ასოციაციის მუშაობაში ძირითადი გარდატეხა ჯერ არ მომხდარა, უნდა გაუსწორდეთ ამხ. სტალინის მითითებებს. „მხოლოდ დამპალ და საბოლოოდ გამოყეყეჩებულ ადამიანებს შეუძლიათ დამშვიდდენ წარსულზე მითითებით. ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ არა წარსულით, არამედ მუშათა გაზრდილ მოთხოვნილებებით“ (სტალინი).

ამხ. სტალინის სიტყვა, დაკავშირებული მისივე ლოზუნგთან — „პირით ტეხნიკისაკენ“, ასოციაციის ყველა წევრს გვავალდებულებს საგრძნობლად დიდი ანგარიში გავუწიოთ ლიტერატურაში მუშაობის თავისებურებას, მხატვრული ოსტატობის სისტემატიურ და კონკრეტულ სწავლებას. ამხ. სტალინის სიტყვამ ფართო თვითკრიტიკის ახალი ტალღა უნდა გამოიწვიოს მუშაობის ახალ რელსებზე გადაყვანის პირობების გამოცვლასთან დაკავშირებით. ასოციაციამ უნდა შეამოწმოს მთელი თავისი მუშაობა ბელადის მითითებათა საფუძველზე, პოლიტიკურად გააზროს მითითებანი, განაგრძოს ბრძოლა ოპორტუნისტულ და ბურჟუაზიული გავლენების წინააღმდეგ პროლეტ-ლიტერატურულ მოძრაობაში. მთავარ საფრთხედ კვლავ მემარჯვენე ოპორტუნიზმი რჩება, რაც არ ნიშნავს, რომ შევანელოდ ბრძოლა წვრილ-ბურჟუაზიული „რევოლუციონობის“ ფრაზერების „მემარცხენეობის“ წინააღმდეგ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობისათვის ბელადის მიერ დასმულ საკითხს „გაუპიროვნების“ ლიკვიდაციის შესახებ.

რა არის „გაუპიროვნება“? „გაუპიროვნება სრული უპასუხისმგებლობაა მინდობილი მუშაობისათვის, უპასუხისმგებლობა მექანიზმების, დაზგების და ინსტრუმენტების მოვლისათვის. გასაგებია, რომ გაუპიროვნების დროს ლაპარაკიც არ შეიძლება შრომის ნაყოფიერების რაიმე სერიოზულ აწევაზე, პროდუქციის ღირსების გაუმჯობესებაზე (სტალინი).“ აქვს თუ არა ადგილი გაუპიროვნებას ასოციაციის მუშაობაში? რასაკვირველია აქვს. გაუპიროვნებას ადგილა აქვს ხელმძღვანელობის პრაქტიკაში და გამოიხატება პრაქტიკულ საკითხებისადმი „საერთო“ მიდგომაში; პასუხისმგებლობის უქონლობაში მოცემულ კონკრეტულ საქმეში. თავს ამჟღავნებს დამკვრელების მწერლობაში გაწვევის საქმეშიც და გამოიხატება დამკვრელების შემოქმედებისადმი „მთლიან“ მიდგომაში. მას ადგილი აქვს ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაშიც და გამოიხატება საერთო წერილების სიჭარბეში და კონკრეტიული კრიტიკის სისუსტეში. ამხ. სტალინის მითითებები ჩვენს წინაშე აყენებს საკითხს „შელოცვითი“ და მაღალფარდოვანი სიტყვებიდან“, საქმიან, ბოლშევიკურ ბრძოლაზე გადავიდეთ — ასოციაციის გაუპიროვნების წინააღმდეგ. ეს კი მოცემულ ეტაპზე ნიშნავს, კერძოდ, კონკრეტული კრიტიკის გაძლიერებას. ყველა ეს ერთად აღებული მოითხოვს გაუპიროვნების წარმომშობ მიზეზების საქმიან შესწავლას და პირობების მინიმუმის შექმნას გაუპიროვნების ლიკვიდაციისათვის. ასეთ პირობებს ეკუთვნის, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული მუშაობისადმი გაუპიროვნებული მიდგომის ლიკვიდაცია, ასოციაციის ხელმძღვანელობის პარტიული და მუშათა კადრებით გაძლიერება, დამკვრელი მუშების წამოწევა ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში, ხელმძღვანელობაში რაც შეიძლება ადამიანთა მეტი რაოდენობის მიზიდვა. ასეთ

პირობებს ეკუთვნის ასოციაციის შემოქმედებითი და კრიტიკული ძირითადი კადრების ყოველგვარი ორგანიზაციულ-ადმინისტრატიული მუშაობით გადატვირთვისაგან განთავისუფლება, უფრო დიფერენციული დამოკიდებულება მათდამი, მათი მუშაობის აღრიცხვის შემოღება. ასეთ პირობებს ეკუთვნის ასოციაციის შემოქმედებითი აქტივის მუშაობის პლანირობა და ამ მუშაობის კონტროლი (დაწყებული მაგ. რაპპის სამდივნოს მიერ — თავის სხდომებზე მწერლების მოხსენებების მოსმენა მათი კონკრეტული შემოქმედებითი მუშაობის შესახებ).

ასეთ პირობებს ეკუთვნის:

ორგანიზაციებს შორის გამოცდილებათა ნამდვილი გაცვლა, ურთიერთ შემოწმებისა და ნდობის ატმოსფერის შექმნა, ადგილობრივ ორგანიზაციებზე და წრეებზე ცოცხალი ხელმძღვანელობის გაძლიერება, ორგანიზაციათა ურთიერთშემოწმების პრაქტიკის შემოღება, თვითმდინარების ლიკვიდაცია წრეების მუშაობაში, წრის ხელმძღვანელთა საჭირო კონტინგენტის მომზადება, წრეებში მოცემული საწარმოს მოწინავე დამკვრელების გაერთიანება, წრეებზე ხელმძღვანელობის მაქსიმალური გაძლიერება, მეთოდ-პროგრამების და მეთოდ-წერილების დროზედ გამოცემა.

საწარმოზე გაუპიროვნების ლიკვიდაციის მხატვრული ასახვა შეუძლებელია მხატვრული გაუპიროვნების მეთოდით მუშაობით. გაუპიროვნებასთან ბრძოლა გულისხმობს ბრძოლას ისეთი მხატვრული მეთოდისათვის, რომელიც მოითხოვს მხატვრისაგან უდიდეს ყურადღებას ჩვენი მშენებლობის კონკრეტული ფაქტებისადმი, კონკრეტული ადამიანებისადმი, რომელნიც იბრძვიან საწარმოებში, კოლმეურნეობებში სოციალიზმისათვის. „გაუპიროვნებასთან ბრძოლა — ბრძოლაა შიშველ, ზერელე დეკლამაციასთან, თავისებურ მხატვრულ გათანაბრებასთან", როდესაც დეკლამაცია მუშათა კლასზე პროლეტარიატის მოწინავეების და ჩამორჩენილების, მუშათა კლასის შიგნით მაჩანჩალა ელემენტების გამომელავნების ამოცანით იცვლება.

ამხ. სტალინის სიტყვაში წამოყენებული ყველა საკითხი ამავე დროს პროლეტარული მწერლობის ლენინური მეთოდისათვის ბრძოლის საკითხებია. ახალი მუშების პროლეტარული აღზრდის პროცესის მხატვრულ სახეებში ჩვენება მხოლოდ იმ მხატვარს შეუძლია, რომელიც არ გაურბის ცოცხალი ადამიანის, კონკრეტული სოციალური პიროვნების ჩვენების ამოცანას, რომელიც არ უდგება პროლეტარიატს ცრუ-რევოლუციონური „შაბლონის" მეთოდით, რომელიც არ ვარდება „ბავშურ" და „პირველად" „უშუალო შთაბეჭდილებათა" გავლენაში, რომელიც ღრმად ითვისებს და ერკვევა სინამდვილის მოვლენების დიალექტიკაში, რომელიც შეიარაღებულია მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით. „ქალაღდის შემოქმედებასთან" ბრძოლა, ბრძოლა შრომის კომუნისტური ფორმებისათვის და შრომის სწორი ორგანიზაციისათვის, მხოლოდ იმ მწერალს შეუძლია, რომელსაც შეუძლია დაუზოგველად ჩამოხსნას ის ნიღაბი, რასაც აფარებს სინამდვილეს კლასიური მტერი, „ამშვიდებენ" და ატყუებენ რა ამითი ოპორტუნისტულ ელემენტებს, პარტიასთან ახლო მდგომ ობივატელებს. ახალი ვითარების თვალსაზრისს გაუსწორდება მხოლოდ მხატვარი — მებრძოლი და არა მჭვრეტელი, მხოლოდ ლენინელი გარკვეული განვითარების ტენდენციებში, გაგებული ახალის მნიშვნელობაში და არა მოვლენებისა და ამბების უიდეო ფოტოგრაფი, რომელსაც არ ძალუძს გააზროს და დასძლიოს თავისი მასალა და გაასხეულოს მაღალ მხატვრულ სახეებში.

ტოლსტოის შემოქმედების ლენინურ დახასიათებას — „ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოგლეჯა“ — უდიდესი მნიშვნელობა აქვს მწერლებისათვის, რომელნიც მხატვრული მეთოდის საკითხებს ამუშავებენ. სინამდვილის „ლაკიროვკის“ და მისი წვრილ-ბურჟუაზიული შელამაზების კურსის (რაც პროლეტარული სინამდვილის შეეჭვებიდან გამომდინარეობს) საწინააღმდეგოდ „ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოგლეჯის“ ლოზუნგი არ კარგავს მნიშვნელობას ჩვენი სინამდვილის ბოლშევიკური შემეცნების, სოციალიზმის განხორციელების, ბოლშევიკური პრაქტიკის სინამდვილის პლანით.

ლენინის მითითება — „ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოგლეჯის“ შესახებ — ხაზს უსვამს ჩვენი მხატვრული მეთოდის დიალექტიურ მხარეს. „როდის იყო რომ ბოლშევიკებს ეშინოდათ სიმართლის“, — ამბ. სტალინის ეს მოწოდება ოპორტუნისტული „ლაკიროვკის“ წინააღმდეგ ბრძოლაში ხსნის იმ აზრს, რაც პროლეტარულ, ლიტერატურულ მოძრაობამ უნდა ჩასტიოს ლენინურ გამოთქმაში — „ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოგლეჯა“.

პროლეტარული მწერლობის იდეური დონე გადაჭრით უნდა ავამაღლოთ. მუშათა კლასის მწერლებს მოეთხოვებათ, მოგვცენ სინამდვილის მოვლენათა მარქსისტულ-ლენინური მხატვრული განზოგადება სოციალიზმის აღმშენებლობის კონკრეტული ფაქტების მკაცრი და საქმიანი შესწავლის საფუძველზე. ამ მხრივ საქართველოს პროლეტარულ მწერლობას ნაწილობრივი ჩავარდნები აქვს, რის დაძლევისათვის უნდა ვიბრძოდეთ ყოველ წამს, ყოველ წუთს, ყოველ საათს. ახალი მუშების პროლეტარული აღზრდა, უპარტიო მუშათა აქტივის საკომანდო თანამდებობებზე წამოწევა, პროლეტარული ინტელიგენციის ჩამოყალიბება და სხვ. — ყველა ეს ნაჩვენები და განზოგადებული იქნება პროლეტარული მწერლების მიერ მხოლოდ „გაუპიროვნების“ სხვა სახის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში. რაში მდგომარეობს გაუპიროვნების ეს „სხვა სახე“? მშენებლობის კონკრეტული ფაქტების ჩვენებისას მწერალი ცალმხრივად იძლევა ამა თუ იმ პროცესების ტეხნიკურ მხარეს, კლასიური ბრძოლის იგნორაციას ახდენს.

მობრუნების ნიშნებს აქვს ადგილი ძველი გუმანიტარული ლიტერატურული ინტელიგენციის რიგებში. მხოლოდ ერთადერთი პოლიტიკა უნდა გავატაროთ მათ მიმართ. აქტიური იდეოლოგიური მავნებლების გამნადგურების, ნეიტრალურ პირთა დიფერენციაციის და ლოიალურთა მიმხრობის. დაიწყო ძველი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის მობრუნება. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში უკვე არ მოიპოვებიან მავნებლები; არიან და იქნებიან, სანამ ჩვენში არსებობენ კლასები, სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა.

საჭიროა და აუცილებელი იდეური და გეგმიანი მუშაობა — უსასტიკესი მტერი „გათანაბრების“, „გაუპიროვნების“ და „თვით მიმდინარეობის“ ოპორტუნისტული პრაქტიკისა და „თეორიების“. „სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, რომ საწარმოო გეგმა წარმოადგენს ციფრებისა და დავალებების ჩამოთვლას. ნამდვილად საწარმოო გეგმა არის მრავალი მილიონიანი ადამიანის ცოცხალი და პრაქტიკული მუშაობა“ (სტალინი).

ეს უნდა კარგად იცოდეს საქ. პრ. მწერალთა ასოციაციის ყოველმა წევრმა.

მუშათა კლასის და პარტიის ბელადის ექვსი დირექტივა, ამხ. სტალინის მიერ წამოყენებული ამოცანები ჩვენი შემოქმედებითი ხაზის, ბოლშევიზმის დიადი

ხელოვნებისათვის ბრძოლის სისწორეს ამტკიცებს. მაგრამ ამხ. სტალინის მითითებანი აგრეთვე ლაპარაკობენ ჩვენი წარმატებების არა საკმაობაზე, აუცილებლობაზე უფრო გადაჭრით და გაბედულად ვიბრძოლოთ მუშაობის გადაკეთებისათვის, ახალი განვითარების თვალსაზრისზე მთლიანად დადგომისა, ბოლშევიკური პრაქტიკის აქტიურ მებრძოლებად გახდომისათვის.

ჩვენ ვდგავართ და ვიბრძვით ბოლშევიკური პარტიულობის პოზიციაზე და ვქმნით ბოლშევიზმის დიად მწერლობას.

საქართველოს პრ. მწერალთა ასოციაციის სამდივნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიო მაშაშვილი

განგაში

მოქმედი პირნი:

ფუსთავეულის თეატრის რეპერტუარი

პონდო	— შვებული წითელ-არმიელი. პარტიული.
საბა	— კოლმეურნე. პარტკოლექტივის მდივანი.
თომა	— კოლექტივის სამკითხველოს გამგე.
გოლია	— ალმასკომის თავმჯდომარე. პარტიული.
ზურაბი	— განკულაკებული.
აფრასიონ	— კოლექტივის თავმჯდომარე. ზურაბის სიძე. პარტიული.
სიმონ	— კომკავშირის უჯრედის მდივანი. ზურაბის შვილი.
ზაქარია	— ყოფილი მედუქნე. ზურაბის სიძე.
ხუშუტი	— ყოფილი აზნაური.
პეტრე	— კოლმეურნე. პარტიული.
დიანოზ	— საშვალო მეურნე.
მარდახა	— მეწვრილმანე ებრაელი.
ოლენა	— კომკავშირელი. გოლიას უმცროსი და.
მართა	— ზურაბის და, ქვრივი.
მეტია	— ზურაბის დედა.
ელპიტე	— ზურაბის ქალიშვილი. გაუთხოვარი.
ინსტრუქტ.	— ქალაქიდან ჩამოსული.
ანდრია	— სოფლის მილიციონერი.
გივი, კუპრა, ბენო, აკვირინა	— კომკავშირლები.

მარნელი და ორეთელი გლეხები.

სურათი პირველი

დილაა. სოფელ მარანის ალმასკომი. შემოდის ზურაბი. ჩერდება აივანზე. პაუზა. ჩოჩქოლი. შემორბიან ორეთელი გლეხები.

ფირალა. ხალხო!

ნიკა. ეი, ხალხო!

დათია. პატრონი არ ჰყავს ამ სოფელს?

თედორე. ამათ მგონი არაფერი არ გაუგიათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათია. ქვეყანა იღუპება, ამათ კი სძინავთ.

ნიკა. ნუთუ ამ სოფელში ვერავის ვიპოვნით?

ყველა. უნდა ვიპოვნოთ, უნდა ვიპოვნოთ!

ნიკა. ზურაბი!..

თედორე. ზურაბ, გამარჯობა შენი, თავმჯდომარეს სად ვნახავთ თუ იცი?

ზურაბ. ქალაქში.

თედორე. როგორ თუ ქალაქში? უბედურება მოხდა.

დათია. მთავრობა გვინდა.

ზურაბ. რომელი მთავრობა? ძველი თუ ახალი?

თედორე. კაცო, რა დროს ხუმრობაა? მთელი სოფელი წყალს მიაქვს.

დათია. წარღვნაა.

თედორე. თქვენი არხის სათავე გარღვეულა, წყალს გადმოუხეთქავს.

ნიკა. პური იღუპება, სიმშილი მოგველის!

ზურაბ. უკეთესს რას მოელოდით?

დათია. სარჩო წყალს მიაქვს...

ზურაბ. ვიღაც მაინც წაიღებდა, სჯობს წყალმა წაიღოს.

ნიკა. სიმშილს როგორ გავუძლოთ?!

ზურაბ. გაუძლებთ, გლეხები ხართ.

ნიკა. მთავრობა გვინდა, აღმასკომი...

ზურაბ. (ღვარძლიანად) მთავრობა, აღმასკომი...

თედორე. ზურაბ, ზურაბ!

ნიკა. გაგიჟებულა.

თედორე. წარსულზე გლოვობს, ვიცნობ.

ფირალა. ხომ ვამბობდი: ასე მოხდება-მეთქი. არ დამიჯერეთ, გეგონათ მთელი მარანი ფეხზე დაგიდგებოდათ? ჰა, ბატონო, სხვისი ჭირიო, ღობეს ჩხირიო! რა იცით? იქნებ, წყალი განზრახ გადმოუშვეს...

ვასო. შენ ეი, ჩხირებს თავი დაანებე, სჯობია ხალხი მოვნახოთ.

ნიკა. სად მოვნახოთ ბიჭო? ვერა ხედავ კაცის ჭაჭანება აღარ არის!?

თედორე. აბა, ყმაწვილებო, დროს ნუ გავაცდენთ...

დათია. დავრეკოთ, მოგროვდებიან.

თედორე. სხვის სოფელში ვართ, უხერხულია.

ფირალა. აბა რა ვქნათ.

ვასო. დამაცადეთ, ამხანაგს ვიპოვნი, კომკავშირელია, ეხლავე მოვიყვან.

თედორე. ჩვენ კი თავმჯდომარის ბინა ვიკითხოთ.

ყველა. ვიკითხოთ, ვიკითხოთ! (შემოდის თომა ლილინით. სამკითხველოს აღებს).

თედორე. გამარჯობა თომა.

თომა. თედორე ხარ? რა გინდა ჩვენსას ამ უთენიაზე? მტერი ხომ არ დაგესხათ?!

თედორე. მტერზე უარესი ჩემო ძმაო! პური წყალს მიაქვს.

თომა. როგორ თუ მიაქვს?

ნიკა. არხი გარღვეულა.

თომა. რომელი?

დათია. თქვენი კოლექტივის.

თომა. უჰ...

თედორე. მთავრობა გვინდა, ხალხი გვინდა, დახმარება...

თომა. არიქა, არიქა! გავსწიოთ! (სამკითხველოს კარებს კეტავს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედორე. შენი ჭირიმე თომა! ვიღუპებით!

თომა. თავმჯდომარესთან წავიდეთ... უჰ, მართლა, ის ქალი რომ ქალაქშია? საბასთან... საბასთან... ავადაა, მაგრამ ზომებს მაინც მიიღებს.

ნიკა. რამდენი ხანია დავრბივართ თქვენს სოფელში და კაცის ჭაჭანება არ არის!

ფირალა. თომა, თქვენი სოფელი გამოღვიძებას არ აპირებს?

დათია. არა უშავს, საბა ყველაფერს მოაგვარებს! (შემოდის სიმონი) უჰ, შვილო სიმონ!

ნიკა. გამარჯობა ბიძია.

სიმონ. (უკმეხათ) გაგიმარჯოს.

თომა. შვილო, დიდი უბედურება მომხდარა... ჩვენი არხის სათავე გარღვეულა, აი, ამათ კოლექტივში შესულა,—პური ეღუპებათ, დატრიალდი!

სიმონ. მე რა ვქნა? ეგ ჩემს ფუნქციაში არ შედის.

თომა. რა დროს ფუნქციებია შვილო... არ გრცხვენია! გლეხებს დაუძახე... კონსომოლებს, შენ ხომ იმათი უფროსი ხარ?

სიმონ. ეხლა პირადათ მე არ მცალიან, ამასთან ეს აღმასკომის ხაზით უნდა გაკეთდეს, წადით გააგებინეთ.

დათია. გმადლობ ძმობილო დარიგებისათვის.

სიმონ. აფრასიონი არ გინახავს?

თომა. არ ვიცი... არ მცალიან!.. წავიდეთ თედორე, თავმჯდომარე მოვნახოთ, თქვენს პურს წყალი დაღუპავს, ჩვენს ბამბასაც! ორივეს ერთი უბედურება მოგველის.

ნიკა. ფუნქცია, ფუნქცია...

თომა. არ ვარგა, არ ვარგა! ახალგაზრდა ხარ, კომკავშირელი... არ ვარგა, არ ვარგა...

შემორბიან კუპრა და განგალა.

კუპრა. ძია თომა!

თომა. უჰ, თქვე ჭინკებო, მოდით აქ... ხომ იცით რაც მოხდა... გასწით ეხლავე, ბონდო ჩამოსულა წუხელის, გააგებინეთ!

კუპრა. უჰ, ბონდო!

თომა. მოიცა, მოიცა! გოლია აქ არ არის! საბაც ავათაა!

ორივე. ვიცით, ვიცით.

თომა. ეს კი... ამის ფუნქციაში არ შედის! ბონდოს მაინც გააგებინეთ.

სიმონი. წადით, გააგებინეთ, ქვეყანას იხსნის.

კუპრა. გაიგე რა მომხდარა?

სიმონი. შენ ხომ გაიგე.

კუპრა. გავიგე.

სიმონი. მეტი რალა გინდა?

განგალა. ცუდ ხასიათზე ამდგარა.

კუპრა. პირიქით დასაძინებლად მიდის.

შემორბიან გივი და ოლენა.

გივი. თავმჯდომარეს ხომ სახლში ვერ იპოვნი! ისევ საბას ვაცნობოთ!

ოლენა. აი საბაც მოდის... კომკავშირელებს გააგებინე?

გივი. ეხლავე, მთელს სოფელს შევსძრავ!

საბა. ყველაფერში ჩვენ ვართ დამნაშავე, დროზე ყურადღება არ მივაქ-ციეთ! დამბებით არ გავამაგრეთ და, აი...

გივი. საბა... საბა, რაიონს ვაცნობოთ...

საბა. (ფანჯრიდან იღებს ელსმენის მილს) კაცო, გესმის, მარანიდან გელაპარაკები, კომუჯრედის მდივანი... წყალმა არხის სათავე გაარღვია, მოსავალს ანადგურებს... ხალხი ფეხზე დგას, ინჟინერი გვინდა, ტეხნიკი!.. გაიგე, სასწრაფოდ, აბა მენ იცი!—დაყოვნება უარესია, წყალი თუ არხში არ გადავუშვით, ორივე კოლექტივს დაღუპვა მოელის... აბა, განგაშია საჭირო... ტეხნიკი ერთ საათში აქ იქნება... გივი, ზარი... ანდრია ცხენზე შეჯექ... ყველანი არხთან...

ანდრია. სად მოვძებნო ეხლა ის სამგლე ცხენი?

თედორე. საბა ორეთში რა ვაცნობოთ?

საბა. ვაცნობოთ, რომ ინჟინერი მოდის, საჭიროა მუშახელი და იარაღები...

თედორე. დათია გასწით...

ოლენა. ტელეფონით ვაცნობოთ.

დათია. აჰ, ტელეფონს არ ვენდობი, ფეხით წავალ, თავი რათ მინდა ცოცხალი?

შორიდან ისმის მარდახას ხმა.

მარდახა. აქ რას გაჩერებულხართ კაცო? წამოდით!... (გარბიან-გამორბიან. შემოდის მარდახა) კუპრა, ბიჭები აქ არიან?

თომა. არიქა, არიქა.

მარდ. გამარჯობა ძია თომა.

თომა. უჰ მარდახა! გაგიმარჯოს! როდის ჩამოდი ქალაქიდან?

მარდ. წუხელის ძია თომა! საქმეებიც მოვაგვარე!

თომა. ყოჩაღ! კარგად ყოფილხარ!

მარდ. არა მიშავს, ძია თომა! თვალები ხომ ჩამოგიტანე?

თომა. რა თვალები ბიჭო.

მარდ. აი! მოტყუება ხომ არ მცოდნია, მალარიჩი იქნება?

თომა. უჰ, ყოჩაღ მარდახა! იფ, იფ, ამიხილე თვალები და ეგ არი! თითქოს მზე ამოდის თვალებში...

მარდ. კარგად ხედავ?!

თომა. (აკვირდება) გამხდარხარ ბიჭო?!

მარდ. გავხდები, აბა რა მომივა ძია თომა.

პეტრე. ერთი ინჟინერი სოფელში როგორ არ უნდა იყოს, ა?!

სოლომონ არ ვიცი, არ ვიცი, ჩვენ კი დავიღუპეთ და...

მარდ. დიდი უბედურება მომხდარა ძია თომა!

თომა. მაშ, მაშ! არხი გაირღვა შვილო, წყალი გადმოსულა! (შედიან ალმასკომში).

კუპრა. გაიქეცი აკვირინა, ქალებსაც გააგებინე...

აკვირინა. ეხლავე, ეხლავე!

კუპრა. მარდახა წამოდი, კომკავშირლები წამოვიყვანოთ!

ზინაიდა. აფრასიონ, აფრასიონ... გამარჯობათ... თომა, აფრასიონ არ გინახავს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თომა. ალბად ძილშია!

ზინ. ბებერი მამაკაცი რომ გამოყრუვდება—სასაცილოა.

თომა. ახალგაზრდა დედაკაცი რომ გამოყრუვდება სამწუხაროა... (შემორბის ზაქარია).

ზაქ. ჰო, ჰო! ქვეყანა იღუპება, არხი გასკდა, დავსველდით... ჰო, შევუტიოთ კოლექტიურად! სად არის მთავრობა?

ზინ. ზაქარია, შენ გეცოდინება, სად არის აფრასიონი?

ზაქ. (დაბნეულად) რომელი აფრასიონი?

ზინ. ჩემი ქმარი!

ზაქ. შენი ქმარი, ე. ი. კოლექტივის თავმჯდომარე? ერთი კვირაა არ მინახავს...

ზინ. ზაქარია შენ გეუბნები...

ზაქ. რას ჩამაცივდი ქალო? სად მცალიან მაგისთვის?! უგანგაშოთ, ვიგანგაშოთ, ქვეყანაა უნდა ვიხსნათ! თუ გასკდა—შევაპოჩინკოთ!

გამოჩნდებიან აფრასიონი და სიმონი.

აფრას. (გაზეთზე) ჩემზე წერია ვითომ, ჰა!? მიჩვენე? მარანის ბამბის კოლექტივის თავმჯდომარე, აფრასიონ ჩარგაძე... კულაკების გავლენაში მოექცა! ეს მე ვარ? მართლა მე ვარ ბიჭო?

სიმონი. შენ ხარ.

აფრას. კი მე ვარ! რაო? საჭიროა... ვინ გასწერდა თუ იცი?

სიმ. ?

აფრას. უნდა გავიგოთ.

საბა. (აღმასკომიდან) აფრასიონ, სად ხარ კაცო ამდენ ხანს, დაგეძებთ რა ხანია, ხომ იცი რაც მოხდა?

აფრას. ვიცი, ვიცი საბა! ზომებიც მივიღე, მოვდივარ! გამიგე ვინ არის ამის დამწერი და... დედას ვუტირებ მაგას მე...

სიმ. (კითხულობს) კომკავშირის მდივანი, სიმონ ღვინიაშვილი, გადაგვარებული ელემენტია, მამა მისი... ჰმ.

მარდ. წამოდი, წამოდი სიმონიკა... რას კითხულობ, წერია რამე?

სიმ. წადი შენი... (ხელს გაარტყამს).

მარდ. რა გინდა კაცო შენ? დაგიშავე რამე? საწყენი რა მითქვამს?

თომა. რა ქენი ბიჭო. ამ საწყალ ბიჭს რას ერჩოდი? ეგ არი შენი კომუნისტობა?

სიმ. თავი დამანებე!

თომა. თფუ, შეგირცხვა ნამუსი!

მარდ. თავს იგდებ შენ ვილაცა ხარ! ვინ გგონივარ მე შენ?

შემორბიან კუპრა, ბონდო და განგალა.

კუპრა. რა იყო ბიჭო.

განგალა. რა გაჩხავლებს.

მარდ. ვინ ვგონივარ მაგას მე?

ბონდო. რა მოგივიდა მარდახა?

მარდ. ხელი გამარტყა იმ უპატრონომ! მე მას ვუჩვენებ სეირს!

კუპრა. ვინ ბიჭო, ვინ?

თომა. ზურაბის ყმაწვილმა, სიმონამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარ დ. რა დავუშავე კაცო!

განგალა. ისიც კომკავშირის მდივანია.

კუპრა. ხულიგანია.

მარდ. ნამდვილი ხულიგანია!...

ბონდო. მუშტი-კრივი როგორ შეიძლება?

განგალა. უჯრედში უნდა დაისვას ეს საკითხი!

კუპრა. აუცილებლად! ხულიგანი! (აღმასკომიდან გამოდიან საბა, ზაქარია, ოლენა და სხვ.) წამო მარდახა, კომკავშირლები მოვიყვანოთ!

ოლენა. ოჰ, ბონდო აქ ხარ?

ბონდო. გამარჯობა ოლენა.

საბა. აბა, მოვდივართ თუ არა?

ბონდო. გავსწიოთ, გავსწიოთ.

ზაქარ. ჰო, ჰო, ქვეყანა ილუპება ხალხო, გავსწიოთ! გამარჯობა ბიძია ბონდო.

ხუშუტი. ვილუპებით, დავაჩქაროთ! წყალმა გაარღვია თუ ვილაცამ, არხი უნდა შევაკეთოთ!

მოგროვდებიან, გამოვარდება დიანოზ.

დიანოზი. ხალხო! მივდივართ თუ არა ხალხო, ქუდზე კაციო-და, ეგ არი ქუდზე კაცი? მეტი არა ვართ ეხლა ჩვენ ამ სოფელში? აფრასიონ! სია წავიკითხოთ შენი ჭირიმე, ოქმი შევადგინოთ ეხლავე. ვინც არ გამოცხადდა—პასუხი მოვთხოვოთ.

გივი. რა დროს ოქმია დიანოზ?

საბა. ამხანაგებო, თქვენ ალბად იცით საქმის ვითარება, ჩვენი არხის სათავე გარღვეულა. წყალი მეზობელ კოლექტივის პურში დგას... მალე ჩვენს ბამბაშიაც გადავა. საჭიროა უკანასკნელი ძარღვის დაჭიმვა, რომ წყალი ძველ კალაპოტში გადავუშვათ.

ყველა. მართალია.

ხუშუტი. თუ თხოვნაა, სიამოვნებით დავეხმარები, ორეთი საწყალი სოფელია.

საბა. არხის გარღვევა მარტო ორეთს კი არ ანადგურებს, არამედ ჩვენც! ბამბა მინდორზე ჰყრია მოკრეფილი, აგიტაცია რა საჭიროა. თქვენ თითონ ხედავთ.

ბონდო. ამხანაგებო, თუნდაც მარტო ორეთი იყოს, ასეთ დროს შეიძლება ანგარიში?

ყველა. მართალია.

საბა. ამ დროს... ვისაც მუშაობის უნარი შესწევს და სახლში დარჩება—ის დეზერტირია.

ყველა. მართალია.

პეტრე. დრო იკარგება საბა! შენ ისა თქვი ინჟინერი მოვიდა თუ არა?

ყველა. ჰოო, ჰოო!

საბა. ჯერ არ მოსულა (საერთო უკმაყოფილება).

პეტრე. კი, მაგრამ, უინჟინეროთ რა უნდა გავაკეთოთ?

ზაქ. პეტრე მართალი ხარ შენ!

ბონდო. ამხანაგებო! ინჟინერი იქ მოვა—იქ, არხთან, წავიდეთ!

აფრას. მე მგონია უინჟინეროთ იქ წასვლას არავითარი მიზანი არა აქვს.

დიანოზ. მართალია.

ბონდო. პირიქით ჩვენს აქ უსაქმოდ გაჩერებას არა აქვს მიზანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიანოზ. ესეც მართალია.

ხუშუტი. კაცო ყველაფერი მართალი როგორ იქნება...

ბონდო. წავიდეთ, უინჟინეროთაც შეგვიძლია საქმის გაკეთება, მხოლოდ სურვილი იყოს.

აფრას. მარტო სურვილით ნიაღვარს თუ შევაჩერებ, წავიდეთ.

ყველა. წავიდეთ!

მიდიან სიმღერით. აღმასკომიდან გამოდიან: თომა, კუპრა, განგალა და მარდაბა. შემოხვდებათ ინსტრუქტორი პორთფელით.

ინსტრ. გამარჯობა თქვენი! სამნეო-სექტორი რომელია აქ?

კუპრა. რა გვარი?

ინსტრ. სამნეო სექტორი ამხანაგო.

კუპრა. ასეთი გვარის კაცი ჩვენთან არ ცხოვრობს.

მარდ. მართალია, მართალი!

ინსტრ. ამხანაგო თქვენ ხუმრობთ-და, მე გელაპარაკებით ოფიციალურ ხაზით.

კუპრა. ამხანაგო, ჩვენ კი გვეჩქარება, აი—ამ ხაზით.

ინსტრ. ამხანაგო, ამხანაგო!

თომა. საბა, მოდიხარ?

საბა. ეხლავე დაგეწევით!.. რაიონს დავურეკავ, ტეხნიკი გადმოვიდა თუ არა.

ინსტრ. ვინ არის ის კაცი?

თომა. ამათი პარტიის თავმჯდომარეა!

ინსტრ. უჰ, შეეკითხები, აბა! ბოდიში ამხანაგო, მე ცენტრიდან გახლავარ...

საბა. უჰ, თუ ტეხნიკი ხარ, მიხსენი -და ეგ არი.

ინსტრ. მე ინსტრუქტორი ვარ.

საბა. რის ინსტრუქტორი?

ინსტრ. კოლექტივის რევიზია უნდა ჩავატარო კოლხოზცენტრის ხაზით.

საბა. რა დროს ეგ არი შე კაცო?

ინსტრ. რას ჰგავს ეს? კაცი გამოგზავნილი ვარ კოლხოზცენტრის ხაზით, კოლექტივის ფინანსიური რევიზია უნდა ჩავატარო! ხალხი კი ყურადღებასაც არ მაქცევს! ასეთ მუშაობას შეაჩვენს ღმერთი! (გაივლიან გლეხები)

თომა. არ სცალიათ შვილო, არხზე მიდიან...

საბა. ჩვენი ტელეფონით, ხომ კაცს ვერაფერს ვერ გააგონებ?!

ინსტრ. ამხანაგო რა პასუხს მაძლევთ მე?

საბა. რა პასუხი ამხანაგო, რის შესახებ.

ინსტრ. მოვილაპარაკოთ ოფიციალურ ხაზით.

საბა. თომა შენი ჭირიმე, მოელაპარაკე, გაიგე რას მავალებს ეს კაცი, ხომ ხედავთ, ეხლა მაგისთვის არ მცალიან.

თომა. წამოდი შვილო!

ინსტრ. მოდით-და იმუშავეთ ასეთ პირობებში? აქ შეიძლება კაცი ჩაკვდეს... (შემოდის ზინაიდა).

ზინაიდა. (აღმასკომისკენ) აფრასიონ, აფრასიონ!

ინსტრ. ვინ არის ეს ქალი?

თომა. ჩვენი კოლექტივის თავმჯდომარის ცოლია.

ინსტრ. უჰ, მაგი მინდა სწორედ! ბოდიში, თქვენი მეუღლე შინ ბრძანდება?

ზინ. ჩემი ქმარი, აფრასიონი, სახლშია! სახლში იქნება.

ინსტრ. მე ცენტრიდან გახლავართ.

ზინ. ნეუჟელი! წამობრძანდით, დაღლილი იქნებით.

ინსტრ. სიამოვნებით! (ხელი-ხელს გაუყრის და მიჰყვება).

თომა. (ორივეს თავჩაქნევით თვალს გააყოლებს, მხარზე ბარს გადიდებს და სამუშაოდ მიდის. შორიდან ისმის არხისაკენ მიმავალ კოლმეურნეთა სიმღერა)

ს უ რ ა თ ი მ ე ო ო რ ე

მუშაობა არხთან. გლეხები დაყოფილნი არიან რამოდენიმე წყებათ. ზოგი მუშაობს არხის სათავესთან, ზოგი დასილულ არხს სწმენდს, ზოგი—ქვებს და ფიჩხებს ეზიდება. ისმის წყლის ხმაური, სიმღერა და შეჯიბრი.

აფრას. აბა ბიჭებო შეუტიეთ!

კუპრა. ერთად, ერთად!

ზაქ. ვენაცვალე კოლექტიურ მუშაობას! ოფლში ვიწურები, ოფლში...

დიან. ზაქარია, მისწრებაა ეხლა შენთვის წყალში მუშაობა.

ხუშუტი. მარდად ზაქარია, მარდად... თავი ნუ გენანება!

გივი. აბა, ბიჭებო ერთიც, ორიც!.. ჰო, ჰო, ჰო, თქვენ კი გენაცვალეთ მკლავებში!

პეტრე. თევზებს გაუფრთხილდი ზაქარია, სულ მთლად ნუ ამოსწყვეტ...

განგალა. ზაქარია, ღორჯოა თუ ლოქო შენს უბანში?

ზაქ. რა ჩქარია ეს მუდრეგი? ფეხები მომკვეთა!

გივი. მოუცურდი ზაქარია, მოუცურდი.

აფრას. მარდათ ამხანაგებო, მარდათ!... მუშაობის შემდეგ მალარიჩი ორეთელებზეა.

ფირალა. აბა, მარნელებო, მართლა არ შეგვარცხვინოთ.

დიან. ორეთი მოიკითხე ძმობილო, ორეთი!.. ხედავ თქვენთვის ვმუშაობთ აქ!?

ფირალა. კუდა ხარი თავისთვის არ იყო და სხვას ბუზებს უგერიებდაო... (სიცილი)

დიანოზ. ვაი შენს პატრონს!

ბონდო. ნაკლებ ილაპარაკეთ ყმაწვილებო! აბა ერთიც...

ყველა. ჰო, ჰო, ჰო!

კუპრა. ორიც...

ყველა. ჰო, ჰო, ჰო!

ზაქ. ბონდო ბიძია, არხში თბილი წყარო აღმოვაჩინე. აბანოთ გამოდგება.

კუპრა. ზაქარია... გვიღალატე, სად წახვედი?

ზაქ. აბანო აღმოვაჩინე, თბილი აბანო!

დიან. ხუშუტი, იმ მთაზე თოვლს ხედავ?

ხუშუტი. სად, კაცო?

დიან. ამოდი აქ! აი ის... თოვლი არ არის?

ხუშუტი. აბა, ღრუბელია ვითომ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

განგალა. დიანოზ, შენმა თოხმა შემოგითვალა: ობლად ნუ დამტოვებო!

კუპრა. უპატრონოთ მომწყინდაო!

საბა. დავუჩქაროთ ბიჭებო...

ხუშუტი. დიანოზ! სად მცალიან კაცო, ამისთვის მეძახდი, რას მაცდენ?!

არხის სათავედან ამორბის გივი.

გივი. ბონდო, ბოხდო, ასე მუშაობა შეუძლებელია. ენერგია უშედეგოთ იხარჯება. უგეგმოთ ვმუშაობთ.

ბონდო. როგორ თუ უგეგმოთ?

გივი. საქმეც ის არის, რომ სწორი გეგმით არ ვმუშაობთ.

აფრას. იმიტომ, რომ ინჟინერი არ ხელმძღვანელობს.

საბა. არაფერი არ გამოდის... შეაჩერონ საგუბარზე მუშაობა, მოვილაპარაკოთ.

გივი. ხალხო, ამხანაგებო, შეაჩერეთ... შეაჩერეთ მუშაობა.

ზაქ. ჰო, ჰო, შევაჩეროთ,

კუპრა. არავითარი შეჩერება:.. ჩვენ გეგმა გვაქვს და საშუალებაც, არხი უნდა გავწმინდოთ. ამას რა გეგმა უნდა კაცო? ზაქარია სად მიხვალ?

ზაქ. ყმაწვილო შენ დაგიჯერო თუ ამ ხალხს?

ბონდო. მაინც რა აფერხებს მუშაობას?

საბა. გაოღვეული ადგილის ამოვსება ძნელი ხდება, დრო იკარგება და მასალაც.

თედორე. არ ვიცი კაცო, ამ საქმეზე პირველად ვმუშაობ, თქვენ უკეთ გეცოდინებათ მარნელებო, არხი თქვენია და გამოცდილებაც!

ფირალა. მარნელების გაკეთებულია ეს არხი და იმიტომ გაირღვა სწორედ.

ხუშუტი. თუ ასე დაიწყებთ ჩემო ძმაო... მარნელებმა ასეთი მაინც გავაკეთეთ, თქვენ კი ორეთელებს ვერც ასეთი გაგიკეთებიათ და ვერც ისეთი...

დათია. თუ ამაშიდაც ორეთია დამნაშავე, გვითხარი და გვეცოდინება.

ზაქ. შარზე ხომ არა ხარ ძმაო! რა დაგვიშავებია ჩვენ მარნელებს?.. მოვდივართ, გეხმარებით, თქვენ საქმეს ვაკეთებთ და ეგ არი მადლობის მაგიერი?

ფირალა. ჩვენს კი არა-თქვენს საქმეს აკეთებთ.

ზაქ. თუ ასეა... მარნელებო შევწყვიტოთ მუშაობა, ვნახოთ ვინ წააგებს, თქვენ თუ ჩვენ! (ჩოჩქოლი).

საბა. გაჩუმდით, სირცხვილია.

დიანოზი. სირცხვილია სწორედ ეს, ორეთელებისათვის.

ფირალა. აი, კიდევ გამოჩნდა ჭკვიანი კაცი.

ხუშუტი. მართლაც უჭკუო ვართ, რომ აქ მოვედით.

საბა. გაჩუმდი ხუშუტია.

ხუშტი. სისხლი ყელში მადგება ძმაო.

საბა. ხალხო, მოდით, თავი გავანებოთ უმიზნო ლაპარაკს. უბედურება ორეთსაც ეწვია და მარანსაც! ვინც ამას ვერ გრძნობს, ის ან სულელია ან პრავაკატორი.

ყველა. მართალია.

ხუშუტი. გმადლობთ, გმადლობთ... პრავაკაციის რა მოგახსენო-და, მართლაც სულელი კი ვარ, რომ აქ მოვედი,

ხაბა. ამხანაგებო, ინჟინერი, რომ არ მოვიდა ეს ყველამ ვიცით. უიმისოდ დაც რომ საქმე ბრკოლდება ესეც გასაგებია. მაგრამ ლოდინიც არ ვარგა! ვიფიქროთ, როგორ ამოვამსოთ გარღვეული საგუბარი, წყალი მუშაობის საშუალებას არ გვაძლევს.

პეტრე. ღრმაც და ჩქარია, ყველაფერი თან მიაქვს.

დიანოზი. მაშ, რა ვქნათ? რა გზას დავადგეთ?

ხუშუტი. მივანდოთ ორეთელებს!

ფირალა. შენ ძმაო...

გივი. გაჩუმდით, რა დროს ეგ არი?

თედორე. მეზობლებო, მე ის მინდა ვთქვა, რომ...

აფრას. მოიცა ამხანაგო... კაცო, წყალთან ბრძოლას თავისი მეცნიერება აქვს, ეს მეცნიერება ინჟინერმა იცის, ინჟინერი კი არ გვყავს. რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, მარტო სურვილებით წყალს ვერ შევაჩერებთ! რაც აქ მასალა ჩაგვიყრია ამოსაღები გახდება ისევე!

ხუშუტი. მომკალით და ეგ არის! ამოიღე, ჩაყარე—ჩაყარე ამოიღე! გავთავდი კაცი, ამის რჯული ავატირე მე!

დათია. ამხანაგებო მე ბევრი ლაპარაკი არ ვიცი. მდგომარეობა ყველასათვის აშკარაა. წყალი დღეს ჩვენს პურში სდგას. ხვალ თქვენს ბამბაში გადავა. არ ვაცი-თითქოს არ გვინდა, თორემ ამდენი შეერთებული ძალა რას არ მოერევა? აზრი ხომ იცით, საშუალება ხომ გვაქვს, მხოლოდ საჭიროა საგუბარს შევუტიოთ!

56865

დიანოზ. როგორ შევუტიო ყმაწყილო? მომეცი ინჟინერი და დიდი სიამოვნებით შევუტევ! უიმე დედაჩემო.

გივი. უინჟინრობა, ცხადია, ხელს გვიშლის. მაგრამ აი, ასეთი უთავბოლო ლაპარაკი უფრო გვაბრკოლებს, საჭიროა შრომის დისციპლინა!

ბონდო. მართალია.

აფრას. ჰო-და: დისციპლინა არც შეიქმნება, თუ მცოდნე კაცი არ დგას სათავეში.

ხაბა. მაშ, დავყაროთ იარაღი და ვუცადოთ ინჟინერს.

აფრას. ასე გამოდის.

ხაბა. ხალხო, გინდათ არხის შეკეთება?

ყველა. გვინდა.

ხუშუტი. გვინდა ბატონო, გვინდა! (მიდიან სამუშაოდ).

აფრას. მოიცათ ხალხო, მოიცათ! წესია საჭირო...

ბონდო. წესი ასეთია, ამხანაგებო, მინახავს, ვიცი; საგუბარის ამოვსება და არხის გაწმენდა ერთსა და იმავე დროს უნდა ხდებოდეს! აი, ხომ ხედავთ—არხი ქვებით და შლამით არის სავსე! ეს უნდა გავწმინდოთ, ამავე დროს საგუბარზე მუშაობა ასე ხდება: საჭიროა დაწყება გალმა მხარიდან, თანდათანობით... უნდა ამოვავსოთ გარღვეული ადგილი, წყალი ჩვენსკენ მოაწვება, ამით ჩვენ ვისარგებლებთ და ამოქოლილ ადგილს დულაბებით დავამაგრებთ! (ჩოჩქოლი).

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტრე. შენ ყოფილხარ შვილო ინჟილერი!

კუპრა. ვაშა ბონდო!

ყველა. ვაშა, ვაშა.

ხუშუტი. ბიჭი ხარ მაგრამ რა ბიჭი ხარ? ვაშა ბონდო!

აფრას. ჰო, იდექით ეხლა აქ-და იძახეთ ვაშა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაბა. აბა წავიდეთ! (მიდიან, ხუშუტი და ზაქარია ჩამორჩებიან).

დიანოზ. წამოდი ხუშუტი!

ხუშუტი. დაგეწევით.

პეტრე. ზაქარია!

ზაქ. მაცალე, თოხის ტარი შევაკეთო!

კუპრა ზაქარია, რა ხშირ-ხშირად უტყდება მაგ შენს თოხს ტარი?!

ხუშუტი. ბროლის ტარია, ბროლის!.. ვენაცვალე კოლექტიურ შრომას?!... შენი სიმამრი როგორ არის.

ზაქ. გაგიჟებამდე ცოტა უკლია! ვეუბნები: კაცო ზურაბ, ავია თუ კარგია, ამ შენი სიძის დახმარებით სახლში მაინც ხარ, სხვები შენისთანები სულმთლად გააძევეს აქედან, შენ თავიც შეგარჩინეს და სახლკარიც, დაივიწყე ძველი წარსული და მდგომარეობას შეურიგდი—მეთქი!. მე, ხუშუტი ჩემო, შენთან რა მაქვს დასამალავი,—შეძლებული კაცი ვიყავ... აქეთ დუაქნი—იქით წისქვილი... ბამბა რა ყოფილა? იგი პირველად ჩემი მოგონილია! ეხლა კი: ხელში მიჭირავს ეს თოხი და ვტკეპნი ამ ტალახს... ზურაბს კი ეს ვერ გავაგებინე!

ხუშუტი. მაინც რა მინდაო?

ზაქ. რას გაუგებ? გულზე ხელს იცემს და ოხრავს! თუმცა სადარდელი ბევრი აქვს... რაც უძრავ-მოძრავი ქონება ჰქონდა—კოლექტივში შემოუტანია და შორიდან გვიცქერის... ბიჭი არის—და, ზარალი! ნამდვილი ზარალი! იმის მაგიერ, რომ მამას დაეხმაროს, მთელ დღეებს აცდენს, ვიღაც ცხვირ მოუხოცავ გოგოს დასდევს! იმას, რა ჰქვია. იმას?

ხუშუტი. ოლენას? ალმასოკმის დას? პირიქით, კაცი თურმე 'მთავრობას ეარშიყება და უჭკუობათ მიგაჩნია?!

ზაქ. უჭკუობაა, იმიტომ რომ გოგო ყურადღებასაც არ აქცევს! მით უმეტეს ახლა, ტარიელი ჩამოუვიდა.

ხუშუტი. რომელი ტარიელი?

ზაქ. ეგერ, ჰე, ძაბრიანი, ბარით ხელში.

ხუშრტი. ჰუ, ბონდო? რას მელაპარაკები?.. ზაქარია ეს რა ცხოველია? ბრიგადაა?!

ზაქ. შენ ხუმრობ და... ის მალე კოლექტივის თავმჯდომარე გაგიხდება..

ხუშუტი. ეს ხომ მეწვრილმანე მარდახაა კაცო?

ზაქრო. წვრილმანებს თავი ანება და... ეხლა, ხომ ხედავ, მსხვილმანებს ეზიდება. ამბობენ—ურიები მიწას უნდა დავუკავშიროთო!

გამოჩდება ფიჩხებით დატვირთული მარდახა.

მარდახა. ბენო, კუპრა, განგალა, მუშაობთ? (ზაქარიას გაჰკრავს ფიჩხებს).

ზაქ. იქით გაიარე ბიჭო...

მარდახა ადამიანო აქ რომ დამდგარხარ, ბულვარია თუ?

ზაქ. უყურეთ ამ გლახაკს?... შენ, ბიძია, ზრდილობიანად იყავი, თორემ!...

დიანოზ. ხუშუტი!

ხუშუტი. აქ ვარ კაცო, ვმუშაობ!

დიანოზ. მუშაობ? აბა, მეც წავიმუშავებ ცოტას. (მათ უერთდება)

ხუშუტი. (თოხზე) შეაკეთე? იფ, რა ნაზია? ბამბისთვის მისწრებაა და მიწაზე რა მოგახსენო...

ზაქ. დამკვრელი ვარ, დამკვრელი! (მღერიან)

სამივე „მეც დამკვრელი შენც დამკვრელი, ყველა ერთად გადამკვრელი“.

ყველანი ყურს ეგდებ(ნ. კუპრა მიეპარება ზურგიდან, მიუახლოვდება და ყურში ჩაჰყვირებს: **„ზაქარიი უუუ“**. ზაქარია წამოხტება დარცხვენილი და არხისკენ გარბის, სიცილი).

თომა. აი ჩემო მარდახა, თუ ასე ენერგიულად იმუშავებ იცოდე შრომა არსად არ ფასდება ისე, როგორც კოლექტივში.

მარდახა. ვიმუშავებ ძია თომა, აბა რას ვიზამ! მხოლოდ თავმჯდომარე რალაც მიბღვერის!

თომა. აფრასიონი? დარდი ნუ გაქვს! ცოტა თავნება კაცია, მაგრამ... იმუშავე! იცოდე—ვინც კალექტივში არ ვარგა, ის კაცადაც არ ივარგებს! იმუშავე, იმუშავე!

მარდახა ვიმუშავებ ძია თომა, ვიმუშავებ!

გამოიცვლიან ფიჩხებით დატვირთული ქალები. მათ შორის ინსტრუქტორი. წაბორძიკდება, წამოაყენებენ.

ინსტრ. მეგობრებო, გახედეთ რა წმენიერებაა! კოლექტიური შრომა, სადაც ათასების ენერგია, ძალა და გულისცემა ბუნების სტიქიას ებრძვის... იმორჩილებს!.. შემდეგ ზეიმი გამარჯვების, ტრიუმფი შრომის... რა კარგია ამ დროს...

აკვირინა. შორიდან იდგე და უცქეროდე? (სიცილი)

ინსტრ. უკაცრავად ამხანაგო აკვირინა, როგორ თუ შორიდან? პირიქით: მე დღეს, მთელი ჩემი მოქალაქეობრივი შეგნებით კოლექტივის რეგიზია მოვხსენი, მოველ აქ და ფიჩხებს ვეზიდები.

ქალები. (ფიჩხებს ზევით ასწევენ) ვაშა!

გივი. ამხანაგებო თოკი მომაშველეთ...

ბენო. მიეცით თოკი... ჩქარა! რა ამბავია?

კუპრა. მიეშველეთ. მიეშველეთ.

ბენო. თოკის წვერი გადაუგდეთ...

პეტრე. რა მოხდა, რა ამბავია?

ქალები. არაფერი არ ჩანს!

დათია. ზევიდან მოუარე ბიჭო...

ფირალა. აქეთ, აქეთ!

ხმა. მიეშველეთ, კაცი იხრჩობა.

ბონდო. ამხანაგებო, საბა გადავარდა...

ყველა. უუუ! საბა?!

თედორე. აქეთ, აქეთ!

ყველა. როგორ ხარ საბა? ძალიან დაშავდი?

საბა. არა მიშავს...

თედორე. აქ გაჩერება არ შეიძლება, სახლში...

საბა. ხალხო მე არა მიშავს, მარტო წავალ... აფთიაქში შევიარ! თქვენ იცით, მუშაობა არ შესწყვიტოთ შევიხვევ, და ეხლავე დავბრუნდები! აფრასიონ მუშაობას უხელმძღვანელე!

თომა. წამო, წამო!

გივი. ოლენა შენც გაჰყევი! ჭრილობა სერიოზულია, ისიც თავზე.

ოლენა. საბა წავიდეთ!

საბა. არ მინდა ამდენი გამცილებელი.

თომა. წამო ჩემო ბებერო, ხომ გითხარი: ავად ხარ, შინ დარჩი-მეთქი! მოდ... უსვენარი კაცი ხარ!

დათია. ფათერაკი ფათერაკს მოსდევს, იმუშავე ეხლა უმეთაუროდ.

აფრას. ლაპარაკს სჯობია ბარი აიღოთ ხელში!.. იმუშავეთ თქვენი დედა ვატირე მე...

დათია. რა გაჯავრებს შე კაცო?

ფირალა. დაგვამუნჯეთ ბარემ-და ეგ არი!

ხუშუტი. საბა ვინ გადააგდო წყალში?

დიანოზი. გადააგდესო!

ზაქ. ამას კი ალარ ვიფიქრებდი.

თედორე რას ამბობთ, როგორ გეკადრებათ?

დათია. სირცხვილია, სირცხვილი.

ხუშუტი. კაცო... ავადმყოფი კაცი ლოგინიდან წამოვაგდეთ, მოგიყვანეთ, ხელში ჩაგაბარეთ და წყალში გადააგდეთ?

გლეხები. ვინ, ვინ?

ხუშუტი. ვინ გადააგდო არ ვიცი მე! საგუბარი თუ გასკდა, ჩვენ რა? არცერთ ჩვენთაგანს წყლისათვის არ უთქვამს მაინც და მაინც ადექი და ორეთში წადიო. რა ქენით ბიჭო ეს! სამაგიეროა?

დათია რაო. რას ამბობ? ამხ. აფრასიონ, თუ მთელი მარანი ამ აზრისაა, მაშინ...

აფრას. მარნელები რა აზრის არიან არ ვიცი... ეხლა მე ჩემი აზრი მაქვს.

ფირალა. ჩვენც გვაქვს ჩვენი აზრი.

აფრას. ფეხებზე მკიდია ეხლა მე თქვენი აზრი.

თედორე რას გავს ეს?

ბონდო. ამხანაგებო, მართლაც-და: რას გავს ეს? როგორ შეიძლება ასეთი უპასუხისმგებლო ლაპარაკი?

ფირალა. თქვენში ჩააჩუმეთ ამხანაგო ზოგიერთი ელემენტები.

ხუშუტი. რაიო? ელემენტებიო? მარნელებო ელემენტები ვართ ჩვენ?!

დიანოზ. რაო?!

ზაქ. რაო-და: ყურიდან ბამბა გამოიღე, ელემენტებიო! (ჩოჩქოლი)

გივი. გაჩუმდით სირცხვილია.

თედორე. რა დროს ეგ არის, მუშაობა ცდება.

დიანოზი. თავს იგდებს ვილაც ციგანია.

ოტია. დამანახვეთ!

ფირალა. მაგათი რჯულიც არ იყოს...

დათია. ორეთელებო, დაგესხათ თავსლაფი, უთმინეთ აფრასიონებს!

ხუშუტი. რაიო?

აფრას. (რევოლვერს იძრობს) ოი, შენი დედა ვატირე მე!

გივი. გაჩუმდით!

გლეხები. სირცხვილია, რა დროს ეგ არის!?

ჩოჩქოლი, ჩხუბი. ბონდო ჩავარდება შუაში.

ბონდო. შეჩერდით, შეჩერდით... ვინ აცდენს სამუშაოს! ვის უნდა რომ ხალხის ნაჭარმაგევი განადგურდეს? ოითეულ თქვენთაგანს უბეში კოლმეურნის მანდატი უდევს... რომლის პირველ გვერდშივე ერთობის, კოლექტიური შრომის და ამხანაგობის ლოზუნგია. ვინ გაჭყო ხალ-

ხის საკუთრება? რას ჩადიხართ, რას შვრებით. აყოლილხართ ინტ-
რიგებს, კუთხურ კინკლაობას, პრავაკაციებს და თქვენს მომავალ-
თქვენივე ხელით ასამარებთ. განა ორეთის პური და მარანის ბამბა
ჩვენი საერთო შრომის ნაყოფი არ არი? განა ყოველი კოლექტივი
საბჭოთა რესპუბლიკის ერთ-ერთი ძარღვი არ არი? რას ჩადიხართ?
მე მრცხვენიან თქვენს მაგიერ! (მაღლობზე ახტება) ეხლა? აი რა! ვისაც
მუშაობა არ სურს, ჩქარა გაეცალოს აქაურობას. მე არ ვიცი რამდენი,
მაგრამ ჩვენ ვრჩებით, არხი უნდა შეკეთდეს!

სურათი მესამე

ბამბის მეურნეობის ბაზა. ეზიდებიან ბამბით სავსე ტომრებს და ბარაკში შეაქვთ. შორიდან ისმის სიმღერა. ცოტა მოშორებით ქალების ჯგუფი ბამბას არჩევენ. ოლენა ბამბის რაოდენობას იწერს დავთარში. მარდახა სწონავს. გიგო, ზაქარია და სხვები ბაბით სავსე ტომრებს თავს უკერავენ.

ლადო. წრეევანდელ მოსავალს მაინც არა უშავს, თუმცა ის არხი რომ არ გარღვეულიყო და წყალს არ ევნო უკეთესი იქნებოდა.

სოლომ. მოსავალს მაშინ აქვს გემო, თუ შეგანარჩუნებენ.

ლადო. შენ მუდამ შენი თავი გაგონდება ჩემო სოლომონ.

ოლენა. რამდენია მარდახა?

მარდახა. ორი ფუთი და ცხრა გირვანქა.

ოლენა. ორი ფუთი და ცხრა გირვანქა!

ბენო. (ტომარაზე აწერს) ორი ფუთი და ცხრა...

კომკავშირელებს შეამოაქვთ ბამბით სავსე კალათები.

ვანო გალმა უბანში ძალიან ყოჩაღად მუშაობენ, გადმოტანასაც ვერ ვასწრებთ.

აკვირინა. იმიტომ რომ მოკულაკო ელემენტები იქ ნაკლებადაა.

ვანო. ამბობენ, მალე კოლექტივის წმენდა იქნებაო.

აკვირ. ვაი, მაშინ აფრასიონის ნათესავებს და მეგობრებს?! (სიცილი)

ოტია. მე მგონია: ეხლავე უნდა ვიცოდეთ-ბამბას რა წესით გაგვინაწილებენ.

ლადო მოესწრები ჩემო ოტია... რა გაჩქარებს, ალბად კრება იქნება და აგვიხსნიან.

სოლომ. შარშან აფრასიონი სამართლიანად მოგვექცა, მე ვფიქრობ ეხლაც არ გვაზარალებს.

ლადო მარტო აფრასიონი ამ საკითხს ვერ გადაწყვეტს.

მარდახა. ბენო, სასწორი ვერ აიტანს, რას შვრები კაცო?

ბენო. აიტანს, აიტანს.

ოლენა. რამდენია მარდახა.

მარდ. სასწორი გაფუჭდა.

ზაქ. უნდა მოუარო ბიძია! მტრის ოჯახში ხარ?

მარდ. ძველია, ჟანგიანი.

გიგო. ახალს შევქმნით! ა, ზაქარია! არაფერი არ გვინდა ძველი...

ზაქ. ძველი უტილფონდს უნდა ჩაბარდეს.

ბენო. მარდახა ამის შეკეთება ადვილია... ვინტი მოშვებულა, მოიცა!

აფრას. რა მოუვიდა, დაამტვრიეთ?

ზაქ. მაინც ძველიაო-და...

აფრას. ინვენტარს გაუფრთხილდი, გეყურება შენ თოჯა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განგალას და ანდრიას შემოაქვთ ბამბა.

განგალა ბონდო, რომ არ მოგვსწრებოდა წრეულს გეგმას ვერ შევასრულებდით.

ანდრია. ყველაფერს ეხლა ბონდოს ნუ მიაწერ, არც საბაა მასზე ნაკლები!

განგალა. ესეც მართალია. გამარჯობათ ქალებო,—ვენაცვალე კოლექტიურ მუშაობას.

ზაქ. სიმღერა და მუშაობა, კოლექტივი და ბამბა! გოგოებო ეცადეთ „პრარიეი“ არ გააკეთოთ, თორემ „უკლონში“ ჩავარდებით!

აკვირ. ზაქარია, მახათის ხმარება არ გეჩოთირება?

ზაქ. პარტნიორი ვარ, ახალმოდის პარტნიორი... მალე ქალების პერანგის კერვას დავიწყებ! უჰ, თქვენ გენაცვალეთ ახალგაზრდობაში, იმღერეთ, იმუშავეთ!

ისმის კუპრას ხარხარი. ბამბით სავსე ტომრებს ძლივს მოათრევს.

ოლენა. რა გაცინებს კუპრა, რა მოგივიდა?

ყველა. რა მოგივიდა?

კუპრა. არ შემიძლიან! (სიცილს ვერ იკავებს)

ოლენა. რას იფხრიწები ბიჭო, არ იტყვი?

კუპრა. ბონდო...

ოლენა. რა მოუვიდა?

კუპრა. შეჯიბრი გაიმართა. ვინ უფრო მეტს წამოიღებსო.

ყველა. მერე?

კუპრა. ბონდომ იტვირთა სამი უზარმაზარი ტომარა...

მარდახა. რას ამბობ? სამი ტომრის წამოღება ურემსაც გაუჭირდება.

თამარა. წელი თუ იტკინა.

კუპრა. ბარბაც-ბარბაცით ფერდობში გადაგორდა.

ქალები. უჰ...

თამარა. მერე,—და: რა გაცინებს შე სასიკვდილე.

კუპრა. რა სასაცილო იყო? ბონდო ხრამ და ხრამ მიგორავს, ტომრებიც მიგორავენ.

თამარა. თქვენ რას უყურებდით,

კუპრა. ჩვენ აქედან ვუკიჟინებთ „ბონდო, უუუ“!

აფრას. რა ამბავია! მუშაობთ თუ მასხრობთ?

ბენო. არა ვხუმრობთ!

მარდახა. მუშაობის დროს სიცილიც აკრძალულია?

ოლენა. ხომ არ დაშავდა?

კუპრა. უჰ, სასტიკად... ისე, რომ სამივე ტომარა მხრებზე მოიგდო და მობაჯბაჯებს აგერ დათვივით.

თამარა. შეხედე, ოლენა რა დღეშია.

აკვირ. ბონდოს თავს აწონებს! ოლენა გაუფრთხილდი სიმონას...

ზაქარ. (გიგოს, აფრასიონის გასაგონად) ბონდოს უთქვამს თურმე—მთელი მარანი ძირფესვიანად უნდა გამოვცვალოო. ძველმა ხელმძღვანელობამ რაც გადახრები დაუშვა, ისევე უნდა გადმოვხაროო... კიდევ კარგი, რომ არავითარი საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არ ვარ, თორემ მომსხნიდა ეს კაცი და ეგ არი! მაგრამ, მე მაინც მიკვირს, რის იმედი აქვს იმ კაცს? აფრასიონს მოერევა მაგი კაცო? ბონდოზე ნაკლები გამოცდილია, თუ სტაჟიანია?

გიგო. ბონდომ კი არა... იმან რომ ვითხრას, (მარდახაზე) იმ გლახაკმა: მოგხსნი და გადაგაგდებო, უნდა გჯეროდეს, დროა ისეთი! (ზაქარია ბითხითებს)

ბენო. ამხ. აფრასიონ, სასწორი შევაკეთე, მაგრამ კაპიტალური რემონტი მაინც სჭირდება.

მარდახა. შიგ რაღაც მეხანიზმია არეული.

აფრას. შენს თავშია მექანიზმი არეული! საღამოსთვის მთელი დღის ნაკრეფი აწონილი და დანომრილი იყოს! როგორც გინდათ, გააკეთეთ.

კუპრა უფრო მეტი: ავწონავთ, დავნომრავთ, მოვქსოვთ, ჩავაჩიხრიხებთ და საღამოზე საგალიფე მატერიაც მზად იქნება.

აფრას. ენა ნუ წაიგრძელე ბიჭო შენ.

მარდახა. რა ჟამია ეს ოჯახაშენებული.

გიგო. ზაქარია, შენ აფრასიონის კბენას თავი ანებე.

ზაქ. პირიქით: მე მისთვის კარგი მსურს, ცოტა სიმტკიცე გამოიჩინოს, ძველი პარტიულია, სტაჟიანი... ეს ბიჭ-ბუჭები თავზე, რომ დაისხა, რა ჰგონია?!

გიგო. თავისი საქმე თვითონ იცის... გაჩუმდი!

ზაქ. ჰა, ბატონო, გავჩუმდები! გენახა არხზე რა უქნა იმ შენმა ბონდომ!

გიგო. ვიცი, ნუ იმეორებ.

ზაქ. ყველაფერს ეპოტინება, ყველაფერს აკრიტიკებს.

ბენო. (ზურგში მოეპარება) და ყველაფერსაც აკეთებს!

ზაქ. შენი საქმე აკეთე ბიძია.

ბენო სხვა არაფერი გავაკეთო.

ზაქ. ჯერ შენი საქმე გააკეთე, მერე სხვაც გააკეთე.

კუპრა. ბენო, ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო...

გიგო. სიტყვაც ვერ უთქვამს ადამიანს.

ზაქ. (ბრაზისაგან თითს გაიკაწრავს მახათზე) ბიჭო კუპრა, მახათი გამიტყდა, აირბინე ერთწამს სამნეო განყოფილებაში, კარგი ამოარჩიე...

კუპრა. მახათი გინდა ზაქარია? რისთვის?

ზაქ. გაჩუმდი ბიჭო!

კუპრა. ჰო, მართლა ეხლაეე მოგიტან მახათს!

ზაქ. გაციგნებულია ეგ ძაღლ მამაძაღლები?

კუპრა. ხო, ხო, ხო ჩამოეცალეთ, ჩამოეცალეთ, ტანკა მოდის... ტანკა.

ქალები. ბონდო, ყოჩაღ ბონდო.

აკვირ. მივეშველოთ ქალებო... მივეშველოთ.

ბონდო. შეჯიბრია, შეჯიბრი... ადგილზე მე თითონ უნდა მივიტანო!

მარდახა. ეს რა ცოტა წამოგიღია, მეტი აღარ იყო?

გივი. მარდახა, ბიუროკრატობას თავი ანებე! ნუ დგეხარ აქ უსაქმოდ... წამო ჩვენთან, ტომრებს დაეჭიდე თუ ბიჭი ხარ!

მარდახა. წამოვალ, შენ გგონია ტომრებს შევუშინდები?

თამარა. გივი... აკვირინა მუშაობის ნებას არ აძლევს! ტომრების ზიდვა წელს ატკენსო! (სიცილი)

გივი. გაუფრთხილდი აკვირინა, გაუფრთხილდი... (ეალერსება) ხომ იცი რა ნაზადაა აღზრდილი.

მარდახა. ვაი, თქვენ იკითხეთ, თორემ ჩემს მხრებს ბარგის ზიდვის მეტი რა უნახავს? (სიცილი)

ბონდო. მართალი, ხარ მარდახა... ჩემი მხრებიც ფიზიკურ მუშაობას გადაჩვეულან ჯარში ყოფნის დროს...

გივი. მარდახა, როგორ მოგწონს კოლექტივი?

მარდახა. ძალიან, ძალიან.

გივი. მართალს ამბობ?

მარდახა. ღმერთს გეფიცები...

ბონდო. მარდახა, არ გრცხვენიან? ღმერთს ფიცულობ კომკავშირელი კაცი?!

მარდახა. ვაი შენ... წამომცდა. მეტს აღარ ვიტყვი...

ბონდო. მართალს ამბობ?

მარდახა. კი, კი.

გივი. აბა, დაიფიცე...

მარდახა. ღმერთს გეფიცები! (სიცილი)

ბონდო. ეხ, ჩემო მარდახა, რა მალე გცოდნია პირობის დავიწყება?

პეტრე. ვერ დაგეწიეთ...

ყველანი. პეტრე, პეტრე. (წამოეხმაურებიან)

პეტრე. ალბათ მოვხუცდი, ჰაი ბიჭობავ! ოლენა ბიძია, გოლიამ რაო, არაფერს იწერება?

ოლენა. არაფერს.

პეტრე. კი მაგრამ, რა საქმე აქვს იმ ქალს ამდენხანს ქალაქში?

ბენო. რატომ? ცუდია ქალაქში ცხოვრება თუ?

ზაქ. ბონდო ბიძია, ძნელია სოფელში მუშაობა?

ბონდო. ბევრად უფრო ადვილი, ვიდრე ქალაქში...

ზაქ. ჰახ, ჰახ! ვერ დავიჯერებ.

ბენო. რატომ ვერ დაიჯერებ? აი, მაგალითად: ქალაქში მახათი ძალით რომ გასტეხო პასუხს გაგებინებენ. აქ კი, სანამ სამაგიეროს არ მოგიტანებენ, ისვენებ კიდეც... (სიცილი)

ზაქ. გაჩუმდი ბიჭო! (პაპიროსს სწევს)

გივი. (არბის მაღლობზე) ეხ, ბიჭებო, ამხანაგებო, გოგოებო, რომ იცოდეთ რა ლამაზია ეხლა მინდორი? გიგანტიურად აღმართულან ბამბის ზვინები, ხვალ ეგ ზვინები თეთრ ქარავნებათ ქალაქისკენ დაიძვრებიან. გადიქცევიან უზარ-მაზარ ბამბის ქსოვილათ, რომ შეიმოსოს რესპუბლიკა სოციალისტური! ასე იწყება ტეხნიკური რევოლიუცია, რომლის...

ყველანი. აბა გივი... მიდი, მიდი... (სიცილი)

გივი. რომლის... ეხ, ტომრებია მოსატანი, წამოდით!

ბენო. და თუ ასეა... ამხანაგო გივი, კეთილ ინებე, ჩემს მაგიერ დადექი აქ სასწორთან და ტომრები დასდე და გადმოსდე! მე კი გავინავარდებ...

გივი. ერიჰა, ეს ხომ წესის დარღვევა იქნება...

ბენო. არა, მინდორზე მინდა! მომბეზრდა აქ მახათებზე ლაპარაკი...

ოლენა. ბენო, შენ აქ დარჩები.

ბონდო. რაკი ოლენა გიბრძანებს, უნდა დარჩე.

ბენო. ამხ. ბონდო, ოლენას შეუძლია შენ გიბრძანოს მე კი არა! (სიცილი)

ოლენა. (დავთარს პირსახეზე მიიფარებს).

აფრას. რა ღრიანცელია! თქვენი დედა ვატირე მე... კლუბში ხართ?

გივი. (ხმადაბლა) მართალია, კლუბში რომ ღრიანცელი არ შეიძლება ამის შესახებ აფრასიონს უთხრეს „რაიონის კლუბში". (სიცილი)

ბონდო. აბა, ბიჭებო შევუტიოთ! მარდახა მაგრად.

გივი. (ზაქარიას გასაგონად) მარდახა სასწორმა არ მოგატყუოს — ზაქარიასეულია!

ზაქ. შეჭამეთ ეს ზაქარია ბარემ.

მარდახა. თოჯა ვარ, სასწორი მომატყუებს. ბენო თოჯა გინებაა?

ბენო. არა, ქებაა!

პეტრე. (გიგოს) ამ ახალგაზრდებს რომ დავსდევ, დამიჯერებთ, არ ვიღლები. თავი ახალგაზრდა მგონია.

ზაქ.. გიგო, ერთი პეტრეს შეხედე, რა ახალგაზრდათ გამოიყურება?

გიგო. შეგნებული ელემენტია!

პეტრე. თქვენც შეგნებულად იკბინებით!

აფრას. დატრიალდი, პირი რას დაგიღია.

მარდახა. თუ დავტრიალდი, ბამბას როგორ ავწონავ?

ზაქ. სიტყვის შემობრუნება ნუ იცი ბიჭო შენ! თავმჯდომარე გელაპარაკება!

აფრას. შენ ამხანაგო, ხომ არ გინდა კალათს დაუბრუნდე ისევე?

ოლენა. მარდახა, გაჩუმდი! შენ ამ ხალხთან ლაპარაკი არ გეხერხება... სასწორს მიხედე, რამდენია? (მორბის კუპრა)

კუპრა. აჰა, ზაქარია! ექვსი მახათი მოგიტანე ერთბაშათ!

ზაქ. რად გინდოდა, ბიჭო ამდენი.

კუპრა. რომ გაგიტყდეს, არ გაცდები.

ზაქ. (ხელიდან გამოგლეჯს)

მარდახა. ზაქარია...

ზაქ. რა იყო ბიჭო?

მარდახა. ექვსი მახათი გეყოფა! (სიცილი)

ზაქ. ვინ გკითხავს შენ გლახაკო, შე ძაღლო და ღორო? შენი დასაცინი გახდა ზაქარია ბაკურაძე. შე უშნოვ, შენ მართლა თოჯავ! (წამოხტება) შენი საქმე აკეთე, თორემ სათითაოდ დაგაძრობ მაგ კბილებს!

მარდახა. რა გინდა კაცო შენ! რა გინდა ჩემგან?

ზაქ. თავს იგდებ შე გადმოთრეულო, გამეცალე აქედან, თორემ...

კუპრა. მიდი ზაქარია, ბამბა ესროლე. (ბამბას შეაჩერებს ხელში)

ბენო. დახვდი მარდახა, არ შემარცხვინო.

გიგო. ზაქარია, მოდი აქ!

ზაქ. არ მოვალ, ან მე უნდა ვიყო კოლექტივში ან ის ბაიყუში.

გიგო. შენ გამოგაგდებენ, ის კი დარჩება!

ზაქ. ესეც მართალია! (იქვე ჩაჯდება)

მარდახა. ოლენა. გაიგონე რა მითხრა? მუდამ ასე იქნება, ვინ ვგონივარ მაგას მე?!

შორიდან ისმის ხუშუტის ძახილი. ყველანი განზრახ გაყუჩდებიან. ქალები თავქვე გაწვებიან.

ხუშუტი. უჰ, უჰ, რომ წამოვიღე ბამბა იყო, გზაში ტყვია გახდა ეს ოხერი! გამარჯობათ თქვენი, მებამბეებს ვახლავარ... დაყრუვდით თქვე ოჯახკეტიანებო? (ბამბას დააგდებს ქალებზე) სოციალიზმის მშენებელო. რომელი საათია.

მარდახა. სოციალიზმის დასაწყისია.

ხუშუტი. დავაქციე შენი აშენებული სოციალიზმი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარდახა. კაცო ღვინო ხომ არ დალიე შენ!

ხუშუტი. იმდენი აგიშენდა კოლექტივი! ღვინო არა და, ზაქარია პაპიროსი მომართვი თუ კაცი ხარ.

ზაქ. აქ პაპიროსის მოწევა აკრძალულია.

ხუშუტი. შენც გაწუწკდი ხომ? გადადი ეკონომიაზე? შეგირცხვა ნამუსი! ოლენა ბიძია, ბონდომ თქვა—ეხლავე დავბრუნდებიო.

ოლენა. უკანასკნელი რამდენია მარდახა?

ხუშუტი. შენ გეკითხებიან მარდახა, რამდენიაო! ზაქარია, ერთი მითხარი თუ ღმერთი გწამს, რამდენი ფუთი ხორბალი მოდიოდა ამ შენსა და შენი სიმამრის მამულში? ძარდახა ბიძია, მოდი აქ! შენ არ იცი-და: ეს ხოდაბუნები ერთ დროს ზურაბს და ამ ზაქარიას ეკუთვნოდა, ყოველგვარი მოსავალი, იჯარა თუ ნადელი ამათი იყო. გადაბრუნდა ბიძია ქვეყანა, ზურაბი ლიკვიდაციაქმნილია, ზაქარია კი ტომრებს კერავს! ამ მამულში ეხლა პურის მაგიერ ბამბა მოდის... ზურაბსა და ამ ზაქარიას მაგიერ მე და შენა ვართ, გაიგე?

მარდახა. ვიცი, ვიცი.

ხუშუტი. რა იცი ბიჭო შენ! პოლიტიკა რა იცი ბიძია შენ! წინედ პური იყო, ეხლა ბამბა მოდის. რატომ ხდება ასე ამიხსენი თუ ბიჭი ხარ. დღეს საბჭოთა ბამბას ვთესავთ, ხვალ კენაფს დავთესავთ, ზეგ ბრინჯს, მერე ჩაის, მერე შაქარს, მერე კოვზებს, მერე სამოვრებს, ვთესოთ და ვიყოთ კოლექტიურად!

ზაქ. იხუმრე ბიძია! რა დაგრჩა მეტი? მალე, სადილობის დროს პურის მაგიერ ბამბას რომ მოგართმევენ სუფრაზე, მაშინ ვნახავ რა ხასიათზე დადგები!

ხუშუტი. პურის მეტი რა არის, ბიჭო ჩვენს ესესერიაში?!

გიგო. ჰო, ჰო, უცადე პურს რუსეთიდან.

ხუშუტი. მოვუცდი... იმ რუსეთიდან უფრო ადრე ვღებულობდი პურს, ვიდრე ამ ზაქარიასაგან.

ზაქ. რა გინდა კაცო ამ ზაქარიასაგან?

ხუშუტი. ცოდვილი ელემენტი ხარ.

ზაქ. შენთან — ივანე ნათლისმცემელი ვარ.

ხუშუტი. გახსოვს: გვალვის წელს, ხალხი სიმშილით რომ წყდებოდა, შენ სიმინდისაგან არაყს რომ ამზადებდი... გაჩუმდი, ნუ მალაპარაკებ.

ზაქ. სუ, კაცო.

ხუშუტი. თორემ, ბონდომ სთქვა — მალე კოლექტივის წმენდა დაიწყებაო და...

შორიდან ისმის დიანოზის და განგალას ხმა.

განგალა. ზაქარია, შენი ცოლის...

დიანოზ. ზაქარია, შენი ცოლის დას გული წაუვიდა.

ზაქ. ვის, რომელს?

განგალა. ელპიდეს!

ზაქ. სულიც ამოხდომია (იქვე ჩაჯდება)

დიანოზ. კინაღამ არ გაციოდა საწყალი გოგო? ხი, ხი, ხი!

ხუშუტი. რაზე წაუვიდა გული?

დიანოზ. დაამჟავა იმ კაცმა სახლში გოგოები! მზითევი არ მისცა, უმზითოოთ არავის მიჰყავს. სხედან ასე ბაიყუშებივით! რამდენს ტონტრო ბიჭს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინახავს, იმდენჯერ თვალებს გალურსავს საწყალი ქალი! ბედი შუბლზე გაწერია, თავის დროზე მოვაო.

ხუშუტი. კაცო, იქნებ ის ბედი სრულიად არ აპირებს მოსვლას.

დიანოზ. მაშინ იქით უნდა ესტუმრო.

ხუშუტი. შენც ესტუმრები, შინ თუ დაგიხვდა.

დიანოზ. ხი, ხი, ხი!

ხუშუტი. (შეამჩნევს შორიდან მომავალ სიმონს) დიანოზ გეყოფა ამდენხანს მოსვენება, წამოდი... უჰ, ვენაცვალე კოლექტიურ შრომას.

დიანოზ. ამომასუნთქე შე კაცო.

ხუშუტი. მერე! მერე! ჯერ საქმე, კოლექტივის საქმე, გეგმა უნდა შეავასრულოთ... გამარჯობა ბიძია სიმონ, სამუშაოდ მეჩქარება, თორემ შენთან მუსაიფს რა სჯობია.

გივი. კაცო სიმონ... ჰო, თუმცა შენ ავათ ხარ.

კუპრა. ექიმს უთქვამს მუშაობა მავნებელიაო.

სიმონ. საღამოს უჯრედის კრებაა, სასწრაფო საკითხია.

გივი. საღამოს ჩვენ ვმუშაობთ... წვიმას აპირებს, ბამბა მინდორზე ჭყრია!

ბენო. ჩვენმა ბრიგადამ მთვარის შუქზე უნდა იმუშაოს!

განგალა. დაკვრითი წესით!

კუპრა. კრეფას მოვრჩებით...

განგალა. კრებასაც მოვასწრებთ...

სიმონ. მე როგორც უჯრედის მდივანი მოვითხოვ კატეგორიულად! სასწრაფო საკითხია გადასაწყვეტი.

გივი. ბამბის აკრეფა უფრო სასწრაფოა.

სიმონ. ეს ხომ უდისციპლინობაა?

ბენო. უდისციპლინოებზე და სიმულიანტებზე უჯრედში ვილაპარაკებთ.

გივი. რომლის შესახებ გაზეთში ცოტა ითქვა.

სიმონ მაშ, შენია წერილი!? კარგი!

გივი. წერილი ჩემი არ არის, მაგრამ შიგ მოთავსებულ ბრალდებებს ვიზიარებ.

კუპრა. სიმართლეა თავიდან ბოლომდე.

სიმონ. რა არის სიმართლე?

გივი. რა-და... უჯრედის მუშაობა ჩაკვდა, ბიუროს წევრები დაფანტე; კრებაზე არავის ალაპარაკებ. თვრები, ზარმაცობ, არ არის სიმართლე?

სიმონ. თფუ, ინტრიგანები!

ყველა. ეეე!

გივი. რაში გაგიწიეთ ინტრიგა? შენი და შენი სიძის აფრასიონის მეოხებით ნამდვილ მომუშავეებსაც გული აუცრუვდათ! გინებით და მუშტებით საქმე არ გაკეთდება.

მარდახა. მართალია, მუშტები იცი შენ სიმონიკა, გახსოვს ერთხელ...

სიმონ. აქედან დაიკარგე, შენი... (მუჯლუგუნებს გაარტყავს, მარდახა თავს სასწორზე დაჰკრავს, გულწასული დაეცემა).

ყველა. მარდახა, მარდახა!

ბენო. მოჰკლა.

აკვირ. მარდახა...(ჩოჩქოლი, შემორბიან: ბონდო, პეტრე და სხვები).

ბონდო. რა ამბავია, რა მოუვიდა.

აკვირ. წყალი... მარდახა თვალი გაახილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფრას. კაცი რომ ვერ მოისვენებს ასე დაემართება.

გივი. სიმონ ეს რა ქენი, სიმონ.

სიმონ. მე. მე... არ მინდოდა.

ოლენა. არაფერია, გული წაუვიდა.

ბენო. თავი სასწორზე დაჭკრა.

კუპრა. ცოცხლდება, სული მოითქვა.

მარდახა. მოხდა რამე?

ბონდო. როგორ ხარ მარდახა? არა გიშავს, ნუ გეშინიან.

მარდახა. სასწორი დამეცა? აკვირინა, შენ ხარ აკვირინა?

გივი. აბა, წავიყვანოთ!

აფრას. რა გითხრა ბიჭო ისეთი?

ბონდო. რაც არ უნდა ეთქვა, მუშტიკრივი მაინც საზიზღრობაა...

აფრას. ვის ეუბნები ბიძია მაგას შენ?

ხუშუტი. ჩხუბი იწყება ზაქარია, მზად იყავ.

ბონდო. ვის ვეუბნები? ყველას! განსაკუთრებით ხელმძღვანელ ამხანაგებს.

ხუშუტი. მიდი, მიდი ზაქარია! გააშველე!

აფრას. თავს იგდებ შენ, ვინცხა ხარ!

ბონდო. აბა, წავიდეთ ბიჭებო, წვიმას აპირებს, ბამბა მოვზიდოთ...

აფრას. წადი, შენი... ვაჟკაცი, ერთი ჩამივარდებოდე ხელში... დედას გიტირებ მე შენ! ახია შენზე ყველაფერი!

ზაქარო. აჰა, შენი ჩხუბიც.

ხუშუტი. კომუნისტებმა თუ ხეირიანი ჩხუბი იცოდეს—შემარცხვინოს ღმერთმა!

ს უ რ ა თ ი მ ე ო ლ თ ხ ე

ალმასკომის გვერდით ხმაური. სიმღერა „ჰერიო"-ს ხმაზე. აივანზე ბონდო და ოლენა.

ოლენა. ბონდო, მოვტყუვდი ასტრონომიაში! გამოიდარა!

ბონდო. შენ კი აურ-ზაური ასტეხე, წარღვნას ელოდი.

ოლენა. რა ვიცი, შევხედე ცას — მოღრუბლულია, შემოდგომის ქარი უბერავს, ამინდს ვერ ენდობი, ოპორტუნისტობს!

ბონდო. პანიკიორი ხარ.

ოლენა. პირიქით მადლობის ღირსი ვარ... წვიმის მოლოდინმა წუხელის ისეთი ტემპი შეგვმატა, რომ მთელი სამი დღის სამუშაოს კისერი მოუგრიხეთ!

ბონდო. გამოიცვალა ქვეყანა, ოლენა! ამ მინდვრებში ბამბა უწინაც ითესებოდა, ჩვენივე გლეხები ამუშავებდენ მას! ყოველ გაზაფხულზე ეგ მინდვრები სახნავ-საკვეთით იფატრებოდა, ყოველ შემოდგომაზე — ბამბის ბუჩქებით იფარებოდა. ერთის შეხედვით თითქოს ყველაფერი ძველებურადაა, ისევ თესვა, ისევ ბამბის ქარავნები! მაგრამ რამდენი ცვლილებაა? აი, იმ მთის იქით ჩვენი მიწის ნაკვეთი იწყებოდა! მახსოვს: ბამბის რთველი იყო, მამა ჩემი ლოგინში ჩაწვა... და იცი ოლენა: მთელი წლის მოსავალი გვალვამ გაანადგურა! ჩვენს მეზობლებს ეს უბედურება არც კი შეუმჩნევიათ! კერძო საკუთრების ინსტიქტმა კაცი კაცს დააშორა, ერთმანეთს შეაძულა. ეხლა? წუხელ, როდესაც ვუცქეროდი მთვარის შუქზე მომუშავე კოლმეურნეებს, რო-

გორი ენტუზიაზმით და სიხარულით ეზიდებოდენ ბამბით სავსე ტომრებს, როგორ ივსებოდა კოლექტივის ბაზა დაუღალავ შრომის საერთო სიმდიდრით — ერთხელ კიდევ დავრწმუნდი: ვინც არა გრძნობს კომუნისტურ შრომის ბრწყინვალე მომავალს — ის მკვდარია! (ზაქრო მოიპარება ქურდულად)

ზაქრია. უკაცრავად ახალგაზრდებო, ის დამეკარგა... ის ოხერი... ქამარი... ბონდო ბიძია სხვა რამე არ იფიქრო, წუხელის დაუკითხავად წაველ სამუშაოდან, ჭაჭები ამტკივდა...

ბონდო. ო, ჭაჭების ტკივილი, ცუდია!

ზაქ. ხი, ხი, ხი! მოვხუცდი, უკაცრავად... (ოლენას) თქვენთანაც უკაცრავად ვარ!

ოლენა. ეხლა წავა და თავისიანებს მოსდებს.

ბონდო. რას ოლენა?!

ოლენა. რა ვიცი? რომ ერთად გვნახა, მოსვენებას არ მაძლევენ.

ბონდო. რაო?

ოლენა. რა ვიცი: ასეო-ისეო!

ბონდო. ნუ აქცევ ყურადღებას.

ოლენა. ბონდო, ხომ მართალია რომ ყველაფერი ეს ჭორია, რომ ჩვენს შორის არაფერი...

ბონდო. რა თქმა უნდა ჭორია! ჩვენ კარგი ამხანაგები ვართ...

ოლენა. რეპეტიციაზე წავალ. (გარბის)

ბონდო. წადი, წადი. (ბიდის)

შემორბიან დიანოზი და ზაქრია.

ზაქ. იმ გოგოს პატრონი არ ჰყავს?

დიანოზი. რომელ გოგოს?

ზაქ. ოლენას!

დიანოზი. რა მოუვიდა?

ზაქ. ბონდოსთან ასე ვნახე და... რა მოუვა არ ვიცი!

დიანოზი. რას მელაპარაკები! თუმცა მე ამას არავის არ ვეტყვი!

ზაქ. არც შენიანებს?

დიანოზი. ჩემიანებთან რა მაქვს დასამალი?

შემოდის ინსტრუქტორი პორთფელით.

ინსტრუქ. გამარჯობათ თქვენი! გამგეს სად ვნახავ თუ იცით?

დიანოზი. ზაქარია, ეს კაცი ბონდოს ეძებს!

ზაქ. წელან მინდორზე ვნახე! ქალაქელო ბიძია, მოათავე კოლექტივის ანგარიშები?

ინსტრუქ. რას გავს ეს? მთელი კვირაა აქ ვიცდი და კაცი ყურადღებას არ მაქცევს...

დიანოზი. იქნებ საქმეები რიგზე არა აქვს...

ინსტრუქ. ის არ ვიცი მე... თუ დღეს კიდევ ანგარიში არ ჩაუბარებია, საკითხს დავსვამ ოფიციალურ ხაზით... (გადის)

ზაქ. კი, კი... ასე სჯობია!

დიანოზი. ეს კაცი აძღენხანს აქ იცდის? რათ არ იბარებს ანგარიშს?

ზაქ. ვინ აბარებს? რევიზია სასიამოვნო მოვლენაა თუ!

დიანოზი. მეეჭვება რაღაცა... დანაკლისი თუ აქვს ბიჭო?!

ზაქ. არ ძიკვირს?! ახალგაზრდა კაცია, საქორწინოთ ემზადება, ალმასკომის დას ირთავს თურმე... ოლენას!

დიანოზი. აბა გვინახავს სეირი... (შემოდის ხუშუტი)

ხუშუტი. ზაქარია, ზურაბი დაგეძებს გამწარებული.

ზაქ. რა მინდაო?

ხუშუტი. რა ვიცი... რალაც ბამბაო...

ზაქ. (წამოხტება და გარბის)

ხუშუტი. ჰო, როგორ აშენდებით ეხლა?

დიანოზი. ხუშუტია, შენ იცი რალაცა...

ხუშუტი. ბიჭო, მე ბევრი რამ ვიცი, მაგრამ ყველაფერს შენ ხომ არ გეტყვი?

დიანოზი. მითხარი თუ ძმა ხარ...

ხუშუტი. არ შემიძლია...

დიანოზი. ჰე, ბიჭო დასაწყისი მაინც სთქვი! (მისდევს)

ხუშუტი. დასაწყისს ბოლოს გეტყვი...

დიანოზი. დაიწყე ფილოსოფია ხომ? შეგიოცხვა ნამუსი! (შემოდის აფრასიონი)

ხუშუტი. გამარჯობა აფრასიონ, როგორ ხარ ქეიფში?

აფრას. თავი დამანებე... დამლუპა იმ შენმა ქეიფმა! აი, ის მეტიჩარა რომ იყო ჩემთან, ინსტრუქტორი... საყვედური მივიღე!

ხუშუტი. შენ ხომ ბოთლი რეხვე თავში? ჰო-და მაგისთვის მადლობას ვინ გეტყოდა?! (დიანოზ ხითბითებს, გადიან)

შემოდიან საბა, ბონდო, გოლია და პეტრე.

აფრას. მოდით კაცო, მოდით! ვიწყებთ თუ არა კრებას?

საბა. ბონდო, გივის დაუძახე!

ბონდო. გივი! გივი!

საბა. ტრესტთან ხელშეკრულებაა დასადები! იქნებ საკონტრაქტაციო ფული მივიღოთ, კოლმეურნეები უნდა დავაკმაყოფილოთ! საჭიროა დღესვე ვინმე გავგზავნოთ ქალაქში!

აფრას. ამისათვის გავლენიანი ამხანაგების ნაცნობობაა საჭირო... თორემ საქმეს გააჭიანურებენ! იფ, დავტრიალდე ჩემებურად

ბონდო. ნაცნობობა და ნათლიმამობა ჩვენ არ გვჭირდება! ჩემის აზრით საბას წასვლა სჯობია.

გივი. ავადაა, იექიმებს კიდეც.

პეტრე. რათქმა უნდა საბა უნდა წავიდეს, ბონდო აქ გვჭირდება.

გოლია. მაშ ასე! საკითხი ამოწურულია.

აფრას. კარგი ბატონო, საბა წავიდეს! ჩემთვის სულერთია! სწორედ ამას ჰქვია ფუნქციების არევა! რატომ ჩამოვრჩით გეგმას? იმიტომ რომ ყველა სხვის საქმეში ჰყოფს ცხვირს...

საბა. ჩამორჩენაში ბრალი ჩვენ — ყველას მიგვიძღვის, მაგრამ ყველაზე უფრო შენ, ამხანაგო აფრასიონ!

აფრას. რატომ ძმაო...

გოლია. იმიტომ, რომ დისციპლინა ვერ განამტკიცე.

აფრას. რა დისციპლინა უნდა განვამტკიცო, როდესაც თითონ ჩემივე პარტიული ამხანაგები ოპოზიციაში მიდგანან?

ბონდო. ეს კი მეტის მეტია აფრასიონ! ჩვენი ჩამორჩენის მიზეზი სულ სხვაა!

აფრას. სახელდობრ!

ბონდო. ერთის მხრივ უგეგმობა და შემდეგ ის, რომ კოლექტივში ბევრნი არიან ისეთი ელემენტები, რომელნიც თითონ არ მუშაობენ და სხვებსაც გულს უცრუებენ! ერთი სიტყვით მავნებლობას სჩადიან! მგონი, ამის დანახვა არც ისე ძნელია.

პეტრე. მართალია! კოლექტივში ბევრია ისეთი, რომელთაც კოლექტივის დანგრევა ჰსურთ... არ ვიცი ეს ხალხი რატომღაც თავს არხეინად გრძნობს, ალბად იმიტომ რომ ზოგიერთი მფარველობს.

საბა. მართალი ხარ პეტრე!

გოლია. ერთი სიტყვით — კოლექტივი უნდა გაიწმინდოს.

აფრას. კი მაგრამ, ვისგან? ჩვენში სად არიან კულაკები?

გივი. კულაკებიც არიან და მათი აგენტებიც.

აფრას. მოვნახოთ ბატონო.

გივი. ძებნა არ არის საჭირო.

აფრას. შენ რა გინდა ძმაო აქ, პარტიის წევრი ხარ?

საბა. გივი კომკავშირის წარმომადგენელია.

აფრას. კომკავშირის წარმომადგენელია მისი მდივანი. სიმონი უნდა იყოს აქ, სიმონი...

საბა. მაგაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ!

აფრას. კარგი ბატონო...

საბა. აფრასიონ სად მიხვალ?!

აფრას. მაინც უჩემოდ გადაწყვიტეთ ყველაფერი — და... მე რა საჭირო ვარ?!

საბა. (მრისხანედ თვალს გააყოლებს აფრასიონს) მაშ ასე! მე გავემგზავრები დღესვე, აქ თქვენ იცით... საქმის ვითარებას გიდეპეშებთ.

ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

მოსჩანს სამნეო განყოფილების საწყობი. მარდახა ხეს აივანზე. ძირს მას მისჩერებია აკვირინა.

მარდახა. (მღერის) „მერცხალი კუდმაკრატელა ჩემთან დაბინავდაო!

აკვირინა. „რა ვიცოდი, რა მეგონა სხვა მერცხალი გყავდაო!

მარდახა. „მიგალობდა, მიმღეროდა, ახლოს დაფრინავდაო!

აკვირინა. „დაგცინოდა, გატყუებდა, თვალი დაგიბრმავდაო!

მარდახა. აკვარინა, ამოდი ზევით.

აკვირინა. არ მინდა.

მარდახა. ჩემ თავს გაფიცებ, შენს თავს გაფიცებ.

აკვირინა. არ მცალიან.

მარდახა. რას აკეთებ შე ქალო, ბამბის ავრძლი გათავდა, ქვეყანა ჭირნახულით გაივსო, ქორწილების დრო დადგა.

აკვირინა. იქორწინე მერე, მე რა შუაში ვარ.

მარდახა. მარტო ვიქორწინო?!

აკვირინა. მე რა ვიცი, მე რას მეკითხები?!

მარდახა. ამოდი, ამოდი შე ქალო;

აკვირინა. შენ ჩამოდი.

მარდახა. მე ჩამოვიდე? „მერცხალი კუდმაკრატელა, ჩემთან დაბინავდაო". საწყობს ღია ვერ დავტოვებ! ამოდი, ამოდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორიდან გამოჩნდება ზინაიდა, შეამჩნევს მათ.

ზინაიდა. უიმე, ამას რას ვხედავ, დამიდგეს თვალები. ბიჭო!

მარდახა. ?

ზინაიდა. ბიჭო არ გესმის?

მარდახა. ?

ზინაიდა. დაყრუვდი?

მარდახა. მე მეუბნები?

ზინაიდა. აფრასიონ ხომ არ გინახავს?

მარდახა. მე რა ვიცი სადაა შენი აფრასიონი? ალბად ღვინოში ჩავარდებოდა! (აკვირინა იცინის)

ზინაიდა. არ გაბედო ჩემ ქმრის შეურაცყოფა!

მარდახა. აბა რას ჩამაცივდი, გითხარი — არ მინახავს, კიდევ გეტყვი — არ მინახავს.

ზინაიდა. მე შენ გიჩვენებ, აფრასიონ არც ისე დაქვეითებულა, რომ შენისთანებს... ტფუ, გლახაკი!

აკვირინა. მარდახა თავი დაანებე, ხომ ხედავ კნეინა ცუდ გუნებაზე ამდგარა.

ზინაიდა. ამ მეტიჩარას უყურეთ! შენთვის სჯობია მამაკაცების დეენას თავი დაანებო... ნუ მათქმევინებ ყველაფერს... თორემ!

აკვირინა. რა უნდა სთქვა, რა? ჰა, გასკდი გულზე! (მარდახას ჰკოცნის და გარბის)

ზინაიდა. უიმე, უიმე.

მარდახა. უი, შენ — და... ღვთის ცეცხლი!

მარდახა. აკვირინა, აკვირინა, აკვირინა!

აკვირინა. რა, რა? ეგდე მარტო!

მარდახა. შე უბედურო მარდახა. — ზაქარიასთან სალაპარაკოთ თუკი ენა გივარგა, არ შეგეძლო აკვირინასთვის ორიოდე ტკბილი სიტყვა გეთქვა? ეგდე შენთვის! (შედის საწყობში)

შორიდან ისმის ხუშუტის და ზაქროს ხმა.

ხუშუტი. კაცო არ მინდა, არ ვყიდი-მეთქი, გიჟია ეს ოხერი?

ზაქრო. ვის უნახავ?

ხუშუტი. გავაგებ, გავგორდები-გამოვგორდები, ცეცხლში დავსწვამ და შენ მაინც არ მოგყიდი.

ზაქრო. არა გრცხვენიან ბიჭო.

ხუშუტი. ძველი თარსი ხარ, შენ გინდა მოატყუო მშრომელი ელემენტი?

ზაქრო. რაში გატყუებ, მითხარი.

ხუშუტი. მოიტა ნალდი.

ზაქრო. ჩემ სიტყვას არ ენდობი?

ხუშუტი. შენსაკ კი არა, ჩემს სიტყვას არ ენდობი: გაჰქრა ის დრო ზაქარია ჩემო, როდესაც ამ ულვაშებიდან ერთი ღერი ბალანი, რომ ამოგეწყვიტა — თავს გენდობოდენ! ეხლა თავიც რომ დააგირავო — ერთ ღერ ბალანს არ გენდობიან! გინდა ნალდზე? რამდენი ფუთი მერგება, იმდენი თუმანი ხუშუტიას ჯიბეში! ბე — ასიანი! თანახმა ხარ ბიძია?!

ზაქრო. კაცის დახრჩობა იცი! როდის იყო ფრინველი ჰაერში იყიდებოდა, ისიც ნალდზე.

ხუშუტი. თუ არ გინდა მე არ გეხვეწები.

ზაქრო. ფუთი რვა მანეთი.

ხუშუტი. ჩემი სიტყვა ბეჭედია.

ზაქ. ძვირია კაცო.

ხუშუტი. შენ და ზურაბ ღვინიაშვილი ასეთებში არ მოსტყუვდებით! წასაგები, რომ იყოს, თავს შეიწუხებდით? იცით, რომ ხალხს ფული უჭირს, წაიღებთ ეხლა ამ ჩვენს ნაკვდავს და მამასისხლად გაჰყიდით, უსინდისო ხარ ზაქარია.

ზაქ. მომიწერე ხელი... თაღლითი ხარ!

ხუშუტი. ყოველი ფუთი — თუმანი, ჩაბარება ნაღდზე, ბე — ასიანი.

ზაქ. ჰა, ჩაცეცხლე.

ხუშუტი. ზაქარია, თავი ნუ მოგიკვდება, რამდენი მოატყუე ასე ჩემსავით?

ზაქ. ჰუ, ჰუ! რა ლაპარაკი იცი ხუშუტი?!

ხუშუტი. ნამდვილი ელემენტი ხარ! (შემორბის დიანოზ)

დიანოზ. ზაქარია, ზაქარია, სად ხარ კაცო.

ზაქ. კვლავ საძებარი კაცი გავხდი?!

ხუშუტი. ჰო, ჯერ შენიანები გეძებენ და... მალე მილიციამ თუ დაგიწყო ძებნა...

ზაქ. უშნო ხუმრობა ნუ იცი შენ! მოაგვარე?

დიანოზ. პარტიულებთან მისვლა არ შეიძლება... უპარტიოებში—ზოგი თანახმაა, ზოგი წინააღმდეგი.

ზაქ. რამდენია თანახმა და რამდენი წინააღმდეგი... რას ნიშნავს ზოგი! შენ კერძოთ თანახმა ხარ?

დიანოზ. მე, რა თქმა უნდა, თანახმა ვარ, მაგრამ დღეს არ შემიძლიან.

ზაქ. აბა როდის?!

დიანოზ. რა ვიცი: დედაკაცი აბანოზეა წასული... მოვა და ვკითხავ... თუ საბნისთვის არ დასჭირდა...

ხუშუტი. ამდენი ბამბა ერთ საბანში? ას მეტრიან საბანს კერავ, დიანოზ?

ზაქ. თუ სხვა მეტს გაძლევს, ნუ მეხათრები, ვაჭრობა ვაჭრობაა! ჰო, ბამბას თავი დავანებოთ და... დიანოზ ჩემო, ზურაბმა შემოგითვალა: შენ რომ გმართებსო, ძალიან მჭირდებაო! (გადის)

დიანოზ. ხედავ რა მიყო? ამდენი საქმე გავუკეთე, მთელი კვირა მაგათთვის დავრბივარ, და ეხლა? უიმე დედა-ჩემო!

ხუშუტი. ზაქარიას უკეთებ კონტრაქტაციას? გახსოვს, რომ გაიძახოდი: კულაკი უნდა მოვსპოთ როგორც კლასიო? შენც კარგი მამაძაღლი ხარ!

დიანოზ. რა დროს წამიჭირა კისერში.

ხუშუტი. არ იცნობ რა ელემენტია?!

დიანოზ. შენ რას შვრები, ჰყიდი?

ხუშუტი. უკვე.

დიანოზ. რამდენად?

ხუშუტი. რა ვქნა დიანოზ ჩემო, ძლიერ პატივს გცემ, მაგრამ ვერ გაგიმხელ!

დიანოზ. სთქვი, რას მიმალავ?!

ხუშუტი. ხუთმეტად.

დიანოზ. ფუთი?

ხუშუტი. დიახ!

დიანოზ. ასე ძვირად?

ხუშუტი. ბამბაა შე კაცო! ზაქარია მას ოთხმაგად გაყიდის! შენ რამდენს გაძლევს?

დიანოზ. თუმანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუშუტი. ღმერთი არ გაგიწყრეს, არ მისცე, გატყუებს!

დიანოზ. რახან ასეა: მე ხომ არ მივსცემ — და არ მივსცემ. მთელს სოფელსაც გავაგებინებ, რომ ზაქარია ხალხს ატყუებს აქ!

ხუშუტი. ასწიეთ მაზანდა... მე ვნანობ, რომ წავაგე თორემ, თქვენ რა გიქირთ? მომცემ 25 მანეთს, მოგცემ ბამბას! მორჩა და მოისვენა!

დიანოზ. უჰ, ზაქარია შენი...

ხუშუტი. დიანოზ, მხოლოდ პარტიულებთან ნუ წამოგცდება, რაც უნდა იყოს კოლექტივის წევრები ვართ — და...

დიანოზ. ვიცი, ვიცი!

ხუშუტი. „შენც დამკვრელი მეც დამკვრელი, ორივე ერთად გადამკვრელი“! ბიძია მარდახა ერთი გადასძახე კოსანდილეს: — ასიანის ხურდა თუ გაქვს-თქვა!

მარდახა. გამდიდრებულხარ ხუშუტი.

ხუშუტი. ნაოფლარია, გავწყდი მაგისთვის წელში!

მარდახა. გაყიდე რამე?

ხუშუტი. ბამბა.

მარდახა. რომელი ბამბა?

ხუშუტი. თეთრი ბამბა, კოლექტივიდან, რომ მერგება.

მარდახა. არ იცი, რომ ბამბას ტრესტი წაიღებს?

ხუშუტი. ტრესტი წაიღებსო? ვაი, უბედურ ზაქარიას!

შემოდიან გლეხები. შემოჰყვება დიანოზ.

დიანოზ. არ გაყიდო მე შენ გეუბნები! 25 მანეთი! ზაქარია მთელ სოფელს ატყუებს! ქალაქში ასი მანეთი ყოფილა. აგერ ამ კაცს ოცად გამოსტყუა.

ხუშუტი. მომატყუა ვითომ? თუ არ მოვკვდი — გადავუხდი!

პეტრე. რა ვიცი, ტრესტმა თუ წაიღო, ზაქარიას რათ უნდა ჩავუყაროთ ხელში?

დიანოზ. ტრესტი რამდენს მოგვცემს და როდის.

პეტრე. დავიცადოთ, ჩამოვა ის კაცი და გაგვაგებინებს.

დიანოზ. ვინ, საბა? ჰო! რას დგეხარ ბიჭო აქ?! მაინც და მაინც გინდა გაიგო... რაზე ვლაპარაკობთ?!

მარდახა. საიდუმლოა.

პეტრე. საიდუმლო რა უნდა იყოს, ჩვენ ვლაპარაკობთ რომ...

დიანოზ. ოი, ოი, მიშველე, პეტრე, უიმე დედა-ჩემო.

პეტრე. რა მოგივიდა?

დიანოზ. კბილი, კბილი!

პეტრე. წამოდი დალაქთან, კაპლი ექნება, გამომიცდია კბილის ტკივილი!

ხუშუტი. ბამბა ჩაიკვეხე კბილებში, არ დაგძვრეს ძამია.

მარდახა. მართლა ასტკივდა კბილი იმ უბედურს?

ხუშუტი. იმდენი აუშენდა მაგას პატრონი! დიანოზ კბილებს გაუფრთხილდი, თავს მოუარე. კბილებიც დაგძვრეს და თავიც გაგიტყდეს! შენ გვატყუებ ჩვენ? მთელი სოფელი ააფორიაქა, ზურაბისა და ზაქარიას სპეკულიაციას ხელს უწყობს... ბამბის კომბინაციას აკეთებენ, სოფელს ატყუებენ და ეხლა საიდუმლო. არ ჰსურს გაამხილოს და კბილის ტკივილი არ მოიგონა? (დაედევნება) კვაჭი ხარ, შენი კბილებიც...

შემოდიან კუპრა, განგალა და სხვ.

კუპრა. რა მოხდა ხუშუტი?

ხუშუტი. ძირს უთხრიან ბიძია კოლექტივს.

კუპრა. ვინ?

ხუშუტი. მე ხომ არ ვიქნები, თქვენ ხომ არ იქნებით? ვინ და, ელემენტები.

კუპრა. როგორ თუ ძირს უთხრიან?

ხუშუტი. ჯერ მიპასუხეთ, კოლექტივის წევრს აქვს თუ არა უფლება ისპეკულიანტოს?

ყველა. არა აქვს.

ხუშუტი. კოლექტივის წევრს აქვს თუ არა უფლება მშრომელი ელემენტი მოატყუოს?

ყველა. არა აქვს.

მარდახა. არ ჰქონია.

ხუშუტი. კოლექტივის წევრს აქვს თუ არა უფლება ინდუსტრიას კვანტი გამოსდოს?

ყველა. არა აქვს.

ხუშუტი. კოლექტივის წევრს აქვს თუ არა უფლება საიდუმლო დამალოს და ამ ნიადაგზე კბილის ტკივილი მოიგონოს? (ხითხითით მარდახას გაჰკრავს მუჯლუგუნს)

ყველა. არა აქვს, არა აქვს!

მარდახა. არ ჰქონია!

ხუშუტი. ჰო, არა აქვს? თუ ასეა, წადით ეხლავე, დაიჭირეთ ზაქარია და დიანოზ, შეუკარით ხელფეხი და ტოტზე ჩამოკიდეთ... ისინი ელემენტებია... (გადის)

კუპრა. რაო?!.

მარდახა. მასხრობს, მაგრამ, სიმართლეს ლაპარაკობს!

ყველა. სიმართლეს?

მარდახა. განა არაფერი გაგიგიათ? თურმე სპეკულიაციას ეწევიან, ბამბას ყიდულობენ.

კუპრა. ბამბას ყიდულობენ? ბონდო აქ არის?

მარდახა. ჯერ არ მოსულა! (შემორბიან გივი და ოლენა)

კუპრა. გივი გაიგე?!

გივი. ვიცი, ვიცი! ხალხი დაურწმუნებიათ, რომ შრომის ანაზღაურება ნატურით იქნება. ეს პროვაკაციაა! არ გავა!

ოლენა. კოლექტივმა თუ დაადგინა?!

გივი. შეცდომა იქნება, უნდა შევებრძოლოთ.

ოლენა. არევ-დარევას გამოიწვევს.

გივი. გამოიწვიოს, ამ საქმის დათმობა ჩვენის მხრივ პოლიტიკური შეცდომა იქნება! წავიდეთ!

ოლენა. ო, ბონდო, ბონდო!

გივი. ბონდო იცი, რა ამბებია?

ბონდო. ვიცი, ვიცი! აი, საბასაგან დეპეშა! ფული გადმოუგზავნია! ბამბასაც დღესვე გადავზიდავთ.

კუპრა. უჰ, გაიშალოს ერთი ბამბის ქარავანი? (შემოდიან გლეხები)

სოლომონ. ბონდო!

ოტია. ბონდო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბონდო. რა მოხდა?

სოლომ. ჩვენ, აი იმის შესახებ გვინდა გითხრათ...

ოტია. ხომ იცი რა დღეში ვართ?

გიგო. თუ გვიმუშავნია ჩემო ძმაო, ნამუშევარიც დაგვიფასე, თუ არა და...

ბონდო. რაზე ღელავთ, რა მოხდა?

დიანოზ. ბონდოს მუშა კაცი უყვარს, არ შეიძლება მის წინააღმდეგ ასე ლაპარაკი, მეც თქვენს მდგომარეობაში ვარ, მაგრამ! (თანდათან შემოდიან გლეხები)

პეტრე. ასე მსჯელობა არ შეიძლება, ტრესტი თუ წაიღებს, სჯობია მას მივსცეთ.

ლადო. სრული ჭეშმარიტებაა! საქმე ტრესტშია!

დიანოზ. შენც დაგიჟინია ტრესტი! შარშან აბრეშუმის პარკი წაიღო, მაგრამ რა დაგიბრუნა?

ლადო. არაა ბიძია მართალი! ეს პროვოკაციაა!

დიანოზ. ჰო, კი, კი! (სხვებს შეუერთდება)

სოლომ. ჩვენ მოვითხოვთ შრომა ბამბით აგვინაზღაურდეს.

კუპრა. ვინ ხარ შენ, ვისი სახელით ლაპარაკობ?

ხუშუტი. ამხანაგებო და მშრომელო ელემენტებო! თქვენ გინდათ შრომის ანაზღაურება ნატურით მიიღოთ?

გლეხებში. გვინდა!

ხუშუტი. ჰო და, ასე სოციალიზმი არ აშენდება! (შემოდის ზაქარია)

ყველა. ზაქარია.

ზაქრ. გამარჯობათ! ბამბას ვაგზავნით თუ არა.

ყველა. რაო?

ზაქრ. მე... ჩემს საკუთარ ბამბაზე ხელი ამიღია.

სოლომ. გადარეულა ეს კაცი! ძმაო ნაშრომი გვაქვს, გვიჭირს და **გვერგება.**

ოტია. კიდევაც მოვითხოვთ.

ზაქრ. ნაშრომი გაქვთ, გიჭირთ, გერგებათ და კიდევაც მოითხოვთ... არა?

გლეხები. დიახ!

ზაქრ. მაგრამ ვერ მიიღებთ!

გიგო. რათა ძმაო, რისთვის?

ზაქრ. აბა როგორ გინდა ხუთი წელი ოთხ წელში ჩავტიოთ? უნდა მოვითმინოთ, შეიძლება ხვალ უარესი დღე დაგვიდგეს, მაგრამ მაინც უნდა მოვითმინოთ! სახელმწიფოს დავეხმაროთ! ხელი შევუწყოთ!

პეტრე. მართალია. სახელმწიფოს უნდა დავეხმაროთ, ვინც ამას ვერ გრძნობს ის შტერია კოლექტივის.

ბონდო. ამხანაგებო...

დიანოზ. ჩუმად, ჩუმად... ბონდო ლაპარაკობს, ძველი თავმჯდომარე არ გეგონოთ ის...

აფრას. შენ, ეი, ძველ თავმჯდომარეს თავი ანებე თორემ!

ბონდო. ამხანაგებო ბამბის გაყოფაზე ლაპარაკი ზედმეტია.

გლეხებში. ჰაა! რაო?

ბონდო. ბამბას ჩვენ ვყიდით, მაგრამ არა კერძო პირებზე, შრომის საფასურად მივიღებთ ფულსაც და პირველ საჭიროების საგნებსაც.

აფრასიონ. რამდენს და როდის?

გლეხებში. ჰო, ჰო!

ხუშუტი. უცნაური კითხვა იცი აფრასიონ... რამდენსო რომ ეკითხები ამ კაცს, რა იცის? გულთმისანია თუ?!

დიანოზ. იქნებ სულ უარი გვითხრან?! (ჩოჩქოლი)

ბონდო. რამდენს, რას და როდის, ამას ჩვენ გავიგებთ ამხ. აფრასიონ! ტრესტი ჩვენ ბამბას არ გვტაცებს, პირიქით, იგი ხელს უწყობს ჩვენს კოლექტივის განმტკიცებას, მაგალითად... დასხედით ამხანაგებო... თუ შარშან ჩვენ მივიღეთ ერთი ტრაქტორი, წელს ცენტრს გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს აქ სატრაქტორო სადგური. ტრესტი ჩვენ გვაწვდის პირველ საჭიროების საგნებს და მომავალში კიდევ უფრო გაუმჯობესდება მომარაგების საკითხი, თუ რა ყურადღებით ეპყრობა პარტია და ხელმძღვანელი ორგანოები ჩვენს მეურნეობას, ამას მოწმობს საკავშირო ცეკას დადგენილება...

გლეხებში. წაგვიკითხე, წაგვიკითხე...

ბონდო. „ბამბის კოლმეურნეობებს, საშუალო და ღარიბ ერთეულ მეურნეობებს მიეცეს სახელმწიფო იაფ ფასებში 50 მილიონი ფუთი პური და ათი მილიონი საქონლის საკვები“...

გლეხებში. უჰ, შენი ჭირიმე, მერე?

ბონდო. „1931 წელს მებამბეობის რაიონებში შეტანილ უნდა იქნეს სამრეწველო საქონელი არა ნაკლებ 50 მილიონ მანეთის ღირებულებისა, იმ მოსაზრებით, რომ საქონელი მიეცეს მებამბეებს გაცვლა-გამოცვლის წესით სახელმწიფო იაფ ფასებში“... ხელს აწერენ. ამხ. მოლოტოვი და სტალინი.

გლეხებში. შენი ჭირიმე... გავკეთებულვართ! სტალინი აწერს!

ბონდო. ამხანაგებო, წელს ჩვენი მოსავალი არ არის დამაკმაყოფილებელი. თქვენ იცით ამის მიზეზი. პარტიის დადგენილება ჩვენ გვაძლევს საშუალებას გავაფართოვოთ ბამბის მეურნეობა და გავასამკეცოთ ჩვენი გეგმა, რომ საბჭოთა რესპუბლიკა უზრუნველყოთ ბამბით ტ საბოლოოდ განვათავისუფლოთ იგი უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან! ასეთია ამხანაგებო პარტიისა და ხელისუფლების ყურადღება მებამბეობის რაიონებისადმი. მაშასადამე ყველა თქვენთაგანი მიიღებს შრომის სრულ ანაზღაურებას კოლმეურნეთა ცენტრის დებულების თანახმად.

გლეხებში. აი ეს სამართლიანია.

დიანოზ. აგერ სოლომონი კითხულობს, ტრესტი ბამბას რა ფასში წაიღებსო! (ჩოჩქოლი)

ბონდო. ეგ არ ვიცი! ჩვენ კერძო პირთან საქმე არა გვაქვს!

ზაქრ. დადგენილება ხომ წაგიკითხათ? ყურადღებით ხომ მოუსმინეთ, დაკმაყოფილდით ხომ.

დიანოზ. კი!

ზაქრ. აბა დავიშალოთ ახლა!

გლეხებში. დავიშალოთ!

ზურაბი. გამიგონეთ ხალხო, სანამ უნდა იყოთ ასე? ეს კაცი გადაჭრით ამბობს, რომ ბამბას ვერ მიიღებთო! დაყრუვდით?! ჰო, უცდით ზურაბ ღვინიაშვილს რომ თქვენს მაგიერ გამოვიდეს აქ და იჩხუბოს? არა, იმედი ნუ გაქვთ. რომ ყვიროდით: ტრესტი გვატყუებს, გვცარცავს, გვაღატაკებსო! ეხლა დამუნჯდით? ორპირები ხართ ყველანი! (ჩოჩქოლი)

პეტრე. თქვენში მოიკითხეთ ორპირები! მარანის კოლექტივს ჩვენ არ შეეშალა ვარცხვენთ, ნამუშევარის ანაზღაურებასაც მოვითხოვთ, დარწმუნებული ვართ მივიღებთ კიდეც, და მივიღებთ უფრო მეტს ვიდრე ამ ზაქარიასაგან.

ზაქრ. ზაქარია რა შუაშია?

პეტრე. მაგაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

ბონდო. ამხანაგებო, კოლექტივი არაფერს არ წააგებს. სოფელში კერძო ვაჭრობას ჩვენ არ დავუშვებთ, ბამბა გაიგზავნება ტრესტში.

გლეხებში. (ჩოჩქოლი) მართალია... ვერ მოგართვით.

აფრასიონ. მოიცათ ამხანაგებო... მოიცათ! კოლექტივის თავმჯდომარეობიდან ხომ მომხსენით? მე ახლა კოლექტივის უბრალო წევრი ვარ!.. ხომ შეიძლება ორიოდე სიტყვა?!

გივი. ილაპარაკოს ვისაც უნდა, არაფერია საბოდიშო.

აფრას. ამხანაგებო, თქვენ ალბად შარშანდელი მაგალითი გახსოვთ! მართალია, მაშინ ბამბა გავინაწილეთ! მაშინ მე, თუ გახსოვთ, განაწილების წინააღმდეგი ვიყავი პრინციპიალურად, მაგრამ მხარი დავუჭირე ფაქტიურად, რადგან ღარიბთა ინტერესს ვიცავდი... ჩვენ მაშინ, მართალია, შეცდომა დავუშვით! ეხლა მას თურმე ველარ განვიმეორებთ!

გლეხებში. რატომ, რა მიზეზია...

აფრას. მართალი რომ გითხრათ, მე ეგ არ ვიცი! ჰა, ბატონო ახალი თავმჯდომარე-და, აგვიხსნას...

კუპრა. დაიწყო...

სოლომონ. მე მაინც ჩემსას მოვითხოვ, ვისაც მინდა იმას მივყიდი.

ზაქრ. ბიჭოს, ვერ გაიგო ამ კაცმა... არ გაქვს მაგის ნებაო... (შემოდის გოლია)

სოლომ. ამხ. თავმჯდომარევ, ჩვენ გვგონია, რომ...

ზაქრ. გარკვეულად თქვი შე კაცო, რამ დაგაშინა, ეს თუ არა, სხვა ვინ უნდა შევიდეს ჩვენს მდგომარეობაში?

სოლომ. რომ ვსთქვათ ჩვენი ბამბა...

გოლია. ურმები მზად არის?

ოტია. ურმებიო?!

ზაქრ. ბამბა უნდა გადავზიდოთო.

გოლია. დღესვე, აუცილებლად...

დიანოზ. სოლომონი უარზეა შენი ჭირიმე.

სოლომ. დიახ, უარზე ვარ, რაც გინდათ ის მიყავით! არ წავიღებ, არც თქვენი კოლექტივი მინდა, არც თქვენი ამხანაგობა! საქმე თუ გაღლეტაზეა, ასე დაიქცეს ჩემი ოჯახი... თუ...

გლეხებში. არ გვინდა, არ გვინდა!

ხუშუტი. ვშლით კოლექტივს კაცო?

დიანოზ. სოლომონი მოითხოვს და აგერ ხალხიც მხარს უჭერს! (ჩოჩქოლი)

ბონდო. სოლომონ, სოლომონ... შენი პირით, აი ესენი ლაპარაკობენ, ეგ შენი სიტყვები არ არის, გაიგე, რომ შრომა აგინაზღაურდებათ სრული ასი პროცენტით! კოლექტივი არაფერს არ წააგებს! თქვენ კი, აი რას გეტყვით. ჩვენ ბამბას დავსწვავთ და თქვენ-სპეკულიანტებს ხელში მაინც არ ჩაგიგდებთ!..

ზაქრ. რაო, დავსწვავო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხებში. დავსწვავო!

დიანოზ. უეჭველად დავსწვავო!

სოლომ. ვიჩივლებ, ვიჩივლებ. (ჩოჩქოლი)

გოლია. ხალხო, ხალხო... (იშლებიან)

პეტრე. ვაჭრები, სპეკულიანტები, ჩვენს ნაოფლარზე გამდიდრება მოუნდათ.

ლადო. ეგონათ ეხლავე მიართმევდენ ბამბას. მაგათ არ იციან რა ძალა აქვს კოლექტივს!

ანდრია. გაღლეტაზე უჭირავთ თვალები! დასაჭერია სუყველა!

განგალა. ჩვენი ბრალია, დღემდე ვერ გავწმინდეთ კოლექტივი ვაჭრებისაგან და კულაკებისაგან!

პეტრე. ბონდო, გესმის ლაპარაკი საჭირო აღარ არი, საბას ჩამოსვლას ნულარ დავუცდით! კომუჯრედის დადგენილება კოლექტივის წმენდის შესახებ ცხოვრებაში უნდა გავატაროთ...

ბონდო. სწორია, დღეს პირველი იერიში იყო, ხვალ უარესს უნდა მოველოდეთ, კლასიურ მტერს დროზე უნდა დაკვრათ!

პეტრე. ბონდო, აი ის, საშუალო გლეხობაც უნდა ვისხნათ პრავაკაციის ქსელიდან! აბა ბიჭებო წავიდეთ კრებაზე...

ბონდო. ეხლავე დაგეწევით! მარდახა! (შედის საწყობში)

ხუშუტი. ბიჭია, მაგრამ რა ბიჭია? ხალხს, ხომ შესძახა „ჰეიო“ ერთბაშად არ გააჩერა?

ზურაბ. შენც გამოგართვა?

ზაქრ. ასიანი!

ზურაბ. ასიანი მეც მივეცი!

ზაქრ. ჰმ... მაგისი...

გამოდიან ხუშუტი და გოლია

ხუშუტი. ქალი ხარ მაგრამ პირში გეტყვი, ბევრ ვაჟკაცს სჯობიხარ! გოლია ბიძია, რა უყოთ ამ ელემენტებს?

გოლია. (გადახედავს ზურაბს და ზაქარიას) არ ვიცი, არ ვიცი!

ზაქრ. მოგკლავ ხუშუტი!

ხუშუტი. ნუ იგინები.

ზაქრ. კაცო, ბამბას არ იძლევიან.

ხუშუტი. ასე გამოდის.

ზაქრ. არც მოგვცემენ.

ხუშუტი. ასე გამოდის.

ზაქრ. ბე ხომ მიიღე ჩემგან, ასიანი?

ხუშუტი. ასე გამოდის.

ზაქრ. ზურაბისგანაც მიგიღიათ კიდევ, ასიანი!

ხუშუტი. ასე გამოდის.

ზაქრ. რას მეტყვი ახლა?

ხუშუტი. შენც კარგი ბიჭი ხარ და მეც! შენ მატყუებდი, მე მოკატყუე... ქვითი!

ზაქრ. იმ ორასს მანეთს რას უშვრები!

ხუშუტი. შენ კარგად მყავდე და... მაგას კი მოერევა ხუშუტია წივწივაძე!

ზაქრ. ვიჩივლებ!

ზურაბ. ინანებ ხუშუტი.

ხუშუტი. მეზობლებო, საჩივარზე ნუ წავალთ, თორემ გამოირკვევენ დღევანდელ ამბავს და ხუშუტიას მადლობასაც ეტყვიან. თქვენ კი... სჯობია ამ წვრილმან საქმეს თავი დაანებოთ, გპატიჟობთ თითო ჭიქაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქრ. ფუ, შენი... ცულლუტი...

ზურაბ. ყოჩაღ ხუშუტი...

ხუშუტი. (დაედევნება) ზურაბ შენს პატივისცემას ფეხს არ დავადგამ. შენი ასმანეთიანი თუ სახლში არ მქონდეს ლოგინ ქვეშ შენახული და ხვალვე დილით თუ არ ჩაგაბარო, მამა წამიწყდეს, მისი საფლავის კუბოს ფიცრების ლურსმები სათითაოდ ამომეღოს და კბილებით დამეღეჭოს..., რაც შეეხება ზაქარიას, ჩემზე იყოს... თუ არ მოვკვდი — გადავუხდი თუ მოვკვდი და... ჩემი შვილისშვილები გადაუხდიან!

აღმასკომიდან გამოდიან ბონდო და მარდახა.

ბონდო. მაშ, — ასე! ეცადე ბანკს როგორმე ჩაუსწრო! ხომ იცი საკონტრაქტაციო ფულია. კოლმეურნეებს უნდა დავურიგოთ, თორემ ხვალ უარეს ჩაიდენენ!

მარდახა. ვიცი, ვიცი.

ბონდო. მხოლოდ ფრთხილად, თუ დაგილამდეს ნუ წამოხვალ. რევოლვერი გინდა?

მარდ. რა ვიცი! თუ საჭიროა!.. ტყვია არის შიგ?

ბონდო. არის, არის! (მიდის)

პაუზა. შემოდის აკვირინა. საწყობიდან გამოდის მარდახა პორტფელით.

აკვირინა. მარდიკო, სად მიდიხარ?!.

მარდახა. შორს, ძალიან შორს, მშვიდობით აკვირინა! ვინ იცის...

აკვირ. რა ვინ იცის?! ნუ მაშინებ!

მარდ. მივდივარ აკვირინა, ბონდომ სერიოზული საქმე დამავალა. ვინ იცის კაცს რა არ შეემთხვევა? (მღერის) „მერცხალი კუდმაკრატელა ჩემთან დაბინავდაო"; არავის უთხრა აკვირინა, მშვიდობით!

აკვირ. როდის დაბრუნდები?

მარდ. ან ხვალ, ან ზეგ, ან-ვინ იცის? მშვიდობით აკვირინა! (მობრუნდება) აკვირინა!

აკვირ. რა გინდა?

მარდ. კაცს რომ ქალი უყვარს და როდესაც სხვაგან მიდის, თუმცა ეს სისულელეა!.. მშვიდობით?! (ისევ მობრუნდება) მაგალითად: ქალი თუ ქართველია, ვაჟი კი სულ სხვა, თუმცა ესეც სისულელეა!.. მშვიდობით!

აკვირ. ყურში რაღაცას გეტყვი: თუ კარგი ბიჭია, თუ ქალიც თანახმაა — რჯული სისულელეა! (კოცნის ყურში. მარდახა წელში გაიმართება პორტფელიდან რევოლვერს იღებს, და ჯიბეში ინახავს. აკვირინას გადახედავს და ამაყად გზას გაუდგება)

[**დასასრული შემდეგ №-ში**]

ალიო მაშაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაქტიონ ტაბიძე

ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი

„. . . . . ჩვენ არ გვინდა ომი,
„მაგრამ კაპიტალისტების არ ისვენებს ტომი.
„რა კი მტერი არ ისვენებს ჩვენი სისხლის მდომი—
„ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი.
„ჩვენი დროშა ნიშანია არა რებევა—ომის,
„მშვიდობიან მშენებლობის, მშვიდობიან შრომის.
„ევროპაში კი ბევრია მიწა-მიწა მძრომი,
„პროლეტარი ყველა ქვეყნის უმძიმს „ქვეშევრდომი".
„ჩვენ წითელი არმია გვყავს, სადარაჯოს მდგომი,
„იქითა სდგას ფაშისტების ვარშავა და რომი.
„წავალთ როგორც კი გვიბრძანებს შტაბი, პოლიტკომი —
„დავანახვოთ პუანკარეს, როგორც უნდა ომი!

[წიგნიდან: „რევოლიუციონური საქართველო"]

თუ რომელიმე სასახლეს აგებს, რომლის სიმაღლე არის ზღაპარი,
როცა ქუჩაში ღარიბ-ღატაკებს არ გააჩნიათ თავშესაფარი?
მილიარდერი აგებს თეატრებს, რომლით ბრჭყვიალებს მთელი ევროპა,
როდესაც მუშებს ქუჩებში ათრევს გაუგონარი უმუშევრობა.
მილიარდერი ააგებს ტაძარს რომ შეითრიოს ქალი და ბალღი,
რომ რელიგია სცხოს ოპიუმში და ოპიუმით მოსწამლოს ხალხი.
აზრი მსწავლულის, გმირის, არტისტის მონად ჰყავს ბანკირს. ხაზი—ხაზია
სახლშიაც არის, გარედაც იცდის ჩასაფრებული ბურჟუაზია.
ხელში აიღებ დღევანდელ გაზეთს და გრძნობ—სად მიდის ძველი ევროპა,
ვისზე იყენებს ტანკებს და გაზებს პარლამენტების ენამჭევრობა.
საბჭოებს ისრებს უშენენ შვილდნი ყველა ლონდონის, ყველა ლიონის,
გიგანტიური სტამბების დაზგა და მშენებლობა როტაციონის,
გრგვინვენ მოტორნი და გაზეთები იფანტებიან გამყინველ დროში
მუშებს თავისი უნდათ გაზეთი და გაზეთისთვის არა აქვთ გროში.
საზიზღარი დრო! უსაზიზღრესი, ვინემ გახრწნილი ლეშების სუნი,
როცა ზიდავენ მკვდრებს რკინისგზები და ტელეგრაფთა კვნესის ზუზუნი.
სად კონტინენტი დარაჯობს მხოლოდ ფარჩეულობას, ტყავეულს, ნოხებს,
პრესას, მუსიკას, თავდავიწყებას ეძებს კაფეში და გულს იოხებს.
ამ დროს ლვინოსთან მოლიმარ ჯენტლმენს უახლოვდება მაღაროს მთხრელი,
მოგვიმატეო, დროა ხელფასი! ვკვდებით შიმშილით, არ მოგვდევს წელი.
ჯენტლმენი ახალს იღებს სიგარას, არვის მოთხოვნა მას არ აწუხებს
აიღებს ქაღალდს, მწარე დაცინვით შეხედავს მუშას და უპასუხებს:
— წელიწადსა აქვს . . . . . 365 დღე
თკვენ კი მუშაობთ მხოლოდ რვა საათს [მესამედს წლისას] 122 დღეს
გამოაკლეთ კვირა დღეები . . . . . 52 დღე

დარჩა 70 დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათობითაც სადილის შემდეგ არვინ მუშაობს . . . . . 26 დღე

დ ა რ ჩ ა 44 დღე

საათიანი კიდევ შაბაში საუზმისათვის, ესეც . . . . . 13 დღე

დ ა რ ჩ ა 31 დღე

ყოველ წელს კუთვნილი შვებულება . . . . . 14 დღე

დ ა რ ჩ ა 17 დღე

კანონით დამტკიცებული უქმეები შეადგენს . . . . . 12 დღეს

დ ა რ ჩ ა 5 დღე

მაგრამ ბოლოს და ბოლოს 5 დღე წელიწადში
თქვენ ან ავად ხართ, ან სამუშაოზე არ მოდიხართ
რაიმე სხვა მიზეზის გამო . . . . . 5 დღე

დ ა რ ჩ ა 0 დღე

და ამავე დროს, ბატონებო, თქვენ გინდათ მიიღოთ
მომატებული ხელფასი.
არა, ეს შეუძლებელია".
მაშინ უეცრად მე მომეჩვენა, რისხვად გააფთრდა მაღაროს მთხრელი,
შამპანიურთან გართულ ჯენტლმენებს საყელოებში სწვდა რკინის ხელი.
ღვინო გადესხა აბრეშუმს, ხავერდს, ქალს ალმასების მოსწყდა საყურე,
ძირს გაიშხლართა მძიმე ბანკირი, კიბის ქვეშ შეძვრა მოსამსახურე
იწვის წიგნები და გაზეთები, ქანდაკებები იმსხვრევა რკინის.
„წყალი"! გაისმის ხმა მანდილოსნის, რომელმაც სუნი იგრძნო ბენზინის.
სარკემ ძვრიალი მოიღო, ალმა გადმოანგრია ბროლის კანკელი.
მომენტი ჰგავდა ელექტრობზრიალს, როს კაპიტალმა იწყო კანკალი.
ოქრო და ვერცხლი ძირს დაიყარა, ინტელიგენტის გამოჩნდა ზურგი
სათვალის, ცილინდრს, სიგარის იქით, დგას მშვიდათ კლასი, როგორც
ქირურგი.

გაჩნდა ქუჩაზე ბარიკადები, კაპიტალისა დაიძრა მყარი...
მაშინ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსე გვასალია

უღელტეხილზე

დასავლეთით სულ ახლოს დგანან მთები.

მწვერვალებზე, თეთრი, ათასეული წლის, ჯიშტი თოვლი.

ქვემოდ: ნაძვების, ფიჭვების და ურთხმელების ზღვა.

მთები დაპობილია: ხეობები, წყაროები, ნაპრალები.

დგეხარ და თვალგამეტებით უმზერ:

წამოსულა ლიანდაგები შორეული ქალაქებიდან და ამ ხეობებში, გადაუკვეთავს კალთები და დალმართებზე სრიალით ეშვებიან.

ტელეგრაფის ბოძები გარინდებით დგანან: ციცაბოებზე, გადასავარდნებზე, ლიანდაგების გასწვრივ.

ლიანდაგებზე გადმორბიან მატარებლები. ხეობები და ნაპრალები ხარხარებენ. მემანქანეები მძაფრი გამოხედვით ზვერავენ წინ დაგდებულ ლიანდაგს. გაქვავებული ბორბლები. გაქვავებული ღერძი. ფოლადი წივის და ნაკვერცხალი ეკიდება ლიანდაგს.

სამხრეთიდანაც სულ ახლოს დგანან მთები.

ისმის—მღვრიე მდინარე როგორ შხუილით და გრუხუნით მორბის ხეობებიდან.

კალთებზე გაშლილია კოლექტივის ფარა.

ალმოსავლეთით დაგდებული სპილენძის მინდორი თვალუწვდენელია და უსაზღვრო. იგი მორბის, ისარივით ესობა ამ მთის კალთებს და თავით ზედ ემსხვრევა.

და აქ, ამ მთებისა და მინდვრების დასაწყისში, ხელის გულივით პატარა ქალაქია მღვრიე მდინარის ნაპირად.

უღელტეხილისკენ გაქცეული რკინის ზოდები შუაზე ჭრიან ხელის გულს.

ოთხკუთხედი, გამურული ქვის შენობა ალმართულია შუა ქალაქში და დღე და ღამე შეუსვენებლად ნახშირისფერი კვამლით იხრჩოლება.

გარშემო: ოდები, ქოხმახები, გომურები; მწვანე და ლურჯათ მოფენილი მიდვრები და ზემოდან კრიალა ნათელი ცა.

ოთხკუთხედი გამურული შენობა ახალი ცხოვრების კერაა და მაჯა.

აქ შლის ფრთებს სოციალისტური შრომა და გარჯა. როგორ იმსხვრევა ყველაფერი დროგადასული! ტყდება ჭახანით, წასაქცევად იზნიქება ადამიანის ძველი ჩვევები.

დგეხარ ოთხკუთხედი შენობის წინ. იღება რკინის უზარმაზარი კარები. ხედავ: ორთქლმავალი როგორ ზლაზნით გამოდის და მოიწევს შენსკენ.

სერია „ეგა № 40163“. ეს მეათესე შეაკეთეს დამკვრელებმა დღეს ამ შენობაში და გადაგზავნეს უღელტეხილზე. ეს ორთქლმავალი უღელტეხილზე დაიმსხვრა. მის მემანქანეს ჯერ არ გაუგია შეკეთებაზე რამე.

„კნორა“, სერია „ეგა 40163“, ეს მეათასე. მე მსურს მოგიყვეთ ამ ორთქლმავალზე უბრალო ამბავი.

მოდით და ნახეთ ამ ორთქლმავალების, შეკეთებასთან ერთად როგორ მტკიცდება სოციალისტური ქვეყნის ფუნდამენტი! როგორ ხარობს და იპყრობს ყველაფერს შრომის ახალი ბოლშევიკური მეთოდი; კომუნისტური: დამკვრელობა, შეჯიბრება!

დასავლეთიდან სულ ახლოს დგანან მთები.

წამოსულან ლიანდაგები შორეული ქალაქებიდან და ხეობებში გადახორგილან. ტელეგრაფის ბოძები გარინდებით დგანან ჯურღმულებში, ციცაბოებზე და გადასავარდნებზე უბერავს ქარი, იზნიქებიან ნაძვის ხეები და ხეობები მანქანებივით გრიალებენ.

I

მობარბაცებს ლევან მარტო.

ულელტეხილის მთების გადალმა გადასულია მზე. წამოზრდილან ჩრდილები და დაუფარავთ ულეზი ველები. ულელტეხილიდან მოდის ორთქლმავლის შორეული კივილი. ულელტეხილიდან უბერავს ცივი ულონო ნიავი და ლიანდაგის ხრეშიდან მტვერის კორიანტელი დგება.

სადგურის მიდამოებში მწვანე მოლი გადატრუსულა, ბალახები ლურჯი მაზუთის სიშავეს გაუმურავს. ლევან მოდის ამ გადამწვარ ველზე ლიანდაგების გასწვრივ, ოდნავ ჭალარა შერეული, თმა შუბლზე ჩამოფხატია, კისერ ჩაღუნული მოაბიჯებს მძიმედ და ხელზე მწვანე ქუდს ნერვიულად ჭმუჭნის.

სუსტი და მაღალი ტანი; სადღაც წკვარამში გადაცვენილი, წვრილი, ელალი თვალები; ჩაშავებული დაბეჟილი ქუთუთოები და დაჟინებული გამოხედვა. უხერხული გრძელი მკლავები, კისერთან აკაციის მესრებივით კიდია, გამხმარი წვრილი მუხლები ბერკეტებივით მოძრაობენ და იკეცებიან. მიდის და ხრეშში ჩაქცეულ მაზუთს არ ერიდება. ტანზე: მაზუთითვე შავად დატკეპნილი სამოსი და დაბალი, მოქცეული ჩექმები.

გულმკერდი ეკუმშებოდა და ეშლებოდა მალიმალ, კი არ სუნთქავდა,— ოხრავდა, როგორც ულელტეხილის ალმართზე ამომავალი მატარებელი, გამომშრალ ყელს წამდა-უწუმ ნერწყვით ილბობდა და ტუჩები ოდნავ გაფითრებულიყვნენ. ყელზე ვიღაც რკინის მარწუხებს უჭერდა და ახრჩობდა: გული სცემდა, ეწეოდა და უყუჩდებოდა.

ლევან მზათ იყო ეტირნა. ან დაბრუნებულიყო ამხანაგებთან კრებაზე და ხმა-მაღლა მოერთო ღრიალი, ვარსკვლავები ჩამოეწყვიტა და პატიება ეთხოვნა.

— არა, ეს შეუძლებელია!..

ლევან ერთი წუთით შეჩერდა და ჩაფიქრდა:

— მე ვარ გამოცდილი მემანქანე, თუ ისინი არიან გიუები, ალქაჯები, მატყუარები, ცრუპენტელები!..

კითხვა ლევანმა ვერ გადაჭრა, გადმოალაჯა თხრილი, საყუდისაკენ გაემართა... სად ეცალა იმდენ თავსატეხ ფიქრისათვის მემანქანე ლევანს, აგვიანდებოდა, იმ დღეს მატარებელი უნდა წაეყვანა ულელტეხილზე... და მაინც არ ასვენებდა ფიქრები...

დღეს ამხანაგებმა გამოაგდეს იგი კრებიდან; სალახანა და მაჩანჩალა უწოდეს. გაამასხარავეს, გაამათრახეს, გააბითურეს.

ლევანს აგონდებოდა ყველაფერი და თავის ქალას თითქოს ლოკომოტივის მძიმე თვლები ნაფოტებად ამსხვრევდნენ და აცამტვერებდენ.

ლევანს აგონდებოდა: აი ამ ერთი კვირის წინ სადგურის მახლობლად, თხრილის გადმოლმა, მაზუთით გადაშავებულ მინდორზე ორი ახალგაზრდა შემოხვდა.

ერთ მათგანმა გამარჯობის და სალამის მაგიერ შემოაგება:

— გაათავე კაცო, გამოაცხადე თავი დამკვრელად!.. ნუ თუ, ლევან, ამდენ ხანს აღარაფერი ისწავლე შენ! ხეპრე ხომ არა ხარ!

იმ დღეს მემანქანე ლევანმა ახალგაზრდებს კინაღამ სილა გაარტყა:

— ეშმაკსაც წაუღიხართ, დამანებეთ თავი. თვითონ თქვენ ისწავლეთ შვილოსან, მე კი დავრჩე ასე, იმერულ ურემივით გაუთლელი. მემანქანე ლევან, გზაში რომ შემოგხვდეთ, იქნებ სალამი მაინც ინებოთ. გამარჯობა ძია ლევან, რავა ხარ, მუ...შ..აა. ფუჰ! ეს რა არის? მაზუ-თი? არა უშავს რა, მე კმაყოფილი ვიქნები, წადით და ნუ კარგავთ ძვარფასს დროს ჩემს ჭკუის სწავლებაში, ბიძებო!.. მასწავლებლობა რა თქვენი საქმეა!..

ახალგაზრდები უფრო მიუახლოვდენ ლევანს.

— შე ყურბანო, შენა, ჯერ რატომ ვერ გაგიგია!.. პროლეტარიატმა, აი თვითონ მემანქანეებმა ხელში აიღეს ძალა-უფლება. ბურჟუები დაამარცხეს, დედა. უტირეს ბურჟუებსა და დამარხეს, მერე ზემოდან უშველებელი ქვები მოახორგეს და სამუდამოდ წაართვეს წამოდგომის საშუალება. დღეს მუშა იპყრობს ყველაფერს, შენ კი დეზერტირობ. ხომ არ გინდა შე ყუბაქო, მუშებს ისევ ძველი ბატონები მოასხდენ და კისრიდან ორმაგი ტყავი ააღლიტონ... აა! ხომ არ გინდა? ჩქარა გვითხარი! შე მართლაც ვირო! ჩვენ ხომ შენი ამხანაგები ვართ, შენისთანა მუშები. ხედავ, ვიბრძვით დღე და-ღამ... ხედავ, როგორ ვიბრძვით!..

— ვიცი!.. ვიცი ბიძებო, როგორ იბრძვით თქვენ! წადით და ეხლაც იბრძოლეთ, სახელოსნოში ან მატარებელზე იყალთაბანდეთ, იდამკვრელეთ, დაზგიდან დაზგაზე იხტუნავეთ. შემდეგ საკენი ენა ამოიდგით და დაგაწინაურებენ... ეხლაც წადით, იბრძოლეთ რაღა!..

ამ სიტყვებმა ერთ ახალგაზრდას წაუკიდა ცეცხლი და ის უეჭველად იმ მოკუმშულ მჯიღს შიგ სახეში ჩაარტყამდა ლევანს, მაგრამ როდესაც წინ წამოიწია მეორე ახალგაზრდამ დააკავა. ნიშნის მოგებით ჩაუჩურჩულა. „ჩამორჩენილია“, ამას უნდა აუხსნა, არ უნდა ეჩხუბო. აბა, რას ჩადი ამხანაგო... და ცეცხლ წაკიდებული ერთბაშად მოლბა:

— ნუ ფიცხობ ლევან, ჩვენ ხომ დაწინაურებისათვის არ ვიბრძვით გენაცვალე, შენ გგონია ჩვენ საქმით არაფერს ვაკეთებთ, მხოლოდ დამკვრელების სახელი იმიტომ დავირქვით, რომ დაგვაწინაურონ. დაგვერწმუნე ლევან, ეს სრულებით არ არის მართალი. ჩვენ გვამოძრავებს მოვალეობა და მუშათა მთავრობისადმი სიყვარული და ეს იმისათვის, რომ ჩვენ მუშები ვართ. რა გასაკვირია გულით ვმუშაობდეთ, როდესაც ვიცით, რისთვის ვმუშაობთ, ვიცით— რისთვის არის საჭირო შესრულდეს სატრანსპორტო გეგმა. შენ კი, ჩემო ლევან, ეგ არ იცი, ჩამორჩენილხარ, ჩვენს მოწოდებაზე და ძახილზე გულცივად პასუხობ. არ უფიქრდები და არ იცი, რა დანაშაულს იდენ ამით... სოცშეჯიბრი, დამკვრელობა ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, იაფი ჯდება საქონელი, ეს არის შრომის ჩვენებური, სოციალისტური მეთოდი, შენ ეს არ იცი და ყველაფერი ფეხზე გკიდია.

— მე არაფერი არ ვიცი, ესე იგი თქვენ კი განა... თლებულები...!! [illegible] კოლოფები", ვაი დედასა!

აქ ლევანი სახეზე წამოწითლდა, თვალები დააბრიალა და რა შეატყო ახალგაზრდები მაინც არ შორდებოდენ, ხელი ჩაიქნია და თვითონ მოცილდა მოსაუბრეებს...

ლევან მატარებლიდან დაბრუნდა და სახლში მიდიოდა ცოლშვილთან. საყუდის ალაყაფის კარებთან ამხანაგები შემოხვდა. ერთმანეთი ორიოდე სიტყვით მოისტუმრეს. ლევანმა გზა განაგრძო. ალაყაფის კარებს რომ მოეფარა, შეხედა, ფეხსაცმლის შემოსახვევი გახსნოდა. სწორება დაუწყო, ალაყაფის კარებიდან თავისი გვერდით შეზრდილი მემანქანეების საუბარი შემოესმა:

— აი მოდი და ელაპარაკე, მიაყარე კედელს ცერცვი, რა უყო შეგნება ამ ჩემანალამ, ჰა!..

— ეჰ... ლევანაც მუშაა რაღა! რა ჩემ ფეხებად გინდა ასეთი მუშა, თავის ორთქლმავლის მეტი ყველაფერი ფეხზე ჰკიდია. მაგას უნდა ელაპარაკო ხმამაღლა, ადგილკომის თავმჯდომარემ რომ იცის, ისე. ხელები უნდა ჰაერში უტრიალო და გაიგებს. სხვა გზით არაფერი გამოვა. კაცო!.. ვერ იქნა, ვერ ავაჩქარეთ ეს მუტრუკი, ვერ ჩავაბით შეჯიბრში, ნამდვილი ჯასთაგანია.

ვიღაცამ გადიხარხარა.

— მა რა, ყველა ჩემისთანა განვითარებული და „სპეცი" ხომ არ გინდოდა, ბიძია. მე სულ სხვა ხურმა ვარ, რომ მიყურებ, უკვე მეხუთეჯერ გავაკეთე მოხსენება დამკვრელობაზე ჩემს ოთახში ცოლშვილისათვის... არა, რომ ამბობ ლევანს ორთქლმავალი უყვარსო, ამას რავა დავიჯერებ, რომ დათვრება ეს სახეძაღლი, რას მიქვია ორთქლმავალი, მთელი ქვეყანა ფეხზე ჰკიდია... იმ დღეს მოდიოდა ბარბაცით გზაზე, ხმა ხომ აქვს და აქვს, სიმღერის მადაც არი და არი, „ტიკო შენა ხარ"?... ღიღინებდა თავისთვის, მერე შუაგზაზე მიეყრდნო ტელეფონის ბოძს და მაშინთვე შავმა ღვინომ პირიდან შადრევანივით ამოხეთქა. ერთი მიიხედ-მოიხედა, მერე შორიგზიდან მომავალ მგზავრივით უდარდელად გაიშხლართა იქვე მიწაზე და ღრუტუნი ამოუშვა, როგორც ეს მამალმა ღორებმა იციან ზაფხულის პაპანაქებაში.

— რას იზამ, ბიძია, ჩამორჩენილი მუშაა, უპარტიო, არსად არც ერთ კრებას მაგი არ ესწრება, თავიდან ბოლომდის არც ერთი საბჭოთა წიგნი არ გადაუკითხავს, თვალახვეული მოგვყვება ფეხდაფეხ, „ნიკოლოზის რეჟიმის" დროინდელი მემანქანეა და არა დღევანდელი...

საუბარი შეწყდა და ცოტა ხნის შემდეგ უფრო შორი მანძილიდან მოისმა. ეტყობოდა ლევანის ამხანაგები მიდიოდენ.

— აღარაფერი ეშველა იმ კვდარ ძაღლს, რამდენს ვეჩიჩინებით, რამდენ რამეს უხსნით, ვეუბნებით; მაგრამ აბა უკითხე ხვადაგ მგელს „წმინდა მათეს" სახარება. მაინც ჩამორჩენილია და ჩამორჩენილი, ვერ დავიყოლიეთ და ვერა. სოფელში ჰყავს ერთი თხა, დღე და ღამე იგი ესიზმრება, მის სანახავად წასვლა ენატრება, პირში ხომ იმ თხის სული უდგას, მზე და მთვარე მაზე ამოუდის...

— ჰე, წავიდეთ ძმაო, ჩქარა წავიდეთ, ჩვენ რომ სამუშაოზე დავაგვიანოთ, არ გვეპატიება, ხომ იცი, ახალი კვარტალი იწყება!.. მა რა დამკვრელები ვართ?.. ბედს ჩვენც ვწყვეტთ, ეხლა დანაშაულია გაცდენები.

ლაპარაკი სრულებით აღარ ისმოდა. სახელოსნოში ვიღაც ხარხარებდა და გრდემლზე ურის ღონიერი დარტყმა მოისმოდა.

ლევანს ფეხსაცმელის გასაბნევი გასწორების მაგიერ სულ დაეშალა. ისევ მოკაკული იყო მიყრდნობილი ალაყაფზე.

— ნუ თუ შე?.. ჩემი ამხანაგები!.. ჩემზე ასე საუბრობენ: რატომ, უნდა ვიყო მე, რატომ უნდა ვიყო მე ასეთი? ყველასათვის საჩვენებელი... მემანქანებო, რატომ დამცინით? ამხანაგებო!..

ლევანს ხმა ჩაუწყდა და ცრემლები მოერია. ალაყაფის კარებთან არვინ იდგა. სახელოსნოდან ხარხარი და გრდემლზე ლონიერი დარტყმა მოისმოდა.

დღეს ლევანს ეგ სურათები თვალბრუდამხვევი სისწრაფით უცოცხლდება მოგონებაში. კიდევ ახსენდებოდა მემანქანეს სხვა მრავალი, — როგორ ჩამოსთვალოს, როგორ მოიგონოს ყველაფერი. ერთხელ კედლის გაზეთშიდაც დახატეს, უზარმაზარი გრძელი მოგრეხილი ცხვირი გაუკეთეს. პირი ფართედ გაღებული დაუტოვეს, გულმკერდი ობობას ქსელით მოუქარგეს და ქვეშ მსხვილი წითელი ასოებით წაუწერეს: „მაჩანჩალა“. ლევანმა „მაღარიჩები“ ჩამოასხა, ბევრი იხერხა, ამ საქმეში „ხელებ გასვრილი“ მაინც ველარ აღმოაჩინა და თავი მიანება.

ერთხელ კიდევ შავ დაფაზე ვებერთელა ასოებით ჩაწერეს, ლევანმა ეს რომ ნახა, პაკლი დაასველა მახუთით და დაფას ესროლა, კიდევ კარგი ამას ვინმე ამხანაგმა თვალი არ მოჭკრა...

როგორ ჩამოსთვალოს?.. რამდენი რამე დამართეს. რამდენი რამე შეახვედრეს თვითონ მისივე ამხანაგებმა... ამის ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ დღევანდელი დღე!..

დღევანდელი დღის გახსენებაზე ლევანს თვალები ემღვრევოდა. — მუჭში ჩაბღუჯულ ქუდს, თითქოს იგი მოწინააღმდეგე ადამიანის კისერი ყოფილიყო, გუდავდა, გლეჯდა, ლევანს უნდოდა მალე შემოხტომოდა თავის ორთქლმავალს და გაპარულიყო ამ სადგურიდან, ისე რომ მისთვის არავის შეეხედა; შემდეგ სულ არ მობრუნდებოდა.

ამხანაგებს არ დაენახვებოდა... ნამდვილად შეცდა იგი? ამხანაგები კი მართლები იყვნენ? ლევან საქციელს იმართლებდა. ყოყმანობდა... ფიქრები აწვალებდა: როგორ შეუძლია აიტანოს ლევანმა დღევანდელი დღე? დღეს მას ყელი გამოჭრეს საქვეყნოდ, ჩაქოლეს, ცოცხლად დამარხეს. მერე ვინ? მემანქანეებმა, მეგობრებმა.

იგონებდა: დღეს ნაშუადღევის საყვირის შემდეგ საწარმოო თათბირი შედგა, ლევან შემთხვევით მოხვდა კრებაზე, დარბაზი ხალხით გაჭედილი იყო. ნეტავ არ მოსულიყო სულ. რა უნდოდა ლევანს? რას მოეხეტებოდა? ყველაფერი ახია. მაგრამ საყუდის მემანქანეები წავიდენ კრებაზე. ყველანი წავიდენ, ლევანიც გაყვა. და კუთხეში მოიბუზა. ვიღაც უფერული კაცი მოხსენებას ხმამაღლა აკეთებდა:

„მაშ ასე, ამხანაგებო!

ამ კვარტალში ორთქლმავალთა გუნდების თვიური გარბენა გადიდდება 2.000 კილომეტრამდე. დამკვრელი ამოცანაა. გადამწყვეტი, თავგამოდებული ბრძოლაა საჭირო. გავშალოთ სოც-შეჯიბრების და დამკვრელობის ბრძოლის დროშა.

ამხანაგებო, პარტია მოგვიწოდებს, წინ!..

უნდა დაუმტკიცოთ ქვეყნიერებას, რომ ჩვენ ხელჩართულ-ბრძოლაში გამარჯვების გარდა, შეგვიძლია ეკონომიური ცხოვრების განვითარებაც.

სოციალისტური მშენებლობის ენტუზიასტებო, უშიშრად და მედგრად გადავლახოთ ყველა დაბრკოლებები. „არ არსებობს ციხე-სიმაგრე, რომელთა დაპყრობაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ"...

ლევანი სულგანაბული უსმენდა მოხსენებას. და უხაროდა საშინლად, ღელავდა, რომ ის დღეს არის ამხანაგებთან. ესწრება კრებას. ლევანს წარმოედგინა, რაღაც უზარმაზარ საქვეყნო საქმეს აკეთებდა ამით და სიხარულით არ ეტეოდა ადგილზე. ამის შემდეგ მას აბა ვინ გაუბედავს დაცინვას. ისიც საყუდის სრულ უფლებიანი მემანქანეა. დღეს მეორეჯერ დაიბადა ლევან. ის ამის შემდეგ ულელტეხილზე გაირბენს თამამად. ამხანაგებს პირდაპირ შეხედავს თვალში. გადიხორხოზებს და მოყვება დაუმთავრებლად დღევანდელ კრების ამბავს. ამხანაგებიც გულთბილად მიიღებენ. ლევან ძველი გამოცდილი მემანქანეა, საქმის გაკეთება არ შეუძლია თუ'.. გამოიკვლიონ, როგორ საუცხოოდ მუშაობს ლევანი წესდების თანახმად. ლევანი ხელით საჩვენებელი იქნება. აი ის კაცი კრებაზე იყო.

ლევანაც განიერად გაივლის სადგურის დერეფანში. ოო!.. გული როგორ უცემს ეხლა ლევანს. თავზე ევლება ამხანაგს, დღეს რომ აქ მოიყვანა. არხეინად აბოლებს „მახორკას". მაგრამ ლევანს მაინც უკვირს, ეს მომხსენებელი ტყუილს რატომ ლაპარაკობს? საიდან შეიძლება ორი ათასი კილომეტრი, სად გაგონილა!

ლევან მიეცა ფიქრებს, როგორ შეხვდებიან მას ამხანაგები დღევანდელი კრების შემდეგ. ტუჩებზე ღიმილი გაეკრა. აი! პატიოსან სიტყვას დებს ლევან. დღეის შემდეგ ისიც ივლის ყოველთვის კრებაზე, ყველას მოუსმენს... მხოლოდ კედლის გაზეთები გააჩუმონ და „მაჩანჩალას" ნუ დახატავენ... აქ ლევანს კვლავ გაახსენდა კედლის გაზეთი...

ტაშის გრიალმა გამოარკვია. მოხსენების დამთავრების გამო ტაშს უკრავდენ.

ლევანიც უკრავდა ტაშს. კრება ხმაურობდა.

მემანქანეები ჩაეწერენ კამათში:

პირველი:

— ამხანაგებო, მე მინდა გამოგიტყდეთ, რეჩი არასოდეს მითქვამს ფართო კრების წინაშე.. მიძნელდება, მე არ მოვკვდე, აურ-დაურევ ხოლმე, ისე აურ-დაურევ, რომ მე არ მესმის, რას ვლაპარაკობ, მაგრამ როგორც ხედავთ აჭა დღეს ენა ამომედგა თქვენთანა ნათლივ—ვაცხადებ თავს დამკვრელად და შეჯიბრში ვიწვევ აბუაშვილსა.

მეორე:

— ამხანაგებო, მემანქანეებო! მა რითვინ იბრძოდა პროლეტარიატი? თვითეული ქვაფენილი სისხლით გაპანილია. დედა უტირეთ ვაჭრებსა და ეხლა ხომ არ გინდათ თქვენ, მაწანწალებო, ისევ ხმლით და მათრახით გვცემდენ ან მდინარის ნაპირათ გვისწორებდენ ანგარიშს ათასობით მუშებსა? მაშ რაღას გაუჩერდეთ: გაუშვი, ჩქარა გადაიქცეს მდუღარე ორთქლათ, გაუშვი, ცისტერნები იყვეს თვალუწვდენელი. ავაგუგუნოთ ორთქლმავლები, ცეცხლი ავანთოთ!

მესამე:

ხმამაღლა დაიწყო, მაგრამ დარბაზში ისევ ტაშს უკრავდენ და არავინ უსმენდა მემანქანეს; მაშინ გაჯავრებულმა მაგიდაზედ დაარტყა მჯიღი და გამწარებულივით დაიღრიალა:

— გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას, რომელმაცა რომა ნამდვილათ მისცა გამარჯვება მშრომელ კაცს. მეც დამკვრელი ვარ და შეჯიბრში ჯამბაზ სეთას ვიწვევ და მაშინათვე ბურთივით ჩამოგორდა დარბაზში.

დამაყრუებელი ხარხარი გაისმა და ეს ხარხარი ტაშის გრიალმა დაჰფარა. ჯამბაზი რომ ტრიბუნაზედ გამოვიდა, უმალ გადახედა მუშებს, ბევრის ლაპარაკი იმას პატარაობიდანვე ჭირივით ეზარებოდა და საერთოდ ბევრის მოლაპარაკეებს სასიყვარულოთ „სირისტიანებს" ეძახოდა.

— ჯამბაზი... ჯამბაზი... შეხედეთ როგორ ილრიჯება!.. რას ეძებ, სეთა, რას?.. თქვი შე სახეძაღლო რამე, ან მოეშვი!..

სეთა მართლა ეძებდა, ვინ გამოეწვია შეჯიბრში. კრების თავმჯდომარემ თვალი კუთხისაკენ ანიშნა:—კუთხეში ლევანა იჯდა.

— ამხანაგებო, მე ვიწყებ ლაპარაკს და სოცშეჯიბრში ვიწვევ ე მად კუთხესთან მობუზული კაცი რომ ზის, ესე იგი ლევანას. პირველი კვარტალი აადრასტა, ორჯერ გამოვიწვიე და იმის მეტი ჭირმა წაგიღოს.—ესე იგი თავი დააძვრინა, ამხანაგებო მე მგონია!.. და ასე ვათავებ ლაპარაკს. როგორც ხედავთ მოცემულ ხუთ წუთში საოცხოვოთ ჩავეტიე და მოვთავსდი, აწი თქვენ იცით...

ლევან სრულებით არ მოელოდა ამას. ვიღაცამ დარბაზში გადიხარხარა. ლევანი აენთო. თითქოს გულზედ ორთქლის მდუღარე გადაესხა.

— რა უნდა ჩემგან ჯამბაზს!.. რას ჩამციებია!.. ორჯერ გამომიწვია, ეხლაც აღარ მეშვება.

დარბაზში ვიღაცეები იძახოდენ:

— ეე, შენც ნახე!..

— ერთბაშად მოგყვება, აი!..

— ლევან ძველია, გაგაცურებს, ბიძია.

ლევანი კი იჯდა თავისთვის კუთხეში და არ იცოდა, რა ექნა.

კრება ხმაურობდა.

— ლევან, თქვი რამე, ლევან!

— რას იპრანჭები ბიძია, ადექი ზედ... ილაპარაკე. სახეიროს მაინც არაფერს იზამ!..

ლევან წელში გასწორდა, მუშებს გადახედა და შემდეგ თავმჯდომარეს მიაჩერდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტათ დაიწყო:

— ამხანაგებო, მე მოვედი კრებაზედ!

— ოო! დიდი საქმე გააკეთე!..

ლევანის პირველ სიტყვებსვე გაუკეთა შენიშვნა გვერდით ვიღაც მემანქანემ. ლევანი სულ დააბნია ამან, ძლივს გააგრძელა ლაპარაკი.

— ჯამბაზი არ მეშვება, ჩემგან რა უნდა, ჯამბაზს რა უნდა ჩემგან? ახლა კი რაც შეეხება იმას... მე მგონია ყველა გამოცდილი მემანქანეები ხართ, ისე როგორც მე. აა, ის მინდოდა მეთქვა: ყოვლად შეუძლებელია,—ორი ათასი კილომეტრი სად გაგონილა?

ლევან ეხლა ლიანდაგზე მოდის და სინანული იპყრობს. ებრძვის თავს, ოხრავს.

ნეტავ ეგ სიტყვები არ წამომცდენოდა. ნეტავ სულ არ მივსულიყავ კრებაზე... ნეტავ შეიძლებოდეს ეხლა კლუბში დაბრუნება, საკუთარი სიტყვების უკან აკრეფვა და პატიების თხოვნა. ლევანს თვალწინ უდგას სურათი—მთელი დარბაზი ერთი კაცივით აქარიშხალდა. ლევანს უკვირს როგორ ყვიროდენ ასე ხმამაღლა: შევასრულებთ, გადაჭარბებით შევასრულებთ... ძირს!.. ძირს!.. მაჩანჩალა... დეზერტირი... დაეგდე მაჩანჩალა... გააგდეთ კარში. შე პანიკიორო! ფეხებს იატაკზედ აბრახუნებდენ.

ლევანს ახსოვს:

ჯამბაზი სეთა პირდაპირ მოვიდა, მის წინ მდგარ მაგიდაზე მჯიღი მაგ-
რათ დაარტყა, შემდეგ ფეხებიც მრისხანეთ დააბაკუნა და გაშვერილი თითით
კარები უჩვენა.

თავმჯდომარემ ძლივს დააწყნარა კრება:—ასეც არ შეიძლება ამხანა-
გებო!... რა უყოთ, ლევანს ასე ჰგონია! და როდესაც იგი ამ სიტყვებს ამბობდა
ულვაშებში ეცინებოდა. ლევანმა აღარ იცოდა, რა ექნა,—ჯერ თავის ად-
გილზე უხმოდ დაჯდა, შემდეგ, მოუსვენრობამ შეიპყრო. გაახსენდა ჯამბაზი
სეთა. შერცხვა, წამოდგა. ამხანაგები დაეძალენ, არ უშვებდენ, მაგრამ ველარა-
ვინ დააკავა, კრება თვითონ თავისივე ნებით დასტოვა, წამოვიდა.

გამომაგდეს, რა არ დამიძახეს, სიცილით დაიხოცენ.

მიდი, გაერიე ეხლა მათ ხვალ...

გზაში რომ შემოგხვდეს, სალამი უთხარ, გაულიმე. ან მეგობრული ხელი
ჩამოართვი, ჰმ...

ლევანს განსაკუთრებით აწუხებდა, ჯამბაზ სეთამ როგორ უბრძანა კარი-
სკენ გაშვერილი თითით. როგორ ღონიერად დაარტყა მჯიღი მაგიდაზე...

ლევანს თითქოს ეხლაც ესმოდა იატაკზე ფეხის ბრახუნი და უკან მოუ-
ხედავად მოიჩქაროდა.

ლიანდაგები გადმოიარა.

საყუდში შეალაჯა და შორიდანვე, დასვენებაზე მდგარ თავის ორთქლმა-
ვალს მიუალერსა.

ორთქლმავალი: დიდი ღონიერი, მაღალი და შავი.

ლევანი მის კიბეზე რომ ამოვიდა, გარესაჯდომზე ჩამოსკუპდა და დასავ-
ლეთს გადახედა ნაღვლიანად.

ისევ მდუმარედ იდგენ უღელტეხილის მწვერვალები და ხეობებში თეთრი
ხომალდები მოსცურავდენ.

ლევანს არ გახსნია შუბლი.

მატარებლის წასვლამდე კარგა ხანა იყო.

გულზე მოწოლილ დარდების გასაქარვებლად მემანქანე ტენდერისკენ მო-
ტრიალდა, ხის განიერი ყუთი გახსნა, ჯერ ბურბუშელა და პაკლი ამოყარა,
ბოლოს სათუთად ამოიღო „მოგვრემანი“ ფსკერის მუხლზე დაკვრით მოუხსნა
თავი და უკანასკნელ წვეთამდე გამოსცალა.

შემდეგ კაზანცევის მუხრუჭთან ჩამოჯდა, საკითხი გადასწყვიტა; მეასეჯერ
ძალად დაარწმუნა თავი, რომ ის მართალია, არავითარ შეშფოთებაში არ შეს-
რულდება სატრანსპორტო გეგმა; ამხანაგები არიან გიჟები, ალქაჯები, მატყუ-
არები და ცრუპენტელები.

. . . . . .

ლევან ძლივს დგებოდა ფეხზე, თან ორთქლმავალს ეალერსებოდა:

— ჩემი „კნორა“ 40163. ჩემი ღონიერი ორთქლმავალი. ჩემი ბიჭუნა!
ჩემი შამა! ხომ იცი, მეგობრები ვართ მე და შენ, შე სახე ძაღლო, განუყოელი
მეგობრები! ვაი დედასა, შუალამით რომ მოვადგებით უღელტეხილის აღმართს,
თვალუწვდენელ ცისტერნების ქარავანს რომ მოვათრევთ. შე მაწანწალავ, რო-
გორ ხვნეშიხარ მაშინ, თითქოს გული გისკდება ოხვრით, მე კი მეცოდები.
შენი ღონიერი თვლები გრიალებენ, მოგოგავენ ალმართზე. მაშინ მიყვარს მე
შენი ბლავილი. გავაღებ ონკანს და შენც დაიწყებ:

— ლ . . . ე . . . ვაააან . . .

მოიტა გადაჰკარ მოგვრემანი: დიდებულია, ხასიათზე მოხვალ...

ლევან ერთი წუთით შესდგა, თავში საშინელი ფიქრები მოუვიდა და თვითონვე შეეშინდა:

— ეხლა ამ ორთქლმავალმა აბეზარ ჯამბაზ სეთასავით რომ ენა ამოიდგას, შემდეგ რაღაცეები უბის წიგნაკში ჩაიწეროს და საწარმოო თათბირზე ორ საათიანი სიტყვა თქვას ლოთობაზე, რა ეშველება ლევანს?

— ეხ: რა უჭირს, რაც იქნება, იქნება... ხუთი წელია მუშაობს ჩემთან, არ შეეხეედრივარ მაგისთანა ვაჟკაცს. უღელტეხილზე არ მღალატობს, ქაქანით ამოდის, აქ რად მიღალატებს? სამაგიეროდ არც მე ვღალატობ. რამე მოუვიდეს, თავი ცოცხალი რად მინდა?

— აა, რას იტყვი „კნორა", ხომ არ გამამხელ!..

ყუთიდან კვლავ ამოიღო სათუთად შეხვეული კონიაკი.

— გახსენი ბაგეები შე მაწანწალავ... რაო? არ გინდა?.. ჰოო! აბა მე მიყურე!...

და აქ მემანქანემ კვლავ უკანასკნელ წვეთამდე, ტანის ასგვარი რხევით დაცალა შუშა.

შებინდებისას, დაგვიანებით მოვიდა თანაშემწე.

ორთქლმავალი 1.000 ტონიან შემადგენლობას შეაბეს.

თანაშემწემ ლევანი ჩამოაჯინა სარკმელის წინ მუხრუჭთან და ლიანდაგი დაზვერა.

II

უკვე თმაში ჭაღარა შერეული ლევან ღონღაძე, ერთ მახლობელ სოფლის, ქალამნიან გლეხის, „ცხონებულ" გიგუცა ღონღაძის ღვიძლი შვილი იყო. პატარაობაში თვითონ მუშაობდა მიდორზე და „ოროველას" დასძახებდა. ბიძია ექვთიმეს ბაღჩიდან ჯერ ყვავილ შეუხმობ ნესვებს იპარავდა და ასეთ ოპერაციების დროს მას საშინლად ეჯავრებოდა სოფლის ყურშა ძაღლები და კმენარა ბატები. სამაგიეროდ უყვარდა უვნებელი აგურისფერი ხბორები და ტყის ფრინველების ბუდის მინგრევა. აგრეთვე უყვარდა ნადავლის გაყოფის დროს ამხანაგის სახეში მჯიღის ჩაცემა და სადევგძირო არაკები.

ეს დრო წავიდა.

ლევან ხელზე ცხვირსახოცით გამოხვეულ მჭადით მიიყვანეს მახლობელ ქალაქის საყუდის კედლებამდე

ქალაქი მდებარეობდა უღელტეხილის თვალუწვდენელ მწვერვალების კალთებ ქვეშ. ზამთარში სიცივე ძვლებამდე ატანდა. აღმართზე მატარებელი ოთხ ღონიერ ორთქლმავალს ხვნეშით და ოხვრით ამოჰყავდათ. ჩამოშვავებული მეწყერი ყოველ-დღიურად არღვევდა, გლეჯდა ლიანდაგებს და უფსკრულისკენ მიაქანებდა.

ლევანმა ისწავლა უღელტეხილზე ორთქლმავლების ჭენება. ხეობები და დალმართები თავის ოთახის კუნჭულზე უფრო ახლობელი და ნაცნობი შეიქნა. ნაძვნარებში დათვლილი ჰქონდა, რამდენი ტან-მაღალი მუხა და წაბლი ხარობდა...

ლევანს თმაზე შეერია ჭაღარა; უღელტეხილის შემოდგომის ფერდობებიანით ოდნავ შეეეერცხლა; როგორც ეს დაემართა აგრეთვე მის მოსიყვარულე მეუღლეს.

შემდეგ შვილები წამოიზარდენ და პიონერები გახდენ.

ლევანს მაინც არ დავიწყებია სოფელი: რაც მთავარია, იქ ჰყავდა თხა და მასთან ერთად ბიძაშვილის ბებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე ჰქონდა ყამირად ქცეული მიწის ნაკვეთები და ძველი მამისეული ეზო, ნამოსახლარი, ბოროწეულის გაკრეკილი ლობით შემორაგული.

ეხლაც გამოსასვლელ დღეებში ჩავიდოდა სოფელში ლევან. უსაქმური ნათავადარიგით ჩამოწვებოდა ნამოსახლარის კოპიტის ჩრდილებში და ფიქრობდა „რომანტიულ" წარსულზე. ფიქრობდა სწორედ იმ დროზე, როდესაც შეეძლო თუ გინდ საღამომდე ამ კოპიტის ჩრდილებში ეძინა ტკბილად; ან წასულიყო და ამხანაგებში ელაზღანდარა; ან მუშაობისათვის შუა დღეზე დაენებებია თავი და ცეკვის მასწავლებელთან წასულიყო, ზურგზე ტომარა წამოკიდებული, მიეთრია ეს ძღვენი მასწავლებლისათვის და შემდეგ „ლეკური" ესწავლა თავისუფლად.

ერთხელ კოპიტის ჩრდილ-ქვეშ ლევანმა იმდენი იფიქრა, რომ „ბრწყინვალე" აზრი მოუვიდა. გადასწყვიტა გადმოსახლებულიყო ისევ სოფელში, თავი დაენებებია სახიფათო უღელტეხილისა და ორთქლმავლისათვის...

მაგრამ შემდეგ ბევრი იყოყმანა, განხრახვა მოიშალა, ისევ მანქანა ირჩია, ისევ სამუშაო საათებს შეეგუა... ბოლოს ამგვაარი განხრახვისათვის თავის თავს სულელი დაარქვა. გადმოსახლების სურვილები გულიდან ამოირეცხა...

ლევან დარჩა ქალაქში, შვილებიც თავისთან დატოვა, საქმე მოუწყო და საყუდში მოწაფეებად მიაღებია.

ქალაქში ლევანს ეჭირა ორი ოთახი სემაფორის ქვემოდ, ლიანდაგთან.

როცა მიდიოდა უღელტეხილზე სემაფორის მაგიერ ორთქლმავალს თავის სახლის წინ დააბლავლებდა. ცოლი იცნობდა ნიშანს, ლევანის ორთქლმავლის თავისებურ ხმას შეჩვეული იყო და მაშინთვე ეზოში გამოირბენდა, თეთრ ცხვირსახოცს იქნევდა.

პატარა ბავშვებიც „ბაბას" ძახილით გაეკიდებოდენ მატარებელს...

ლევანი იჯდა ჩვეულებრივათ მუხრუჭთან და იღიმებოდა, ცალი თვალით კი წინ პურის ყანებში დაკარგულ ლიანდაგს ზვერავდა..

ასე დაილიენ წლები.

ჯამბაზი სეთა ლევანთან შეზრდილი იყო.

დეპოში ზეინკლობა ერთად ისწავლეს, თანაშემწეთ ორივე ერთ დღეს გადაიყვანეს, შემდეგ მემანქანის გამოცდები ერთად ჩააბარეს, მაგრამ ამხანაგები არას დროს არ ყოფილან...

სეთა უყვარდა მთელ საყუდს „სიცოცხლისათვის", მოსწრებულ მოქცევისათვის და გამბედაობისათვის, აკი ამიტომაც დაარქვეს ჯამბაზი...

ეხლაც ყველას ახსოვს, როგორ გამოდიოდა სეთა გაბედულად მენშევიკურ ხანაში კრებებზე. ყველა უფროსები და უნცროსები ფეხებზედაც არ ეკიდა. მუშებს გაფიცვისაკენ მოუწოდებდა.

ახსოვდათ: როგორ სცემეს ერთხელ გვარდიელებმა ამისათვის სეთას, რის გამოც ხუთი დღე არ მოსულა საყუდში, ავად იყო; და როდესაც მოვიდა, მემანქანეებს ვეებერთელა ქაღალდი დააწერია: „შეშით ორთქლმავლის წაყვანა უღელტეხილზე არ შეიძლება, მუშაობას თავს ვანებებთ".

სეთას ახსოვს: ლევანი მაშინ „წესდების თანახმად მუშაობდა".

ოცდაერთში ჯამბაზმა წითელი ჯარების მეთაური შუა ქუჩაში ჩაბღუჯა და კარგა ხანს არ მოსცილებია.

ლევანას უკვირდა, რატომ არ ეშვებოდა ჯამბაზი სეთა, რა უნდოდა მისგან, ორჯერ გამოიწვია, მოსვენება არ მისცა...

სამაგიეროდ ჯამბაზ სეთასაც უკვირდა, როგორ „გასუქინსინებული“ და მაჩანჩალაა მისი „ძმა ბიჭი“ ლევანა.

ორჯერ გამოიწვია და ჯიბრში არ მოყვებოდა.

III

ლევანის მაგვარად, იმ პატარა ქალაქში ბევრს მიაჩნდა საეჭვოდ ახალი სატრანსპორტო გეგმის შესრულება.

ქალაქის უბრალო მცხოვრებლებს, შორიდან მაყურებლებს გულში ეცინებოდათ. მოსახვევებთან ჩუმად ლაზღანდარობდენ:

— ასე იციან, ბატონო!.. წამოეჭიდებიან უზარმაზარს, გაუგონარს და მერე ვინ: უსწავლელი მუშები, სად გაგონილა 2.000 კილომეტრი, ეს ყოვლად შეუძლებელია, ნამდვილად გასაოცარი ხალხია, ნამდვილად გასაოცარი!

რკინის გზის საგზურის და საყუდის ადმინისტრაცია ლამის დაიბნა.

ადგილკომში იჯდა მობუზული თავმჯდომარე და გააფთრებით სწერდა ლონისძიებებს, პარტკოლექტივში დღე და ღამ თათბირი იყო და კვამლის მყრალი სუნი იდგა. უჯრედის მდივნები ტახგაუხდელად იძინებდენ...

კედლის გაზეთები სამ დღეში გამოდიოდა, ყველა ორთქლმავალზე პარტორგები გამოიყო. დაწინაურებულები დაუბრუნდნენ ტრანსპორტს

ადგილი არ ჰქონია არც ერთ დაგვიანებას, გაცდენას, უბედურ შემთხვევას. შეჯიბრში გამოწვეულები ერთმანეთს ღდინში მისდევდენ, ფრთებს შლიდა სოციალისტური შრომა. საათის ისარი ზომავდა კუნთების მოძრაობას. საწარმოო თათბირებზე ერთმანეთს კბილებით გლეჯდენ, ამათრახებდნენ...

ვილაცამ კვერთხის 1 წუთით დაგვიანებისათვის იმ დღეს სადგურის მორიგეს აწყენია.

ჯამბაზ სეთამ და სხვა ამხანაგებმა ლევანი აიყვანეს ბუქსირზე. დაეხმარენ „ჩამორჩენილს“; მათ, ბუქსირზე აყვანილ ლევანას ერთ დღეს გაუსუფთავეს ორთქლმავალი, შეუკეთეს ოდნავ დაზიანებული „ფარსუნკა“, რომელიც საწვავ მასალას ფლანგავდა. სადღაც თავიანთ ოჯახებში სათადარიგო იარაღები უშოვეს და ორთქლმავალზე ამოუტანეს. აგრეთვე უშოვეს ორთქლმავლის გასარეცხი რეზინის მილი, ბაბიტი და პაკლი თავიანთ ნორმიდან მოაკლეს და ბლომად დაუყარეს. მანომეტრი და რეგულიატორი შეუმოწმეს, თავის რიგზე აღმოჩდა, მხოლოდ ქვაბში წყლის სიმაღლის გამზომი მილი იყო მოუვლელი და დაუფარავი. ლევან შეორაცყოფილი, რაღაც „ბუქსირით“ ორთქლმავლის კიბესთან იჯდა თავისთვის, წარბშეკრული ხმას არ იღებდა, გულში კი დედას იგინებოდა.

და როდესაც მემანქანეები წავიდენ, ჯავრისაგან ერთი დუჟი გადააფურთხა...

ტეხნიკოსები ეკონომიურ ბიუროში „არიფმომეტრებს“ ატრიალებდენ. გაფაციცებით ანგარიშობდენ პროცენტებს და შემდეგ უზარმაზარ რუხ დავთრებში სწერდენ.

კვარტალის პირველი თვე ილეოდა.

საღამომდე ძლივს მოხერხდა პროცენტების საბოლოო შეჯამება.

ფარულად გახელილი თვალები დარჩათ ამ საქმის თანდამსწრეებს.

ლონიერი ორთქლმავლის ბღავილივით მთელ ქალაქს მოედო.

— სატრანსპორტო გეგმა სრულდება გადაჭარბებით...

კომუჯრედში სასწრაფო კრება მოიწვიეს. კრება კი არა, ნამდვილი საზეიმო სხდომა იყო. უჯრედის მდივანს ტუჩებიდან დუჟი გადმოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელებს ჩაქუჩივით იქნევდა და ხმამაღლა ღრიალებდა...

სატრანსპორტო გეგმა სრულდებაო?

მემანქანეებმა სადგურის დერეფანზე განიერად იწყეს სიარული, დამკვრელები თავიანთ გამარჯვებას უბრალო კერძო გასაუბრების დროსაც გარკვევით უსვამდენ ხაზს და იღიმებოდენ.

ლევანს ეგონა: აი ვნახოთ, სატრანსპორტო გეგმა არ შესრულდება, მაშინ მოიგონებენ ჩემს ნათქვამს და ყველანი დამაფასებენო. არ გამართლდა მოლოდინი და სადგურის დერეფანზე გამოსვლის რცხვენოდა. მემანქანეები გაამასხარავებდენ, მოაგონებდენ, როგორ მოიქცა იგი კრებაზე და მოურიდებლად გაამათრახებდენ.

ლევან დადიოდა გულჩათხრობილი. ამხანაგები თითქოს არ ყოლოდა არასდროს, ისე გადაივიწყა. ჩუმათ შეახტებოდა თავის ორთქლმავალს და სადგურიდან გაპარვას ჩქარობდა...

რკინის გზის სხვა სადგურებზე, სხვა საყუდის მემანქანეები შემოხვდებოდენ. მათაც გაეკოთ სატრანსპორტო გეგმის შესრულება და ლევანს მშობლიური საყუდის გამარჯვებას ულოცავდენ.

ლევანს გულზე თავმოყვარეობის ნემსი გაკაწრავდა, მაშინათვე შუბლი შეეკვრებოდა, მიდამოს დახვერავდა. ახლო ამხანაგი, ჩემი საქმის მცოდნე ხომ არავინ მისმენსო და შემდეგ თითქოს არაფერს დაიმჩნევდა, დაიწყებდა ტრაბახს:

— ეჰ.. 2 000 კილომეტრი გვქონდა ამ კვარტალში შვილოსან, გადაჭარბებით შევასრულეთ, ვიბრძოლეთ, მა რა თქვენისთანა დეზერტირები და ოხრები ხომ არა ვართ?..

აქ განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ლევანი სიტყვა: დეზერტირს.

შემდეგ ერთბაშად დადუმდებოდა. სინდისის სამინელი ქეჯნა შეაწუხებდა და თავის ნაცნობს ჩქაოა გამოემშვიდობებოდა.

ერთხელ ამხანაგებმა მიიმწყვდიეს ლევან სადგურის კუთხეში და საყვედურებით გაავსეს:

— შენისთანები რომ იყვნენ ეს ბიჭები, მაშინ მართლაც დავმარცხდებოდით და შავ დაფაზე გავადენდით გლეჯას. რას იბღვირები შვილოსან, დღესაც ხომ მოგვრეძანი არ ჩახეთქე. წადი, საყუდს ნუ შეგვირცხვენ, მშიშარავ, წადი!.. და თავჩაღუნული ლევან იქ კუთხეში მიაგდეს, მიატოვეს, თვითონ ღიღინით და ხარხარით გააგრძელეს გზა.

ლევან: ფიქრობდა თავისთვის, ზომავდა, ყოყმანობდა, ანგარიშობდა.

ხან სრულიად უბრალოდ და უდანაშაულოდ ეჩვენებოდა საკუთარი თავი. მაშინ სიმხნეე და სიცოცხლე უათკეცდებოდა.

ხან დაამძიმებდა გამოუვალი ფიქრები და მაშინ ლევანს აღარ ესმოდა, რას აკეთებდა. იმ დღეს სატრანსპორტო გეგმის გადაჭარბებით შესრულებაზე რომ გაეგო, კინაღამ მივაოდა ადგილკომში, რათა თავისი გაოცება და აღტაცება საჯაროდ გამოეთქვა.

მაგრამ იმავ წუთს მუხლებში კაზანცევის მუხრუჭი ჩაუდგა და მემანქანე ლევან ერთ ადგილზე გაქვაკდა.

ლევანისათვის კვარტალის მეორე თვე გადამწყვეტი შეიქნა.

ახლაც თვიური გეგმა საყუდის დამკვრელებმა გადაჭარბებით შეასრულეს. „არიფმომეტრი“ უჩვენებდა 113 პროცენტს.

ლევანს კერძო საუბარში თავის თანაშემწესთან წამოცდა: „მე შეცდომა გავაკეთე“, მაგრამ მეორე წუთში ყველაფერი ისევ გადათქვა, თანაშემწემ

„ღდინში ჩასდია“, მაგრამ ლევანი თავისას არ იშლიდა; ხელების აერში ტრიალით ამტკიცებდა, რომ ის ცამდის მართალია...

გულში კი ოდნავ სხვანაირი ფიქრები უტრიალებდა. თვალწინ ედგა ჯამბაზი სეთა და გამოსათქმელად დალაგებული სიტყვები ყელზე აწვებოდა:

— ჯამბაზ!.. შევრიგდეთ შე სახე ძაღლო, ჰა!.. ყოჩაღ ძმაო!.. რავა მოგწონს... გაიმარჯვეთ კი ზორბად. საყუდი მთელ ქვეყანაზე ასახელეთ. მოიტა ხელი, შევრიგდეთ, ჯამბაზ!..

ღღეები თავბრუდამხვევ სისწრაფით მირბოდენ, როგორც უღელტეხილის თავდაღმართზე გაქცეული ათას ტონიანი საგეზო შემადგენლობა...

ლევანს კვარტალის დამთავრებამდე უღელტეხილის ხაზზე სრულად ჩვეულებრივი და უბრალო ამბავი შეემთხვა.

დილიდანვე შეუსვენებლად ასხამდა კოკისპირულ წვიმას, გზები და ბოგირები მოვარდნილ ღვართქაფმა გადარეცხა. მთებზე მოვიდა თოვლი და კალთებამდე წიწვიანი ტყეები თეთრად შეიმოსა.

ლევანს უნდა წაეყვანა მატარებელი უღელტეხილზე; ჯერ არ იყო დაღამებული, საათის ისარი აჩვენებდა ოთხს, მაგრამ ქალაქში ელექტრონის ბრჭყვიალა სანათურები უკვე ციმციმებდენ.

იმ ღღეს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული სხდომა იყო. სატრანსპორტო გეგმის შესრულებას ზეიმობდნენ.

ლევან სხდომაზე არ წავიდა, არც არავისათვის სიტყვა შეუბრუნებია, შეახტა „კნორას“ და სემაფორის ქვემოდ წაგრძელებულად მისცა ნიშანი ცოლს. ცოლი ეზოში გამოგოგდა და თეთრი ცხვირსახოცი დაუქნია. პატარეებიც ბაბას ძახილით გამოეკიდენ. ლევანმა „ბუხარის“ ქუდი წინ ჩამოიფხატა და გაიღიმა...

მატარებელმა ქშენით გადირბინა ველები და ნაძვნარების იქით მიიმალა. ცოტა ხნის შემდეგ მატარებელი უღელტეხილის დაღმართზე მორბოდა. უღელტეხილზე დარბოდენ ქარები და ციოდა... კოკისპირული წვიმა ესხმებოდა მიდამოებს. მთების ფერდობებზე შავი, მაზუთის ფერი ღრუბლები დაბობლავდენ. სადღაც, ხეობებში ჩხრიალით ესხმებოდა ნიაღვარი, კლდეებიდან მეწყერი გრუხუნით ზავდებოდა და უზარმაზარი ქვები ცვიოდა უღელტეხილის ლიანდაგის გასწვრივ.

სადღაც კლდის ციცაბოზე ქარიშხალმა ტანბრგე ნაძვი გადატეხა, ხმა ზედიზედ, როგორც ყუმბარის ჭახანი, გაისმა ხეობებში და ერთბაშად მიწყნარდა. გადამტვრეული ნაძვი ტოტების შრიალით, კლდეების ქვემოთ, უზარმაზარ ორბივით სადღაც ჯურღმულში ჩაფრინდა.

კლდის მწვერვალზე ელვამ დაიტატანა თეთრი, ფერმკრთალი სხივებით. და მაშინვე სადღაც დამაყრუებელი შხუილით დაიჭექა... და ისევ ყველაფერი სიჩუმემ ამოიცვა, ხეობებში მხოლოდ ნიაღვარი ჩხრიალებდა, იქ ზემოდ, კლდის მწვერვალზე ნაძვის ტყეს ცეცხლი ტკაცუნით მოეკიდა და მაღალი თეთრი მწვერვალები გაანათა

მატარებელი მირბოდა ხეობაში. თეთრი ფანტელა კვამლი, უერთდებოდა ღრუბელს და წვიმის გათოშილი წვეთებით იცხრილებოდა.

— ცუდი დარია!

გადაჭრით თქვა მემანქანე ლევანმა და ტენდერისკენ შეტრიალდა. ერთი ამოიხვნეშა, შემდეგ გაიღიმა და ხის ყუთი დინჯი მოძრაობით გახსნა, იქიდან ათ უთად ამოიღო თეთრი შუშა და სინათლეზე გახედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოსტატო, რას შვრებით!.. ეს შეუძლებელია, უღელტეხილზე, ამ საშინელ ღამეში, ეს სახიფათოა; მისმინეთ ამხანაგო ოსტატო... რას ჩადით!..

მემანქანის თანაშემწე ახალგაზრდა ტან-ჯანსაღი ყმაწვილი მიუახლოვდა ლევან ღონღაძეს, მაგრამ ველარ გაბედა მაჯაზე წაევლო ხელი და შეეჩერებია...

დილით სამწუხარო ამბავი მოვიდა იმ პატარა ქალაქის რკინის გზის სადგურში.

მატარებლის შემადგენლობა, რომელიც უღელტეხილზე მიჰყავდა ლევანს, ლიანდაგიდან აცდენილიყო, როგორც ტელეგრაფი იტყობინებოდა, იყო აგრეთვე ადამიანის მსხვერპლიც.

ამბავი იმ წუთშივე გაიგო მთელმა ქალაქმა.

მემანქანეები საუბრობდენ საშინელ, სახიფათო უღელტეხილზე.

იგონებდენ უბედურ შემთხვევებს.

მატარებლების ხეობებში გადაჩეხვის და მემანქანეთა ორთქლით დაწვის შემაძრწუნებელ ამბებს. გარედ კი ისევ შეუწყვეტლად წვიმდა და წვიმდა.

საღამოს ამოიყვანეს გაფითრებული ლევანი.

იგი დამნაშავე, კისერ-ჩაღუნული მოაბიჯებდა, ორივე ხელები ზურგზე შემოეწყო და ჩასჩერებოდა მიწას.

მას მემანქანეები შემოხვდენ, მაგრამ შეეშინდათ საშინლად გაწეწილ ფიგურის, ხმა არ გაუციათ, უკან აედევნენ.

ვიღაცამ ხალხში ხმამაღლა დაიყვირა და მარჯვენა მჯიღი ჰაერში შეათამაშა:

— ჰაიტ!.. დეზერტირო, მაჩანჩალავ!.. ალბად გახეთქილი იქნებოდი!.. პროლეტარულ სახელმწიფოს ათასობით აზარალე,—სალახანავ!...

ლევანმა მხოლოდ ერთი აიხედა: მემანქანეები ისევ მდუმარედ მოყვებოდენ. ხმამაღლა აბასაშვილი ლაპარაკობდა, უჯრედის მდივანი. ლევანმა მაშინვე თავი ისევ ჩაღუნა, ღრმად ამოიოხრა.

რკინის გზის პოლიტ-ბიუროში შეიყვანეს.

ლევანმა თვალები ცრემლით გაივსო და აკანკალებული ხმით დაიწყო:

— ველარ შევამჩნიე სვეტი, დალმართის სიახლოვეს რომ გვატყობინებს. მე სიჩქარეს ვანვითარებდი და იქვე თურმე დალმართი იწყებოდა... მატარებელი გამექცა. გაფრინდა ორი ათასი ტონა ხეობიდან ხეობაზე, ჩემი „კნორა" განწირულივით ბღაოდა. კაზანცევმა ვერ აიღო მუხრუჭი, „კონტრპარი" გაუშვი, არაფერმა უშველა; მაშინ კინალამ შევიშალე; ცეცხლი ჩავაქრე, ორთქლი გადავკეტე და უგრძნობლად დავეცი.

მახსოვს, ნაძვნარები როგორ სიზმარივით მისცურავდენ უკან... მეტი არაფერი... მატარებელი ჩიხში შევარდნილიყო. გამოვერკვიე. მეგონა ყველაფერი დაინგრა და გაცამტვერდა.

მე განცალკევებით ვეგდე მინდორზე. როგორ? საიდან? ეხლაც არ ვიცი. თვალი გავახილე. მთელი შემადგენლობა აცდენილიყო ლიანდაგიდან. ჩემ ორთქლმავალს, მარჯვენა ცილინდრი მოგლეჯოდა, მიწაში ჩაფლულიყო. მაშრალი ორთქლის ქვაბი გახეთქილიყო და დამაყრუებელი ბღავილით იცლებოდა. ორთქლმავალს კიბეები ჩამოგლეჯოდა, ტენდერს კედელი ჩანგრეოდა და წყალი იღვრებოდა. ვიღაც გულის შემღონებლად კვნესოდა, მე ვიცანი ჩემი თანაშემწის ხმა...

მე კი ვეგდე მინდორზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიღუპა!.. ვაი დედასა, რა ბიჭი დაიღუპა!.. ორთქლმავალიც დაიღუპა, ოო!.. ასეთი ლონიერი ორთქლმავალი მეორე არ იყო საყუდში...

ოთახში სიჩუმე დადგა.

ლევანმა თავი ჩალუნა.

IV

ლევანი მთელი დღე იჯდა სახლის დერეფანთან, იდაყვზე დაყრდნობილი. გაჰყურებდა ქოჩორა ტყეს, პურის ყანებით ამწვანებულ ველ-მინდვრებს და ფერად ყვავილებით მორთულ ხეივნებს

დღე არ ლამდებოდა, საშინლად გრძელი და ამოულეველი ეჩვენებოდა ლევანს დღეები. მზე გაყინული, გარინდებული და უმოძრაო ეკიდა შუა ცაზე; მოურიდებლად, მწველი შემოხედვით დაჩერებოდა იგი მიდამოებს და ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა.

სიცხისაგან შეწუხებული და მოთენთილი ჩრდილები უმოძრაოდ ეყარენ: ველებზე, ხეივნებში, ორლობეებში.

იდაყვზე დაყრდნობილი იჯდა ლევან ნაქირავებ დერეფანში.

ეზო სახლკარის წინ ლიანდაგის დამბა იყო ამართული, დღეში რამოდენიმეჯერ მატარებლები ბღავილით გადარბოდენ უღელტეხილისკენ.

აი თვალწინ უდგას ლევანს უღელტეხილის თვალმიუწვდენელი მთები. თეთრი მწვერვალები, ხეობები და ჩაშავებული ხრამები. ქვემოთ ფერდობები და კალთები. ლევან ხედავს: ყველაფერი ნახშირისფერ ღრუბელს გადაუფარავს. ეხლა უღელტეხილზე კვლავ ხეობებში წივილით და ოხვრით დაგოგავენ მატარებლები.

ისმის ხმაური ზოდების. იბრძვიან აზხანაგი მემანქანეები, რათა ნავარაუდევზე მეტი დოვლათი შექმნან. მატარებლები გადმორბიან თავდალმართებს, დამუხრუჭებული ბორბლები გაყინულია და უმოძრაო. მატარებლები მაინც მისცურავენ წივილით. ხეობა ხმაურობს და გრიალებს. მემანქანეები სხედან კიბეებთან და თვალგახელილი მძაფრი გამოხედვით ზვერავენ ლიანდაგს. ორთქლმავალი ბორგავს მატარებელი იბრძვის, ბღავილით მიიწევს წინ 2.000 კილომეტრისაკენ. იქ: რამდენი შრომაა და განცდა. იქ: რამდენი სიხარულია და აღტაცება.

აი! მშობლიური საყუდი. შავი, პატარა ოთხკუთხედი შენობა. უღელტეხილის მთების სამხრეთ აღმოსავლეთით მღვრიე მდინარის ნაპირად დგას და იხრჩოლება. უღელტეხილის გადასარბენზე დაავადებული შავი ორთქლმავლები ღრუტუნით და კვნესით მკურნალობენ. ადიდებული ცეცხლი ქურაზე გუგუნით და ტკაცანით იწვის. ოროები, ჩაქუჩები, კბილუნები, პლევმატიური ჩაქუჩები, ორთქლის ჩაქუჩები, ოფლით დანამული მაჯები, მიიწევენ 2.000 კილომეტრისაკენ რამდენი მოძახილი სიმღერა! რამდენი ჟინი გამარჯვებისა! ნავარაუდევზე მეტი ჯანსაღი ორთქლმავალი უღელტეხილს. ნავარაუდევზე უკეთ შეკეთება ორთქლმავალს!

ხედავ: მესამე ლიანდაგზე სადგურის გასწვრივ, დგას სველი შემადგენლობა. აი ორთქლმავლები გამოიყვანეს საყუდიდან. შეაბეს 2.000 ტონას ახლად შეკეთებული რკინის და თუჯის ორბები, უღელტეხილზე გასაფრენად ემზადებიან. მწყობრად იღებენ ატმოსფეროს. ორთქლმავლები გამოსამშვიდებელ ნიშნებს ბღავიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ნაქირავებ დერეფანში იდაყვზე დაყრდნობილი ფიქრობს. აღარ თავდება დღე... რამდენი ხანია მემანქანე არ წასულა სამუშაოზე. მისი ამხანაგები, ძმები, ოფლად იღვრებიან, ძალღონეს არ იშურებენ, თვითონ კი დაამსხვრია, გააოხრა ყველაფერი, მართლაც დეზერტირი და მაჩანჩალა.

ლევანს ერთი რამე ამშვიდებდა: აკი ათი დღე იკვლიეს მისი მატარებლის დამსხვრევის მიზეზი. კომისიამ დაასკვნა: ლევან ცამდის მართალია: მატარებლის დამსხვრევაში ლევანს არაფერი ბრალი მიუძღვის.

განა იშვიათია ულელტეხ ლზე უბედური შემთხვევა?

გაგექცევა მატარებელი, წვიმიან ღამეს განწირული ხარ. აი ულელტეხილის კანონი. ლევანს პირიქით კომისიის წევრები ულოცავდენ გადარჩენას, უკვირდათ რატომ ჭკუიდან არ შეიშალა მემანქანე. კომისიის დასკვნა ხომ ცენტრალურ გაზეთებშიდაც დაბეჭდეს. ლევანს ამართლებდენ მემუხრუჭეებიც, რომლებიც ყველანი უვნებლად გადარჩენ. მემუხრუჭეებიც ხომ მთელი ძალღონით უჭერდენ ხელს მუხრუჭებს, მაინც არაფერმა უშველა, მატარებელი მაინც მიფრინავდა...

საბრალო თანაშემწე, ისიც, ალბად, უეჭველად გაამართლებდა ლევანს, ისიც, რომ გადარჩენილიყო.

ლევანს ეს ერთი რამ—გამართლება—ამშვიდებდა.

მაგრამ ერთბაშად მოაგონდებოდა თეთრი შუშა, საძაგელი და საზიზღრად თეთრი და შემდეგ არ შორდებოდა იგი თვალებიდან. ლევანს ეკარგებოდა მოსვენება. გული ცემას უწყებდა. მისი თანაშემწე ეხლა მაჯაზე კი არა, თითქოს ყელში უჭერდა ხელს. ლევანს უნდოდა მივარდნილიყო იმ თეთრ შუშასთან და ნამსხვრევებად ექცია, გაეცამტვერებია. მუქარით და ღრიალით ვარსკვლავები ჩაოეწყვიტა.

მაჯაზე დაყრდნობილი ლევან მთელი დღეები ზის დერეფანთან. რამდენი ხანია არ წასულა სამუშაოზე. იგი ცამდის გაამართლეს, უბედური შემთხვევის დაწვრილებით გამორკვევის შემდეგ ლევანს მაინც არ ასვენებს თეთრი შუშა. მემანქანე ებრძვის თავის თავს. გამძაფრებით უნდა დარწმუნდეს: ეს შუშა არ არის მიზეზი უბედურებისა.

მემანქანეს მატარებელი გაექცა, ის შუშაც რომ არ ყოფილიყო, მაინც გაექცეოდა.

ღამე ცუდი იყო და ნიშანსვეტი ველარ შეამჩნია. მერე რა იშვიათია ულელტეხილზე ამგვარი ამბები?

ლევანმა ეხლა კი კინალამ საბოლოოდ გადასწყვიტა: მიეტოვებია სამსახური და სოფელში გადასახლებულიყო. მოშორებოდა ამხანაგებს. წასულიყო თავისთვის, თავის ძველ მამულში. მეორე დღეს შვებულება ითხოვა. გეგმა დააწყო:

ჯერ იმ პატარა, ტალახიან ეზოში ჩასახლდებოდა. სახლის წინ ქარის საფარად ხეებს დარგავდა. თხას მოაშენებდა და ბოსტნისათვის წვირეს ამოჩიჩქნიდა. გლეხის პაჭიჭებს და ქალამნებს ჩაიცვამდა. ლურჯი ქუდის მაგიერ ნაბდის ნაგლეჯს წაიხურავდა და თავის დღეში არ გამოიწერდა გაზეთებს.

ბოლოს დაიწყო ისევ ყოყმანი. ლევანმა როდესაც ასი წარმოიდგინა თავი, რაღაც შეეშინდა და თავი ნერვიულად მოიფხანა. მოფიქრებული ისევ გადათქვა. აზრებზე ხელი აიღო, ღამე ძილი არ ეკარებოდა. ფიქრებში გართული თეთრად ათენებდა.

ბოლოს, ყველაფერს, ისევ საყუდი და თავისი ამხანაგები ამჯობინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

V

2000 კილომეტრს მემანქანებმა დიდათ გადააჭარბეს,
თვის ბოლო იყო და სოცშეჯიბრში გამარჯვებულებს აჯილდოვებდენ.
საყუდი ზეიმობდა.
რკინისგზის კლუბი ისევ გაჭედილი იყო მემანქანეებით.
ახალი კვარტალისათვის ენტუზიასტები თავს დამკვრელებად აცხადებდენ.
დარბაზში მუსიკა გრიალით უკრავდა „ინტერნაციონალს“.
შავი მაზუთით გატკეპნილი ტანსაცმელი ჩაეცვა.
ხელზე ეკავა სანათური. შვებულებიდან ბრუნდებოდა.
ანგარიშობდა და მოაბიჯებდა ლევან ლიანდაგებთან. მუსიკის გრიალი ესმოდა შორიდან და გული უყუჩდებოდა.
ლევან სანათურით ხელში ანგარიშმიუცემლად რაღაც იდუმალ ხელს მიჭყავდა კლუბისაკენ!.. ლევანს თითქოს არ უნდოდა ეს, თავს იკავებდა, ფეხებს უკულმართად მიაბიჯებდა.
შემოსასვლელ ისართან ორთქლმავალმა წაგრძელებულად დაიბლავლა.
ლევანმა ჯერ ყურადღება არ მიაქცია. შემდეგ ერთბაშად წელში გასწორდა, ხმა იცნო!
ჩემი ორთქლმავალი...
„კნორა“!
მერე როგორ!..
ეს შეუძლებელია!..
მე ხომ ის თვითონ დავამსხვრიე!..
იმავე წუთს სადგურში ხვნეშით შემოვიდა ორთქლმავალი, რომელიც ცისტერნების ქარავანს მოათრევდა.
„ეგა“ 40163 „კნორა“.
ლევანი მივარდა მარჯვენა ცილინდრს, სახელური გადაუსვა, გაწმინდა. თვალები ფართედ გაახილა.
ზემოდ წითელი ასოებით ეწერა: „შეკეთებულია დამკვრელი ტემპებით, მუშათა დამკვრელ ბრიგადის მიერ, სამუშაოს ზედმეტ საათებში, უფასოდ“.
ჩემი ორთქლმავალი!..
ლევანმა ღრმად ამოიხვნეშა, თანხმობის ნიშნად თავი ჩაიქნია... ეხლა იმ იდუმალმა ხელმა კლუბის კარები ნერვიულად გააღო და მემანქანე ლევან ერთის ძლიერი მოქნევით, შურდულივით შეაგდო შიგნით.
ტრიბუნასთან ჯამბაზი სეთა იდგა. ამხანაგს იწვევდა შეჯიბრში.
დარბაზს გაუკვირდა ლევანის სტუმრობა.
ლევან არავის შეკითხებია და არც წუთით შეჩერებულა. მაღალი და ჩქარი ხმით მიაყარა.
— ორთქლმავალი!.. ამხანაგებო!.. ორთქლმავალი შეუკეთებიათ!.. ჩემი ორთქლმავალი!. მე ეს არ ვიცოდი,—სრულებით, არ ვიცოდი!..
შუა დარბაზში ვილაცეებმა ჩაიცინეს:
— მერე რა?.. სამაგიეროდ ჩვენ ვიცოდით...
დარბაზმა ჩააჩუმა ეგ სიცილი.
ლევანს ენა გაუშრა და დადუმდა. უკვე აღარ იცოდა შემდეგ რა ეთქვა. მერე თითქოს რაღაც მოაგონდა:
— მომეცით... მე ამხანაგებო ჩემი ორთქლმავალი მომეცით... ამ სიტყვაზე ლევანს ხმა აუკანკალდა.

ჯამბაზ სეთამ ირიბულად გადახედა ლევანს. ლევანმა გაიგო რატომ ასე ირიბულად უმზერდენ მას და გული აუჩქროლდა, ლაპარაკი შესწყვიტა.

თავჯდომარის მაგიდას მიუახლოვდა. სანათური იქვე ჩამოდგა და უფრო ხმამაღლა შემოსძახა:

— მე... ვაცხადებ თავს დამკვრელად, ამხანაგებო... მე მომეცით ჩემი ორთქლმავალი. მე იმასაც ვაცხადებ დამკვრელად... და შეჯიბრში ვიწვევ...

[აქ ლევანმა დაათვალიერა დარბაზი და ტრიბუნისკენ რომ მოიხედა, გაიღიმა]

— ჯამბაზ სეთეს.

მქუხარე ტაშმა დაფარა სიტყვები: „ჯამბაზ სეთეს". ამფითეატრში უკრავდა მუსიკა.

მემანქანეები:

— ყოჩაღ ლევან!.. ვნახოთ... ეხლა ახალი კვარტალი იწყება...

ვნახოთ... ყოჩაღ!.. მის...ცხე!..

ნაშუაღამევს ჩვეულებრივზე უფრო მხიარული დაბრუნდა ლევან სახლში.

ცოლს ეგ ამბავი, რა თქმა უნდა, გაუკვირდა.

მემანქანემ თავიდან ბოლომდე, დღევანდელი ამბავი, გახარებით მოუყვა მეუღლეს. შემდეგ ლოგინზე პირაღმა წამოწვა და ფიქრებს მიეცა. გეგმის შედგენა დაიწყო, როგორ ეჯობნა შეჯიბრში სეთესათვის.

შემდეგ იფიქრა: შეიძლება თუ არა შესრულდეს ახალი კვარტალის გეგმა?

შეიძლება, რა თქმა უნდა შეიძლება. გაიღიმა და ისე ჩაიჩურჩულა ლევანმა! რას არ შეძლებენ ეს ალქაჯები?

— ლევან, ნუ თუ შენ, აღარაფერი ისწავლე?..

დილით, სადგურის ახლოს დაგდებულ მინდორზე, ეკითხებოდენ მემანქანეს ორი ახალგაზრდა.

— ეშმაკსაც წაუღიხართ... რაღას დამცინით შვილოსან... ნუ გეშინიათ ჯერ თქვენც ბევრი რამე უნდა ისწავლოთ!

სამივემ გულიანად გადიხარხარეს. შემდეგ მხრებზე ხელი გადახვიეს ერთმანეთს და საყუდისაკენ გაემართენ.

მ ო ს ე გ ვ ა ს ა ლ ი ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ ფვერავა

საწარმოო ტრიბუნალი

ტფილისის წარმოებათა შორის ორთქმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხანა, ყველაზე დიდი და მძლავრი ქარხანაა. ამ წარმოებაში ხუთი ათასამდე მუშა მუშაობს.

ათი ათასი თვალი და ხელი მოძრაობს ქარხნის მრავალსახოვან საამქროებში ამათგან ზოგი დახურულ საამქროებში მიბჯენია საკუთარ დაზგებს და ზოგი, კი გაშლილი ცის ქვეშ შედგომია ნავთის ცისტერნების ქარავნებიდან ჩამორჩენილ ქვაბებს, რომელთაც ავადმყოფობა შეპარებია სხეულში და მუხლმაგარ რკინის ბორბლებში.

ისინი მიჩვეულნი არიან ღია ცის ქვეშ მუშაობას. მათ უფრო ზაფხულის მწველი დღეები აწუხებთ, მაშინ თვითეული ნაგლეჯი რკინა და ფოლადი, პირცეცხლიანი და ალმოდებული გამოიყურება. მაზუთის სუნით დამძიმებული ჰაერი ქვევიდან ცეცხლს უნთებს და სამჭედლო საამქროს ქურებში აგუზგუზებულ ნაკვერჩხალებივით ახურებს მათ ისედაც გაცეცხლებულ სახეებს.

ზამთრის ყინვიანი დღეები კუნთებს ვერ ეკარება და ვერ ადუნებს, რომ გუბეში ჩაძდგარ წყალივით გაყინოს ძარღვებში მჩქეფარი ცხელი სისხლი. ხელების მძლავრი მოძრაობა, ჩაქუჩების დიდ მუცლიან ქვაბებზე დარტყმა და იქვე ახლოს მაყალას მსგავს მოძრავ ქურაში ჩანთებული ცეცხლი—ერთ მთლიან სიძლიერეს ქმნის და ტფილისის მიდამოებიდან მობერილი მშრალი ქარი, ამ სიძლიერეს ყინულის ღეროებივით ამძიმებს და მერე კი ფანტავს მიდამოებში, რომ ყველამ იგრძნოს ამ ხუთი ათასი ადამიანის შრომა, ენტუზიაზმი და მისი სიდიადე. ამას კარგად გრძნობენ ამიერკავკასიის სარკინისგზო კვანძებიდან გამოგზავნილი ორთქლმავლები, ვაგონები და ნავთის ქვაბები, რომლებიც კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვენ.

ამ ქარხანაში ხშირად ნახავთ ავადმყოფ ორთქლმავლებს გამოგზავნილს განჯიდან, ბაქოდან, ევლახიდან, ჯულფიდან, ერევნიდან და აგრეთვე როსტოვიდანაც. მართალია როსტოვში მეტად დიდი და მექანიზაციაქმნილი (ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის საფუძველზე), შემკეთებელი ქარხანაა, მაგრამ ტფილისის შემკეთებელი ქარხანა მათ შეკეთებულ ვაგონებს უგზავნის. საქართველოს სხვა და სხვა სადგურებიდან გამოგზავნილი ორთქლმავლები და ვაგონები, ხომ სათვალავში არ ჩაითვლება. ისინი ხომ დაუპატიჟებელი „სტუმრები" არიან? თუმცა ძალიან „დარცხვენილად" შემოდიან ქარხნის დიდ კარებში, ალბათ იმიტომ, რომ ზოგს ბორბალი აქვს გატეხილი, ზოგს მუცელი ასტკივებია თვალ-უწვდენელ ველებზე რბენისაგან, ზოგს კი თავბრუ დასხმია ქვაბებში ჰაერის დაწოლისაგან. და, აი ორთქლმავლები შემოვიდენ ქარხანაში სამკურნალოდ; გაშავებულნი, გაყვითლებულნი, კოჭლები და ბრმებივით თვალებდახუჭულნი.

გარდა იმისა, რომ ამ ქარხანაში კეთდება სხვადასხვა სახის იარაღები, ოთქმაულები, ვაგონები და ნავთის ქვაბები—ამავე დროს აქ ყოვილ წლიურად სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებისაგან იქმნება ინდუსტრიალური მუშები, სოციალისტური ქალაქის მშენებლები და პროლეტარულ ფსიქოლოგიის მქონე ადამიანები, ისინი ოდესღაც შეტრფოდენ: ცივი წყაროს ჩუხჩუხს, მწვანე მთის ფერდებს, ჭალებში ნახირის მხიარულ ბღავლის და თეთრად გადათავნაყარებულს სიმინდების ტევრში თავების ტრიალს.

* * *

ფედკა კარობკინი კი არც ერთი იყო და არც მეორე. ის მამა მისმა ნიკიტა კარობკინმა სივაჟკაცის პირველ დღეშივე მოსწყიტა დიდებულ ახალგაზრდების გუნდს და მოწაფედ მიაბარა ტფილისის საყუდში. ფედკა პირველად ხელოსანმა ქვაბზე ამუშავა. რასაკვირველია, მას ჯერ არ შეეძლო რაიმე მნიშვნელოვანი საგნის გაკეთება. ამიტომ მისი პირველადი მოვალეობა იყო ვეებერთელა ამოღრმავებულ მუცლიან სანავთე და საბენზინე ქვაბების გამორეცხვა, გაწმენდა და შემდეგ, კი ხელოსანისათვის სამუშაო იარაღების მიწოდება.

ფედკას დიდებულ ამხანაგებისაკენ რჩებოდა თვალები, მაგრამ ისინი არსად სჩანდენ. ხშირად ნაღვლიანად მოიგონებდა ფედკა დიდუბელებთან გატარებულ ბავშობის დღეებს, წვრილმან თავგადასავალს, საბურთალოში ბიჭებთან თამაშს, მტკვარში ცურაობას და რაც მთავარია თევზაობას, როცა, რომ ფედკა ნიკიტასთან ერთად საღამოობით, ბადეთი, ვედრით, გამხმარი პურით და მწვანილით ხელში წავიდოდა სათევზაოდ.

მას თევზის ჭამა ისე არ ახარებდა, როგორც მისი დაჭერა, ბადიდან გამოყვანა, ხელში აყლათუნება, განსაკუთრებით თუ წვერა თევზი შეხვდებოდა. თევზაობით გულმოჯერებულები მთვარიან ღამეში მიწვებოდენ მტკვრის პირად. ფედკა დიდ ცეცხლს გააჩაღებდა, ნიკიტა კი დიასახლისობდა, ახლად დაჭერილ თევზებს გამოშიგვნის შემდეგ ცეცხლზე სწვავდა. მერე ჯიბიდან ჭაჭის არაყს ამოიღებდა და ეს დაღლილი, დაპველებული ნიკიტა ფედკასთან ერთად მადიანად შეექცეოდა ახლად დაჭერილ თევზებს.

მაგრამ სადღაა ახლა ყველაფერი ეს? არა თუ ახლა, არამედ მაშინაც, კი როდესაც ფედკა, ნიკიტამ საყუდში მიაბარა მოწაფედ, მაშინაც მოწყვეტილი იყო ასეთ კმაყოფილებას და იგი მხოლოდ მოგონებათ რჩებოდა მის მრავალ განცდებით აღსავსე გრძნობებს.

ასე გავიდა მოწაფეობის დღეები. ეს მანძილი ფედკას მეხსიერებაში მდიდარი ამბებით არის გადაშლილი. მისი ახალგაზრდული მკლავები ამ მანძილზე ამოივსო ახალი სისხლით, ახალი ფიქრებით. უდარდელმა ცხოვრებამ, მტკვრის რიყეზე ცხელ სილაში გორაობამ და დიდებულებთან სივაჟკაცემ განვლო, წავიდა და საყუდის მუშურმა ატმოსფერამ მის გონებასა და გრძნობებში შემოიტანა რაღაც ახალი, რაღაც ფედკასთვის არ განცდილი, მისთვის უჩვეულო პროცესები, შრომის სიყვარული, ახალი ყოფით და ახალი ფიქრებით აღსავსე.

ასე დაიწყო ფედკას ცხოვრებაში დამოუკიდებელი შრომის დღეები. ასე გაეხვია ფედკა მაზუთის სინესტით გაჟღენთილ მუშურ ტანსაცმელში. ასე დარჩა ობლად დიდებული ახალგაზრდა ყარაჩოღელები მათთვის ნაფიცი ძმის, მეგობრის, განუყრელი ამხანაგის, ფედკა კარობკინის მოცილებით.

ფედკას ისიც კი ეგონა, რომ დიდუბის მიდამოები, საბურთალო, მტკვრის ნაპირები და ის ადგილები, სადაც ფედკას თავის ამხანაგებით ფეხი დაუდგამს,

თითქოს დასტირის და გლოვობს მის მოშორებას. იგი ვერ ინახულებს და ვერ გაამხიარულებს მას ისე ხშირად, როგორც ამდენანს. ეს მოგონება ახლაც შეაწუხებს მორჩა ფედკას. მან ოთხი წელი იმუშავა მოწაფედ. ამ ხნის განმავლობაში დიდი გამოცდილება და ცოდნა შეიძინა.

— ქვაბის ექიმი მოვიდა, აჩვენეთ, გაიგებს თუ რა სტკივა—ხშირად იტყოდენ საყუდის მუშები, როცა, რომ ფედკას დაინახავდენ. ის კი მხრებს აათამაშებდა, გაიცინებდა და ძველ გამოცდილ ინჟინერივით დაათვალიერებდა ქვაბის ყოველ ნაწილს, თუ რა აკლდა, რა ჰქონდა გატეხილი, მოშვებული ან გაცვეთილი. ჩამოსწერდა ყველას და წარუდგენდა უფროს ხელოსანს, ხელოსანი კი მაინც დაათვალიერებდა ორთქლმავალს: მაგრამ დასამატებელს ან ამოსაგდებს სიიდან ვერასოდეს ვერ პოულობდა.

1926 წლიდან ფედკა კარობკინი ტფილისის ორთქლმავალ ვაგონების შემკეთებელ ქარხნის საქვაბო საამქროში გადმოვიდა. ამ ხნიდან მოყოლებული ის სულ ამ საამქროშია მექვაბეთ. ბევრი რამ უნახავს ფედკა კარობკინს წარმოებაში. შეუძლებელია ყველა იმ განცდების, ნახულის და გაკეთებულის აღწერა, რაც ფედკას ცხოვრებაში არის მოთავსებული. ის მხოლოდ ფედკას ამხანაგების საიდუმლოებას წარმოადგენს.

* * *

ფედკა კარობკინის ცუდი და კარგი თვისებები მაშინ შეიქნა ყველასათვის გასაგები, როდესაც, რომ ტფილისის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხანამ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა. ეს წუთები მთელი ქარხნის საწარმოო ცხოვრებაში რაღაც არაჩვეულებრივი სიხარულის და გმირული შრომის ენტუზიაზმის გადმოშლის დღეა. ამ დღეს ყველამ იგრძნო ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც მათ თავდადებულმა შრომამ მოიტანა და რომლებმაც მთელ საბჭოთა ქვეყანას გეგმაზე მეტი რაოდენობის ორთქლმავლები და ვაგონები მისცა.

ამ დღეს ფედკა კარობკინიც მხიარულობდა, საზეიმოთ მორთულ ქარხანაში საზეიმო განწყობილებით მიდიოდა.

გავიდა რამოდენიმე დღე.

დაიწყო მესამე გადამწყვეტი წლის პირველი კვარტალი. თითქოს ყველაფერი შეიცვალა. ის მუშები, ხუთ-წლედის გმირები, დამკვრელები და მებრძოლები, რომლებიც გმირულად იბრძოდენ პირველობისათვის, თითქოს ალარ ჩანს ახლა—დაიწყო ქარხანაში საფინანსო-საწარმოო გეგმის გარღვევა, ჩაშლა.

ქარხნის ყველა საამქროში საქვაბო გამოირჩევა, როგორც ერთ-ერთი მძლავრი და მთავარი წარმოება, ხერხემალი, ორთქლმავლების სულის ჩამდგმელი, ქვაბის შემკეთებელი. საქვაბო და საამწყობრო საამქროებზე, ბევრად არის დამოკიდებული ქარხნის გეგმის შესრულება.

დაიწყო საქვაბოში გარღვევა. ის მთელი ქარხნის გარღვევის დასაწყისია თითქოს შეჯიბრებაში გამარჯვებულთა კუნთები მოითენთა, არ სდუღს მათში სისხლი, არ აინტერესებთ ამ გამარჯვების შემდეგ მომავალი გამარჯვება. ყველაზე საქებარი და ხელით სანიშნებელი ქარხანა, სამარცხვინო ბოძზე გასაკვრელი გახდა.

საქვაბო საამქრომ, იანვარში გეგმა ერთი ქვაბის გადაჭარბებით შეასრულა. თვიური გეგმის მიხედვით საამქრომ ქარხანას უნდა მისცეს კაპიტალურ შეკეთებიდან 28 ორთქლმავალის ქვაბი.

თებერვალში 26 ქვაბი გამოუშვა, გეგმას ორი ქვაბი დააკლდა. ამ ორი ორთქლმავლის ქვაბით, თვიურ გეგმას დააკლდა მამოძრავებელი ძალა, რომელსაც მკერდით უნდა შეენგრია ახლად დაწყებული გარღვევა. თებერვალი უკვე გარღვევის ნიშანი იყო. ეს მოვლენა დამაფიქრებელი უნდა ყოფილიყო საამქროს ხელმძღვანელებისა და დამკვრელებისათვის, რომელთა მაზუთის ფერი თვალები, შეჯიბრებაში გამარჯვებისაგან ისე ფართოდ გამოიყურებოდა, ისე აფენდენ საამქროებში ვერცხლის ფერ სხივებს, რომ გეგონებოდათ თვალები გადმოცვივნდათ მურით და ნახშირით სავსე უპეებიდანო.

დასრულდა თებერვლის ცივი და ყინვიანი დღეები.

გაიყინა და სიცივისაგან წელში მოიხარა საამქროში შემოტანილი ახლად დაშლილი ორთქლმავლის ქვაბები, რომელსაც ჯერ არ შეხებოდა მექვაბეების სიძლიერე, ჰაერის ჩაქუჩები, ელექტროდენი და რკინის ბურღები.

მარტის არეულმა ამინდებმა, რომელიც თოვლნარევ წვიმით მოევლინა ქალაქის მიდამოებს, თავისი დაუწყნარებელი და ამინდის ცვალებადობის აღსავსე ხასიათით—თითქოს გავლენა მოახდინა ქარხნის და კერძოდ საქვაბო საამქროს ცხოვრებაზე. რა მოხდა? რამ აამღვრია საამქროს საუკეთესო დამკვრელის ლადო მელვინიშვილის თვალები, პირისახე და მისი გამოხედვა? რატომ ასე თავ გამოდებით გაყვირის დაზგებზე?

— დამკვრელებო! გარღვევამ მგონი ჩვენი მკერდებიც შეანგრიოს. სად არის ჩვენი შრომის სიამაყე; დამკვრელობა, სოციალისტური შეჯიბრება? სად არის გრძნობა პასუხისმგებლობის?!

ლადო მელვინიშვილი აღშფოთებული იყო იმით, რომ მარტის თვემ განვლო და გარღვევა თანდათან იკიდებდა ფეხს საამქროში. თებერვალში თუ ოცდა ექვსი ქვაბი გამოუშვეს შეკეთებიდან, მარტი კი რაღაც სახელის გამტეხი და სამარცხვინო თვე შეიქნა მთელი ქარხნის და საამქროებისთვის.

მარტში თვრამეტი ქვაბი იქნა გამოშვებული.

ათი ქვაბი დააკლდა თვიურ გეგმას.

ეს მეტად დამაღონებელი და დამაფიქრებელი შეიქნა სასიცოცხლო ძალებისათვის. ასეთ დროს საჭირო იყო მთელი მამოძრავებელი ძალების ამოქმედება, მუშაობის მეთოდებში ძირითადი გარდატეხის მოხდენა და ენტუზიაზმის ახალი ტალღის გაშლა, რომ ბოლშევიკური ტემპები დაუფლებოდა თვითეულ დაზგას და მასზე მომუშავე მუშებს.

მეზობელი შემკრები საამქრო, საქვაბოზეა დამოკიდებული. მან დროზე უნდა მიაწოდოს შეკეთებული ქვაბები, ამ მიზეზით საამწყობო საამქროც გარღვევის შუა გულში მოემწყვდა. საჭიროა მათი დახმარება, გარღვევის მოსპობა.

საამწყობო საამქრომ შეადგინა ახალი ბუქსირხე ამყვანი 518-სა და 1440-ის სახელობის ბრიგადები, რომლებიც დამშეულებივით შეიჭრენ საქვაბოში. აამოძრავეს დამკვრელების გონება, გმირობა, პატიოსნება და მუშური სინიდისი—პასუხისმგებლობის მაღლა აწევით. ზოგიერთებს არ მოსწონთ, რომ ჩამორჩენის გამო ბუქსირზე აიყვანეს, ზურგს უმაგრებენ და წინსვლის ბიძგს აძლევენ.

— ჩვენ თვითონ დავძლევთ გარღვევას, სირცხვილია ამხანაგებო, რომ საამწყობროელები გვეწვიანენ წინ, ჩვენ თვითონ ვეყოფით ამ სამუშაოს.

იქვე მდგომი ლადო მელვინიშვილი ამ სიტყვებმა ააღელვა, გაფითრდა, თვალები გაუწითლდა და მაზუთში გასვრილი ხელები მავთულივით მოღუნა, სიბრაზისაგან თავი ვერ შეიკავა და დაიყვირა;

— ამდენ ხანს ხმას არ იღებდი, ყოველდღე თითო საათს იპარავდი, გარღვევას ხელს უწყობდი, ახლა კი ამხანაგების დახმარების წინააღმდეგი ხარ?. მაშ შენ არ გინდა, რომ გარღვევა მოვსპოთ ქარხანაში? მაშ შენ არ გინდა, რომ მოგვშორდეს სამარცხვინო ლაქი, რომელიც გაგვაკრეს სახეზე შენისთანა ცრუდამკრელობის მეშვეობით?.

— მე ვარ ცრუ დამკვრელი?!

— თითქოს არ იცი.—უთხრა მას ლადომ და გასწია შალვა სარაულის ბრიგადისაკენ, რომელიც მთელ საამქროში მოწინავე და სანიმუშო ბრიგადათ ითვლება.

* * *

ლადო მეღვინიშვილმა პარტიული მასები დარაზმა გარღვევის წინააღმდეგ საბრძოლველად, შესდგა ახალი ბრიგადები. მუშებმა იგრძენეს კარზე მომდგარი დამარცხების აჩრდილი. მათში მალე გამოიღვიძა პროლეტარულმა თავმოყვარეობამ, რომ წარსულ წელს ქარხანა პირველი მებრძოლთაგანი შეიქმნა შრომის ფრონტზე და ახლა როგორ უნდა ჩამორჩეს ცხოვრებას, როგორ უნდა გაიგოს საბჭოთა ქვეყანამ, რომ ტფილისის შემკეთებელი ქარხანა პირველობიდან ჩამოქვეითდა უკანასკნელთა რიგებშიო.

ამას ფიქრობს თითქმის ყოველი მუშა, რომელიც ახლა მთელი ძალ-ღონის მოკრებით და მთელი შესაძლებლობათა გამოყენებით ებრძვის გარღვევას. ისინი შემოხვევიან ქვაბებს თითქოს საომარ ბარიკადებს ამოფარებოდენ. ზოგი გარედან სცემს ჩაქუჩს, ზოგი ჰაერის ჩაქუჩს იჭერს ხელში მაგრად და ზოგი კი ქვაბში შესულა და არც კი მოსჩანს.

გუგუნებს ქარხანა.

ზანზარებს ქვაბში დატრიალებული ორთქლი ზედმეტი დაწოლისა და შეკუმშვის გამო.

სარაულის ბრიგადა მოწინავეთა შორის ტრიალებს, მოძრაობს, წუთს ტყვილად არ კარგავს. ბრიგადირები თვალებს აბრიალებენ, ოფლი წყალივით ჩამოსდით სახეზე, მათ სიმონიანის ბრიგადაც არ ჩამორჩებათ. ერთმანეთს ეჯიბრებიან, ერთმანეთს ახალისებენ, ენტუზიაზმი მათ შორის იკიდებს ფეხს დღითი დღე. მოხუცი შავლაყაძის ბრიგადაც იბრძვის, რომ ჩაბარებული ქვაბები ავადმყოფობისაგან განკურნოს, ზედმეტი ხორცი შემოაცალოს. ჟანგი სამუდამოდ დააწვას ცეცხლში. გაცვეთილი მარწუხები ახლად ჩამოსხმულით შესცვალოს, დაღუნული შემაერთებელი მილები გადაადნოს ჩამომსხმელ საამქროში და მის მაგივრად ახალი მილები ჩააწყოს ქვაბებში.

ყველა მოძრაობს.

ყველას სახეზე აღტაცებული შრომის განცდებია გაკრული.

უჯრედი ფეხზე სდგას, ლადოს დღე და ღამე არ სძინავს.

საწარმოო თათბირების ოქმები ამოივსო ახალ-ახალი ღონისძიებებით, რომ მოისპოს გარღვევა. პროფბიურო, ადმინისტრატიული და ტეხნიკური პერსონალი გამოცოცხლდა. ყველა გარღვევაზე ჰყვირის, ყველა გარღვევაზე ფიქრობს, თითქოს ვერ მოგინახავთ ისეთი ადამიანი, რომელსაც კი ამ დროს საამქროში გაევლოს, შესულიყოს საქმის ვითარებაში და არ დაფიქრებულიყოს შექმნილ მდგომარეობაზე, რომ მასაც რაიმე წვლილი შეეტანა საწარმოში თვიურ გეგმის შესასრულებლად.

ასეთ გამაყრუებელ ხმაურში და შრომის დუღილში ფედკა კარობკინის ხმაც კი არ ისმის. ნეტავ სად არის? მისი გრძელი და ძარღვიანი მკლავები ნეტავ რომელ ქვაბზე არის მიბჯენილი?

ის ხომ ჯანლონით სავსეა, ამ საამქროში მოცალე არ უნდა ყავდეს, ფედკა დაგიდგა დრო, როცა, რომ გმირობა უნდა გამოაჩინო. ააყვირე შენს სხეულში დაგუბებული შრომის ტალღა, გამოიყენე ენერგია, რომ სხვებიც თან აიყოლიო!

ნეტავ სად არის ფედკა?

ასე ფიქრობდა ყველა.

ფედკა არსად სჩანს.

ლადომ დაზგები შემოიარა, მაგრამ ფედკას ვერსად მოჰკრა თვალი.

— სად არის ეხლა გვესაჭიროება.

— ვითომ არ იცი სად არის!—უთხრა მას შავლაყაძემ.

— რომ ვიცოდე ძებნას არ დაუწყებდი.

— ლადო, შენ ვალდებული ხარ იცოდე თუ რას აკეთებს თვითეული მუშა, ამიტომ უნდა გითხრა, რომ ფედკა კარობკინი, რაღაც კარგ ხასიათზე არ არის.

— როგორ მაგის ხასიათს რას ვიკითხავ, ან ჩვენ რა შუაში ვართ?

— არა, საქმე იმაშია, რომ მან მუშაობაზე გული აიგდო, მართალია შენც იცი რომ ფედკა კარგი ხელოსანია, რასაც გააკეთებს ნაღდია ძმაო, მაგრამ ის კაცი ამ ბოლო დროს სულ გადაგვარდა, არ გვეკარება ახლოს, დაყვება დიდუბელ ავარებს და ყარაჩოღელებს, სულ მათთან არის. რამოდენიმე დღე გააცდინა წარმოებაში. ნამდვილი „პროგულშიკია“, აფსუს, რომ ამისთანა მომუშავე წახდეს! ისიც ამ დროში?!

— ახლა სად არის?.

— ალბად სარდაფში იქნება ყელის გასასველებლად—სთქვა სიმონიანმა რომელიც ყურს უგდებდა ლაპარაკს.

— მე პირველად მესმის, რომ ფედკა გადაგვარებულია.

— არა, მეც ვატყობ, სულ გატყეურდა ეგ ბიჭი—სთქვა ქებაძემ.

— მერე სად იყავი ამდენხანს?

— არ მიჯერებს, თანრიგი მომიმატეო.

— თუ კი ეკუთვნის უნდა მისცე—უთხრა გაბრაზებული ხმით ლადომ.

ამ დღიდან ლადოსთვის გასაგები შეიქნა ფედკას გულგრილობა და მის მიერ წარმოებაში დღეების გაცდენა. მარტო ამ ამბის გაგება არ არის საკმარისი ამიტომ ლადო დაინტერესდა გაიგოს მაზეზები თუ რატომ დაადგა გადაგვარების გზას ფედკა კარობკინი, რომელიც აქამდე კარგად მუშაობდა. შეიძლება მასში გაიღვიძა ახალგაზრდობამ (თუმცა მოხუცი არც ეხლა არის — სულ 28 წლის კაცია), როდესაც, რომ დიდუბელ მოხეტიალე ახალგაზრდებთან ერთად, მთელ დღეებს უსაქმობაში აღამებდა, შეიძლება ფედკა ისევ მტკვარში თევზაობამ მიიზიდა? ნიკიტა, ხომ მოხუცებულია, ნიკიტა, ხომ წინანდურათ ვერ გაუძღვება მას სასროლი ბადეთი?, მაშ სად დადის, ან ვისი გავლენის ქვეშ არის მოქცეული ფედკა, რომ ასე გამოიცვალა?

ეს აფიქრებს ლადო მეღვინეშვილს.

მასთან ათი წელი უმუშავნია ლადოს.

ლადო მეორე დღეს ადრე მოვიდა საამქროში. ფედკა დაათვალიერა, სახეზე რომ შეხედა თვალებში შემოეფეთა დაბერილი და გაცეცხლებული თვა-

ლები, ცხვირი გატეხილი და კბილებ ჩამტვრეული. ლადო მიხვდა თუ რაში იყო საქმე. ფედკა კი ზანტათ, წელში გაზმორებით, ძლივს ატრიალებდა ამ საამქროში ყველაზე მძლავრ ხელებს.

— დღეს მუშაობის შემდეგ ჩემთან შემოიარე!

— შენთან რატომ უნდა შამოვიდე, აქ მითხარი თუ რამე გაქვს გუნებაში! —მწყრალი ხმით უპასუხა ფედკამ ლადოს და თვალები მოჩხუბარ კაცივით გააყოლა მას. ლადო ერთხელ კიდევ კარგად დააკვირდა და წასვლისას უთხრა:

— საქმე მაქვს, აუცილებლად უნდა შემოხვიდე! მეტი არც ერთი სიტყვა არ წამოცდენია ლადოს, რადგან შეატყო, რომ ფედკა ახლაც მთვრალია, მან მისი ხასიათი კარგად იცის, დაიწყებს ღრიალს, დედის გინებას და ეს ამბავი მთელს ქარხანას მოეფინება რადიოსავით, ყველა მის ირგვლივ მიიყრის თავს და მუშებს ხელს შეუშლის მუშაობაში.

ფედკა კარობკინი თვალებ გადმობრუნებული და რეტდასხმული ხან ქვაბზე მიაწვება და ხან კი დაზგაზე ჩამოჯდება. თუ კი ქვაბში ჩაუშვებენ სამუშაოთ მას უხარია, შიგ ჩაწვება, ჩაიძინებს. და თუ კი ხელში ჰაერი ჩაქუჩს მისცემენ— ესეც საშიშია, არ გაუფრთხილდება და შეიძლება მუშებიც დაამარცხოს, თავის თავიც დაიზიანოს, ამიტომ მუშები მას ერიდებიან, საქმის გაკეთების მაგივრათ სულ არ გააფუჭოს რაიმე, თან კი მისდამი ყველას სინანულის გრძნობა უღვივდება.

— რა არის ადამიანი, რამ შეცვალა ეს ოჯახქორი, საუკეთესო მუშად ითვლებოდა, ახლა რა ღმერთი გაუწყრა, მაგრამ ხომ იცი კაცო, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, თუ ცოტა ფული აიღო მაშინვე დახარჯავს, სახლში კი ცოლშვილი შიმშილით უკვდება. გაფუჭდა კაცი. იმ ავარა ბიჭებმა დაღუპეს დიდუბეში რომ სამამაძაღლოდ დაწანწალობენ. წარმოებაში დღეების გაცდენა დაიწყო, აწი სულ ბოლო მოეღება, ცოლ შვილშიდაც შეიტანს ამ გარყვნილებას, ოჯახს არევს— ამბობდა სინანულის გრძნობით შავლაყაძე.

* * *

საყვირმა გააბა ყვირილი. მუშაობა დამთავრდა. ლადო განგებ დადგა საამქროს გასასვლელ კარებში, რომ ფედკა კარობკინი არ გაეპაროს. ის რაღაც არაჩვეულებრივად სწუხს ფედკას ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნას: ლადო დარწმუნებულია, რომ ფედკა ბუნებით ცუდი ადამიანი არ არის, მისი გამოსწორება და გარდაქმნა შეიძლება თუ კი სათანადო პირობებს შეუქმნიან, ამიტომ ის სრულიადაც არ ფიქრობს ფედკას საქმის გამწვავებას. ამ ფიქრებში, რომ არის ლადო, ფედკამ ჩამოიარა და ძალა უნებურად გაჩერდა მასთან, რადგან ლადოს გვერდს ვერ შეუვლიდა. ლადომ ფედკა უჯრედის პატარა ოთახში შეიყვანა.

დასხდენ.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

ფედკამ არ დაუცადა ლადოს ლაპარაკს.

— რა გინდა ჩემთან მეჩქარება, გამიშვი!

— ფედკა, მე არ გაკავებ, მაგრამ ამხანაგურად მინდა გითხრა, რომ შენ რაღაც ამ ბოლო დროს სულ გამოიცვალე, არ გევხარ იმ ფედკას რომელთანაც მე რამოდენიმე წელი მიმუშავნია. წარმოებაში დღეებს აცდენ, ცუდათ მუშაობ, თუ ამ წარმოებაში არ გინდა მუშაობა ისე წადი, რომ სახელს მაინც ნუ შეირცხვენ! შეიძლება რაიმე მიზეზი იყოს, სთქვი, დაგეხმარები, თვარა და ახლა ჩვენი საამქრო ისეთ გარღვევის წინაშე სდგას, რომ შენი მარჯვენა სულ სხვანაირად უნდა მუშაობდეს, შენ კი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხო, მე რა?!—გააწყვეტინა სიტყვა ფედკამ.

— ის, რომ დღეების გამცდენი ხარ!

— ეგ არაფერია, მე არაფერი ვიცი...

— ფედკა ხუმრობას თავი დაანებე, თავს გაუფრთხილდი, თორემ ინანებ.

— მემუქრები თუ!..

— არ გემუქრები, მაგრამ ბოლოს არ ივარგებს, მე ჯერ გთხოვ გამოსწორდე, თავი დაანებო იმ ბიჭებს, რომელნიც შენ დაგდევენ თუ შენ დასდევ მათ. დიდუბელი ავარები შენ ხეირს არ დაგაყრიან, გაფუჭდები, არავინ არ დაგინდობს, დარჩები გარიყული ამხანაგებისაგან, მერე არც ჩვენ გაგაჩერებთ.

— რა გინდა, შენსას, ხომ არ ვჭამ, ღვინო დასალევათ გაუჩენია ღმერთს, აბა რატომ ჭყიდიან?.

— კი, მაგრამ წარმოება??.

— წარმოება თავისთვის იყოს, ჩემი შვიდი საათი ხომ შედის წარმოებაში, მეტი რა გინდათ! თავს ხომ არ მოვიკლავ!..

ლადო ბრაზდება, მაგრამ ფედკას ისე ეჭცევა, თითქოს აქ არაფერიაო. ფედკა კი ყურადღებასაც არ აქცევს, უფრო იმას ფიქრობს, როგორმე მალე მივიდეს სახლში, კარგად გამოიძინოს და მერე საღამო ხანს განიერათ გაიაროს დიდუბელებთან.

— მე კი გაფრთხილებ!—მიაძახა ლადომ წასვლის დროს.

ლადო დიდხანს იჯდა უჯრედის ოთახში დაფიქრებული, მერე ბოლთას ცემა დაიწყო, კარები გააღო და ნელი ნაბიჯით წავიდა სახლისკენ.

* * *

ფედკა კარობკინი დაგვიანებით მოვიდა მეორე დღეს. თავი დამძიმებულ აქვს, თითქოს გირები დაეკიდოს ვინმეს. წარბშეკრული მივიდა დაზგასთან, მუშაობა დაიწყო. მის ირგვლივ მუშები იბრძვიან გარღვევისწინააღმდეგ. მუშებს განსაკუთრებით ის აღელვებთ, რომ საამქროს კედლებზე სხვადასხვა ფერებში დახატული კუ გააკრეს. მუშებს ეს ამბავი ტვინში ურტყამს ტყვიასავით. გარღვევამ სათანადო სამარცხინო ჯილდო შეიტანა კუს სახით. ამიტომ საჭიროა გულწრფელობა შრომაში და იმ განწყობილებების გაფანტვა, რომელიც ანელებს მუშაობის ტემპებს. იგი ხანგამოშვებით შემოეპარება ზოგიერთს ამ აწეწილ, აფორიაქებულ ხმაურობის დროს.

ფედკა თითქოს აქ არ არსებობს, არაფერს გრძნობს.

მან მიმოიხედა ირგვლივ და შეამჩნია კედელზე ახალი ლოზუნგები გაუკრავთ:

— „შეავსრულოთ ყოველი დეკადური და თვიური გეგმა სრულად“.

— „უყურეთ ცრუ დამკვრელებს, როგორ ზანტად მუშაობენ“.

— „კომკავშირლებო მიიღეთ ზომები გარღვევის აღმოსაფხვრელად“.

— „დავატრიალოთ გარღვევის წინააღმდეგ დამკვრელების ახალი ტალღა, ზიზღი ცრუ დამკვრელებს, სიმულიანტებს და გამცდენებს, ისინი წარმოების მტრები არიან“.

ფედკა საშინლად დაიღრიჯა, ხელი ჩაიქნია, თან ჩაილაპარაკა:

„რას ჯღაბნიან, საქმე შემოლევიათ—ფედკამ ეს ისეთი ხმით წამოისროლა რომ გეგონებოდათ ვინმეს წინააღმდეგ სდგება საცემრადო. მერე სახის გამომომეტყველება ოდნავ გამართა, ხელები თვალებში ამოისვა, მურმა თვალის უპეები სულ ამოუშავა, ცხვირი ნახშირის ფრად ექცა, ამან ხელი შეუწყო, რომ მისი სა-

ხის გამომეტყველება, რაღაც საშინელი და მკაცრი ყოფილიყო. ჩაქუჩი მიწაზე დააგდო, ამხანაგებს წყრომით გადახედა, კედლის გაზეთს მიაჩერდა. გაზეთში ერთმა წერილმა უფრო დააინტერესა ფედკა.

— „წითელი დაფა. ყურადღება: „ამ თვეში ყველაზე წინ მიდის სიმონიანის ბრიგადა, სალამი და გამრჯეობა მას!“, „ჩამორჩენილები კი გადაყვანილი იქნება წითელ დაფაზე თუ გამოასწორებენ თავიანთ მუშაობას“. აქვე გამოუკრავთ შავ დაფაზე გასაწერ მუშების სია.

„ფედკა კარობკინი ნამდვილი პროგულშჩიკი და ჩვენი წარმოების მტერია“. ამოიკითხა ფედკამ. კიდევ გადაათვალიერა, გაიღიმა, მაგრამ მაშინვე სახე შეიკრა. რაღაც მოაგონდა, ჩამოუსვა ხელი კედლის გაზეთს და ის ადგილი სადაც მასზე იყო ლაპარაკი სულ ჩამოხია. მაშინ უნდოდა მოშორებოდა ამ ადგილს, მაგრამ უცებ თვალი მოჰკრა კედლის გაზეთში დახატულ ორთქლმავლის დიდ ქვაბს. ქვაბში მუშა შემძვრალა და ზურგით მიათრევს ქვაბს სადღაც. ქვაბის ზედა კოლბაზე გამობმულია სამი ჯაჭვი. ერთს ფედკა ებღაუჭება, მეორეს ადმინისტრაცია და მესამეს კი ინჟინერი. სამივენი ერთად ეჭაჩავებიან ქვაბს და უკან სწევენ, რომ არ გავიდეს საამქროდან. იქვე წარწერა: ადმინისტრაცია: „დაიცა შენი ჭირიმე ხომ ხედავ, რომ ვერა გთმობ, ჯერ ხომ ერთი კვარტალი არ გათავებულა?“.

ქვაბი: „ერთ კვარტალში მე მარტო მანთავისუფლებ, რა ბედი ეწევა საწყალ ჩემს ოცდა შვიდ ძმას??“.

ფედკა კარობკინი: „ოცდაშვიდი ძმა თუ გყავს ყველას მე წავიყვან დიდუბეში საქეიფოთ“.

ინჟინერი: „ისეთი ტემპები აიღეთ, რომ შეუძლებელია მუშაობა“.

ყველაფერი ეს აუფორიაქდა ფედკას თავში. ტყვია ნაკრავივით მოცილდა კედლის გაზეთს და ბრიგადის წევრი მუშა კინალამ გალახა მუშაობის დროს. მეორე დღეს ფედკა წარმოებაში არ მოსულა. მესამე დღეს დაგვიანებით მოვიდა, უძილობისაგან მთქნარებით იღრჩობოდა.

ლადო მეღვინიშვილი გამოვიდა მოთმინებიდან.

— კაცი უკან უკან მიდის, სულ გაფუჭდა.

— რა ვიღონოთ?—შეეკითხა ბარბაქაძე მას—ხომ ხედავ კარგი ბიჭი იყო და სულ წახდა, აქ დიდი-მიზეზი უნდა იყოს—დაუმატა ისევ მან.

— ახლა მიზეზების ძებნას თავი დავანებოთ, სხვა თუ რამე შეგიძლიათ ის მითხარი—უთხრა ლადომ ბარბაქაძეს.

ბარბაქაძე ძველი მუშა, ქარხკომის ყოფილი თავმჯდომარეა. ახლა საქვაბო საამქროს მთავარი ინსპექტორია. მას დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი წარმოებაში. ბევრი რამ უნახავს, ფედკაზე უარესებიც გამოუსწორებია, ადამიანად გაუხდია, ამიტომ დიდი-დაფიქრება არ დასჭირვებია.

— საჯაროთ გავასამართლოთ!.

— კარგი აზრია მეც ასე ვფიქრობდი.

— მაშ მოვაწყოთ არა?

— მე მგონი ასე აჯობებს.

ამ აზრმა მართალია ლადოს უფრო ადრე გაურბინა თავში, მაგრამ ის დარწმუნებული არ იყო თუ ეს ღონისძიება მიზანშეწონილი იქნებოდა, ახლა კი, რადგან ძველი გამოცდილი მუშა ბარბაქაძე ასე ფიქრობს, ლადოს მოსწონს ეს აზრი და გახარებულია ამით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შესაძლებელია კაცი გამოსწორდეს კიდეც, ძალიან მენანება მაგ ადამიანის საქვეყნოთ დავარდნა, მაგრამ რომ ვერ შევსძლოთ მისი გამოსწორება? მაშინ!

აქ დაფიქრდა ლადო.

ამ დროს მასთან სარაული მოვიდა. ლადო გამოერკვა ფიქრებიდან.

სარაულს დიდხანს ესაუბრა. ისიც დაეთანხმა. ლადო პარტკომში მივიდა. გასამართლების მოწყობის საკითხი პარტკომის მდივანს იოსკა თავშავაძეს შეუთანხმა. იოსკა კმაყოფილი დარჩა ლადოს წინადადების გამო. ლადო იმ დღესვე შეუდგა გასამართლების მოწყობას, განცხადება მხატვრებს დაახატვინა, განცხადებაზე დიდი ასოებით ნათლად ჩანდა, მაგრამ არა თუ ჩანდა, არამედ ჰყვიროდა: „ფედკა კარობკინის საჯაროდ გასამართლება, როგორც „პროგულშჩიკის“.“ ყველა საამქროში გააკრეს განცხადებები, ყველამ წაიკითხა ის და ყველას ერთი აზრი დაებადა: „გამოვა აქედან რაიმე? გამოსწორდება?“

* * *

გავიდა ორი დღე.

მესამე დღეს ფედკა საამქროში შემოვიდა აბუზული და სახე შეკრული. ის გამოფხიზლებულია, როგორც სიმთვრალისაგან ისე ძილისაგან. მის თვალებს არ ეკარება ძილი, არც მის გრძნობებს და სურვილებს სწყურია დიდუბელ ამხანაგებთან განავარდება, რადგან დღეს მის ცხოვრებაში ისეთი დღე გათენდა, რამაც სულ ააფორიაქა და სულ აამღვრია ფედკას ფიქრები, ფედკას აზრები. ყველამ უნდა დაინახოს და ყველამ დამცინავი და ზიზღის თვალით შეუპერიტოს ფედკას. მას კი საშუალება არ ექნება, ან უკეთ ვერ გაბედავს პასუხის გაცემას.

უნდა გადაიჭრას უკულმართი ცხოვრების წინსვლის ძაფები. მისი ბოლო ფედკას ძარღვებში და ფიქრში არის თავმოყრილი. ამიტომ ძიოფესვიანად უნდა ამოვარდეს, ამ ძაფების ამოსასვლელი ბუდე. იგი დაქსელილია და გაშლილია დიდუბელ ავარების, ყარაჩოღელების, უსაქმურების და ყალთაბანდი ხალხის განწყობილებებში და მათ გახრწნილ, მძორივით აყროლებულ ზნეჩვეულებებში.

და ამ ძაფებს მიადგა მუშის მჭრელი დანა. მან უნდა გადასჭრას ძარღვები. დაღვაროს სისხლი, ის საწამლავია, გახრწნელი და წარმოებაში გულის ამაცრემლებელია ფედკასათვის. ამას დიდი დრო არ უნდა. მუშაობის დამთავრების შემდეგ პირ მოლესილი დანა საჯარო გასამართლების სახით ეკვეთება ფედკას სხეულში გამჯდარ ძველი ადამიანის და გადაგვარებულ ცხოველის ტრადიციის მისწრაფებებს. გამოსჭრის ყელს, რომ ვერ ამოისუნთქოს და ვერ ამოიტანოს ზევით საწამლავი ბაცილები საამქროში მოსაფანტავად.

ამას გრძნობს ფედკა. დაღონებულია, არაფერს ამბობს. რატომღაც არაჩვეულებრივი სიძლიერით სცემს ჩაქუჩს ქვაბის კედლებს. გასაოცარია, რამ დააღონა ფედკას დაუდგრომელი და მუდამ დაუწყნარებელი აზრები, რომელნიც აქამდე მწარედ იკმინებოდენ, თან კი დამცინავი თვალებით ისროდენ მზერას. იცის ფედკამ რა მოელის მას ამ რამოდენიმე ხნის შემდეგ? ან და რას ფიქრობს ფედკა; ხომ არ ჰგონია, რომ თავს დააღწევს და ადვილად გამოვა ამ მდგომარეობიდან? როგორც ეტყობა ფედკას ფიქრებში რაღაც უჩვეულო ადამიანის აზრები დაწრიალებს. ისინი ებრძვიან ერთმანეთს. ლამის არის ფედკას თავი გაუსკდეს. ვინ არის ასე მძლავრად, რომ ურტყამს ტვინში?..

— რას ფიქრობ ფედკა, გადასწყვიტე??.—ჩასძახა ვიღაცამ მას ყურში, ამ კითხვამ სულ დააბნია ფედკას აზრები. სულ შეაშფოთა. ახლა არავინ იტყვის, რომ ის ძველი დიდუბის გმირია, ყარაჩოღელების ამქარია, არამედ ფედკა ახლა სულ დარბილდა, დასაწყლდა და გრძნობს, რომ ის დღეს წარსდგება მთელი საამქროების მუშების სამსჯავროს წინაშე. უნდა სთქვას ყველაფერი. რა უნდა უთხრას მუშებს?. ის რომ აუვარდა გული წარმოებაში მუშაობაზე, ის, რომ—რატომ დადის დიდუბელ ძველ ამხანაგებთან, რომლებთანაც მას კარგი დროება გაუტარებია? მაშინ ხომ გაუგებენ მას დიდუბელები?. მაშინ ხომ უნდა დასწყვიტოს ფედკამ ის ძაფები, რომელიც მას აკავშირებს მათთან? სულ ერთია, თუ თავის ხელით არ შეასრულებს, ამას მუშათა გაერთიანებული ნებასურვილი,, რომელიც მოწოდებულია გამოასწოროს თვითეული მუშა, ის გამოიყვანს სწორ გზაზე, რომ ჩაუნერგოს ჯანსაღი აზრები. მჭრელი და ბასრი სიტყვით გულს გაუგმირავს ფედკაში არსებულ უარყოფით თვისებებს. შეიძლება ფედკა დარჩეს განგმირული; მაგრამ, არა ფიზიკურად, არამედ მორალურად, უკაცრავად, რას ვამბობ ამას? ამ ფედკას კი არ განგმირავენ, არამედ იმ მეორე ფედკას, რომელიც ნამდვილად კვალიფიციური მუშა, მექვაბე ფედკას გამოეყო და ხელი მიყო ძველ ყარაჩოღელებთან დროის ტარებას.

ფედკა უცდის როდის აყვირდება ქარხანა, იგი ფედკას სხეულში მოქცეული სურვილების საზარელი აყვირებას და. აბღავებას ნიშნავს. მან უნდა ამცნოს ყველას, მუშებს, დაზგებს, ქვაბებს, და ორთქმავლებს, რომ ფედკას აზრები ამ წუთში ვიღაცამ მოიტაცა, დაამუშავა, თითქოს გარდაქმნა. ფედკა იტყვის ყველაფერს ამ ცოტა ხნის შემდეგ. იტყვის, მაგრამ ნუ დასკინებთ, ის ვაკცაცია, შეიძლება ითაკილოს და ეს შებრუნებული განწყობილება, რომელიც ახლა ჩაესახა მას თავში, არ დაუფრთხოს. ფედკა ამ წუთში განიცდის განუზომელ სიმძიმის დაწოლას. საერთოდ ფედკა ისეთი ღონიერია, რომ სიმძიმეს არ გაექცევა, მაგრამ ამ წუთში ის თითქოს წელში გატეხეს, ლამის არის აყვირდეს მიშველეთო. მაგრამ ფედკამ ერთხელ კიდევ მოიკრიბა ძალ-ღონე, ხელები გააფათურა ჰაერში თითქოს რაღაცას იჭერდეს, თითქოს ვიღაცას მისდევდეს, რომელმაც ის გზიდან ააცდინა, კმარა ფედკა, ფიქრებს თავი დაანებე არც ჩვენ გვცალია, დანარჩენი სასამართლოზე გვითხარი, მხოლოდ ფრთხილად ამ შემთხვევაში გულწრფელობა გიშველის, ახლა შენც ხომ გრძნობ სად დაადგი ფეხები?.

ჰო და ასე ჩემო ფედკა!,

* * *

საქვაბო საამქროს სასადილოში მუშები რიგ-რიგობით შედიან. საქვაბოელები თითქმის უკლებლივ არიან საჯარო გასამართლებაზე, ყველაზე უფრო აინტერესებთ რას იტყვის ფედკა კარობკინი. სცნობს თავს დამნაშავეთ, მიიღებს რჩევა-დარიგებას, თუ ისევ ძველებურად გაჯიუტდება და სასაცილოდ აიღებს მოპირდაპირეებს?. ეს აზრი ყველას აქვს ტუჩებზე მომდგარ ღიმილივით. სასადილოს ვეებერთელა დარბაზი, ისე გაივსო მუშებით, რომ ადგილსაც ვერ პოულობენ.

ჭარბი სურვილი, რომ ნახონ ფედკა კარობკინი, მოსამართლეებთან ერთად სცენაზე გამოსული—ნიაღვარივით გადმოჭეხს გულმკერდიდან. თვალები შორს იმზირებიან ქარხნის სიღრმეში და უყურებენ, თუ როგორ ჯგუფ-ჯგუფად მოდიან მუშები სასამართლოსკენ. უკვე დრო არის, მაგრამ სასამართლო არ სჩანს.

ლადო მელვინიშვილი აჩქარებული ნაბიჯებით დადის. ბარბაქაძეს დაეძებს, უცებ თვალი მოჰკრა მას შემოსასვლელ კარებში, გარედ გაიხმო.

— ცოლ-შვილს უნდა გავაგებინოთ!

— კარგი, მაგრამ ვინ გავგზავნოთ?

— რათ უნდა ამდენი ფიქრი, აგერ ჩვენი ივანცოვი გავგზავნოთ, უთხრას ლადო მელვინიშვილი გიბარებს-თქო, მე კარგად მიცნობს.

ივანცოვი წავიდა ფედკას ცოლ-შვილის მოსაყვანად.

ფედკას მოხუცმა მამამ, ამავე ქარხნის სამჭედლო საამქროს ყოფილმა მუშამ, რომელიც ყოველთვის ერთგულად მუშაობდა ქარხანაში, დიდათ იწყინა ფედკას ირგვლივ მომხდარი ამბავი, ხელში ჯოხი დაიკავა, წელი მაგრად შეიკრა, თავი შალით შეიხვია და ქარხანაში წამოვიდა. აგერ ხუთი წელი იქნება რაც ნიკიტა არ მოსულა ქარხანაში, ის პენსიაზეა გადარიცხული. სურვილი, ნატვრა, ქარხნის ნახვის დიდი ჰქონდა მას. ნიკიტამ ბევრჯერ სთხოვა, ფედკას რომ წაეყვანა ის ქარხანაში, ფედკა პირდებოდა, მაგრამ დაპირებულის შესრულება კი არ აღირსა.

* * *

სასამართლოს სხდომა გაიხსნა, თავმჯდომარემ დამსწრეებს გააცნო შეკრების მიზეზი და მათ სთხოვა სიწყნარე ყოფილიყო დარბაზში, მერე ფედკა კარობკინი გამოიძახა, ყველა მას მიაჩერდა, თითქოს არ ენახოთ ეს ადამიანი არასოდეს, ფედკა თავჩაღუნული და ოდნავ გაფითრებული სახით იქვე მოსამართლეს გვერდით ჩაჯდა.

— ყველამ კარგად იცით თუ რატომ შევიყარეთ თავი აქ. იმისთვის რომ საჯაროთ გამოვარკვიოთ და საჯაროთ გავასამართლოთ ფედკა კარობკინი, ფედკა კვალიფიციური მუშაა. ასეთი ხალხი სჭირდება ჩვენს ქარხანას, ის სანთლით საძებარია, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ასეთი კარგი მექვაბე დღეს უკვე გადაგვარების გზაზეა, ის ჩავარდა გახრწნილი ხალხის ქვაბში, მუდამ მათთან ქეიფობს, დროს ატარებს და რა ვიცი რას არ ჩადის!

ერთი სიტყვით ჩვენ ბევრი ლაპარაკი არ გვიყვარს, პირდაპირ უყენებთ ფედკა კარობკინს ბრალდებებს. პირველი: ფედკა პროგულშიკია, რომელმაც რამოდენიმე დღე უმიზეზოთ გააცდინა, ეს იმ დროს, როდესაც საამქროში გარღვევამ იჩინა თავი. მეორე: დიდებულ ყარაჩოღელთან კავშირში იმყოფება, გადაგვარების გზაზე შესდგა ფეხი. მათი ზნე-ჩვეულებები, შეითვისა რაც მუშისათვის სამარცხვინოა. მესამე: ოჯახის მტერია, რასაც იშოვის ღვინოში ხარჯავს. ჩვენ მოვითხოვთ ფედკამ ამ ბრალდებებს გასცეს კონკრეტიული პასუხი და გვითხრას თუ საით არის, მუშებისკენ თუ დიდებულ ყარაჩოღელებისკენ, ასეთია ჩვენი კითხვა, დარწმუნებულნი, რომ არ ვიყვეთ ფედკას გამოსწორებაში თავსაც არ შევიწუხებდით, პირდაპირ ვეტყოდით: შენ ძმაო ღირსი არ ხარ მუშის სახელი ატარო! მერე წარმოებიდანაც გავაგდებდით, ამ გზას ჩვენ არ დავადექით, რადგან ვიცით, რომ ფედკა კარობკინიდან საუკეთესო დამკვრელი მუშა დადგება, ასე უნდა მიუდგეს ყველა ვინც აქ გამოვა სალაპარაკოთ.

ბრალმდებელმა სიტყვა დაამთავრა.

ფედკა ისევ თავჩაღუნულია.

დარბაზში ხმაურობა ჩამოწვა.

მუშებმა ლაპარაკი დაიწყეს.

— გარდა იმისა, რომ მუშები, ვართ, კარგი მოქალაქეები და კარგი ამხანაგებიც უნდა ვიყოთ, როგორც წარმოებაში ისე წარმოების გარეშე, რატომ ვნანობ ჩვენი რიგებიდან დაგვეკარგოს ფედკა კარობკინი? იმისათვის, რომ ის საჭიროა საბჭოთა ქვეყნისათვის, მაგრამ ისეთი ფედკა, როგორი თვისებებითაც ის არის, ჩვენ არ გვინდა, ის გასაკიცხია; აი, ამ ხალხში გეუბნები კარობკინო შენ მტერი ხარ ჩვენი წარმოების, არ იბრძვი გარღვევების წინააღმდეგ, პირიქით ღღეებს აცდენ წარმოებაში. ხანდახან მთვრალი მოდიხარ, როგორ ფიქრობ შენ, არ მივაქცევთ ამას ყურადღებას? შენგან მოვითხოვთ პასუხს, გამოდი აქ და თქვი ყველაფერი, უნდა გარდაიქმნე, ეს შეიძლება და შენზეა დამოკიდებული — უთხრა შავლაყაძემ.

ფედკას თითქოს გული მოსწყვიტეს ძარღვებიდან, ისე ამოიხვნეშა. სად გაქრა ფედკა შენი სიამაყე? გამოიჩინე ვაჟკაცობა, შეაჩერე ეს ხალხი თავზე, რომ დაგდგომიან და დაგყვირიან?. ამას სხვა დროს არ მოითმენდი, მაგრამ როგორც სჩანს შენ თვითონ გრძნობ დამარცხებას. ჯერ სად ხარ, აი უყურე, როგორ წამოიმართა ზევით ზუბიაშვილი, შენ და ის ერთი ბრიგადის წევრები არ ხართ? ის წითელდაფაზე გააკრეს, შენ კი შავზე. რას გიშვებიან, საჯაროდ გასამართლებენ, ცოლ-შვილს აყურებინებენ ამას, მოგეჭრა ფედკა კარობკინო თავი. აწი ვერ გაივლი თამამად შენს ამხანეგებში.

— მე მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ ფედკა ჩემზე კარგი კვალიფიციური მუშაა, მაგრამ ის ღღეს გამოუსადეგარი შეიქნა, შეიძლება ვინძემ იფიქროს დაბალი ღობეა და ყველა მას ადგამს ფეხსო, მაგრამ ამხანაგებო ნუ დაგავიწყდებათ, რომ ფედკა ისეთი მაგარი კაცი არის, რომ უკანონოთ არავის დააჯაბნიებს თავს, მე რა უნდა უთხრა მას? გეტყვი პირში: სახელი გაგვიტეხე საქვაბო მუშებს, არ გაპატიებთ, გაგრიყავთ თუ აქვე არ გამოხვალ და არ იტყვი თუ რაშია საქმე, ეს არის ჩემი სიტყვა ფედკა კარობკინო!

— სწორია, ჩვენ ბევრი ლაპარაკი არ გვიყვარს, დააშავე რაიმე?, გაკიცხვის ღირსი ხარ! ან გამოსწორდი, ან მოგვშორდი, ხომ კარგი სიტყვაა ამხანაგებო! — წამოიძახა მიხა ივანცოვმა.

ლადო მელვინიშვილი წამოდგა, სიტყვა მოითხოვა, ფედკას კი ლადოს მოგონებამ აზრები სულ დაუბნია. მთელს საამქროში ყველაზე მეტად ლადოსი ეშინია, უფრო კი მორიდება აქვს, თუმცა მასაც ბევრჯერ მიაყენა შეურაცყოფა.

— მე ამხანაგებო გამოვდივარ, როგორც მუშა და ვამბობ, რომ ვინც არ ღებულობს მხურვალე მონაწილეობას და არ იბრძვის ღღეს ჩვენს საამქროში დაწყებულ გარღვევის წინააღმდეგ, ის მტერია ხუთწლედის და საერთოდ ჩვენი. სულ ერთია ეს. ვინც არ უნდა იყოს. ფედკა კარობკინო ხომ გაფრთხილებდი თავიდან ნუ გაყვები იმ გზას, რომელზეც ფეხი გიდგიათქვა? ხომ გეუბნებოდი, რომ ბოლოს ინანებთქო? რაც გითხარი ასრულდა. შენ არ დამიჯერე, ჩემი გულწრფელი სიტყვები ბანზე ააგდე, ბევრს არაფერს გეტყვი, გამოდი და აგე პასუხი ამ მუშების წინაშე, თან გააცანი კარგათ ამ ხალხს რა კაცი ხარ, ჩვენ ვიცით, რომ შენ წინათ კარგი მუშა იყავი, მეტს არაფერს ვიტყვი.

ლადოს სიტყვები მთელს დარბაზში, რალაც არაჩვეულებრივი სიძლიერით მოეფინა: ყველას ყურში გაუქროლა, განსაკუთრებით კი ფედკას ჩაუწივლა. ფედკა გაბრუვდა, გაფითრდა, დაიბნა, ვერც კი ახერხებს თავის მაღლა აწევას და ამ ადამიანებისადმი პირდაპირ თვალებში შეხედვას. სად უნდა წავიდეს ფედკა? თორმეტი წელია შვილივით შეეზარდა ქარხანას. გული სტკივა. საშინელ ტანჯვას განიცდის ყოველი მუშის სიტყვის წარმოსთქმის დროს. გულში თითქოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაღუმი ჩაუდგეს, ცეცხლი შეუნთეს და ააფეთქეს ამ ადამიანის შინაგანი ყოფა. თითქოს გადმოაბრუნეს და წყალივით გადმოღვარეს ფედკას არსებაში ყველაფერი ის, რამაც ამ დღეამდის მოიყვანა.

ამას გრძნობს ფედკა. უფრო აღელვებს ის, თუ რატომ არ ეხმარებიან მას, რატომ არ იცავენ ის თავზე ხელაღებული ადამიანები, რომლებთანაც მას დიდუბეში, ვერაში და ავლაბარში ოფლით შენაძენი ფული დაუხარჯავს, სამუშაო დღეები გაუცდენია, წარმოებისათვის მტრობა გაუწევია, ამდენი ხალხის გულში წამგლეჯელის, სიმულიანტის, გამცდენელის და წარმოების მტრის სახელი მიუღია. აბა სადა ხართ დიდუბელო ყარაჩოღელებო! მობრძანდით, დაეხმარეთ თქვენს ძმა ფედკას, ის გამოუსვლელ მდგომარეობაშია.

სიმწრის ოფლი შუბლიდან თვალებზე ჩამოდის, სწვავს. თქვენ ყოფაცხოვრებითი მავნებლები ხართ, ღამურებივით გამოძვრებით სოროებიდან სიბნელეში და თქვენი ბოროტი აზრებით ახრჩობთ და სწამლავთ ჯანსაღ ჰაერს. იქ, სადაც თქვენ მისწვდებით, ყველაფერს აფორიაქებთ, ყველაფერს თქვენს ბრჭყალებში მოაქცევთ. ვინც ხელში ჩაგივარდებათ, სისხლს ამოსწოვთ სანამ მას სითბო შერჩენია, მაგრამ აი, ხედავთ, სტალინელებმა ხელიდან გამოგგლიჯეს ფედკა კარობკინი, თქვენი ლუკმა, თქვენი ხორცი. ფედკა ქარხნის საუკეთესო მუშა იყო, ის ჩვენია, მის სახეზე ათასგვარი ფერები, რომ გადარბის და იცვლება, ფედკა დამშვიდდება, დაწყნარდება და ყველაფერს იტყვის. ფედკა ჩვენი იქნება — ასე ფიქრობს ყოველი მუშა, რომელიც ამ გასამართლებაზე მოსულა.

— გვეყოფა ლაპარაკი, სიტყვა შენზეა ფედკა კარობკინო!.. — მიმართა მას თავმჯდომარემ.

ფედკა მუშებიდან გამოვიდა, სცენაზე შევიდა, მან ახლა უფრო იგრძნო გაჭირვება, სინდისის ქეჯნა და ათასი რამ, რაც მის ფიქრებში არეულა და ვერ გამოუთქვამს მკაფიოდ. როგორ იფიქრებდა ფედკა ამდენი ხალხის წინაშე ბრალდებულის როლში გამოსვლას? რას იზამ ფედკა, შენმა ოქმედებამ ამ ზომამდე მოგიყვანა, აწი კი შენზეა დამოკიდებული, რასაც შენ იტყვი იმის მიხედვით იმოქმედებს ეს ზღვა ხალხი. ხომ ხედავ, როგორ იძირება შენი თვალები ამ ხალხის ნება-სურვილებში, რატომ თვალს ვერ უჩერებ მათ. გული ხომ არ მოგდის, რომ ეს ხალხი შენს ფიქრებში, აფათურებენ ხელებს??. ნუ შეგეშინდება თუ მჭრელი დანა უჭირავთ ხელში. ისინი იმ ძაღლს დაეძებენ, რომელიც შენ გაკავშირებს ყოფა-ცხოვრების გარღვევასთან. იმედი იქონიე ფედკა, ხორცს და საღ-ძაღლს არ გადასჭრიან, თუ გინდა შენც მოიმარჯვე ხელში დაწამლული ბებუთი, გაუყარე ყელში იმ წუთებს, იმ აზრებს და იმ მიდამოებს, რომელმაც შენ დროებით დაგიმორჩილა და ლამის არის გაგანადგურა.

ფედკა იწყებს ლაპარაკს.

დარბაზში თითქოს ყველაფერი გაიყინა. სიჩუმე ჩამოვარდა. ლადოც ამ სიჩუმემ მოიტაცა, მას ამ წუთში იმედების ლაშქარი შემოესია, შიგ მოსჩანს ფედკა ძველებურად; მედგარი, ბეჯითი და მხიარული სახის გამომეტყველებით.

— სიტყვას არ გავაგრძელებ და არც თავის მართლებას დავიწყებ. ჩემთვის მძიმეა ამ წუთების გადატანა, მით უმეტეს ყველაფერს განვიცდი; ამიტომ არ შემიძლია აქ წამოყენებული ბრალდებები ცალ-ცალკე განვიხილო. ვიტყვი პირდაპირ, დამნაშავე ვარ ყველაფერში...

სიტყვის დამთავრება არ აცალეს ფედკას, გაისმა ტაშის ცემა და ხმაური, სიხარულის გამო ყველა ფედკას მიჩერებია, ის ხასიათზე მოვიდა, თავისუფლად იგრძნო თავი.

— თქვენ არ დამინდევით, დამსცხეთ, არა?.. მეც გიერთდებით, ერთად დავსცხოთ იმ საშინელ სენს, რომელიც ჩემს სხეულში შემოიჭრა და ცუდი აზრები ჩამისახა, დავსცხებ თქვენთან ერთად, დავსცხებ ჩემს თავს, სანამ ის არ გარდაიქმნება, მართალი ხართ ამხანაგებო განსაკუთრებით ლადო, არ დაგიჯერე თორემ შენ თავიდანვე სწორ გზაზე მაყენებდი. მართალია ისიც, რომ ჩემში გაილვიძა ძველმა დიდუბემ თავისი ამქრებით, ყარაჩოღელებით, მეთევზეებით და ყველაფრით, რაც ყარაჩოღელთა სუფრას ამშვენებს. მართალია მე მათთან ყოფნის დროს ვგრძნობდი, თუ როგორ ვეშვებოდი უფსკრულისაკენ. თქვენ ძალიან დამეხმარეთ, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ ამგვარ მდგომარეობაში მოგქცევას ერთმა გარემოებამაც შეუწყო ხელი. ფედკა შეჩერდა.

— სთქვი ფედკა!

— ნუ გერიდება, სთქვი მუშურათ!..

— აბა ყველაფერში შენ კი არ იქნები დამნაშავე!.. — მიაძახეს მას.

— ვიტყვი, რატომ არა, რაც მითხარით ვღებულობ, ახლა კი ვამბობ;

ყოფილი პროფბიუროს გამგე კარგად არ მექცეოდა, საამქროში თანრიგები, რომ მოვიდა, მე არ მომცა, დამტოვა მეხუთე თანრიგში და მისცა ჩემს გვერდით მომუშავეს მას არც კვალიფიკაცია აქვს, არც სათანადო ცოდნა და არც სათანადო ნამუშევარი, მე მაშინ გული მომივიდა. გავიფიქრე; მე მეხუთე თანრიგში უნდა ვიქნე და ის მეექვსეში? ამან ძალიან გამიფუჭა ხასიათი. და ხელი შეუწყო ჩემს სხეულში შემოპარულ მავნე აზრების გაფურჩქვნას.

— სწორია ფედკა!

— ასეთი მოქცევით ხალხს მუშაობის ხასიათი გაუფუჭდება — სთქვა სიმონიანმა.

— დაასახელე ვინ არ მოგცა თანრიგი!

— გიორგი ქებაძემ — გავარდა ხალხში მისი სიტყვა ბოხი ხმით და იქვე მდგომ ქებაძეს ყურში ზუილით მოესმა. მას ფეხიც კი არ გადაუდგამს წინ, რომ ასულიყო სცენაზე და იქედან თავი გაემართლებია.

ლადომ როცა დაინახა ქებაძე თავს არ იმართლებს, მაშასადამე ფედკა მართალია.

გაჯავრდა და ქებაძე ცალკე გამოიხმო სალაპარაკოთ.

— მაგრამ მე — განაგრძო ფედკამ — ამის შესახებ არაფერს ვამბობ, ვდებ თქვენ წინაშე ფიცს; რომ მოვიცილო ის ჭუჭყი, რომელიც მე მაცხია. მას გავრეცხ იმ ოფლით, რომელსაც მე დავღვრი საუკეთესო დამკვრელის სახელის მოპოებაში, ვაცხადებ თავს დამკვრელად, ვიბრძოლებ გარღვევების წინააღმდეგ.

— და ფედკა კარობკინს თვალებზე ცრემლი მოადგა, რომ არავის შეემჩნია სახელო ამოისვა თვალის უპეებში, ცრემლი მოიმშრალა. ძნელი ამოსაცნობია, ეს ცრემლი ზედმეტი სიხარულის მიზეზია, თუ იმ საშინელი ყოფიდან გამონაჟონია, რომელშიც ის იყო ახლა. აი ფედკას კიდევ ამოევსო ცრემლით თვალები, მაგრამ თითქოს არაფერი იყოს არ იშნევს.

რაღაც განუზომელი სიდიადის მხიარულება და გამარჯვების განცდები მოზღვავდა ქარხანაში ფედკა კარობკინის გარდაქმნით და მის მიერ ბრალდებების მიღებით, — რომ ამის შემდეგ სულ სხვა გზით ივლის ცხოვრებაში. ამ მოვლენამ ლადოც გაახარა, მას სჯერა, რომ ფედკა კარობკინი დანაპირებს შეასრულებს და დაეხმარება მას იმ გარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც ადგილი აქვს წარმოებაში. მან ვერ მოითმინა ერთ ადგილზე ჯდომა, წამოდგა ზეზე, სანამ თავმჯდომარე დახურავდა სასამართლოს, გამოაცხადა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე როგორც პარტუჯრედის მდივანი ვავალდებულებ ჩემს თავს ავიყვანო ფედკა კარობკინი შეფად, ყოველ დღე საყვირის აშვების შემდეგ ფედკამ ანგარიში უნდა ჩამაბაროს თუ რა გააკეთა და რა აწუხებს მას — ამ სიტყვაზე გაისმა მქუხარე ტაშის ცემა და ენტუზიაზმის ტალღამ შრომისაგან მოღლილი მუშები ისე აიტაცა ისე გაამხნევა, რომ კრების დახურვის შემდეგ არ ახსოვთ, როგორ გამოვიდენ წარმოებიდან.

გასამართლებამ ბევრს აუხილა თვალები, ბევრი დააფიქრა, რომ წარმოებაში დღეების გაცდენა, სიმულიანტობა და ცრუ დამკვრელობა ყოვლად შეუძლებელია. გასამართლებამ ამავე დროს დიდი აღმზრდელობითი როლი ითამაშა მუშებში. დაიძრა ენტუზიაზმის ახალი ტალღა, რომლის მედროშეთ ფედკა კარობკინი შეიქნა. ის გასამართლების მეორე დღიდანვე გამოირჩევა სხვა დამკვრელებისაგან. მუშაობს გულწრფელად და ბეჯითად, როცა შხამივით მოაგონდება წარსული დღეები, მაშინ უფრო უჯავრდება თავს და მთელი ძალღონით სცემს ჩაქუჩს. მის დანარტყამს სხვებისაგან განსხვავებული ცივი და გამაყრუებელი ხმა აქვს. საყვირის აშვების შემდეგ ლადოსთან შედის უჯრედის ოთახში. ლადო ეკითხება თუ რა გააკეთა მან დღეს. ფედკაც პატარა ბავშვივით თითქოს მასწავლებლის წინ იდგეს უყვება ყველაფერს. საუბრის დროს ლადო თვალებში უმზერს, უცინის, მერე ხელს ხვევს მკლავში და ერთად მიდიან სახლისკენ.

* * *

ლადო მეღვინიშვილი მეტად მიმზიდველი ხასიათის ადამიანია. ის სულ საამქროში ტრიალებს. თვითეული ჯგუფის ყოველდღიურ მუშაობას ირკვევს, რომ რაიმე დაბრკოლება არ შეხვდეს, რაიმე არ დააკლდეს და არ შეფერხდეს წარმოების საქმე. მართალია ის ახლა უჯრედის მდივანია. არ არის მისთვის სავალდებულო დაზგაზე მუშაობა, მაგრამ ის ყოველდღე საამქროშია. ლადო ძველი მუშაა მას ათი წელი უმუშავია ამ საამქროში, ეს წლები ბევრის მთქმელია და ბევრი რამ შეიძინა ამ ხნის განმავლობაში.

ამიტომ ლადო ყველას უყვარს.

საამქროში მას ყველა უჯერის.

მასზე კი ბევრი რამ არის დამოკიდებული, თუ როგორ დარაზმავს მასებს წარმოების ფრონტის გასამტკიცებლად და გეგმების შესასრულებლად. ამიტომ არც ლადო ზოგავს თავის ძალღონეს, ყოველ წუთში იმაზე ფიქრობს, იმას სცდილობს, რომ საამქროში გარღვევა მოსპოს და მისცეს საბჭოთა ქვეყანას გეგმით გათვალისწინებული ორთქლმავლები.

* * *

ივლისის მზიანი დღეები დაიწყო.

ქარხანაში საშინელი სიცხეები ჩამოწვა.

ისმის გუგუნი და განუწყვეტელი ხრიალი.

ფედკა კარობკინს ყველა განცვიფრებაში მოყავს თავისი მუშაობით.

— არა, რომ შეეძლო და ახლაც უფრო შეუძლია. მუშაობა ამაში ეჭვი კი არ მეპარება, ძველი მუშაა. ნიკიტა უნდა გენახა, როგორი ბეჯითი მუშა იყო, შვილიც მას გამოემსგავსა, რა უყოთ თუ ერთ დროს შეცდა, ახლა ხომ ნამდვილი დამკვრელია — ამბობდა ბარბაქაძე იქვე მდგომ მუშების გასაგონად, ფედკა კი არ აქცევდა ყურადღებას ამ ლაპარაკს, განაგრძობდა მუშაობას.

აპრილის თვეში საამქროს ოცდასამი ქვაბი გამოუშვა.
მაისში კი ოცდაორი ქვაბი.
ივნისში ოცდასამი.

* * *

ლადო ძალიან დააფიქრა გარღვევამ. მართალია მან წარმოებას შესძინა ისეთი ,ალგი მუშა, როგორიც ფედკა კარობკინია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ლადო ხანგრძლივად ფიქრობს რაღაცაზე. მთელს ღამეებს ხანდახან სულ უძილოდ ატარებს. რას ფიქრობს? ეს ჯერ თვითონაც არ იცის კარგად, მაგრამ აი რაღაც მოხაზა ქაღალდზე, რაღაც მოიფიქრა თავში, ხელს ნუ შეუშლით, თვალები გაუდიდდა, სახე გაუბრწყინდა, ფართო შუბლი ნაოჭებით დაესერა, ტუჩებზე ღიმილი მოადგა, რაღაც არაჩვეულებრივ სიხარულს გრძნობს. რაღაცას თავში ამუშავებს, ხან გაივლის, ხან საწერ მაგიდასთან დაჯდება. აი, ფანქრით დასწერა ორმოცი რიცხვი ციფრებით, მერე ხუთი, მერმე კი გაყო ორმოცი ხუთზე.

— მაშ ერთ ბრიგადიდან რვა ბრიგადა გამოვა. მუშაობა დანაწილდება ჯგუფებში, მხოლოდ ეს თუ უშველის ჩვენს გარღვევებს, რათაც უნდა დამიჯდეს ამას გავატარებ.

წამოდგა ზეზე და არც კი დაუცდია ჩაის ადუღებისათვის, რომ ცხელი წყლით ყელი გაეს ველებია და მუცელში ორთქლი ჩაეშვა — პირდაპირ ქარხნისკენ გასწია.

გზაზე ფიქრობს, თუ როგორ შეხვდებიან მის წინადადებას ინჟენერები ტეხნიკები და მონტიორები. ის დარწმუნებულია: თუ არ მოხდა მუშაობის მეთოდების და სისტემის შეცვლა, მარტო დამკვრელობით და სოციალისტურ შეჯიბრების გაშლით ვერაფერს გააკეთებს. ის აზრი, კი რომელიც მას დაებადა ფრიად დიდი მნიშვნელობის მქონეა.

ლადო მივიდა ქარხანაში.

მან მოიწვია მუშათა აქტივი და ინჟენერ-ტეხნიკური პერსონალი: გააცნო თავისი წინადადება მუშაობის სისტემის შეცვლაზე.

— ამხანაგებო მე დიდი ცოდნა არ მაქვს, არც იჟენერი ვარ, მაგრამ ჩემმა გამოცდილებამ და დაკვირვებამ წარმოებაში, იმ დასკვნამდის მიმიყვანა, რომ თუ ჩვენი მუშაობა ახალ გზაზე არ გადავიყვანეთ, შრომის ნაყოფიერებას ვერ ავსწევთ და ვერც გარღვევას მოვსპობთ.

— პრაქტიკულად რას იტყვი! — მიაძახა მას ინჟენერმა. მუშები სულგანაბულნი არიან. ლადო იწყებს დამაჯერებლად ლაპარაკს. იგი უფრო მხნედ არის. თავისი გეგმა შეუთანხმა საქვაბო საამქროში საუკეთესო მუშა დამკვრელს და ბრიგადის ხელმძღვანელს შალვა სარაულს. შალვამ მოუწონა მას ეს წინადადება, დიდი კმაყოფილებით სთხოვა დროულად დაეყენებია ეს საკითხი,

ლადოსთვის კი შალვას თანხმობა ბევრ რამეს ნიშნავს.

ეს ახარებს მას და ამიტომ არის, რომ ის ხშირად შალვას გადახედავს, ახლაც ზეზე, რომ წამოდგა, შალვას გაუცინა, ამით ანიშნა, რომ ამ წინადადებისათვის დიდი ბრძოლა მოგვიხდებაო.

— პრაქტიკულად ის არის, რომ ჩვენი საწარმოო ბრიგადები ძალიან ცუდათ მუშაობენ. იგი ორმოცი მუშისაგან შესდგება, ხელმძღვანელი ვერ ახერხებს მათზე მეთვალყურეობას. ჯერ ერთი ხომ ყველას უნდა სათითაოდ ჩამოუაროს და ნახოს საკუთარი თვალებით თუ ვინ რას აკეთებს. ასეთი მუშაობის დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება, რომ მუშამ მიცემული სამუშაო ადრე შეასრულოს ან და სამუშაო მასალა შემოაკლდეს და გაჩერდეს კიდეც. ხელმძღვანელი მას ვერ შენიშნავს. ზუსტად რომ გამოვარკვიოთ ორმოცი მუშიდან, ერთი მუშის შრომა ყოველდღე დააკლდება წარმოებას უყურადღებობის გამო, ამას ვამბობ სრული დარწმუნებით.

— ბოლო გვითხარი, შენ რას მოითხოვ!

— მოვითხოვ, რომ ორმოცი მუშისაგან შემდგარი ბრიგადა დავშალოთ.

— რაო? — წამოიძახა ტეხნიკმა.

— მოიცა გული არ გაგისკდეს, ჰო მერე ამ ბრიგადებს, რომ დავშლით შევადგინოთ ახალი ჯგუფები ხუთი კაცის შემადგენლობით. მუშებს ჯგუფის ხელმძღვანელი თავიდანაც არ მოიშორებს, სულ თვალის წინ ეყოლება, მასალის ნაკლებობას მალე შეამჩნევს, მორიდება მეტი იქნება ხელმძღვანელისადმი — ეს კი ძალიან წასწევს წინ მუშაობას - დაამთავრა ლადომ.

ინჟენერებიდან და ტეხნიკოსებიდან ზოგიერთები სიბრაზისა გამო პირიდან დორბლს ჰყრიდენ, ამტკიცებდენ წინადადების არა სისწორეს, — მეცნიერული თვალსაზრისით მიუღებლობას, მაგრამ ლადოს მათი მტკიცება სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა.

— რა შუაშია აქ თუ ძმა ხარ მეცნიერება? ჩემი მეცნიერება არის პრაქტიკული გამოცდილება და ტეხნიკურ მიხწევებზე ელემენტარული დაკვირვება.

მუშების დიდი ნაწილი ლადოს წინადადებას მიემხრო. მცირე ნაწილი ამ მოწინააღმდეგებთან იცავდა ლადოს წინადადების უვარგისობას. ბრძოლამ რამოდენიმე საათი გასტანა. ლადო მაინც არ იხევს საკუთარ წინადადებებიდან, ის მხიარული სახით განაგრძობს მტკიცებას ამ გეგმის მისაღებად. ბოლოს ერთი ტეხნიკოსთაგანი შედრკა. ამხანაგებს შეშინებულივით გადახედა.

— ამხანაგებო ისეთი თავმოყვარეობა, რომელიც არ არის სასარგებლო წარმოებისათვის არ გვინდა! გულში ყველა გრძნობთ, რომ ლადოს მიერ შემოტანილი წინადადება სასარგებლოა, დიდი მნიშვნელობის მქონეა, მაგრამ რადგანაც ჩვენ ინჟენრებმა და ტეხნიკოსებმა ვერ მოვიფიქრეთ ეს დროზე, ახლა თავმოყვარობის შელახვად მიგვაჩნია ამ წინადადების მიღება. ძირს ასეთი დიდკაცური კუდაბზიკობა, მივიღოთ ლადოს წინადადება!

მუშებმა ერთად იყვირეს;

— მართალია! მართალი!

— ციხე შიგნიდან გატყდა, ახლა თქვენ რას უყურებთ იჟენერო, ხომ ითქვა სიმართლე? — უთხრა მას შალვა სარაულმა.

ლადოს წინადადება მიღებული იქნა.

მან იმ დღესვ დაშალა ძველი ჯგუფები. შეადგინა ახალი ჯგუფები ხუთი მუშის შემადგენლობით. ამ ამბავმა ლახვარი ჩასცა და თვალები ჩამოუბნელა ცრუ დამკვრელების და თაღლითების მავნე მოქმედებას.

ასე დაიწყო ძირითადი გარდატეხის პროცესი წარმოებაში.

შეიცვალა მუშაობის წესები, თუ კი ამდენხანს თვითეულს ბრიგადაში შედიოდა ორმოცი მუშა, ახლა ბრიგადაში ხუთი მუშა შედის, რასაც გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმოებისათვის, როდესაც ორმოცი მუშა ერთ ჯგუფში იყო მაშინ ბრიგადის ხელმძღვანელი ვერ ახერხებდა ყველას მეთვალყურეობას და თუ კი რომელიმე მუშა მოისურვებდა ტყვილა ჯდომას მას ამის საშუალება ქონდა; გარდა ამისა პასუხისმგებლობის გრძნობაც არ იყო, პროდუქციის ხარისხი დაბალი იყო, ახლა კი ბრიგადაში მხოლოდ ხუთი მუშა შედის. ხელმძღვანელს არ სჭირდება დიდი ენერგიის დახარჯვა, რომ გაიგოს ვინ რას აკეთებს.

თვით მუშები დაინტერესებული არიან უსაქმოდ არ დარჩენ. წინად ხშირად იყო ისეთი შემთხვევები, „რომ თუ კი ნედლი მასალა შემოაკლდებოდა მუშას ის დადგებოდა, არ მოსთხოვდა თავის დროზედ საწყობს. ახლა კი მატერიალური ნაწილის გამგეს გული აქვს შეღონებული ათასგვარი მოთხოვნილებების წაყენებით მუშებისაგან, რომ დროზე მიიღონ მასალა.

მუშაობის ასეთმა მეთოდმა ხელი შეუწყო გარღვევის წინააღმდეგ ბრძოლას. მუშაობის ასეთ მეთოდზე სხვა საამქროებიც გადავიდა. ყველაფერი ეს ლადოს მოფიქრებით და მისი ხელმძღვანელობით მოხდა.

— გარღვევის მიზეზები კი მრავალია, მათ შორის დისციპლინის სისტემატიური დარღვევა, რაც გამოიხატება დღეების გაცდენაში, ზოგიერთი მუშების მთვრალი მოსვლა, გულგრილობა, წამგლეჯელობა და სხვა. აგრეთვე ადმინისტრაციის სუსტი ხელმძღვანელობა, ამის ფაქტები კი ძალიან ბევრია, თუნდაც ის, რომ ფედკა კარობკინს თანრიგი ერგებოდა და არ მისცეს, ესეც ხელს უწყობდა მის გადაგვარებას, აქვე უნდა აღინიშნოს ცეხის გამგეების ხშირი ცვლა; საწყობის სუსტი მუშაობა, იმის მაგივრად, რომ მუშებს ღამით ელექტრონის სანთლების შუქზე ემუშავნა, საწყობმა მათ ნავთის სანთლები მისცა.

ჭრაქი ბეუტავდა ღამით საამქროში. მუშები ამ მბეუტავ სინათლეზე ვერ ხედავდენ სამუშაოს, რაც გავლენას ახდენდა შრომის ნაყოფიერებაზე. ამას ისიც დაერთო, რომ თუ ამდენ ხანს საამწყობრო საამქრო დაშლილ ქვაბებს დროზე აწვდიდა, ამჟამად იქაც გარღვევამ იჩინა თავი. დროზე ვერ გვაწვდიან ქვაბებს. არის აგრეთვე მთელი რიგი წვრილმანი მხარეები, რომელიც გავლენას ახდენს საერთო მუშაობაზე - სთქვა ლადომ.

* * *

ივლისის დღეები ენტუზიაზმის ნიალვარული დღეებია.

მშრომელთა გულები ირგვლივ დარკინულ გარემოში იშლება და სალიკლდეებივით იმართება გარღვევის წინააღმდეგ.

ნახშირის ფერი საამქროს კედლები ვერ იტევს შრომის მუსიკალურ ხმებს.

ზანზარებს, გუგუნებს, და ხრიალებს მხურვალე დღეები ქარხანაში.

ამ დროს ფედკა კარობკინი ზღვაში ამოვარდნილ ქარიშხალივით ბორგავს, ენტუზიაზმის ტალღას ქუხილივით ისვრის, გარღვევის ღონე დაცლილ გემს არ-ყევს დაუსრულებელ შრომისა და ფართოდ გაშლილ ტემპების ზღვაში, მას დაძირვას უპირებს, მაგრამ გარღვევა ჯერ კიდევ ქანაობს წარმოების ზედაპირზე, ჯერ კიდევ არ ამოვარდნილა უკანასკნელი გრიგალი ხუთწლედის გმირების გულ მკერდიდან, რომ საშინლად დაანარცხოს ის და გადაისროლოს უფსკრულში სამუდამოდ. რა მოხდა? რატომ არ იძირება ქარიშხლის აფორიაქებულ ტალღებში? სად არის მისი დასაყრდენი, რომ ფედკამ ძირი გამოუთხაროს?.

ივლისის უკანასკნელი დღეები მიიწურა.

ამ დღეების ქარიშხალს თუ გადურჩა გარღვევა წარმოებაში, მერე მას შეუძლია აგვისტოს თვეში ინავარდოს ბობოქარ ქარივით.

— ბიჭებო ოცდა შვიდი ქვაბი უკვე გამოუშვით, ზეგამდის თუ ვერ ჩავაბარეთ კიდევ ერთი ქვაბი, გეგმა იშლება, ამდენი შრომა გვინიავდება, აბა ფედკა, შალვა, გადავიქცეთ ვეფხებად, ლომებად, ამ ერთ ქვაბს ბდღვირი ავადინოთ, დაგვრჩენია ერთი დღე ნახევარი—გაოფლიანებული სახით ეუბნება ლადო მელვინიშვილი მათ, იგი გრძნობდა ამ წუთების სიდიადეს, რომელშიდაც ტრიალებდა მთელი ქარხნის გეგმები და მისი დაუცხრომელი ფიქრები.

— ფედკა კარობკინო — ეუბნეოდა საკუთარ თავს ფედკა — გამოიჩინე ბეჭობა; აამოძრავე: ფეხები, ხელები, და თვალები, კბილით გახარი სიძნელეები. ფედკა კარობკინო მიეცი საბჭოთა ქვეყანას ორთქლმავლები. ფედკა კარობკინო მიეცი ჩვენს საამქროს გეგმის შესასრულებლათ უკანასკნელი ქვაბი!

— სარაულო!

— აქ ვარ! მიაძახა მას შალვამ.

— ფედკა კარობკინი, ამ რამოდენიმე ხნის წინად, ხომ გაასამართლეთ გაცდენისათვის? ხომ ატირეთ? ის კარობკინი დღეს გიწვევს წარმოების ფრონტზე საომრად, დავსცხოთ ქვაბებს, ჩვენი გულის მოსაკლავად, რომ ჩამოწოლილა ამ საამქროში, გავამართლოთ ლადოს იმედები. მივსცეთ ჩვენს გეგმას უკანასკნელი ქვაბი, იგი ყუმბარაა, რომელიც ააფეთქებს გარღვევის სიმაგრეებს — მიმართა ფედკამ შალვა სარაულს.

— თქვენთან ვარ ფედკა! იყო პასუხი,

* * *

დაღამდა.

საამქროს განიერი დერეფანი, განათდა ას ძალიანი ელნათურებით. შეკეთებული ქვაბები ღია ფერებში გამოიყურება. საამქროს ბოლოში ერთ განმარტოებულ ქვაბს შემოხვევიან შალვა სარაული, ფედკა კარობკინი და ლადო მელვინიშვილა. ფედკა და შალვა მთელი სიმძლავრით სცემენ ჩაქუჩებს და არჭობენ ლურსმანს ქვაბის წინა კედელში. აი, უკვე „დააზაკალოპკეს“ ფედკა ქვაბში ჩავიდა, მუცლის სილრმიდან გრძელ მკლავებს ლონივრათ ატრიალებს და სცემს ჩაქუჩებს, გამაყრუებელი ხმაური ისმის შიგნიდან, ფედკა კი ამ ხმაურში ილვენთება. შალვა ქვაბის გარედან იჭერს ხელში ჰაერის ჩაქუჩს, რომელიც ელდენიდან ხელში ძაგძაგებს, ლადო კი ქურაში გახურებულ რკინის სოლებს ადუღებს და სჭედს ქვაბის კედლებში, მას ამ უკანასკნელ ერთ თვეს არ უმუშავნია ქვაბზე, რადგან ის, როგორც საუკეთესო დამკვრელი მუშა, რომელმაც ათას ცხრაასოცდათ წელს მიიღო პირველი ჯილდო, — ასეთი მებრძოლი ადამიანი პარტკომიტეტმა საქვაბოს უჯრედის მდივნათ წამოაყენა. მას თითქოს რამოდენიმე წელი არ ემუშაოს ქვაბზე, თვალებს აბრიალებს და გაცოფებული სცემს ჩაქუჩებს. ამ შრომის დულილში, ამ ცეცხლიან წუთებში, ისე შემოიპარა დილის გარიჟრაჟი, რომ მათ არაფერი შეუტყვიათ.

აყვირდა ქარხნის უზარმაზარი ღუმელები, მათ ღულუნს და ღრუბლებივით გაშლილ კვამლის თან შემოყვა ხალისიანი სახეებით მთელი წყება წარმოების გმირებისა. გაივსო საქვაბო საამქრო პირველი ცვლის მუშებით, მათ ფხიზელ თვალებს და შიშველ ფიქრებს თან შემოყვა გაკვირვება და განცვიფრება.

— გუშინ ხელ-უხლებელი იყო ეს ქვაბი, ახლა კი რა დღეში ჩაუგდიათ ჩვენს ბიჭებს! მოდი დავეხმაროთ ამხანაგებო! დაიყვირა სიმონიანმა.

გაიშალა შრომის ახალი ტალღა.

გაირღვა წარმოების გულში გარღვევის რკალი.

დამკვრელების მკლავებმა ძირი გამოუთხარეს დასაღუპად დარწეულ გარღვევის უკანასკნელად ამოძრავებულ გემს. გამოვარდა გარღვევის უკანასკნელი დასაყრდენი — ეს ის ერთი ქვაბია, რომელიც თვიურ გეგმას ჩაშლას უპირებდა, მაგრამ შეირხა მიდამოები, საამქროები და შრომის შეუჩერებელმა დინებამ ჩასძირა გარღვევის გემი უფსკრულამდის.

საქვაბომ გაიმარჯვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქვაბომ ქარხანას მისცა ოცდა რვა ქვაბი.

ივლისის უკანასკნელმა თვეებმაც აგვისტოს მოულოცა წარმოებაში გამარჯვება. აგვისტო კი მესამე კვარტალის მეოთხე გადამწყვეტი თვეა.

* * *

ჯერ არ აბლავლებულა ქარხნის უზარმაზარი მილები, რომ საქვაბო საამქროში რაღაც უცნაური მოძრაობა, მხიარულება და ხმაური შეიქმნა, გამარჯვების ფრთაგაშლილი განცდები მუშათა ათასეულებს გულ-მკერდიდან გადმოქუხს, რომ წალეკოს ადიდებულ მდინარესავით, წარმოების ფრონტზე მოხეტიალე უბადრუკ ადამიანების აჩრდილები.

აღუღუნდა საყვირი და მის ბოხი ხმა წავიდა სადღაც შორს, მას თან ამოყვა შავად დახვეული ბოლი, რომელიც გაეკრა ქარხნის მიდამოებს ღრუბლებივით, ამ ღრუბლების ქვეშ საამქროებიდან გამოსული მუშები ჯგუფ-ჯგუფად მიდიან, მაგრამ თითქოს საყვირის ხმას ვერ მოუხდენია გავლენა საქვაბოს მუშებზე, ისინი არ იძვრიან ერთი ადგილიდან. ყველა ერთ ადგილას იყრის თავს, რაღაცას მოელიან, ვიღაცას უცდიან და მათი თვალები იყურება ამ საამქროში წამოწოლილ დიდ მუცლიან ქვაბებზე. ყველა მოვიდა. ყველა სმენათ გადაიქცა.

საამქროს შუა ადგილას ორთქლმავლის დიდ ქვაბზე დაბალი ტანის ადამიანი ავიდა, მას სიხარულისაგან თავი ვერ შეუკავებია და მისი ნაცრისფერი თვალები, რომელიც ამ წუთამდის იძირებოდა მაზუთის ტბაში, ახლა იცინიან და ვერ იკავებს მოზღვავებულ სურვილებს.

ეს იყო შალვა სარაული, საუკეთესო დამკვრელი საქვაბოს სიამაყე.

— ამხანაგებო! დღევანდელი მფრინავი მიტინგი მიეკუთვნება ჩვენი თვიური გეგმის შესრულებას. წარსულ თვეებში დიდი გარღვევა გვქონდა. ჩვენმა სიბეჯითემ, პატიოსნებამ და წარმოებისადმი სიერთგულემ მუშებში ერთსულოვანება შექმნა, ტემპები არაჩვეულებრივათ გაშალა. ჩვენ შევასრულეთ გეგმა, ქარხანას მივეცით ოცდა რვა ქვაბი. ბევრი რამ გვიშლიდა ხელს, საამწყობრო საამქრო დროზე ვერ გვაძლევდა შესაკეთებლად დაშლილ ქვაბებს. № 10 — 26-ი ქვაბი ერთი დღე ნახევარში გავაკეთეთ, ჩვენ მექვაბეებს გამრღვევლებს გვეძახოდენ, ასედაც იყო. საჭიროა გეგმიანობა, დროზე უნდა მოგვცეს ქვაბები, ჩვენ გეგმას მომავალშიდაც შევასრულებთ, აი ამხანაგებო ეს კუ, რომელიც ჩვენი სამარცხვინო ჩამორჩენის ნიშანი იყო, ახლა უნდა გავდევნოთ საამქროდან, ის უნდა მიულოცოთ სამწყობრო საამქროს, მის მაგივრად გაჭენებული ცხენის სურათი უნდა დავკიდოთ. — დაამთავრა სარუალმა.

ამ სიტყვამ უდიდესი სიხარული გამოიწვია.

— წამოება იგივე საომარი ფრონტია, თუ ჩვენ არ შევასრულებთ გეგმას, საბჭოთა ქვეყანას საფრთხეში ჩავაყენებთ, ამას ჩვენ ვერ მოვითმენთ. ამას ჩვენ არ დაუშვებთ, ბევრს არ ვიტყვი — მეც მონაწილე ვარ ჩვენი ზეიმის და გამარჯვების, ამ კუს კი თავი ისე გაუგლიჯოთ, რომ მეორეჯერ არ იფიქროს აქ შემოსვლა. მაშ ვიყოთ ძმურად განწყობილი ადმინისტრატიულ და ტეხნიკურ პერსონალთან! — სთქვა მიხეილ ივანცოვმა.

ივანცოვი საუკეთესო დამკვრელია.

— ამ კუს სახით ჩვენ დაგვინიშნეს ზევიდან „კამანდირი“, რომელიც მაღლიდან გვადგია თავზე ომში მყოფ ჯარისკაცივით, ამიტომ ჩვენც მივაწექით გულით გარღვევებს — გულთბილობით და დამაინტერესებელი გრძნობით სთქვა

ივანე სელიხოვმა. მის ჭალარა წვერ-ულვაშს ახალგარზრდული ენერგია ახალისებს და ამაგრებს,

ამ დროს ლადო მეღვინიშვილი აიმართა ქვაბზე, იგი შფოთავს, გულს ბაგაბუგი გააქვს, სიჩუმე ჩამოვარდა, თვალების ფრთხილი მოძრაობა შეჩერდა, დაბალი ხმით წარმოთქმულმა სიტყვებმა, რომელიც ლადოს პირიდან ამოდიოდა ეს სიჩუმე დაარღვია და მასში გაგორდა ცეცხლიანი სიტყვები.

— ოთხი თვეა რაც ამხანაგებო ჩვენს საამქროში მოიკიდა ფეხი გარღვევამ, მასზე კარგი ნიადაგი იშოვა ამ კუმაც. ზის ზევით თავისუფლად და არ ჩამოდის ძირს. სანამდის უნდა ყოფილიყო ასე? ამიტომ ჩვენ დავსცხეთ მას, პარტიული კომიტეტისაგან მიღებული დავალება გავამართლეთ, თუ გახსოვთ, ჩვენ ივნისის და ივლისის თვეები განსაკუთრებულ თვეებათ გამოვაცხადეთ. ახლა კი, როცა, რომ გეგმა შევასრულეთ, უნდა შევამოწმოთ ვინ იბრძოდა საუკეთესოთ, პირნათლად და გულწრფელად ამ გარღვევების წინააღმდეგ. ამხანაგებო ფედკა კარბოკინს თქვენ კარგად იცნობთ, ისიც გახსოვთ, რომ საწარმოო ტრიბუნალმა ის გაასამართლა ივნისის ბოლოში. მან ფიცი დასდო, მან იმედები გაამართლა, ის საუკეთესო მებრძოლი შეიქმნა გარღვევების წინააღმდეგ. სალამი და გამარჯვება ფედკა კარობკინს...

— გაუმარჯოს! — დაიგრიალა მუშათა გუნდმა.

— ჩვენ დღეს ვაჯილდოვებთ თვრამეტ მოწინავე დამკვრელს, ამაში პირველი ადგილი კარობკინს უჭირავს. ამხანაგებო დაჯილდოვებულ დამკვრელებისაგან ამოვირჩიოთ სამი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელიც ჩამოხსნის ამ კუს კედლიდან და საამწყობრო ცეხში შეიტანს. ლადოს სიტყვებმა აღფრთოვანებული მუშების გამომეტყველება უფრო დატვირთა უცნაური განცდების გაღვივებით. ამ ხალხს დაღლილობა დაავიწყდა, არც ის ახსოვთ, რომ ხუთი საათი არის უკვე და სადილიც არ მიურთმევიათ. უცდიან თუ როდის ჩამოაგდებენ მიწაზე ამ საზარელ კუს.

ამოირჩიეს დელეგაცია ფედკა კარობკინის მეთაურობით. ფედკამ ერთ წუთში მიადგა კედელზე კიბე, ჩამოხსნა დიდ ქალალზე ლურჯად და წითლად დახატული კუ, თან იქედან მძლავრათ დაიყვირა:

— ძირს გარღვევა!..

— ვაშა წამოებას!.. — ჩაიძირა ეგ სიტყვები ამ ხალხის ნება-სურვილებში, რომ ურყევად დარჩეს მისი სიდიადე მათი ბრძოლებით სავსე მეხსერებისათვის.

* * *

მფრინავი მიტინგი დაიშალა.

საამქროში მეორე ცვლამ ააგუგუნა ქვაბები.

ქარხანამ იგრძნო გამარჯვება, ის გაიმართა წელში, ძალლონე შემოიკრიბა და ფართედ გაუღო კარები, ბრძოლის ფრონტიდან გამოქცეულ ავადმყოფ ორთქლმავლებს, ვაგონებს და ნავთის ცისტერნებს.

იბრძოლეთ სტალინელებო!

იბრძოლეთ ხუთწლედის გმირებო!

იბრძოლეთ სოციალიზმის მშენებლებო! გამარჯვება თქვენს მხარეზეა, წლიური გეგმით გათვალისწინებული გქონდათ 284 ორთქმავალის კაპიტალურ შეკეთებიდან გამოშვება. ხუთმეტი აგვისტოსთვის 154 ორთქლმავალი უკვე გაუშვით, სახალხო და საქონლის ვაგონები გეგმაზე გადაჭარბებით შევასრულეთ!

ახლა მესამე გადამწყვეტი წლის მესამე კვარტალის მეოთხე თვეა. სტალინელები შეუპოვრად იბრძვიან, ისინი გაიმარჯვებენ, საბჭოთა ქვეყანა, მათთვან მიიღებს გეგმით გათვალისწინებულ ორთქლმავლებს. ამისი პირობა თვით ამ ქარხნის მუშების სხეულშია გამჯდარი, ის მოძრაობს, ღვივდება, ინთება და ტემპების ულეველი მდინარე შედის ხუთწლედის დიდ არხში, რომელმაც უნდა წალეკოს ევროპის დამპალი კაპიტალიზმი და რომელმაც უნდა ამოაშენოს სოციალიზმის საფუძვლები ბეტონისებური სიმაგრით.

ამას კარგად გრძნობენ სტალინელები.

ამას კარგად გრძნობს ქარხნის სახურავზე აღმართული საყვირები, მთელს ტფილისს, რომ დასცქერიან სიამაყით, ისინიც იბრძვიან, ისინიც მოქმედობენ, მუშებს მოუხმობენ წარმოებისკენ, შლიან ღრუბლებში მილებიდან ამოვარდნილ ორთქლს, რომ მიმოფანტონ შავი კუპრისფერი ბოლი ტფილისის ყოველ კუნჭულში, ტფილისის ყოველ შენობაში, წარმოების სუნით და წარმოების სიძლიერით, რომ აგრძნობინოს ყველას მისი სიდიადე, გამარჯვება და ფედკა კარობკინის გმირობა, რომელიც მთელი სისავსით გადაეშვა ხუთწლედის მდინარებაში.

— ძირს გარღვევა, ძირს დიდუბელო ყარაჩოღელებო, ძირს ობივატელებო და ჩვენს ტემპებზე მოწუწუნე საცოდაო კაცუნებო! ხუთწლედის მესამე გადამწყვეტმა წელმა გულ-მკერდი შემოგინგრიათ, ხომ!? — ამბობდა თავისთვის ფედკა კარობკინი და მიდიოდა ქარხნიდან სახლში.

გუგუნებდა ქარხანა.

ღელავდა მაზუთის-თვალება სტალინელები და ცაში კი ნაცრისფერი ღრუბლები გარბოდენ ქარხნის მიდამოებიდან სადაც შორს თვალუწვდენელ თოვლიან მთებისაკენ.

სიმონ წვერავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

ბანაკად გასულ არმიელებთან

მოვედით. გული უხვია;
რასაც შეგიძლებთ, — გენებოთ.
როგორ დავზოგავთ ძალ-ღონეს;
ძმური ხმა, ყაზარმელებო!
ამბობენ: გიჭრით მახვილი;
ზარდამცემნი ხართ მტრებისა.
მკერდნი ფოლადის გვარის გაქვთ,
თვალნი — მზისა და ელვისა.
მხრები რომ მოგჭრან ოხრებმა,
მაინც მოიქნევთ კბილით ხმალს.
ქარია?? არ უშინდებით:
ყინვაა!! მეტი გმირი ხართ.
ვიცი თქვენ — ღონე ლომის გაქვთ,
ველზე ნავარდი ვეფხისა.
ველს ნატერფალი აჩნდება
თქვენი მაგარი ფეხისა.
ტყენი შიშობენ; მთებიც კი,
თქვენში გულისმთხრელს ხედავენ;
თუ მოინდომებთ, კლდეს დაფქვავთ
და ზღვას გასცურავთ ხელდახელ.

და მეც მხედრულად განწყობილი, მოხარული ვარ;
დავრჩე პოეტად შრომისა და ძმობის ყაზარმას;
დავრჩე იმ მინდვრებს,
მანევრებით რომ დაფარულან,
და რომ ზურგზე აქვთ ბალახების რუხი მაზარა.
თქვენი ქვემეხიც, —
პატარა თუ დიდი ყალიბის,
ამასვე ამბობს: — მეგობრებო! უნდა გარდვიქმნეთ;
უნდა მოისპოს ქვეყანაზე გზა სიღარიბის,
რომ მეც სიცოცხლეს ვუმღერო და რაც ვარ, — არ ვიქნე.
თქვენი ბიჭობაც, —
მოამაგე ამ დაძახილის,
ფიქრსაც არ უთმობს ამის გარდა სხვა სინამდვილეს.
თქვენი შაშხანა როდი არის მარტო მახვილი;
იგი სხვაცაა; — რომ ცხოვრება გაგვიადვილდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახვილს შევეხე, რადგან ვიცი სისხლი იქნება:
ადამიანთა სასაკლაოს მტერი ამზადებს.
ჩვენც სხვა რა დაგვრჩა!
უნებლიეთ ომის ფიქრებად,
უნდა ვიქცეთ და უნდა მივცეთ ძალა ზარბაზნებს;
რომ რესპუბლიკის მომუშავე აზრი გამაგრდეს;
რომ არ მოვიდეს იმპერია სისხლით ნასუქი.
სისხლი იქნება,
მაგრამ სისხლზე პასუხს არ ვაგებთ, —
ომის სვავებმა თვითონ აგონ სისხლზე პასუხი.

და პოეტის ხმა,
იმ დღეებში შუბად აწვდილი,
იყოს საყვირი ჩვენი დღის და ჩვენი ბრძოლების;
ლექსი გავიდეს ბრძოლის ველზე, როგორც არწივი
და სტრიქონიდან აქვემეხოს სიტყვა საბრძოლო,
გაჭრას, გათელოს ულრანები ვეფხის მუხლივით,
იგრძნოს: სად უნდა სიბრალული და სად მუქარა,
იდგეს ლაშქარში, როგორც ტემპი, როგორც ქუხილი
და ყოველ მხედარს ასროლინოს დროზე ყუმბარა.

ყაზარმის მწერლებს

ახლა, როდესაც მწერლის ჯანით ვარ,
და სტრიქონიდან წინ ვიხედები;
სასიხარულოთ მესმის ჯარიდან
თქვენი ლექსის ხმა და სიმღერები.
მიტომ ვერ დავრჩი, ძმებო, გულცივად, —
უიმედობას მწარედ დავცინე;
მაცნო ცხოვრებამ: ლექსებრ უწივა,
ლექსი ჯარიდან, ჯარის ნაწილებს.
და ეს ჩემი თქმა, გულის სისწორე,
იყოს ძარღვები მეგობრობისა.
მეც მხედარი ვარ!
ერთად ვიბრძოლებთ,
საშიშროება რომ გვაქვს ომისა.
ჩვენ მშრომელების საქმე გვაერთებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაქვს ინტერესთა ერთი შარაგზა.
ჩვენი ლექსები — ტემპს რომ აკეთებს,
არის ბრძოლისთვის მასის დარაზმა.
მე ასე ვფიქრობ.
მაღლდება მკერდი,
შემოქმედებამ ფრონტი გაშალა.
ჩვენ შეგვიძლია ლექსების გვერდით,
ქვემეხებივით ვმართოთ შაშხანა.
გავასტრიქონოთ გრძნობა ისე, რომ
ფრონტზე გმირულად დადგეს ლაჩარი;
გმირმა მარცხთანაც წინსვლა იმღეროს
და გამარჯვებას მისცეს ლაშქარი.

როგორ გგონიათ?
შოთამ, თუ მის დროს,
კალმად აიღო „მინა რხეული“;
ჩვენც შეგვიძლია არაუმიზნოდ
კალმად ვიგულვოთ შუბის სხეული.
მე ასე ვფიქრობ.
თვალია ერთი:
ბრძოლის ფონზე დევს ჩვენი გზა-შარა.
სად მაღალი ხმის ლექსების გვერდით,
ქვემეხებივით ბზინავს შაშხანა.

გიორგი კაპანაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეუფლე ტექნიკას

ამხ. ფრუნზეს სახ. მეორე ქართულ დივიზიას.

რომ ისევ დადგეს ორგია ხოცვის
ნალმის და ცეცხლის ხმაურის წლები
ჩახმახზე მდგომი ყუმბარათმტყორცნი
და მეხთა-მეხის გაუბიცები,
რომ მშრომელ ხალხის ხორცი იკადრონ
რომ ახალ ჟლეტვის დარეკონ ჟამი
მზად არის ფრონტის მხეცი რიკარდო
და კაპიტალის ქიმია-შხამი.
კაპიტალიზმის ტექნიკა — ტანკა
ქვემეხი, მინა, მქუხარი ნივთი
მზად არის, ფრონტებს გავა და დაჰკრავს
დაატრიალებს მასიურ სიკვდილს.
კაპიტალიზმის წყალი და ზღვები
ქცეული ნალმად და ჯავშან-გემად
მზად არის, მშრომელთ აცნობოს მსხვერპლით
ლორდების ზიზღი და გაშმაგება.
და თანხებს ჰყლაპავს ქარხნები გილზის,
ქარხნები ტანკის, წყალქვეშა ნავის,
ის ერთი დარგი, რომელიც კრიზისს,
მსოფლიო კრიზისს აცდა და ჰყვავის.
რომ ისევ დადგეს ორგია ხოცვის
ნალმის და ცეცხლის ხმაურის წლები
ჩახმახზე მდგომი ყუმბარათ-მტყორცნი
და მეხთა-მეხის გაუბიცები.
ყველა ეს შენზე, ყველა შენს მიმართ
რომ ფრონტში ლახვრად შემოგახვედრონ
წითელი ლაშქრის მხედარო-რკინავ
სოციალისტურ სამშობლოს მკერდო.
მიეც შენს უნარს ტემპი საოცრად
ენტუზიაზმი გზად და სახელად
ან დავეწიოთ მტერს და გავუსწროთ
ან ჩავუვარდეთ გადასათელად.
ეს ვალად გახდა მხედარო შენზე
და პირად ნების დასცა უფლება
იბრძოლე შესძელ, იბრძოლე შესძელ
ტექნიკის ციხის დასაკუთრება.
შეძლება მიეც სამხედრო დაზგებს
შენს წინ რომ სდუმან, დგანან ერთ ზოლად,
რომ დადგენ შენთან თვით ცეცხლის ხაზზე
მედგარ და ძვირფას თანამებრძოლად
რომ ჩვენმა ტანკამ, ჩვენმა რიკარდომ
ფრონტიდან ფრონტზე ყუმბარა გასცეს
მტრის დამპალ ხორცის წეწვა იკადროს
და გამარჯვება მტაცებელ კლასზე
ეს ვალად გახდა, ვალია შენზე
და პირად ნების დასცა უფლება,
იბრძოლე შესძელ, იბრძოლე შესძელ
ტექნიკის ციხის დასაკუთრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ჩაჩიბაია

ენტუზიასტები*

ეი ამბავი საბჭოელების პირველი მზისა, უცნობისა და სხვათა შესახებ.

იქნებ ცუდი რამ შეემთხვა

ხეთაგური იგვიანებს.

უკვე ერთი საათია, რაც ტიბორ ბარტალოში, არშაკ ასლამაზოვი და სხვები შინ რომ უცდიან, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ ჩანს, ქარხნიდან არ დაბრუნებულა.

საოცარია პირდაპირ!

არ ყოფილა შემთხვევა, რომ გობრონ ხეთაგური ამ დრომდე გარედ დარჩენილიყოს...

უკვირდა ყველას გობრონის დაგვიანება...

მით უფრო ტიბორ ბარტალოშს და არშაკ ასლამაზოვს, რადგან ისინი თვითონ გობრონმა დაიბარა.

ტიბორი, არშაკი — დროზე მოვიდნენ, მაგრამ კარებს შავი ბოქლომი ადევს და ფანჯრის დარაბებიც ნახევრად მიხურულია.

თითქმის გვიანაა.

დერეფნის ბოლოს მოშვებული ონკანი განუწყვეტლივ შიშინებს და გაყუჩებულ სივრცეში ყურს ესმის უკანასკნელად გარბენილი ჩქარი ნაბიჯები...

განიერ ფანჯრებში ჩაჭქრა ელექტრონის სინათლე, რომელიც დერეფანში ქარვისფერ ჩრდილებად გაწოლილიყო და ყველაფერი მიწყნარდა, დადუმდა.

ამ დროს გობრონ ხეთაგური მუდამ სახლში იყო, თავის პატარა, ყავისფერ მაგიდას მიმჯდარი და სწერდა, ჰკითხულობდა, მეცადინეობდა...

— ტიბორ! დაუცადოთ, თუ წავიდეთ! ხომ ხედავთ, გობრონი იგვიანებს... რას იტყვი?!

შეეკითხა არშაკი ტიბორ ბარტალოშს, რომელიც იქვე კარებთან იდგა და ხეთაგურის ძალზე დაგვიანების გამო — ფიქრებში გართულიყო.

— დაუცადოთ! — უთხრა არშაკის პირხმელმა მუშამ — მანამ კი ტიბორი თავის მოთხრობას განაგრძნობს — გობრონიც მოვა და ის იქნება...

არშაკმა ტიბორს შეხედა და ისევ ჰკითხა:

— შენ რა აზრისა ხარ, ტიბორ?!

— იქნებ ცუდი რამ შეემთხვა! უნდა დაუცადოთ!

---

* დასაწყისი იხ. ჟურ. „პროლეტ. მწერლობის“ № 4-5-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან კარგი... მეც ეს მინდოდა...

კმაყოფილებით სთქვა არშაკ ასლამაზოვმა და თან დაუმატა:

— აი, ახლა კი, მინამ გობრონი მოვა, ერთი კარგი ამბავი უნდა მოგვიყვე, ჩემო ტიბორ... აი, ისეთი, ერთხელ რომ გვიამბე:

ტიბორმა გაიღიმა.

უკან გადავარცხნილი, გათხელებულ თმებზე გადაისვა ხელები, მარჯვენა წარბი ნიშნეულად ასწია და რამდენიმე ხნის შემდეგ დაბალი ხმით დაიწყო...

შავი ფრთის ქვეშ

მე ქალაქის განაპირა უბანში ვიმალებოდი და უკანასკნელ დღეებს იქ ვალამებდი სხვა ამხანაგებთან ერთად...

გახშირდა დარბევა, დაწვა, ჩამოხრჩობა და ღამით მუშების გატაცება სახლებიდან.

უცხოელ ჯარისკაცების ფეხის ხმა და სამხედრო მუსიკა არღვევდა შიშიან ქალაქების მიყუჩებულ, თითქოს მგლოვიარე ქუჩებს და ყოველ ნაბიჯზე ტყვიამფრქვეველები სასიკვდილო წივილისათვის ემზადებოდენ.

ჩვენი ოთახი ძალზე პატარა და უსინათლო იყო.

უსინათლო იმიტომ, რომ ისედაც პატარა ფანჯრებზე ფარდები გვქონდა ჩამოფარებული და ამასთან ერთად სანთელს არ ვანთებდით, რადგან გახშირდა ჯაშუშობა და ადვილად შეეძლოთ ჩვენი დაჭერა.

ერთხელ, მარტო რომ დავრჩი, — კარებთან ფრთხილი კაკუნი გაისმა.

გავაღე კარები და...

შემოვიდა ჩემთან გაბრიელ შოპრინი და ხმის აკანკალებით მკითხა:

— ტიბორ! რა გაიგე?! ცნობა ხომ არსაიდან მიგიღია?!

— ვისზე ამბობ მაგას?! რა ცნობა?!

ვეკითხები მე და თან მიკვირს, თუ რატომ უკანკალებს ხმა და ასე იქვიანად რად მეკითხება.

— როგორ თუ ვისზე?! ჩვენებზე, რასაკვირველია ჩვენებზე! ხორტის მიერ განწირულთა შესახებ, რომლებსაც ნადირივით დასდევენ! ჩემი შვილიც, ხომ იმ განწირულთა შორისაა... ჩემი შვილი უკანასკნელი იმედი ჩემი ცხოვრების... ხომ გესმის, რა ამბები ხდება! წუხელის ჩვენი უბნიდან უცნობ პირებს ორი მუშა წაუყვანიათ და მერე მის კვალს ვერავინ მიაგნო! აქეთ, ხელში ვინც ჩაიგდეს, სიკვდილით უსწორდებიან. გაიგე, საწყალ ლეშერს უკანასკნელ წუთებში თუ რა უთქვამს: — მი მეგხალუნკ დე ა მი იდეანკ ელნი ფოგ *)...

მერე კიდევ საბრალო შტეიგერს: — ენ ნემ ვადიოკ ბიუნეშ მეგიშ ბიუსკენ ხალოკ მეგ**)...

— ტიბორ!

ამბობდა მოხუცი ისევ და უფრო კანკალებდა.

— მე ეს სიტყვები სასოწარკვეთილების კივილივით ჩამწივის უნგრეთის საშინელ დღეებზე...

— მოხუცო, იმედს ნუ კარგავ! სულით ნუ დაეცემი! შურისძიების დრო მალე დადგება! გაუსწორდებით!

---

*) ჩვენ ვკვდებით, მაგრამ ჩვენი იდეა მაინც იცოცხლებს (უნგრული)

**) მე ტამნაშავე არავარ, მაგრამ ვკვდები ამაყად (უნგრული).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ ბებერ ძვლებს შურისძიება მოსწყურდა, მაგრამ ეჰ, ხომ ხედავ ტიბორ, უცხოელები ჩამოდგნენ და გვანადგურებენ! რა ხანმოკლე გამოდგა ჩვენი სიხარული! რა მცირე ხნით ანათებდა ჩვენი მზე!

— გულს ნუ გაიტეხ, მოხუცო! ყველაფერი ისე იქნება, როგორც ეს საჭიროა! ჩვენ ყველგან ვართ... ჩვენი ძმები ყველგანაა... თუ გინდ შორეულ ინდოჩინეთში, თუ გინდ ზღვებს იქით ამერიკაში, სადაც ხალხი შიმშილობს და ლუკმაპური ენატრება... ჩვენს ბედზე სწუხან ჩვენი მოძმეები გერმანიაში თუ საფრანგეთში, იტალიაში თუ ისპანიაში — ყველგან, ყოველ მხრიდან, როცა იქნება — ადიდდება, აზვირთდება ბრაზი, გულისწყრომა და წალეკავს შლამს...

— მაგრამ დღეს?! ხომ ხედავ, როგორ გვარბევენ! არ გვზოგავენ, არ გვინდობენ! ჩემს ბებერ ძვლებს დანგრეულ სახლის კირიან ქვების ქვეშ ჩალეწავენ თუ ესეც დასჭირდათ. მაგრამ ჯანდაბას იქით ჩემი თავი, სტეფანესი რა გაიგე?! ის ხომ ჩქარით უნდა ჩამოსულიყო?!

— ჩამოვიდოდა!

— არა, ჯერ არ ჩამოსულა!

— რა იცი?!

— შინ არ მისულა!

— სტეფანეს ხომ ფეხდაფეხ დასდევენ! შინ როგორ მივიდოდა!

— მაშ სად იქნება!

— ვინმე ამხანაგთან!

ვეუბნები მე და ვხედავ, თუ როგორ თრთის, თუ როგორ დაეჭვებით გამოიყურება.

— ტიბორ! ფიქრები არ მასვენებენ! ათასგვარი აზრები მესევიან და საღი აზროვნების უნარს მიკარგავენ. არ ვიცი, რა ვიფიქრო! არ ვიცი, რა გზას დავადგე!

— ფიქრებს თავი ანებე! ბრძოლის გარდა ჩემო გაბრიელ სხვა გამოსავალი არ არის!

მოხუცი გაჩუმდა.

დიდხანს იყო ასე თავჩაქინდრული და მერე დაბალი ხმით მკითხა...

— ლაიოსმისში მომხდარ ამბებზე ხომ არაფერი გსმენია!

— ჯერჯერობით არაფერი!

— სტეფანეს ხომ ლაიოსმისში უნდა გამოეცალა!

— მერე რა?!

— ის რომ თავდასხმის დროს ხომ არაფერი მოუვიდა!

— ნუ გეშინია! ნურაფერზე ნუ ფიქრობ! — ვანუგეშე მე.

ის კი ისევ თრთოდა.

მუხლები უკანკალებდა და წუხილი, ფიქრები, კოშმარი ცრემლებად მოაწვა თვალებში.

იმ დღიდან თითქმის ყოველ დღე დადიოდა ჩემთან და შვილის ამბავს კითხულობდა, მაგრამ სტეფანეს შესახებ არაფერი ისმოდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მოიკაკვა ეს მოხუცი და ჯავრისაგან გაბონჩოებული დადიოდა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ გავიგეთ, რომ ჩქარი, რომლითაც სტეფანე მოდიოდა, ლაიოსმისში გაუჩერებიათ და ვიღაც ოთხ კაცს, რომელთაც პირსახე ნილაბებით ჰქონიათ აფარებული, ოთხი მგზავრი ჩამოუყვანიათ და იქვე ორგოვანის ტყეში ჩამოუხრჩვიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანე კი, რომელსაც ის საწყალი მოხუცი დღე და ღამ მოელოდა, შუა-ღამეში გავლილი მგზავრის ფეხის ხმა მის ნაბიჯებს აგონებდა, თურმე იმ ოთხ მგზავრებ შორის ყოფილა...

ისინი: — ქარხნის ახალგაზრდა მუშები კომკავშირის უჯრედის მდივან არშაკ ასლამაზოვთან ერთად, გატაცებით უსმენდენ ტიბორ ბარტალოშს, რომელიც ყოველ სიტყვაზე შეჩერდებოდა, ჩაფიქრდებოდა და იგონებდა საბ-ჭოთა უნგრეთის ბრძოლის ეპიზოდებს, მხოლოდ უფრო მწარეს, უფრო მშფოთვარეს.

თითეულ მათგანში ეს ეპიზოდები წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა და თვით ბარტალოშიც ისე დამაინტერესებლად უყობოდა მათ ამ ამბებს, რომ არც ერთს მათგანს წამწამიც კი არ დაუხამხამებია.

იჯდენ გატრუნული და ამ დუმილში ბრძოლის ეპიზოდები სისხლიან ტალ-ღებად ეხეთქებოდენ გულს...

— მწარეა! მწარეა ძმებო, როცა დახოცილ მეგობრებს იგონებ! — წაილა-პარაკა თავისთვის ტიბორიმ და თავზე ხელები გადაისვა — მწარეა შავი წარ-სულის გახსენება.

ყველანი ჩუმად იყვნენ და ამ სიჩუმეში ტიბორის სიტყვები ფიქრებთან ერთად ტკივილივით შეეჭრათ გულში.

— ეჰ, რომ იცოდეთ — განაგრძნობლა ტიბორი — რა გატაცება, რა ხალისი და რა სიხარული იყო, როცა მოვიპოვეთ შვება, თავისუფლება, მაგრამ მერე კი ეს გატაცება, ეს ხალისი და სიხარული სისხლში ჩაახრჩვეს, ცეცხლში დასწვეს და გაგვანადგურეს!...

გახშირდა დარბევა სიოფოკაში თუ ვაცეში, პაკეში თუ სოპრონოში, დუ-ნაფელდფარეში თუ კეკსკემეტაში... ილვრებოდა სისხლი და საკუთარ სისხლში გვახრჩობდენ...

ასობით ეკიდა ჩამოხრჩობილნი დუნაის ნაპირებზე და დუნაის ცისფერ ტალღებზე ნელა ირწეოდენ მონაბერი სიოთი.

ასეთივე სურათი იყო პლატესკის ტბაზე და კიდევ უფრო საშინელი ორგავანის ყრუ ტყეში, სადაც ხეებს ჩრდილებივით ეკიდა ჩამოხრჩობილთა გვამები.

დაასრულა ტიბორიმ და გადახედა მის ირგვლივ მდგომ მუშებს.

— ტიბორ! არაუშავს!... უთხრა არშაკმა მუხა წააქციეს, მაგრამ მისი ფე-სვები მაინც ხარობენ — ძარღვებივით რომაა მიწაში ჩასული.. სწოვენ მიწიდან დახოცილ მებრძოლთა სისხლს... ამოიყრებიან... დადგებიან ძირმტკიცედ ისე, რომ ვერც ერთმა გრიგალმა ვერ მოლუნოს... შავი ფრთა კი, რომელიც უნგ-რეთს ჩრდილავს, — დაიწეწება და საბჭოების მზე კვლავ გამოანათებს...

ტიბორს სიხარულისაგან თვალები გაუფართოვდა და სახე გაუბრწყინდა

სადაც შიგნით გამარჯვების მიძინებულმა გრძნობებმა გაიღვიძეს ისე, რომ უსაზღვრო გახადეს ეგ სიხარული და აღტაცება.

სხეულმა კვლავ იგემა აღტაცება, რომელსაც ვერაფერი ვერ უძლებს და მკერდქვეშ რაღაცამ ტკბილად გაუარა...

უ ც ნ ო ბ ი

დერეფნის ღია ფანჯრიდან მოსჩანს ფერწასული მთვარით განათებული მთაწმინდის კუზი, — თითქოს ვარსკვლავებ დაყრილი ფუნიკულიორი — მოლიც-ლიცე ელნათურების შუქით მაღლა აწეული ტფილისის ცა.

არშაკ ასლამაზოვი ღია ფანჯრიდან გადასცქერის ტფილისს და ისე უსმენს ტიბორ ბარტალოშს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიბორი კი კვლავ აგრძელებს ამბავს და ახალგაზრდა მუშები კვლავ გატაცებით უსმენენ.

უცბად დერეფნის მარცხენა კუთხეში აენთო ასანთი.

ფოსფორული სინათლით განათდა უცნობი სახე.

სინათლე ჩაქრა.

უცნობის ხელში კი ბრწყინავს პაპიროზი.

არშაკმა ტიბორი წუთით გააჩუმა და უცნობს დააკვირდა.

ყველა ცნობისმოყვარეობამ გაიტაცა.

აკვირდებიან.

კარებთან ვიღაც პატარა ტანის კაცი დგას და მის ხელში ჟამჟამად ინთება პაპიროსი.

ის ხმას არ იღებს.

ადგილიდანაც არ იძვრის.

— ვინ არის, ხომ არ იცნობ?!

შეეკითხა ტიბორ ბარტალოში არშაკს და პასუხის მოლოდინში ნელა მიიწია ძისკენ.

— ჩვენებს არა გავს!

არშაკმა წინ წაიწია და თითქმის ახლოს მისულმა შესძახა:

— ვინა ხარ მანდ?!

— ვინა ვარ და მე ვარ!

გაისმა ხრინწიანი ხმა იქიდან და პაპიროსი ჩაქრა.

— ამხანაგო რა იყო?!

— აბა, შენ რაში გეკითხება, მე თუ ვინავარ! რა გინდა?!

— ვისმეს ხომ არ უცდით?!

— ვუცდი! დიახ ვუცდი?!

— მერე და ვის?!

— ვის და პეტრე შჩუკინს! გაიგე?!

— შჩუკინს?! — გაკვირვებით იკითხა ტიბორმა.

— დიახ!

— მერე რა საქმეზე !

შეეკითხა არშაკ ასლამაზოვი.

— ეს მე ვიცი... ეს მან იცის... ჩვენ ორივემ ვიცით....

— რას ცხაროობ — შე კაი კაცო!

— რას ცხაროობ რომელია! მოვიდეს ერთი... რამდენი ხანია, რაც ძირს ვუცდი, მაგრამ ჯერ არ სჩანს... ალბათ აწი მაინც მოვა და აქ ხომ ვერ გამეპარება!

— რა იყო?! რაზე ხარ გულმოსული?!

არშაკი და ტიბორი ნელნელა მიუახლოვდენ უცნობს.

— რა საქმეზე უცდი?! — შეეკითხა არშაკი.

უცნობი ჯერ ჩუმად იყო. ეტყობოდა ბრაზი ახრჩობდა. პაპიროსი რამოდენიმეჯერ მოქაჩა და მერე ნერვიულად ხელები აასავსავა...

— რა შენი საქმეა, თუ რაზე ვუცდი! ან შენ რად გინდა!

— რამ გაგამწარა კაცო! შენთან დალაპარაკები არ შეიძლება — თუ რაშია საქმე?! — ნელა მიმართა არშაკმა.

უცნობი თვალებში ჩააცქერდა არშაკს და მერე კბილების ხრჭიალით სთქვა:

— მატყუებს! თავიდან ბოლომდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაზე გატყუებს!

— ოთხი დღეა, რაც ვუცდი და მატყუებს!

ასლამაზოვი ეხლა უფრო შეიპყრო ცნობისმოყვარეობამ და შეეცადა ტკბილად გამოეკითხნა ყველაფერი.

— როგორ თუ გატყუებს! — ვაიოცა ტიბორიმ.

უცნობი კი უფრო და უფრო ძუნწობდა.

სიტყვას არ ამბობდა, მხოლოდ თვალებს ატრიალებდა რაღაცა განსაკუთრებულად. ეს კი ისეთ შთაბეჭდილებას იძლეოდა, რომ ამ კაცს რაღაც ბოლმა ახრჩობს, რაღაც აწვალებს, მაგრამ არ ამჟღავნებს...

— როგორ თუ გატყუებს?! — ისევ შეაპარა კითხვა არშაკმა და მოუთმენლად მოელოდა, თუ რას იტყოდა უცნობი.

— ოთხი დღეა რაც ვუცდი და მატყუებს! ფული კი წინასწარ წაიღო და ჯერ კიდევ არ მოუტანია!

— რა?!

— რა?! რასაკვირველია, რაც დამპირდა!

— გარკვევით ილაპარაკეთ, რა მოხდა! რაშია საქმე?

— მოთმინების ფიალა აივსო! მეც შემიძლია სამაგიეროს გადახდა?!

— თქვენ ცალიერ სიტყვებს ამბობთ! ვერაფერი ვერ გამიგია!

— მე ის საქმე რომ გავამხილო — ისევ თავისას გაიძახოდა უცნობი — იცოცხლე იმას შავი დღე დააყენონ!.. მაგრამ მე არავარ შურიანი კაცი!..

ტიბორი და არშაკი ცნობის მოყვარეობამ მთლად გაიტაცა.

ხედავდენ — უცნობს ბრაზი თუ როგორ ერეოდა.

ბრაზი ხშირად, სრულიად მოულოდნელად გაამხელს საიდუმლოს...

აი, არშაკი ხედავს, უცნობი არის თავდაჭერილი, მაგრამ ბრაზი ახრჩობს. კიდევ ერთი შეკითხვა და შეიძლება ყველაფერი სთქვას...

ტიბორი და არშაკი დარწმუნებული არიან, რომ ის იტყვის... იტყვის, რაც იცის... იტყვის, რაც აბრაზებს... იტყვის, რად ელოდება შჩუკინს...

— რა უნდა მოეტანა შენთვის?!

ისევ შემპარავი ტონით მიმართა არშაკმა.

— რა?! შლანგები, ბრეზენტები, სხვადასხვა იარაღები!

ამან კი ტიბორი და არშაკი საშინლად გააოცა.

— მაგალითად, რა იარაღები?!

— ქლიბი, ფოლადის ხერხები, ჩაქუჩები და სხვა...

არშაკი არასოდეს არ მოიფიქრებდა, თუ ვინმე ასეთებს ჩაიდენდა.

არშაკს თავისთავი ვერ დაეჯერებინა ამ სიტყვების სიმართლეში და რომ უფრო გამოერკვია, ისევ შეეკითხა...

— თქვენი სახელი?!

— ტიგრან! — უპასუხა უცნობმა.

— გვარი?

— ახუნდოვი!

— მერე შენ ესენი რაში გჭირდებოდა?!

— მე... პატარა დუქანი მაქვს...

— მერე?!

— ასეთებს გასავალი აქვს ხოლმე! კარგ ფასებში იყიდება!

ახლა კი ყველაფერი ცხადი შეიქნა.

ახლა კი ყველაფერი გამოირკვა.

— ერთი ეს მითხარი — ზედიზედ ეკითხებოდა არშაკი — ხშირად დაჰქონდა შენთან ასეთი ნივთები?!

— შჩუკინს?!

— ხო!

— ძალიან ხშირად! სამაგიეროდ მეც კარგ ფულს ვაძლევდი! უსასყიდლოთ ნემსი არ გამომირთმევია!..

არშაკს ბოლმა მოაწვა და არ იცოდა რა ექნა.

უნებურად კბილები გაახჭრიალა და სიბრაზე მუშტში ჩაახრჩო.

მერე ტიგრან ახუნდოვს მისამართი გამოართვა.

— ამას ჩვენ ხვალ ქარხანაში გამოვარკვევთ!..

ახლა კი წადი... ხვალ კი ყველაფერს გაიგებ...

უთხრა არშაკმა უცნობს.

უცნობს ხმა არ ამოუღია.

იდგა ჩუმად და გაჰყურებდა სივრცეს.

არშაკს ახლა რაფერი არ ესმის.

ყურთან თითქოს ცივი სიტყვების ხრიალებენ...

— მავნებელი... წამგლეჯი...

— მე... არსად არ წავალ! — წამოახრიალა უცნობმა.

— მე აქ უნდა ვუცადო!.. ან ფული დამიბრუნოს, ან საქონელი!..

— აქ თქვენ მას ვერ ნახავთ... აქ არ ცხოვრობს!

— როგორ თუ არ ცხოვრობს! ახლა შენც მატყუებ თუ?!

გაცხარდა უცნობი და ხელები ჯიბისაკენ წაიღო.

— გელაპარაკები, დაიჯერე... თუ არ გჯერა,

დაუცადე... რა მენაღვლება... მხოლოდ გეტყვი, დილამდე რომ უცადო, ვერ ნახავ...

უცნობმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო...

— აი მისამართი!.. თითონ მან მომცა...

— მოუტყუებიხარ! გესმის?!

უცნობი მისამართში შეეჭვდა.

— მაშ მისამართი არაა მართალი?! — შეკითხა რამოდენიმე ხნის შემდეგ.

— არა! ხვალ მე თვითონ მოვალ შენთან და იქ ყველაფერს გამოვარკვევთ!

უცნობი აბუზღუნდა...

რაღაც გაურკვევლად წაიბუტბუტა და ცოტა ხნის შემდეგ წასასვლელად გადასდგა ნაბიჯი...

— ახლა კი მე ვიცი... — ნელა წაილაპარაკა არშაკმა.

გარეთ: ვარსკვლავები უცნაურად კამკამებენ და მთვარე ქარვის ნატეხივით გამოჩნდა ღრუბლების ნაგლეჯებიდან, გაანათა უცნობის მიმაგალი ზურგი და მერე ისევ ღრუბლებში შერგო თავი.

წასაგლეჯად გაშვერილ ხელებს ძირშივე წავაჭრი

ათასი ფიქრები, ათასი აზრები უტრიალებს თავში გობრონ ხეთაგურს, რომელიც შორეულ წარსულის ბინდბუნდშია გახვეული და ეს მოგონებები კი მძიმედ აწვება გულზე...

გრძნობს, თუ წარსულის მოგონება როგორ მწარედ დაუვლის მთელ სხეულში ცივ ჟრუანტელად.

ათასი აზრები, ათასი ფიქრები იწეწებიან და ამ ფიქრებში, ამ მოგონებებში თვალწინ წარმოუდგება წარმოებაში ახლად მოსული მაგდა, რომელიც პირველად ყველაფერს კრძალვით ეპყრობოდა, მუშების ჩვეულებრივ ხუმრობაზე ჩვილ წარბებს შეიკრავდა და თვალდახრილი დაზგას დაჰყურებდა...

მაგდა — მეტად ხალისიანი, მეტად მიმზიდველი, უბრალო და განსაკუთრებული, ჯანით და სიცოცხლით სავსე, — წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა გობრონზე.

გობრონი თავიდანვე გაიტაცა მაგდას მოქცევამ და უნდოდა ყველაფერში დახმარებოდა, უნდოდა ყველაფერში ხელი შეეწყო და მუდამ ახლოს, პირისპირ ყოფილიყო...

მაგრამ ყოველივე ამას გობრონ ხეთაგური ისე აკეთებდა, რომ თითქოს არ უნდოდა სიყვარულის გრძნობები გამოემჟღავნებინა.

ყოველთვის იყო თავდაჭერილი, მაგრამ მაგდასადმი სიყვარული დღითი დღე უფრო და უფრო ძლიერდებოდა და გულში უჩვეულო ტკივილად იჭრებოდა...

სიყვარული მხოლოდ გატაცებაა და გობრონ ხეთაგურში იმდენად ძლიერი იყო ეს გატაცება, რომ ყოველთვის თვალწინ ედგა მაგდა, — რკინის მტვერით ხელებ დასვრილი, რკინისფერ წარბების ქვეშ — თვალები ფოლადის ნაპერწკლებად ანთია და ტრიბუნაზე გამოსული სიტყვებს რომ ამბობს მოკვეთით, ძარღვების უჩვეულო დაჭიმვით...

— მაგდა?! ნამდვილი მებრძოლია, ნამდვილი კომკავშირელი!.. მან იცის მეგობრობა... ამხანაგობა... სიყვარული... იცის, იცის...

ესაუბრება თავისთავს გობრონ ხეთაგური და ნელა მოაბიჯებს...

ბრუნდება შინ გობრონ ხეთაგური და მკერდით მოაქვს მაგდას სიტყვები, მაგდას სიყვარული...

ფიქრებში გართული ხელში ჯოხს ათამაშებს, რომელიც შჩუკინს გამოსტაცა გზაში რომ დახვდა და ბნელში გადააგდო, მაგრამ შემდეგ მაგდამ ხელთ მისცა და დასძინა:

— გობრონ! არ დაკარგო... ალბათ დაგჭირდება... საქმე მოითხოვს...

აგონდება გობრონს ეს და ახლა მოგონებების ნისლში ამოცურდა შჩუკინის მოღრეცილი, გაცრეცილი სახე.

— მახრასავით ჩაჯდა, მაგრამ ღდინს გავაცლით! შჩუკინი რას გააწყობს, როცა ათი ათასი ენტუზიასტები დაუღალავად მუშაობენ!

ჯოხს ისევ შეათამაშებს და უმატებს ნაბიჯებს...

ხან მაგდას მხიარულ სახეზე შეჩერდება...

ხან შჩუკინის ნამთვრალევ, დაბეგვილ სახეს წარმოიდგენს...

ხან სულ სხვა ფიქრებში გადავარდება...

ხან ისევ ქარხნის ბედიღბალზე შეჩერდება და ფიქრებში გაუელვებს...

— არა... ეს უსათუოდ საჭირო იყო... ეს კარგი იყო ახლა შჩუკინმა საბოლოოდ გამოამჟღავნა თავისი „მე“... აწი ჩვენ ვიცით...

ფიქრებში გართული ნელა ამოყვა კიბის საფეხურებს და ასევე ნელი სვლით გაიარა ვიწრო დერეფანი, სადაც მას არშაკ ასლამაზოვი და ტიბორ ბარტალოში შეხვდა...

უკვე გვიან იყო და ტიბორისა და არშაკის გარდა სხვები წასულიყვნენ...

თვითონ ტიბორი და არშაკიც აპირებდენ წასვლას, მაგრამ სწორედ მაშინ მოვიდა გობრონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სერეუს ელეტარშ*).

დანახვისთანავე უნგრულად მიმართა გობრონ ხეთაგურმა ტიბორს და ხელი მაგრად ჩამოართვა.

ეს სიტყვები ტიბორიმ ასწავლა ხეთაგურს და ხეთაგურიც სადაც კი შეხვდებოდა, ყველგან ასე ესალმებოდა...

გობრონმა საჩქაროდ გააღო ოთახის კარები და სტუმრები შეიყვანა...

ტიბორ ბარტალოში პირველად იყო ხეთაგურის ოთახში.

ელოდა, რომ ოთახი იქნებოდა ძალზე პატარა (გარედან ასეთი შთაბეჭდილება იყო) და შიგ ცალიერი მაგიდა და სკამები...

კუთხეებში წინაპრებიდან დატოვებული (როგორც ხშირად იციან ჩვენში) ოქროს ვარაყებიანი სურათები და ჩვეულებრივ ლურჯად შეღებილი ჟესტის აბაჟურიანი ელნათური, რომელიც ფორთოხალივით ჰკიდია ჭერთან და სიყვითლე ზედ ასკდება...

ტიბორიმ ყველაფერი დაკვირვებით დაათვალიერა და მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა თაროებზე მარქსის წიგნები დაინახა, იქვე ლურჯ ყდებში ლენინის თხზულებები და მაგიდაზე კი სხვადასხვა სახის წიგნები — ზოგი გადაშლილი, ზოგი დაკეცილი და შიგ ქაღალდები ჩ:დებული, რომელზედაც ეწერა „ფიზიკა", „მატემატიკა" „ქიმია" „ალგებრა", „ლოგრიფმების ცხრილი" და სხვა.

ტიბორ ბარტალოზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყოველივე ამან, ერთხელ კიდევ დარწმუნდა იმაში, რომ ხეთაგურს მოწყურებული ჰქონდა ცოდნის შეძენა.

— კარგია... ძლიერ კარგი!..

წაილაპარაკა თავისთვის ტიბორიმ და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა წიგნებს...

— ხედავ, ტიბორ — დაიწყო ხუმრობით არშაკ ასლამაზოვმა — ხეთაგური უტევს და უტევს მეცნიერებას! ალგებრიდან იწყებს და ოთხ მოქმედებით ათავებს!

ხეთმგურმა მხიარულად გადაიხარხარა არშაკის ხუმრობაზე და უთხრა:

— ბიჭო არშაკ, შენ ხუმრობ და თურმე არც ისე ძნელი ყოფილა მეცნიერება!.. აი, ჩვენ რომ ვამბობთ: საჭიროა, მაშასადამე გაკეთება. — სრულიად გამოსადეგია ამ შემთხვევაში...

არშაკის სახეზე ეშმაკურმა ღიმილმა გაითამაშა.

ხეთაგური მიხვდა, რომ რამე საოხუნჯო უნდა ეთქვა და სახეზე მიაჩერდა...

— ტიბორ!

მიმართა არშაკმა ბარტალოშს და ახლად შეძენილ წიგნებზე მიუთითა...

— შეხედე, არც კი გაუჭრია! რომ წაიკითხოს ეშინია გავლენის ქვეშ არ მოექცეს!

ტიბორ ბარტალოში მეგობრულ ხუმრობაზე ნელ იღიმებოდა და ხედავდა გომბრონს სრულიად არ სწყენოდა ეს ხუმრობა, მაგრამ არშაკს მაინც უთხრა...

— არშაკ! არ ვარგა ასეთი ხუმრობა!

ხეთაგურმა უმალ გააწყვეტინა ტიბორს...

— შენ გგონია მე ეს მეწყინა?! არა, ჩემო ტიბორ... ჩვენ ამაზე უფრო მივსცხებთ ერთმანეთს, მაგრამ ეს არაფერია... მხიარული გულის ნაყოფია ხოლმე. თქვენ ეს მითხარით, დიდიხანია რაც მიცდით, არა?! ძალიან დავიგვიანე?!

---

*) გამარჯობა ამხანაგო! (უნგრული).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუმცა დაიგვიანე, მაგრამ ეს დაგვიანება კარგი გამოდგა! — უთხრა არშაკმა.

— როგორ?!

— ჩვენ ხომ სულ სხვა საქმეზე მოვედით... ჩვენ ხომ პლაკატები უნდა მოგვეტანა?!

— მერე?! არ მოგიტანიათ თუ?!

— როგორ არა! აი პლაკატებიც! — უთხრა არშაკმა და იმ წუთშივე გადასცა.

გომბრონმა გაშალა და კმაყოფილებით დაიწყო კითხვა...

ხანდახან ტიბორს და არშაკს შეხედავდა და გრძნობდა, რომ არშაკი წინანდებურად ანგალის ხასიათზე არ იდგა, მაგრამ მისი თვალები მაინც ეშმაკურად ელავდენ.

ეს გომბრონს არწმუნებდა იმაში, რომ საცაა ისევ უნდა იხუმროს, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის შეეკითხა:

— მერე არშაკ, რაღაც გინდოდა გეთქვა!

— აქ, ძმაო, სულ სხვა საქმეს მოუხსენით თავი! აქ სულ სხვა საქმეს გადავეკიდეთ!

— როგორ თუ გადაეკიდეთ?!

— საიდუმლო რამ ალმოვაჩინეთ!

— რას ხუმრობ, ბიჭო?!

— კი არ ვხუმრობ, მართალს ვამბობ!

— ბიჭო, აქ რა საიდუმლოს ალმოაჩენდით! ხუმრობ თუ?! იმას არ სჯობია ვილაპარაკოთ ამ პლაკატებზე... ხვალ დილით ხომ უნდა იყოს გაკრული...

— კაცო, ამ პლაკატებს კი გავაკრავთ... მისი დარდი ნუ გექნება...

— არშაკ, რა ეშმაკურად გეცინება! აბა სთქვი, შენი რჯული არ იყოს... სთქვი შენი საიდუმლო...

— გობრონ, მე თუ მეცინება, იმიტომ რომ რაღაც ჩემი არ გჯერა...

— რას აჭიანურებ, არშაკ! — მიმართა ასლამაზოვს ტიბორიმ — კაცს მართლაშეაეშვებ სიმართლეში...

არშაკმა სერიოზული სახე მიიღო და დამშვიდებით უთხრა.

— გობრონ! თურმე პეტრე შჩუკინი სხვაფრივ მამაძაღლობს.

გობრონმა პეტრე შჩუკინის გაგონებაზე პლაკატები იქვე დაიწყო, მივიდა ახლოს არშაკთან და გაკვირვებით ჰკითხა:

— შჩუკინი?! რამე ხომ არ გაგიგიათ?!

— სწორედ რომ გავიგეთ!

— რა?!

— თურმე ინსტრუმენტებს იპარავს და ჰყიდის!

დაუმატა ტიბორიმ.

— ეს საიდან გაიგეთ?!

გაოცებით შეეკითხა გობრონი და ახლა კი გამახვილებული სმენით შეყურებდა ორივეს.

— აი საიდან... უთხრა არშაკმა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

ამ ამბით შეშფოთებულმა გობრონმა ხელები მაგრად დაარტყა მაგიდას და გაბრაზებით წამოიძახა...

— კისერს მოგრეხ მაგ არამზადას! წასაგლეჯავად გაშვერილ ხელებს ძირშივე წავაჭრი მაგ ძაღლისშვილს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გობრონ! ამ საქმეს ღრმა დაკვირვება უნდა!

მარტო შჩუკინი ასეთებს ვერ გაბედავს! ვინმე დამხმარე უთუოდ ეყოლება!..

— კი მაგრამ ერთი ეს მითხარით, ის კაცი, რომელიც შჩუკინს ეძებდა, ისე გაუშვით, არა?!

— აბა, რა უნდა გვექნა!

— სხვანაირად უნდა მოქცეულიყავით! სხვანაირად!

— მისამართი გამოვართვი!

— მისამართი?!

— ხო, მივალ, ვნახავ!

— იქნებ მისამართი ყალბია, მაშინ!

— არ მგონია! თუნდაც ყალბი იყოს... მე თითონ მოვძებნი... მე თითონ ვიპოვი!

— იპოვი!

— უთუოდ!

— კარგი... ეს კარგი...

ნელა წარმოსთქვა გობრონმა და ფიქრებში გაყვა იმ აზრს — რომ შჩუკინი ქარხანაში არ უნდა იყოს...

უფრო და უფრო რწმუნდებოდა ამ აზრში და იგონებდა ქემოკლიძის სიტყვებსაც; — ჩემი ჯანმრთელობა მთლად მირჩევნია თქვენ ქარხანასო...

იგონებდა თვით პეტრე შჩუკინს, რომელიც გამოექომაგა ქემოკლიძეს და ეხლა, რატომღაც ჯიუტად დაადგა მეორე გზას...

— ხომ შეიძლება ქემოკლიძეც მასთან იყოს!

— კირიონი უფრო ფრთხილი, უფრო თავდაჭერილია... ის აშკარად სიტყვასაც არ შემოგიბრუნებს... შჩუკინი კი აშკარაა... გაუთლელი, მოუხეშავი...

ხეთაგური ნახევრად ბუნდოვან ფიქრებში იყო, რომ ნელა მიუახლოვდა კარებთან მიყუდებულ ჯოხს, ხელთ აიღო, არშაკს, ტიბორს გადასცა და მერე კითხა:

— ხედავთ ამ ჯოხს, ძმებო! მაგარია, არა?!

— რკინასავით; — უპასუხა არშაკმა.

— მძიმეა?

ისევ შეეკითხა გობრონი.

— ძალიან!

უპასუხა ტიბორიმ და ასეთი შეკითხვებისაგან გაოცებულმა ჰკითხა:

— გობრონ, ასე რად გვეკითხები?

გობრონი წუთით გაჩუმდა.

მერე მხრებზე დაადო ხელები ტიბორ ბარტალოშს და დაიწყო:

— მაგდას ვაცილებდი!

— მერე?

— ქარხანას რომ მოვშორდით, გზაში მთვრალი შჩუკინი დაგვხვდა და... ჯოხიც მას წავართვი... უნდოდა დაერტყა... შავი განზრახვა ჰქონია, მაგრამ განზრახვა განზრახვად დარჩა...

— ოჰო! ეს კი მთლად სახუმრო საქმე არ არის!

— უთხრა არშაკიმ — სჩანს ყველაფერი წინასწარ განზრახვით ყოფილა... აქ უკვე მოწინააღმდეგის გეგმასთან გვაქვს საქმე!

— ასეა ძმაო! ახლა ყველაფერი გამორკვეულია!

— სჩანს, აშკარად შეტევაზე გადმოდის... მერე კიდევ ეს მაშინ, როცა ჩვენ გიგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ვიბრძვით... როცა ჩვენ შინა რესურსებს გამონახვას ვაწარმოებთ და თითეული ნივთი ძალზე საჭირო და საყარგებლოა!

— მერე და შენ რა აზრისა ხარ ამაზე?!

— რა აზრისა?!

— ხო როგორ მოვიქცეთ!

— ხვალ ქარხკომში საბოლოოდ უნდა გამოირკვეს ყოველივე და მის არსებობას ჩვენს ქარხანაში ერთხელ და სამუდამოთ დაესვას წერტილი.

. . . . . .

. . . . . .

ახლა ყველასათვის ნათელია შჩუკინის აზრი, შჩუკინის მოქმედებები, როგორც წამგლეჯის, როგორც მავნებლის...

იცის ეს გობრონ ხეთაგურმა, იცის ეს არშაკ ასლამაზოვმა და ტიბორ ბარტალოშმაც კი.

მხოლოდ — მათი ფიქრები, მათი იქვები იქითკენაა მიმართული, რათა გამოარკვიონ: — ვინმე კიდევ ხომ არ არის შჩუკინივით ჩამჯდარი და ხომ არ მოქმედებს ავი განზრახვით... ან თითონ შჩუკინს ხომ არა ყავს ხელისშემწყობი ამ საქმეში... ან შჩუკინი ხომ აო მოქმედობს ვინმეს მითითებით!

— მაგრამ არაფერია... ჩვენ მას ვიპოვით... პასუხს გავცემთ! — ამბობს გობრონი...

— არაფერია!.. რკინას მაინც ვერ გატკვერავენ... კბილები, რაც არ უნდა ახრჭიალონ, ფოლადს მაინც ვერ გახრავენ... ჩვენს გულს რკინა - ფოლადის მკერდი ფარავს... ეს გული ჩვენი ქარხანაა... ეს გული ჩვენი გეგმაა, რომელიც უჩვეულო ენტუზიაზმად ანთია ჩვენში... რკინა - ფოლადის მკერდი კი, რომელიც იცავს ამ გულს — ეს ჩვენი ნებაა, ეს ჩვენი ძალაა...

და აი: — გობრონ ხეთაგური მოუთმენლად მოელის განთიადს, როცა ლურჯ ბინდებში იმღვრევა დღის სინათლე და ყრუ სიჩუმეს საყვირის გუგუნი მიარღვევს...

როცა ლურჯხალათიანები ქარხნებისკენ, ფაბრიკებისკენ მიიჩქარიან და მანქანების ქშინვაში, ღვედების შრიალში, მკვეთარების ყრუ ხრიალში, ფოლადის რკინის ღრენაში და ჭედვაში საამქროები და კორპუსები აგუგუნდებიან...

მოელის გარიჟრაჟს, რათა იქ, ქარხანაში პირისპირ შეხვდეს პეტრე შჩუკინს და საჯაროდ ყველაფერი უთხრას...

ასე მოდიან დამკვრელი ენტუზიასტები საამქროებში, — როცა ჯერ კიდევ ადრეა და სივრცე მოუცავს საალიონო სიჩუმეს.

ჩვენ ყველაფერს დავსძლევთ

ჯერ კიდევ:

— საგანთიადო ბინდები მიზოზავენ მთაწმინდაზე და მტკვარის ჩალურჯებულ, მორღვეულ ნაპირებზე...

ჯერ კიდევ:

— დილის უფერო ბინდებში სთვლემს ქალაქი და მტკვარის ნაპირებზე კოლოფებივით ჩალაგებული სახლები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ:

— არ აგუგუნებულა ქირხნის საყვირი და გუგუნი არ გაშლილა ცივ სივრცეებში...

ადრე...

სთვლემენ ცალიერი, საალიონო სიჩუმეში დაკლაკნილი მოკირწყლული ქუჩები...

კაცი არ ჰაჰანებს...

მხოლოდ სემაფორებთან დგანან თვალებ გამომწვარი მილიციონერები და ჟამჟამად შეხედავენ შუქშეფრქვეულ ცის კამარას.

ელიან მზეს.

ელიან მზის ამოსვლისას დღის ყვავილივით გაშლას...

ცალიერია ქუჩები და ნისლჩამოწოლილი...

ყვითლად ბჟუტავენ ელნათურები, ძარღვებივით დაზიდულ მავთულებზე და არ ლიცლიცებენ ისე თვალისმომჭრელად, რთგორც ღამით.

მიდის ცალიერ ქუჩაზე გობრონ ხეთაგური და მიარღვევს დილის სიჩუმეს...

ადრეა.

ქარხნის კარები ისევ ისეა მიხურული და ეს ცივი კედლები, ქარხნის ნაცრისფერი შენობები, ცად აზიდული შებოლილი მილები, საამქროები, კორპუსები მოუცავს საალიონო სიჩუმეს.

ტკივილი, რომელსაც ხეთაგური მუდამ განიცდიდა, ეს იყო ქარხნის დამკვრელად გამოცხადება... ეს იყო — სამფიეგეგმის გადაჭარბებით შესრულება...

— ჩვენი ქარხანა უნდა გახდეს დამკვრელი დამკვრელთა შორის!

ყველგან! — ქარხანაში მანქანასთან, დაზგასთან — გუგუნში, ხმაურში, სადაც არ უნდა იყოს — ყველგან ახსენდება მას ეს სიტყვები და რაღაც მოუსვენრობა ეუფლება.

მით უფრო მას შემდეგ, რაც ქარხანა გარღვევის რეალურ საფრთხის წინაშე დადგა...

ვერ ისვენებდა, ვერ ითმენდა ხეთაგური ამას.

დადიოდა დაზგიდან დაზგასთან, თავს დასტრიალებდა მანქანებს, საამქროებს, კორპუსებს...

აწყობდა საწარმოო თათბირებს, კრებებს, მოხსენებებს...

— მომავალი ჩვენი მიზნები, იმედები მხოლოდ ჩვენივე ხელებში იქცევა სინამდვილედ და დეე, დაზგას ისე დაჭარით, რომ ყოველი ძარღვი სახვალიო იმედებისათვის ეღერდეს...

დღეს ყველაფერს პირდაპირ თვალებში უნდა უყურებდე! არავითარი მოგბრუნება, არავითარი მიკიბმოკიბვა... პირდაპირ, გენერალური ხაზით... პირდაპირ, თუ გინდ წინ სიკვდილიც იყოს... დაჭარ დასცხე და გაანიავე თვით სიკვდილიც კი...

ამბობდა ასე გობრონ ხეთაგური, ბოლშევიკი — საამქროს ენტუზიასტთა საუკეთესო მეგობარი და ამხანაგი...

ხეთაგური მათი საყვარელი ამხანაგია.

ყველგან, ყველაფერზე მათი კანდიდატურა გობრონ ხეთაგურია, რომელსაც შემდეგი სიტყვებით აცილებენ...

— გობრონ!.. მიდი... შენებურად მისცხე... გობრონ, შენებურად, ბოლშევიკურად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი: თითონ გობრონიც გრძნობდა, რომ მასებს, ენტუზიასტებს — უყვართ პატივს სცემენ, როგორც საუკეთესო მეგობარს და ამხანაგს...

იცის ეს ხეთაგურმა...

იცის და როცა ის სალაპარაკოდ გამოდის, გრძნობს, რომ მასთან მხარ დამხარ დგანან ათასები, ლურჯხალათიანები და მისი სიტყვა არის მტკიცე, გამბედავი...

ამბობს აშკარად, პირდაპირ, ვინც არ უნდა იყოს.

მას აქვს საკმაოდ ძლიერი ხმა.

თითქოს სჭექს, თითქოს გუგუნებს მისი სიტყვები თეთრად კირშეფეთქილ კედლებ შორის.

მისი ყოველი სიტყვა რისხვაა გამქცევებზე, წამგლეჯებზე...

მისი ოდნავ უძრავი, შავი თვალები ისრებივით ჩხვლეტავს მაყურებელს.

და გობრონიც ჯიუტად მხოლოდ დამნაშავეს უყურებდა...

ჩასცქეროდა მღვრიე თვალებში ..

დამნაშავე ვერ უძლებდა გობრონის ჯიუტად მაცქერალ, ცეცხლივი მგზნებარე თვალებს და ხრიდა ძირს...

მიდის გობრონ ხეთაგური ამ სისხლისფერ

გარიჟრაჟზე და მკერდქვეშ რაღაც აწვალებს, ტკივილებს გრძნობს...

— გარღვევა!

ჯიუტად იმეორებს თავისთვის.

— გარღვევა! გარღვევა! ეს ხომ სამარცხვინოა! ეს ხომ დანაშაულს უდრის...

მძიმედ აწვება ეს სიტყვები და ძალაუნებურად უჩქარებს ნაბიჯს.

თითქოს სურს ამ სიტყვებს მოშორდეს.

თითქოს სურს ამ სიტყვებს გაექცეს...

მძიმეა ეს სიტყვები.

ცივია ლოდივით.

თითქოს გულს უფხაჭნის...

თითქოს გულს კაწრავს და სისხლიან ნაგლეჯებად აწვება ყრონტს...

— არაფერია... არაფერია, მაგრამ!..

აქ უკვე ათასი ფიქრები მოაწვა და მისდაუნებურად რამდენჯერმე განიმეორა...

— მაგრამ... მაგრამ... მაგრამ...

და უცებ ბრაზი მოაწვა, გაბრაზდა თავისთავზე.

— რატომ მაინცდამაინც ამ სიტყვაზე შეჩერდა?! რატომ მაინცდამაინც ეს სიტყვა აეკვიატა?!

— მაგრამ... მაგრამ...

განიმეორა ისევ და მოინდომა ამ სიტყვისათვის ფრჩხილები გაეხსნა, გაეგო, თუ რას ნიშნავდა სიტყვა „მაგრამ“...

ისევ ჯიუტად განიმეორა ეს სიტყვა და მერე თავისთავს შეეკითხა...

— ბოლოს და ბოლოს რა არის ეს „მაგრამ“?! რას ნიშნავს?! რა უნდა იყოს?! დალახვროს ეშმაკმა!..

ასე გობრონს არასოდეს არ დამართნია.

უკვირდა კიდეც, რატომ აეკვიატა ეს სიტყვა!

მართლაც, რაც უფრო აკვირდებოდა ამ სიტყვებს, მით უფრო გრძნობდა. რომ ეს სიტყვა არაფერს არ ნიშნავდა...

გრძნობდა რომ ის მხოლოდ ორჭოფობის, გაურკვევლობის გამომხატველია... პ. ჟ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობრონისათვის კი ორეოფული, გაურკვეველი არაფერი არ ყოფილა... ყველაფერი წინასწარ მოფიქრებული და განზომილია...

მიტომაც ეს დაგუბებული ბრაზი, ფიქრები უცებ, სადღაც გაქრენ, თვალწინ შესაძლებლობათა გუგუნი, იმედების ნათელი სახეები წარმოუდგა და სიხარულისაგან გულანთებულმა თავისთვის წაილაპარაკა...

— ძნელია, მაგრამ... ჩვენ ყველაფერს დავძლევთ!

წაილაპარაკა თავისთვის და ნაბიჯს მოუმატა.

ინდუსტრიალურ სიმფონიის მიყუჩებული ძრავები

აი ის:

— ქარხანა, ქარხნის შენობები ამ საგანთიადო ბინდებში, დილის სიცივეში ასე კუშტად რომ გამოიყურებიან...

აი:

— მაზუთის აუზები, დასაცლელად ჩამოყენებული ცისტერნები, სისხლივით რომ შედის მანქნებში აცოფებს და აზანზარებს მთელ შენობებს ფოლადის გუგუნი...

აი:

— საამქროები, კორპუსები—სამონტაჟო, მექანიკური, ჩამომსხმელი, სამოდელო, შემკეთებელი, ბნელ სილრმეებად რომ არიან გაჭიმული და ჯერ ღამის სიჩუმე რო არ დაურღვევიათ...

ელიან ინტუიციასტებს...

ელიან მტკიცე ხელებს, რომლებიც ებრძვიან ნივთებს...

უცვლიან სახეს, ქმნიან სრულიად ახალ მანქანების ნაწილებს ყალიბებში ლილისფერ ალისქვეშ კუნთების უჩვეულო დაჭიმვით, საყვარულით მთელი გულით და სულით...

აი:

— შავად აფრენილი უზარმაზარი ბორბლები...

მსხვილი მილები, მავთულები, მავთულხლართები...

ლითონის ნამსხვრევები, ლითონის ნაჭრები სხვადასხვა ზომის, სხვადასხვა სისქის...

მანქანები, პნევმატიური ინსტრუმენტები, ელექტრობურღები, მკვეთარები...

დაზგები სხვადასხვა სახის, სხვადასხვა სისტემის ასე გულის გასახარებლად რომ ჩამწკრივებულან საამქროს ბინდიან სილრმეებში...

აი:

— ყოველივე ის, მთელ ქარხანა-ინდუსტრიალურ სიმფონიის — საალიონო სიჩუმეში მიყუჩებული ძრავები, რაც გობრონ ხეთაგურს მოსვენებას არ აძლევს...

აი ის:

— ქარხანა, რომელიც უნდა გახდეს დამკვრელი დამკვრელთა შორის...

საუბარი ფიქრებთან

აუშვეს საყვირი მეორედ...

ცისკიდური უფრო და უფრო სისხლისფრად ილებება...

ხეებში ჩაწოლილი ღამის ბინდები აოთქლებულ ნისლივით ქრებიან და ხეების დაბინდულ სივრცეს, თანისთან ეპარება შუქი, დღის სინათლე...

ცივად იჭრება საყვირის ხმა გაშლილ სივრცეში...

ქარხნის ფანჯრები ნათდება უფრო და უფრო და საამქროებში უკვე ბრწყინავენ მანქანის ვერცხლისფერი ნაწილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცაა უნდა აგუგუნდეს მანქანა, მაგრამ მემანქანე არ სჩანს...
ჯერ კიდევ არ მოსულა.
ადრეა.
ხეთაგურმა კი მუშაობა უკვე დაიწყო...
დილის სიჩუმეში მკვეთრად გაისმის ჩაქუჩის დარტყმა და ეს ხმები ყრუდ იფანტებიან შორს კორპუსებისკენ...
გობრონი გადახედავს საამქროს—საამქროში კაცი არ ჰაჰანებს...
სილრმეებიდან ცივად გამოიყურებიან მანქანები, შავად აფრენილი უზარმაზარი ბორბლებით...
ხეთაგური ცხრა წელიწადი დასტრიალებდა ამ მანქანებს...
ცხრა წელიწადი უვლიდა, აგუგუნებდა...
და მერე, რომ იცოდეთ, რა ახლოსაა მანქანების გულთან...
და მერე, რომ იცოდეთ რა მშვენივრადა იცის მანქანების თავისებური ენა...
— სიცოცხლე მანქანებშია... სიცოცხლე მანქანების გუგუნშია... უძლეველია მანქანების ძალა... ეს ძალა ჩვენ თვითონ ვართ... ეს ძალა, თვითონ ჩვენშია, ენტუზიასტებში!..
ირევიან ფიქრები...
ფიქრებში ხეთაგური უფრო მომეტებულად სჭრის, ხერხავს, ბურღავს...
ყოველ წვრილმანს ისე აკეთებს, როგორც დიდ რამეს...
დინჯად, მოფიქრებით და დაკვირვებით ზომავს სარანდავ ნაწილებს...
მანქანამ იცის სიყვარული.
გრძნობს ამას ხეთაგური.
ხშირად, ძალიან ხშირად გაიტაცებს ხეთაგურს ეს რიტმიული კავკავი, მოტორების გუგუნი, თუხთუხი და ჟამჟამად მასში შეჭრილი მკვეთარების ცივი წივილი, პნევმატიური იარაღების კაკანი...
უსმენს მანქანების თავისებურ სიმფონიას და უყურებს მანქანების ჩრდილებში მომუშავე ენტუზიასტების მოლიმარ სახეებს...
გრძნობს, როგორც თითონ, მათაც უხარიათ ეს სიმფონია...
სიმფონია შრომისა, ბრძოლისა და გამარჯვების...
მართლაც, მანქანამ იცის სიყვარული...
თვალწინ ხედავ, თუ როგორ იცვლება ნივთი...
თვალდახელ შუა სულ სხვაგვარ ფორმას ღებულობს და გიხარია, რომ დაიმორჩილე, გიხარია, რომ ისე გააკეთე, როგორც საჭირო იყო.
გიხარია ყოველივე ეს იმიტომ, რომ გამოდის შენი მკლავიდან, შენი მარჯვენიდან...
თვალწინ ხედავ შენი შრომის ნაყოფს და შრომამ უთუოდ დაუძლეველი სიყვარული იცის...
და ხეთაგურიც ყველაფერს მზრუნველობით ეპყრობოდა...
ყველაფერზე გული შესტკიოდა...
მიტომაც არ ინდობს არც ერთ მუშას, რომელიც მანქანას უხეშად ეპყრობა...
აი ის:—პეტრე შჩუკინი, ერთი იმათაგანია, რომელსაც ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია...
ერთხელ მკვეთარი ცუდათ დაამაგრა...
მიუშვა ელდენი და დაზგაც ამოძრავდა...

ამოძრავდა როლერის ჩარჩოც, რომლის ნაწილებიც უნდა გაერანდა, მაგრამ ჩარჩო აეკვრა მკვეთარს ქვემოდან და რომ მეზობელ მუშას დროზე ელდენი არ მოეშორებია, დაზგა მთლიანად დაზიანდებოდა.

— მან მუშაობის არაფერი იცის!

— მას მუშაობის არაფერი გაეგება!

ჩიოდენ მუშები და ხეთაგური თანდათან რწმუნდებოდა ამაში.

მუშაობისას შჩუკინი ხშირად, ძალიან ხშირად ხელებს იკაწრავდა.

თითქოს მარცხი მოუვიდა...

თითქოს უნებურად გაიკაწრა და დადიოდა ქარხნის ამბულატორიაში, მიჰქონდა დრო.

მუშაობისას არ იქცეოდა ისე, როგორც სხვები.

ოხუნჯობდა, მასხრობდა, ლაზღანდარობდა...

— რა არის ქვეყანაზე ყველაზე უფრო მძიმე?!

ეკითხებოდა ის თანამომუშავეებს...

— მანქანა?!

უპასუხობდენ მას.

— ბებიათქვენისამ, აი!..

გადაიხარხარებდა შჩუკინი და თან დაუმატებდა...

— გამოიცანით, აი!..

— აბა, შენ სთქვი!

— მე?! მე, რასაკვირველია, ვიტყვი!

— აბა!

შჩუკინი ცოტახნით გაჩუმდებოდა, ფეხებს გაშლიდა ფართოდ, ერთხელ კიდევ გადაიხარხარებდა, შემოჰკრავდა ხელებს და დაბალი ხმით შეაპარებდა...

— რა არის და ცალიერი მუცელი?!! მიხვდით?!

ამ სიტყვებს კი მოყვებოდა ისევ სიცილი, ისევ მასხრობა და ოხუნჯობა.

აგონდება ყოველივე ეს გობრონ ხეთაგურს...

აგონდება—წუხელ მთვრალი რომ დახვდა გზაში; ტიბორ ბარტალოშმა და არშაკ ასლამაზოვმა რომ უამბეს იარაღების მოპარვაზე და ბრაზი ახჩობს...

— პეტრე შჩუკი? ქვემძრომივით, რომ დახოხავს... უთუოდ შემოპარულია... ის ქარხანაში არ უნდა დარჩეს...

ჯიუტად იმეორებს თავისთვის და მუშაობს ისევ, მხოლოდ უფრო მომეტებულად, უფრო ხვავიანად და მოელის შჩუკინთან შეხვედრას, რათა პირში უთხრას ყველაფერი...

ა დ რ ე მ ო ვ ი დ ნ ე ნ

— გობრონ!

გაისმა კარებიდან ძახილი და ვილამაც მხრებზე მაგრად დაჰკრა ხელი...

გობრონი მობრუნდა.

თვალწინ იდგა ამხანაგი ბართლომე ხარაბაძე და მაგდა...

— ჩვენც, ჩვენც შენთანა ვართ! ჩვენც ადრე მოვედით!

ილიმებოდა ბართლომე ხარაბაძე და ისე ეუბნებოდა გობრონ ხეთაგურს.

მაგდა პირდაპირ უყურებდა ნალვერდალივით ანთებულ თვალებით და უხაროდა, რომ გობრონი იყო ასე გამრჯე, საქმიანი და თავდადებული...

— თუმცა ჩვენც ადრე მოვედით, მაგრამ შენ მაინც დაგვასწარი! შენ მაინც წინა ხარ!

მიმართა მაგდამ და თვალები თვალებში გაუყარა. მხოლოდ უფრო ჯიუტად და ნელა გაიღიმა...

გობრონმა მის გამოხედვაში იგრძნო მოსიყვარულე გული, რომელსაც ამ ქარხანაში, ამ საამქროში, დაზგებთან, ფოლადის გუგუნთან ერთად შეეჩვია და შეეზარდა...

როგორც გობრონს, ისე მაგდასაც არც ერთი დღე არ გაუცდენია ქარხანაში.

მუშაობდა მუდამ; დეკემბრის სუსხში თუ იანვრის გამყინავ ამინდებში, გაზაფხულის ნელგრილ დღეებში თუ ივლისის თაკარა სიცხეებში, როცა სივრცე ცახცახებს თვალის მომჭრელად და საამქროების შებოლილ სიღრმეებში სულის შესახუთავად ჩამოწვება...

როცა ჰხურს ყველაფერი და გავარვარებული თუჯის ნაჭრების სიახლოვით, ოფლი ხვითქად რომ გადასდით შუბლზე...

მოქნილი, მხიარული მოძრაობა' ალერსიანი ღიმილი, უჩვეულო ენერგია, რომელსაც დაზგასთან მუშაობაში იჩენდა მაგდა, ლაპარაკობდა მის ჯანსაღ სხეულზე და ეს კი განუზომელ შთაბეჭდილებას ახდენდა გობრონ ხეთაგურზე...

ყოველდღიური საქმიანობა ხეთაგურს უფრო და უფრო აახლოვებდა, აკავშირებდა მაგდასთან, მაგრამ მაინც ყოველთვის ალერსიან სიფრთხილეს იჩენდა...

ყოველთვის ცდილობდა არ გამოემჟღავნებინა გრძნობები და მიტომაც გობრონის ალერსიანი სიფრთხილე მაგდასათვის შეუცნობელი რჩებოდა...

მაგრამ...

მაგრამ მაინც... საბოლოოდ გრძნობებმა მაინც დასძლია და... წუხელ რაც უნდოდა—ხომ ყველაფერი უთხრა... რაც უნდოდა, ყველაფერი მოისმინა...

და აი: ახლა კი, ისევ პირისპირ რომ დგანან ამ საამქროში, ამ მანქანებთან, — კმაყოფილებით იღიმებიან...

უყურებს მაგდა ხეთაგურს და გატაცებით მოელის თუ რას ეტყვის...

იქვე დგას ამხანაგი ბართლომე ხარაბაძე და მხიარული სახით ხან გობრონს გადახედავს და ხან მაგდას...

ხეთაგურმა მაგრად ჩამოართვა ორივეს ხელი.

— კარგია! ძლიერ კარგი! თუ ასე ვიქნებით, ღდინს გავაცლით ყველა ჯურის წამგლეჯებს და გამცდენებს...

მიმართა მათ გობრონმა.

ხარაბაძემ ნელა გაიღიმა.

გობრონმა უეცრად იგრძნო, რომ ბართლომე ხარაბაძე სულ სხვა ადამიანი გახდა, — თითქოს მის შიგნით დაიწვა ის ძველი სისხლი, რომელიც ხდიდა მას მოუხეშავს, მოუქნელს, უკარებელს და მუდამ ცდილობდა ყოფილიყო მარტო, გულდახურული, ცივი...

მუდამ მარტო, თითქოს გამოთიშული ამ ზღვა ხალხიდან, — თავისთვის, თავის ფიქრებთან, აზრებთან გართული — თავჩაქინდრული მიაბიჯებდა საალაყაფოსკენ და ისე გაივლიდა ქარხნის ეზოს, — აგურისფერ კედლებშორის რომაა გაშლილი და ფერადი ლითონების ნატეხებით, მავთულებით, ბაკებით, ფოლადის ნახერხებით სავსე - რომ არავის არ გამოელაპარაკებოდა...

თუ გზა იყო საჭირო, უსიტყვოდ დაუთმობდა, მიაპყრობდა ცივ თვალებს და მერე ისევ ნელა განაგრძნობდა სიარულს, — თითქოს მხრებზე სიმძიმე აწვებოდა და ჰხუთავდა...

მაგრამ...

ხეთაგურის თვალში ხარაბაძე სრულიად გამოიცვალა.

ხედავს, რომ სულ სხვა ადამიანი გახდა, ისეთი, რომელმაც შეიმცნო ის რაც ამ ზღვა ხალხს, ენტუზიასტებს აკავშირებდა ერთმანეთთან და იყო ყველასათვის საერთო, ძვირფასი და სასიყვარულო.

ხარაბაძემ შეიმცნო, შეიგრძნო ის რისთვისაც იბრძვიან ენტუზიასტები ასე თავგამოდებით ცეცხლთან ფოლადის და რკინის ვარვარში — ტორფის, მარგანეცის, ანტრაციტის საბადოების შავ წიაღში, მიწის ქვეშ გამოხრულ გრძელ გვირაბებში თუ ფაბრიკა ქარხნების გამურულ კედლებს შორის...

იცის ეს გობრონ ხეთაგურმა და ჯერა, რომ დღეიდან ბართლომე ხარაბაძე სულ სხვანაირად იმუშავებს... აი, თუ გინდ ისე, როგორც თვითონ, როგორც დამკვრელი ენტუზიასტები და უხარია ეს...

— მე შენგან ამას მოველოდი: შენ მუშათა საქმის შესრულებაში პირველი უნდა იყო! მე მიხარია ეს... დავარტყათ ერთად და გავიტანოთ ქარხანა დამკვრელად! — უთხრა გობრონმა ბართლომე ხარაბაძეს.

მაგდა ხედავდა, თუ როგორც აღტაცებით ამბობდა ამ სიტყვებს გობრონი და სიყვარულით შემოჰკრა ხელები მხარზე ამხანაგ ხარაბაძეს...

მაგდა გრძნობდა გობრონის სიტყვებში გულწრფელობას და ამხანაგურ სიყვარულს ურომლისოდაც არ შეიძლება სხვებთან ერთად რამე კარგათ გაკეთდეს...

მაგდა ხედავდა, რომ ხეთაგური იყო სრულიად სხვა, განსაკუთრებული (ეს მხოლოდ მას ეჩვენებოდა) და საოცარი ადამიანი...

არა, საოცარი კი არა, რალაც თავისებური რალაც განსაკუთრებულა, რომელსაც ერთი შეხედვით ვერც კი შეამჩნევდით მასში.

ვერ შეამჩნევდით თუ გინდ იმას, რაც მას ახასიათებდა, რაც მას ხდიდა ეგზომ მიმზიდველად და სასიყვარულოდ.

თითქოს ყოველივე ეს განსაკუთრებული (მაგდას გამითქმის თანახმად) მხოლოდ კრებებზე, მხოლოდ მახქანებთან, ენტუზიასტებთან ლაპარაკში მზეურდებოდა...

ეს გატაცება, ეს განუსაზღვრელი ინტერესი საქმისადმი თავგამოდებითი მუშაობაში მეღავნდებოდა და ის თანდათან ყველას საყვარელ გმირად ხდებოდა...

გობრონი არასოდეს ისე აღტაცებული არ ყოფილა, როგორც ეხლა, როცა თვალწინ ხედავს ხარაბაძეს და მაგდას...

ეს იმიტომ, რომ ის გრძნობს, ხედავს, დღითი დღე, თუ როგორ იზრდება მასების აქტივობა.

აი, თუ გინდ თვით ბართლომე ხარაბაძე, რომელსაც წარსულში მრავალი გაცდენა ჰქონია, რომელიც თითქმის უგულოდ შესცქეროდა ახალგაზრდა ენტუზიასტების თავგამოდებითი ბრძოლას პირველობისათვის და თითქმის ყველგან ასე ამბობდა...

— ახალგაზრდები არიან და მათ არ იციან საქმის შინაარსი... ახალგაზრდებმა გატაცება იციან... გატაცება ზოგჯერ სენად არის გადაქცეული ხოლმე... კიდებენ ხელს იმას, რაც მათ ღონეს არ შეეფერება, მაგრამ რას უზამ, სისხლი უდულთ... სისხლი ამოქმედებთ და დეე, თვითონ დაწმუნდენ, რომ მართლა ასე შეუძლებელია... იმუშაონ... ვნახოთ...

ამბობდა ასე, მაგრამ თვითონ ხედავდა განსაკუთრებულ კვარტალში, თუ როგორი უნარი გამოიჩინეს ახალგაზრდა ენტუზიასტების მთელ რიგ ბრიგადებმა და გეგმის შესრულებაში რა დიდი როლი ითამაშეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ასე:—თუ უწინ ამხანაგი ბართლომე ხარაბაძე უგულოდ შესცქეროდა ენტუზიასტების თავგამოდებითი ბრძოლას პირველობისათვის, ახლა თვითონ იბრძვის მათთან ერთად პირველობისთვის...

მოვიდა ადრე, ისე, როგორც გობრონი, ისე, როგორც მაგდა...

— თუმცა მე დამცინოდენ... მასხარად მიგდებდენ, მაგრამ...

დაიწყო ნელა, დინჯად ბართლომემ, მაგრამ გობრონმა უცებ შეაწყვეტინა და გაკვირვებულმა ჰკითხა...

— რას ამბობ, ბართლომე?!

— თუმცა დამცინოდენ, მასხრად მიგდებდენ!

ისევ განაგრძო ხარაბაძემ...

— ვინ დაგცინოდა? სად დაგცინოდენ? როდის?!

ისევ, მოუთმენლად ჰითხა გობრონმა.

წუხელის! კრებაზე!

— მერე ვინ?!

— აი, კირიონ ქემოკლიძე და ზოგი მათგანი მაგრამ მე, ჩემო გობრონ, ის მინდა ვსთქვა, რომ დეე იმათ, რაც უნდათ, ისა სთქვან... მე მჯერა, ჩვენ ბოლომდე, ერთად ვიქნებით, სიკვდილამდე ერთმანეთს არ დავცილდებით და ამ ბრძოლებში, გობრონ, არ შეგარცხვენ, უკან არავის არ ჩამოვრჩები!.. ამისი იმედი გქონდეს, გაძლევ მუშურ სიტყვას...

გობრონი ბრწყინავ თვალებით შესცქეროდა ხარაბაძეს სახეში და ეუბნებოდა:

— მომწონს ეგ სიტყვები... მომწონს იმიტომ, რომ ამას გულიდან ამბობ... მომწონს იმიტომ, რომ ამას გულწრფელად ამბობ და თანდათან ხდები ჩვენი დღეების გმირად: იმათ, რაც უნდათ ისა სთქვან! თუ კიდევ დაიწყებენ წანწალს, მამაძაღლობას, დავარტყამთ და გავანიავებთ მაგ მამასულძაღლებს...

— გობრონ! ღიმილით მიმართა ხეთაგური მაგდამ.

— ჯერ კიდევ ზარმაცობენ აქა იქ... ჯერ კიდევ ბევრის ბუქსირზე აყვანა მოგიხდება!..

გობრონმა მხიარულად გადაიხარხარა და სიცილით უპასუხა:

— იცოცხლეთ, რომ ბევრს შეუცუცხურო... მაგ სულძაღლები ჩამჯდარან მუქთახორებივით და სულაც არ ფიქრობენ ამ უზარმაზარ ქარხნის პროდუქციაზე, რომელსაც დღითი დღე მოელის ჩვენი ქვეყანა! მოგეცათ შვება, მე მაგათ დღე დავაყენო...

გობრონი ერთი წუთით არ მოშორებია დაზგას.

ის ისევ მუშაობს, სახე საამოდ ულიმის.

მაგდამ ერთხელ კიდევ შეხედა გობრონის მხიარულ სახეს და მოწყვეტით გასხლტდა საზეინკლო საამქროსაკენ...

— აბა, ვინ მეტს და უკეთ გააკეთებს!

გადასძახა მაგდამ ხარაბაძეს.

— შევეჯიბროთ?! — ჰკითხა ხარაბაძემ.

— უთუოდ! გიწვევ შეჯიბრებაში!

— თანახმა ვარ! გამიხმეს მარჯვევა, თუ ვინმეს უკან ჩამოვრჩე!

მიაძახა ხარაბაძემ თავისმხრივ და იქვე, იმავე საამქროში თავის დაზგისკენ სწრაფად წავიდა.

გობრონს უხაროდა ეს და მანქანების უძლეველ ძალას ტანში გრძნობდა მოჭარბებულ სისხლად, რომ აწვებოდა და ხდიდა უფრო ხალისიანად.

— კარგია! ქარხანა უთუოდ დამკვრელად გაძოცხადდება:

წაილაპარაკა თავისთვის გობრონმა და დაზგას მიუბრუნდა.

45-თ ი ს მ ა გ ი ვ რ ა დ 30

წუხანდელი ნამუშევარი პლაკატებით, ლოზუნგებით აჭრელებულია საამქროები...

ყველგან, კარებთან, ბოძებზე, მანქანებთან, დაზგებზე...

ყველგან: საამქროებში, კორპუსებში გაკრულია ლოზუნგები...

ლოზუნგებიდან გამოირჩევა და ყოველი კუთხიდან თეთრ ქაღალდზე მკეთრად ქათქათებს მსხვილი ასოები:

„დავეუფლოთ ტეხნიკას".

„ჩვენი ქარხანა უნდა გახდეს დამკვრელი დამკვრელთა შორის".

აი აგერ: მტვერით დაქვარქვნილ ხელსაკიდების იქით პეტრე შჩუკინის დაზგაზე გაუკრავთ...

„მე მუშაობა მინდა. ნუ გამაცდენ".

აი კიდევ იქით; შემჭვარტლულ ფანჯარასთან რომ დგას დაზგა, ზედ აწერია...

„მოვითხოვ, პატრონმა მტვერი და რკინის ნახერხი მომაშოროს"...

— ეს კი მშვენიერია!

— ეს კი დიდებულია!

ამბობდა მაგდა და ბართლომე ხარაბაძე.

მაგდა ჟამჟამად შეხედავდა ლოზუნგებს და მოსიყვარულე გულის ფიქრები გობრონზე შეჩერდებოდა...

— ნამდვილი ბოლშევიკია! ქარხანას უსათუოდ ასახელებს:

ფიქრობდა მაგდა და ეს ფიქრები, ტკბილად უვლიდა ტანში.

ბართლომე ამ დილით რაღაც სულ სხვანაირად იქცავა...

თითქოს სიხარულია...

თითქოს აღტაცებაა...

ასე ხომ არასოდეს არ ყოფილა.

თითონაც უკვირს, თუ რატომ იყო დღემდე ასე მოდუნებული, უმოქმედო, ზანტი...

ახლა, ყოველ წუთს მეტი ხალისი, ინტერესი, სიყვარული და გატაცება მოაქვს...

ყოველ წვრილმან ნივთებში ეგზომ დიდ ღირებულებას ხედავს და თავს მოვალედ რაცხს, რომ ფაქიზად მოეპყრას..

რა სიახლეა!

რა თავისებურა!

ეს პლაკატები, ეს ლოზუნგები. რაღაც განსაკუთრებულად მოქმედობს ბართლომე ხარაბაძეზე და სახეზე უჩვეულო კმაყოფილება ემჩნევა...

მით უფრო მეტად გრძნობდა ბართლომე ხარაბაძე ამ პლაკატების, ამ ლოზუნგების, ამ სიტყვების სიძლიერეს, როცა მის მეზობელ კირიონ ქემოკლიძის დაზგაზე რომ დაინახა დაკრული ქაღალდი, რომელზედაც ეწერა...

„მე ჩამოვრჩი".

— დაზგები თვითონვე ესაუბრებიან მომუშავეებს თავიანთ დანაშაულზე და გაათკეცებით აღვიძებენ თითეულმათგანში მოვალეობის გრძნობას, რომელიც ჯერ კიდევ ზოგიერთში მიძინებულია—ან იქნებ განზრახ ფარავენ და თავს არ იწუხებენ!!!

ფიქრობს ბართლომე ხარაბაძე თავისთვის დ- უხარია ეს სიახლე, ხეთაგურმა რომ შემოიტანა...

— ძველი ხარ, ძველი ხარ გობრონ!

ხუმრობით გადასძახა მან ხეთაგურს.

გობრონმა თავი მოაბრუნა და როცა ნახა ბართლომე ხარაბაძე ამბობდა ამ სიტყვებს, შეეკითხა...

— არ მოგეწონა?!

ბართლომე ხარაბაძემ ისევ გაიცინა.

— ვინც შენ არ გიცნობს, გობრონ ჩემო, ის ან დღე მოკვდება, ან ღამე!— იხუმრა ბართლომემ.

— დღემდე, როგორ გასძლო დღემდე, ისა სთქვი შენ?!

გაისმა მხიარული ხმა კარებიდან და კარებში გამოჩნდა საამქროს ოსტატი კაგამეროვი...

— ყოჩაღ! მუშაობთ?! კარგია ძლიერ კარგი!.. — ეუბნება მათ კაგამეროვი — ახლა კი ღდინს გავაცლით ციხისელს და ყველა ჯურის ოპორტუნისტებს... დასცხეთ, დაჭარით ძმებო! აი ჩემი მკლავი... აი ჩემი მარჯვენა!..

მერე გობრონ ხეთაგურს მიუბრუნდა ისევ მხიარული, ისევ მოცინარი და უთხრა...

— ამას არაფერი არ სჯობია, ჩემო გობრონ! სამუშაოზე ადრე მოსვლა, განსაკუთრებით მეორე საყვირზე—პირველი მაგალითია და იცოდე ეს ყველაზე დიდ გავლენას იქონიებს სოცშეჯიბრებაში...

— ასეა ძმაო, თუ დამკვრელები ვართ, დამკვრელები უნდა ვიყოთ!.. ისე უნდა დავკრათ ამ კვარტალში, რომ გეგმას ორჯერ გადავაჭარბოთ...

— ეს კი მესმის! ასე უნდა!

— ასეა ძმაო! ახლა ბართლომეც აქ არის და უკვე მუშაობს... ტიბორ ბარტალოშიც მთელი თავისი ბრიგადით... მაგდაც არ ჩამოგვრჩა და ისიც მოვიდა... მუშაობა უკვე დიდიხანია, რაც დაიწყო!

კაგამეროვის გაოკეებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ხეთაგურისაგან ეს სიტყვები გაიგონა...

უყურებს გობრონს სახეში და თან გრძნობს თუ რამდენად ძლიერი ძალა დგას მის წინ, რომელიც ქარხნის საკეთილდღეოდ სიცოცხლესაც არ დაიშურებს...

კაგამეროვის თვალში ხეთაგური ჩანდა, როგორც უდრეკი ბოლშევიკი, ძალღონით სავსე მებრძოლი და ეს შთაბეჭდილება დღითი დღე იზრდებოდა, მტკიცდებოდა მასში...

უყურებს კაგამეროვი საამქროში გაკრულ პლაკატებს და კმაყოფილებით ამბობს:

— კარგია... კარგია...

მერე, ტიბორი რომ ვერ დაინახა ისევ ჰკითხა მაგდას:

— მაგდა, ტიბორი, ბართლომე სად არიან?!

— აი იქ?! საამქროში! — მიუთითა გობრონმა.

კაგამეროვმა გაიხედა...

პირდაპირ ნახევრად ღია ფართო კარებიდან მოსჩანდა საამქროში აწყობილი პირველი დაზგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზგების იქით იდგა ტიბორ ბარტალოში, რამოდენიმე მუშასთან ერთად. კაგამეროვი უმალ იქით წავიდა.

— ახალ საამქროს გმირებს გაუმარჯოს!

შესვლისთანავე შესძახა კაგამეროვმა.

— გაგიმარჯოს ძმაო!

გაიგუგუნა საპასუხო ხმამ.

— რას შობით ბიჭებო?; უტევთ?!

— ხაჩატუროვმა, ძმაო, შეუტია და შემოუტია... სულ ბდღვირი ადინა აქაურობას!

ხაჩატუროვმა ფართო კბილები გააელვა, თავი კაგამეროვისკენ გადმოსწია და ღიმილით უთხრა...

— თუ არ შეუტიე ძმაო, როგორ უნდა ავაშენოთ სოციალიზმი, ა?!

— მეტი არაა ჩემი მტერი, შენ რომ სოციალიზმი ააშენო — გაისმა ისევ ის ხმა—ბიჭო, შენ სოციალიზმი კი არა, გომური არ აგიშენებია!

ხაჩატუროვმა უმალ უპასუხა:

— გომურებს იმიტომ არ ვაშენებდი, რომ ვიცოდი სოციალიზმისათვის არ გამოდგებოდა! გაიგე?!

ამ სიტყვებმა მხიარული ხარხარი გამოიწვია მუშებში.

— როგორც სჩანს, შენ ძველი რევოლუციონერი ყოფილხარ?!

— აბა, რა გგონიათ თქვენ?! — თავმომწონედა უთხრა ხაჩატუროვმა — მთლად სახუმრო კაცი არავარ მე. რევოლუციაში მეც მიდევ წილი... მეც დამიღვრია სისხლი...

— კი, როგორ არა—გააწყვეტინა პირხმელმა მუშამ — მოსკოვის აღებაში წილი ხაჩატუროვსაც მიუძღვის... მთელი დღე მაუზერს უშენდა სახლის სახურავებს...

— კაი რევოლუციონერი მაგ ყოფილა, უცხონდა ბაბუა! — მხიარულ სიცილთან ერთად გაისმა ეს სიტყვები და ახლა ხაჩატუროვმა თავი დამარცხებულად იგრძნო...

ეძებდა სიტყვებს, რომ ხუმრობითვე სამაგიერო გადაეხადა.

აი კიდევაც იპოვა, უნდა უთხრას, მაგრამ გაიფიქრა „ვაი თუ ვერ გამომივიდეს კარგიო“ და გაჩუმება ირჩია...

ტიბორ ბარტალოში მხიარული სახით აწყობს პირველ სახარატო დაზგას.

დამკვრელი ბრიგადები სწრაფად, მოქნილად მუშაობენ.

ისმის გამამხნევებელი სიტყვები. ძახილები.

ტიბორის ბრიგადა პირველია ახალ საამქროში.

ის საჩვენებელი ბრიგადაა...

კაგამეროვი ნელა მიუახლოვდა ტიბორს და უთხრა:

— თუ ასე იმუშავა შენმა ბრიგადამ, საამქრო მოკლე ხანში ამუშავდება; ეს კი ქარხანას დიდ რამეს შემატებს... წლიურ გეგმას ბევრად გადავაჭარბებთ და, ხეთაგურისა არ იყოს, ქარხანას დამკვრელად გამოვაცხადებთ!

— ჩვენც ასე ვფიქრობთ, ძმაო! ჩვენც ეს გვინდა! აი, ჩვენმა ბრიგადამ რა გადასწყვიტა!..

უთხრა ტიბორიმ კაგამეროვს და მერე ახალ საამქროს შემოსავლელ კარებთან გაკრულ ალისფერ ტილოზე მიუთითა...

— აი, ჩვენი მოთხოვნა! წაიკითხე! მას ჩვენ უსიკვდილოთ შევასრულებთ!

კაგამეროვმა წაიკითხა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავაშენოთ ახალი საამქრო 45 დღის მაგივრად 30 დღეში

— კარგია! დიდებულია!

ამბობდა თავისთვის კაგამეროვი და თვითონ თავისთავში გრძნობდა ენ-ტუზიასტაა უჩვეულო ძალას...

ამ დროს გვერდით ჩაუარა ხაჩატუროვმა, რომელსაც რკინის სოლები მიჰ-ქონდა და კაგამეროვს ღიმილით უთხრა...

— ასეა მაშ! 45-თის მაგივრად 30-თი! ხომ ხედავ, როგორ უტევთ... ასე ვიცით ჩვენ... უნდა შეუტიოთ და მემოუტიოთ!

კაგამეროვმა ღიმილით შეხედა ხაჩატუროვის მიმავალ ზურგს და თავის-თვის წაიბუბუნა:

— ახლა კი ყველაფერი ცხადია: ქარხნის დამკვრელად გამოცხადებას ხელს ვერაფერი ვერ შეუშლის! ახლა კი ნათლად სჩანს, თუ რამდენად საცოდავი იყო, თუ რამდენად ცდებოდა შალვა ციხისელი. რომელიც წუხელ კრებაზე ცდი-ლობდა დაემტკიცებინა თითქოს მასაში ენტუზიაზმი არ არის, თითქოს ჩვენ გეგმას ვერ შევასრულებდეთ!..

ა რ შ ე გ ა რ ც ხ ვ ე ნ

როცა კაგამეროვი უკან დაბრუნდა, გობრონს ყველაფერი უამბო და ამ ამბით აღტაცებულმა დასძინა...

— აი, ძმაო, შეტევა უკვე დაიწყო! ძალიან ყოჩაღად უჭირავთ თავი!

— ოსტატო—მიმართა ხეთაგურმა — ცოტა ხნით დაიცა და მერე ნახე, როგორი ტემპი ავიღოთ. ხომ ხედავ, ტიბორის ბრიგადამ მესამე საყვირამდე დაიწყო მუშაობა... მეორე საყვირამდე კი ჩვენ... ბართლომემ, მაგდამ და მე... ამას გარდა ჩვენ გამოსასვლელ დღეებშიაც ვიმუშავებთ; ჩამორჩენილებს ავი-ყვანთ ბუქსირზე და მერე გამარჯვება აუცილებელია...

– აი, ასე კი მესმის! ჩვენი საქმე თუ თვითონ ჩვენ არ გავაკეთეთ, სხვა ვინ გააკეთებს... კარგია, რომ ეს ყველამ იცის და კიდევაც თავგამოდებით იბრძვიან ამისთვის...

კაგამეროვი აქეთ იქით იხედებოდა და ისე ეუბნებოდა ამ სიტყვებს გობ-რონ ხეთაგურს...

თითქოს ვინმეს ეძებდა...

ხან მარცხნივ საამქროს სილრმეს შეაჩერდებოდა.

ხან მარჯვნივ საზეინკლო საამქროში გასასვლელ კარებს.

ეს ხეთაგურმა დროზე შეამჩნია და ჰკითხა:

— ვინ გინდა?! ვის ეძებ?!

— მაგდა სად არის! სად მუშაობს, რომ ვერ ვხედავ?!

— აი, პირდაპირ სახარატო საამქროში! – უპასუხა ხეთაგურმა.

კაგამეროვი პირდაპირ წავიდა.

მაგდა მუშაობდა სილისფერ გრძელ ხალათში წითელ თავსაფრით თავ-წაკრული. სალამი ისე მისცა კაგამეროვს, რომ მუშაობა არ შეუჩერებია...

კაგამეროვს უკვირდა მაგდას საქციელი.

— რა ყოჩაღად იქცევა! რა ხალისიანად მუშაობს!—ფიქრობს თავისთვის. აგონდება წუხელ კრებაზე რომ გამოვიდა და იყო აშკარა, პირდაპირი...

აგონდება ქარხანაში—ყველა მუშაქალებს თავი რომ მოუყარა და დამ-ყვრელ ბრიგადების ჩამოყალიბებისაკენ მოუწოდებდა...

რამდენი გრძნობა, რამდენი სიყვარული და ბრძოლის ცეცხლი იყო თი-თოეულ სიტყვაში.

ყოველი სიტყვა სავსე იყო გამარჯვების იმედებით და მუშა ქალებში ეს განუსაზღვრელ აღტაცებას ქმნდა...

მაგდა ძალზე ენერგიული და საქმიანია.

ის ყველაფერს შესძლებს...

ის ყველგან იმუშავებს ისე ცოცხლად, როგორც აქ დაზგასთან.

იცის ეს კაგამეროვმა...

იცის ეს ხეთაგურმა და მთელმა ქარხანამ.

მუშაობს ის თუ გინდ ისე. როგორც სხვები — ენტუზიასტები, ჩვენი დღე-ების გმირები...

— მე არ მოველოდი ამას... არ მოველოდი თუ გობრონივით შენც ადრე დაიწყებდი მუშაობას! ყოჩაღ მაგდა: ნამდვილი ბოლშევიკი, ახალი ქალი ხარ!

— გიკვირს, ჩემო კაგამეროვო!

— არა, კი არ მიკვირს, მხოლოდ მიხარია, ქალთა შორის მოწინავე რომ ხარ!

მაგდამ ნელა გაიღიმა.

არასოდეს ის მოწყენილი, შუბლშეკრული არ ყოფილა...

იყო თამამი, შეუპოვარი.

მას სრულიად არ ახასიათებს „რომანტიული“ ქალის სინაზე და ეგზომ ნაზი ხმა, რომელიც ზოგიერთს ნაავათმყოფარივით აღმოხდება ხოლმე.

არის უბრალო, საშუალო ტანის ქალი, სიცოცხლით და ჯანღონით სავსე...

— ჯერჯერობით ხოტბა საჭირო არ არის, ჩემო კაგამეროვო... საჭიროა ნაკლები სიტყვა და მეტი საქმის გაკეთება! მოკიდე ხელი იარაღს და თუ ხარ ვაჟკაცი—შემეჯიბრე, რას უყურებ?!. აბა?!

კაგამეროვმა ამ ვაჟკაცურ სიტყვებზე მხიარულად გაიღიმა.

— მიწვევ შეჯიბრში?!—შეეკითხა რამოდენიმე ხნის შემდეგ.

— მაშ! შეეჯიბროთ! მესამე საყვირამდე ხუთი ხრახნი!

— თუ ასეა, მე მზადა ვარ! შეეჯიბროთ!

ამ სიტყვებთან ერთად კაგამეროვი დაზგისკენ გაეშურა.

შეხედა მაგდას ცეცხლივით ანთებულ თვალებს, გაიღიმა ისევ და შეუდგა მუშაობას...

მაგდა კი მხიარულად იცინოდა და ეუბნებოდა...

— აი, ასე კი უკეთესია! აი ასე... აი ასე!..

ხეთაგურმა კი, რომელიც ამ საუბარს ისმენდა და კაგამეროვსაც ხედავდა—გადმოსძახა:

— ოსტატო, შენც ჩაგავლო ხელი?! არ შემარცხვინო.

კაგამეროვმა თავისმხრივ უპასუხა:

— ხუთის მაგივრად ექვს ხრახნს გავაკეთებ! ნუ გეშინია, არ შეგარცხვენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილვიძებენ საამქროები, კორპუსები. გუგუნებს ქარხანა რახნია და ის კი ჯერ კიდევ არა სჩანს.

ი ს ე ვ ო ლ ო ფ ო ბ ა

ყრუდ იფანტება საყვირის გუგუნი ცივ სივრცეში.

მოდიან ლურჯხალათიანები.

მოდიან თითოთითოდ.

მოდიან ჯგუფჯგუფად და მხიარული ძახილით ივსება საამქროები, კორპუსები...

ხედავენ ხეთაგურს, ბართლომეს, მაგდას, ტიბორის ბრიგადას და თავს დამნაშავედ გრძნობენ...

შეხედავენ მათ და სახეები წითლად აელანძებათ, მაგრამ ნაუცაბედავად თავს მაღლა ასწევენ.

თვალებში ღიმილი გაიშლება და მხიარულად ეუბნებიან:

— ჩვენც... ჩვენც ასე ვიმუშავებთ... ჩვენც თქვენთან ვიქნებით... ჩვენც... მთელი ქარხანა... ჩვენ ყველანი ერთად!..

უსმენს ამას ციხისელი და როცა ხედავს — ყველას სახე ულიმის, ისიც ნაძალადევად იღიმება და ნელა ბუბუნებს...

— არ მეგონა, თუ ყველა ასე ფიქრობდა! მაგრამ... მაგრამ, ხომ შეიძლება მე მაინც მართალი ვიყო...

იდგა ის თავისთვის.

მხრები აეწურა და გაოცებული თვალებით უყურებდა ამ ზღვა ხალხს, მასებს, ენტუზიასტებს...

— ოპორტუნისტი! ოპორტუნისტი!

ასე უწოდეს მას.

ეს აწვალებს, ეს აწუხებს, მაგრამ თავისას არ იშლის...

მაინც თავისას გაიძახის...

— შეანელეთ იერიშები... არ არის საჭირო ასეთი ტემპები... ნუ დააძალებთ ნურავის... ყველაფერი თავისით გაკეთდება... საჭიროა მოთმენა... ნუ ხართ სულმასწრებული...

ისევ ჯიუტად ადგა ამ აზრებს, ამ სიტყვებს...

ისევ იმეორებდა ამას შალვა ციხისელი, მაგრამ რომ მოაგონდება წუხანდელი ამბავი, როცა დამკვრელ ენტუზიასტებმა ასეთი ოპორტუნისტული აზრებისთვის გაკიცხეს, როცა თვალწინ უყურებს ენტუზიასტთა თავგამოდებითი მუშაობას—წუთით ფიქრი გაუელვებს:

— მე ვცდები... უთუოდ ვცდები...

მაგრამ იმავე წუთს სულ სხვანაირად დასძენს...

— მე მაინც მართალი ვარ!

და არის ასე დაბნეულ მდგომარეობაში...

დგას ახლა შალვა ციხისელი მარტო, მხრებაწურული — დამფრთხალივით გამოიყურება და ხეთაგურს არ აშორებს თვალებს...

ნელა მიუახლოვდა მას საშუალო ტანის ახალგაზრდა მუშა და უთხრა:

— ციხისელო! წუხელის რა მოგივიდა?! რომელმა ქარმა დაგბერა?! რაებს ამბობდი?!

ციხისელმა უკმაყოფილოდ შეხედა შემკითხველს და ჩახლეჩილი ხმით ამოახრიალა:

— თავი დამანებე, თუ ძმახარ! მე თუ ქარმა მათქმევინა ის სიტყვები, ქარის მოტანილს ისევ ქარი წაიღებს...

— მერე შენ რა დაგრჩება?! შენ რა?!

— ვნახოთ... ვნახოთ, რაც დამრჩება!

— მე მგონია მხოლოდ უაზრობა! მხოლოდ სიცალიერე სხვა არაფერი?!

ეს უკანასკნელი სიტყვები ძალიან მწარე იყო ციხისელისათვის.

გულში ჭრილობები გაიხსნა და ჭრილობებში საშინლად ჩაიწრიალა რაღაცამ.

სახე დაეღმიჭა, თვალები აემღვრა და ნელა ამოახრიალა...

— თავი დამანებე, ნუ გამიწყალე გული! არ მინდა შენთან არაფერი და რას გადამეკიდე! მომშორდი...

ახალგაზრდა მუშაც უმალ მოშორდა და წავიდა საამქროს სილრმეებისკენ.

ბ რ ა ზ ი თ ი ხ რ ჩ ო ბ ა

ხმაურობს საამქრო.

ქშინავენ, გუგუნებენ, თუხთუხებენ მანქანები...

შრიალებენ ღვედები...

ტრიალებს ათასი ხელი, ათასი კაცი...

გუგუნებენ დიზელები, მოტორები და ზანზარებენ საამქროს შებოლილი კედლები...

ფართო, განიერ ფანჯრებს ადგება მზე სხივნაყარი, სხივშეფრქვეული...

და საამქროების გრძელ, გაჭიმულ სივრცეებში მუშაობენ მასები — ენტუზიასტები.

აი ისინი: — ავარვარებულ ღუმელებთან რომ დგანან და ავსებენ ყალიბებს გამდნარი თუჯის მზისფერ ნიალვარით.

აი ისინი: — სამონტაჟო საამქროში რომ აწყობენ აბრეშუმის საქსოვ დაზგებს ჩაქვის ჩაის ქარხნისათვის რომ აკეთებენ მანქანებს...

აი ისინი: — სახარატო საამქროში რომ რანდავენ, სჭრიან, ჭკვეთავენ, ხრახნიან მანქანების სხვადასხვა ნაწილებსა და მუშაობენ ხალისიანად საამქროების წიაღიდან წარმოსულ ქარიშხალში; ფოლადის გუგუნად რომ გაიშლება აგურისფერ კედლების იქით, — ფირუზის სივრცეებში, სადაც აჭერს მზე მთელი სიმწვავით და ბულში, თაკარაში თავისგამაბრუებლად იღრჩოლვებიან ქარხნის მილები...

კირიონ ქემოკლიძე ნელა მიუახლოვდა თავის დაზგას და მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაკრულ ქაღალდზე წაიკითხა:

„მე ჩამოვრჩი"

კირიონ ქემოულიძემ წაკითხვისთანავე იგრძნო, რომ მის სხეულს, სახეპირს სისხლი წითლად შემოაწვა და სუნთქვა თითქოს შეუკრა...

თვალები კი, — შუბლქვემოთ ღრმა ორმოებში ღამის ფრინველივით რომაა შორს ჩაფრენილი, ერთბაშად აენთენ და ეხლა კი ერთის შეხედვით შეამჩნევდით, თუ როგორ იხრჩობოდა ბრაზით და ამავე დროს ცდილობდა თავი შეეკავებინა.

მან მძიმედ მოატრიალა თავი და პეტრე შჩუკინის დაზგას გადახედა — იქაც წაიკითხა...

„მე მუშაობა მინდა, ნუ გამაცდენ“.

და ისევ თავის დაზგას მიუბრუნდა...

„მე ჩამოვრჩი“

ასე ეწერა კირიონ ქემოკლიძის დაზგაზე.

წუთით მგლური თვალებით გადახედა გომბრონ ხეთაგურს.

უნდოდა მისულიყო, გაეკიცხა, წინალმდეგობა გაეწია, მაგრამ კირიონ ქემოკლიძე ფრთხილია, გრძნობას არ აყვება, მიტომ რომ ჩხუბით, გინებით შეიძლება მთლად ჩავარდეს და დაიღუპოს.

მას უფრო მამაძაღლური გზა აქვს არჩეული, რომლისთვის ანჩხლობა, პირისპირ დადგომა, დავა — მხოლოდ ვნებას თუ მოუტანს...

კირიონ ქემოკლიძე ყველაფერს მოითმენს, შჩუკინით არ ცხარობს — არის ფრთხილი, თავდაჭერილი.

თუმცა ახლა ის ძალზე გულმოსულია, შფოთი ალივით აქვს ტანზე მოდებული, მაგრამ თავი მაინც შეიკავა, მობრუნდა ქალალდი ახია, კბილები გაახჭრიალა და წაიბუბუნა:

— ფეხებზე მკიდია... იმაზე დამიდგა ჯავრი, თუ ჩამოვრჩი... თავს ხომ არ მოვიკლავ... ჩემი ჯანმრთელობა მთლად მირჩევნია მთელ თქვენ წარმოებას ქარხანას...

— კირიონ!

გადმოსძახა გობრონმა ქემოკლიძეს, რომლის ღონიერი ხელები მაგრად უჭერდა სარანდავ დაზგას..,

— რატომ არ იწყებ მუშაობას! დრო მიდის...

კირიონ აიმრიზა.

თვალები დაწკურა.

შეკავებული ბრაზი, გულისწყრომა ერთბაშად შემოაწვა ისევ ცეცხლის ალივით, რომ პრიალებდა გულში, თვალები გადმოკაკლა და მკვახედ უპასუხა.,.

— შენ ვინ გეკითხება?! ჩემი საქმე მე თვითონ ვიცი!

— კი, მაგრამ კარგს იზამ თუ დროს საქმეს მოახმარ! ბევრს და კარგს გააკეთებ!

— რასაც ვიზამ, რასაც გავაკეთებ — ეს მე თვითონ ვიცი! ეს ჩემი საქმეა და შენ არავინ გეკითხება რა შენი საქმეა სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფვა!

გობრონი ხედავდა, რომ ქემოკლიძე გულმოსული იყო შავ დაფაზე გაკვრით ამიტომ არ გამოეკამათა. გაჩუმდა.

საამქროს ოსტატი, ამხანაგი კაგამეროვი ნელა მიუახლოვდა ქემოკლიძეს და დაბალი ხმით უთხრა...

— კირიონ, მუშაობა დაიწყე! დროა!

კირიონ ქემოკლიძეს ხმა არ გაუცია.

მძიმედ, ძალიან მძიმედ მიუბრუნდა დაზგას და ისევ დინჯად, ისევ მძიმედ შეახო ხელი როლერის ჩარჩოს.

დაზგა უძმად დგას

რახანია ქარხანამ მუშაობა დაიწყო.

გამოცოცხლდენ საამქროები, კორპუსები...

ატრიალდენ უზარმაზარი ბორბლები მთელი სისწრაფით და ჩაქუჩების დარტყმა, პნევმატიური ინსტრუმენტების რახრახი, ჟამჟამად მკვეთარების წივილი, ფოლადის ღრჭენა ერთმანეთშია არეული.

ყოველივე ეს საამქროების გასასვლელ კარებთან ერთდება, დიდდება, იზრდება ინდუსტრიალურ სიმფონიის მძლავრ ნაკადათ და უძლიერეს გუგუნით მიდის შორს ქარხნის შენობების იქით—მთებისკენ—მღვრიე სილურჯეში დუმილ გადაფარებულნი რომ დგანან და თავი ჩაუქინდრიათ...

ქარხნის მაღალი მილებიდან ჩამოიშალა ნახშირივით შავი ბოლი და შენობებშორის ფირუზის ნახევებად აშრიალებული, სუფთა, კრიალა სივრცე შემურა, გადააშავა.

ბოლქვეშ გაისრიალებენ საალაყაფოსკენ და კლაკნილ ვიწრო რელსებზე კოლოფებივით მიწყობილი პატარა რონოდები და მიაქვთ რკინა, თუჯი, მანქანების ნაწილები; ბორბლები, ღერძები, ხრახნები, ჩარჩოები...

შეჯიბრება გაშლილია, როგორც ხალისი, როგორც ინტერესი და უჩვეულო ენერგიით მუშაობენ ენტუზიასტები, რომელთა სახეებზე გამარჯვების აღტაცებაა აღბეჭდილი და გაღეღილ მკერდზე—შეუპოვრობა, კლდის სიმტკიცე...

დაზგები დაზგებს ეჯიბრებიან...

მუშაობენ მთელი დატვირთვით და ამ დროს კი, აი აგერ საამქროს ბოლო თავში ერთი დაზგა უქმად დგას და დაზგაზე დაკრულ ქაღალდზე შავი ასოებით აწერია...

„მე მუშაობა მინდა, ნუ გამაცდენ“

მაგრამ...

მაგრამ პატრონი პეტრე შჩუკინი ჯერ არსად სჩანს, არ მოსულა და საამქროს ენტუზიასტებში საყვედურები, გინება, ლანძღვა გაისმის, როცა თვალს შეავლებენ უქმად დამდგარ დაზგას...

კაგამეროვი ნელა მიუახლოვდა გობრონ ხეთაგურს და ჰკითხა.

— კიდევ არ მოსულა არა?!

— როგორც ხედავ, არა!—უპასუხა ხეთაგურმა.

— საოცარია პირდაპირ! საოცარია! ნელა წაილაპარაკა თავისთვის—არაფერმა არ უშველა... არც გაფრთხილება, არც შავი დაფა. არაფერი გავლენას არ ახდენს...

— მერე და როგორ მოგწონს ეს?!

დაბალი ხმით შეეკითხა გობრონი კაგამეროვს...

კაგამეროვი გაჩუმდა.

— შენ რა აზრისა ხარ კერძოთ შჩუკინზე?!

ისევ შეეკითხა გობრონი.

— მე ბევრი რომ გამიგონია მასზე!

— სახელდობრ?!

— ის, რომ დენიკინის არმიაში მსახურობდა... ის, რომ ერთ დროს კონტრაბანდისტი იყო!

— ხო და—გააწყვეტინა ხეთაგურმა—მე მგონია ის დღესვე უნდა მოშორდეს ქარხანას!

— მართალი ხარ, გობრონ! მეც ასე ვფიქრობ — დაუმატა კაკამეროვმა— და ამასთან უნდა დაემატოს აი ის, გზაში რომ დაგხვედრია წუხელის, მეორეც კიდევ ტიბორ ბარტალოშს და არშაკ ასლამაზოვს ქურდობაზე რომ გაუგიათ.

— პირადათ მე, გზაში დახვედრას, დიდ რამედ არ ვსთვლი... მე ის სულაც არ მაინტერესებს... ახლა მთავარია შჩუკინის, როგორც ცრუ მუშის გამომჟღავნება... როგორც წამგლეჯის სააშკარაოზე გამოყვანა... აი, ჩემი ერთადერთი მიზანი...

— სწორია, გობრონ!—უთხრა კაგამეროვმა—მე მაგ კაცში თავიდანვე ეჭვი ქონდა ეჭვი, მაგრამ ჩემივე თავს ვერ უჯერებდი... მიდი გობრონ, მისცხე შენებურად... ბოლშევიკურად...

— იცოცხლე, ქარხნის საკეთილდღეოდ ყველიფერს ვიზამ... დღესვე ქარხკომთან ერთად საბოლოოდ დავსვამთ წერტილს...

— კარგია! ძლიერ კარგი!

დაუმატა კაგარემოვმა და მოშორდა გობრონს...

ასე იხსნება პირველი ხვეული პეტრე ჭაუკინის ბუნების გამოცდილებით. ასე შენდება ახალი საამქრო. მაღალი ტემპებით.

ვადაზე ადრე უნდა ამუშავდეს...

მაგდას ახალი საამქროს წინ ინჟენერი ტისოვი შეეჩეხა.

შავი რქის სათვალეებიდან ელავდენ წყვილი თვალები და სახეზე ღიმილი იშლებოდა...

— სხვა, ამხანაგო ინჟენერო, როგორ მიდის საქმეები ახალ საამქროში?!— შეეკითხა მაგდა.

— ძალიან კარგათ: ძალიან კარგათ! არ მეგონა, თუ ამდენი ენტუზიაზმი იქნებოდა მომუშავეებში, მაგრამ ეხლა ვხედავ—მოლოდინს გადააჭარბეს!..

— მაქანები?!

— თითქმის მოტანილია!

— დაზგები, მოტორები?!

— ზოგი რამ კიდევ აო მიგვიღია, მაგრამ უშანგი გაბრიაძე დამპირდა ამ საკითხს პარტბიუროში დავსვამთო და შესაფერის საშუალებებს გამოვნახავთო!

— ხო, ეს კარგია!

— კიდევაც აი ახლა გაათავა სხდომა პარტბიურომ და, როგორც გადმომცეს, ყველაფერი გაუკეთებიათ! შესაფერისი დადგენილებაც გამოუტანიათ!

მაგდამ საამქროში შეიხედა.

ყველაფერი თავის რიგზეა.

აი:—დაზგები სხვადასხვა ზომის...

დაზგები,— სხვადასხვა სისტემის...

საჭიროა ერთი შეტოკდეს, აშრიალდეს ღვედები, რომ საამქრო გაალვიძოს და გუგუნმა წაიღოს სიჩუმე...

ეს პირველი დაზგებია...

ბორბლებზე ღვედები გადაუჭიმავთ და ფანჯრებში ვენტილიატორები ჩაუსვამთ.

ჭერთან—მილები, პატარა რონები გადაუხლართავთ, მასზე ამწევი ონკანი უნდა ჩამოკიდონ,

— ამ საამქროს ამუშავების შემდეგ ქარხნის ჩამორჩენაზე ლაპარაკი ზედმეტია!—დაიწყო ინჟენერ ტისოვმა—საერთო ნაყოფიერება გადიდდება 28,7 პროცენტით. ეს კი ძალზე დიდია.

— მთავარია ნედლი მასალა!

ამაზე ყველამ უნდა ვიზრუნოთ!

— ლითონტრესტთან ყველაფერი მოწყობილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს კი კარგია... ძლიერ კარგია.., წაილაპარაკა მაგდამ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მაგდა საამქროში შეეიდა.

შეყვა ინჟენერი ტისოვიც და თან ყველაფერს უხსნიდა...

მარცხნივ, განიერ კარებთან, სადაც მაჯის სისხო რკინის ჭანჭიკებია--დაქვავებულ ცემენტის სიმაღლიდან ამოყვანილი, აწყვია მთავარი მანქანის ნაწილები და იქიდან,—ახლად აწყობილ დაზგებიდან, რკინის სვეტებიდან მაგდას თვალებში ეცა ნაცნობი მუშის სახე... ეს იყო ტიბორ ბარტალოში.

— ოჰო, ტიბორ, გამარჯობა...—მიმართა მან ტიბორს.

ტიბორიმ მოიხედა. სალამი მისცა და მუშაობა ისევ განაგრძო.

— ტიბორი ძვირფასი მუშაკაცი ყოფილა! ენერგიული, მეტად პატიოსანი და თავდადებული:

უთხრა ტისოვმა მაგდას და ამ საუბარში თვალს არ აშორებდა ტიბორ ბარტალოშს...

— მე თუმცა ეჭვი არ მეპარებოდა ამაში—განაგრძობდა ტისოვი — მაგრამ სანამ ჩემივე თვალით არ დავინახე, არ მჯეროდა... მართალი უნდა ვსთქვა, არ მჯეროდა!..

— არც გაგემტყუნებათ! არ მიცნობდით!

დაბალი ხმით უთხრა მას ტიბორიმ.

— მერე კიდევ მაინცდამაინც დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ამ ქარხანაში გადმოვედი და არ გაგემტყუნებათ!

— ასეა, ამხანაგო ტისოვ! ასეა!—კმაყოფილებით უთხრა მაგდამ—ჩვენ ერთ საქმეს ვაკეთებთ და ჩვენი ცოდნა, ჩვენი ღონე იმ საქმეს უნდა მოვახმაროთ... ეს არის მუშათა კლასი... რესპუბლიკა საბჭოების... პროლეტარიატის დიქტატურა... სოციალიზმი... ამისთვის ვიბრძვით ჩვენ ყველანი...

ამ ბრძოლაში სულერთია მუშა, გერმანელი თუ ფრანგი, ამერიკელი თუ იაპონელი, ჩეხოსლოვაკელი თუ უნგრელი, ქართველი თუ რუსი, რომელი კუთხისა არ უნდა იყოს — ძმები ვართ ყველანი... ერთი სისხლი და ხორცი გვაქვს, ერთია ჩვენი გზა, მიზნები... იცის ეს ტიბორიმ და მიტომაცაა საამქროს ვადაზე ადრე შესრულება მას ისე უხარია, როგორც თვითეულ ჩვენთაგანს...

ტიბორის ესმოდა ეს სიტყვები და უხაროდა, რომ მაგდა ასე ყოჩაღად ლაპარაკობდა.

მაღლიდან,—სადაც ათასი რკინის ხლართები და გოგროჭუნები ჭკიდია, მაღლიდან, — სადაც გაზების მილებს აკეთებენ — ნახევრად ტანგადმოზნექით ამხანაგმა ხაჩატუროვმა გადმოსძახა მაგდას:

— ტიბორის ბრიგადამ შეჯიბრებაში გამოიწვია მეორე ბრიგადა... უნდა შეუტიოთ და შემოუტით... გაუსწროთ და გამოუსწროთ ერთმანეთს. აბა, რას მიქვია სოცშეჯიბრი!!!

— ხაჩატუროვი ხუმრობს და—დაიწყო პირხმელმა მუშამ—ტიბორის ბრიგადის მაგალითზე საამქროს მთელმა მუშებმა თავი დამკვრელად გამოვაცხადეთ, რათა 45 დღის ნაცვლად საამქრო 30 დღეში დავასრულოთ...

— ოჰო, ეს კი დიდებულია — უთხრა მათ მაგდამ — ამხანაგ ტისოვის დახმარებით თქვენ ამ საქმეს ღირსეულად დააგვირგვინებთ...

ხაჩატუროვმა ჯერ მარჯვნივ თავის ამხანაგს დაუჭაჭუნა თვალები, მერე მაგდას გადახედა და დაბალი ხმით გადმოსძახა:

— მაგდა, შენთან ერთი დიდი საიდუმლოება მქონდა:

— რა საიდუმლო?! ჩამოდი და მითხარი!

— არა, ახლა იმისათვის ძირს როგორ ჩამოვიდე?! მუშაობა როგორ მიეატოვო!

— აბა, არაფერი არ გქონია სალაპარაკო?!

— მაქვს, დედას გეფიცები მაქვს... ის რომ ჩვენმა ბიჭებმა იცოდენ, სიხარულისაგან ღამეც აქ დარჩებოდენ...

— აბა ისეთი რა არის?!

— რა და ხომ იცი აქ ჩვენში, როგორ ვსთქვა, ზოგიერთები კიდევ კარგათ ვერ მუშაობენ...

— მერე?!

— მერე და საჭიროა მათ გულში შეულიტინოთ! გაიგე?! ხომ გესმის რა მინდა ვსთქვა?!

— ვერ გავიგე?!!

— რა იქნება ერთი ლოყებ წითელი ბოგონები აქაც შემოვაფრინოთ და ვამუშავოთ! იქნებ ჩვენც გავიჩინოთ გულისბუხარი!

ღიმილით დაამთავრა ხაჩ-ტუროვმა თავისი „საიდუმლო" და დაჭიმული სმენით ელოდა რას უპასუხებდა მაგდა.

საამქროში კი ხაჩატუროვის სიტყვებთან ერთად გაისმა მადიანი ხარხარი...

— ნუ გეშინიათ! გულდაწყვეტილები არ დარჩებით! ამუშავდეს საამქრო და მერე ნახავთ!..

— მხიარული სახით ეუბნება მაგდა — ისეთი ქალები იმუშავებენ ამ ახალ საამქროში, რომ...

აქ კი ხაჩატუროვმა ძალზე გადაიხარხარა და მაგდას სიტყვას დაუმატა:

— ისეთი, რომ ყველა დაგვაბუქსიროს, არა?!

საამქროში ისევ სიცილია და დამკვრელი ენტუზიასტები რკინის მტვერით გაშავებულ ხელებით მხიარულ სახით აწყობენ ახალახალ დაზგებს...

ის ისევ წუწუნებს

გამოსასვლელ კარებთან მაგდას შალვა ციხისელი შეეჩეხა, რომელსაც მხრები აეწურა, წარბები მოეღუშა და შუბლქვემოდან—ღრმად ჩამძვრალი თვალები ოდნავ გამოიბეუტებოდენ.

— მაგდა! რას მიშობით! ნუთუ მე ღირსი, ვარ ამისი, რომ საქვეყნოდ შემარცხვინოთ, საქვეყნოდ მასხრად ამიგდოთ! ისეთი მე რა ჩავიდინე, ისეთი მე რა დამიშავებია! ნუთუ ყოველივე ეს თქვენ იმისთვის უნდა მიყოთ, რომ მე სიმართლე ვსთქვი... იმისათვის, რომ ყოველდღიურ პრაქტიკიდან ვამბობდი სიტყვას... ნუთუ ამისათვის მე გაკიცხვის, საქვეყნოდ გაბითურების ღირსი ვარ! რას გავს ეს მაგდა, რას გავს?! რატომ არაფერს არ მეუბნები?!

ციხისელი საშინლად ღელავდა.

სიტყვებს რაც შეეძლო მაღალი ხმით ამბობდა და გამოშტერებულ თვალებს უჩვეულოდ ატრიალებდა.

აი ისე, თითქმის საცაა თვალები საბუდედან გადმოცვივდებიანო და ამასთან ერთად ყოველ სიტყვაზე ჩვეულებრივად ჩაახველებდა.

— რა იყო?! რაზე ხართ აღელვებული?!—შეეკითხა მაგდა.

— როგორ დამშვიდებით, დაყვავებით მეკითხებით, თითქოს არ იცოდეთ რაზე ვარ გულმოსული?! თავს ისე იჭერ, თითქოს შენ ბატონო მაგდა არაფერ შუაში იყო!!!

— ციხისელო, მე სულაც არ მჭირია ასეთი მანევრი... მე არავისი არ მეშინია და კერძოთ კი შენი...—უთხრა მაგდამ გაბედვით, მტკიცედ—თუ რამე გაქვს

სათქმელი, სთქვი, მოგისმენ, თუ არა და მე მეჩქარება საქარხნო კომიტეტისკენ მივდივარ.

ამ სიტყვებთან ერთად მაგდა წასასვლელად მოემზადა.

ციხისელი დაიბნა და მერე საცოდავად ამოახრიალა...

— ხო... ეხლა ეს ღა დაგრჩენიათ, რომ სიტყვაც არ მომისმინოთ, არ მიკადროთ...

მაგდა გაოცებული იყო ციხისელის მოქცევით

ხედავდა რალაც აწვალებდა, რალაც აწუხებდა, აშფოთებდა, აი ისეთი, რომელიც გულში მატლივით ჩაჯდება, გხრავს, გტკივა' მოსვენებას არ გაძლევს და ვარდები ფიქრებში, კოშმარში...

ეს ფიქრები, ეს კოშმარი ნათლად იხედებოდა ციხისელის მოთენთილ სახიდან და უაზროდ დაჭყეტილ თვალებიდან...

მიტომაც მაგდა ერთხელ კიდევ შეეკითხა...

— კაცო, რას წუწუნებ?! რაც გაწუხებს—ვერ იტყვი?!

ციხისელი მარ ეხნივ მიბრუნდა და სახარატო სკამქროს კედლისკენ გაიშვირა ხელი.

— აი ის კედლის გაზეთი... რა უსინდისობაა... რა მამაძაღლობაა... რატომ დამხატეთ... რატომ გამომჯაყეთ... ნუთუ მე ამისი ღირსი ვარ?!

მაგდა კედლის გაზეთს მიუახლოვდა.

ციხისელიც მიყვა უხმოდ და ელოდა, რას ეტყოდა მაგდა.

გაზეთის შუაგულ სამი ოთხკუთხედი ზედიზედ იყო მიხატული.

ოთხკუთხედების ზემოდ წაუწერიათ „შორს ჩვენგან ოპორტუნისტები...“

პირველ ოთხკუთხედში დახატული იყო ორთქმავალი, რომელიც მთელი სისწრაფით გარბის.

განზე გამდგარიყო შუშისფეხებიანი, პატარა ტანის შალვა ციხისელი, რომელსაც შიშისაგან თვალები გაბეროდა და ხელები აესავსავებია...

ქვეშ ეწერა:

ციხისელი—შეანელეთ ტემპები!

მეორე ოთხკუთხედში ციხისელს ცალი ხელი ორთქლმავალის ტენდერისათვის ჩაუჭიდნია და მეორე კი ტელეგრაფის ბოძისათვის მოუკიდნია.

თითქოს ცდილობს ორთქლმავალი უკან დასწიოს, მაგრამ...

უკანასკნელ ოთხკუთხედში ორთქმავალი ისევ გარბის მთელი სისწრაფით, ხოლო ციხისელი იქვე გდია გაშხვართული და ორთქმავალის ბოლში თეთრი ასთებით ამოდის შემდეგი სიტყვები:

— ტემპს არ შევანელებთ:

— კარგია! მშვენიერია!—უთხრა მაგდამ—ასეც არის... აქ გადაჭარბებული არაფერი არ არის... შენი სრული სახეა მოცემული!..

ციხისელი აიმღვრა.

ის არ მოელოდა, თუ მაგდაც ასე ეტყოდა და ამან კა ძალიან ააღელვა.

უნდოდა რალაც ეთქვა.

უნდოდა მთელი გულისწყრომა, გაბრაზება სიტყვებში გადმოენთხია, მაგრამ სიტყვები ვერ მონახა...

ვერ მონახა თუ გინდ იმისათვის, რომ მაგდა პირისპირ თვალებში უყურებდა და ეს კი მოსაზრების ყოველგვარ საშვალებას უბოჭავდა.

მაგდა შესცქეროდა პირდაპირ და სახის კუნთების უბრალო თრთოლვასაც კი ამჩნევდა, რომელიც სადღაც შიგნით შეპრილ ტკივილების სიმწვავეს ამხელდა.

ამჩნევდა იმასაც, თუ როგორ დაიბნა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. ამან კი მთლად შეაშფოთა ციხისელი.

შეაშფოთა იმიტომ, რომ ამით .ის ნათლად უმტკიცებდა მაგდას თავის უძლურებას, უსუსურობას...

— მე... მე სიმართლეს ვამბობ... მე ყველაფერი გამოცდილი მაქვს... მე თუ ტემპის შენელებაზე ვამბობდი, არა იმიტომ, რომ რამე ცუდი განზრახვა მქონოდეს, არა, არა და არა... მე ამას ჩემს სიცოცხლეში არ ვიზამ, მარამ ამას ცხოვრება მოითხოვს... ამას ჩვენი ქარხანა მოითხოვს... ამას გარეშე პირობები, ობიექტიური პირობები გვიკარნახებს...

— სცდები... სცდები ციხისელო... სცდები და მერე, რომ იცოდე როგორ?!

საცოდავი ხარ, რომ არ იცი ჩვენი სინამდვილე, არ იცნობ მასების სულისკვეთებას... შენ ამბობ ტემპის შენელებას ცხოვრება მოითხოვს, არა?!

— ვამბობ!

— შენ ამბობ, რომ ტემპის შენელებას ჩვენი ქარხნის პირობები მოითხოვს, არა?!

— ვამტკიცებ:

— შენ იმასაც ამბობ, რომ მასაში ენტუზიაზმი არ არისო!

ციხისელი გაჩუმდა.

— ხომ ამბობდი, მასაში ენტუზიაზმი ჩაკვდაო?

ისევ შეეკითხა მაგდა.

— ვამბობდი, ვამტკიცებდი და ახლაც დავამტკიცებ!

— ახლაც დაამტკიცებ, არა?!

— დავამტკიცებ:

— დაამტკიცებ, რომ ენტუზიაზმი არ არის, ხომ?

— დიახ, დიახ!

მაგდა წუთით გაჩუმდა.

მერე ახალ საამქროში შესასვლელ კარებთან.

გაკრული წითელ ლენტზე მიუთითა, რომელზედაც ეწერა: „ავაშენოთ ახალი საამქრო 45 დღის მაგივრად 30 დღეში“

ციხისელი წარწერას მიაშტერდა.

— აი, წაიკითხე ციხისელო! ჩაფიქრდი! განა ეს მოთხოვნა უდიდეს ენტუზიაზმს არ შეიცავს?! განა ამაში არ არის დამკვრელების მთელი ხალისი და ინტერესი გეგმა გადაჭარბებით რომ შესრულდეს?.. შედი თვითონ საამქროში და ნახე—დამკვრელი ენტუზიასტები თუ როგორი ხალისით, სიყვარულით, მთელი გულით და სულით მუშაობენ, რათა საამქრო მზად იქნეს 30 დღეში... სთქვეს და კიდევაც გააკეთებენ... მაშინ ნახე, როგორი ტემპები ავიღოთ... ალბად მაშინაც უტიფრად განაცხადებ—მაინც დავამტკიცებ ჩემს სიტყვასო!

ციხისელი სდუმს.

ხან საამქროს გადახედავს.

ხან გაზეთზე დახატულ სურათებს...

— შენ ამით იმას ამტკიცებ ციხისელო, რომ შენ თვითონ არა გაქვს უნარი ტემპთან იყო... არა გაქვს უნარი, რომ იბრძოლო, რათა ტემპს არ ჩამორჩე და ამისთვის წუწუნებ შენ... წუწუნი მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლის უნარ დაკარგულის საქმეა... ასეთები კი ტემპთან არ იქნებიან ასეთები კი დამკვრელ ენტუზიასტებს გვერდში ვერ ამოუდგებიან...

ციხისელი გიმოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდას ყოველი სიტყვა ხანჯლის წვერივით ხვდებოდა გულს და უფრო და უფრო, იკაკვებოდა.

წამწამები ერთხელაც არ დაუხამხამებია,

იდგა გამოშტერებული და თავალს არ აშორებდა ნაღვერდალივით ანთებულ მაგდას თვალებს.

— რაც შეეხება ამ სურათებს—განაგრძობდა მაგდა—სრულიად სამართლიანია... სათქმელი აქ არაფერი არა გაქვს...

ახლა კი, როცა ეს სიტყვები ისევ გაიგონა, მთლად აღშფოთდა.

სახეზე სისხლი შემოაწვა, კისრის ძარღვები სისხლით გაეტენა და რომ ვერაფერი მოახერხა, რომ ენა ვერ დასძრა, ვერაფერი ვერ სთქვა—ხელები მაგრად დაარტყა კედლის გაზეთს და საშინლად ამოახრიალა...

— ჩამოვხევ... ჩამოვხევ...

მაგრამ წინ მაგდა გადაუდგა და უთხრა.

— ციხისელო, თუ ჩამოხევ პასუხს აგებ! გესმის, პასუხს აგებ!!!

ციხისელი მაგდას სიტყვებზე გამოერკვა.

ხელები ნელა დაუშვა დაბლა.

ერთხელ კიდევ შეხედა მაგდას და თავით კედელს მიეყრდნო.

მაგდა კი მაშინათვე მოშორდა და საქარხნო კომიტეტისკენ წავიდა.

დ ა ა წ ი ნ ა უ რ ე ს

ქარხკომის კიბესთან მაგდას პარტკოლექტივის მდივანი უშანგი გაბრიაძე შეხვდა.

მას ეცვა ლურჯი საყელოებგადმოკეცილი ხალათი. მოგრძო გამხმარ სახეზე კმაყოფილება თრთოდა...

მაგდას ჩვეულებრივად მაგრად ჩამოართვა ხელი და უთხრა...

— საით მიიჩქარო, ქალო?!

— ქარხკომში მინდა შევიარო, მინამ საყვირი იქნება!

უშანგიმ გასაჯავრებლად უთხრა:

— შენ თვალებში გეტყობა, რომ გობრონ ხეთაგურთან მიდიხარ... გობრონი ამას წინად ჩემთან იყო პარტბიუროზე, მხოლოდ შემდეგ სადღაც მიიმალა და ასე სთქვა—თუ მე მაგდას ვუყვრავარ თვითონ მომნახავსო.

მაგდამ გაიცინა და მიუხვდა უშანგის.

— რას ხუმრობ, უშანგი!

— ხუმრობა რასა ჰქვია... ასე სთქვა თუ ვუყვარვარ თვითონვე მომნახავსო და რა ვიცი, შენ რას იტყვი?!

მაგდამ ამ სიტყვებზე ისევ გადაიხარხარა.

ცოტა არ იყოს სახე აელეწა, მაგრამ მაინც მტკიცედ უთხრა...

— მართალი უთქვამს... მიყვარა და კიდევაც მოვნახავ...

— ყოჩაღ, მაგდა! ყოჩაღ!

— მაგრამ ახლა ხეთაგური მე მაინც და მაინც არ მაინტერესებს...

— მაშ სად მიეჩქარი!

— შჩუკინზე მინდა გავიგო...

მერე მაგდას ციხისელი მოაგონდა და უცებ მისკენ მოაბრუნა საუბრის კეხი.

— ციხისელი შემხვდა და ძალზე გაბრაზებულია გაზეთის გამო... მთლად დაბნეულია ის საწყალი...

— ეს არაფერია... ის თავიდანვე ასეთი იყო... რაც შეეხება შჩუკინს, ქარხანაში მის ყოფნას საზღვარი დაედვა! ახლა კი წადი, გაიქეცი ქარხკომისკენ, ბიჭებიც იქ არიან—უთხრა უშანგიმ.

მაგდამ ნელა მოიშორა უშანგის ხელები მკლავიდან და გრძელ დერეფნისკენ სიჩქარით შეუხვია.

დერეფანში ირეოდენ მეშები.

ზოგი ფულს იღებდა.

ზოგი პლაკატების უქონლობაზე ჩიოდა.

ზოგი დირექტორთან შედიოდა.

დერეფანში იდგა პაპიროზის ბოლი და ბოლში ღია ფანჯრების ზემოდ ზუოდენ ვენტილიატორები.

მაგდამ სიჩქარით გაიარა დერეფანი და პირდაპირ შეაღო კარები.

შევიდა ქარხკომში.

იქ არის ქარხნის კომიტეტის მდივანი გორდეზიანი, კომკაკშირის უჯრედის მდივანი არშაკ ასლამაზოვი და გობრონ ხეთაგური.

მზე ცეცხლივით ანთია მინების იქით და ოთახში—ქარვისფერ ჩრდილებად შემოწოლილა.

მზის სხივები ზურგში სცემს არშაკ ასლამაზოვს, რომელიც მიჯდომია კუთხის მაგიდას და ოქმს სწერს.

— როგორაა საქმე?—შესვლისთანავე იკითხა მაგდამ,

— არშაკ, შენ რა ქენი?! რამე გამოვიდა?!

— ყველაფერი რიგზეა—უპასუხა არშაკმა—ახუნდოვის დუქანში ნივთები ვიპოვეთ!

— თითონ შჩუკინი?

— სახლში არ არის: აქ მოვედი, არც აქ არის! სახლში მითხრეს—წუხელის სულ არ გვინახავსო. ალბათ სადმე ეგდება... მოვნახავთ, სად წაგვივა...

— ისე კი მორჩა... ის დღეიდან ქარხანას ვერ იხილავს!—დაუმატა გობრონმა.

— შენ არ იცი მაგდა და უთხრა არშაკამა—შჩუკინი დენიკინის არმიაში მსახურობდა თურმე... წუხელ მასზე რომ ჩამოვარდა ლაპარაკი, იქვე იყო მამაჩემი და მითხრა, რომ პეტრე შჩუკინი ცნობილი ყოფილა, როგორც საშინლად მრისხანე კაცი. ის იბრძოდა ოდესის მახლობლად, სადაც მამაჩემა მარჯვენა ფეხი დაკარგა. მცხოვრებლებს შიგ სახეში ესროდა ტყვიას და ყველაფერს ანადგურებდა...

— მერე და ასეთი ბნელი წარსული თუ ჰქონდა, როგორც შემოძვრა?—

— წუხელ ყველაფერი გავიგეთ და კიდევაც ბასტა, მორჩა ყველაფერი!

მაგდა გაჩუმდა.

ხეთაგური თვალს არ აშორებდა მაგდას.

— მე მგონია—დაიწყო მაგდამ ისევ—შჩუკინს ვინმე დამხმარე ეყოლება... შჩუკინი მარტო არ იქნება:

— ეს ჩვენ ყველამ უნდა გამოვარკვიოთ!-უთხრა მაგდას ქარხკომის მდივანმა გორდეზიანმა—ამიტომ სიფრთხილე გვმართებს...

იჭვი ვისზე გაქვთ?!—ჰკითხა მაგდამ ამხ. გორდეზიანს.

— იჭვით ძნელია რამეს გაგება! ასე შეიძლება უდანაშაულო კაცი შელანძღული დარჩეს... საჭიროა სხვაფრივ მუშაობა და ამას კი ყველაზე უკეთესად შენ შესძლებ, შენ გააკეთებ, რადგან საამისო სამუშაოზე იქნები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა სმაუშაო?! — გაოცებით იკითხა მაგდამ

— აი ახლა პარტბიუროს სხდომაზე შენზე იყო ლაპარაკი...

— როგორ!

— დაგამტკიცეს ქარხნის კულტმუშაკად! დღეიდან უფრო მჭიდრო კავშირი გექნება თითეულ საამქროსთან და შეგიძლია ყველაფერი გაიგო!

— ქარხნის კულტმუშაკი... ქარხნის კულტმუშაკი!

გაიფიქრა თავისთვის მაგდამ და ახლა კი დარწმუნდა, რომ უშანგი გაბრიაძე მართალი ყოფილა, რომ უშანგი გაბრიაძეს სერიოზულად უთქვამს წუხელ კრების შემდეგ გობრონ ხეთაგურთან რომ იყო...

— უჯრედი კულტმუშაკად გაწინაურებსო! — ასე უთხრა წუხელ უშანგიმ და მაშინ მხოლოდ ხუმრობა ეგონა.

— ეხლა კი, მაგდა, შენ იცი! — უთხრა არშაკიმ — უნდა დატრიალდე! ამ მხრივ ათასი საქმეებია გასაკეთებელი...

მაგდამ მხიარული სიხით შეხედა ყველას და უთხრა:

— ნუ გეშინიათ... საქმეებს ისე მოვაწყობთ, რომ თვითონ ჩვენ გვიკვირდეს... საჭიროა არა, მაშასადამე შეიძლება... და თუ შეიძლება, მაშასადამე გაკეთდება...

უკვე აუშვეს საყვირი.

ეს იყო ნიშანი მუშაობის განახლებისა საუზმის შემდეგ და ქარხნის სასადილოდან გამოეფინა ლურჯხალათიანი მასა.

წავიდნენ სხვადასხვა მხრით, სხვადასხვა სამქროსაკენ...

წავიდნენ თითო თითოდ.

წავიდნენ ჯგუფჯგუფად.

გ ა ნ გ ა შ ი

ხეთაგური ახლად მისული იყო, რომ უცბად მასთან მოვარდა ჩამომსხმელი საამქროს გამე და სულისმოუთქმელად დაიწყო:

— გობრონ, ეხლავე უნდა მივიღოთ ზომები, ეხლავე, დაყოვნება მხოლოდ თუ აენებს საქმეს!

— რაშია საქმე?! რა იყო?!

— რა იყო და ის, რომ ჩამომსხმელი ცეხი ჩავარდება, გეგმას ვერ შეასრულებს და თუ ჩამომსხმელი ცეხი გაჩერდა, დანარჩენები რაღა ეშმაკად გინდა...

— ისეთი რა არის?!

— ნედლი მასალა არ არის! არ არის რკინა, არ არის თუჯი!..

— როგორ?! — გაიოცა გობრონ ხეთაგურმა — როგორ თუ არ არის! გარკვევით ილაპარაკეთ, რაშია საქმე?!

— ყალიბები ყალიბებად დარჩება! ცეხი რამდენიმე დღეში მუშაობას შეაჩერებს, თუ ასე გაგრძელდა... რად გინდა ყალიბები ვაკეთებინო თუ შიგ ჩასასხმელი თუჯი ვერ ვიშოვეთ!

— ლითონტრესტთან ხომ გქონდა მოლაპარაკება რას ამბობს!

— ახლა სწორედ იქიდან მოვდივარ!

— მერე რაო?!

— მხოლოდ იმედებს იძლევა... იმედი კი არა პრაქტიკული საქმიანობა გვჭირდება! მთავარმა ინჟინერმა ამხანაგმა რაჟდენ მესხიმ უკვე განგაში ასტეხა... იმედებით ვერაფერს ვერ გავაკეთებთ...

— მაშ ლითონტრესტი იმედებს იძლევა?!

ნელა წაილაპარაკა თავისთვის ხეთაგურმა და სიბრაზე მოაწვა გულს. ხეთაგური ამას არ მოელოდა.

არ მოელოდა, თუ კი მასალა შემოაკლდებოდათ, რაც გეგმას საფრთხეს უქმნიდა და ვერ მოეფიქრებინა, როგორ მოქცეულიყო.

გობრონ ხეთაგურისათვის ეს ცნობა იყო მოულოდნელი, აზრის შემბოჭავი და მძიმე...

— გობრონ! საჭიროა ყველა დავტრიალდეთ! რამე გამოვნახოთ! რამე გავაკეთოთ!

გობრონმა წუთით წარმოიდგინა,—აი, არ არის თუჯი, არ არის რკინა...

ვიწრო დაკლაკნილ რელსებზე არ მიხოხავენ ნედლი მასალით დატვირთული, გამტვერილი, შავი რონოდები და სიმძიმისაგან არ მიჭრიალებენ ჩამომსხმელ საამქროსაკენ...

ავარვარებულ ღუმელიდან მთელი დღის განმავლობაში თუჯი ოქროს ნიალვარივით რომ მოდიოდა და ლილისფერ ალის ქვეშ ავსებდა ყალიბებს,—უკვე გაცივებული დგას.

ყრია ყალიბები შავად პირდაბჩენილები და ელიან თუჯით ამოვსებას, მაგრამ გადის დრო და ღუმელი თითქოს წინანდებურად არ ღუდღუდებს.,.

იქვე რკინის ნატეხებთან, იქვე ღუმელის გვერდით, ყრია გამომწვარი ნახშირი...

თითონ ღუმელი ცივი და ცალიერია...

აი, უკვე გაჩერდა ჩამომსხმელი საამქრო...

ქარხანა დაადგა გარღვევის და სამარცხვინო ჩამორჩენის გზას. ვერ ასრულებს გეგმას... შავი დაფის კანდიდატი გახდა.

— ეს ხომ სამარცხვინო ბოძზე გაკვრას უდრის!

თითქოს სდუმს საამქრო...

მუშები მოითხოვენ გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, ქარხნის დამკვრელად გამოცხადებას და ამ დროს კი ყოველივე ეს—ნედლი მასალის დანაკლისი, ხანჯლის წვერივით მოხვდება იმედებს და გაფატრავს...

— იქნება აქ მავნებლობა ხდება! იქნებ ყოველივე ეს განზრახ ხდება!—ფიქრობს გობრონი.

— ახლა, ეს ხომ დანაშაულია სახელმწიფოს, კლასის და თავისთავის წინაშე?!

— ვაი, სირცხვილო!

რაღაც მძიმედ ჩაიწრიალა ამ სიტყვებმა გულთან ახლოს და ათასგვარი აზრები დაესია.

ჩამომსხმელ საამქროს გამგის სიტყვებს ისმენდა შალვა ციხისელი და როცა ნახა გობრონი, ჩაფიქრდა, მოვიდა ნელა და მხრებ აწურულმა ნელა წაიბუტბუტა...

— მე ხომ ვამბობდი... ცოტა ნელა რომ გემუშავნათ, ნედლი მასალაც არ მოგვაკლდებოდა... ცოტა ნელა რომ გემუშავნათ, ასეთი საფრთხე არ იქნებოდა... ავიღებდით პატარა გეგმას, ბრალს არავინ დაგვდებდა უგეგმობაში და ნელ-ნელა შევასრულებდით და გადავაჭარბებდით კიდევაც...

ხეთაგურმა ბრაზისაგან მუშტები შეკუმშა და ისე შეხედა ციხისელს.

ამ შემოხედვაშია მთელი სიმძაფრე და შეუპოვრობა.

— მართალია, ციხისელი... სრულიად მართალია—დაუმატა კირიონ ქემოკლიძემ—ცოტა ნელა რომ გვემუშავნა, ყველაფერი რიგზე იქნებოდა... ჩვენც

კარგათ ვიმუშავებდით და ბევრი დროც დაგვრჩებოდა თავისუფალი... ქარხანაში კი შავი დაფის ხსენებაც არ იქნებოდა, მაგრამ ახლა იმ შავ დაფაზე მთელი თქვენი ქარხანა მოხდება და ისაა!.. უყარეთ კეკალი, რამდენიც გინდათ!

როცა გობრონმა ქემოკლიძესაგან გაიგონა ეს სიტყვები—უცებ აენთო, აცეცხლდა...

— კირიონ! ხმა ჩაიწყვიტე, თორემ მე ვიცი შენი! რას როშავ! სადაც არ გკითხავენ ნუ ეჩრები...

კირიონმა იგრძნო, რამდენად იყო გაბრაზებული გობრონ ხეთაგური და ხმა არ გასცა, მიბრუნდა.

— შენ კი ციხისელო კვლავ აწუწუნდი!—მიმართა გობრონმა შალვა ციხისელს—საამისო აქ არაფერია...

სიძნელეები გვხდება, არა? სიძნელეებს დავძლევთ, მორჩა და გათავდა.. სიძნელეების ჩვენ არ გვეშინია და რაც გვითქვამს, რაც დაგვისახავს—ამას ჩვენ შევასრულებთ კიდეც...

ციხისელმა ხმა გაკმინდა.

გობრონ ხეთაგურმა თვალები ლოზუნგებზე გადაარბენინა—„დამკვრელ საამქროდან დამკვრელ ქარხნამდე“—

წაიკითხა ეს და ამ სიტყვებმა, საამქროს სიღრმეში მჭშინავ მანქანებთან მომუშავე ენტუზიასტთა მხიარულმა ძახილებმა, გამარჯვების გრძნობები უფრო გააღვივეს მასში...

ფიქრები გარღვევაზე გადაიწმინდენ და გამარჯვებაში დაჯერებულმა უთხრა საამქროს გამგეს:

— დაიცა... ახლავე დირექტორთან წავალ და ყველაფერს გავიგებ... არაფერია... ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც ეს საჭიროა..

ციხისელი და კირიონ ქემოკლიძე ქურდულად უყურებდენ გობრონის მამაც თვალებს...

— შენ იცი, გობრონ... დირექტორთან მეც ვიყავი. საჭიროა,—შენც ჩაერიო ამ საქმეში... ერთი შენებურად მისცხე... ბოლშევიკურად...—უთხრა ჩამომსხმელ საამქროს გამგემ.

— ნურაფრის ნუ გეფიქრება, მოვაწყობთ... გავაკეთებთ!

უკანასკნელად უთხრა ხეთაგურმა, მობრუნდა და საჩქაროდ წავიდა დირექტორთან.

ხეთაგურის მიმავალ ზურგს ქემოკლიძემ ღვარძლიანი თვალები გააყოლა, მერე შალვა ციხისელთან უფრო ახლოს მივიდა და ჩუმად ჩაალაპარაკა:

— მას ვერაფრით ვერ მოღუნავ!

ქარხნის მდგომარეობა და ღვარძლის პირველი შედეგი.

ბრიგადა გამოყოფლია

თომა გულაშვილი—ორმოცდასამი წლის, ჭალარა შერეული, კაცი მეტად პატიოსანი, დაწინაურებული მუშა, ახლა ქარხნის დირექტორი, უჯდა ყავისფერ მაგიდას და თავისთვის რაღაცას სწერდა.

ხეთაგური პირდაპირ შევიდა დირექტორთან.

მას სალამიც არ მიუცია მისთვის, ისე დაიწყო ლაპარაკი...

ლაპარაკობდა ჩქარა და თვალებს ერთი წუთითაც არ აშორებდა გულაშვილს.

— ამხანაგო თომა! ეს შეუძლებელია! ქარხანა უზრუნველყოფილი უნდა იქნას ნედლეულით! თავს გავსწირავ და ამ ქარხანას შავ დაფისთვის კი არა! როგორ შეიძლება ეს?! რას ეუბნებიან ათას ენტუზიასტებს, რომლებიც ეგრე ხალისიანად მუშაობენ! რას ეტყვიან ამ უზარმაზარ მანქანებს, როცა თუჯი და რკინა შემოაკლდებათ!

— მოითმინეთ, ამხანაგო გობრონ, მოითმინეთ!

— ამხანაგო თომა!—ხეთაგური მაინც განაგრძობდა—ეს საქმე სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს!

— მართალია, სწორია გობრონ ხეთაგური:

ჩაერია ლაპარაკში მთავარი ინჟენერი რაჟდენ მესხი.

— თუ ეხლავე არ იქნა ზომები მიღებული, ჩამომსხმელი საამქრო რამოდენიმე ხნის შემდეგ გაჩერდება...

როცა ხეთაგურმა მთავარ ინჟენერ რაჟდენ მესხისაგან გაიგონა ეს სიტყვები, სახე მოეღუშა, გულზე რალაც მძიმე შემოაწვა.

ვერ მოითმინა და ხელები მაგრად დაარტყა მაგიდას.

— დღესვე, ამხანაგო გულაშვილო! დღესვე უნდა შესდგეს ბრიგადა და დაევალოს მომარაგება:

თომამ ნელა გაიღიმა და უთხრა:

— ხეთაგურო; ძალიან ფიცხობ, ძალიან... შეიძლება ითქვას—მეტისმეტად!

— შეიძლება მაგრამ...

უნდოდა გობრონს რალაცა ეთქვა, მაგრამ დირექტორმა, ამხ. გულაშვილმა გააწყვეტინა:

— ჰოდა საჭიროა სხვასაც მოუსმინო! საჭიროა სხვასაც ყური დაუგდო! ეგრე როგორ შეიძლება?! სავალდებულოა სხვასაც მოუსმინო, თუ შენ კამათი გინდა, თუ შენ კამათი გსურს!

— მერე და ამით რა გინდათ სთქვათ, ამხანაგო დირექტორო!

— ის რომ ლითონტრესტთან შეთანხმება უკვე არის. ტელეფონით ველაპარაკებოდი ამას წინად. რაც შეეხება ბრიგადას რომელზედაც შენ გაიძახი, უკვე გამოყოფილია!

— ვინ გამოყო?!

— ჩვენ!

— მერე და ასე...

— დიახ ასე... ალბათ გინდოდა გეთქვა, რომ მოულოდნელადო, არა? დიახ... თურმე ჩვენც გვცოდნია საქმის სწრაფად გაკეთება, რას იტყვი ხეთაგურო?!

— კი მაგრამ... მე არ მეგონა!..

— ხო უნდა გაიგო... იმ ბრიგადაში შენც შედიხარ და აწი შენ იცი, შენებურად უნდა დასცხო... შენებურად... ბოლშევიკურად..,

გობრონი ცოტახანს ჩუმად იდგა.

— კარგია... ძლიერ კარგი!

წაილაპარაკა ხეთაგურმა თავისთვის და თან დაუმატა:

— მე კი მეგონა ეს საქმე გაჭიანურდებოდა... ხომ იცი, თუ ბიუროკრატიზმის ჭაობში ჩავარდა, მორჩა და გათავდა, ერთ წელიწადს პასუხს ვერ მივიღებთ!.. ერთი წელიწადი—ეს ხომ აუცილებელია!

ნელა წაილაპარაკა ეს და ეხლა მიხვდა, რომ მისი გაცხარება უადგილო იყო...

ასე მაღალი ხმით ის არ უნდა გამოლაპარაკებოდა დირექტორს.

ახლა იგრძნო ეს დანაშაული და მხიარული ხმით შეეკითხა:

— ამხანაგო დირექტორო ბრიგადაში ვინ შედის?!

— შენ, მე და ამხანაგი მესხი!—უპასუხა გულაშვილმა და სახეში მიაჩერდა.

— კარგია!.. საუცხოოა...

სიხარულით წამოიძახა გობრონმა და ხელები ხელებს შემოჭკრა...

— ახლა კი ღდინს გავაცლით ყველა ჯურის მოწუწუნე ოპორტუნისტებს.. ეხლა კი ენასაც ვერ დასძრავს შალვა ციხისელი...

მერე რაჟდენ მესხს მიუბრუნდა გობრონ ხეთაგური და უთხრა:

— მე ვგრძნობ: ქარხნის დამკვრელად გამოცხადება შენ ისე გიხარია, როგორც ჩვენ ენტუზიასტებს, როგორც ჩვენ ყველას და მჯერა—მალე ერთად ვიზეიმებთ გამარჯვებას!

ინჟენერი მესხი გაოცებით უყურებდა გობრონ ხეთაგურს და გრძნობდა თუ რამდენად პირდაპირი და გულწრფელია ის.

— ამხანაგო გობრონ! ჩვენი მიზანი ჩვენი გზა ერთია... ქარხნის დამკვრელად გამოცხადება... აი ჩვენი საბრძოლო გზა... მე წინასწარ მიტომ ავსტეხე განგაში, რომ მიზანს ჩრდილი არ დაადგეს.

—ჰოდა—არ აცალა ხეთაგურმა ინჟენერ მესხს—დღესვე წავიდეთ ლიოონტრესტის საწყობში: თუ იქ ვერ ვიშოვეთ, მერე პირდაპირ მოსკოვში!

— ეს შემდეგ!—უთხრა ინჟენერ მესხმა—ჯერჯერობით თუთხმეტი ტონა თუჯი გვაქვს და თითქმის ამდენივე რკინა... ჯერჯერობით ეს გვეყოფა...

— კარგი! თუ ასეა, არაუშავს!

— მაგრამ შემდეგში ტემპი რომ არ შევანელოთ, დღესვე უნდა ვიზრუნოთ შემდეგისათვის! უნდა ვიცოდეთ, ხვალ რამდენი გვჭირია და როგორ შევძლებთ!

— შეძლებით, ყველაფერს შევძლებთ... ყველაფერს, ჩემო რაჟდენ... საქმე—სურვილი და ინტერესია... ეს კი ენტუზიასტებში ყველაზე მეტია...

— მაშ, სხვა არაფერია საჭირო...

— უპირველეს ყოვლისა ეს და შემდეგ სხვა!..

— ყოჩაღ გობრონ! ყოჩაღ!—მიმართა ბოლოს თომამ — შენგან ასეთ პასუხს მოველი ხოლმე! ქვა უნდა იყო, ქვა!

ინჟენერი რაჟდენ მესხი კმაყოფილებით იღიმებოდა და მალიმალ შეხედავდა გობრონის მამაც თვალებს.

გობრონ ხეთაგური იდგა მათ შორის გაზანგული ხელებით და მაზუთით დასვრილ ლურჯ ხალათში—რკინისფერ სახეზე თვალები ორ ნაკვერცხალივით ენთო და მისი შემოხედვა პირდაპირ აოცებდა რაჟდენს...

— ხო, მართალია კილამ დამავიწყდა, ახალ საამქროს შესახებ მინდა გკითხო—მიმართა მესხს გობრონმა—როდის იქნება! იქნება იმას რამე ხიფათი მოელის და არ ჩაგვივარდეს...

— ახალი საამქროს შესახებ დაწვრილებით ინჟენერმა ტისოვმა იცის. ის ხელმძღვანელობს ამ საქმეს და...

— სად არის მერე?!—გააწყვეტინა სიტყვა გობრონმა.

— თქვენ აქ დაიცადეთ და ახლავე მოვიყვან! დაიცათ ცოტა!

უთხრა ინჟენერმა რაჟდენ მესხმა და მეორე ოთახიდან ინჟენერ ტისოვს გამოუძახა.

არ გასულა დიდი ხანი და დირექტორის ოთახში შემოვიდა რქის სათვალებიანი ინჟენერი ტისოვი, რომელსაც ლურჯი ხალათი ჩაუცვამს და მუქი ფოლებიანი შერვალი ჩექმის ყელში ჩაუტანია.

ფართო შუბლი, უკან გადავარცხნილი თმით და გამოცდილი თვალები გარწმუნებდა ინჟენერ ტისოვის გამჭრიახობაში და გაბედულებაში.

მან მოსვლისთანავე ხელი ჩამოართვა ხეთაგურს.

— ამხანაგო ტისოვ—მიმართა გობრონმა—მინდოდა გამეგო ახალი საამქროს ბედი!

— პირველი დაზგები აწყობილია. კიდევ ორმოცდახუთ დღეს მოუნდები, მაგრამ მუშები მოითხოვენ უფრო ადრე დამთავრებას...

— ო, ეს კი ვიცი, სხვა...

— სხვა რა უნდა გითხრა... დამკვრელი ტემპები ავიღეთ, ჩემო გობრონ, დამკვრელი ტემპები... მერე, რომ იცოდეთ, რა საუკეთესოდ მუშაობენ ბრიგადები... განსაკუთრებით კი აღსანიშნავია ტიბორ ბარტალოშის, იმ უნგრელი მუშის ბრიგადა...

— ტიბორის?!—ღიმილით შეეკითხა დირექტორი ინჟენერ ტისოვს.

— მაშ! მე არ მეგონა, რომ ტიბორი ასე თავდადებული იქნებოდა, მაგრამ ყველაფერი თვალწინ ხდება და მიხარია კიდეც...

— ასეა ძმაო?—უთხრა მას ხეთაგურმა—იცის ვისი საქმესაც აკეთებს...

— მისი ბრიგადა პირველია იმ საამქროში... იმ ბრიგადის ინიციატივით საამქროს მთელმა მუშებმა თავი დამკვრელად გამოაცხადეს და საამქროს დამთავრება ორმოცდახუთის მაგივრად ოცდაათ დღეში იკისრეს...

— ეს საუცხოოა! საუცხოო! განიმეორა გობრონმა და მერე ამხანაგ გულაშვილს მიმართა—მაშ ასე, ამხანაგო დირექტორო! აღებულია მებრძოლი ტემპები და ქარხანას უსათუოდ ვასახელებთ, მხოლოდ საჭიროა მომარაგების საქმე მოკლე ხანში მოვაწესრიგოთ!

გობრონმა სამივეს ჩამოართვა ხელი და წავიდა.

— ნამდვილი მებრძოლია!

წაილაპარაკა თომამ და ისევ დაიწყო მუშაობა.

ს ი ს ხ ლ ი

დაბლა შემოსასვლელ კარებთან, სადაც შავი დაფაა გაკრული, დამდგარიყო პეტრე შჩუკინი,

თვალებ ამღვრეული. აწითლებული. უქინარი.
თმები აბურძგვნილი. დაუვარცხნელი.
სახე გაცრეცილი. ნამთვრალევი.
მუხლები სამინლად უკანკალებს.
ფეხზე ძლივს დგება.

— პეტრე! აქ რას აკეთებ?

მიმართა ხეთაგურმა, როცა დაბლა ჩამოვიდა და პირისპირ შეეჩეხა...
შჩუკინი აიმღვრა.
აიმრიზა.
აბუზღუნდა.

— რას უყურებ? ამას შენ ვინ გეკითხება, დამკვრელთა ბელადო. მერე თითონაც დამკვრელო!

ჩაიხითხითა დაცინვით.

— სამუშაოზე არ მიშობენ! ბიუროკრატები... ოპორტუნისტები...

— შჩუკინ, შენზე სულ სხვა ამბებია...

(შჩუკინი შებარბაცდა.)

— ჩვენ ამაზე სხვაგან მოვილაპარაკებთ:

(შჩუკინს სახე უცნაურად მოელრიცა)

— შენ გგონია განაგრძობდა ხეთაგური—ჩვენ რამე დაგვემალება! რაგვარ ფიქრობ, ძალიან გემრიელია ქარხნის ხარჯზე ქეიფი?!

ეს უკანასკნელი სამი სიტყვა „ქარხნის ხარჯზე ქეიფი“ ხანჯლის წვეროვით მოხვდა გულში პეტრე შჩუკინს და ერთბაშად ხელები თავზე იტაცა.

მიხვდა, რომ ხეთაგურს გაგებული ჰქონდა ბნელი საქმეები...

მიხვდა, რომ უკვე ხაფანგში გაება და ამოახრიალა:

— ოხ, შენი დედაც... კრიჭაში ჩამიდექი არა?!

გააღრჭიალა კბილები შჩუკინმა.

დიდიხნის ნაფიქრის ასრულების დრო დაუდგა.

იქვე დაგდებულ რკინის სოლს სტაცა ხელი და ხეთაგურს თავში დაარტყა..

ხეთაგური შებარბაცდა და გრძნობა დაკარგული იქვე დაეცა.

გობრონის ყვირილზე, საამქროების ბნელ სილრმეებიდან, კორპუსებიდან გამოცვივდენ მუშები და ხეთაგურს შემოერკალენ.

მაგდა, ამ ამბით გაოცებული, მივარდა ხეთაგურს.

შუბლზე ნელა მიიკლაკნებოდა თბილი სისხლი და ძარღვივით ჩაყოლოდა კისერს...

მაგდამ თმებზე ხელი გადაუსვა.

ხელები სისხლით შეეღება.

— შჩუკინ?! შენ?!

მიაძახა მაგდამ პეტრე შჩუკინს, რომელიც გაბოროტებული თვალებით ჩასცქეროდა გობრონის სახეს.

— ეს რა არის?! ეს რა გიქნია?!

მაგრამ შჩუკინი არაფერს არ ამბობდა.

იდგა წარბებშეკრული, უსიტყვო.

— ალბათ წუხელ გზაში რომ დახვდა, მოკვლა უნდოდა!

გაისრიალა ცივმა აზრმა და გამოურკვეველი შიშით ათრთოლდა მაგდა..

მაგდას ხელები უკანკალებდა და სახე ჩამოსევდოდა.

— ჭრილობა ღრმაა!

წაილაპარაკა მაგდამ რამოდენიმე წუთის შემდეგ.

საჩქაროთ შეუხვია თავი საკუთარი თავსაფარით და კაგამეროვთან ერთად ფეხზე წამოაყენა...

შჩუკინი იდგა ერთ ადგილზე. სისხლიანი თვალები ონავრულად ელავდენ და ხმას არ იღებდა.

ენტუზიასტა აღშფოთებული ტალღა შჩუკინისკენ მიიწევდა, მაგრამ ბართლომე ხარაბაძე აკავებდა მათ.

შჩუკინი კი იდგა ხესავით უძრავი.

წარბსაც არ ხრიდა.

წამწამებიც არ დაუხამხამებია.

იცოდა. რომ სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდა, ყოველ წუთს ხიფათი, რომ მოჰქონდა.

ბართლომე ხარაბაძე ვერ ითმენდა შუშებივით უაზროდ ბრწყინავ ონავრულ თვალების გამოხედვას და ბრაზნაყარი მივიდა შჩუკინთან, ჩაავლო მკლავებში ხელი და უთხრა:

— ეს გქონდა აზრად?.. ამას ფიქრობდი?! შეგარცხვინა ღმერთმა... აწი, ჩვენ სულ სხვანაირად მოვილაპარაკებთ!

მოკიდა ხელი უფრო მაგრად და სამმართველოსაკენ ძალით გაათრია.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარზე

ალექსანდრ ჟარო

უკანასკნელი შეჩერება მატარებელის.
გზის დასასრული და ბრძანება ისმის:
—შესდექი!
სვეტებზე სჩანან ბაირაღები;—
ბაირაღები და შაშხანები
შუაზე ჰყოფენ დედამიწას,
ტყეს და სიცოცხლეს!
ერთმანეთისთვის შორეულნი
და ახლობელნი,
სულ ერთი ხაზით დაშორებულნი,
მუდამ უცვლელად დარაჯობენ
აქ გუშაგები
ქვეყნის სიმშვიდეს.
არც დღით, არც ღამით
კორდონები არ იძინებენ.
და პატრულები მოსვენებას
არ ეძლევიან.
არიან ფხიზლად ტელეფონები,
და სადღაც შორით ტელეგრაფი
ღელავს ფარულად.

—კონტრაბანდისტო,
კვლავ გამოხველ შენ სანადიროთ?
—მოდი, ბანდიტო.
თუ სიცოცხლე მოგბეზრებია!
აღრიცხულია აქ ყოველი
მცირე ხმაური,
გაშრიალება ფრინველისა—
მტრის ნიშანია...

და აქ სიჩუმე
უჩვეულო არის ოდნავად—
როგორც განგაშის წინამორბედი,
ჩვენს მშენებლობის დამცველად სდგას
მტკიცე მესაზღვრე,—
საგუშაგოზე
ზავის დამცველად,
ის—გუშაგია
დიად ხუთწლედის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც არის გამართული
გამარჯვებულად.
ფრინველთ შრიალი,
და თვითეულ ტოტის ხმაური—
არის ნიშანი იმისათვის,
რომ ვიყოთ ფხიზლად!
საზღვარის ხაზი
თვალუწვდენი, დიდი რკალია,
მაგრამ სივრცეებს დაეუფლა
გამარჯვებული შრომისა ხაზი.
და უნდა იყოს ეს ხაზი მტკიცე
ყველა საბრძოლო პოზიციის
მაღალ სიმძლავრით!
ის გავამაგროთ
არა ტკბილი საუბარითა,
არა ყიჟინით და ამაო
მისალმებებით;
ის განვამტკიცოთ
მოტორების მძლავრ დახმარებით
და მოწინავე ტექნიკის ძალით,
რომ მედგრად შეხვდეს
საბჭოების დიდი კავშირი
ინტერვენციის სასტიკ ქარიშხალს,
კილომეტრების გაქანება განუსაზღვრელი
ჩვენ უნდა შევკრათ
საიმედო გზების რკალებით!
ჩვენი ზრუნვა და
ჩვენი შრომა
ეკუთვნის საზღვარს...
და შორს საბრძოლო
მედგარ სივრცეში,
იქ გუშაგები დარაჯობენ
მტკიცედ, უცვლელად
ქვეყნის მშრომელთა
ძლევამოსილ აღმშენებლობას!..

თარგმანი—ვალ. გაფრინდაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად ქარი არხევს არმიელის წითელ ფარაჯას...

თქვენ იქ ათენებთ
რესპუბლიკის ლეგიონებო,
სად ნამქერიან ტრამალების ნაპირი არ ჩანს;
ქარია, ნისლი...
შენ გიკავენ ჩვენო მხარეო,
სანაპიროზე ქარი არხევს წითელ ფარაჯას...
საზღვრების იქით ბანდიტები ჩანან ჩინეთის,
შორს თვალი არჩევს
როგორ დგანან დარაჯნი სხვისა,—
— დგანან დუმილში ჩაყვითლებულ ჩინარებივით,
სდუმან ველები,
და სიჩუმეს მიდამო ისხავს...
... ცივა და ირგვლივ დუმილია,
როგორც ადროდეს;
სერებს გადალმა
ნისლებივით ჩაშრა ბნელეთი,—
— თქვენ იცავთ ურალს,
ტემპში შესულ მემალაროეს,
იცავთ საბჭოეთს,
და აფეთქებთ ცას შრაპნელებით!
თუ შემოგესმათ
თქვენ ხმაური დაჭედილ აბჯრის,
— არმიელებო,
აიმართეთ გაშლილ მკლავებით;
— აშლილ ურდოებს
ნუ დაუთმობთ საზღვრიდან ნაბიჯს,
სხვისი მიწის კი
ჩვენ არ გვინდა ერთი მტკაველიც!—
... სამოქალაქო ქარიშხალის
იგონებთ ქუხილს,
როცა სიკვდილი
დადიოდა ველად გაჭრილი
— ბუდიონელის ბედაური ქარული მუხლით —
ტორავდა მინდვრებს,
და ისროდა სივრცეში ჭიხვინს!
ახლა ქარია,
და სერებზე წვება ნამქერი,
შორს კი თოვლიან
ტრამალების ბოლო არა ჩანს,—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს მიდამონი
მუდამ ბინდით არის ნაფერი,
და ქარი არხევს
არმიელის წითელ ფარაჯას...
თქვენ გულში მუდამ
ქარიშხალი და სიმხნევეა,
— მანდ მუდამ ნისლი
ნაბადივით ფარავს მიდამოს, —
ჯარისკაცები ცეცხლაპირას
მხედრულს მღერიან,
რომ შეძახილმა
სიხარული ამოიტანოს...
მეც თქვენ გიმღერით,
ეგ მხედრული გადმოდის ჩემთან,
ეს ჩემი ლექსიც
თქვენს ანთებულ ძარღვებს დაღვედავს, —
— ეს მოძახილი
თქვენს გულებში ცეცხლად დარჩება,
ეს სიმღერები
შეინახავს გულში ნაღვერდალს...
... ქედებს გადაღმა
უნაპირო სივრცეა მარტო,
მხოლოდ მხედრული
არმიელის ძარღვებს აჟრჟოლებს, —
— თუ ვერაგულად
ბანდიტები წამოიმართონ,
ლეგიონებო!
რესპუბლიკას მტერი აშორეთ!!.

გიორგი შატბერაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეზმან ერთაწმინდელი

წაწულა

ა

— რა საქმე გამიჭირე? მტყუანს რა უთხრა, რომ შენ მე ვერა მჯობდე?!— ოდნავ გაუბედავი შებღვირვით მიუგო ვანომ, რა ნიკამ იდაყვის კვრით დასცინა:

— ჩაჩულ! იარე!.. რა წისქვილის სარეკელასავით მოათრევ მაგ ფეხებს?!

— ამხ. ნიკა! არ ვარგა ამხანაგის აბუჩად აგდება, ზედმეტ სახელით მონათვლა, დაცინვა; ეს ცუდათ მოქმედობს ახალი ცხოვრების მშენებელ ენტუზიასტთა აღზრდაზე; ასეთი ცუდი ჩვევები უნდა მოისპოს წითელ ჯარში!..—შენიშნა ოცმეთაურმა სოსომ.

—ასე იცის სულა, ამხ. მეთაურო! სოფელშიაც არ მისვენებდა!.. — წაიბუზღუნა ვანომ.

— აბა რა, თუა, უნდა იყოს!.. არა და მე დამედარება!..—და ნიკა ამაყად შეუდგა შაშხანის—წმენდას.

—ვითომ თვითონ ძაან გმირი იყოს!..—აიმრიზა ვანო.

— გმირი რა, აქ ომი კი არაა, რომ გმირობა გიჩვენო!.. აბა ის ვილაც ანგლიაა თუ ანგალი, მოვიდეს და ნახავ, რა დღეს დავაყრი!..—წაიტრაბახა ნიკამ, რაზედაც ოცმეთაურს თუმცა გაეღიმა, მაინც შენიშნა:

—გმირობის გამოჩენა მშვიდობიანობის დროსაც შეიძლება!

— როგორ?!—წამოსცდა რომელიღაცას.

როგორ და... საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს.. ბევრია შესაძლებლობა, მოულოდნელობა... გინდაც შრომის ან სწავლის ფრონტზედ... მარა, გმირობა ადვილად არ მოგხვდება ხელთ, თუ თანამედროვე მიღწევებს სამხედრო საქმეში ალღო არ აუღე, თავი ვერ გაართვი, თუ არ დაეუფლე ტეხნიკას და არ განამტკიცე საბჭოეთის თავდაცვის უნარიანობა. ახლა ძველი დრო ხომ არაა რაინდობის ხანა, ლეგენდარულ „გმირობის“ გახსენება. მხედრები რომ შეუტევდენ ერთმანეთს ხმლით და ამით სწყვეტდენ დავას: რომელიც თავმოუპრელი დარჩებოდა გმირიც ის იყო... არა, ახლა სულ სხვაა...—და მეთაურმა დაუწყო დარიგება, მორიგი საუბარი.

ყველამ ყური სცქვიტა, მაგრამ ვანო უფრო რატომღაც ხარბად ნთქავდა ყოველ სიტყვას...

ბ

—ჰმ!.. ვინ უნდა შემოგვიტიოს?! ელანდებათ რაღა ამათ! ჩვენი ერობის ყოფილი თავმჯდომარე არჩილა არ ამბობდა, რომაო, ევროპიას სულაც ფიქრად არა აქვს აქ თავდასხმა, ამ ხმებს ბალშენიკები ყრიანო?! —გადუჩურჩულა ნიკამ ვანოს, რა პოლიტხელმა სთქვა:

—ევროპა ემზადება ჩვენზე საიერიშოდ, როგორც ერთად-ერთი მუშურ-გლეხურ რესპუბლიკაზე მთელს მსოფლიოში, რომელიც აშენებს სოციალიზმს; ქალაქის ინდუსტრია ფრთებს ჰშლის, კოლექტივიზაციაქმნილი სოფელი წინ მიდის; ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი მტრების ბანაკში სიცოცხლის წუთებს ითვლიან; შემოტევას ლამობენ, თუმც „გვარწმუნებენ", რომ ჩვენთან მშვიდობიანი ურთიერთობა სურთ, მაგრამ ამას იმიტომ სჩადიან, რომ ჩვენი მზადყოფნა შეანელონ და მოულოდნელად კი დაგვცოხონ...

ლენკარავი სმენადაა...

საღამოს ნიავს მოაქვს მინდვრით მონატაცი სურნელება ყვავილთა და ბალახის...

—ა? ვითომ ასე იქნება?!—არ იშლის ნიკა, ჩუმი შეპარვით.

—იქნება მაშ! აბა რაა! მაშ ტყუილს ხომ არ იტყვის ჩვენი უფროსი ამხანაგი?!—ჩაურთო გიგამ და პაპიროსისთვის ასანთი შესთავაზა.

—ჰმ!..—ვანო აენთო.

—ჰო, რაო?!—დაცინვა შოლტად გადააწნა ნიკამ, რა ეს შეატყო.

—შენც რა ჩვენებურ კულაკ ალექსასავით ლაპარაკობ?!—შეუბღვირა ვანომ.

—ის შენი დასაცინავიც გახდა?! იმასთან არ გძვრებოდა სული მოჯამაგირეობაში? ა?!—აუტყდა ნიკა.

—ჰო და, იმიტომ ვიცი რაც ვაუბატონია; ბიძაა და იცავს არა?!

—რაო?!

—სუ!.. რად იცით ახირება?! - ჩაერია მიხა.

8

—მაშასადამე, ამხანაგებო, ჩვენი ცდა უნდა იყოს: მუდამ მზად ყოფნა... ამას კი მივაღწევთ საბრძოლო უნარიანობის აწევით, მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულებით, ტეხნიკის დაუფლებით, დისციპლინის განმტკიცებით, პოლიტ-ცოდნის ამაღლებით, კულტურის დაპყრობით; იმის ცოდნით, თუ, რისთვის ვართ მოწოდებულნი წითელ არმიაში, რომ ჩვენ ვართ კლასიური ჯარი, მუშათა და გლეხთა დაცვად; მოწყვეტილნი დროებით, დაზგას და გუთანს, რათა გასამხედროებით ვიყოთ წინ და ყველა ამას ხომ აქ ვიძენთ, ბანაკში, წითელ ყაზარმაში; ეს ხომ ძველი დროის ყაზარმა არაა, სადაც იზრდებოდა ჯარისკაცი-მონა ესაა უფრო სკოლა, სადაც იზრდება მხედარი-მოქალაქე. ამხ. მეთაური და პოლიტხელი მართალნი არიან, როცა ყველა ამის მისაღწევად მიგვითითებენ სოცშეჯიბრზე, ბრიგადირობაზე, ენტუზიაზმზე... ჩვენ უნდა ვიყოთ დამკვრელები, და...

—დაიწყო სამხკორმა ლეომ, იმ ლეომ, რომელიც კედლის გაზეთის რედკოლეგიის წევრია, კლუბის აქტივი, ახლად დაარსებულ ლიტწრის, ლოკაფის წევრი, დამწყები მწერალი, რომლის ლექსსაც გუშინ საღამოს გართობაზე ვანო ფანდურზე ამღერებდა...

—ნეტა რის დამკვრელები უნდა ვიყოთ?! რაზე უნდა დიუკრათ? ბუკზე თუ დოლზე?!—შეუგნებლად წამოსცდა ვანოს და თვალები ამხანაგებს მოავლო.

—ჩაჩულ! მაგ კოსროში მაინც არაფერი შედის?!—უკბინა ისევ ნიკამ.

—ამხ. ნიკა! კიდევ?! ვანო ჯერ ასე ვსთქვათ. გარკვეული არაა, ახლად მოსულია, წერა-კითხვასაც აქ სწავლობს და ახლა, შენიშნა მეთაურმა, და ვანოს აუხსნა დამკვრელობის მნიშვნელობა.

—ბოდიში ამხ. მეთაურო.—თავი გვერდზედ მიიღო ნიკამ, ვინ იცის რა განზრახვით.

ვანოს ალისფერმა გადაჭკრა, უცოდინრობა რომ გამოაჩნდა.

—ჰო, და... ჩვენ უნდა ვიყვეთ ინიციატივის, თაოსნობის ხელთმგდებნი, მაგალითის მიმცემნი, ჩვენს ასეულში მაინც, ტეხნიკის უკეთ შესწავლის, საბრძოლო უნარის გამოჩენის, რისთვისაც სოც-შეჯიბრში ვიწვევ, ამბ. სამსონს, ნიკას შალვას, გოგიას, მიხას და ვანოს, შემდეგ მუხლებში...—და, მან, ლეომ ჩამოთვალა.

გაისმა ტაში, და ვანოს, არ ვიცი სიხარულით თუ რით, ღიმილმა რომ აუთამაშა, ღელვა დაეტყო და მერე ბრაზით მიახალა ნიკას.

—რათ იცი, ბიჭო დაცინვა?!

რა ნიკამ ლეოს ესროლა სიტყვა:

—ჩაჩულა თუ გამოიწვიე, მე ვიცი ჩვენ არ დაგვეწიოს და მაჩვენებლები გადაჭარბებით არ შეასრულოს!..

—თუ ჩამორჩა, ბუქსირზე უნდა ავიყვანოთ...—არ დაუთმო ლეომ.

—ჰო, ახლა ნალოდ მათრევინე!..

—ნუ ხარ, ნიკა, გესლიანი! ამხანაგს შველა უნდა, აბა რა! ვინმე რომ ჩამორჩეს, ეს ჩვენი ასეულის ჩამორჩენაა!..—უთხრა გიგამ და ვანოს გაულიმა.

—დიაღ, სწორია... ჩვენი რიგები უნდა შეჯავშნილი იყოს; ამხანაგებში შურს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თორემ მტერი სწორედ ამ სუსტ ადგილზე შემოგვიტევს და თუ გაიმარჯვა, იცით რა სასჯელით გაგვიმასპინძლდება?! ჰმ!.. ისტორიას არ ეხსომება!—და, პოლიტხელმა ისეთი მხატვრული თქმით დახატა, რომ ვანოს შეაკრთოლა...

მას უნებურ წარმოუდგა მირაჟები, ლანდები, რომ გაემარჯვა მტერს, მუშები, გლეხები და წითელარმიელები როგორ იქნებოდენ ყოველ ხის ტოტზე გასანთლულ თოკით ჩურჩხელასავით ჩამოკიდული და იმ გრუზა თმაში, რომელსაც დედა უკოცნიდა, უალერსებდა, ახლა ჭია-ღუას დაებუდა; იმ ყელს, რომელსაც ომში გამგზავრების წინ საყვარელი არსება ჰხვევდა მკლავებს, ახლა გველი ეხვევოდა

რაღაც გაურკვეველი შიში აეტუზა, თუმც ბუნებით მშიშარა არ იყო...

Ლ

—ა?!—თვალები ირგვლივ მიმოავლო ვანომ, რა ნიავმა გორაკიდან თავში წამოუტიალა ბუჩქებს და შეარხია.

შაშხანა მოიმარჯვა...

ღამეა...

ბანაკს სძინავს ტკბილად...

მთვარე, თითქოს გავარვარებულ თონედან ამოცურდაო, გამოჩნდა ქედზე და ელნათურივით გადმოეკიდა კამარაზე, მარა ღრუბელთა ქარავანები უდაბნოში დაღლილ აქლემებივით წამოელალენ...

იარაღის საწყობის საგუშაგო...

ვანოს ელვის თვალები იცავენ...

მარა, მისდაუნებურ ფიქრებმა რად წამოუქროლეს?..

—ა? რა მომდის?!—სწყდება მის ტუჩებს.

აგერ, თითქოს სოფელი. მოხუცი მამა. დედა. კოლექტივი. წინსვლა. ნატა?

—ო, ვანო! ვიდრე ჯარიდან დაბრუნდები გმირად, მანამდე გელი!—მიუგო ნატამ, რა წამოსვლისას შეეკითხა:

—ხომ დამიცდი ნატა?!

და თითქოს ახლაც უწივის ყურში ეს გახსენება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანოს თვალები გაიტყორცნა შორს, აგერ იმ სერებს გადალმა, სადაც ეგზულება ის, მარა ცის ჰორიზონტზე გადატყდა, სადაც მორიელისკუდა ხომლი დაყირავებულა.

—ჰმ! და ეს აბეზარი ნიკა კი აქ არ უსვენებს, რადგან მასაც თვალი ნატაზე შერჩა.

ვანო ნატას მაგიერ შაშხანას იყუდებს მკერდზედ, მარა, რა ტუჩები ცივ ხიშტს ეხება, შეაკრეჭოლებს, სული ესეტყვება, რადგან ჰგონია: ნატას გული გაუცივდა მასზე...

—რადა, რად?!—სწყდება თქმა, მარა ამ დროს, თითქოს განმრისხანებულის ხმა დასწივის:

—საგუშაგოზე უყურადღებობა მტრის ბანაკში ნებით გადასვლას უდრის!.

—აჰ!!!—სიმწრის და სირცხვილის ოფლმა დაასხა.

საწყობს შემოუარა. დაზვერა, საშინელმა სულის ქენჯნამ აიტანა.

—მერე და ამ დროს ვინმე რომ მიჰპარვიყო, საწყობი აფეთქდა?! მე უნდა დამელუპა ჩემი საყვარელი ასეული, ლეგიონი, დივიზია?!

და გული ოხვრას კინალამ თან ამოატანა.

სხვა და სხვა სურათები გარბიან მისი გონების თვალწინ.

ე

აუ!!!

აგერ თითქოს ვილაცამ მართლაც ააფეთქა საწყობი: წინა საგუშაგოები მოხსნეს; მტერმა ბანაკს ალყა შემოარტყა; წითელარმიელები გალიაში მომწყვდეულ ვეფხვებს გვანან, მარა ვანოს უყურადღებობის გამოა, რომ მტერს ერთი დაკვრით ვერა სრესენ; მოწინააღმდეგე ტეხნიკის საშუალებით მძინარეებს ადვილად დაეუფლა ვითომ, მარა მაინც ყეფენ ქვემეხები, ლიუისა და მაქსიმა აკაკანდენ, შაშხანები ჭახჭახებენ; შრაპნელი წვიმად იცრება; ყუმბარები დედამიწას უბეს ულადრავენ; აეროპლანები ცეცხლწამკიდ ბომბებს უშენენ; ჯავშნოსანი მატარებელი გველებივით გაწოლილ ლიანდაგზე შემოგრიალდა, კოშკები აქეთ მოტრიალდენ, ზარბაზნების ლულებმა ცეცხლის ენები გამოჭყვეს; აგერ ტანკა ამობობღდა საიდანღაც; ჯავშან-ავტოები დაჭრიან და ტყვიამფრქვევების ცხვირები სახეიროდ არ აცემინებენ...

საკავშიროელები აპარატს არ შორდებიან; მესანგრენი ტრანშეებს აგებენ; არტილერისტები ლამის თითონ შეედვნენ ქვემეხებს მუხტად; ქვეითი შარშია გაშლილი; კავალერია ხმლის ელვით შუბს ეჯიბრება; მტრისა თუ საკუთარი, ვერ გაურჩევია; ტყვიის სეტყვაში ვერც მოუხერხებია და თითქოს არც უნდა საფარი მოსძებნოს; საწყობს როგორ მოშორდეს, თუმცა ნანგრევები-ღა!

—ა?! ის რალაა?! ქარის მიმართულებას მტერმა ბალონებით აირი, გაზი გამოაყოლა?! მაშ რაა ის, ღრუბელივით რომ წამოვიდა დაბლა?! ცხვირი რად აეწვა?!

—ნიღაბი!—თითქოს ვილაცამ დასჭყივლა ვანოს და მოიხსნა ჩანთა, ამოიღო, იფარებს, მარა სათვალეები ნიკაპზე მოსდის, საცხვირე შუბლზე, თითქოს რქა ამოსვლოდეს, საყნოსი მილი სპარსულ ნარგილას მილისავით ჩამოჭკიდია... არ იცის როგორ გაიკეთოს, აქაც ტეხნიკის უცოდინარობა?

ეს რაა? მტრის გამოსროლილმა ტყვიამ შაშხანა გადუმტვრია?! ა? არ იცის რა ქნას.

—ა? — რა შეხედა უპატრონოდ მიგდებულ მაქსიმას, ჩაუჩოქა, ბაფთა მისცა ვითომ, ტუჩი მტრისკენ უყო, მარა თითები სად დააჭიროს, რომ არ იცის? მარცხი! მივარდა ქვემეხს, მარა მუხტი საიდან მისცეს? ხან თვლებში გაუყარა, ხან ტუჩიდან სცადა ჩაედვა, მარა არ იცის, აქაც უცოდინარობა! შეხედა ჯავშნიან ავტოს, ვითომ შევიდა კიდეც შიგ, მარა საპეს მართვა უნდა, იაე როგორ დასძრავს ადგილიდან და როგორ შეიჭრება მტრის შუაგულში, როგორ მოსრავს უდროებს?! აგერ საიდანღაც დაეშვა მის ახლოს თვითმფრინავი, მარა აქაც ტეხნიკის არ ცოდნა გადაეღობა... მტერი კი მოიწევს, აგერ ლეგიონის დროშას დასწვდენ; მიაქვთ როგორც დავლა, უნდა დაფხრიწონ, შეაგინონ და ბრაზმა ლოყები დასწვა, რა გულმა გადმოვარდნა დააპირა და ამ დროს შენიშნა იქვე ბორცვზე ლურჯა, რომელიც თავის განგმირულ მეედარს დასჭიხვინებდა, გაექანა იქით, ისკუპა და უუზანგოთ მოექცა ზედ, გაჭუსლა, რათა დაეწიოს მტერს, დასჭყივლოს, დროშა წაართვას და რა ცხენი იმ თხრილს გადაახტა, სადაც მტრის ქვეითი ჯარი ჩასაფრულა, ცხენზე ჯდომა რომ არ იცის, თავს ვერ იმაგრებს, ძირს ვარდება და აქ კი მოწინააღმდეგის ოფიცერი ხმალს მოუქნევს ხარხარით, თავს ტანზე მოაცილებს...

—ამბ. ვანო!.. შეისწავლე ტეხნიკა, ყველა გვარეობის იარაღის მართვა, თუ გინდა რომ განამტკიცო ს.ს.რ.კ. თავდაცვა!.. — თითქოს ეხლაც ესმის თავმოჭრილს უფროს ამხანაგთა ეს თქმა.

3

—ა? თავი ისევ მაბია?! — მოსწყდა თქმა ვანოს, რა კოშმარულ სიზმარში ბრძოლის დროს ტახტიდან ძირს ზღართანი მოსძვრა, თვალები დაჭყიტა და ხელებით სინჯვა უწყო თავს

ამხანაგები ხარხარებდენ ჯერ კიდევ იქიდან, როცა ის სიზმარში ხელებს იქნევდა.

—თავი კი გაბია, შე ჩაჩულა, მარა შიგ რომ არა ყრია-რა?! —წამოუქროლა ნიკამ.

—ა? მაშ აფიცერს თავი არ მოუჭრია?!

—ვინ აფიცერს?! —გაიკვირვა გოგიამ.

—ვინ და მტრის... მტერი დაგვეცა და თქვენ კი აქა ყრიხართ ფეხებაპლაკულნი?! —და ამ სიტყვებთან ერთად შაშხანას დასტაცა ხელი, კარავის თხრილში სურდა ჩასაფრება, მარა მიხა დაებლაუჭა:

—სად მიგაქვს ჩემი შაშხანა? შენსას ვერ აიღებ?!

—ა? ჩემი აკი მტრის ტყვიამ გადამიტეხა?!

—რის ტყვია და მტვრევა! აგერ, აი აქ არაა უვნებლად?!

—ნელათ, მაგ ძიძგილაობაში ემანდ ეშმაკმა ცხვირი არ დააცემინოს და ჭამის მადა არ გამიფუჭოს! მერე და იცით დღეს რა სადილია თურმე?! —სთქვა ნიკომ და ჩაცმა იწყო.

—რა ამბავია?! —შეეკითხა ხმაურობაზე შემოსწრებული მორიგე პირველ ხაზზე.

—რა, და... არ გესმით განგაში?.. მტერი დაგვეცა! შეხეთ ტანკებს, ჯავშნოსნებს, და... —ვანო თავის თოფს ეცა, აკოცა, ჩაიხუტა, ჩახმახი გადაატრიალა, ვაზნები ჩააწყო.

—ის მტრის კი არაა, ჩვენებია... ის ბუკი საცდელი განგაშია... ხვალიდან მანევრები იწყება, და, მორიგემ აუხსნა ღიმილით, რა გოგიამ უამბო მისი სიზმრიდან ჯერ კიდევ გამოუკვეცლობა.

წითელარმიელების სწრაფი ჩაცმა და ფიცხლად შეიარაღება. გამწკრივდენ.

—რა დამემართა?! მართლა მოსაჭრელი ყოფილა ეს თავი!..—ვანოს ... ქოს ვილაცამ ურო დასცხო თავშიო, დაღუნა, ვერავის უყურებდა, ნიკას დაცინვებს ხომ ვერსად წაუვიდოდა...

— გამხნევდი ვანო! რა ვუყოთ, რომ სულელური სიზმარი გინახავს, და...—

გაამხნევა ლეომ და მხარზე ხელი დაჭკრა, მიუხედავათ ნიკას მოუსვენარი დაცინვისა:

—ეს გამოვა გმირი?! ჰმ! არა, ნატასაც რომ მეცილება?!

—მე შენ!..—კინაღამ მიიწია ვანომ ნატას ხსენებაზე, მეთაურის ბრძანებას რომ არ მოესწრო:

—სმენა! სასროლოდ! იარ!.. პირდაპირ!.. ერთი!.. ორი!.. მარცხნისაკენ!..

ოცეული დაიძრა, რა მზემ ქედით გადმოხედა ბანაკს და მინდვრის მწვანე ქათიბზე თეთრ ღილებად აბმულ კარვებს აბრეშუმის თმები გადმოაფინა ატლას ლოყება მარჯნის ღიმილით...

%

—აი, ხომ გეუბნებით, ნიშანში ვერ არტყავს-მეთქი, ეს ჩაჩულა! —

დასცინა ნიკამ, როცა ლეოს ნიდაყვის კვრით გადაულაპარაკა, რა ვანოს ათში შვიდი გაცდენა მოუხდა.

—ბუქსირზე ავიყვანოთ, და ისაა!...—გამოექომაგა გოგია.

რა შესვენება იხელთეს, გაიხსენეს ვანოს ტახტიდან გადმოვარდნა და მე გობრული სიცილი აუტეხეს, მარა ვანო ჩუმადაა, ის მხოლოდ ერთზე ფიქრობს:

—ტეხნიკის სწავლა. თავდაცვის განმტკიცება. სროლის მაღალი მაჩვენებლები და მაშინ ვნახავთ, ვინაა ჩაჩულა!..

ათკეც სურვილით დაეწაფა ტეხნიკის!

ყველა გაოცდა მისი დაულალავი შრომით ყველა ფრონტზე...

—ხედავთ ამ ჩაჩულას?! ლამისაა ყველაფერში გამასწროს!..—ვერ ისვენებდა ნიკა.

—ამოცანაა: ნავით მდინარის გადალახვა და მტრის დაზვერვა!..—

რა ითქვა მეთაურის მიერ, დავალება ათმეთაურ შალვას მიეცა, რომელმაც თავის მხრივ ოთხ გვარს გამოუძახა:

—აბა მომყევით!

აედევნენ; გოგია, ნიკა სამსონ და ვანო.

მარა ეს რაა?!

შორეული ქუხილი; ელვა გველებად ეკლაკნება ცას; ისმის შხუილი; წყნარად მოდუდუნე მდინარე აბორგდა; ალბად კოკისპირულ წვიმის ნიაღვართა ტოტებმა დაარღვიეს მდინარის მყუდროება, რომ აცოფდა, ტალღა-ტალღაზე და მთელი ძალა კი უკვე შუაში მყოფ ნავს დაატაკა, სწრაფად გააქანა იქით, სადაც ვარდნილი ახლო იყო, სულ რაღაც ათიოდე მეტრი-ღა, და მშვიდობით ნავო! არმიელებო! თქვენი ღონიერი მკლავით მოქნეული ნიჩბებიც ველარას გააწყობენ...

ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ თითქმის ყველა დაიბნა, ნაცრის ფერმა გადაჭკრა; მარა ის ვინ გადახტა და ნავის თოკის წვერი თან გაიყოლა? რა მარდად გადასჭრა ცურვით ზვირთები და თოკი დიდ ლოდს შემოახვია, სწორედ იმ დროს, როცა ნავის შემოტრიალებული ბოლო უკვე ვარდნილს გადაადგა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ხსნა!!! ვაშა!!!—გაისმა აღფრთოვანება ნაპირზე მდგომ ასეულისა.

—ვანო?!—თითქოს ეულკანით ლავა აღმოხდა ნიკას და პირი ღია დარჩა, თვალები გაუშტერდა, აიწურა...

—აი, ამხ. ნიკა, რომ ამბობდი გმირობა მარტო ომშიაო, განა ვანოს გაბედვა, მოხერხება და თავგანწირვა ახლა გმირობა არ იყო?! —გაიღიმა მეთაურმა და ვანოს ხელი გაუწოდა.

—ვიცი... გახა არა... ისე ეეხუმრები ხოლმე, თორემ ამისთანა ჩვენს სოფელში სულ არავინაა...—დარცხვენით სთქვა ნიკამ, მაგრამ ვანოს არ გაუგონია, ის სველ ტანთსაცმელს იცვლიდა...

—ა? ვინაა ჩაჩულა?!

თ

—ამხ. მეთაურო! ბაბა მომკვდომია, და...—აღარ დაათავა ვანომ, დეპეშა გაუწოდა, თავი ჩაჰკიდა დაღონებით.

—სამწუხაროა, ამხ. ვანო... მარა, გამხნევდი... წასვლა გინდა სოფელში?.. როდის?

—როცა ნებას მომცემთ...

—კარგი. ჩვენის წესით გაქვს უფლება, და...

—იმასაც დრო უპოვია რაღა სიკვდილისა! ვერ მოიცდიდა, ვიდრე სამსახურს გავათავებდი და დავბრუნდებოდი შინ?.. მერე და ამ შუა მეცადინეობის დროს უნდა მოვსცდე რაღა სწავლას!..—ხელი ჩაიქნია.

—ჰმ!—მეთაურს ღიმილი აუთამაშდა ვანოს გულუბრყვილო თქმაზე, ანუგეშა და თან ეჭვი შეავლო, რადგან მას ახლა სავა ასეთნაირი წერილი ეჭირა რომელიღაც წითელარმიელის მხილებაზე და სამხკომთან მიჰქონდა, მარა თვითვე შერცხვა დაეჭვების, ვანოს რომ იცნობდა როგორც გულმართალს...

—თფუ!—ვის მიაფურთხა ვანომ, სოფელში რომ ჩავიდა?

—ა?

—შვილო საით? მოიცა! ცოტა ხანს ჩამოჯექი მაინც?!

ვანოს აღარ ესმის, არც უნდა გაიგოს; უკვე ოროლობეს გასცდა, სადგურისკენ მიიჩქარის მგლური ძუნძულით...

მშობლების მაგიერ თვით იწვის სირცხვილით.

—ნატა? ის მაინც ენახა!..

—არა!..

ი

—დიახ, ამხანაგებო, მტერი ცდილობს ჩვენს ჯარში იყოლიოს თავისი აგენტები და, მიუხედავათ ჩვენი სიფხიზლისა, ის ჯერ კიდევ ახერხებს ამას...—განაგრძობდა სამხედრო კომისარი, აღელვებით და ხელში წერილს ატრიალებდა.

—რა მოხდა?!

ალბად ბევრს აღმოხდა.

გაკვირვების ნიშანს დამზგავსებული პოზა.

დივიზიის ღია კლუბი ელექტროს აუვარაყებია.

—ჩვენს რიგებში აღმოჩნდა სრულიად უღირსი არმიელი, რომელმაც ჩირქი მოსცხო ჩვენს ასეულს... აი რა წერილი მივიღეთ, რომელიც ამხელს დამნაშავეს...

—ამხ. სამხკომო! წაგვიკითხეთ!...

—გთხოვთ!

—ვინაა?

—ახლავე... და სახელი კი, თუ რა ეკუთვნის ამის ჩამდენს, თქვენ დაარქვით.

—„ამ წერილის მიღებისთანავე მომწერეთ, რომ მამა, შენც მოკვდი, დედაც, დაც, ბებიაც, ერთი სიტყვით ყველანი ამოწყდით, და... რა ამას გაიგებენ ჩვენს ასეულში, მაშინვე გამანთავისუფლებენ, როგორც მარტოხელს, ჯარიდან, და...სამხკომს ჯერ არ ჰქონდა წერილი დათავებული, რომ წითელათმიელთა ტალღა შეინძრა, ერთმანეთს უყურებენ, უნდა აღმოიცნონ ვინაა მათი შემრცხვენი და, გაისმა:

—ა?!

—ნუ თუ ვანო?!

—არა, ამხანაგებო, მე პირნათელი ვარ!.. —სთქვა ვანომ და წინ წამოდგა. რომელიც ეხლახანს შემოვიდა ქაქანით და შუბლზე ოფლის მშრალებით.

—როგორ? ასე მალე?! დღესვე დაბრუნდი?! — გაუკვირდა მეთაურს.

—ამხ. მეთაურო მამაც ცოცხალი დამხვდა, დედას ხომ ფრჩხილიც არ ასტკენია და მაპატიეთ, თუ საკუთარ ძმობლებს პირში მივაფურთხე და მაშინვე მოვაშორე საყვარელ ნაწილს! — მიუგო ვანომ აღელვებით და გამოეჭიმა, სალამი მისცა.

ვანოს ამ თქმამ აღტაცება ააგორა.

—აბა, შეხედეთ ამხანაგებო, თუ თითო-ოროლა მახინჯები გვყავს, რამდენია ასეთი შეგნებული ვანოები?!

—ასეული! ათასეულები! —მიუგო მრავალმა ხმამ სამხკომს, რომელიც ვანოს გადაეხვია.

—განა აქაც კლასიურ მტრის, კულაკის ხელი არ ურევია და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგულთა?! განა მათი გაბრიყვებით არ მოსწერეს ვანოს ძმობლებმა ყალბი დეპეშა, რათა შეასუსტონ ჩვენი მზადება, ჩვენი რიგები?! ა.?!

—მაშ ვინაა?.

—ა?!

—აი რას იწერება წერილის ბოლოში ამის მამხილებელი სოფლელი კომკავშირელთაგანი, დამნაშავის მოგვარე, რომელსაც ადგილობრივ ფოსტის ამ შემთხვევაში სასურველ უთავბოლობით წერილი ხელში ჩავარდნია შეცდომით: „თუ ასეთი ულირსი წევრი გყავთ ნაწილში, საჭიროა მუწუკის დროზე მოკვეთა, რომ მთელი სხეული აო დაავადოს!“ რა დაათავა სამხკომმა, მისი გამოცდილი თვალები ისრებივით ჩაერჭო ერთ წითელ არმიელთაგანს, რომელიც კუთხეში იჯდა და ისე დაპატარავებულიყო, რომ კაკლის ნაჭუჭში ჩაეტეოდა...

—მტრის აგენტი!

—სადლაა ნამუსი?!

—შორს ჩვენი რიგებიდან!

მიაყარეს აქეთ-იქიდან ზიზღი, რა სამხკომმა გამოაცხადა:

—ნიკა!

როცა ბრაზმორეული შეკითხვები ჰკიოდა:

—ვინაა ავტორი?!

—ა?!

—მაპატიეთ! —მას სურდა ეთქვა, მარა კრინტი ვერ დასძრა. თვალწინ წამოუდგა ალექსის ლანდი, მის მიერ გაბრიყვება...

ნიკა ისე აიწურა, რომ ამ დროს მიწას პირი გაეღო, შთაენთქა, ერჩია... მან შეამჩნია, ქვეშ გამოხედვით, თუ ვანოს ვით აუვარდა თვალებში ალი.

—რას კითხულობდა ნიკა ვანოს თვალებში?

—ა?! ჩაჩულა ახლა მე ვარ, თუ შენ?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ჩიქოვანი

თეთრი ქალაქი

1. ქალაქი შეგინდებისას

მზე სურამს ეფარებოდა. ლიხზე გადაწოლილი მზე გვეალერსება, თითქოს ეხარება დაშორება. სხივები უფრო თრთიან, ვინემ ელმაშუქარები. სითბო გამოლეული სხივები ბანაკს ზაფრანის ფერში ხვევენ. ბანაკი ჟრიამულობს, სახე ალეწილი ცვალებადელები ჯგუფ-ჯგუფად დგებიან. ცივი ნიავი ქრის. ახლა მაზარებს არ ატარებენ, მაგრამ აგვისტოს ბოლოს ამ ქალაქში საკმაოდ გრილა, უკეთ ცივა ღამით.

„მკვდარი საათი" დამთავრდა. ნიშანი საერთო საყვირმა მისცა თეთრ ქალაქს. გამზირის პერსპექტივაში მოძრაობაა. ბლუზა-შარვალში გამოწყობილნი კვეთენ განიერ ქუჩებს. სპილენძის პრიალა მავთულის ხლართები ჩამავალი მზის სხივებს უკუ აფრქვევენ.

ამ დროს გამზირის თავში დგომა სახალისოა, საინტერესო და მიმზიდავი. გხიბლავს განუწყვეტელი ხედვა ბეჯითი მოძრაობისა. აო არის აქ წამი დადუმებული, უსაქმურობის. შორეულ კარვებიდან ახლოს მოდიან მაგარკუნთებიანი ცვალებადელები. გაძძლე გამომეტყველება, დაუზარელი. ნაწილი გშორდება ამ მოძრაობაში.

ზაჰესის ტალღებმა გაფანტა სიბნელე და მთელი მიდამო გორაკთა შორის აელვარდა. ციმციმით ირხევიან ნიავის ქროლვაზე მაშუქარები. სხივი გაშლილ ველზე მკრთალია, მთვარეს უახლოვდება, მაგრამ ელექტრონული ძალოვნება ანსხვავებს. ტილოს ქოხები შუქდება. წითელარმიელთა ქუდები სასიამოვნო დასანახავია, როცა ქალაქის გორაკზე დგახართ, გადაჩერებიხართ სამხედრო წესებზე დაგეგმილ ქალაქს. ტილოს კედლებიდან იჭვრიტებიან სანათურები და შორიდან ახლოს გეზიდებიან სუფთა საწოლისაკენ. ქოხი ქარში ირხევა. შუა ბოძი მაგარი მძლეოსნური ისარია; მაგრამ მაინც ქანაობს და ოთხი კუთხით ბიძგები სჭირდება.

გუგუნი ადის ბანაკის თავზე. შიგნით ცალკეული ნაწილები იღებენ მას, მაგრამ შემდეგ ერთად ისინი რეზონატორულად კავშირდებიან. მთლიანი იერიშით გადადიან მთიდან მთაზე, მწვერვალიდან მწვერვალამდე და წითელი ყაზარმის ძლიერებას აცნობენ ქვეყნიერებას.

— მორიგე მეთაური დროშასთან!

იძახის დღიური. ბანს აძლევს მეორე და მთელ ლეგიონში გადარბის ძახილი, ცვალებადელის გამოხედვაში მუყაითობაა. პატაკში სიმკვირცხლე, ჯანი და გამბედაობა. უშიშარი გულიგულს უკავშირდება, მთელი სხეული ასე მთლი-

ანადაა შეკრული, რომელსაც ვერ დააშორებს ერთმანეთიდან ვერავითარი ძალა, თუნდაც ის იყოს ყუმბარების წვიმა ან იპრიტის შხეფები და ფოზგენის ტალღები.

გამოზომილი ნაბიჯით გვიახლოვდებიან მაღალი ფიგურები, საასეულო ხაზის სწორ ქუჩაზე მთელ ბანკს, რომ უვლიან. მათ ესალმებიან. პატაკს აბარებენ. მოდიან მეთაურები, ათვალიერებენ კარვებს. სინჯავენ გრილ საწოლებს, რომ შეათვალიერონ ნაწილები და უზრუნველჰყონ წითელ არმიელთა საცხოვრებელი პირობები. შუბლზე ხელ აწეული ასეული რიხიანი სანახავია, როცა მისივე ლანდი უკან ირხევა ხმელ ბალახზე.

ლეგიონის სამხედრო კომისარს ენერგიულად ხვდებიან. შავგვრემანი კაცი მაღალი შუბლის ძვლის ძირში ათამაშებს მოშაო თვალებს და გამოცდილი ხელით სინჯავს ყოველივეს. ამხანაგი ეგძვერაძე ახალი მოსულია ამ ლეგიონში და თავიდანვე ენერგიულად შეუდგა ნაწილის შესწავლას. უფშემადგენლობის ეს თვისება მხოლოდ წითელი ჯარისათვისაა დამახასიათებელი. მეთაური მასაშია და მთელი მასის ნებაში იჭედება, ის რკინის დისციპლინა რომლითაც ასე ძლიერია მუშათა კლასის არმია. წითელი მებრძოლი შეგნებული მცველია მუშათა საქმის და კლასიურ ბრძოლაში გამობრძმედილი მიდის გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. დამკვრელი ტემპებით ღებულობს მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში... ის მშენებელია ახალი ქვეყნის.

— დაუკარ ბიჭო. დაუკა!

ეძახის ერთი აგერ ამხანაგს. მეორეს ხელში დოლი უჭირავს და მეზურნეებს უცდის. მოდის გარმონიც. ელექტრონის და ღამის ნარევ შუქზე იშლება რკალი. ჩაღდება ცეკვა. ხალისი იპყრობს გარემოს.

ეს საღამოს გართობაა თავისუფალ საათებში.

— გადმოდი, დაუარე ალასი!

იწვევს ჩოსმარიანი. თურქული სიმღერა უერთდება გარმონის ხმას და მთელი სხეულით ერთვება ალმაფრენაში მაყურებელი.

კავკაზლი იეხ აი ოლდაშლარ....
ბუდურ პიზემ ტაშტან იოლუმას,
იათაღნს ტაშტან ოლსა,
იათაღნს იაფრაღტან...

არის მებრძოლი ხმების შეერება და გამხიარებული ცვალებადელები მორიგეობით უვლიან დოვლურს. მათ რიგებში მტკიცედ იგრძნობთ შრომას და თავისუფლებას.

წითელ ჯარში სულ უფრო და უფრო მტკიცდება ინტერნაციონალური სოლიდარობა, პროლეტარულ ინტერნაციონალიზმში მიდიხართ, ნაწილებში გესმისთ: ქართული, რუსული, სომხური, თურქული, ოსური. ყველას საკუთარ ენაზე აქვს სწავლა, ლიტერატურა.

ლენკუთხე მოჭედილია ლოზუნგებით, დიაგრამებით, სარეკომენდაციო და საკონსულტაციო ცხრილებთ. წიგნები, გაზეთები, ნარდი, ჭადრაკი, დომინო. ილიჩოვკები პირველად შესავალში გვხვდებიან. ის ამეღავნებს თვითეულ ცვალებადელის აქტივობას.

— დადეგ სოცმშენებლობის მოწინავე პოზიციაზე!

ასეთია მათი დევიზი.

ყოველ ასეულს საკუთარი ბიბლიოთეკა-სამკითხველო აქვს, სადაც ტარდება სკოლის გარეშე სწავლება. აქ ახლაც სხედან წითელ არმიელები. არის კითხვა-პასუხის საღამო. გასამართლება, მოხსენება და საუბარი. მებრძოლი დგება. სიტყვას იღებს.

— ჩვენი სოფელი დღითი დღე წინ მიდის, მხოლოდ კოლმეურნეობათა განმტკიცების გზით შეიძლება მშრომელთა ინტერესების განხორციელება.

ჯდება. შეწითლებულია, თანაც გახარებული რომ თამამად სთქვა. არ შებორძიკებულა ლაპარაკში, თუმცა აქ, ბანაკში წერაკითხვის უცოდინარი მოვიდა.

— მაშასადამე, რა არის ჩვენი ამოცანები სოფლად მუშაობაში?

სვამს კითხვის ჯგუფელი. საუბარს იწვევს. თვითმოქმედების საფუძველზე იზრდება ინიციატივა. ერთი პასუხობს. მას შეეშალა. უსწორებს გვერდში მდგომი და აყალიბებს სამოქმედო პროგრამას სოფლად მუშაობაზე.

— სოფელში რო დავბრუნდები იქ ბევრი საქმე იქნება გასაკეთებელი. მე დავეხმარები კოლმეურნეობას შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებაში. განვამტკიცებ კავშირს კოლმეურნეთა შორის და დავრაზმავ მის ირგვლივ გაუერთიანებელ გლეხებს. შემოდგომის თესვის დროს უნდა გავაფართოვოთ ნათესი ფართობი. დავამზადო პური. არც ერთი ფუთი პური არ უნდა წაგვართვას კერძო ვაჭარმა.

მიხაკომ გაათავა. პოლიტხელი საუბარს აჯამებს.

— ჩვენ ახალი კოლექტივი უნდა დავაარსოთ!

ამბობს დომენტი.

— საინიციატივო ჯგუფი ჩასვლისთანავე უნდა ჩამოვაყალიბო — უმატებს სპირიდონი ნაპირიდან.

აგერ მესანგრეებია. სცილდები მათ და უერთდები ახალ ჯგუფს. დასასვენებლად წამოწოლილი ბიჭები ღიღინებენ.:

მურჯუნ უ მანკალე,
არქმ მერ ძერ ნე,
კეცე კარბირ ბანაკე...

მკერდ განიერი ასტინიანი ძალზე გაჰკივის. მედგრად უტევს „ჩაქუჩნამგლის“ ხმაზე. სომხური ასეული საკუთარ მებრძოლ ხმებს უთანხმებს ქალაქის მოწოდებას და მთელი სიძლიერით წარმოგვიდგება თვალწინ თეთრი ქალაქი ღამეში.

სომხურ სიმღერას შორიდან უერთდება ოსების ხმაშეწყობილი ჯგუფური ამოძახილები.

— ათი საათის შემდეგ ყველა იძინებს, აწი დივკლუბში წარმოდგენაც დამთავრდება და დაბრუნდებიან.

ამბობს ჩოჩიევი ლეგიონის კლუბის უფროსი. დაბალი ტანის, ქოჩორა კაცი წითელ საფარიან მაგიდას უზის და პლაკატს ხატავს. დაწყებულ საქმეზე დაჟინებული ხშირად კარავში 4 საათზე ბრუნდება. დღესაც გაბრუებულია, წუხელის აპაკოგრაფზე მუშაობდა, მრავალ ტირაჟიანი გაზეთის გამოსაშვებად.

— ხვალის გაზეთისათვის დაგვიმზადეთ მასალები! ჯაოშვილმა ფანქარი მომაწოდა. ხვალ პროექტორის სინათლეც უნდა გამოვიყენოთ კულტმუშაობაში. ზეგ კი ჩვენ კლუბში მორიგი კინო სურათია, მანამდე კი ამით ვკმაყოფილებით. გზას ვაძლევთ წითელ არმიელთა თვითშემოქმედებას.

ლეგკლუბი წითელ არმიელებითაა სავსე. გაზეთებს კითხულობენ. რადიო ლაპარაკობს და მთელი კლუბი იღიმება ისე მხიარულად, როგორც მთელი თეთრი ქალაქი ელშუქნარევ ღამეში.

2. ვ ე ლ ზ ე

ლეგკლუბის გვერდით სასულე ორკესტრი უკრავდა. გრძელ საჯდომზე ჩამწკრივებული მესაკრავენი ტუჩებ დაბერილები აწვებიან ლითონის ღეროებს, ხაზზე გამოსასვლელ სიგნალის შემდეგ. ახლად ნასაუზმევი ფრუნზელები ირგვლივ

ეხვევიან მათ. პირველი დაფ-დაფს მოჰყვება ხელებგაშლილი მძიმე ბათინკებზე შემდგარი კაცის ტრიალი, ბუქნა, ბაღდადური თუ ლეკური.

დილა მშვიდი და დადინჯებული იყო. მზემ ნელა ამოყო თავი აღმოსავლეთის სქლად აფარებულ ღრუბლებიდან. დანისლულ მიდამოებში სვეტებად ჩამოუშვა სხივები. ბანაკი განათდა. კარვები უფრო გამხიარულდა.

— დადექით!

ისმის ყოველი მხრიდან. ლეგიონი ემზადება ველზე გასასვლელად. 7 საათზე მიცემული განკარგულება 7 და 4 წამზე სრულდება. ნაწილები მზადაა სალეგიონო სვლისათვის. რაზმეულის სწავლების დამთავრების შემდეგ დღეიდან სალეგიონო შემადგენლობაში იწყება სწავლება. ათასეულები დინჯად მოძრაობენ. ქანაობს ხიშტები. როკავს ცხენის ტორები. ირხევა ცხენების ზურგზე მძიმე ტყვიამფრქვევები და მიწაც ზრიალობს არტილერიის ფეხქვეშ.

— ისმინეთ განკარგულება ჩემი. მოძრაობის წესი.....

წაბლაზე კოხტად მჯდარი ანთელავას ძახილი უვლის ლეგიონს. ცხადდება მოძრაობის წესი.

ლეგიონი დაიძრა. ახმაურდა გამზირები. ის ძლივს იტევს ჯანით სავსე ფრუნზელთა გულებს. ქალაქი მღვიძარეა და ამ ღვიძილში არის განსაკუთრებული რაღაც, რომელიც იპყრობს ყოველივეს. ეს კოლექტიური მთლიანობაა. კოლექტივის გმირობა. რაც დღევანდლობის დამახასიათებელია. ისტორიის გმირი კოლექტივია დღეს და ამაშია ოქტომბრის სიძლიერე.

ფეხოსნებმა სრული ნაბიჯი მიიღეს. ხიშტების ტყე ფარავს შორიდან ხედვას. მიდიან ტყვიაფრქვეველები. მიყვებათ საკავშირო გუნდები. ღონივრად იძვრიან გავაგანიერი ცხენები და ჭიმავენ, გაზში ამოსვრილ თოკებს. აჯაჯგუნებენ ყულაფებს და ღვედების ნიკარტებს. პირში თითქმის იკვნიტება ყბებში მოხვედრილი ლაგამი, მაგრამ მაჯის სისხო რკინა მხოლოთ იხეხება და პრიალობს. წინალები მძიმედ მიათრევენ ლაფეტზე შემჯდარ ქვემეხებს. კავალერია ფრენით უვლის თავს ფეხოსნებს და სათვალთვალო პუნქტებს იჭერენ.

ავჭალის დაბლობზე შემდგარი ჯარი ისვენებს. მოკლე შესვენებაა. მოძრაობა არ შეიძლება. დილის 8 საათზე და 30 წამზე ნაწილებმა დაიჭირა დაფარული პოზიცია. ყველა თავთავის ადგილზე დამდგარი ისმენს ბრძანებას. —

შეადგინეთ!

წამის შემდეგ ერთმანეთზე გადაჭდობილი შაშხანები განმარტოებით იდგენ. ხიშტები ერთმანეთს გადახვევიან და სიყვარულით კოცნიან „ბრძოლის“ წინ. ალბათ გამომშვიდობებისათვის. მაგარი ჯოჯგინები უმაგრებენ თავებს და ზეთში გაწმენდილები მზეზე ელავენ.

დაშლილი რაზმეულები ველზე მოეფინა. ზოგიც ფეხზეა. დაფა ზურნას უცდიან. გარმონი ჯერ აგიტწერტზეა. მოაქვთ. „აგიტპოვოსტკა“ მახლობლად დგას. ის ამდროს შლის თავის პოლიტ-სააგიტაციო მუშაობის.

ათასეულებს შორის მანძილებია. დაფარულ პოზიციაში მოთავსებულთა შორის სამხადისი წარმოებს „მტერზე“ შეტევისათვის.

— მეთაურები ჩემთან!

არის განკარგულება ლეგიონის მეთაურის. აქამდე ათასეულის თავი ხელმძღვანელობს, დღეს ლეგიონის სწავლებას. მაღალი ტანი თანაბარი სვლით უვლის ათასეულებს თავს. ჩვენს წინ პატარა გორაკია და უკან ველის სარწყავი არხი.

ბრძანება სრულდება. იკრიბებიან, ერთმართველია ახლა უფროსი. მიიღეს საბრძოლო ამოცანა. იფარგლება გეგმები. აიღეს რუქა და დასახეს საცეცხლო წერტები.

— ამოცანა ახლა საბრძოლო გეგმის მიყვანაა თვითეულ მებრძოლამდე?

ასკვნის ამხანაგი შალვა, როცა მორჩენ ლეგიონის ამოცანის გარკვევას.

— გვესმის! — იმეორებენ მეთაურები. პოლიტხელები. ბრუნდებიან აჩქარებული ნაბიჯით.

— აივაზიან, აივაზიან!

გამომწვევი ხმები რკალავს გუნდს. ხელის ჯიკავით გამოყავთ ერთი. ის ჯერ უარზეა. იცინის და პაპიროსს ღეჭავს. იბღინძება თითქოს. ეს ასეული გლეხის ეზოს წინაა დასვენებული და რადგან უშიშროებაშია, ხმაურობის არ ეშინია. ზურნა უკრავს. მხიარულობენ. აივაზიანმა იწყო თამაში.

მოშორებით მდგომი სახლის ბალკონი ივსება გლეხის ქალებით. ბავშვები, ეზოს გადმოსცილდენ. ირევიან არმიელებში. წოეს ერთი პირი ღია აქვს, აქედან უმზერენ გლეხები. იცინიან და გვიახლოვდებიან. გლეხი ესაუბრება წვევამდელს. წითელი ჯარი მუშათა კლასის პირმშო შვილია და მასასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება.

— ტაში, ტაში?

გამოდის მომდევნო.

შორი ახლო მეორე ჯგუფი იშლება. ესენი ახალციხელი თათრები არიან. ფართო სახეები ილიმებიან. ჩასკვნილი მეთაური ხელებს შლის, მხრებ გაშლილი ეუღლება მეორეს და მკვლავებ გადაჭდობილების იმართება ფერხული. ალიკულიევი უყვართ წითელ მებრძოლებს. ის ახლოსაა თავის ცვალებადელებთან და მათთან თამაშობს.

ფერხული თანდათან იზრდება. ემატებიან. ახალახალი ხალხი ებმის და განიერდება.

გამახვილებული ხმით იწყებს ერთი მათგანი.

> ბენიზე ბურდუ ჯოშტი,
> დედეხიზ ყაინადი გეშტი.
> ბაბადანი თეზ ევერ
> ვახთმზ გელტი გეშტი.

ცოტა მოშორებით ქართველთა ასეულია. იქაც გამალებული ხუმრობა. მოშაირე ტუტუნაშველი აკეთებს „ფოკუზებს“.

— ჩვენი ამოცანაა დავეხმაროთ ფეხოსან ნაწილებს, რომ დაიჭირონ ჩვენს მიერ განადგურებული „მტრის“ ცეცხლის წერტები, ბატარეიის ამოცანა არის დაანგრიოს მოგერებაში, მყოფი „მტრის“ პოზიცია, გზა გაუკაფოს ფეხოსნებს. აწარმოოს ძლიერი ცეცხლი. შეთანხმებული სროლა ტყვიამფრქვეველებთან და ფეხოსნებთან. „მტერი“ იმყოფება ჩვენს აღმოსავლეთით მეგვის მთის მიდამოებში. სიმაღლით, 299,5 მეტრზე.

უხსნის ბატარეიის მეთაური როსტომაშვილი თავის მებრძოლებს. დაბალი მოყვანილობის კაცი ხმალს ათამაშებს და მკვეთრი გამოთქმით იპყრობს მსმენელებს. საველე ქვემეხის ლაფეტაზე დაყრდნობილი ცვალებადელები ყურადღებით ისმენენ. ყურებ გამახვილებულნი უცქერიან შავ-შავსახიან ხელმძღვანელს და ამოცანის გაგების ნიშანს იძლევიან.

— ვინც ვერ გაიგო ამოცანა იმან მკითხოს ათავებს ხელმძღვანელი. იძლევიან კითხვებს. მზიდავი ცხენები დაყუდებულნი დგანან, თითქოს ისინიც გულმოდგინეთ ისმენენ ბატარეიის მოცემულობას, სწავლობენ და ემზადებიან მარჯვე გადარბენისათვის.

— მიმართულება წინამდებარე მთა. უძო. შემოვლა მარჯვნივ. შეტევა სწრაფი. გადასვლა ხიშტის კვეთზე. მტერი არის 299,5 სიმაღლეზე, განუწყვე-

ტელი ცეცხლი. შეხამება ყოველგვარი შესაძლებლობით. გამოყენება ადგილის. განუწყვეტელი მოძრაობა და სწრაფი შესრულება განკარგულების.

იძლევა ბრძანებას მეზობელი ასეულიდან. ცხენოსანი ძიება შუბლზე ფლაგ წამოცმულები მიქრიან. მიდის იქითკენ სადაც „მტერი“ ეგულება. ჭენებაში გამობწნილი ცხენები მარულაში მოდიან. ხვნეშით გადარბიან ორმოდან ორ-მოზე. გაძაბულები ეკვრიან გორაკის ძირებს. შეუმჩნევლად გარბიან. ესკადრონი მთის ერთ კუნჭულში იმალება ჯერ. მოხდენილ ადგილს იჭერს. რომ თავზე წა-მომდგარ მოწინააღმდეგეს თავზარი დასცეს. დეზორგანიზაცია შეიტანოს „მტრის“ რიგებში. მორალურად დასცეს და არევ-დარევა შეიტანოს, ამისთვის მოხდენილ მომენტს ეძებს.

— დადექით! ათასეულო სმენა! არის სასწრაფო განკარგულება მეთაურის.

— კმარა. არ იყოს ხუმრობა. „მტერი“ გვიმზერს. წოლით. ათასეულის მეთაურის განკარგულება მკვეთრად გაისმის. იაშვილი კოხტა ულვაშებში იხე-დება და სახეზე ოდნავ მრისხანება გამოკრთის ბრძოლის წინ.

— პირველი ათასეული მოწინავე ხაზზე, ნაბიჯით იარ!

მიდის პირველი წვება. იწყებს გადარბენას. ეხამება. ჩოქით მიდიან დაწი-ნაურებული მზვერავები.

ველი დახაზულია ტელეფონის ხაზებით. გადარბიან კუდ დაჭრილი ძაღ-ლები. მოაქვთ წერილები. არის ცოცხალი კავშირი.

დაიძრა მეორე ათასეული. პირველი ცეცხლის ხაზშია უკვე. იღება კორა. გაჩაღდა ირგვლივ ცეცხლი. ალაპარაკდა „მაქსიმე“, ჯერობით ისვრის „ლუისა“ და ბანს აძლევს ქვემეხები. მძიმე საველე ყუმბარები თითქოს ჰაერში სკდებიან, აჩენენ ცეცხლს და ანადგურებენ მოწინააღმდეგეს.

მიხეილ ჩიქოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო მფრინავი

ნიკოლოზ კიკვაძე

შრომის ქუხილი თავზე მტრად გესხმის
გარბიხარ ფიქრით ჭაობიანით,
გონებით საფლავს გარჯის რა გესმის
გამინებს ტემპი, შრომის უბანი!
გული უსისხლო, ჟანგით გევსება.
მუქარით მოგდევს ტემპის ყუმბარა,
მრავალი ბრძოლის გვაქვს ჩვენ თვისება:
მტკიცე მიზანი და ამოცანა.
და ამ მიზნობრივ ლოზუნგებიანს
თითო ნაბიჯი ბრძოლას გვაგონებს,
და, ვარლვევთ ზღუდეს უმე კრებისას
ნაცვლად გიგანტებს ვაგებთ, ვაშენებთ.
თქვენ კი ბრმა თვალის ხედვით უყურებთ
ჩვენი სიცოცხლის ჯანსაღ სადგურებს.
სადაც ნამდვილი ხმა გამარჯვების,
ძალთა სიმაგრეს აგულდაგულებს.
დროც აღარ ითმენს შრომა დავჭარბოთ
დაედვას დაღი მკერდს მურიანი,
ურყევი ბრძოლის ცეცხლში გავჭედოთ
ბოლშევიკური ადამიანი!
სადგურად ქონდეს ქარხნის გულმკერდი
ოფლით ნაგები მტკიცე მიწაზე.
ვით ათასეულ გულებთან ერთიც
ახალ სიცოცხლით წამოვიზარდოთ.
ან რად გჭირდებათ ფიქრი უაზრო!
ფიქრი უმზგავსო და სევდის მგვრელი,
უნდა გიყვარდეთ გარჯა უსაზღვრო
გაასკეკებულ შრომის იერით.
ან და იქნება გული გტკიოდეს
შეუთვისობით გაღვარძლებული
გვაყვედრიდე და „ბედს" უჩიოდე
შრომის ბრძოლებში დამარცხებული?
ჩვენი პასუხი მანქანებია,
დრო, საქმიანი შემოქმედების,
ურყევ ღელვებზე გადადის ნლები—
მთელი შეძლების ამოქმედებით.
ამ სიმძიმეში ჩაკვდებით კიდეც.
ვისაც არა გწამთ ჩვენი ქვეყანა,
დაე, მაშ გულში ღვარძლს ნუ დაიტევთ.
გქონდეს მიზნები და ამოცანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გარღვევებზე შრომის შეტევა
გამარჯვებების გახდეს ნიშანი.
სიძნელეების გქონდეთ დაძლევა:
წინსვლა, შრომა, და ბრძოლის მიზანი.
ამ მისწრაფებას თქვენც შეუერთდით!
დღეს საქმიანს და დღეს ბრძოლებიანს.
მავნებლის აზრით ნუ შეეხებით
პროლეტარული ბრძოლის გენიას.
მაშ ქარხნების ხმა მეხად ნუ გესხმისთ
ნუ გარბით, როგორც შუქი გამქრალი.
გარჯის წუთების გვრემად ნუ გესმისთ
ტემპში მხედრული შრომის უბანი.

[აბრეშუმის ქარხნის დამკვრელი მუშა]

სამჭედლო ცეხი

გააქვს გუგუნი სამჭედლო, ღუმელს
ცეცხლში რკინები ადუღებულა!
და მანქანების სხვა და სხვა ნაწილს
სჭედავს მჭედელი გაშმაგებულად.
და მოძრაობენ რკინის ურობზე
ოფლში ნახარში მკლავის კუნთები,
არ იფანტება დღიურ ბრძოლის დროს
ჯაჭვად გაბმული შრომის წუთები.

იცნობ შენ მხოლოდ;
—ეს დამკვრელია,
რისთვის მრავალჯერ მიიღო ჯილდო!
ხარისხისათვის იბრძვის გმირულად
შრომის ნაყოფი რომ გაადიდოს.

ის რომ ქურაზე შმაგად ტრიალებს,
გრდემლზე ნაპერწკლებს ისვრის რკინებიც,
ოფლი შრომითი გადის ბეჭებში,
მოგანგაშეთა შრომის ბანაკის.

ეს ხომ არ არის მისთვის ახალი,
რომ მოეჩვენოს შრომა სიმწარედ,
და მისი გული დიად გეგმისთვის
ღუის სიმძაფრით,

ქურის ცეცხლივით.
ძმაო, გამშვენებს გმირული შრომა
და ლურჯ ხალათზე ცაკის ნიშანი,
სდგას სადგურივით
ახლა შენს გულში—
ყოველდღიური ბრძოლის მიზანი.

სდგეხარ ქურის წინ თავ გამოდებით!
წარბს არ შეიხრი,
თუ რომ ნისლივით ნახშირის კვამლი წამოებურა,
შენც ხუთწლედელთა ჯარისკაცი ხარ,
სჭედავ ცხელ რკინებს,
გაშმაგებულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირგვლივ დაზგები მწყობრად ხმაურობს
რკინის და თუჯის ნათალ მტვრის ბულში,
კარგა ხანია აქ რომ მოისპო
ჩავარდნები და ურთიერთ ჯიბრი.

აქ რომ რკინები დუღს დიდ ქურებზე,
აქ რომ დაზგები გუთნებს ჩარხავენ
ოთხკვალიანნი
ტრაქტორს მობმული
მალე საბჭოთა ველებს ნახავენ!..

სადაც ელიან დიდი ველები
წითელ გუთნებით ამობრუნებას...
ვინ სთქვა?
—პირველად ეს არ გვჭირია,—
ვის სურს ტემპების ეს მოდუნება?!

აქ შენ გვშორდები პანიკიორო!
ეჭვიან სიტყვას ამბობ:
„ნახვამდის“,
ამ „საქმისათვის“
თვით ამ ცხოვრებამ
გამოგიგზავნა ცეცხლის ლახვარი.

[ჩამომსხმელი მუშა]

ნ ა რ ა ზ ე ნ ი

ნ. დ ა ვ ნ ა ლ ი

აი გავყურებ
სივრცეს ველოვანს,
და იზრდებიან
ჩემი ფიქრები.
ეს სივრცე ჩაის—
სამფლობელოა
— ჩაის ბუჩქების
მწყობრი რიგებით.
ჩაის კვარტალი
მისდევს კვარტალებს
და იზრდებიან
სწრაფი ტემპები:
რომ ხუთწლიანი
გეგმა დამთავრდეს
სამ წელში
მტკიცედ გადამეტებით!
ჩაის კულტურამ
უკვე განდევნა
ათასწლოვანი
გვიმრის უდაბნო
ჩაი იმარჯვებს,
ჩაი ყვავდება
და გაიმარჯვებს
ჩაი—უდავოდ.
ამას ეხლა თვით
მტერიც იჯერებს,
მტერიც ვერ იცნობს
ახლა
ნარაზენს.
სადაც გლეხებმა
ურიცხვ ჯარივით
ჩაის ბუჩქების
რიცხვი
დარაზმეს—
სად დადიანი
ნადირს დასდევდა
თავის
მეძებარ ამხანაგებით:
იქ ეხლა:
მწყობრად
რიგში
დამდგარა—
რაზმი სხოლტების
და მანქანების!
და შავდებიან
რუხი ველები,
შავდებიან და
ფართოვდებიან,
და მომუშავე
სწრაფი ხელებიც
შრომაში თითქოს
მოტორდებიან.
ძალზე დაკვრითი,
ძალზე ჩქარია
შრომის პროცესი,
შრომის ტემპები:
საბ-მეურხეთა
მთელი არმია
იბრძვის გეგმისთვის
თავგამეტებით!
სოციალისტური
შეჯიბრი და
თავგამეტება
პირველობისთვის:
აწესრიგებენ
ყამირ ნიადაგს
და შრომის გრგვინვის
რიტმი მოისმის.
ეგ სიხარული,
და ეგ მოტივიც
შრომის ტემპივით
აროის დამკვრელი:
ბრიგადებია გამოყოფალი
დაბრკოლებების
გადამლახველი!
და კოლექტივი
ოზარ-მაზარი
იზრდება ასე
ყოველდღიურად,
შრომის გუგუნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა ზანზარებს,
მიწაც იძახის
კოლექტიურად,
რომ მიღწევების
მაღალ მწვერვალებს
ყოველდღიურად
კიდევ ავიღებთ,
ისტორიაში
კვლავ ჩასწერავენ
გამარჯვებათა
ახალ თარიღებს.
ყოფილ ნარაზენს
გრძნობით ვუყურებ,
უკვე გარდაქმნილს
ჩაის ქალაქად,
და ჩემს გულშიაც
ლექსი გუგუნებს,
როგორც ხალისი,
შრომა და დაკვრა.
დგება შუადღე
გახურებული,
თითქოს ვზეიმობთ
შრომის პარადზე
და მწვერვალ თეთრი
ქედი-ენგურიც—
გვიცინის:
მე და
ახალ ნარაზენს.

ნ. დ ა ფ ნ ა რ ე ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ჯ ღ ა რ კ ა ვ ა

ლ ე ვ ი ნ ი ს ო რ დ ე ნ ი

რაჭის მთაგორიან სოფელ ნიკორწმინდაში ცხოვრობს ღარიბი ოჯახის პატრონი, დურგალი ნიკო; წვრილ-ცოლშვილის საზრდოსათვის სოფლიდან-სოფელში, ქალაქიდან ქალაქში დღიურ სამუშაოზე დადის. მისთვის დასვენება არ არის. განუსაზღვრელი შრომით ასაზრდოებს ცოლშვილს.

ხუთი ვაჟის პატრონი ნიკო მოლოდინშია, რომ მალე წამოიზრდება უფროსი ვაჟი და შეუმსუბუქებს შრომას...

შვიდი წლის ლევანი გრძნობდა მამის განსაცდელს და ოჯახის უზრუნველსაყოფად მამას რომ დახმარებოდა, მწყემსობა დაიწყო. ზაფხულობით მწყემსობიდან ლევანის შემოსავალი ხუთ-ექვს მანეთს არ აღემატებოდა, მაგრამ ნიკო ამ მცირე თანხიდანაც კი გრძნობდა ოჯახურ პირობების გაუმჯობესებას და იმედიანობდა...

პატარა ლევანს ბავშობიდანვე აინტერესებდა ხელოსნობა, მაგრამ არა დურგლის, არამედ ზეინკალის.

ხუთი წლის მწყემსობის შემდეგ მამამ თორმეტი წლის ლევანი ქუთაისში კერძო ზეინკალს მიაბარა შეგირდათ. ექვსი წლის შეგირდობაში „ხაზეინისგან“ თუმცა მრავალი ტანჯვა-წვალება გადაიტანა ლევანმა, მაგრამ ხელობა პირველობაზე დაამთავრა.

ხელობა დამთავრებული ლევანი მამის რჩევით წავიდა ჩხარში, და კერძო ზეინკალთან, ზეინკალის თანამდებობაზე დადგა, თვეში ათ მანეთად.

ლევანი თანდათან შეეზარდა მუშურ ყოფა-ცხოვრობას, ის მიიზიდა ქარხანაში ძუშაობამ და ამ მიზნით გადავიდა ტყიბულში. სათანადო გამოცდის ჩაბარების შემდეგ დაუშვეს სამუშაოზე.

ლევანის სურვილები თერთმეტი თვის მუშაობის შემდეგ, ქარხნის დახურვის გამო არ გამართლდა, და ის დარჩა უმუშევრად. ოჯახის მხიარულებაც მოდუნდა, მაგრამ შრომის მოყვარე ახალგაზრდა გულს არ იტეხდა, ისე სრული იმედით შეჰყურებდა მომავალს...

გაზაფხულის კვირა დღეა, სოფლის ეკლესიის მინდორზე ხალხი სეირნობს, ერთობიან. მინდვრის ერთ კუთხეში განცალკევებით დგანან მამაკაცები. რაღაც საუბარია, საუბრის მოყვარული ლევანი ჯგუფს მიუახლოვდა! სმენად გადაქცეულ ჯგუფს ესაუბრება კარგად ჩაცმული შუახნის კაცი. ეტყობა ქალაქიდან ჩამოსულია. სტუმარი ტფილისის ამბებშია.

რაჭველი გლეხი, როგორც მიწის მცირე მქონე, სტუმარს თბილისში სამუშაოს აღმოჩენას სთხოვს. სტუმარმა ერთი შეკითხვის საპასუხო სიტყვაში სთქვა, რომ მდინარე ხრამზე ხიდს აგებენ, და მუშა-ხელს საჭიროებსო.

ლევანს ამ სიტყვების გაგონებაზე თბილისში წასვლის სურვილები აღეძრა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ჩავიდა. ღამდება, ხალხი თანდათან იფანტება, ლევანიც ქუჩის თხრილის ნაპირას, ნელი ნაბიჯით დაფიქრებული მიდის სახლისაკენ. გზადაგზა, ჯგუფ-ჯგუფად მიმავალი ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი ხარხარით ეკითხებიან: ლევან! რამ დაგაფიქრა, რა ნელა მიდიხარ? ლევანს მათთვის საპასუხოდ არ სცალია, ის თბილისში წასვლაზე და სამუშაოს შოვნაზე ფიქრობს, მაგრამ გზის ფული არა აქვს. ამ ფიქრებში გართული ეზოს კარებს მიადგა. ეზოს კარი აჭრიალდა!

— ლევანი ხარ? მოისმა ნატას ხმა სახლიდან.

ლევანი სახლის წინ გრძელ სკამზე ჩამოჯდა, პატარა ძმები ვახშამს ელოდებიან, დედამ სადილის ნარჩენი მაგიდაზე დაალაგა.

— შვილო ლევან! შენც ივახშმე, და მოისვენე: ხვალ ორშაბათია! ხომ იცი, რაღაც ცოტა სიმინდი გვითესია, უკვე სათოხარია...

ლევანი უხმოდ ადგა და ძმებთან ერთად შეექცა ვახშამს.

— შვილო, რას ჩაფიქრებულხარ; მამაშენის ცუდი ანბავი ხომ არ გაგიგია?

— არა!

— რატომ მოგიწყენია! ავად ხომ არა ხარ?

— ისე! კარგად!

— აბა-თუ სიღარიბეზე ფიქრობ, მალე ძმებიც წამოიზრდებიან, და შენთან ერთად შეერთებული შრომის ნაყოფით გააუმჯობესებთ ცხოვრების პირობებს.

მოისმა ეზოს კარების ხმა! მურიამ მხიარული წკმუილით შეუყეფა.

— ძაღლი ეთამაშება, ვილაც ნაცნობია! ჩაილაპარაკა ლევანმა.

ნატამ სახლის კარებიდან გაშუქებულ სინათლეში მომავალ სტუმარს მიაძახა — ვინ ბრძანდებით?

— მე ვარ, მე, ნიკო!

ნიკომ მხარზე გადაკიდებულ ხურჯინში სამუშაო იარაღით სახლის დერეფანში შემოდგა ფეხი.

— ჰაა, მოხველი? ნატა და ლევანი მიეგებენ, პატარა ბავშვებიც შემოეხვივნენ მამას.

ნიკოს ოჯახის მშვიდობიანობა გაეხარდა, ლევანის უმუშევრობა კი არა.

მაგრამ წყენას არ იმჩნევდა. მთელი ზამთრის ნამოჯამაგირევი ფული ცხვირსახოცში შეხვეული — ნატას გადასცა.

ფულის დანახვაზე ლევანმა წარბების აწევით შუბლი დაინაოჭა და თვალებში ცქერით უთხრა ნიკოს.

— მამაჩემო! რადგან შენ სახლში იქნები, მე თბილისში უნდა წავიდე, თურმე მდინარე ხრამზე ხიდს აგებენ, და ჩემი ხელობაც იქ გამოდგება.

დედმამას თბილისი შორს ეჩვენათ, მაგრამ მაინც დასთანხმდენ.

დილით ლევანი გაემგზავრა. თბილისში ჩასვლისთანავე კარაპეტოვის ქარხანაში დაბინავდა. კარაპეტოვმა სხვებთან ერთად ლევანიც გაგზავნა ხრამის ხიდზე სამუშაოდ მოიჯარადრესთან.

აქ სამუშაო საათები განუსაზღვრელი იყო, მოიჯარადრე პურის ჭამისათვისაც კი არ აძლევდა დროს. ხელფასიც მცირეა, ჯამაგირის დროც არ იყო განსაზღვრული, კაპეიკობით ღებულობდენ დღიურ სახარჯოს.

ლევანი ამ აუტანელი ექსპლოტაციისაგან თავის დასაღწევად ცდილობდა ვისმესგან, რჩევა-დარიგება მიეღო, რომ შესძლებოდა მუშებთან ერთად შრომის პირობების მოწესრიგება, მაგრამ როგორც სოფლიდან ახლად მოსულს, და თბილისზედაც საკმაო მანძილზე მოშორებულს, მას მრჩეველი არსაიდან აღმოაჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისი იმედები ხიდის აგების დამთავრებამდე განუწყვეტელ მუშაობისა უნაყოფო დარჩა!

ხიდის აგების შემდეგაც რამოდენიმე სამუშაო ადგილი გამოიცვალა ლევანმა, მაგრამ ხანგრძლივად ვერსად ვერ მოიკიდა ფეხი, რადგან მას უფრო იტაცებდა დიდ ქარხანაში მუშაობა, მუშებთან დაახლოება.

საღამოა ლევანმა ჯამაგირი მიიღო; მეპურე მალაქიას ერთ კვირაში ნისიად ნახარჯი პურის ფული მიუტანა. მალაქიამ იცოდა რომ ლევანი კერძო სახელოსნოებში მუშაობდა და ჰკითხა:

— ლევან! რომელიმე დიდ ქარხანაში ვერ მოეწყვე მუდმივ სამუშაოზე?

— მინდა, მაგრამ დამხმარე არავინ მყავს!

— რკინის გზის მთავარ სახელოსნოს უფროსი პურს ჩემგან ხარჯავს, კარგ განწყობილებაშიც ვართ. მე მოგიწყობ საქმეს, თუ მაღარიჩს გადაიხდი.

— როგორ არა; ერთი თვის ჯამაგირს ვხარჯავ, თუ მაგ საქმეს მოაგვარებ!

მისცეს ხელი-ხელს.

მალაქიამ მთავარ სახელოსნოს უფროსის ჩვეულება იცოდა: თუ ვინმე მას ღვინოზე დაპატიჟებდა, სამსახური მზად იყო.

არხიპ პეტროვიჩთან აფრინეს წერილით კაცი და მიიპატიჟეს ალფეზის სარდაფში ვახშმად.

მალაქია და ლევანი ჩავიდნენ სარდაფში, შეუკვეთეს ვახშამი ღვინით. არხიპ პეტროვიჩიც მოვიდა. მალაქიამ ლევანი გააცნო მას და შეექცენ ვახშამს. ვახშამმა დილამდე გასტანა. არხიპ პეტროვიჩმა მთელი ღამის ქეიფით თავი დაიკმაყოფილა და უკანასკნელი დიდი ჭიქით ლევანს სამსახური აღუთქვა. ამით გაიჩარხა ლევანის საქმე.

ორშაბათს, დილით ლევანმა ნიმუშის ჩაუბარებლად მთავარი სახელოსნოში დაიწყო მუშაობა მექვაბეს თანამდებობაზე.

ლევანმა აქ მოწინავე მუშებში ნდობა დაიმსახურა, მაგრამ შრომის უხეშ წამგლეჯაობას, როგორც კერძო ქარხნებში და სახელოსნოებში, ისე ორთქლმავალთა ქარხანაშიც გრძნობდა. ამისათვის რომ ბრძოლა იყო საჭირო, ლევანმა იცოდა, მაგრამ ამ ბრძოლის დასაწყისი საიდან და ვისაგან შეიძლებოდა, ეს კი არ იცოდა.

ამ მიზნის განსახორციელებლად მან ზაქარია ჩოდრიშვილთან დაახლოება მოინდომა.

ქარხანაში სამუშაოდ მოსული ლევანი დილიდანვე ამჩნევს, რომ მოწინავე მუშები ორ ორი სიტყვით ჩასჩურჩულებენ ერთი-მეორეს.

დაზგები თანდათან ჩერდება, მუშები გაფაციცებით ჯგუფდებიან, ქარხნის ხმაური შეწყდა, რაღაც ამბავია! მოწოდების ხმაზე ყვირის საყვირი, ქარხნის კარებიდან გადიან მუშები, ისმის ათასების ხმები. ძიიირს თვითმპყრობელობა, ძიიირს!

— გაუმარჯოს თავისუფლებას! აფრიალდა წითელი დროშა, მას ამშვენებს კარლმარქსის სურათი.

აქ ლევანი ხარობს, მაგრამ არ იცის რაზე. თვალი მოჰკრა ზაქარიას, გზადაგზა მიმავალი მუშები გაარღვია, დაეწია, და მოახედა. ლევანი ზაქარიას ამ დღის მნიშვნელობის ახსნას სთხოვდა.

ზაქარიამ საჩქაროთ უპასუხა:

— პირველი გაფიცვაა, დანარჩენი შემდეგ... ამ დღიდან იწყება რევოლიუციონერებთან ლევანის მტკიცე კავშირი.

ზაქარიას და ორგანიზაციის დავალებით ლევანი ავრცელებდა ათასობით პროკლამაციას, გადაჰქონდა იარაღები, ბომბები, არალეგალური სტამბის ნაწილები და სხვა. დაიწყეს დაპატიმრება. ლევანი დავალებით მივიდა არა-ლეგალურ სტამბაში ფურცლების გამოსატანად. სტამბაში მას მისცეს ფურცლები, სუფთა ტანისამოსზე გაადაცვეს დაგლეჯილი ძველი ტანისამოსი, გააფრთხილეს: — ჰაა, ლევან, არ ჩავარდე?

ღამეა, სადაც კი შეამჩნევს რომ მუშებია, იქ ჩაივლის და ყრის ფურცლებს. აკრავს კედლებზე, შედის ბაღებში, ჩადის სარდაფებში. ფურცლებიც გავრცელდა, ყველა კითხულობს. ასისინდა ჟანდარმერია.

დავალების შესრულებით გულ-გალაღებული ლევანი ნელი ღიღინით მიდის ბინისაკენ. ლევანს მოულოდნელად ჩამოურბინა ვიღაც უცნობმა, და ორი სიტყვით ჩასჩურჩულა, — „შპიკი“ აგედევნა, გაფრთხილდი.

სარდაფში ღვინით გალეშილი ხალხი ირევა, ლევანი შეუმჩნევლად ჩაერია, გავიდა უკანა კარებში, დაგლეჯილი ტანისამოსი სწრაფად გაიხადა, და სანაგვეში ჩაყარა; სარდაფიდან „შპიკის“ შეუმჩნევლად ამოვიდა, მაგრამ ბინაში მისვლა ლევანს მაინც არ დასცალდა, — დილით ციხეშია! რამდენიმე ხნის შემდეგ ციხიდან გაანთავისუფლეს სოფელში გადასახლებით.

ათასობით მუშებში მუშაობას ჩვეული ლევანი სოფელში მარტოთ მუშაობას ვერ ითმენს, და აწყობს ყანების ჯგუფურ თოხნას, აღვივებს გლეხებში რევოლიუციონურ ცეცხლს, აარსებს წრეებს.

თავზიარების დღეს ეკლესიაზე მოგროვილ გლეხებს ლევანი მოუთხრობს, რომ მუშა და გლეხის მჩაგვრელთა ყველეფისაგან განთავისუფლება შეუძლია მხოლოდ პროლეტარულ რევოლიუციას და არა ზიარებას, და მღვდლების მიერ შეთხზულ ღმერთებს...

იქვე ახლოს ცაცხვის ძირს მჯდომი მღვდელი ლევანის სიტყვებს უსმენს და სწერს.

მეორე დღეს ლევანი სტრაჟნიკებს მიყავთ ონის ციხეში!

ლევანის დაპატიმრება მთელმა სოფელმა გაიგო. სწუხან გლეხები, მალე თვით გლეხების მოთხოვნილებით, ხელწერილის ქვეშ გამოყავთ ის ციხიდან.

ლევანს სოფელშიაც აუკრძალეს ცხოვრება...

ბრუნდება ისევ ტფილისში; რევოლიუციონურ მეგობრებმა საქმე გამოჩარხეს და ლევანი ისევ სახელოსნოში ძველ სამუშაოზე მოაწყვეს.

ლევანმა გაანახლა თავისი საყვარელი რევოლიუციონური მუშაობა....

ხმები გავრცელდა — მეფე ნიკოლოზი ტახტიდან გადადგაო.

ათის-თავები საამქროებში აცხადებენ: — ამწყობ საამქროში მიტინგია. ქარხნის რამოდენიმე ათასი მუშა წუთში შეგროვდა. მიტინგზე გამოაცხადეს თვითმპყრობელობის დამხობა. ტრიბუნაზე ორატორი-ორატორს სცვლის, აღფრთოვანებაა.

ლევანმაც თავისუფლად ამოისუნთქა, და მხიარულებდა. მაგრამ მისი სიხარული ბურჟუაზიული, მენშევიკური მთავრობის დაარსებით ისევ შეიკვეცა.

ლევანი ეკითხება თავის-თავს: — ამისთვის ვიბრძოდით? არა! ეს არ არის ჩვენი პროგრამა, ეს არ არის სოციალისტური წყობილება. ეს ბურჟუაზიულ წყობილებას ჰგავს... მაშ ისევ ბრძოლაა საჭირო...

ლევანმა დაიწყო ბრძოლა საბჭოებისათვის. არ ერიდება არაფერს...

სამუშაოს უგულოდ დასჩერებია, და ფიქრობს სახალხო გვარდიაში გადაისროლოს ბოლშევიკური ნაპერწკალი. დაფიქრებულს თავს წამოადგა შეიარაღებული არჩილი, რომელზედაც ეხლა ლევანი ფიქრობდა:

ლევან! რას დაფიქრებულხარ?

ეტყობა გამოგზავნილია ჩემთან, ჩაილაპარაკა ლევანმა.

— ჰო, მართლა, ეხლა შენზე ვფიქრობდი. გვარდიაში, რომ ჩაწერილხარ, და გადაგიკიდია მხარზე თოფი, იცი, ვის წინააღმდეგ იბრძვი?

— ბოლშევიკების!

— შენ იცი ვინ არიან ბოლშევიკები?

— აბა რა ვიცი!

— აი, ჩემო არჩილ, გახსოვს, იმპერილისტურ ომში რომ ჩვენთან ვასკა და ნიკო იყო, და როგორც ჩვენთვის, ის ყველასათვის უკანასკნელი საკუთარი ლუკმაც კი, არ ეშურებოდათ.

— როგორ არა! ნეტავი ეხლაც შეხვდებოდე, მათთვის თავს არ დავინანებ! ჰოო, აი ის ვასკები, და ნიკოები ბოლშევიკებია, რომლის საწინააღმდეგოდ ბრძოლას ჩაგჩიჩინებენ!

— არჩილმა მხარიდან თოფი ჩამოიგლიჯა, და დააგდო მიწაზე:—მაშინ გამიხმეს მარჯვენი, მე ჩემს ძმებს ვებრძოლო!

არჩილს დაავიწყდა, რომ ლევანთან გამოგზავნეს გვარდიაში ჩაწერის რჩევისათვის.

— არა! შენი თოფი ეხლავე რომ დააგდო, ეს არაფერ ნაყოფს არ მოიტანს, უმჯობესია, შენს ნაცნობ გვარდიელებში გაავრცელე, რომ ბოლშევიკები ჩვენი ძმებია, რომლებთანაც ლუკმაც გაგვინაწილებია, და დღესაც ჩვენ სახსნელად მოდიან. აი ეს იქნება შენგან თავისუფლებისათვის ბრძოლაში წვლილის შეტანა.

მენშევიკების აგენტებმა ლევანს გაუგეს ბოლშევიკობა და მოხსნეს სამსახურიდან; დაპატიმრება პირობით შეუცვალეს. რამდენიმე ხნის უმუშევრობის შემდეგ, სახელოსნოში კვალიფიციურ მუშა-ხელის არ ყოლის გამო, ლევანი ისევ მოითხოვეს უკან, ძველ თანამდებობაზე.

ხმები დადის, რომ საქართველო გლეხურ აჯანყებათა რკალშია! და დაიწყო მასიური დაპატიმრება. სახელოსნოში ყოველდღე მიტინგებია, მენშევიკების აგენტები იკბინებიან, არ ზოგავენ ბოლშევიკებს, თბილისის ციხეებიდან ქუთაისში გადაყავთ პატიმრები, მატარებელი-მატარებელს მისდევს დასავლეთ საქართველოსკენ.

საღამოა; ტფილისის სადგურზე ხალხი ირევა!..

— ბოლშევიკები დავამარცხეთ, და უკანასკნელი რაზმი დავატყვევეთ! გაისმა ხმა.

ეს სიტყვით დაინტერესებულმა ლევანმა გადაიხედა სადგურის უკან, დაინახა ადგილობრივ მცხოვრებთა დაპატიმრებული ჯგუფი, რომლებიც მხიარული სახით გამოიყურებოდენ, და ხმამაღლა, გაიძახოდენ:- მენშევიკებმა ორ საათში თბილისი უნდა დასტოვონ!..

თუმცა ბოლშევიკები ფოილოს უახლოვდებიან, მაგრამ ჩვენი, ჩვენი მოძმე დასავლეთ ევროპის ჯარებთან ერთად შეტევით, კავკასიონის მთების იქეთაც კი გავრეკავთ ბოლშევიკებს! ასე იმედიანობდენ მენშევიკები.

— სტყუი! ბოლშევიკები უკვე შემოდიან. ბნელი კუთხიდან შემოძახა ლევანმა. ლევანი, მენშევიკების პროვაკაციით გაჟღენთილთ ამშვიდებს, ბოლშევიკები ჩვენი ძმებია!

— რომ არ ვიცნობთ!

— თუ სხვებს არა, ნუთუ არ გაგიგონიათ მაინც ცხაკაია, მახარაძე, ელიავა, და ჩვენი სერგო ორჯონიკიძე? ესენი როგორ არა! ჩვენია, ჩვენი!

აი ის ბოლშევიკები, რომლებითაც თქვენ გაფრთხობენ მენშევიკები. მენშევიკების უკანასკნელი ხმით წკრიალებენ ილსმენები...

სადგურში თავისი ამალით შემოვიდენ ჟორდანია და რამიშვილი, და მორცხვად გაეშურენ იქვე ბნელში მდგარ საგანგებო მატარებლისკენ.

ორთქლმავალი მწუხარებით ქშინავს, თითქო არ სურს დაიძრას.

ზარის მიუცემლად უკანასკნელად დაიყვირა ორთქლმავალმა, დაემშვიდობა ტფილისს, წავიდა! ბათუმისაკენ...

ნაშოალამევზე მეტია, ლევანი ცდილობს მიტოვებულ ქალაქის დაცვას; თვალი მოკრა დიმიტრის, გაუზიარა აზრი, შემოიერთეს სხვებიც და განაიარაღეს გზა-აბნეული მილიცია.

— ლევან, ლევან! მოისმა არჩილის ხმა.

— არჩილ! შენ აქ საიდან?

— მე პირველ გასვლისთანავე რამოდენიმე ათეული შეიარაღებული გვარდიელით შეუერთდით წითლების ერთ ნაწილს და წინ მოუძღვებოდი ტფილისში შემოსასვლელად — მოხერხებული გზით:

— როგორაა საქმე?

ჩვენმა ნაწილმა შემოასწრო! გათენებისას კი ქალაქი ჩვენს ხელში იქნება: ეხლა მომყეთ მე!

არჩილმა ლევანი, დიმიტრი და მათი ამხანაგები შეუერთა წითელ ნაწილს.

უკვე დილაა, „რევკომის" ბრძანებაა: დაწესებულებებში, და წარმოებებში. ყველა თავის ადგილზე...

* * *

ლევანი საამქროში სოცშეჯიბრის პირველი ინიციატორი გახდა, დამკვრელად გამოაცხადა თავი! ლევანი სესხებზე პირველი ხელმომწერია, და დამკვრელ ბრიგადების გამომწვევი, ლევანის გამოწვევებმა საგრძნობლად გააიაფა თვითღირებულება, გააუმჯობესა ხარისხი. იბრძვის დანაკარგების წინააღმდეგ. მის მახლობლად ვერც ერთი რკინის უბრალო ნაჭერს ვერ ნახავთ. გამოუყენებლად გადაგდებულს, და ასევე მოუწოდებს სხვა დამკვრელებსაც...

მუშაობის დამთავრებისას, საყვირის შემდეგ, ტაბელთან შესდგა სახელდახელო მიტინგი. მიტინგზე უჯრედის მდივანმა კოსტიამ გამოაცხადა: დღეს თვის ოცი რიცხვია, ჩვენს საამქროში გარღვევაა, მოცემულ გეგმით გამოსაშვებ რონოდებიდან ორმოცი რონოდით ჩამოვრჩით, თვის ბოლომდე ჩამორჩენა, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა აღმოვფხვრათ; ამისათვის საჭიროა დამკვრელებმა კუნთები დასჭიმონ!

კამათში გამოსული ლევანი იმედიანად აცხადებს, რომ თვის ბოლოში გეგმას გადაჭარბებით შევასრულებთ. ლევანმა სხვა ბრიგადებიც აიყვანა ბუქსირზე, მას მიყვა სხვები...

დამკვრელი ბრიგადები უჩვეულო ტემპით მუშაობენ. ლევანი ხშირად გადასძახებს დამკვრელებს; დასცხეთ დაჭკარით, რღვევა აღმოვფხვრათ!

ოცდა-ათი რიცხვია დილით სამუშაოზე გამოსული ლევანი სამუშაოზე გასასვლელ საყვირამდე, საამქროში გამოკრულ ყოველდღიური საკონტროლო ციფრების აღსანიშნავ დაფაზე წარწერილ ციფრებს კითხულობს.

— ჰაა, გეგმა ორი ვაგონით გადავაჭარბეთ?

წამსვე მიირბინა და ტაბელთან მომავალ დამკვრელებს მიაძახა: — ამხანაგებო! გეგმა ორი ვაგონით გუშინ გადაგვიჭარბებია, დღევანდელიც რომ მიემატება?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხიარულებაა! ლევანი ბრიგადისათვის ამზადებს მასალის ნაწილებს, და ზომავს, რომ გამოუყენებლად ნაჭერი რკინა არ დარჩეს...

— ერთა

ნიზაცია, რომ ლევანი მისი წევრი არ იყოს, ის თითქმის ყველა ორგანიზაციაშია არჩეული, საბჭოს აქტიური წევრიცაა.

დღეს თუმცა ხნიერი კაცია ლევანი, მაგრამ წარმოების გაუმჯობესებისათვის იბრძვის. შვილების ბოლშევიკურად აღზრდისათვის არ შურს ძალ-ღონის დახარჯვა. მისი ქალ-ვაჟნი მარია და სამუილი კომკავშირის აქტიური წევრებია, ქეთო კი პიონერი.

ლევანს რევოლიუციონური ბრძოლის, და სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის შეფასების საკითხი კომუჯრედის დღის წესრიგში დაისვა.

კომუჯრედმა „ლენინის ორდენით" დაჯილდოების შუამდგომლობა აღძრა; უჯრედის შუამდგომლობა საქართველოს პროფსაბჭომ დააკმაყოფილა, ლევანის, „ლენინის ორდენით" დაჯილდოებით.

ლევანი პირველ დამკვრელობისათვის, წარმოებაში შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, ყველა ორგანიზაციებში, და კამპანიებში აქტივობისათვის, ქარხნის პარტ-პროფორგანიზაციებმა და საწარმოო თათბირმა შეიტანეს წითელ დაფაზე, და სამჯერ პირველობით დააჯილდოვეს!

[დამკვრელი მუშა]

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და მეთოდოლოგია

ბოლშევიზმის დიადი ხელოვნების ჰეგემონიის გზებზე

[პროლეტარულ მწერლების ასოციაციათა საკავშირო გაერთიანების მეოთხე პლენუმის შედეგები]

ვოაპპ-ის მორიგ პლენუმზე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს შეიკრიბენ, საბჭოთა კავშირის 43 ნაციონალურ რაზმების წარმომადგენელნი. პლენუმი გამოდგა არაჩვეულებრივად შინაარსიანი, ჭეშმარიტად სრულიად საკავშირო და ბოლშევიკურად მებრძოლი. პლენუმის მიერ მოცემული მდიდარი მასალა მოითხოვს ზუსტად დამუშავებას, განზოგადოებას, შესწავლას და პროლეტარულ მწერლების მკითხველთა ფართო მასებამდე დაყვანას.

ვოაპპ-ის პლენუმმა დაადასტურა ვოაპპ-ის ლიტერატურულ-პოლიტიკურ ხაზის სისწორე; ხაზი გაუსვა და კონკრეტულად დაამტკიცა, რომ ვოაპპ-ი უკვე ანხორციელებს ხელმძღვანელ ლიტერატურულ-პოლიტიკურ როლს საბჭოთა ლიტერატურის მიმართ.

პროლეტარულ ლიტერატურის ორგანიული კავშირი კულტურულ რევოლიუციის საერთო მსვლელობასთან გამოაშკარავდა უკანასკნელ პლენუმის მუშაობაში. პროლეტარულ მწერლებმა მთელი თავისი ყურადღება მიაპყრეს იმ კლასიურ ბძოლას, რომელიც სწარმოებს იდეოლოგიურ ფრონტზე.

კონტრევოლიუციონურ კლასების იდეოლოგიური აგენტები იჩენენ ყოველმხრივ აქტივობას. თუ როგორ გადადიან ისინი სიტყვიდან საქმეზე, ამის მაჩვენებელია მწერლების მონაწილეობა სვუ-ში („უკრაინის განთავისუფლების კავშირი", ბელორუსიის „ნაცდემოვშჩინაში", და „ჯილ-ჯალამ"-ში უზბეკისტანში, „ჯიგიდიან"-ში თათარისტანში და ბაშკირიაში და სხვ.). აი თვალსაჩინო მაგალითები რეაქციონური მწერლების პირდაპირი და აქტიური მონაწილეობისა კონტრევოლიუციონურ ორგანიზაციებში. მაგრამ შემცდარი იქნებოდა რეაქციონური ფრონტის მთელი მოღვაწეობის განსაზღვრა მხოლოდ იდეოლოგიური მავნებლობის ასეთი აშკარა და ფარულ ფორმებით.

აქ ჩვენ ვხედავთ კლასიურ მტრების მოქნილობას, მათ მისწრაფებას ბრძოლის „ლეგალურ" მეთოდების გამოყენებისაკენ. მაგალითისათვის: ამიერ-კავკასიაში არ იყო ისეთი ფარული კონტრევოლიუციონური მწერალთა ორგანიზაცია, როგორიცაა „ჯილ-ჯალამი", რომლის წარმომადგენელთ ეჭირათ იდეოლოგიურ ფრონტზე ხელმძღვანელი ადგილები, აწყობდენ სკოლებში ფარულ წრეებს „თურქესტანის განთავისუფლება" და სხვ.; დაუშვათ, რომ მწერლები არ იღე-

ბდენ მონაწილეობას ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა ს.ვ.უ., მაგრამ ეს ნიშანავს, რომ რეაქციონერი ქართველი, სომეხი, თურქი მწერლები არ აწარმოებდენ და ეხლაც არ აწარმოებენ მუშაობას საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის „განთავისუფლებისათვის?“ (რევოლიუციისაგან?).

შინაური ემიგრაცია, განსაკუთრებით მძლავრი ქართულ ლიტერატურაში, იყენებს ყოველგვარ მისაწდომ საშუალებებს თავის კლასიურ მტრულ მიზნებისათვის. რეაქციონერები მთელ საბჭოთა კავშირში ტყუილად კი არ ღაღადებდენ „მარად წმინდა ხელოვნებაზე“. ეს ლოზუნგი — არის ლოზუნგი კონკრეტიული ბრძოლისა რევოლიუციონურ სინამდვილესთან. თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ შეტევებს ლიტერატურულ ფრონტზე ყიდევ აქვს ადგილი. კლასიური მტრის ლიტერატურა მოქმედებს და ცდილობს თავის პოზიციებზე გამაგრებას.

ვოაპ-ის პლენუმმა სრულიად სამართლიანად მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება კლასიურ ბრძოლის ყოველგვარ გამოხატულებას იდეოლოგიურ-ლიტერატურულ ფრონტზე. თუ ჩვენ უკანასკნელ წლებში ვაწარმოებდით სასტიკ და წარმატებით ბრძოლებს ბურჟუაზიული ლიტერატურის წინააღმდეგ, გამოვამჟღავნეთ და გავანადგურეთ „ნაცდემოვჩინა“, შეუტიეთ „პილნიაკოვშჩინას“, აშკარა ცილისმწამებელ გამოსვლებს საბჭოების წინააღმდეგ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ დავამთავრეთ ბრძოლა. მტერი ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული სავსებით. შეურიგებელი და შეუდრეკელი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის. ჩვენ მიერ წარმოებული ბრძოლა ჯერ კიდევ არ არის საკმაო. აშკარა ბურჟუაზიულ-კულაკურ გამოსვლებს ვერ ვხვდებით ყველგან და ყოველთვის დროული და საჭირო წინააღმდეგობით. საჭიროა ბოლშევიკური სიფხიზლის გაძლიერება.

ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პლენუმის მუშაობაში იყო სავსებით და ყოველმხრივ გაშუქებული, არის ნაციონალური საკითხი. ამხ. ავერბახის მოხსენებამ მთელი პლენუმის ყურადღება გაამახვილა ნაციონალურ საკითხზე და ბრძოლაზე დიდმპყრობელური შოვინიზმის, როგორც უმთავრეს საშიშროების და აგრეთვე ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ. პარტიის ნაციონალური პოლიტიკა სამუდამოდ უსპობს ნიადაგს პროლეტარიატის კლასიურ მტრებს. ნაციონალური ფორმით, სოციალისტური შინაარსით, კულტურა მძლავრად ვითარდება საბჭოთა ქვეყნის ყველა რესპუბლიკებში. ეს, რასაკვირველია, არ ეგუება დიდმპყრობელურ შოვინისტების ბუხებას.

დიდმპყრობელური შოვინიზმი გამოდის სხვადასხვა ნიღაბ ქვეშ, მაგრამ კლასიური მტრის ხაზი ყველგან ერთია. არიან უკიდურესი „მემარცხენე“ დიდმპყრობელნი ეაგანიანის ტიპისა, რომელნიც გამოდიან „ინტერნაციონალიზმის“ ნიღაბ ქვეშ. ამ „მემარცხენე“ მყვირალთა ნაციონალური ნიგილიზმი გამოხატავს ჩვეულებრივ პირწავარდნილ და აშკარა დიდმპყრობელურ შოვინიზმს. გარდა მე„მარცხენე მოინტერნაციონალისტებისა“ დიდპყრობელურ შოვინიზმს ჰყავს თავისი „მკვლევარნი მეცნიერები“, „პროფესორები“, რომელნიც ღაღადებენ რასიულ თეორიას.

ლეკეთში ვინმე ზნამუნსკი თავის შრომაში პედოლოგიაზე „ამტკიცებს“, რომ ლეკის ბავშვები დაბადებიდანვე მოკლებული არიან კულტურის შეთვისების უნარს. თურქენისტანში ვინმე „პროფესორი“ ამტკიცებდა რომ თურქმენთა ახალგაზრდობა ბუნებრივად მოკლებულია სმენას და ხელოვნების შეგრძნობის უნარს. „საშინლად განსწავლული“ პროფ. ევლახოვი ბაქოში ხმამაღლა აცხადებდა, რომ თიურქები ვერ შესძლებენ თავის რიგებიდან მეცნიერების და პროფესორების მომზადებას. ეს ველური ბოდვა ბნელეთის მოციქულ მწიგნო-

ბართა ამ ცოტა ხანში გაძვრა კიდეც წიგნებში, რომელნიც გამოუშვა ჩვენმა გამომცემლობებმა და გაისმოდა ზოგიერთ საბჭოთა სამოსწავლო დაწესებულებებში; დიდმპყრობელურ შოვინიზმის მრავალსახიანობა მოითხოვს განსაკუთრებულ სიფხიზლეს და წინდახედულებას და შეუპოვარ ბრძოლას ორ ფრონტზე.

თუ გამოვალთ იმ დებულებიდან, რომელიც ამბ. სტალინმა ყოველმხრივ და სავსებით განმარტა პარტიის მე-16 ყრილობაზე, რომ დიმპდყრობელური შოვინიზმი წარმოადგენს უმთავრეს საშიშროებას, ჩვენ სრულებით არ უნდა შევასუსტოთ ადგილობრივ შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ვინაიდან ლიდმპყრობელური და ადგილობრივი შოვინიზმიც წარმოადგენეს ერთსა და იმავე კლასიურ მტრის სხვადასხვა იარაღს. უნდა გაუწიოთ ანგარიში ადგილობრივ შოვინიზმის ყოველგვარ სახეს და გამოხატულებას, როგორც აშკარა გამომჟღავნებულს, ისე „რბილ“ შემპარავს. თუ მხეცური შოვინიზმით გაჟღენთილნი ქართველი ფაშისტები დაჟინებით ლუღლუღებენ, „რომ რუსის ხალხი ვერასოდეს ვერ მიაღწევს უმაღლეს ცივილიზაციას, რომ რუსები კუჭის იქით არ მიდიან“, თუ თათრის „ემიგრანტშჩინა“, პანთიურქულ აგონიაში მყოფი, მოითხოვს „მთელ ვოლგას, მთელ ურალს და მთელ ციმბირს“, მაშინ შინაური შოვინისტები ნაციონალდემოკრატიზმის დროშის ქვეშ „მშვიდათ“ ქადაგებენ ნაციონალურ მთლიანობას; ისვრიან ლოზუნგებს: „იქით მოსკოვიდან, იძლევი ევროპას“ (ყოფილი „ხვილიევიზმი“), მწყრალად ღუღლუღებენ მოსკოვის „ბატონობის“ წინააღმდეგ და სხვ.

ნაციონალურ ფორმის პრობლემა ხანდისხან როგორ უმზგავსო სახეს იღებს? სამი წლის წინად ქალაქ ტფილისის აღმასკომის „ბრძენებმა“ ააგეს თბილისში მუშათა სახლების სახელით თამარ მეფის ბნელი სასახლეები. ტფილისის ოპერის სცენაზე სულ ახლოხანში ნაციონალურ მუსიკის აღორძინების სახით. დამჟავებულ.მეშჩანების, შოვინისტურ „კულტურულ“ ინტელიგენციის მქუხარე ტაშის ცემით დაჯილდოებულნი „დაბრძანდებოდენ“ ქართველი მეფეები. ქართველი რეაქციონურ მწერლის გერონტი ქიქოძის ფეოდალური რომანტიკა. რომელიც ადიდებს „ჯვარის“ მონასტერს, როგორც „ქართველი ერის სახელმწიფოებრივ ძლევამოსილების“ გამომხატველს და მედიდურად გაყურებს ზაჰესს, ეხლაც პოულობს დამცველს და მხარის დამჭერს ქვართველ მწერალთა ერთ ნაწილში. არა ნაკლებად აშკარაა ზოგიერთ მწერალთა წრეების ორიენტაცია ბურჟუაზიულ დასავლეთის კულტურაზე. მეტად დამახასიათებელია უკრაინელ კულაკურ მწერლის ივანე სენჩენკოს ოცნება ზღვაზე, ბურჟუაზიულ კულტურაზე. სენჩენკო კლასიურ მტრის პირით ამბობს: „ჩვენ, უკრაინის ერს, გვაქვს ზღვები, მაგრამ არა გვაქვს, გასავალი გზა ამ ზღვებისაკენ, და რომ ჩვენი პირდაპირი გზა მიდის ამ ზღვებით იმ კულტურისაკენ, რომელიც ჩვენ გვიზიდავს“ და სხვა...

ეს სევდა სენჩენკოსი საერთოა ბელორუსელ, ქართველ, სომეხ, თურქ რეაქციონერ მწერალთათვის, ადგილობრივი შოვინიზმი სცდილობს აიფაროს „რევოლიუციონური“ ნიღაბი. მენშევიკების ყოფილი ბელადი სეით დევდარიანი ნაციონალისტური მიზნობრივი დებულებით ამტკიცებდა და ამტკიცებს მთელი ქართველი ერის რევოლიუციონერობას, თითქოს მასში თავიდანვე არსებობდა „მუშური იდეოლოგია“ და განსაკუთრებული ინტერნაციონალიზმი. უკრაინაში ხვილიევიზმი ტყუილად კი არ ცდილობდა პროლეტარული ელფერის მიღებას. არც ისაა შემთხვევითი მოვლენა, რომ კონტრრევოლიუციონური „კზილ-კალიმი“ პროლეტარულ სახელწოდებით „წითელი კალმით“ ინიღბებოდა. „თავისებურება“, მესიანიზმი უკრაინის, ბელორუსიის, სომხის, თიურქის და ქართველ და სხვა შოვინიზმის ქურუმთა ერყრდნობა ერთდაიმავე კლასიურ მიზნებს.

ვოაპპ-ის პლენუმმა კონკრეტული მაგალითებით და ფაქტებით ხაზი გაუსვა, თუ როგორ დიდმპყრობელური შოვინიზმი სულ ხშირად მჭიდროდ უკავშირდება ადგილობრივ შოვინიზმს, თუ როგორ გამოდიან ისინი ხშირად შეთანხმებულად და მეგობრულად. ისინი უმიზნებენ ერთ და იმავე კლასიურ მიზანს. ეს ყოველთვის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში.

ვოაპპ-ის პლენუმმა, რომელსაც სამართლიანად დაერქვა ბოლშევიკურ შეტევის პლენუმი, ხაზი გაუსვა იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობას. საჭიროა აეხადოს ყოველგვარი ნიღაბი კლასიურ მტრების იდეოლოგიურ ყველა აგენტებს. ვოაპპ-ის პლენუმმა კატეგორიულად აღნიშნა, რომ ბრძოლა თანამგზავრისათვის სრულებით არ არის მოხსნილი, პირიქით, ის გადადის უმაღლეს საფეხურზე. თანამგზავრობიდან მოკავშირეობა — ასეთია საბჭოთა მწერლის წინაშე დასმული ამოცანა. ვოაპპ-ის ამოცანაა დაეხმაროს მწერლობის იმ ფენებს, რომელნიც უნდა გახდნენ, შეუძლიათ გახდნენ და რომელნიც კიდევაც გახდნენ მოკავშირენი. ეს დახმარება პირველ ყოვლისა გამოიხატება შეურიგებელ კრიტიკაში და ბრძოლაში თანამგზავრულ ლიტერატურის ყოველგვარ შეცდომების, მერყეობის და რეაქციონურ ტენდენციების წინააღმდეგ. ჩვენ უნდა გაუწიოთ ანგარიში იმის, რომ ნაციონალისტები იბრძვიან ყოველი მწერლისთვის, ყოველი თანამგზავრისათვის და თან ცდილობენ ლიტერატურის რეაქციონური მთლიანობის დაცვას. ჩვენი ამოცანაა დავამარცხოთ, დავშალოთ ეს გეგმები და მისწრაფებანი ბურჟუაზიულ ლიტერატურისა.

საჭიროა გავაძლიეროთ ყურადღება პროლეტარულ-საკოლმეურნეო ლიტერატურის საკითხებისადმი, რაც აქამდე ნაკლებად ხდებოდა. ზოგიერთ რესპუბლიკებში კი ვოაპპ-ის ორგანიზაციები სრულებით არ აქცევდენ ამას ყურადღებას. ვოაპპ-ის მეორე პლენუმმა თავისი მუშაობა დაიწყო შემოქმედების საკითხებიდან, ეს დამახასიათებელია. მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარულ ლიტერატურის დიდი შემოქმედებითი მიღწევები უდავოა. გაფართოვდა თემების წრე, გაძლიერდა მათი აქტუალობა. აიწია იდეური და მხატვრული დონე. რასაკვირველია, იქნებოდა ყოყოჩობა, რომ ვილაპარაკოთ ჰეგემონიის მიღწევაზე. შემოქმედებითი ჰეგემონია ჯერ არ არის, ის ჩვენ ჯერ უნდა შევიძინოთ შეუდრეკელი და სერიოზული მუშაობით. გამარჯვებისაგან თავბრუდახვევა მაენებელია და მეტიც. თუ უკუვაგდებთ ყოველივე ყოყოჩობას და გადაჭარბებას, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ვოაპპ-ის შემოქმედების ხვედრითი წონა შესამჩნევად გაიზარდა. დაგროვდა დიდი შემოქმედებითი გამოცდილება, რომელიც მოითხოვს სათანადო შეფასებას.

ვოაპპ-ში წარმოებული შემოქმედებითი დისკუსია — არის პროლეტარულ ლიტერატურის ზრდის მაჩვენებელი. ვოაპპ-ის პლენუმმა ჯამი გაუკეთა შემოქმედებითი დისკუსიას, მოგვცა ანალიზი და შეფასება იმ ლიტერატურულ-პოლიტიკურ და შემოქმედებითი ბრძოლების, რომელიც სწარმობდა რაპპ-ში და ვოაპპ-ის ყველა დანარჩენ ორგანიზაციებში.

პლენუმმა დაადასტურა ვოაპპ-ის და რაპპ-ის, როგორც ლიტერატურულ-პოლიტიკური, ისე შემოქმედებითი თეორიული ხაზის სისწორე. შეცდომები, რომელნიც იყო დაშვებული პროლეტარულ ლიტერატურის ჩამოყალიბების მძიმე გზაზე, გამოსწორებულ იქნა, თუმცა არა საკმაო თანმიმდევნობით. პროლეტარულ ლიტერატურის მოძრაობის ცალკე მომუშავეებმა, შეიგნეს მათ მიერ დაშვებული შეცდომები და ბოლშევიკურ თვითკრიტიკის საშუალებით დასძლიეს ისინი.

ვ ო ა პ პ-ის პლენუმმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი ამ შეცდომებზე სწავლის, მათი სრული დაძლევის აუცილებლობა — რ ა პ პ-ის და ვ ო ა პ პ-ის ხელმძღვანელობა სწორ ლიტერატურულ-პოლიტიკურ ხაზთან ერთან უშვებდა ცალკე შემთხვევაში ლიტერატურულ-პოლიტიკურ შეცდომებს. ზოგიერთ ამხანაგებმა შემოქმედებითი ასპარეზზე მუშაობის დროს დაუშვეს ისეთი შეცდომები, რომელნიც გამოხატავენ ვორონშჩინის გავლენას. ეს შეცდომები, არსებითად მემარჯვენე ხასიათისა — უნდა გავხადოთ საჩვენებელ მაგალითად მთელი პროლეტლიტერატურულ მოძრაობისათვის და გაბედულად ბოლშევიკურად გამოვასწოროთ ისინი.

ვ ო ა პ პ-ის ყველა ორგანიზაციების გადახალისებას ორგანიულ საფუძვლად უნდა დაედვას გაღრმავებული თვითკრიტიკა.

პლენუმმა ხაზი გაუსვა „ლიტფრონტის" იდეურად განადგურებულ გაკვეთილებზე სწავლების საჭიროებას, იმ ლიტფრონტის, რომელიც მიდის ხელოვნების ლიკვიდაციისაკენ, ლიტერატურის ღრმა კლასიურად მომქმედ ძალის შესუსტებისაკენ, სქემატიზმისაკენ და სხვ. მემარჯვენე-„მემარცხენე" ლიტფრონტმა, რომელიც გამოხატავს ყველა მოკავშირე რესპუბლიკებში წვრილ-ბურჟუაზიულ გავლენას პროლეტარულ ლიტერატურაზე, მოიპოვა გამოძახილი შესაფერ წრეებში. უკრაინაში „ლიტოფრონტი" ხმას აძლევდა „პროლიტფრონტს", ორგანიზაციას არსებითად წვრილბურჟუაზიულს, თუმცა მოწინაღმდეგე ელემენტებისაგან შემდგარს (შესამჩნევი ნაწილი პროლეტარული და ჭეშმარიტად მოკავშირე მწერლებისა ჟგუფიდან ამჟამად შევიდა სრულიად უკრაინის პროლეტარულ მწერალთა კავშირის რიგებში). ამიერკავკასიაში „ლიტფრონტი" მოქმედებდა სირცოვლომინაძის მემარჯვენე-მემარცხენე ბლოკთან შეთანხმებით და ეყრდნობოდა მემარჯვენე ელემენტებს („მემარცხენე" ფრაზეოლოგიით) — ტატულოვჩინას და მით აბამდა კავშირს ნაციონალისტურ ელემენტებთან.

პლენუმმა მწვავედ დასვა საკითხი ვ ო ა პ პ-ის მუშაობის ყველა რგოლებში ორ ფრონტზე ბრძოლის შესახებ. უფრო გაღრმავებულად და შეურიგებლად უნდა სწარმოებდეს ბრძოლა ვორონშჩინის, პერევერზევშჩინის გავლენის წინააღმდეგ, მემარჯვენე ოპორტიუნიზმის ყველა სხვადასხვაობის წინააღმდეგ.

პლენუმმა მოგვცა გაფრთხილება ლიტფრონტოვშჩინის რეციდივების საშიშროების შესახებ. ეს დადასტურდა თუნდაც უფერულ, მაგრამ დამახასიათებელ ოპორტიუნისტულ გამოსვლით პლენუმზე „ლიტფრონტელ" როჟკოვის, რომლის წიგნზე უკანასკნელ დროს სწერდა „პრავდა". მიიღო რა მხედველობაში ლიტფრონტელ „სულისკვეთების არსებობა და „ლიტფრონტელ" სქემის განადგურების გამოცდილება, ვ ო ა პ პ-ის პლენუმმა შემოქმედებითი დისკუსია გადაიყვანა უმაღლეს საფეხურზე. პირველი ხანის დისკუსიას ჰქონდა მრავალი სერიოზული ნაკლოვანებანი. მასზე ძლიერი გავლენა იქონიეს კარჩაკეტილობამ და რამოდენიმე ნაწარმოებით შემოფარგვლამ. ის ხშირად იღებდა მახინჯ, ფრაქციულ ფორმებს (ამიერ-კავკასია, რ ა პ პ-ი — „ლიტფრონტი"), ზოგ რესპუბლიკებში ტარდებოდა სუსტად (ბელორუსია) და სხვ. შემოქმედებითი დისკუსია ჯერ კიდევ არ წარმოადგენს პროლეტარული ლიტერატურის შემოქმედებითი გადასიჯვას; საჭიროკი არის ამის მჭიდროთ დაკავშირება. საჭიროა დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდის კონკრეტიზაციასთან ერთად ყოველმხრივ ხელი შეეწყოს შემოქმედებითი დაჯგუფების ჩასახვას და აღორძინებას. პროლეტლიტერატურულ მოძრაობის ძლიერება გამოიხატება სხვათა შორის შემოქმედებითი დაჯგუფების სიმრავლეშიც. ეს ჩვენ ჯერ არა გვაქვს და ამას უნდა მივაღწიოთ. უნდა გავშა-

ლოთ შემოქმედებითი დისკუსია კონკრეტულ ნაციონალურ მასალის ნიადაგზე (რაც აქამდე მოისუსტებს) და ვოაპპ-ის მთელ შემოქმედებით გამოცდილებას მივცეთ ზოგადი ხასიათი. ვოაპპ-ის მეორე პლენუმმა მოახდინა პირველი ცდა მთელი ვოაპპ-ის შემოქმედებითი გამოცდილების განზოგადოებისა. საჭიროა ამ გამოცდილების გაღრმავება, გაშლა და გაგრძელება.

ვოაპპ-ის თეორეტიული აზრი უნდა გადავიდეს უმაღლეს საფეხურზე; ამაზე არა ერთხელ იყო მითითებული პლენუმზე, ამას გასვეა ხაზი პლენუმზე გამოსვლის დროს ამხ. ბუბნოვმაც.

პროლეტარულ ლიტერატურულ მოძრაობაში ჩვენ ვხედავთ თეორიის პრაქტიკიდან დაშორებას. შემდგომი თეორიული, ფილოსოფიურად გაღრმავებული, სინტეტიურ ხასიათის მუშაობა, ლიტერატურის მცოდნეობის მუშაობა უნდა გახდეს ლიტერატურის მცოდნეობის ლენინურ ხანად. ამხ. ავერბახმა სწორად აღნიშნა შეცდომა „პლეხანოვისებურ ორტოდოქსიის“ ლოზუნგისა. პოლიტიკურ-მენშევიკური არსი პლეხანოვისა გახდა საფუძველი მისი ლიტერატურულ ესთეტიურ პრინციპებისა. ლენინიზმზე დაყრდნობით ვოაპპ-ის თეორეტიკოსები ვალდებულნი არიან გაუკეთონ ღრმა ანალიზი და რევიზია პლეხანოვის შეხედულებებს, უნდა მოახდინონ ზუსტი კრიტიკული გადარჩევა ყოველივე იმისა, რაც აქვს პლეხანოვს ღირებული. ეს დიდი ხანია საჭირო იყო გაგვეკეთებია.

ვოაპპ-ის პლენუმმა აღნიშნა მუშა-დამკვრელების ლიტერატურაში გაწვევის დიდი მნიშვნელობა და ამავე დროს ხაზი გაუსვა ყველა ნაკლოვანებებს, რომელიც იყო დაკავშირებული ამ გაწვევასთან. უმთავრესი მათგანია — არა დამაკმაყოფილებელი და არა საკმაო კონკრეტულა მუშაობა გაწვეულებთან. პროლეტარულ ლიტერატურის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუშა-დამკვრელების ლიტერატურაში ორგანიულ ჩაბმას—მიუხედავად გაშლილი გადახალისების დაწყებისა, მიუხედავად დიდი შემოქმედებითი მიღწევებისა, პროლეტარული ლიტერატურა ჩამორჩენილია. ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის საჭიროა ვოაპპ-ის კადრების მთელი ენერგიის მობილიზაცია. უპირველეს ყოვლისა საჭიროა სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკაში მჭიდროდ ჩაბმა. არა ლიტერატურჩინა, არამედ კონკრეტული პირობები სოციალისტური აღმშენებლობისა — აი საქმე და ადგილი პროლეტარულ მწერლისა.

ვოაპპ, როგორც იდეურად აღმზრდელი ორგანიზაცია, ყოველმხრივ სათავეში უნდა ჩაუდგეს მთელი ორგანიზაციის გადახალისებას, და კონკრეტულად დაეხმარეს ყოველ წევრს შემოქმედებით გადახალისების საქმეში. საჭიროა საორგანიზაციო მუშაობის ხელახლად და მოქნილად მოწყობა. ყველაზედ მავნებელია პარტიულ ორგანიზაციების მეთოდების პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციაში მექანიკურად გადატანა; საჭიროა კარგად შეთვისება იმისა, რომ ვოაპპ-ი არის ორგანიზაცია იდეურად აღმზრდელი.

ახალი, დიდი, სერიოზული ამოცანები მოითხოვენ პროლეტარულ ლიტერატურის ყველა ძალების მჭიდროდ შეკავშირებას. ვოაპპ-ის მეორე პლენუმის მონაწილეთა ერთსულოვანი, მებრძოლი, პრინციპიალური სოლიდარობა არის თავდები დიდი მიღწევებისა კონსოლიდაციის საქმეში. პლენუმზე მოხდა კონსოლიდაცია პროლეტლიტერატურულ ძალებისა — უკრაინის — ვუსპპ-სა და „მოლოდნიაკ“-ის (ვოაპპ-ის ორგანიზაცია ნაპოსტოვური ხაზით). ამ კონსოლიდაციას აქვს თავისთავად დიდი მნიშვნელობა და უაღრესად დროულია, ვინაიდან ვუსპპ-ისთვის, როგორც პროლეტარულ ლიტერატურის ხელმძღვანელისთვის, საჭიროა ყველა ძალის შეკავშირება.

ვუსპპ-ი „პროლიტფრონტთან“ ბრძოლაში გამოვიდა გამარჯვებული. „პროლიტფრონტი“ დაიშალა და ყველაზედ მოწინავე ნაწილი იმისა შევიდა ვუსპპ-ში. ვუსპპ-ის ამოცანებია — პოზიციების გამაგრება, გაგრძელება ბრძოლისა ლიტერატურაში მოწინააღმდეგე ძალების წინააღმდეგ, გადამზადება თავის რიგებში იმ ელემენტებისა, რომელნიც იდეოლოგიურად საკვლევით არ ჩამოყალიბებულან.

თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით, წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის პროლეტარულ მწერლობის ზოგიერთ წრეებზედ გავლენის აღმოფხვრით, გადამზადების და შეუპოვარ კრიტიკის წარმოებით შინაურ თანამგზავრობის შეცდომების წინააღმდეგ, პრინციპიალურ ნიადაგზე კონსოლიდაციის გადატარებით, ვოაპპ-ი უნდა გახდეს ინტერნაციონალურ შეკავშირების და მთელი ორგანიზაციის სრული გადახალისების შტაბათ. ვოაპპ-ი მეორე პლენუმზე გახდა არსებითად სრულიად საკავშირო ორგანიზაცია. ყველაზე ახალგაზრდა შუა-აზიის პროლეტარული მწერლების ასოციაცია პირველად შევიდა ვოაპპ-ის შემადგენლობაში. ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტია. ვოაპპ-ი ყოველნაირად უნდა დაეხმაროს შუა-აზიის ახალგაზრდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას.

ვოაპპ-ის მეორე პლენუმის საბჭომ მიიღო ყოველი ზომები, რომ ვოაპპ-ის ხელმძღვანელობა ასულიყო შესაფერ დონეზე, რომ ის გამხდარიყო სარეგულიაციო და საორგანიზაციო შტაბად.

რაპპ-ის დელეგაციის წინადადებით გადაწყდა მისი თეორეტიულ ჟურნალ რაპპ'ის ვოაპპ-ის ორგანოთ გადაქცევა. ჟურნალი „საბჭოთა ქვეყანა“ მჭიდროთ დაუახლოვდება ვოაპპ-ის შემოქმედებითი ცხოვრებას. ვოაპპ-ის ყოველდღიური მუშაობის ერთ-ერთი უდიდესი მოვალეობა იქნება სალიკვიდაციო ზომების მიღება იმ უპასუხისმგებლობის და დაუდევრობის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი აქვს სისტემატიურად ს.ს.რ.კ-ს ხალხთა ლიტერატურის გამოცემის საქმეში. კულტურული რევოლიუციის პრაქტიკაში უფრო ღრმად და მჭიდროთ ჩამბით ვოაპპ-ი უნდა გახდეს მთელი პროლეტარული ხელოვნების ხელმძღვანელ რაზმად. თავისი სიძლიერით და ხვედრითი წონით ის უკვე ხდება ასეთად. ვოაპპ-მა უნდა აიღოს ინიციატივა ხელოვნების მთელი პროლეტარული ფრონტის გაერთიანებისა და კონსოლიდაციისა.

ვოაპპ-ის საერთაშორისო მნიშვნელობა დიდია. ის არის რევოლიუციონურ ლიტერატურის საერთაშორისო გაერთიანების უძლიერესი ორგანიზაცია. ეს გარამოება აკისრებს ვოაპპ-ს მიიღოს დიდი მონაწილეობა რევოლიუციონურ ლიტერატურის საერთაშორისო ბიუროს მუშაობაში და უფრო კონკრეტიულად და ნაყოფიერად უხელმძღვანელოს საერთაშორისო პროლეტარულ ლიტერატურას.

მუშაობა ისეთი, რომ გახდე ლენინურ დიად კულტურული რევოლიუციის ფაქტორი — ასეთია ვოაპპ-ის საბჭოს მეორე პლენუმის დირექტივა.

ბ ე ნ ი ტ ო ბ უ ა ჩ ი ძ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმია და პროლეტარული მწერლობის ამოცანები

წითელი არმიის სწავლების, ყოფა-ცხოვრების და ბრძოლის ასახვას მხატვრულ ფორმებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მშრომელი მასა და საბჭოთა საზოგადოებრივობა ამ გზით ეცნობა ჩვენი ქვეყნის დიადი მშენებლობის ერთგული დარაჯის ცხოვრებას. მუშა, კოლმეურნე და ყოველი პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე უდიდესი ინტერესით და გატაცებით ეცნობა წითელი არმიის ცხოვრებას და ბრძოლას. საბჭოთა და პროლეტმწერლების პირდაპირ ამოცანას შეადგენს ეს უდიდესი ინტერესი წითელი არმიისადმი გააძლიეროს. საბჭოთა ფართო საზოგადოებრივობა უნდა იცნობდეს წითელი არმიის ცხოვრების ყოველ კუთხეს.

მაშასადამე პროლეტარულ და საბჭოთა მწერლობის პირველი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დაწვრილებით გააცნოს მშრომელთა მასას წითელი არმიის სწავლება, ბრძოლა და ცხოვრება. საჭიროა ჩვენება იმისა, თუ როგორ იზრდება და მტკიცდება დღითი-დღე სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის მცველი წითელი არმია თავისი ბრძოლის უნარიანობით. მაგრამ წითელი არმიის მუშაობის ასახვა მხატვრულ ფორმებში თვითმიზნათ არ უნდა იქცეს. მხატვრული ნაწარმოები პოლიტიკურ მიზანს უნდა ისახავდეს. მისი მეოხებით კიდევ უფრო უნდა მძაფრდებოდეს ყოველი მშრომელის ყურადღება სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისაკენ. კიდევ უფრო მეტად უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება ომის საფრთხისადმი და დანთებული ცეცხლი ჩვენი კლასიური მტრების (მენშევიკები და სხ.) წინააღმდეგ, რომლებიც კაპიტალისტების მთავარ დასაყრდენს წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სისხლისმღვრელი ომის სამზადისში. მეორე ამოცანად უნდა მივიჩნიოთ ასახვა და გადმოცემა იმისა, თუ როგორ იბრძვის წითელი არმია იმ უდიდესი ამოცანების შესრულებისათვის, რომელიც მას დააკისრა ოქტომბრის რევოლიუციამ. აქ მოცემული უნდა იქნეს არა მარტო დღევანდლობა, არამედ წარსულიც, ვინაიდან წითელი არმია იზრდებოდა და მტკიცდებოდა წარსულ ბრძოლებში. ამავე დროს საჭიროა ჩვენება იმისა თუ როგორის თავგამოდებით ებრძვიან დღეს წითელი არმიელები, მეთაურები და პოლიტშემადგენლობა საბრძოლო ომზადების უმაღლეს მწვერვალების დასაპყრობად.

აი, მოკლედ ის ამოცანები, რომლებიც უნდა დადგეს ჩვენი მწერლების წინაშე. საუბედუროთ მწერლობაში ეს დარგი ყველაზედ უფრო მოიკოჭლებს. საჭიროა სასტიკი ბრძოლის გამოცხადება ომის საფრთხის ოპორტუნისტული შეუფასებლობის წინააღმდეგ თვით მწერალთა რიგებში. თუ ეს ბრძოლა არ იქნა აყვანული სათანადო პრინციპიალურ-პოლიტიკურ სიმაღლემდე, თუ არ იქნა ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრილი ეს ოპორტუნისტული განწყობილება, ზედმეტია ლაპარაკი ზემოთ დასახულ ამოცანების შესრულებაზეც. შეიძლება ზოგიერთებს გაუკვირდეს კიდეც ეს „ახალი“ ამბავი, მაგრამ ვისაც ეს გასაკვირლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუჩეს, ურჩევ გადასინჯოს განვლილი გზა, შეეკითხოს თავის თავს თუ რა გააკეთა მან კონკრეტულად საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისათვის. ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის ხომ საბჭოთა ყველა პატიოსანმა მოქალაქემ უნდა იმუშაოს — ვისაც როგორ შეუძლია და რამდენადაც ეხერხება. ეს მაშასადამე პირველი და მთავარი ამოცანაა.

პროლეტმწერლობა შესძლებს წითელი არმიის წინაშე თავისი ამოცანების წარმატებით შესრულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თვითეული პრ. მწერალი დაწვრილებით გაეცნობა და განიცდის ჩვენი წითელი არმიელის, მეთაურის და პოლიტმუშაკის მუშაობას და ბრძოლას. შეუძლებელია სწერო წითელი არმიელის შესახებ თუ დაწვრილებით არ იცნობ მის ყოფა-ცხოვრებას, მის დატვირთვას, მის წინაშე დასმულ ამოცანებს.

წითელი არმიელის სახის მოცემა კაბინეტიდან არ მოხერხდება. თუ მწერალს უნდა სწეროს წითელ არმიაზე, მან უთუოდ უნდა დახარჯოს დრო და დაჰყოს წითელ არმიელთა შორის: შეასრულოს ის რასაც წითელი არმიელი ასრულებს. გაისაჯოს და ხელი მოჰკიდოს შაშხანას, ნამდვილ შაშხანას; აისხას ის საჭურველი, რომელიც ჩვენს მებრძოლს აქვს და მასთან ერთად იმაცადინოს, ივარჯიშოს. საკუთარის თვალით ნახული და განცდილი მოვლენა ყოველთვის უფრო სწორსა და დადებით გამოხატულებას ჰპოებს. საჭიროა უფრო ღრმა ჩაწვდენა ჩვენი მეომარის ყოველ წვრილმანში. მხოლოდ მაშინ ექნება ფასი და ღირსება მწერალის ნაშრომს. მწერალი უნდა აცნობდეს მკითხველ საზოგადოებას მას, რისი მოწამე თითონ იყო, რაიც თითონ განიცადა. მკითხველმა უნდა იგრძნოს ყაზარმაში მისული ახალი ადამიანები, ის სიახლე რაც თვითეულ წითელარმიელში არის. გუშინდელი წითელი არმიელები არმიის რიგებიდან წასვლის შემდეგ გვევლინებიან როგორც ნამდვილი გამტარნი ლენინურ იდეებისა. ეს ახალი ყაზარმა, ახალი სამხედრო სამსახური, რომელიც ნაწილობრივი გამოხატულებაა ჩვენი საბჭოთა ახალი ყოფისა უნდა ასახულ იქნას მწერალთა მიერ მკითხველი საზოგადოებისათვის დამაინტერესებელ მხატვრულ ფორმებში.

არის კიდევ მთელი რიგი საკითხებისა, მაგრამ ჯერჯერობით ამით დავკმაყოფილდეთ. უკვე დრო არის, რომ ჩვენმა პროლეტმწერლობამ მოჰკიდოს ხელი ამ საკითხებს და ბოლშევიკურად გადაჭრას ის. საამისო ნიმუშები ჩვენ უკვე გვაქვს: წამოწყება, მონდომება და სურვილები მწერალთა წრეში დიდია. ჩვენ კი — წითელი არმიის მომუშავენი ვისურვებთ, რომ ეს წამოწყება, მონდომებად ქაღალდზე დაწერილი გეგმები საქმედ ქცეულიყოს ამ მოკლე დროს განმავლობაში.

ნ. ბ ლ უ ა შ ვ ი ლ ი

[ქართული მსროლელი ამხ. სტალინის სახელობის დივიზიის სამხკომი]

ლოკაფი საბრძოლო მოემზადების სამსახურში

არაჩვეულებრივად გაიზარდა მასების მოთხოვნილება ხელოვნებისა და კერძოდ მხატვრული ლიტერატურისადმი. აქედანვე იწყება პროლეტარული მწერლობის მიერ მთელი რიგი მნიშვნელოვანი პოზიციების დაპყრობა ლიტერატურის ფრონტზე. ხუთწლედის პირველი წლები აღინიშნა მხატვრულ ლიტერატურაში უდიდესი გარდატეხით.

იწყება მხატვრული ლიტერატურის შემობრუნება პირით წითელი არმიისაკენ და პირველად კეთდება ცდები წითელ არმიასთან „შემთხვევითი" კავშირიდან გადავსულიყავით ორგანიზაციულ მუდმივ კავშირზე და ამ მიზნით ჩამოყალიბდა „ლოკაფი". სულ მცირე ხანში ლოკაფმა ორგანიზაციული ზრდის პროცესი განიცადა და მოეფინა წითელი არმიის ყველა ნაწილს.

ეს ფაქტი მთელი სიცხადით ამტკიცებს იმ დებულებას, რომ ნიადაგი ლოკაფისათვის წითელარმიაში მომზადებულია და რომ წითელი არმია დიდი ხანია გრძნობდა მის საჭიროებას.

ლოკაფი წითელი არმიის ქართულ ნაწილებში

წელიწადზე მეტია, რაც ლოკაფი ჩამოყალიბდა წითელი არმიის ქართულ ნაწილებში, მაგრამ მისი საქმიანობა ჯერ არ გაშლილა ჯეროვნად. ჯერ კიდევ ყველა ნაწილში არ ჩამოყალიბებულა უჯრედები, ჯერ კიდევ ლოკაფს არ გამოუყვია ნაწილებში მომუშავე ამხანაგების კადრი.

კერძოთ მე-2, ფრუნზეს სახელობის დივიზიაში, უკანასკნელ ხანებში საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციამ გამოგზავნა მწერალი ამხ. არ. ჩაჩიბაია, რომელმაც სულ მცირე ხანში ნაყოფიერი და თვალსაჩინო მუშაობა გაშალა. ჩამოყალიბდა უჯრედი 20 კაცის რაოდენობით ლაგერის მასშტაბით და გაიშალა სათანადო საწრეო ლიტერატურული მუშაობა. უჯრედი შესდგა განსაკუთრებით წითელარმიელებიდან და რამოდენიმე დღეში დაამზადეს ლექსები, მოთხრობები, პატარა პიესა და სხვა.

მომზადებულია ნიადაგი ლოკაფის უჯრედების ჩამოსაყალიბებლად დივიზიის ყველა ლეგიონში, რაც სულ რამდენიმე დღეში შესრულდება. 14 სექტემბრისათვის მოხდება ამ უჯრედების პირველი შეჯიბრი და სხვ.

ამ მოკლე ცნობიდანაც ჩანს, თუ როგორი მკვრივი ნიადაგი აქვს ლოკაფის მუშაობას ქართულ ნაწილებშიც და რა დიდი ძალები და შესაძლებლობანი მოიპოვება მასში მხატურული ლიტერატურული მუშაობის გაშლისათვის, მხოლოდ საჭიროა ამ საქმის მცოდნენი და ენტუზიასტები.

როგორია ლოკაფის ამოცანები

ლოკაფის ამოცანები სავსებით გამომდინარეობენ საერთოდ წითელი არმიის ამოცანებიდან და იმ მასის მოთხოვნილებებიდან, რომელიც მოდის წითელარმიაში.

„ახალი წითელარმიელი მოსული ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილ ქარხნიდან, ტრაქტორებით და კომბაინებით გავსებულ საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობებიდან, კულტურულად გაზრდილი და სწრაფად მოზარდი, უკვე გვიყენებს და წამოგვიყენებს სულ უფრო გაზრდილ მოთხოვნილებებს ჩვენ პოლიტმუშაობისადმი და კერძოთ სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობისადმი. თქვენთან ერთად ჩვენი ამოცანები გამოიხატება იმაში, რომ წითელარმიელი მისი წითელ არმიაში სამსახურის პერიოდში ავიყვანოთ უდიდეს სიმაღლეზე მისი სამაედრო, სამხედრო ტეხნიკური, პოლიტიკური და კულტურული დონე. ავწიოთ უდიდეს სიმაღლეზე წითელარმიელის ინტერნაციონალური აღზრდა [1].

ამხ. გამარნიკი სავსებით დროულად უყენებს აგიტპროპმუშაკებს ამოცანას, რომელიც გამომდინარეობს რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ჩვენი წითელარმიელის გაზრდილ მოთხოვნილებებიდან და მიუთითებს მასზე, რომ მომავალში ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ამ მოთხოვნილებათა არაჩვეულებრივი ზრდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ რეკონსტრუქციის არაჩვეულებრივ ტემპებთან დაკავშირებით.

უკანასკნელ დებულებას, რომელიც წამოაყენა ამხ. გამარნიკმა, თავის წერილში წითელი არმიის ქართული ნაწილებისათვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან საქართველო, როგორც სხვა მცირე ერები მეფის მთავრობის პოლიტიკის თანახმად ბევრად ჩამორჩა შუაგულ რუსეთს, საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ის უნდა დაეწიოს საბჭოთა კავშირის მოწინავე რაიონებს, რისთვისაც ჩვენში აღებულია ეკონომიური და კულტურული აღმშენებლობის გაორკეცებული ტემპები, საიდანაც ჩვენ კერძოდ სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაში უნდა გავაკეთოთ ის დასკვნა, რომ ტემპი მუშაობისა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამორჩეს ამ ტემპებს. ჩვენ „ნაციონალურ ნაწილებში საჭიროა გარდაიქმნეს მთელი აგიტპროპმუშაობა მისი შინაარსის შემდგომი ზედმეტი კონკრეტიულობის გაძლიერებით ნაცრესპუბლიკის ან ოლქის სოციალისტური აღმშენებლობის გზების და ამოცანების უფრო სრული ასახვის საფუძველზე“ [2].

დაბოლოს აგიტპროპ-მომუშავეთა მეორე საარმიო თათბირი აგიტპროპმუშაობის წინაშე სვამს შემდეგ კონკრეტულ ამოცანას: „მთელი აღმზრდელობითი მუშაობის სისტემით წითელმა არმიამ თითოეულ წითელარმიელში უნდა აღზარდოს სამხედრო დარგში მაღალი კვალიფიკაცია, საბრძოლო ტეხნიკის სრული დაუფლება, საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე დამცველი, შეუდრეკელი მებრძოლი მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისათვის. მთლიანი კოლექტივიზაციის და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მოწინავე წარმოებაში, რომელიც იქნება შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულის მაგალითები“ [3].

ასეთია ის ამოცანები, რომელსაც აგიტპროპმომუშავეთა მეორე თათბირი აყენებს სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობისადმი, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ მთავარ ელემენტს წარმოადგენს მხატვრული ლიტერატურა.

---

[1] გამარნიკის წერილიდან—აგიტპროპმუშაკების მე-2 თათბირისადმი.
[2] აგიტპროპმუშაკების მე-2 თათბირის რეზოლუციიდან.
[3] აგიტპროპმომუშავეთა საარმიო მე-2 თათბ. რეზოლუციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზე მდიდარია მასალებით წითელი არმია

წითელი არმია თავის რიგებში ღებულობს და ზრდის მოსახლეობის საუკეთესო ნაწილს, სპეციალურ ამოცანით მოამზადოს სოციალისტური სამშობლოს და სოციალიზმისათვის თავდადებული მებრძოლი. თუ რომელიმე საქმე მოითხოვს ენტუზიაზმს, თავდადებას, ინიციატივას თავისი შემოქმედებისათვის—ეს თვისებები მით უფრო ესაჭიროება წითელარმიელს, ვინაიდან კაცობრიობის უდიდეს საქმისათვის წითელარმიელმა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით თავისი სიცოცხლე უნდა შესწიროს, აქედან უდიდესი დანიშნულება მწერლობის: შექმნას საჭირო ენტუზიაზმი. დიდი ხნით ცნობილია, რომ სიტყვის საუკეთესო ოსტატები თავის ნაწარმოებებში დიდ ადგილს უთმობდენ სამხედრო საკითხს და ამ თემაზე წერდენ რომანებს, ეს თემა დღესაც ყურადღების ცენტრშია ბურჟუაზიული მწერლობისათვის. ისინი ხშირად არაჩვეულებრივი თვალთმაქცობით ლამობენ სძლიონ საკითხი იმის შესახებ, რომ რაც შეიძლება რომანტიული, წარმტაცი და „სასიამოვნო“ გახადონ ჯარის კაცის სიკვდილი პოზიციაზე ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. მართალია, ამისათვის ისინი მიმართავენ ფაქტების დამახინჯებას, მაგრამ სხვანაირად ამ ამოცანის გადაჭრა მათთვის შეუძლებელია.

ჩვენ მწერლობას კი ეს არ ესაჭიროება. ჩვენი მწერლობისათვის თვალთმაქცობა, ფაქტების დამახინჯება საჭირო არ არის. მისი ვალია ჩვენი წითელარმიის უდიდესი მიზანის დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდის საფუძველზე მხატვრულ ფორმებში გადმოცემა. ეს გარემოება მწერლობისათვის უთუოდ დიდი დადებითი ფაქტორია და აძლევს მას დიდ უპირატესობას ბურჟუაზიულ მწერლობასთან შედარებით. აქ არ შევუდგებით სათითაოდ გავარჩიოთ სხვადასხვა მიმართულებების წარმომადგენლები, სხვადასხვა გადახრები მწერლობაში და სხვა. ჩვენი მიზანია უმთავრესად წითელი არმიის ცხოვრების თემატიკის დახასიათება.

წითელი არმიის ცხოვრებაზე მრავალი ნაწარმოები გვაქვს, განსაკუთრებით რუსულ ენაზე და უკვე გვყავს მთელი რიგი მწერლებისა (ფურმანოვი), რომლებიც აღიზარდნენ და შემოქმედება დაიწყეს წითელ არმიაში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მხატვრული ნაწარმოები წითელ არმიაზე უმთავრესად სამოქალაქო ომების თემებს ეხება და არც ერთი სერიოზული ნაწარმოებისა არ მოგვეძებნება წითელი არმიის შესახებ—სამოქალაქო ომების შემდგომი პერიოდის დასახასიათებლად.

ლოკაფის ამოცანა ამ დარგში მეტად დიდია. მან უნდა შეიძლოს სამოქალაქო ომის თემების დამუშავებასთან ერთად დაამუშავოს წითელი არმიის თანამედროვე პერიოდის თემები.

ვინც წითელი არმიის ცხოვრებას ახლოს იცნობს, მისთვის ნათელია რომ წითელი არმიის თანამედროვე პერიოდი მეტად მდიდარია თემატიური მასალით. წითელი არმია მდიდარია საბრძოლო მომზადების ენტუზიასტებით, როგორც მეთაურთა ისე წითელარმიელთა შემადგენლობიდან. წითელ არმიას ესაჭიროება დიდი ნებისყოფის და ინიციატივის მქონე შემადგენლობა და ამ ენტუზიასტების მხატვრულად გადმოცემა. მტკიცე კლასიური შეგნების მქონე, ნებისყოფიანი წითელარმიელის ახ მეთაურის ტიპების შექმნა დიდ სამსახურს გაუწევდა წითელი არმიის საბრძოლო მომზადებას.

ასეთი ტიპები წითელ არმიას ფაქტიურად ყავს სინამდვილეში, მხოლოდ არ გვაქვს მათი მხატვრული გადმოცემა, რომ ეს ტიპი გახდეს ყველასათვის მისაწვდომი, ყველას მაგალითი.

ძალიან ბევრს შეხვდებით წითელარმიელს, მეთაურს ან უნცროს მეთაურს, რომელიც უდიდესი ენერგიით აღწევს საბრძოლო მომზადების მაღალ მაჩვენებლებს, მას უხდება ბრძოლა თავის თავთან, თავის ჩამორჩენილობასა და ტრადიციებთან დიადი მიზნისათვის, მას უხდება ბრძოლა თავის ამხანაგებთან, მას უხდება დაცინვის ატანაც ხშირად, დროებითი დამარცხების განცდაც და სხვა მრავალი. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ერთ-ერთი ათეულის მეთაური, რომელიც არაჩვეულებრივი თანმიმდევრობით და სიმტკიცით ასრულებდა დასახული საბრძოლო მომზადების საკონტროლო მაჩვენებლებისათვის ბრძოლას.

ამ ათეულის მეთაურმა მთელი ათეულის შემადგენლობით მიაღწია უდიდეს მაჩვენებლებს სროლის საქმეში და როდესაც ჩვენ გადავსინჯეთ ეს ათეული სხვა მხრივ აღმოჩნდა, რომ ათეული სამაგალითოა არა მარტო სროლაში, ათეულს ბადალი არა ჰყავს დისციპლინაში, პოლიტმომზადებაში, ტაქტიკურ მომზადებაში და სხვა. როდესაც ათეულმა ისროლა მე 6 ვარჯიში და მიიღო შესრულების არა სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგები (მაგრამ შედარებით ათეული სხვებზე მაინც წინ იდგა) ის არ დაკმაყოფილდა მით, რომ სხვები მის ათეულზე ცუდად ისვრიან. მან თავის ინიციატივით გამოაცხადა გარღვევა სროლის საქმეში, შეუდგა მთელ ათეულის სისტემატიურ წვრთნას და მოკლე ხანში მიიღო ბრწყინვალე შედეგები. ამ ათეულში რამდენიმე თვის წინეთ გადმოიყვანეს ერთი უდისციპლინო წითელარმიელი, რომელმაც მიიღო პირველი დისციპლინარული სასჯელი უკანასკნელი 5 თვის განმავლობაში ათეულის მეთაურის მოხერხებული ინდივიდუალური მიდგომის საშუალებით, ეს წითელარმიელიც გამოსწორდა და მეორე თვეში მიიღო ორი მადლობა. ათეულში არ დარჩენილა ისეთი წითელარმიელი, რომელიც არ ყოფილიყოს ერთხელ მაინც წაქეზებული, დიდ უმრავლესობას აქვს 3-4 წაქეზება. ასევეა ამ ათეულის მუშაობა და შედეგი სხვა დარგებშიც. ათეულის მეთაური სათანადოდ დაჯილდოებული იქნა დივმეთაურის მიერ, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. აქ მეტათ საინტერესოა თვით პროცესი იმ მუშაობის, იმ ნებისყოფის, იმ ენერგიის, რომელიც აუცილებელია ასეთი მაჩვენებლების მისაღწევად. ჩვენთვის საინტერესოა ის პროცესი ბრძოლისა, როგორც საკუთარ ჩამორჩენილობასთან, ისე განსაკუთრებით ამხანაგებთან. ჩვენ არ შეგვისწავლია ეს საკითხი, მაგრამ შესაძლებელია ამ ბრძოლის პროცესში ათეულის მეთაურს ბევრმა დასცინა კიდეც, ბევრმა შეიძლება „კარიერისტი" უწოდა და ვინ იცის კიდევ რა!

ათეულის მეთაური ერთი ხელის მოქნევით ვერ მიიღებდა ამ შედეგებს, ის ბევრჯერ დროებით დამარცხებებსაც იგემებდა. ყოველივე ეს იძლევა მეტად მდიდარ მასალას, არა მარტო წითელარმიისათვის საკითხავათ, არამედ მას წაიკითხავს და ბევრ რამეს ისწავლის საბჭოთა მოქალაქეც.

აქ მოვიყვანეთ უბრალო, ერთი პატარა მაგალითი, მაგრამ განა ცოტაა ასეთი მაგალითები, განა ცოტაა ისეთები, რომლებიც მოვიდნენ წითელ არმიაში წერა-კითხვის უცოდინარები მოჯამაგირე ან მწყემსობიდან, რომლებმაც წითელ არმიაში ისწავლეს წერა-კითხვა, მიიღეს პირველ დაწყებითი განვითარება, გაათავეს სხვადასხვა სკოლები, არიან უმაღლეს სასწავლებლებში, ან რაიმე საპასუხისმგებლო სამოქალაქო სამუშაოზე, ან კიდევ რამდენია ასეთი დღეს მეთაურათ წითელ არმიაში. განა მათი გზა, მათი მუშაობა საძაგალითო არ არის? განა ისინი არ არიან სათანადო დადებითი ტიპები მუშებისა და გლეხების წრიდან გამოსული, რომლებიც მთელ თავის უნარს, ენტუზიაზმს და ენერგიას ახმარებენ სოციალიზმის გამარჯვების საქმეს! ყოველივე ამით მდიდარია წითელ არმია.

ან ავიღოთ წითელი არმიის მონაწილეობა საბჭოთა საზოგადოებრივობაში, კულტურულ, საკოლმეურნეო, საბჭოთა, პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა დარგში; განა წითელი არმიის მონაწილეობა მასში დიდი არ არის. განა ძრავლათ არ არის ისეთი, რომელთაც მთელი თავისი ნიჭი პირველად წითელი არმიის ზეგავლენიო გაშალეს, მის წიაღში აღიზარდნენ და დღეს წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნისათვის საუკეთესო მებრძოლებს. ან კიდევ სრულიად ცოცხალი დღევანდელი მაგალითი წითელ არმიის კოლმეურნეობის მშენებლობაში მონაწილეობისა.

მრავალმხრივია და ამდენად მრავალმნიშვნელოვანია წითელი არმიის მშვიდობიანური აღმშენებლობის პერიოდის თემატიკა ლოკაფისათვის.

მართლაც, თუ კი ბურჟუაზია უდიდეს მასებზე ზეგავლენის იარაღს იყენებს თავისი ინტერესებისათვის, სრულიად ფუქსავატურ თემაზე აგებენ გრძელ რომანებს, ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლია უმდიდრესი თავისი შინაარსით მასალაზე სამხედრო თანამედროვე და სამოქალაქო ომების თემებიდან ვწეროთ მხატვრული ნაწარმოებები, რომელთაც ექნებათ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა და უდიდეს სამსახურს გაგვიწევენ საბრძოლო მომზადებაში. შეგვიძლია და მეტი. ჩვენ გვაქვს ყოველი პირობები იმისათვის, რომ ჩვენი მხატვრული ნაწარმოებები იყოს მხატვრული და იდეური.

მოკლედ შევჩერდეთ ლოკაფის მონაწილეობაზე წითელი არმიის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ლოკაფს შეუძლია მოგვცეს პატარა მხატვრული ამბავი—მოთხრობა ლექსი, პიესა, ესტრადული ნაწარმოები და სხვა.

ლოკაფის უჯრედს ნაწილში შეუძლია მოგვცეს ესა თუ ის ლიტ-მონტაჟი, გამართოს სპეციალური საღამო, მონაწილეობა მიიღოს ასეულის ილიჩოვკაში, ნაწილის მრავალტირაჟიანში, კედლის გაზეთებში და სხვა.

ყოველივე ამას ექნება დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა და მოქნილი ფორმებით მონაწილეობას მიიღებს ნაწილის ყოველდღიურ საბრძოლო მომზადებაში.

გავარჩიოთ ერთი მაგალითი ნაწილის ისეთი მუშაობის, სადაც პირველი შეხედვით შეუძლებელია ლოკაფის მუშაობა, სადაც ყველაზე ძნელია მისი გამოყენება. ეს არის სარაზმო სწავლება და მანევრები, როცა მთელი მეცადინეობა ველად სწარმოებს და როცა მთელი დრო წითელარმიელისა გამოანგარიშებულია წუთობით და მუშაობა მიმდინარეობს წითელარმიელთა დაფანტვის პირობებში.

წარმოიდგინეთ, რომ ესა თუ ის ათასეული გადის სარაზმო სწავლებას, წინა დღით ის აწარმოებს მოსამზადებელ მუშაობას — გეგმის დაყვანა და სხვა. გავედით მეორე დღეს ველზე, წითელარმიელებმა მიაღწიეს გამოსასვლელ ზღუდეს და უცდიან წინ გაგზავნილ დაზვერვის ცნობებს. აქ ამ ადგილზე შეიძლება ვიდგეთ 30 წუთი—1 საათი.

ყოველი მეცადინეობა სწარმოებს ამა თუ იმ პოლიტიკური ლოზუნგის ქვეშ. მაგალ.: „იმპერიალისტების მიერ საბჭოთა კავშირზე ინტერვენციის მზადებას მებრძოლები უპასუხებენ შეტევითი ბრძოლის საუკეთესო შეთვისებით“.

ლოკაფის უჯრედს შეუძლია ამ ლოზუნგის სათანადო მხატვრულ ფორმებში ჩამოყალიბება, სულ მოკლე ხანში, მისი ყველა მებრძოლამდის დაყვანა და მით უდიდესი ენტუზიაზმის შექმნა. მაგ. შესაძლებელია მხატვრულად გადმოცემული ამბების მონტაჟი, ლექსები და სხვა ასე, რომ მთლიანად მისმა წაკითხვამ არა უმეტეს 30 წუთისა დაიჭიროს.

ამ 30 წუთში წითელარმიელს შეგვიძლია მხატვრულად გადავცეთ: რომელიმე დეტერდინგი სხვადასხვა მახინაციებს რანაირად აწყობს საბჭოთა კავშირზე ინტერვენციის მოწყობისათვის; სოციალ-ფაშისტი, რენოდელი ან სხვა რანაირად ატყუებს მუშებს და ბურჟუაზიასთან შეთანხმებით აგებენ ახალ სამხედრო გეგმას; ბურჟუაზიამ რანაირად აკრძალა კომპარტიის ორგანო და ფაშისტების საშუალებით ცდილობს დაიმორჩილოს მუშათა კლასი; მენშევიკი ჟორდანია, დანი ან სხვა როგორ ეეაკრება ბურჟუაზიას და სთავაზობს თავის სამსახურს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მრავალი სხვა. მეორე მხრივ რანაირად იბრძვის წითელარმიელი „ჭითაშვილი" საბრძოლო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, რანაირათ ზარმაცობს რომელიმე „ზარმაცაძე" ან კიდევ როგორ თვალთმაქცურად იბრძვის საბრძოლო მომზადების წინააღმდეგ არმიაში შემოპარული კლასიური მოწინააღმდეგე, კულაკი ან სხვა. მთელი ეს მასალა (მხატვრულად გაშლილი მცირე ფორმებში), უბრალოდ წაკითხული წითელარმიელების წინაშე ველად იქნება უფრო მნიშვნელოვანი და შინაარსიანი, ვიდრე რამოდენიმე საათიანი ლექცია ან სხვა. ლოკაფის უჯრედს კი ეს სრულებით არ გაუჭირდება.

აი მოკლედ, წითელი არმიის თემატიკა მწერლობისათვის და ზოგიერთი მისი გამოყენების ფორმები. წინა თავში ჩვენ აღვნიშნეთ შესაძლებლობანი ლოკაფის მუშაობის გაშლისათვის. ჩვენ მოკლედ დავახასიათეთ ლოკაფის მთავარი ამოცანებიც. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ წითელ არმიაში გვყავს მწერლებიც, პოეტებიც, მხატვრებიც და სხვა, რომლებსაც ემარჯვებათ და უყვართ მწერლობა და მხატვრული მუშაობა, მაგრამ ყველა ეს ძალა აქამდის კუსტარულად ვითარდებოდა. მომავალში კი ლოკაფის სახით არმიას საშუალება ეძლევა ეს მუშაობა არაჩვეულებრივად გაშალოს, მხოლოდ საჭიროა აღებული გეზის ბოლშევიკური დაჟინებით გატარება, საჭიროა ბრძოლა ამ საკითხის ყოველგვარ შეუფასებლობასთან, საჭიროა ლოკაფის შემოქმედებითი უნარის სრული გაშლა და შედეგად ჩვენ წითელ არმიაში დავეუფლებით მასების აღზრდის უდიდეს საშუალებას — მხატვრულ სიტყვასაც.

პ ლ ა ტ ო ნ მ ი რ ო ტ ა ძ ე

[ფრუნზეს სახ. დივიზიის პოლიტ-განყოფილება]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომი და ლიტერატურა

დადგა ჟამი, როცა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე კაცობრიობის სხვა და სხვა დროისა და ეპოქის უდიდესი და საუკეთესო ადამიანების ოცნებასა და იდეებს სისხლი და ხორცი ესხმება. ესაა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის შენების ძლევამოსილი მსვლელობა. ესაა კაცობრიობის ისტორიაში ის ახალი ფურცელი, რომელიც სპობს საუკუნოებრივი ჩაგვრისა და მონობის კოშმარს.

დედამიწის ერთ უზარმაზარ ნაწილზე მთელი მსოფლიოს თვალწინ საუკუნეებით დამონებული და გაყვლეფილი მშრომელები დღეს თავიანთ ხელით ქმნიან კაცობრიობის ახალ ისტორიას. მძიმე ბრძოლებს და სისხლს თხოულობს ამ ახალი ქვეყნის შენება და დაცვა, მაგრამ იგი უნდა აშენდეს და იქნეს დაცული, რაც არ უნდა დაჯდეს. ბებრუხანა კაპიტალისტური სამყარო უნდა დაემხოს, სიტყვა ჩვენ საუკუნეში ეკუთვნის კომუნიზმს და საბჭოთა კავშირიც, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ბრძოლა და პრაქტიკა კომუნიზმის ბრწყინვალე ნაბიჯებია.

საბჭოთა კავშირი მსოფლიო კომუნიზმის, მსოფლიო რევოლიუციის დამკვრელი ბრიგადაა. ის, რაც ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ხდება, უდიდესი ისტორიული მოვლენაა, რომლის საბოლოოდ გამარჯვებამ უნდა შეცვალოს დედამიწის მთელი სახე. თვალუწვდენელ საბჭოთა კავშირში დიქტატურის მფლობელი—მუშათა კლასი და კოლმეურნეთა მასა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აშენებს ახალი ფორმაციის, ახალი სახის საზოგადოებრივ წყობილებას.

გაშლილი სოციალისტური შეტევა ყველა ფრონტზე კაპიტალიზმის ნარჩენების აღმოსაფხვრელად, კულაკობის, ამ უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის უბოროტესი და ურეაქციონერესი ძალის ლიკვიდაცია, მთლიანი კოლექტივიზაციის ნიადაგზე—არ რჩება ბრწყინვალე შედეგებისა და გამარჯვების გარეშე, ესაა დამკვრელი ამოცანა ჩვენი დღეების, რასაც დამკვრელი ტემპებით ასრულებს ჩვენი ქვეყანა. გეგმიანი შეტევისა და გეგმიანი შენების პოლიტიკა; დიადი სამუშაოების 5-წლიანი გეგმა — გამარჯვებისა ტ წინსვლის უდიდესი პერსპექტივაა, სოციალიზმის უდიდესი პოემა, რომლისათვის ენტუზიაზმითა და ტემპებით ბრძოლა ყოველგვარი წუწუნისა და ოპორტუნისტული ტალახის გარეშე სწყვეტს ყველაფერს. სოციალიზმის მშენებელი მუშათა კლასი უკვე რამოდენიმე წელია გმირულად იბრძვის სოციალიზმის შენების ამ დიადი გეგმის განხორციელებისათვის, ახალ და ახალ მაღლობების დასაპყრობად. ის, რაც ამ ფრონტზე უკვე მოპოვებულია გმირული ტემპებისა და ენტუზიაზმის წყალობით, აკვირვებს და თან აბრაზებს მსოფლიო ბურჟუაზიას, მაგრამ ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ ტეხნიკურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. შევქმნათ საკუთარი სოციალისტური ინდუსტრია, დავამთავროთ ბრწყინვალეთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის აგება.

მრეწველობაში გადაჭრილი „ვინ—ვის“ პრობლემის მთლიანად სახალხო მეურნეობაში გადაწყვეტა. ახალი ქარხნები და ფაბრიკები, სოციალისტური მინდვრები და ველები—მძლავრი პროექტორით უნათებს გზას კაპიტალიზმის მარწუხებში მოქცეულ ბურჟუაზიულ ქვეყნების პროლეტარიატს.

სოციალიზმი იმარჯვებს. ხუთწლედი შლის მიღწევაზე მიღწევას, მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ ეს არაა უბრალო „ფანტასტიკა“, არამედ ბოლშევიკების გენიალური გამოგონება, ქვეყნის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის, მისი სოციალისტური გარდაქმნისათვის, და ეს სწორედ მაშინ, როცა თავისი არსებობის ფაქტით საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ჰყოფს ორ დიდ ბანაკად. კაპიტალისტური ბანაკი კრიზისების, სამეურნეო დაკნინების გამოუვალ ჩიხშია მოქცეული. მეორე მხრივ—იქმნება მეურნეობის ახალი სოციალისტური სისტემა, „რომელიც იზრდება და წინ ეღობება კაპიტალისტურ სისტემას და თავისი არსებობის ფაქტით ახდენს კაპიტალიზმის სიდამბლის დემონსტრაციას, არყევს მის საფუძვლებს“ (სტალინი, 16-ტე პარტყრილობის ანგარიში).

ჩვენი მიღწევები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობენ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეს გამარჯვება იშლება მაშინ, როდესაც კაპიტალიზმის ქვეყნებში ეკონომიური კრიზისი მძვინვარებს. ჩვენი ქვეყანა ერთად-ერთი ქვეყანაა მთელ მსოფლიოში, სადაც წარმოება დღითი-დღე ვითარდება და ძლიერდება, სადაც უმუშევრობა მოსპობილია. არა აქვს ადგილი წინააღმდეგობას—საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობას შორის. ჩვენი ქვეყანა, სადაც შრომა წარსულში ითვლებოდა სამარცხვინო და უბედურ საქმეთ, გადაიქცა პატიოსნების, სიმამაცის და გმირობის საქმედ (სტალინი).

ჩვენი ქვეყნის სიძლიერე, ჩვენი მუშათა კლასის სიძლიერეშია. მიუხედავათ სიძნელეებისა, ჩვენი ქვეყნის მშრომელ მასებმა კარგად იციან, რომ ისინი საკუთარ ბედს სჭედენ, რომ ისინი არიან ქვეყნის ბატონ-პატრონნი. „ჩვენ ვცხოვრობთ და ვჭამთ მხოლოდ იმისათვის, რომ ვიშრომოთ როგორც მონებმა, თქვენ კი შრომობთ იმისათვის, რომ ჭამოთ და იცხოვროთ“—უხეშათ, მაგრამ ასე საუკეთესოდ გამოხატა თავის წერილში ეს სხვაობა ერთ ბელგიელ-მუშამ, რომელმაც საბჭოთა კავშირი ინახულა.

ასეთი სხვაობა და წინააღმდეგობა ჩვენს ქვეყანასა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის უკვე დიდიხანია არსებობს. ამ წინააღმდეგობას თანდათანობით აღრმავებს და ამწვავებს კაპიტალიზმის კრიზისი, საბჭოთა კავშირის ზრდა და განვითარება. საბჭოთა კავშირი ახალი აზრის, ახალი სისტემის ქვეყანაა—დიდი ჩირაღდანი და იმედი მსოფლიო პროლეტარიატისა, მსოფლიო რევოლიუციის ციხე-სიმაგრე! კაპიტალისტური ხამყარო-კრიზისების, სისხლისა და ომის, უმუშევრობისა და უპერსპექტივობის სამეფოა, „შეხედეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ამ ქვეყნებში კრიზისისა და უმუშევრობის ზრდას, ანტი-სახელმწიფოებრივ დემონსტრაციებს, გაფიცვებს და ლოკაუტებს—შედარებაც შეუძლებელია ამ ქვეყნების შინაგანი მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის შინაგანი მდგომარეობის შორის“—ამბობდა ამხ. სტალინი თავის მოხსენებაში მე-16 პარტყრილობაზე, როცა იძლეოდა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობის ანალიზს და მასთან ერთად შლიდა საბჭოთა კავშირის სამეურნეო მიღწევების გრანდიოზულ სურათს.

„უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ეხლა წარმოადგენს მსოფლიოში არსებულ ყველა ხელისუფლებათა შორის უმტკიცეს ხელისუფლებას“.

„ჩვენ, საბჭოთა კავშირში გვაქვს მოზარდი მსვლელობა სოციალისტურ მშენებლობაში, მრეწველობაში, სასოფლო მეურნეობაში, მათ კი, კაპიტალისტებს ეკონომიური, სამრეწველო და სასოფლო მეურნეობის მოზარდი კრიზისი", „აყვავების"—მაგიერ—მასების სიღატაკე და უმუშევრობის კოლოსალური ზრდა, სასოფლო მეურნეობის განვითარების მაგიერ—მილიონიანი გლეხური მასების გაღატაკება, იმსხვრევა ილიუზიები კაპიტალიზმის ძლევამოსილობის შესახებ საერთოდ. სულ უფრო მცირდება გამარჯვების სიმღერა კაპიტალისტური რაციონალიზაციისა და დოლარის სასარგებლოდ. „საერთო" განგაში საბჭოთა კავშირის აუცილებლად დაღუპვის შესახებ იცვლება „საერთო" სისინად იმ ქვეყნის დასჯის აუცილებლობის შესახებ, რომელიც მაშინ, როცა ირგვლივ კრიზისი მძვინვარებს, ბედავს თავისი ეკონომიკის განვითარებას" (სტალინი).

კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ კრიზისთან ერთად, თანდათან ძლიერდება, თანდათან იზრდება მილიონიანი არმია უმუშევრებისა, ტალღა დემონსტრაციების. აშკარაა, ბურჟუაზია შეეცდება მეტი გესლი და შხამი ანთხიოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, იძიოა შური იმ საფრთხის გამო, რომელიც მოზარდ სოციალიზმს მოაქვს, რომ ამით დაფაროს თავისი წინააღმდეგობანი, დამალოს ნამდვილი შინაარსი ეკონომიური კრიზისებისა და მასების უბედურების და ის საბჭოთა კავშირისადმი გადაიტანოს. „ყოველთვის, როგორც კი კაპიტალისტური წინააღმდეგობანი გამწვავებას იწყებენ, მაშინვე ბურჟუაზია თვალებს საბჭოთა კავშირისაკენ მიაპყრობს, იქნება შესაძლებელია კაპიტალიზმის ესა თუ ის წინააღმდეგობა ან და ყველა წინააღმდეგობა ერთად აღებული გადავწყვიტოთ საბჭოთა კავშირის ხარჯზედ" (სტალინი).

აშკარაა, საბჭოთა კავშირის გაძლიერება, სოციალიზმის ზრდა ჩვენს ქვეყანაში მოსვენებას არ აძლევს მსოფლიო ბურჟუაზიას. რამდენად იზრდება და ძლიერდება სოციალიზმის საფუძვლები, იმდენად გაბოროტებული ძალით შხამსა და გესლს ანთხევს აგრესიული ბურჟუაზიის მმართველი წრეები და თანდათან ემზადებიან ინტერვენციისათვის ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. მათი იმპერიალისტური პოლიტიკა მიზანში იღებს ხუთწლიან გეგმას, ამ გეგმის განხორციელების ჩაშლას, ამით აიხსნება ის ათასგვარი კომპანიები, მარჩიელური ზღაპრები, რომელსაც ისინი სთხზავენ ხუთწლედის შესახებ, აკეთებენ ათასგვარ პროვოკაციას, რომ ჩვენი ქვეყანა ომში გამოიწვიონ, ხელს უწყობენ ფულით და სხვადასხვა გეგმებით ჩვენს ქვეყანაში შინაგან კლასიურ მტერს. ბურჟუაზიული პრესა კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციაზე გადასვლის პერიოდში, მრავალგვარი ცილისწამებითა და ტყუილებით ცდილობდა და ცდილობს ამ უკანასკნელი დასაყრდენ ძალის დაცვას. მის დასაცავად მსოფლიო რეაქციის მობილიზაციას. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ასეთი შავბნელი ზრახვები გამოაშკარავა პრომპარტიისა და მენშევიკების პროცესმა, რომელთა სულისჩამდგმელად მსოფლიო იმპერიალიზმის სისხლისმსმელი კაპიტალისტები აღმოჩნდნენ და, რაც არც ისე გასაკვირია, ისეთი ხალხი, როგორც ყოფილი რუსეთის მემამულეები, თეთრგვარდიელები, ვაჭრუკანები, რომლებიც მუშათა კლასმა დიდი ხანია გადაყარა ისტორიის სანაგვეში.

ომის და ინტერვენციის განწყობილება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ყოველთვის არსებობდა, მაგრამ იგი, როგორც არასდროს, მთელი თავისი სიბოროტით და სისაძაგლით დღეს-დღეობითაც აშკარავდება, ისინი ცდილობენ მოატყუილონ მასები, შექმნან ისეთი საზოგადოებრივი აზრი, რომ მათი უბედურების და განადგურების მიზეზი თითქოს საბჭოთა კავშირია, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც გმირულად ანხორციელებს ხუთ-წლედს. მიუხედავათ ამისა, მიუხედავათ თავდასხმის ძლიერი ტენდენციისა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა მშვიდობიანობისაკენაა მიმართული.

განა საბჭოთა კავშირის მთელი ისტორია ერთის მხრივ არ წარმოადგენს მტრული დამოკიდებულების განუწყვეტელ ღონისძიებას პროლეტარული დიქტატურის მიმართ კაპიტალისტური ქვეყნების მიერ, დაწყებული აშკარა, მაგრამ უშედეგო ინტერვენციებით და გათავებული თუნდაც იმ შეთქმულებებით, რომელსაც მავნებელთა ძალებზე დაყრდნობილი აწყობდა ჩვენი ქვეყნის შიგნით იმპერიალიზმი? განა კონტრრევოლიუციონური მავნებლობა არ იყო სამზადისი და მიზანი სამხედრო ინტერვენციისა? განა ის დამოკიდებულება, რომელიც ამ ჟამად არსებობს ჩვენი ქვეყნის მიმართ, ფარული ომის გაგრძელება არ არის? ბოროტი ცილისწამება, ეკონომიური ბლოკადა, საბოლოო ჯამში კი ისევ სამზადისი თავდასხმისათვის. „არის მრეწველობის ერთი დარგი, რომელიც ჩვენი დროის საერთო კრიზისის პერიოდში ყველგან აყვავებულია, ესაა სამხედრო ინდუსტრია" – ამბობდა კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელ (XI) პლენუმზე ამხ. კაშენი ტანკებისა და შხამიანი გაზების პროდუქცია 5—10 ჯერ გადიდებულია 1914—1918 წლების ომთან შედარებით (იხ. გაზ. „პრავდა" № 131—1931 წ. კაშენის ძოხსენება).

ბურჟუაზიული სახელმწიფოები აშკარად იარაღდებიან და მერე რისთვის. რასაკვირველია, მომავალი ომისათვის, მომავალი ინტერვენციებისათვის, სადაც უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირია მიზანში ამოღებული და მხოლოდ იმისათვის, რომ ის რევოლიუციის უდიდესი პლაცდარმია, რომელიც მათ ხელს უშლის მილიონიანი მასების თავისუფალ ყვლეფაში, მსოფლიოს კოლონიებათ ახალ დანაწილებაში, ძარცვისა და გლეჯის პოლიტიკის წარმოებაში; რასაკვირველია იმისათვის, რომ ის საფუძველს უყრის კაცობრიობის დიდი ნაწილისათვის უჩვეულო ახალ ბედნიერ ცხოვრებას, რასაკვირველია იმისათვის, რომ ის ანხორციელებს სოციალიზმს, ახდენს, კაპიტალისტური ნარჩენების საბოლოო აღმოფხვრას, მათთვის საიმედო დასაყრდენი ძალის, კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციას, ხუთ-წლიანი გეგმის დიადი ენტუზიაზმითა და გმირული ტემპებით განხორციელებას. ყოველივე ეს უდიდესი ლახვარია კაპიტალიზმისათვის, მისი სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხი, ამით აიხსნება სწორედ პროლეტარული დიქტატურის ქვეყნისადმი განსაკუთრებული მტრული დამოკიდებულება.

დამყაყებულ კაპიტალიზმს პროლეტარული დიქტატურის მოსპობით სურს საკუთარი წინააღმდეგობათა ჩიხიდან გამოსვლა, საბჭოთა კავშირის პოლიტიკა კი ისეთია, რომ მას არ ესაჭიროება ომი, რომ ის ერთად-ერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც არ გააჩნია არავითარი მტაცებლური ზრახვები; მაგრამ თუ მშრომელთა პირველი სახელმწიფო მსოფლიოში უნდა „დაისაჯოს" იმისათვის, რომ ის ამავე დროს მსოფლიო მშრომელთა და ჩაგრულთა სამშობლოა, რომ ის დამონებულ ხალხთა და მასების უდიდესი იმედია, დეე ვნახოთ, ვინ დაისჯება – მსოფლიო ბურჟუაზია, თუ პროლეტარიატი, როცა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები, სახელოვანი წითელი არმია და ფლოტი ამხ. ვოროშილოვის თქმის არ იყოს შეუდგება თავის მოვალეობის აღსრულებას, მანამდის კი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა მშვიდობიანობის პოლიტიკაა.

„მშვიდობიანობის ამ პოლიტიკის გატარებას ყოველგვარი ძალებით და ყოველგვარი საშუალებებით ვეცდებით მომავალშიაც. არც ერთი მტკაველი

სხვისი მიწა ჩვენ არ გვინდა, მაგრამ არც ჩვენს მიწას, ჩვენი მიწის არც ერთ გოჯს არავის დავუთმობთ" (სტალინი).

მაგრამ ეს უკანასკნელი არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შეურიგდეთ კაპიტალიზმს, საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის მიზნით არ ვიდგეთ ბრძოლის სადარაჯოზე, არ ვემზადოთ და ვამზადოთ საზოგადოებრივი აზრი თავდაცვისათვის, არ გამოვიყენოთ იდეოლოგიური ბრძოლის იგივე საშუალებები, რა საშუალებებითაც ამზადებს ჩვენს წინააღმდეგ ომს ბურჟუაზიული სამყარო. ამ საშულებათა შორისაა იდეოლოგიური ზემოქმედების ისეთი უდიდესი იარაღი, როგორც მხატვრული ლიტერატურაა.

2

მხატვრული ლიტერატურის საშუალებითაც ამზადებდა კაპიტალისტური სამყარო წარსულში მასებს იმპერიალისტური ომისათვის, ეწეოდა სამშობლოსა და სამხედრო ძლიერების აგიტაციას. ანთებდა შოვინიზმისა და პატრიოტიზმის ცეცხლს. ასეთივე საშუალებებით ამზადებს ბურჟუაზიული ევროპა მომავალი ომისათვის საზოგადოებრივ აზრს. ამ საქმეში ბურჟუაზიას ყავს ათასი მოსყიდული ჟურნალისტი, მწერალი, რომელთა ხროვა ჭორებითა და მატყუარობით აძაგებს საბჭოთა კავშირს, ჰქმნის ომის აპოლოგიას, ომის განწყობილებებს. სამზადისი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ რეაქციონურ, თეთრგვარდიულ ლიტერატურაში, პრესაში დღითი-დღე იზრდება.

ეს უკანასკნელი კი აყენებს საკითხს ჩვენი პრესის, ლიტერატურის, პროლეტარული საზოგადოებრიყობის წინაშე აწარმოოს მტკიცე ბრძოლა თავდაცვისათვის, მსოფლიო მშრომელების იმპერიალისტურ ომის საწინააღმდეგოდ დასარაზმავად, წითელ არმიაზე ყოველგვარი ჭორისა და ცილისწამების გასაფანტავად. წითელი არმია პროლეტარული დიქტატურის ის უმძლავრესი იარაღია, რომლის მუჯლუგუნი მათ არა ერთხელ მოხვედრიათ მწარედ, რევოლიუციის პირველ წლებში ინტერვენტული შემოსევის დროს და შემდეგშიაც წარმოებულ ავანტიურისტულ თავდასხმებისას—როგორც მაგალითად ჩინეთის საზღვარზე უკანასკნელად, სადაც წითელმა არმიამ თავისი დისციპლინით და ბრძოლის უნარიანობით დაანახა მთელ მსოფლიოს რევოლიუციის სამშობლოს გმირული თავდაცვისა და ბრძოლის უნარი.

წითელი არმია, არა მარტო საბჭოთა კავშირის დამცველი არმიაა, არამედ მსოფლიო პროლეტარიატის ინტერნაციონალური ძალაა. წითელი არმია, სოციალიზმის მშენებელი, მუშათა კლასის სისხლი და ხორცია, მისი მონაპოვართა დაცვის უდიდესი ძალაა. ამით აიხსნება ის ზოოლოგიური სიძულვილი, რომელიც განსაკუთრებულად წილად ხვდება მილიტარისტული ლიტერატურიდან, სამხედრო გენერლებისაგან, თეთრ-გვარდიელი ოფიცრებისაგან, ბურჟუაზიული მწერლების და მეორე ინტერნაციონალის ლაქიებისაგან—ჩვენს წითელ არმიას და ფლოტს.

მაგრამ რამდენად ძლიერია იმპერიალისტური ყაჩაღების სიძულვილი წითელი არმიისადმი, იმდენად უსაზღვროა მისდამი სიყვარული საბჭოთა და მსოფლიო მუშათა კლასისა, მსოფლიო და საბჭოთა რევოლიუციონურ პროლეტარულ მწერლებისა. რით შეიძლება ავხსნათ ის გარემოება, რომ მთელ რიგ გერმანელ და სხვა პროლეტარულმა მწერლებმა, საერთაშორისო რევოლიუციონურ მწერალთა ბიუროს შეკითხვაზე, თუ რა პოზიციას დაიჭერენ საბჭოთა

კავშირის წინააღმდეგ ომის დროს, ერთნაირად უპასუხეს—„ვიბრძოლებთ წითელი არმიის რიგებში“.

„მე, პირველყოვლისა, ჯარისკაცი ვარ მსოფლიო პროლეტარიატის წითელი არმიისა,—წერს ამის შესახებ „ომის“ ავტორი ლ. რენნი,—„მე ვერ წარმომიდგენია იმაზე უკეთესი ბედნიერება, ვიდრე წითელი არმიის სანგრები,“—წერს მეორე გერმანული პროლეტარული მწერალი ე. კიში. „მე დაჯილდოებული ვარ წითელი დროშის ორდენით სამოქალაქო ომში ჩემი მუშაობის გამო, შევეცდები მივიღო კიდევ ერთი ასეთი ორდენი გმირობის ნიშნად“,—წერს უნგრელი მწერალი მ. ზალკა.

მტერი იარაღდება, მაგრამ უკან არ რჩებიან მათ რევოლიუციონური პროლეტარიატის საუკეთესო შვილები. „ვიდრე ჩვენ ხვალ იარაღს ავიღებდეთ ხელში, დღესვე და კიდევ დღესვე უნდა მივეჩვიოთ ჩვენი წიგნებით უკეთ სროლას—ვიდრე ამას ვშვებოდით ამდენ ხანს. რამდენად დღეს უფრო უკეთესად ვიმუშავებთ ჩვენს საწერ მანქანებზე, მით უფრო შევსძლებთ მომავალში თოფითა და ტყვიის-მფრქვეველებით მუშაობას,“—ამბობდა გერმანელი პროლეტარული მწერალი ი. ბეხერი, პროლეტარულ და რევოლიუციონურ მწერალთა მეორე მსოფლიო კონფერენციაზე.

კიდევ უკეთესად განსაზღვრავს რევოლიუციონური მწერლების მოვალეობას ამხ. კ. რადეკი, როცა მიმართავს მწერლებს. „ჯერ-ჯერობით ისეა, რომ თქვენი იარაღი—კალამია. ეს იარაღი ერთ გარემოებაში ათას ვინტოვკად ფასობს, რადგან მას ათასი ვინტოვკის მოქმედებაში მოყვანა შეუძლია“.

რევოლიუციონურ-პროლეტარულ მწერლებმა ბურჟუაზიაზე არა-ნაკლებად იციან მხატვრული მწერლობის საშუალებით ბრძოლა, მასების ამოძრავება, იმპერიალისტური ზრახვების გამოაშკარავება, ომის კლასიური შინაარსის გამომჟღავნება, ომზე რომანების წერა. თუ საჭირო იქნა, ბოროტ პამფლეტებზე—პამფლეტებით პასუხის გაცემა, ისე როგორც ეს შესძლო პოლონელ პროლეტარულ მწერალმა ბ. იასენსკიმ, როცა რეაქციონერ მწერალს პოლ-მორანს უპასუხა რომანზე—„მე ვწვავ მოსკოვს“, რევოლიუციონური რომანით „მე ვწვავ პარიზს“. და ბოლოს რევოლიუციონურ მწერლებს შეუძლიანთ თუ საჭირო იქნა, იარაღის ხელში აღება და ბარიკადებზე ბრძოლა.

რით შეიძლება ავხსნათ—თუ არა წითელი არმიისადმი და საბჭოთა კავშირისადმი უერთგულესი სიყვარულით, რომ საბჭოთა კავშირის საუკეთესო პროლეტარული და საბჭოთა მწერლები ჩადგენ ახლახან დაარსებული წითელი არმიისა და ფლოტის ლიტერატურულ გაერთიანებაში (ლოკაფი).

აშკარაა, მუშათა კლასმა და მისი ინტერესების დამცველ მწერლებმა ბურჟუაზიაზე არა ნაკლებად იციან მხატვრული ლიტერატურის ფასი, მისი როლი საზოგადოებრივ აზრის შექმნაში და თავის დროზე კიდეც ჰკიდებენ ხელს მხატვრული მწერლობის საშუალებით თავდაცვის უნარის უზრუნველყოფას, ომის საიდუმლოების გამოაშკარავებას, წითელი არმიის გამხნევებას და მის დიდების შეჰქმნას.

წითელი არმიისა და ფლოტის ლიტერატურული გაერთიანების დაარსება არაა შემთხვევითი მოვლენა, არამედ განსაკუთრებული მდგომარეობით ნაკარნახევი აუცილებლობაა. მაშინ, როცა მთელი საბჭოთა კავშირი ამაგრებს თავის თავდაცვითი უნარს, მხატვრულ ლიტერატურას არ შეუძლია ამ თავდაცვითი მოძრაობის პირველ რიგებში არ იდგეს. ამისათვისაა შექმნილი სწორედ წითელი არმიისა და ფლოტის ლიტერატურული გაერთიანება (ლოკაფი), მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობა და მუშაობა—დამამტკიცებულია, რომ საბჭოთა ლიტერატურის ძირითადი ნაწილი მტკიცედ სდგას სოციალისტური მშენებლობის მხარეზე.

ომის საფრთხის პირობებში თუ ასეთი მუშაობის წარმოება საბჭოთა ლიტერატურისათვის აუცილებელი ვალდებულებაა, სამაგიეროდ, როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული პრესაც არა-ნაკლებ ივალდებულებს თავს წითელი არმიისა და ფლოტის ლიტერატურული გაერთიანების გამო აწარმოოს განგაში და ცილისწამება. ამტკიცოს, თითქოს, საბჭოთა კავშირი წითელ არმიასა და ფლოტში ახდენს მწერლების გაწვევას. აწარმოებს მხატვრული სიტყვის მობილიზაციას იმისათვის, რომ თითქოს ამზადებს ომს „ცივილიზაციის" წინააღმდეგ.

კაპიტალისტური ქვეყნის პრესა, რასაკვირველია, ამით ერთხელ კიდევ ზედმეტად ამტკიცებს ბურჟუაზიასთან სამსახურში თავისი ლაქიობას, მაგრამ ისმება კითხვა, რად გაუკვირდათ ბურჟუაზიულ წრეებს ჩვენში ასეთი ლიტერატურული ორგანიზაციის დაარსება, მაშინ, როცა მათ ქვეყანაში სამხედრო მრეწველობის ყოველ ადგილას სპეციალურად დაქირავებული მწერალი ზის და ჯღაბნის ათასგვარ სისულელეს და სიყალბეს.

ათასობით გამოდის წიგნის ბაზარზე შოვინიზმისა და პატრიოტიზმის მღვრიე წუმპეში ამოსვრილი რომანები და შხამავს ატმოსფერას მომავალი ომის განწყობილებებით. რად უკვირთ, რომ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა და პროლეტარული მწერლები ვალდებულად თვლიან თავს იდგნენ თავდაცვის სადარაჯოზე, სწერონ წითელ არმიაზე, რომელიც ამ თავდაცვის უდიდესი იმედია და ძალა?

რად ეშინია ბურჟუაზიას, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი ფრთხილად ეკიდება ომის საკითხებს, თავდაცვის სამზადისს, რაზმავს ამისათვის საუკეთესო მწერლებს, რომ მათ წერონ ომზე, წითელ არმიაზე—ნუ თუ არა იმისათვის, რომ მათ შეუძლიათ ომის წარმოშობის საიდუმლოების გამხელა?

ბურჟუაზია პატრიოტული და შოვინისტური ნისლით და ბურუსით ფარავს ომის ნამდვილ საიდუმლოებას, ატყუილებს და აბრმავებს მასებს, მაგრამ სხვა დანიშნულება აქვს მხატვრულ მწერლობას ომზე საბჭოთა კავშირში, მან უნდა გამოამჟღავნოს ომის კლასიური სახე, ახადოს მას ნიღაბი, აჩვენოს წითელი არმიის ძლევამოსილება და სხვა. მხატვრული ლიტერატურა კაპიტალთან სამსახურში უდიდესი მოტყვილებისა და დამონავების იარაღია. მძლავრი იარაღია მხატვრული ლიტერატურა მუშათა კლასის ხელშიც ომის წინააღმდეგ საბრძოლველად, საიდანაც აშკარაა ჩვენი ქვეყნისა და ბურჟუაზიულ ლიტერატურის განსხვავება და ფუნქციონალობა.

3

„არასდროს ისე ბევრ ტყუილს არ ამბობენ, როგორც ომის დროს".—უთქვამს ოდესღაც ბისმარკს. ბისმარკის ეს სიტყვები, როგორც არასდროს იმპერიალისტურ ომმა გაამართლა და როგორც არასდროს მომავალი ომის სამზადისში მას ამართლებს ბურჟუაზია და მისი ლიტერატურა.

დაირღვევა ძველი შეხედულებაც იმის შესახებ, რომ როცა ზარბაზნები ქუხან, მუშები სდუმან. ომის მუზები კარგად მუშაობდენ ზარბაზნების ქუხილში და კარგად მუშაობენ დღესაც—როცა ზარბაზნები არ ქუხან, მაგრამ წარმოებს სამზადისი ამ ქუხილისთვის, რასაც, რასაკვირველია, სათანადოთ ხელს

უწყობს ლიტერატურა წარსული ომის აპოლოგიით, პაციფისტური ილიუზიებით ამ სასაკლაოს კოშმარისა და სისხლის უსინდისო სპეკულიაციით.

რა შეიძლება ეწოდოს იმ ლიტერატურას, თუ არა სპეკულიაცია. რომელიც ცდილობს წარსული ომი დახატოს, როგორც აუცილებელი საჭიროება, ან ბრმა ბედისწერა, რომელიც რაღაც გამორკვეული მიზეზებით თავს დაატყდა კაცობრიობას, გადააქცია იგი სასაკლაოდ და სისხლის წვიმების აბანოთ.

კაცობრიობის ისტორიას მრავალი ომი ახსოვს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ გამოუწვევია ომზე იმდენი ლიტერატურა, როგორც უკანასკნელმა ომმა. როგორც არასდროს ევროპის ლიტერატურაში—დღეს ადგილი აქვს სამხედრო რომანების, ომზე საშინელების, ომზე წიგნების წყალდიდობას.

რაშია საქმე? რად შემდგარა კაპიტალისტური ევროპა წარსული სასაკლაოს, სისხლისა და ნგრევის ოცდა ათი მილიონიანი ადამიანთა მსხვერპლის სასაფლაოზე? რად იძლევა ამ მსხვერპლისა და ადამიანთა ძვლებით ბურჟუაზიული ლიტერატურა პატრიოტულ ქადმაღლობას, თუ არა ისევ მომავალი ომისათვის?

ეს არის ლიტერატურა სხვადასხვა ქვეყნის გენერლების, მინისტრების, ჯარისკაცების. მოგონებები, დაკუმენტები. რომანები, როგორც ცნობილია თვით ისეთი მსხვილი ნაწარმოებები, როგორც ბარბიუსის „ცეცხლი". რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლია". დორჟელესის" „ხის ჯვრები", ა. შარევის—„უსამშობლოდ" და სხვა. დაწერილია ომში მონაწილე მწერლებისა და ჯარისკაცებისაგან. ეს ლიტერატურა დღითი-დღე იზრდება, დღითი-დღე ძლიერდება, ერთი მხრით როგორც ომის მილიტარისტული პროპაგანდა, მეორე მხრით როგორც პაციფისტური უილაჯობა. მესამე მხრით როგორც ანტიმილიტარისტული მოძრაობა. არც ისე დიდი ხანია, რაც გამოვიდა, რენის „ომის შემდეგ", იოგანსენის —„სამხედრო მოგონებანი ცხენისა". წიგნი რომელიც მიძღვნილია წარსულ ომში დაღუპულ 9,586,000 ცხენებისადმი. ყველაფერი ეს მაჩვენებელია, თუ რა დიდია ომისადმი ინტერესი ევროპის ლიტერატურაში.

მართალია ჩვენშიაც არა ერთი და ორი მსხვილი ნიწარმოები დაიწერა ომის შესახებ, მაგრამ ევროპის ლიტერატურასთან შედარებით, რასაკვირველია, მცირე, რადგან სამოქალაქო ომისა და რევოლიუციის წლებმა, რომლითაც რუსეთის მუშათა კლასმა ანგარიში გაუსწორა იმპერიალისტურ ომის ყაჩაღებს— შესცვალა ეს საკითხები სამოქალაქო ომისა და სოციალისტური მშენებლობის ინტერესით, მიუხედავად საკმაო რიცხვის ანტიმილიტარისტული ლიტერატურისა, იმპერიალისტური ომი ჯერ კიდევ უცდის ბოლშევიკურ ავტორებს, ლენინურ გაშუქებას. ამას შეასრულებენ უსათუოდ წითელი არმიისა და ფლოტის ლიტერატურული გაერთიანების მწერლები.

საინტერესოა ვიცოდეთ მაინც, რას წარმოადგენს ის ლიტერატურა, რომელიც ომის საკითხებს ეხება. უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია შოვინისტურ, მილიტარისტულ იდეების პროპაგანდას. უამრავ ნაწარმოებში ისეთი მწერლები, როგორიცაა პოლ-მორანი, ლ. დოდე, მაკ. ორლანი, ე. უნგერი, ბურხი და სხვა იძლევიან ომის გმირობის აპოლოგიას, რევანშის ან ახალი ომის იდეიას, მაგრამ ყველაზე მეტად ეს ლიტერატურა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაა მიმართული, ლაფს ასხამს სოციალისტურ მშენებლობას, წითელ არმიას, ბოლშევიზმს.

ძირითადი დანიშნულება ამ ლიტერატურისა იმაში მდგომარეობს, რომ დაფაროს წარსული ომის ნამდვილი სახე, გააღვივოს ომის ახალი პსიხოზი, ახალი ომის დაწყების ინტერესი.

არ ყოფილა არასდროს ისეთი შემთხვევა, რომ ბურჟუაზია მოსახლეობის ფართე მასებს ნამდვილად აცნობდეს თავის კლასიურ ინტერესებს, ამ ინტერესებით ნაკარნახევ პოლიტიკას. იგი მატყუარობისა და გაიძვერობის გზით ყვლეფს და აბრიყვებს მშრომელ მასებს, ამიტომ რა გასაკვირია რომ ბურჟუაზიულ მწერლებმაც დაფარონ ომის შავი სახე.

ცხადია, ბურჟუაზიას არ შეუძლია ასე არ მოიქცეს, მას არ შეუძლია ულალატოს საკუთარ თავს, არ შეუძლია არ დაიცვას მოტყუილებისა და გაიძვერობის პრინციპი, რომლის შესახებ ოდესღაც ფრიდრიხ მეფეს საუკეთესოდ უთქვამს: „ჩვენმა ჯარისკაცებმა რომ ნამდვილად იცოდენ, თუ რისთვის ვომობთ, ჩვენთვის მაშინ არც ერთი ომის წარმოება არ იქნებოდა შესაძლებელი“.

ამ პრიცნიპს იცავდენ იმერიალისტურ ომში ყველა სახელმწიფოები, როცა ადამიანთა უამრავ ურდოებს ბრმად აჯახებდენ ერთმანეთს, ახჩობდენ სისხლში, წამლავდენ გაზებით, ფლეთავდენ ყუმბარებით და ტანკებით.

იცოდა განა ჯარის კაცის რუხ ფარაჯაში გამოხვეულ—პატრიოტიზმითა და შოვინიზმით გაღიზიანებულ გერმანელ მუშამ და გლეხმა, თუ რისთვის ებრძოდა იგი მასავით რუხ ფარაჯაში გამოხვეულ რუს, მუშას და გლეხს, ანდა პირიქით?

რასაკვირველია არა.

„ომის გამოცხადების შემდეგაც კი რუსეთის შუა ადგილებიდან წვეულებსაც წარმოდგენა არ ქონდათ, თუ რა ომი დაატყდათ მათ თავზე. რამდენჯერ შევკითხივარ სანგრებში, თუ რისთვის ვიბრძოდით ჩვენ და თითქმის პასუხად ვიღებდი ყოველთვის, რომ იქ ვიღაც „ერც-გერც-პერცი“ მოკლული იქნა თავისი ცოლით, მერე ავსტრიელებმა აწყენინეს სერბიელებს. მაგრამ ვინ იყვნენ ეს სერბიელები, თითქმის არავინ არ იცოდა, თუ ვინ იყვნენ სლავიანები, ესეც სიბნელით იყო მოცული, მაგრამ თუ რად ებრძოდენ გერმანელები სერბიელებს, სრულიად უცნობი იყო. გამოდიოდა, რომ ადამიანები მიყავდათ სასაკლაოზე და არავინ იცოდა რისთვის, ე. ი. მეფის კაპრიზისათვის“—წერს თავის მოგონებაში 14—18 წლის იმპერიალისტური ომის შესახებ მეფის ყოფილი გენერალი ა. ბრუსილოვი („Мои воспоминания“. Гиз. 1930 წ.).

ომის წარმოშობის ნამდვილ საიდუმლოებას მხოლოთ ლენინიზმი, საბჭოთა კავშირი, კომუნისტური ინტერნაციონალი—უხსნის მსოფლიოს მშრომელ მასებს. „ჩვენ შეგვიძლია ომის წარმოება იმისთვის—ამბობდა ამხ. ლენინი სამოქალაქო ომის დროს, რომ მასებმა იციან, რისთვის იბრძვიან და რისთვის სურთ ბრძოლა“. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა იცის სიმართლე, ამიტომაც კარგად იცის, თუ რას აკეთებს და რისთვის იბრძვის. სიმართლე თხოულობს სითამამეს, ილიუზიების უარყოფას, ამიტომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკა, მისი ლიტერატურა არ იფარებს სახეზე მატყუარობის ნიღაბს, არ ეხვევა ილიუზიების ნისლში ისე, როგორც ამას სჩადის პაციფისტური ილიუზიების ის ლიტერატურა, რომელმაც სრულიად სამართლიანად ამ უკანასკნელ ხანებში პაციფისტური უილაჯობის ერთ თავის მსხვილ წარმომადგენლის—ე. რემარკის სახელწოდებაც მიიღო.

ესაა ბურჟუაზიული საქმის სამსახურში შესული უცუდესი სახის პაციფიზმი—რემარქიზმი. პაციფიზმი წვრილ-ბურჟუაზიულ წვირტლიანობისა და ლაქიობის უძლიერესი გამოხატულებაა, იგი სოციალფაშისტური მეორე ინტერნაციონალის თეორია და პრაქტიკაა, მშიშარა წვრილი ბურჟუას თეორია, დამპალი

ოპორტიუნიზმის ის სახეობა, რომლითაც ბურჟუაზია მოხერხებულად მალავს ომის სამზადის.

პაციფიზმი ბურჟუაზიის დროშაა, მატყუარობისა და პირფერობის მოხერხებული ნიღაბი. „დამახასიათებელი თვისება იმპერიალისტური პოლიტიკისა გაორებაში მდგომარეობს: სიტყვით პაციფიზმი — მშვიდობიანობის ძიება, საქმით — ომისადმი სამზადისი, ყველაზე აშკარა ყაჩაღური პოლიტიკა და პრაქტიკა“ („გაზ. პრავდა № 317. 1630 წ.).

ასეთივეა პაციფისტური ლიტერატურის დანიშნულება და შედეგიც: სიტყვით იგი ომის წინააღმდეგაა, მაგრამ ობიექტიურად მომავალი ომის ხელისშემწყობი ძალა — პაციფისტური ლიტერატურა სიყალბისა და სიცრუის უსაძაგლესი მოვლენაა. იგი მოჩვენებითი პროტესტია ომის საშინელების წინააღმოეგ. მაგრამ ამავე დროს ომის ნამდვილი ბუნების გამომჟღავნებაში და მის წინააღმდეგ ბრძოლაში უმოქმედობისა და უიმედობის წყარო.

პაციფიზმი არა რევოლიუციონური პროტესტია ომის წინააღმდეგ, არამედ იდეურ-მორალური კაპიტულიაცია მომავალი ომის წინაშე, ფატალისტური აღიარება იმისა, რომ ომი საშინელი და კოშმარული უბედურებაა, მაგრამ ამავე დროს აუცილებლობა.

4.

იმპერიალისტური ომის საშინელება იმდენად შემაძრწუნებელი იყო თავისი შედეგებით, რომ არ დარჩა თითქმის ჩვენი თანამედროვეების არც ერთი დიდი და პატარა მწერალი, რომ არ აეწერა ომის საშინელება. ბევრმა ეს საქმე დიდი რეალისტური სიცხადით და რევოლიუციონური გამბედაობით შესძლო, (მაგ. ბარბიუსმა, ბეხერმა და სხვ.), ბევრმა ყოველგვარი სიყალბის გარეშე შოვინისტურ ღორობას, ომის რომანტიულ აპოლოგიას მიყო ხელი. ბევრმა გუმანისტური კაცთმოყვარეობის სახელით დაიწყო გაუბედავი ჩიფჩიფი. განსაკუთრებით წვრილბურჟუაზიული მწერლობის დიდი ფენები ამოეფარენ გუმანიზმისა და უსახო ობიექტივიზმის ფარდას. ისინი უსაშინელესად ხატავენ ომის ველურ სახეს. მაგრამ იქ, სადაც საკითხი დგება პოლიტიკური დასკვნების გამოტანაში — უილაჯობისა და უმოქმედობის ჭაობში ეფლობიან, კანკალებენ, პაციფისტური შიშით „ტენდენციურობის“ წინაშე, რითაც, რასაკვირველია, ანიარაღებენ თავიანთ თავს და ჰქმნიან თავიანთ ნაწარმოებით მხოლოდ და მხოლოდ ომის კოშმარების ნიჭიერ ხუხულას.

ასეთი ლიტერატურის რიგს ეკუთვნის სწორედ ე. რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“, დორ ჟალესის „ხის ჯვრები“, „მკვდრების აჯანყება“ ჟ. დუამელის „ცივილიზაცია“. პაციფისტური ნაწარმოებების ზღვა ლიტერატურიდან გამოირჩევა თავის მხატვრული სიძლიერით და პაციფისტური ხასიათით ე. რემარკის წიგნი „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“.

ამ წიგნით. ე. რემარკმა მოიხვეჭა მსოფლიო სახელი, იგი გავრცელდა ორი მილიონი ტირაჟით და მის ავტორსაც არა მცირე მოგება ერგო. მერე რისთვის? რასაკვირველია იმისათვის, რომ მან ნიჭიერად შესძლო ომის საშინელებით სპეკულიაცია. იმის შიშით, რომ ეს წიგნი არ გამხდარიყო მუშათა კლასის ხელში კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრალმდებელო აქტი — რემარკმა წაუმძღვარა ეპიგრაფი, რომელშიაც წერია: „ეს წიგნი არ წარმოადგენს არც ბრალდებას და არც ალსარებას, იგი მხოლოდ ცდაა მოუთხროს იმ თაობის შესახებ, რომელიც განა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგურებული იქნა ომში". ამის გარდა რემარკს, რასაკვირველია არაფერი აინტერესებს.

იგი არ არღვევს ბურჟუაზიული ობიექტივიზმისა და პაციფისტური მშიშარობის ფარგლებს, ამითვე აიხსნება ამ რომანის გამარჯვება. ბურჟუაზიამ მიიღო ეს ნაწარმოები, რადგან მასში დაინახა ომის დაცვა.

რემარკის ეს წიგნი არ მოუწოდებს ომის წინააღმდეგ, არამედ პირიქით აღვივებს მომავალი სისხლის წყურვილს, მისტიურ დაჯერებას ომის აუცილებლობაში. რემარკის ეს წიგნი არაა პროტესტი ომის წინააღმდეგ, არც მისი კრიტიკა, არამედ ომში მებრძოლ ადამიანთა მონური მორჩილების დიდება. იგი არაა ომის გმირების პათეთიკა, არამედ მორჩილებისა და ტანჯვასთან შეგუების აპოლოგიაა. ამაშია ამ წიგნის საიდუმლოება, მაგრამ ამავე დროს ნიშანი იმისა, რომ წვრილი ბურჟუა, გუმანისტური ინტელიგენცია ურიგდება მომავალი ომის იდეიას.

ე. რემარკის შემოქმედებითი მეთოდი — უშუალო შთაბეჭდილების და პოლიტიკური უნიათობის მეთოდია. ეს წვრილი ბურჟუას მეთოდია, რომელიც დაბნეულია და ბურჟუაზიის რეაქციონური იდეოლოგიით დამონებული.

ამიტომაცაა კიდეც ეს რომანი, მავნებელია იგი ა. ბარბიუსის თქმის არ იყოს აშკარა „კონტრევოლიუციონური პროპაგანდის წიგნია", რომელიც წამლავს მილიონიან მასებს ომის ფატალისტური გაგების შხამით. ამაშია რემარკიზმის საშიშროებაც. რემარკიზმი ანტიპროლეტარული პაციფისტური ნეიტრალიზაციის იდეოლოგიაა, მილიტარისტული განწყობილების აგენტურა. ამიტომ რემარკიზმის ყოველგვარ გავლენას მსოფლიო ლიტერატურაში მარქსისტულ-ლენინურ კრიტიკამ სასტიკად უნდა ებრძოლოს.

თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ე. რემარკმა არც ერთხელ არ უპასუხა მსოფლიო რევოლიუციონურ მწერალთა კავშირის შეკითხვას, თუ რას იზამს იგი საბჭოთა კავშირის წინააღიდეგ ომის დროს—სამართლიანად. დაიმსახურა რეაქციონურ მწერლის სახელი.

რემარკი დროშაა მშიშარა და გაქსუებული ინტელიგენციისა, რომელიც „გუმანიზმზე" და „ცივილიზაციაზე" გაჰყვირის, მაგრამ საქმით ხელს უწყობს ცივილიზაციისა და გუმანიზმის საწინააღმდეგო შავ და ბოროტ ზრახვებს. რით ჰგავს იგი ამ შემთხვევაში სხვა თავის თანამოძმეებს, რომლებიც მართალია რემარკივით შორს დგანან მუშათა კლასისაგან და მისი იდეოლოგიისაგან, მაგრამ მაინც ვალდებულად სთვლიან თავს გამოეხმაურონ რევოლიციონურ მწერლებს, ერთად-ერთ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს დასაცავად.

მდგომარეობა როდია ისე, რომ საბჭოთა კავშირი კაცობრიობის საუკეთესო მწერლების ყურადღებას არ იპყრობდეს. განა შეიძლება თქმა, რომ პროლეტარული დიქტატურის ქვეყანა უდიდეს ზეგავლენას და ძვრებს არ იწვევს ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ მწერალთა ფენებში. მაშ რით შეიძლება ავხსნათ ის გარემოება, რომ მთელი რიგი სახელოვანი მწერლები უშიშრად და აშკარად უარყოფენ თავიანთ წარსულსაც და საბჭოთა კავშირის დამცველ ძალთა რიგებში დგებიან.

ესენი არიან სწორედ ის მწერლები, რომელთაც არ დაუკარგავთ უნარი ფაქტების ობიექტიური გაგებისა. ადამიანები,—რომლებიც ერიდებიან გახდენ კალმის უსინიდისო ყაჩაღები, ბევრ მათგანს ცუდად ესმის ომის რეალური საშიშროება. მისი მაშტაბი და კლასიური ხასიათი მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ სოციალიზმის მშენებელი ქვეყანა ბურჟუაზიულ საზოგადოებრივობიდან

დღითი-დღე იძენს გულწრფელ მეგობრებს და ისეთ დამცველებს, რომელთა შორის არიან რომენ როლანი, ეპტონ სინკლერი, ტეოდორ დრაიზერი, ჯონ გელსუორსი; პასოსი, სტეფან ცვეიგი, ჯეიმ ტული და სხვა მრავალი მწერალი.

„ჩვენ ვერ მოვითმენთ, რომ რელიგიისა და უფლების, ცივილიზაციისა და გუმანობის ცბიერობის ნიღაბით ყველაზე საძაგელი რეაქციამ ოქროსა და ხიშტის, კომბალისა და პაპის ტიარის რეაქციამ გამოიყენოს ჩვენი დასავლეთი და შეეცადოს დააჯახოს ჩვენი ხალხები რუსეთის რევოლიუციის უდიდეს ხალხებს“— წერს საბჭოთა კავშირის მოსალოდნელ თავდასხმის შესახებ რომენ როლანი.

„თუ გუშინ მე ვამბობდი—ხელები შორს სიბჭოთა კავშირიდან, დღეს მე ვყვირი, ყველა ხელები საბჭოთა კავშირის დასაცავად“—აცხადებს საკმაოდ ცნობილი პაციფისტური რომანის („დაბადების წელი 1902 წ.“) ავტორი ერნესტ გლეზერი.

„მე ვთვლი კაცობრიობის ისტორიაში საბჭოთა კავშირს უდიდეს მოვლენად — წერს ამერიკელი რომანტისტი დ. ტული უდიდეს მოძრაობად ჩაგრულთა ცხოვრების საკეთილდღეოდ, ამიტომ ბუნებრივია — არ შემიძლია არ დავდგე საბჭოთა კავშირის მხარეზე. თუ მომაკვდავ იმპერიალიზმა ომი გამოუცხადა მას.“

ასე წერენ და იცავენ საბჭოთა კავშირს ბურჟუაზიულ საზოგადოების მწერლებიც, რომელთაც არ დაუკარგავთ სიმართლისადმი სიყვარული და სინიდისი.

მხოლოდ ე. რემარკს ომისა და სისხლის ხარჯზე გამდიდრებულს არ შეუძლია უღალატოს თავის ჯიბეს და სხვა მასავით გაბღენძილ და რეაქციონურ მწერლებთან ერთად დუმილი არჩიეს საბჭოთა კავშირის შესახებ, რას ნიშნავს ასეთი დუმილი, ნუთუ იმას, რომ რემარკი, რომელმაც საკმაო სიძლიერიდ გვაჩვენა ომის საშინელება ერთხელაც არ ჩაფიქრებულა „ომის წარმოშობის საიდუმლოებაზე“, იმაზე, თუ რად დაიხოცენ და რად ჩაწვენ სამარეში მილიონი ადამიანები.

აშკარაა, რემარკმა ჯ. რადეკის კითხვის არ იყოს მართლაც იმისთვის გააცოცხლა ომის სინამდვილე, რომ დახოცილ ადამიანთა სისხლის ხარჯზე მიეღო რენტა. რემარკი პაციფისტური სიყალბის სტილია. არა ერთი და ორი რეაქციონური მწერალი იქცევა რემარკივით. არა ერთი და ორი წიგნი იწერება და დაწერილია რემარკიზმის სტილზე. ასეთია დორ-ჟალესის—„ხის ჯვრები“, ლ. ფრანკის—„ადამიანი კეთილია“—გ. უელსის „მისტერ ბრიტლინგი და ომი“, ჟ. დუამელის—„ცივილიზაცია“ და სხვა.

დამახასიათებელია ამ ლიტერატურისათვის მაგალითად ჟ. დუამელის „ცივილიზაციის“ ასეთი დასასრული. „სადღაა ცივილიზაცია? იგი არ არსებობს ადამიანთა გულში და მაშასადიმე არცაა იგი არსად“. პაციფიზმისადმი უილაჯობით დავრდომილ მწერალს, აშკარაა, არ შეუძლია იცოდეს, თუ სადაა ნამდვილი ცივილიზაცია, სადა გარყვნილი და სისხლიანი ბურჟუაზიული ცივილიზაციიდან ხსნა.

ეს მხოლოდ იმ მწერლებმა იციან, რომელთაც გარკვეულად ესმით კაპიტალისტური ომის კლასიური შინაარსი, ლენინიზმი. იმპერიალისტური ომისადმი სამოქალაქო ომით დაპირდაპირება. ამიტომაც მათი ნაწარმოები ანტი-იმპერიალისტური, ანტი-რემარკისტული ლიტერატურაა. ამ ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშებია ჰანრი ბარბიუსის „ცეცხლი“—ერთი საუკეთესო ანტიშოვინისტური რომანი ომზე. ი. ბეხერის „ლუიზიტა“ ლ. რენის „ომის შემდეგ“ ბ. ილეშის „ტისა იწვის“, მ. ზალკას „პოემა—ზავზე“. ხაშეკის ანტი-სამხედრო პამფლეტი, „შვეიკის თავგადასავალი“, ა. შარერის „უსამშობლოთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით საყურადღებოა თავის ანტი-რემარკისტული შინაარსით ადამ შარერის რომანი „უსამშობლოთ“ ა. შარერი გერმანელი მუშაა, რომელსაც საკუთარ ტყავზე გამოუცდია კაპიტალისტური სისტემის სიმწვავე, უმუშევრობა, უსახლკარობა, იმპერიალისტური ომის საშინელება.

თავის წიგნში ა. შარერი ყოველგვარი პაციფისტური ობიექტივიზმისა და თეატრალობის გარეშე, იძლევა ომის გაშიშვლებულ სინამდვილეს. ხდის მას ნიღაბს, ყვება ომის კოშმარულ ამბებს „ოდნავ პერანგით დაფარულ სისხლისა და წელების, უსაძაგლესი სუნის შესახებ, რომელიც პროტესტის სახით მკვდრებს უდიოდა“.

შარერი არ იძლევა ფაქტების ფიქსაციას, არამედ ახდენს ფაქტების პროლეტარულ ტრაქტოვკას და კომუნისტური დასკვნები გამოყავს. ავტორს კომუნისტურად ესმის იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის იდეია. ამითაა საინტერესო შარერის ეს რომანი, მაგრამ უფრო საინტერესოა ის ცნობები, თუ როგორ და რა პირობებშია დაწერილი მუშა ავტორის ეს პირველი რომანი ომზე.

„მე ორმოცზე მეტი წლისა ვარ და იმ მილიონ „ზედმეტთა“ რიცხვს ვეკუთვნი, რომელთაც „თავისუფალი“ გერმანეთის რესპუბლიკის კანონების მიხედვით არა აქვს უფლება ილაპარაკოს იმის შესახებ,—რომ შიმშილობენ, რადგან ეს სახელმწიფოს და მის მესვეურთა დამცირება იქნება. მე ხშირად მთელ საათობით მიხდებოდა ჯდომა ბაღებში ჩემსავით უმუშევარ ამხანაგებთან ერთად და იმის კითხვა, თუ როგორ ამართლებდენ ბურჟუაზიული მწერლები იმპერიალისტური ომის, მასიური მკვლელობის მოწყობას. ომზე ყოველი ახალი წიგნის წაკითხვის შემდეგ, მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ეს მწერლები იგებდენ ამ ომზე, რომ მათ დაავალა ბურჟუაზიამ თავისი დანაშაულის გამართლება. აქედან წარმოსდგება ლეგენდა მილიონი ეკზემპლიარებით გავრცელებული. რომ ომი ბედისწერა იყო, ლეგენდა რომლისათვის ყველაზე მეტი ქება-დიდება „დასავლეთის ფრონტი უცვლელიას“ ავტორს ერგო, რადგან მან ცხადად ეჩვენა მასიური სასაკლაო, მაგრამ ისე, რომ არავითარი დასკვნები და ბრალდებები არ წამოაყენა. ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვისაგან ქება, აშკარაა იმ განსაკუთრებულ ლაჩრებს ხვდება, რომლებმაც არ უნდა დაინახონ დახოცილთა და დასახიჩრებულთა მილიონები, ვინაიდან ისინი ფულის ტომრის მსხვერპლი არიან“—წერს თავის ავტობიოგრაფიულ წერილში ა. შარერი. („О себе роман-газета“, 1931 წ.).

კლასიური შურისძიების და ომზე სიმართლის თქმის გრძნობით ა. შარერი წერს რემარკის საწინააღმდეგო რომანს—„უსამშობლო“. მე მოვეწყვე ბაღში, რომელიც დამითმო ერთმა მუშამ და იქ დავწერე „უსამშობლო“, წერს იგი თავის წერილში.

შარერის წიგნი ეს რემარკიზმის კრიტიკაა კომუნისტური შემოქმედებით, იგი პარტიულათ გამართლებული რომანია. ანტი-იმპერიალისტური ლიტერატურის ნიმუშებია: ა. პულაილის — „ზავი ჩამოგდებულია“. — შინ დაბრუნებულ დატილიანებულ და დასახიჩრებულ ჯარისკაცებს ბურჟუაზია უმართავს ძვიოფას შეხვედრებს, რომ ამით თვალი აუხვიოს ქვეყნის სიმშილზე და განადგურებაზე. ს. ბერჟეს წიგნი—„იმ დროს, როცა ის ომობს“ — ბრძოლის ველზე ათასობით იხოცებიან ჯარისკაცები, ამ დროს ფრანგი ბურჟუა ლიბერალები პატრიოტული ლაყბობისათვის იღებენ გმირობის ორდენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსულ ლიტერატურაში, ისე როგორც დასავლეთ ევროპის მწერლობაში ომის პერიოდში ადგილი ქონდა შოვინისტურ ყალთაბანდობის უამრავ ნიმუშებს, იწერებოდა უამრავი ცრუ-პატრიოტული ლექსები და მისტიური რომანები (ლ. ანდრეევის „წითელი სიცილი", ე. ჩირიკოვის „ომის გამოძახილი" და სხვ.). ყვაოდა ბოლვარული კოზმა კრუჩკოვშინა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთის მუშათა კლასმა იმპერიალისტური ომი თავისი ქვეყნის შიგნით, რევოლიუციად და სამოქალაქო ომად გადააქცია, ლიტერატურა იმპერიალისტურ ომზე შენელდა, ის უმთავრესად გადაიქცია რევოლიუციისა და სამოქალაქო ომების მწერლობად, ამით აიხსნება დასავლეთ ევროპის უფრო ძლიერი ლიტერატურა იმპერიალისტურ ომზე, რუსეთში კი პირიქით სამოქალაქო ომზე.

მთელი რიგი საუკეთესო ნიმუშები რევოლიუციის შემდგომი პერიოდის რუსული ლიტერატურისა სამოქალაქო ომის პერიოდს ეხება.

რუსეთის რევოლიუცია თავისი მოძრაობით, თავისი შინაარსით იმდენად დიდ, გრანდიოზულ მოვლენას წარმოადგენს, იმდენად დიდი, რთული და მძიმე იყო ის ბრძოლები, რომელიც პროლეტარიატმა ოქტომბრის დღეებიდან დაწყებული სამოქალაქო ომის დასრულებამდე გადაიტანა — რომ მხატვრულ ლიტერატურასაც არ შეეძლო დროებით არ მიეგვიწყა იმპერიალისტური ომი და უშუალო მონაწილეობა არ მიეღო მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ პროცესში, ამით აიხსნება რუსულ ლიტერატურაში სამოქალაქო ომზე, ინტერვენციაზე მწერლობის სიძლიერე. ამ მწერლობის ობიექტს წარმოადგენდა აჯანყებული მუშათა კლასი, პარტიზანშჩინა, წითელი არმია, ფლოტი, ბოლშევიკური კომისრები და სხვა.

რამდენად ოქტომბრის რევოლიუცია იყო იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა და რამდენიმე წლების განმავლობაში სამოქალაქო ომის ბარიკადები და ზარბაზნების გრიალი არ შეწყვეტილა, იმდენად მხატვრულ ლიტერატურაში ადგილი იპოვა სამოქალაქო ომის გრანდიოზული პროცესების ეპოპეამ.

რუსეთის მუშათა კლასმა რემარკიზმის უიმედობის ფილოსოფია პრაქტიკულად გააქარწყლა ბოლშევიკური რევოლიუციით და ნიადაგი გამოაცალა მწერლობაში პაციფისტურ ილიუზიებს და ქიმერებს, მაგრამ იმ დიდ უზარმაზარ ლიტერატურაში, რომელიც სამოქალაქო ომმა გამოიწვია, ძლიერ ბევრი რამ საეჭვოა, სამოქალაქო ომის, რევოლიუციის, წითელი არმიის, კომუნისტური პარტიის სწორედ გაგებისა და გადაჭრის თვალსაზრისით.

ამ მხრივ განსაკუთრებით სადაოა და იდეოლოგიურად მიუღებელი ის ნაწარმოები, რომელიც დაწერილია მოთანამგზავრო მწერლების მიერ. მათ ნაწარმოებებში სამოქალაქო ომი ბევრ შემთხვევაში გაგებულია, როგორც სტიქია, პროლეტარული პარტიზანშჩინა, როგორც ანარქიზმი. არ სჩანს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი და სხვ. (ბ. პილნიაკის „შიშველი წელი", ვ. ივანოვის „პარტიზანები" და სხვა).

ამავე საკითხებზე დაწერილია მთელი რიგი ნაწარმოებები პროლეტარული მწერლების მიერ და ბევრი მათ შორის საყურადღებოა. ასეთია ა. სერაფიმოვიჩის „რკინის ნიაღვარი", დ. ფურმანოვის „ჩაპაევი", ფადეევის „განადგურება", ი. ლიბედინსკის „შვიდი დღე" და სხვა.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზულ მიღწევებთან და მომავალი ინტერვენციის საფრთხესთან დაკავშირებით ამ უკანასკნელ დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა და პროლეტარულ ლიტერატურაში ისევ ძლიერდება ინტერესი სამოქალაქო და იმპერიალისტური ომისადმი, იწერება მრავალი სამხედრო რომანი, მოთხრობა იმპერიალისტურ ომზე, წითელ არმიაზე და ფლოტზე. ფართედ იშლება ლოკაფის მუშაობა.

ქართულ ლიტერატურაში სადაც წარსულში გაბატონებული იყო თავადაზნაურული იდეოლოგია, მსოფლიო ომის პერიოდში არ შეიძლებოდა ადგილი არ ქონოდა მეფისა და სამშობლოს დაცვის პატრიოტულ ვაკხანალიას. ცნობილია, მაგალითად, რომ ომს ლექსი უძღვნა უკვე მოხუცებულ მწერალმა — ვაჟა-ფშაველამ.

თუ გადავათვალიერებთ იმ დროინდელ ქართულ პრესასა და მწერლობას დავინახავთ, რომ ქართული პრესა და მწერლობა პატრიოტიზმისა და ოპორტუნიზმის ხავსითაა მოცული.

დაწყებული ფედერალისტების „სახალხო საქმეთი", ეროვნულ-დემოკრატების „საქართველოთი" და გათავებული მენშევიკების „თანამედროვე აზრით" — ყველაფერი აჭრელებულია პატრიოტული ლექსებით, სანტიმენტალური სლოკინით, ომის გმირების სურათებით.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა სოციალ-დემოკრატიის ოფიციალური მწერლობა. „თანამედროვე აზრი" სავსეა დემოკრატიული პოეტების ოპორტუნისტული ლექსებით. მენშევიკურ მწერლებს და ჟურნალისტებს რომ იმპერიალისტურ ომზე პაციფისტური ლექსები და წერილები ეწერათ რა გასაკვირია, როცა ომისა და სამშობლოს დაცვის პრინციპს მხარს უჭერდა „ობორონცული" პოზიციით საქართველოს მენშევიკების ბელადი ჟორდანია.

ნეიტრალიტეტის და „ობორონცობის" პოზიცია ეჭირათ მენშევიკების სხვა ცნობილ პუბლიცისტებსაც, მაგალითად გაზ. „თანამედროვე აზრში" სისტემატიურად იბეჭდებოდა ს. დევდარიანის წერილები („ომი და ლიტერატურა"), რაც ომზე რუსული ლიტერატურის მშრალ ჟურნალისტურ, ნეიტრალურ მიმოხილვას წარმოადგენდა.

უფრო უბადრუკ და ურეაქციონერეს ფილოსოფიამდის მივიდა ომის საკითხში ქართული ინტელიგენციის ზოგიერთი მოფილისტერო პუბლიცისტი, მაგალითად გ. ქიქოძე, რომელიც ომის აშკარა აპოლოგიას ანვითარებდა. წერდა ისეთ ამბებს, რომლის მიხედვით გამოდიოდა, რომ ომი წარმოებდა არა კაპიტალის მიერ მსოფლიო ძარცვა-გლეჯვის მიზნით, არამედ კაცობრიობის რაღაც გაჯანსაღებისათვის, რომ იმპერიალისტური ომი თითქოს არა კაპიტალისტური ომი იყო, არამედ ეროვნული, რასიული, „შეცდომაა — წერდა იგი, თითქო იმპერიალიზმი კაპიტალისტური საზოგადოების შვილი იყოს" („ეროვნული ენერგია").

ამ ნაციონალისტურ შარლატანობას ის ფასი ჰქონდა, რომ ქართული წვრილფეხა, ინტელიგენცია თავს იკმაყოფილებდა ეროვნულ ენერგიაზე, რასიულობაზე, „ეროვნულ ინსტინქტების აჯანყებაზე" ლაყბობით, ამ უმიზნო და მავნე ლაყბობის ნიმუშია, თუნდაც ასეთი მოსაზრებები: „ომი საუკეთესო საშუალებაა სოციალური შერჩევისა, თანასწორ პირობებში ის ხალხი იმარჯვებს, რომლის წევრები ნაკლებ ეგოიზმს იჩენენ და მეტ თავგანწირულობას დიდ ეროვნულ მიზნების მიხწევაში ნაკლებ პარტიკულიარიზმს და მეტ დისციპლინას მოქმედებასა და ბრძოლაში" („ეროვნული ენერგია").

ქართველი მწერლობის სამშობლოსა და მეფის დაცვის ეს ტენდენცია შემდეგში — მენშევიკური ბატონობის პერიოდში გადაიქცა საკუთარი იმპერიალი-

ლტური საქართველოს საზღვრების გადიდების იდეოლოგიათ (ვ. ჯუღელი „მძიმე ჯვარი“, ცისფერ ყანწების პოლიტიკური პლატფორმა „ჩვენ ვართ პირველი ქართველი იმპერიალისტები“ და სხ.). და მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ იქნა შესაძლებელი ამ ილიუზიების გაქარწყლება და როგორც პრესაში ისე ლიტერატურაში იმპერიალისტური ომისა და მენშევიკების მოქმედების კრიტიკა.

ქართულ ნაციონალისტურ მწერლობას ყოველთვის ამოძრავებდა საკუთარი საზღვრების გაფართოვების იდეია; ჯერ კიდევ 1915 წელს გაზ. „საქართველო“-ში, რომელიც ყველაზე მეტად აღვივებდა ნაციონალისტურ გრძნობებს — ტ. ტაბიძე წერდა: („ომი ქართულ მწერლობაში“) „მე-20 საუკუნის საქართველოს, თამარ მეფის იმპერიალისტურ ეპოქის მომღერალი, რუსთაველის მწველი, იმედიანი სიმღერა ჩვენში ჯერ არ ჩაფერფლილა“ და სხვა. ამ ხაზით წავიდა შემდეგში მენშევიკური ბანდიტიზმი, მაგრამ მენშევიკური ბატონობის მოსპობის შემდეგაც ქართულ პოეზიაში არა ერთხელ გაისმა მგსავსი დონ-კიხოტობის ანგები, ამისი ნიმუშია თუნდაც პ. იაშვილის ლექსი (პავლე ინგოროყვას).

„ძმა ინგოროყო, ჩვენება არი
და ტკბილის ტანჯვით მოსაგონები:
მწველ ინდოსტანში ქართული ჯარი
და ტრაპეზუნდში გარნიზონები.

. . . . . .

ძმა ინგოროყო, პოეტო ადრე
და მერე დარდო წარსულ დიდების,
გულს პოეზიის იჭვები ანგრევს
და სისხლს — დაპყრობა პირამიდების“.

რამდენად საქართველოც არ დარჩენილა იმპერიალისტური ომის სუსხის გარეშე, იმდენად მხატვრულ მწერლობას არ შეეძლო გვერდი აევლო ამ მოვლენისათვის. მიუხედავათ ამისა ქართულ ლიტერატურაში მსოფლიო ომზე, ინტერვენციაზე, წითელ არმიაზე, ერთი ხეირიანი ნაწარმოებიც არ არსებობს.

ყურადღებას იპყრობს მხოლოდ მ. ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშა“ და გაკვრით ზოგიერთ მოთხრობებში ინტერვენციის ისტორიიდან, ისეთი ამბები, რომელიც ინგლისელების თბილისში ყოფნას ეხება, როცა თბილისის მთავარ ქუჩებზე ინგლისელები ნიფხვებს ჰკიდებდენ და მენშევიკურ მთავრობას დელეგაციების საშუალებით უხდებოდა თხოვნა, რომ ჩამოეხსნათ. კარგადაა მოთხრობილი ასეთი ფაქტიური ამბები მაგ. რ. გვეტაძეს „თეოში“.

კარგადაა აღწერილი ალ. ქუთათელის ახალ რომანში „განთიადის წინ“ შამხორში სამოქალაქო ბრძოლების ისტორია. სამოქალაქო ომის საკითხებს ეხება დ. შენგელაიას „ჯავშნოსანი მატარებელი“.

მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდი დიდ მასალას იძლევა ომისა და ინტერვენციის საკითხებზე, დღემდე არც ერთ პროლეტარულ და თანამგზავრ მწერალს არ უცდია ეს. ვ. ჯუღელის „მძიმე ჯვარი“-ს მენშევიკური იმპერიალიზმის საწინააღმდეგოდ მხოლოდ და მხოლოდ ბ. ჩხეიძის „დღეები“ თუ ჩაითვლება. ეს მოთხრობა ოსეთზე მენშევიკური გვარდიის ყაჩაღური ლაშქრობის ისტორიაა.

არ სჩანს ქართულ მწერლობაში წითელი არმია, მისი სახელოვანი ბრძოლები, მუშაობა და მნიშვნელობა. ქართულ შოვინისტურ ინტელიგენციას და ზოგიერთ ქართველ მწერალსაც, აშკარაა წითელი არმიისადმი გარკვეული სიძულვილიც ამოძრავებს.

ერთად-ერთი ნაწარმოები, რომელიც ქართველ მწერალს ეკუთვნის საქართველოს გასაბჭოებაზე, ესაა ნ. მიწიშვილის ეპოპეია — „თებერვალი", მაგრამ ნ. მიწიშვილი რამდენად ცინიკურად და კარგად აღწერს მენშევიკების უკანასკნელი დღეების უბადრუკობას, იმდენად მოისუსტებს ახალის შეფასებაში და აშკარად ლაქს სცხებს წითელ არმიასაც, ვერ ცილდება მენშევიკურ ჭორსა და ნაციონალისტურ დამოკიდებულებას წითელი არმიისადმი.

იმ უამრავ ბრძოლებში, რომელიც წითელ არმიამ გადაიტანა მასზედ საკმაოდ ძლიერად შეიარაღებული კონტრრევოლიუციონურ და ინტერვენტულ მტრებთან ბრძოლაში, — მიუხედავათ სუსტი შეიარაღებისა, იგი იმარჯვებდა მით, რომ შეიარაღებული იყო დისციპლინით და კლასიური შეგნების უდიდესი გრძნობით, ამიტომ ყოველგვარი ცდა წითელიარმიელების ყაჩაღებად მონათვლისა უსაშინელესი ბრალდებაა მუშათა კლასის წინააღმდეგ.

მსგავს შთაბეჭდილებას იძლევა ნ. მიწიშვილის „თებერვალი", სადაც იგი წითელ არმიელებს ეხება. „ჯარის ნაწილები დახეტიალობენ ამ ადგილებში" — ლაპარაკია საქართველოს მენშევიკური მთავრობის გაქცევის შემდეგ ბათომისაკენ მიმავალი წითელი ჯარის შესახებ.

„შეგვეფეთოს რომელიმე, ხომ აღარაა უმფროს უმცროსობა, მიგახევს შენს ვარსკვლავიან მოწმობას, გაგატყავებს და მიგახვრეტს სადმე თხმელის ძირას, წადი და ეძიე მერე შენი უკანონოთ დაღუპული სული... რუსი! ვილაცამ შეკივლა... „ხუთი ცხენოსანი ყაზახი შემოერტყა ქარავანს" — нука, скидывай чемоданы... — „ყაზახი მოითხოვდა ჩემოდნების გახსნას. მგზავრი მოელოდა ყოველგვარ უბედურებას... სერიოზული განზრახვით იყო მოსული ყაზახი რუსი... — აი ხედავ, რითი ვიბრძვი — და უჩვენა გახეული წულა"... ნაზად დაადო ფულს თათი, მესამედი მგზავრის მხარეზე დასტოვა, დანარჩენი ასწია ზევით და ჩაიდო ჯიბეში... ვილაცამ გაიცინა, ვილაცამ დალოცა ზ რ დ ი ლ ო ბ ი ა ნ ი ყ ა ჩ ა ღ ე ბ ი".

წითელ-არმიელები და „ზ რ დ ი ლ ო ბ ი ა ნ ი ყ ა ჩ ა ღ ე ბ ი" — ეს არაა წითელი არმიის სწორი შეფასება, მწერალს მისამართი შეშლია, ჯორებიანი ინგლისელი ყაჩაღების მაგიერ ის მშვიდობიანობის დამცველ წითელ-არმიელებს ლაფს ასხავს.

ნ. მიწიშვილის ამ ნაწარმოებს უსათუოდ აფუჭებს ფილისტერული ფილოსოფიაც, შესახებ იმისა, რომ ქართველის სისხლი ცისფერია, რომ თბილისის სახელწოდება თბილი სისხლისაგან წარმოსდგება, რომ თბილისი ქართველების თბილის სისხლითაა მორწყული და სხვა მსგავსი ნაციონალისტური აბდაუბდა.

იმპერიალისტურ ომზე და რევოლიუციაზე ერთ უშესანიშნავეს წიგნად უნდა ჩაითვალოს გ. ტ ა ბ ი ძ ი ს „ე პ ო ქ ა".

სამარცხვინოა ქართული პროლეტარული მწერლობისათვის, რომ წითელ არმიაზე ორიოდე მოთხრობისა (ე. პოლუმორდვინოვის „წარმოდგენა") და ლექსის გარდა არც ერთი მსხვილი ნაწარმოები არ არსებობს. ამ მხრივ ვერ ავსებს ამ დანაკლისს წითელ არმიაზე ისეთი ნაწარმოებიც კი, როგორიცაა გ. კაჭახიძის პოემა „სალამო ტილოს კარავში". ამ ლექსში პოეტი იძლევა ჯარის საბანაკო სურათებს და მანევრების განწყობილებებს:

„დღით მანევრები
ქონდათ მთებს იქეთ,
მზე მოკმედების იყო მესაკე

მთებში დალვარეს ოფლი გესლივით
და ამოცანა დროზე გადასჭრეს.
ეხლა ღამეა,
ცა დაიმუქა
მხედრებს მზრუნველობს თეთრი კარვები.
სადღაც შტაბში კი
ბჭობენ რუქებთან
და იხაზება ხვალის მანევრი".

ვერ ავსებს ამ დანაკლისს ვერც ალიო მაშაშვილის სამხედრო ლექსები („ომი ომს", „წითელი არმია") და სხვა მწერლების უმნიშვნელო ნაწყვეტები.

ჩვენ ქვეყანაზე ინტერვენტული თავდასხმის საშიშროების და მისი თავდაცვითი უნარის გაძლიერების აუცილებლობასთან დაკავშირებით, პროლეტარულ მწერლებს, როგორც არას დროს მართებთ იბრუნონ პირი სამხედრო თემებისაკენ, წერონ წითელ არმიისა და ფლოტის მუშაობაზე, აჩვენონ არმიის ყოფა-ცხოვრება საბრძოლო ამოცანებისათვის, ჯარისკაცთა დამკვრელობა.

ამ ამოცანების შესასრულებლად კი საჭიროა მჭიდრო კავშირი წითელ არმიასთან, სამხედრო საკითხების შესწავლა, მწერალთა გასამხედროება, სამხედრო მწერალი — ამხ. ალაფუზოს თქმის არ იყოს — კი არ იბადება, არამედ იქმნება. ასეთი მწერლების დიდძალი კადრები წითელი არმიისა და ფლოტის რიგებში იზრდებიან და იქმნებიან, მათი შემოქმედების ძირითადი თვისებაა დღევანდელი დღის წითელი არმიისა და ფლოტის ჩვენება.

ამ მხრივ უსათუდ მიღწევაა რუსულ ლიტერატურაში მთელი რაგი ახალი სამხედრო მწერლებისა და ნაწარმოების გამოჩენა (ვ. გამიბესოვი—„კომისართა ესკადრონი", მიხაილოჩის—„როცა მოგვიხმობს რევოლუციოსოვეტი" და სხვა).

სამხედრო ლიტერატურისა და მწერალთა შემოქმედებითი გასამხედროების ზრდისა და განვითარების დამამტკიცებელია საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში წითელი არმიისა და ფლოტის ლიტერატურული გაერთიანების არსებობა.

წელიწად ნახევარია უკვე, რაც არსებობს საბჭოთა კავშირში ლოკაფი და მიუხედავად მრავალგვარი პროვოკაციისა საზღვარგარეთ, რომ ეს საბჭოთა კავშირის ლიტერატურის მილიტარიზაციაა მწერლების ყაზარმაში ჩაკეტვა, იგი სათანადოთ ასრულებს თავის დანიშნულებას. ლოკაფის ფუნქციაა „მხატვრულ ფორმებში ქვეყნის თავდაცვითი ამოცანის პროპაგანდა და ამ ამოცანების ირგვლივ საბჭოთა კავშირის მშრომელ მასების აქტივობის მობილიზაცია" (ლოკაფის წესდება).

ამიტომ ლოკაფი იკრეფს თავის ირგვლივ საუკეთესო პროლეტარულ და მოკავშირე, წითელ არმიისა და ფლოტის მწერლებს, იგი მოწოდებულია იმისათვის, რომ ნიღაბი ახადოს „ომის წირმოშობის საიდუმლოებას", რემარკიზმს და კონტრრევოლიუციონურ პაციფიზმს, გააშუქოს ლიტერატურაში მუშურ-გლეხურ წითელი არმიის ყოფა-ცხოვრება, სწავლა, მუშაობა, მისი კლასიური ინტერნაციონალური ბუნება.

ლოკაფი არ არის პროლეტარული მწერალთა ასოციაციის ან საბჭოთა მწერლების ფედერაციის სამხედრო ფრაქცია. იგი სრულყოფელი უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მებრძოლი ორგანიზაციაა, რომელიც იზიარებს პარტიის გენერალურ ხაზს ლიტერატურის საკითხებში და პრ. მწერლების პლატფორმას.

წითელი არმიისა და ფლოტის ლიტერატურული გაერთიანება არის საბ-
ჭოთა ლიტერატურის მთელი ფრონტის ერთ-ერთი მებრძოლი ფრთა, რომელიც

აერთიანებს თავის რიგებში ყველა იმ მწერლებს, რომლებიც ემსახურებიან ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის თავდაცვას, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლას, წითელი არმიისა და ფლოტის მნიშვნელობისა და მუშაობის პოპულიარიზაციას. ყოველგვარი უცხო იდეოლოგიური განწყობილების წინააღმდეგ, ომს ლენინურ-ბოლშევიკურ გაგებისათვის, წითელი არმიის ნამდვილი კლასიურ სახით ჩვენებისათვის, იმპერიალისტური ომის ყაჩაღური ზრახვების გამოაშკარავებისათვის.

მსოფლიო მშრომელ მილიონებმა უნდა იცოდენ, თუ რას და ვის იცავს წითელი არმია, რას ნიშნავს ომი, რა გზებით აპირებს მსოფლიო ბურჟუაზია პროლეტარულ სახელმწიფოს დამსხვრევას და რა გზებით შეიძლება კაპიტალიზმის მონობისაგან თავის დაღწევა. რა გზებით შეიძლება მოსკოვზე მოლაშქრე იმპერიალიზმის — მსოფლიო მაშტაბით კაპიტალიზმის სამგლოვიარო პროცესად გადაქცევა?

ეს უნდა აჩვენოს მხატვრულ ლიტერატურამ. ესაა ლოკაფის მწერლების დანიშნულება. ესაა საბჭოთა და პროლეტარული ლიტერატურის ერთი უდიდესი ისტორიული მოვალეობა.

ალექსანდრე სულავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ეროვნული მწერლობა*

სალიტერატურო კრიტიკა და თეორია: ვალერიან გაფრინდაშვილი „ანთებულია“ დავით გურამიშვილის პრობლემით. დაინტერესება უთუოდ მისასალმებელი! მაგრამ, უკეთესია მოვუსმინოთ თვით გაფრინდაშვილს, თუ როგორ „ხსნის“ ის გურამიშვილის პრობლემას:

„ახლა იწყება ქართულ პოეზიაში რუსთაველის და ძველი პოეტების რენესანსი, თუმცა ეს რენესანსი ჯერ ლექსიკონის აღდგენას შეეხება, წარსული ეპოქები, მათი ინტიმური სტილი უფრო ძნელი მისაწვდომი, და ეს იქნება მიზანი მწერლობის შემდეგი მოღვაწეობისა. თანდათან უნდა დავიბრუნოთ წარსული, როგორც პომპეა და გერკულანუმი. გურამიშვილი არის საფეხური იმისათვის რომ ჩვენ შევიდეთ რუსთაველის სასახლეში და უკანასკნელად დავბრმავდეთ მისი ლალებით და ზურმუხტებით. გურამიშვილის ავტოპორტრეტი—მოჩვენებაა. მოჩვენებაა მთელი მისი ტანი—თითქოს დასველებული, ლოცვად აპყრობილი ხელები, აწეული მხრები, დაფერფლილი სახე, მისი კანკალი და შემოდგომა... გურამიშვილი, როგორც ნიკო ფიროსმანიშვილი, უნდა გადაიქცეს ჩვენი ხელოვნების და პოეზიის ლეგენდათ. ვერლენზე უფრო დააქვრივა ცხოვრებამ გურამიშვილი, და ღმერთო ჩემო, როგორი ცრემლიანი სიტყვებით, უიმედო ქვითინით შესჩივის ის ბედს თავის ობლობას... ჩვენ პოეზიას ჰყავს საკუთარი ვერლენი, სევდის და რელიგიის ორგიასტობით, სიკვდილის ესთეტიკით, სოველი, ქვრივი, ქრისტეს და მადონას მოტრფიალე, სათუთი და კეთილშობილი, ტკბილი და შხამიანი, უსახლკარო და უსამშობლო, რუხი და ყვითელი, პრინცი და მათხოვარი, განწირული და უბედური დავით გურამიშვილი... დღევანდელი პოეზია, როგორც ჯვარზე გაკრული ქრისტე, პირდება წამებულ გურამიშვილს ადგილს — სასუფეველში — აღდგომის შემდეგ... გურამიშვილის რითმა — კარუსელია — დატვირთული ზღაპრული ნიღაბიანი სახეებით“.

ცისფერყანწელებმა თავიანთი შემოქმედებითი პრაქტიკით განსაკუთრებული და საკუთარი ხელოვნური ფანტასტიურ-მისტურ-არქეოლოგიური უბადრუკი სამყარო შექმნეს და შიგ გამოემწყვდენ. ღვთის მოსავი ოცნების, ზოგჯერ „რაინდული“ ექსტაზის და მდაბიური (მეშჩანური) ქალაჩუნობის საღმრთო გატაცება, სქესობრივი მომენტის ბიოფიზიოლოგიური საწყისის დეკადენტური რომანტიზაცია, („ქერა ქალი მუდამ მდომელი მრუში ზმორებით“ და სხვ.), ცხოვრებიდან გაქცევა, ზიზღი ყოველდღიურობისა (აწმყოსი), ქალდეას ქალაქები, მისტიკა, რევმატიზმი, ლანდური ყოფნა შორ მომავალში და წარსულში (ყოველდღიურობა „გამორჩენილია“), სიკვდილის, სიმახინჯის, სიფილისის და სიზმრებით ცხოვრების ესთეტიკა, თვითმკვლელობის კულტი და ნაციონალიზმი, ავადმყოფური ინტერესი ყოველივე ხელოვნურისადმი, — აი ქართველი დეკადენტების შემოქმედებითი სტიქია, თემა, Raison d'être! სძულდათ უტილიტარული ხელოვნება, ხელოვნება — ცხოვრების ერთ-ერთი ორგანიზატორი, საზოგადოებრივი მოტივები მწერლობაში: „რეალიზმი არის უხეში ანარეკლი სინამდვილის, სიმბოლიზმი კი არის ქმედითი ფერისცვალება ქვეყნიერებისა... ჩვენ გვინდა ნიღაბი... ჩვენი ცხოვრება ანარეკლია მეორე იდეალური სამყაროსი (ვ. გაფრინდა-

* დასაწყისი იხ. „პროლ. მწერლ“. № 4-5.

შვილი) სიმახინჯე გადაიქცა ახალი პოეზიის მთავარ თემად“ (ს. ცირეკიძე) ასეთია ქართული მოდერნიზმის პოლიტიკურ-ლიტერატურული ხაზი და შემოქმედებითი-მეთოდოლოგიური პლატფორმა [1]).

ქართულ არკადიადან „ბურანში მყოფი ადამიანების ბოდვა“ საბჭოთა საქართველომ „მემკვიდრეობად“ მიიღო. მეოცნებე ფილისტერები საბჭოთა მიწაზეც აგრძელებენ ყანწურ ტრადიციებს. 1922 წელს „მეოცნებე ნიამორები“-ს მეშვიდე წიგნში სახელების პოეტიკის „კოლუმბი“ წერდა, რომ „თუ წინად იყო პოეზიაში აპოლონი, ეხლა არის სიფილისი და ბოჰემა... პირადი მეგობრობის გაზლაპრება... მიწიშვილის ჩიბისი... არის ბრწყინვალე განთიადი ახალი მითოლოგიის. ყანწელები არ უცდიან მომავალ პოეტებს, რომელნიც გააზლაპრებენ მათ, როგორც ღმერთებს და გმირებს და თვითონ შეჰყავთ პოეზიაში ერთმანეთის პიროვნება, როგორც პოეტური სახე, თვითონ ქმნიან ერთმანეთის მითებს და სიმბოლოებს. მათი იდეალია ფანტასმაგორია და მითი“ (ვ. გაფრინდაშვილი). სიფილისი, ბოჰემა, მითი, ფანტასმაგორია, ქიმერიადა, მიწიშვილის ძაღლი ჩიბისი ცისფერყანწების იდეალია და პოეზიის მასალა და... დაჯერებული არიან, რომ „მომავალი“ პოეტები გააზლაპრებენ მათ, როგორც „ღმერთებს“ და „გმირებს“. ანგარიშში მოტყუვდენ, არავის უფიქრია, არ ფიქრობს და შეუძლებელია ფიქრობდეს იმ მწერლების „გაზლაპრებას“, რომელნიც ფეხებით აზროვნებდენ ახლო წარსულში. „პირველი ქართველი იმპერიალისტები“, ევროპული სტილის მისტიკოსები, ორგიის ტოლუმბაშები, რასიული რომანტიზმის დონკიხოტები და წვრილბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის სანჩო-პანჩოები, მალარიის... და სიფილისის „ბაყაყოლოგები“ და სხვ. — საზოგადოებრივ-ლიტერატურული თვალსაზრისით რეგრესიული მოვლენა, რასაც იდეურად მოწინავე საზოგადოებრივობასთან შეხების წერტილიც კი არ აკავშირებდა. ქართული პოეზიის ეს ბოროტი ყვავილები ჩაისახენ იმპერიალისტური ომის პერიოდში და პოხიერი ნიადაგი „დემოკრატიულ“ რესტორანულ ყოფაში ჰპოვეს [2]).

---

[1]) ქართული ფუტურიზმი („მემარცხენეები“) ქართული სიმბოლიზმის „ბენტარული“ გაგრძელებაა, ყანწელების იდეურ გავლენაში მოქ ეული წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის „ლიტერატურული წარმომადგენლები (იხ. ჟურნ. „ცისარტყელა“-ში დაბეჭდილი დემნა შენგელაიას „ანდრო სავანელი“, „მეოცნებე ნიამორებში“ მოთავსებული ლევან ასათიანის ლექსი „სეზონი უიმედო მგზავრობის“ და სხვა. ბესარიონ ჟღენტის ლექსი: „ორგია მთვრალ მეგობრებთან ექსკურსიაში“, სავსე ანალოგიური ნაფიქრი და ნა ზრევით—„მოვალთ ლოთები... მთვარევ, შესდექ, მზე გვსურს მოგვეცით!“ („ფუტურისტების“ „მანიფესტი“ გაბერილი ყანწური „გამბედაობით“ და ყოყოჩობით—„... ა მ ი ე რ ი დ ა ნ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ჩ ვ ე ნ გ ა ნ ი წ ყ ე ბ ა“, არა საქართველო, არამედ „საქართველო და სხ.). მოცემულ კონკრეტულ პირობებში „მემარცხენეები“ ფაქტიურად ლიტერატურულ დაჯგუფებას აღარ წარმოადგენს; ს. ჩიქოვანი და ბ. ჟღენტი უკვე თანამგზავრები არიან. დ. შენგელაია... — თანამგზავრულ ტენდენციებს ამჟღავნებს. — ვ. ლ.

[2]) 1920 წელს სომნამბული ახალგაზრდების მიერ ტფილისში გამოცემულ იქნა ჟ. „ბ ა ღ დ ა დ ი ს წ ე რ ო ე ბ ი“. ეს დეკადენტები „ყანწელების“ რეზერვს წარმოადგენდა; დამახასიათებელია „ბაღდადის წეროები“-ს სარედაქციო კოლეგიის წერილი: „გამოვიდა კვირეული გაზ. „ბარრიკადი“, რომლის გამოსვლამ აღაფრთოვანა ერთი ჯგუფი ახალგაზრდების. დიდი ხანია რაც პ ო ე ზ ი ი თ დ ა ს ნ ე უ ლ ე ბ უ ლ ნ ი ელოდენ „ბარრიკადი“-ს დადგმას. დიდი ხანია, რაც ელოდენ ლ ი დ ი ტ ი ს ა ფ ე თ ქ ე ბ ა ს ფ ი ლ ი ს ტ ე რ თ ა ბ ა ნ ა კ ს ი და ჩვენც ველირსეთ... მზად ვიქნებით რომ პირველ საჭიროებაზე „ამოვიყვანოთ ჩვენი ძალა „ბარრიკადი“-ს შესანარჩუნებლად“. ეს პოეზიით დასნეულებული და მართლაც რომ ფილისტერთა ბანაკის მობინადრე „ჰაბუკები“ „ყანწელების“ ახალგაზრდა თაობა იყო, რომელიც ლიდიტის აფეთქებას ცდილობდა (თავის უფროს ძმებთან ერთად) არა „ფილისტერთა ბანაკში“, არამედ — მოწინავე საზოგადოებრივობაში. ვინ იყვნენ ეს „ჰაბუკი დეკადენტები?“ გრ. ზოდელი, გრ. ორაგველიძე, ს. ჩიქოვანი, მარგარიტა ფაქიზოსანი (ნუ თუ?! — ვ. ლ.) და სხ. წერდენ: „... გავჯიუტდები მხოლოდ იმიტომ

დეკადენტი ნიამორები წერდენ მისტიურ და, ფიზიოლოგიურად გაშიშვლებულ სონეტებს, დადაისტურ მადრიგალებს და „მისტიური ძმობის ორდენის“ გამმართლებელ „თეორიულ“ წერილებს. იყო პოეტური „წვა“.

„ცხელ რუსუდანის მესრისება მე ხარეცელი. რასის ჭრილობებს ტანზე ვითვლი, როგორც ყვავილებს, მადგამენ გჭირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე. მიწა დედალო ადულდი მაპრად, დუმით გადაზელილს ვეძებ შენს ძუძუებს, მაწოვე, შევხვრიტო დვრიტა და შრატი, რომ გავძღე უცებ (გ. ლეონიძე). მე წარსულ დღეებს გადავტირი დაღონებული და ყველა ღმერთებს სათითაოდ ვაგინებ ძალზე (ნ. მიწიშვილი). თორმეტმა ღვდელმა მამა გასუდრეს, მე ერთი ღვდელიც არ ამიგებს წესს (ტ. ტაბიძე). ყივჩაყეთს იყო, ქალი მოვი, ტაცე, ცხენზე შემოვიგდე დედალი ავაზა, ტანი დაყურსული გავშალართე უნაგირზე. თეთრი თეძოების ვიხილე გაბელება, ხტოდენ ატეხილი ავხორცი მუხლები, და თვითონ ნადირი გავხდი მე ნადირი, კოცნა კბენა იყო, ალერსი—დანა, მუცელი გაზნექილი პირით გადავლადრე (გრ. რობაქიძე) და სხვ.

პლიუს, — იმპერიალისტური, პატრიოტული, რასიული რომანტიზმის და კათოლიციზმის მოტივები.

გასაგებია, ასეთ მხატვრულ პრაქტიკას ანალოგიურივე თეორიული „აზროვნება“ ამაგრებდა; სანდრო ცირეკიძეს („პოეზია სათაურით გათავდება“-ს ავტორი) „თეორიული“ თვალსაზრისით „პოეზია მაშინვეა, როდესაც ათვისება იღებს მისნურ ხასიათს და მისი თქმა ფერებით და ხმებით არაა სავალდებულო. ალი არსენიშვილს და არჩილ მიქაძეს არც ერთი სტრიქონი არ შეუტანიათ პოეტურ მწერლობაში, მაგრამ ისინი პოეტები არიან უთუოდ: მე მწამს, რომ მათვის ჩვეულებრივი ნივთები იბნიდებიან სხვა სამყაროების გამოსაჩენად“. ვ. გაფრინდაშვილი წერილში „სახელების მაგია“ „ორიგინალურ“ მოსაზრებებს იძლევა: „დღეს პოეზია იწვის თავის საკირეში და არაფერს არ სესხულობს ცხოვრებიდან... სახელების მისტიკა იმდენად თვალსაჩინოა, რომ ამას მოწმობს ყოველდღიური ცხოვრება. ცხოვრებაში გაბატონე-

---

რომ მე შენ მიყვარხარ; მხოლოდ იმიტომ რომ მიყვარს ზამთრის ფიქრები შენს ახალ აყრილ ულვაშებზედ თეთრად მოელვარე“ ან: „ღამეები ვრცელი. ანთებული ქალაქი და სადღაც კედლებთან კანკალით ოცნება შენზედ. მომბეზრდა ტფილისი. ძონძები მამძიმებს. მატლები წიწკნიან გამხდარ ძვლებს. ხსნა სინათლეების გადაღმა იკარგება. შემოდგომა და შეწუხებული დღეები ვით შენი გადმოხედვა. მოხუცი ქუჩები სტირიან ჩემი სიბრალულით. შენს ბარათებს ჯიბით ვატარებ...“ და სხვ.

გამოდიოდა აგრეთვე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის ყოველთვიური „სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო“ ჟურნალი „მომავალი“, არქიხალტურული ბეჭდვითი ორგანო. იბეჭდებოდა ტვინნაღრძობი და „ტვინგახურებული“ „აკადემიური“ ახალგაზრდების „ფილოსოფიური“ „ლექსები“:

„ვით სხვა მრავალი, ისე მეც წავალ —
ტანჯული სული ხორცს გასცილდება!
ან—
ახ რამდენ იმედს მოელო ბოლო
რამდენი ლხენა დავასამარე!?“

„...მომავალი“-ს № 2-ში (1921 წ. იანვარი) მოთავსებულია აგრეთვე ვ. გორგაძის „სონეტი“, მოგვყავს ნაწილი:

„მოჭრის წარსული! წმინდა თამარ, შოთა, ვახტანგი —
ცეცხლის კივილით ჰაერს სჭრიან მზის ფარანდები
გავალ შილინგზე! ცას დაუნთებ წითელ ფაკელებს
რომ სიამაყით გააგიჟოს მზერა ყოველი...
მოიგონებენ სიყვარულით ძვირფას სახელებს:
კრწანისის ველი და არმაზი სხივთა მთოველი.
დღეს სული ჩემი დაკირული ჟამთა ტანჯვაში
მთვრალი ზეიმით ჩაესვენა უძირო ჭაში!“ —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულია რამოდენიმე სახელი და ყოველი დანარჩენი მათი ანარეკლია. ყველაზე დიდი მაგალითი სახელის გაზლაპრების არის ღმერთი: არავინ ირ იცის რას ნიშნავს ეს ნოუმენი, მაგრამ იგი კაცობრიობის რეჟისორია, ლირიკა არის სპილოს ძვლის კოშკი. ამ კოშკიდან იყურებიან ანდროგინები * და ქალწულები, რაინდები და დამები, მაგრამ თვით პოეტია კოშკის ხუროთმოძღვარი... პ. იაშვილის ფარშავანგი დარჩება, როგორც რევოლუციის ბაირაღი... ეს ლ ა მ ა ზ ი და უცხო ფ რ ი ნ ვ ე ლ ი პირველად პ. ი ა შ ვ ი ლ მ ა ა ა კ ი ვ ლ ა პოეზიაში" და სხ. „მისტიური ძმობის ორდენის" ბიოგრაფმა ტიტე ტაბიძემ კი სიმბოლისტურ „აზროვნებაში" ყველა ყანწელს გაუსწრო, მისია ფილისტერული დებულება"... რევოლუცია ორგანიულად არ იყო გამოტანჯული ქართველ ხალხისაგან, არამედ „მოვიდა ფოსტით პეტროგრადიდან". დემოკრატიული მწერლები („ხომალდი"-ს ჯგუფი) კი მენშევიკური პროკლამაციების (გალექსილი) ინკუბაციას აწარმოებდენ.

ასეთ ლიტერატურულ ატმოსფეროში უხდებოდა, პირველ წლებში, პროლეტარული მწერლების მცირერიცხოვან რაზმს პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა მიმართული ლიტერატურული ბოჰემის პოლიტიკური მოტივების, დემოკრატიული მწერლების კონტრრევოლუციონური „პოეტური" საქმიანობის წინააღმდეგ.

ევროპული და აზიური კულტურების ერთმანეთზე ეკლექტიური დამყნობა, „დედალ" მიწასთან დაბრუნება, პროლეტარული ქალაქისადმი მტრულად განწყობა, სქესობრივი ორგანოების რომანტიკა, ექსპრესიონიზმისადმი ხელების წაპოტინება, საქართველოს გარნიზონები ტრაპეზუნდში, სამფეროვანი დროშის სამანი და კვარტების ცლა და სხ. — „თავის საკირეში" წვა, ქართული დეკადენტიზმია. ყველა ამის შემდეგ „ბარრიკადა"-ს ერთ-ერთ ნომერში ტ. ტაბიძე „გაბედულად" აცხადებს: „...დარჩება ხსენება იმ ორდენისა, რომელსაც ქვია ცისფერი ყანწების ძმობა-ერთობა, რომელსაც შეადგენს ცამეტი კაცი და ისტორიული ანალოგიით, როგორც 13-მა სირიელმა მამამ საქართველოში დათესა ორტოდოქსი ქრისტიანობა, ისე ცისფერმა ყანწებმა ნამდვილი პოეზია". ცისფერყანწების ხსენება, რომ დარჩება უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ეს ეპვს გარეშეა, მაგრამ ხსენებაცაა და ხსენებაც, მისი ხსენება ალბათ სიბრალულის გრძნობას გამოიწვევს მკითხველში მათ მიმართ. თუ როგორ „ნამდვილი, ორტოდოქსი პოეზია" შექმნა დეკადენტურმა ძმობამ, ამაში უკვე საგნობრივად გავერკვიეთ: ანტისაზოგადოებრივი ხასიათის, ფსიქოლოგიური აბერაციის, უმთავრესად ფეოდალური არისტოკრატიის გადაშენებული ნაშთების პოეზია. დღეს „მისტიური ძმობის" ორდენში შინაგანი რღვევა და კლასიური დიფერენციაცია წარმოებს, დაგვიანებითი თვითლიკვიდაციის პროცესი: ნაწილი ერთგულია მისტიური "სამყაროსი", ნაწილი გზაჯვარედინზეა (ნ. მიწიშვილი), ნაწილი ეპოქის ლიტერატურული თანამგზავრობის უფლების მოპოვებისათვის იბრძვის არა განყენებული დეკლარაციებით, არამედ კონკრეტული შემოქმედებითი პრაქტიკით (მაგ. რაჟდენ გვეტაძე).

„დემოკრატიული" წყობილების წლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ლიტერატურულ სტილად მ ე შ ჩ ა ნ უ რ ი რ ე ა ლ ი ზ მ ი ითვლებოდა: რამდენიმედ გატკბილებული ოჯახური რომანი, პოეზიის მოტივი — „ქალის აკიდო, ვით სუსამ-

*) ანდროგინია — გერმაფროდიტიზმი; ანდრომანია — ქალის არაჩვეულებრივი ვნებათა ღელვა.

ბარი, ნეტა თუ ვისგან მოისრისება“ (ს. შანშიაშვილი), რაც ამქლავნებდა წვრილი ბურჟუაზიის, მიკიტნური დემოკრატიის კმაყოფილ ყოფას სინამდვილის კრიტიკისა და რომელიმე იდეალისადმი პრინციპული დაპირისპირების ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე. „დემოკრატიას“ სქესობრივი ცხოვრების, ინტიმურ მასალაზე აგებული ლექსი, ნოველა და რომანი, რომელიც უბულბულებდა ე. წ. სიყვარულს, ხატავდა ოჯახურ ყოფას და ადიულტერებს, უყვარდა და აფასებდა მათ. გერონტი ქიქოძე კი ამ იდეური ჭაობის მწარმოებლებს „იდეურ“ სიმხნევეს უძლიერებდა: „საქართველოს ტერიტორიაზე ნიადაგი არა აქვს სამოქალაქო ომს. სადაც არ არიან არც მონები, არც პარტიციები, სპარტაკის აჩრდილს უფრო ლიტერატურული ინტერესი აქვს, ვიდრე პოლიტიკური“ *. თუ რამდენად მართალია გ. ქიქოძის რეაქციონური დებულება, ამას 1919 წლის მენშევიკური პრესა („ერთობა“, „Борьба“) ამქლავნებს! საქართველო აჯანყებათა რკალში იყო გახვეული, დაირღვა მეშჩანური რეალიზმის მყუდროება, გაურკვევლობამ და სოციალურმა შიშმა მოიცვა მეშჩანური რეალიზმის წარმომადგენლები! ნაწილი საბრძოლო ეროვნული დროშის ქვეშ დადგმა და დაჰკრა დაფსა და ნაღარას. ნაწილმა კი მოახერხა ეროტიული და ეროვნული მოტივების ერთიერთმანეთში გადახლართვა და მე-19 საუკუნის ეროვნული რომანტიზმის პოეზიასავით რთული გასარჩევი გახდა — სად იწყებოდა „ქალი“ და სად „ტურფა ასული“, ე. ი. წვრილბურჟუაზიული საქართველო. მაგალითები:

მეშჩანური რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია აკაკი პაპავა თავისი „სოლეილ-დორ“-ით. მართალია, „სოლეილ-დორი“ ჰამსუნის უნიჭო მიბაძვითაა დაწერილი და მხატვრულ ნაწარმოებს არ წარმოადგენს, მაგრამ საყურადღებოა თავისი „იდეურობით“: — მაძღარი მეშჩანინის, წვრილი ბურჟუაზიის ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ლაზღანდარობის აპოლოგიაა, „უცნაური“ სიყვარულის ავადმყოფური განცდა. „სოლეილ-დორ“ იდეურ სისავსეს და მხატვრულ დამაჯერებლობას მოკლებული უსიუჟეტო ლირიკული რომანია, მეშჩანური მცონარეობის და მშვიდი და „ტკბილი“ ცხოველური ცხოვრების ისტერიული სურვილის განწყობილება. ობიექტურად მეშჩანური რეალიზმის ფარგლებშია მოქცეული აგრეთვე ზოტიკეს მხატვრულად მდარე ლირებულების, 1905 წლის რევოლუციის „მასალაზე“ აგებული დიდი მოთხრობა და არა ისტორიული რომანი „ახალი ტალები“.

ლ. ფეიერბახის არ იყოს, ვამჯობინებ ვიყო ეშმაკი, ხოლო ჰეშმარიტებასთან კავშირში, ვიდრე სიცრუესთან შეულლებული ანგელოსი! ნუ გვიწყენს სანდრო შანშიაშვილი, თუ 1919-20 წლებში დაწერილ მის ზოგიერთ ლექსს („ჩემში ჩემს იქით“, „ვულმან“ და სხვ.), მიუხედავათ კომპოზიციური ბუნდოვანებისა, ანტისაბჭოთა პროკლამაციებად განვსაზღვრავთ, 1919-20 წლების ლიტერატურულ სტილის (მეშჩანური რეალიზმის) გამომქლავნებად:

„რჩეულმა გმირმა გზა თუ არია,
ან იქნებ უცხო მას გვირგვინს სტაცებს?
მაშ ერთხმად ეს რა გლოვა-ზარია?
ან რა აღელვებთ ჭაღარა კაცებს?
იქნება ანაზდად მტერი დაგვეცა,
ალამი ჩვენი წმინდა დაკეცა?

* გ. ქიქოძე — „ეროვნული ენერგია“ (1919 წ. გვ. 134) ლაპარაკია სპარტაკელების აჯანყებაზე ბერლინში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემთან აფრინეს შიკრიკი თადე (1919 წ.).

. . . . . .

— პარაზიტებმა მოუმატეს გველის სისინიც!
კიდევ სდგებიან! მრავალია უმგვანო ჯოგი!
ვინც არა სჩანდენ, მოესივნენ ჩემს სულს ისინიც
ქვეშქვეშა მჭერით, მოგრეხილი, კუზიანები,
გასაქურდავად ჩემს საუნჯეს ეტანებიან" (1920 წ).

გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე შუამდებარე სოციალური ჯგუფების წარმომადგენელია, დღეს პროლეტარული რევოლუციის რომანტიკოსი, პროლეტარული მწერლობის ლიტერატურული მოკავშირე. ელემენტარული მცოდნეობაა, რომ საზოგადოებრივი კლასების, შუამდებარე საზოგადოებრივი ჯგუფების, საზოგადოებრივი ადამიანის ფსიქოლოგია და იდეოლოგია მათი სოციალური ყოფის ცვლილებასთან ერთად იცვლება; მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოვტოვოთ ისიც, რომ შუამდებარე ჯგუფების ფსიქოლოგია ძირითადში შუამდებარეა. მთავარია: „საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე, ე. წ. არსებობის პირობებზე აღიმართება მთელი ზედნაშენი სხვადასხვაგვარი თავისებურად შექმნილ გრძნობების, ილუზიების, აზროვნების წესების და ცხოვრებაზე შეხედულების. ამას მთელი კლასი ჰქმნის და აყალიბებს თავისი მატერიალური საფუძვლებიდან და შესაფერი საზოგადოებრივი ურთიერთობიდან" (კ. მარქსი — „18 ბრიუმერი").

1914-21 წლებში გალაქტიონ ტაბიძე მისტიკოსი იყო, დაცემულობის, მებრძოლი პესიმიზმის პროპაგანდისტი, რელიგიური ექსტაზის მწარმოებელი, ლანდებისა და მოჩვენებების რომანტიკოსი, ეროტიული და პატრიოტული „თრთოლვის" ვირტუოზი და ბოჰემა — ანარქისტი. სოციალური მოტივები მის პოეტურ პრაქტიკაში განდევნილი იყო, გ. ტაბიძე გაურბოდა სოციალური საკითხების რგოლს, და თუ „შემთხვევით" შეეხებოდა სოციალური საკითხების ჯაჭვს, გულგრილად გაეწყობოდა მას, ობივატელი იყო. სოციალურმა ქარტეხილმა რამდენიმედ შეუბღალა პოეტს მისტიური ბურანი, და 1919 წელს, თუმცა ნაუცბადევად და დროებით, მაგრამ მაინც სტიქიურად (ბლოკისებურად) განიცდიდა ეპოქის აგორებული ტალღების „კატასტროფულ" გრანდიოზულობას. დადებითი იდეების, სოციალური პროგრამის უქონლობის გამო მისტიკოსი გალაქტიონ ტაბიძე რევოლუციონურ წყალვარდნილს სტიქიურად, „კატასტროფულად" განიცდის. „როგორ ებრძოდენ ზარები ზარებს" მოცემული დებულების არგუმენტაციაა:

„მე ისევ მიყვარს დაღლილთა ცრემლი და ბრძოლა,
ბრძოლა მოუსვენარი,
ქარიშხლიანი მეზი და ელვა, რისხვით მრისხანე
ტალღებთან შებმა

. . . . . .

სანამდე დროშებს ეძებდა თვალი, დროშები ქარში
გაშალეს უცებ!
ღლითა და ღამით, ღლითა და ღამით გრგვინვით
ებრძოდენ ზარებს ზარები.
მოსკდა კიდეებს, გასცდა ნაპირებს და გრიგალივით
მოედო ქუჩებს
სისხლის, ტალახის, ცეცხლის და წყალის ზვირთი,
ყველაფერს ნაზიარები.
დაეცა კრემლი! და ნაფოტებად იქცა წარსულთა
ტანჯვის მიზეზი.
მე ვალმოხდილი ისევე ველი, როგორ მოჰყვება
ავდარს ავდარი". *

* იხ. გ. ტ ა ბ ი ძ ე: ლექსების მეორე წიგნი. M C M X I X. ტფილისი.

ბუნდოვანი შეუკვრელი განწყობილებები, რევოლიუციის დამრღვევი ძალისადმი მისტიური მიკედლება, ქაოსის რომანტიკა. თუმცა პოეტის მიერ ნაწილობრივ შეგნებულია იმპერატორების კრემლის დაცემა, ამ დაცემის სოციალური შინაარსი, მაგრამ... გ. ტაბიძე კვლავ მოლოდინშია, „როგორ მოჰყვება ავდარს ავდარი". ეს უკვე გ. ტაბიძის შემოქმედებაში ახალი მოტივია, თუმცა არსებითად — ს ტ ი ქ ი ი ს კ ულ ტ ი. პოეტი ცდილობს სოციალურ მოტივზე სწორებას, საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიკის, ტემპების თვალსაზრისზე დადგომას, მაგრამ თავის მისტიურ დატენილობას ვერ სძლევს, მხოლოდ დ რ ო ე ბ ი თ გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ებ ებ თ ან, დ რ ო ებ ი თ გ ა თ ა მ ა შ ებ ა ს თ უ ა ხ ერ ხ ებ ს, თებერვლის რევოლუციამ მასში რევოლუციონური აკიჟინების სწრაფვა გამოიწვია:

„გათენდა; შეერთდით, შეერთდით, შეერთდით! შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!",

მაგრამ ხმა ვერ გამართა, კვლავ მისტიური ხაზით განვითარდა პოეტი; სუსტი გამოდგა გალაქტიონის ხმა „დროშებზე" ამღერებისათვის! რატომ? შუამდებარე ჯგუფების ფსიქოლოგია ძირითადში შუამდებარეა. კვლავ უბრუნდება გ. ტაბიძე საზოგადოებრივ ცხოვრებას, აწარმოებს საკუთარი თავის მოქალაქეობრივ გამოცდას, იწერება პოეტური ნაწარმოებები „რამდენიმე დღე პეტროგრადში", რომელშიც პოეტი თბილად იგონებს ოქტომბერს — „მე ნოემბერი და პეტროგრადი ასეთი კარგი" და „გემი დალანდი":

„გემით „დალანდი" მოვდიოდი სამშობლოსაკენ
და მთვარისაგან გაღვიძება გულს დარდად ჰქონდა;
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ველარ მოვაგენ
და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მომაგონდა.
გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი:
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი"
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი".

გალ. ტაბიძეს უყვარს სამშობლო, პატრიოტია, თუმცა მისი სამშობლოსადმი სიყვარული უფრო „ლანდშაფტური" ხასიათისაა: „გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? ეს ჩემი სამშობლოს მთებია". საქართველოში მენშევიკების ბრძანებლობის დროს ჩამოვიდა პოეტი „დაბინდულ ქლიავისფერ მთებიან" სამშობლოში და რა დაუხვდა? სატირის თეატრი „ელამი ჯიმი", რომელიც რუსეთიდან გამოქცეულ და ადგილობრივ შავრაზმელებს ემსახურებოდა, „ქიმერიონი" „დემოკრატიული" და თავადაზნაურულ-სპეკულიანტური ორგიებით, ღამის ფეიების ქარავნები, რუსული თეთრგვარდიული მხატვრული-ლიტერატურული ჟურნალები, ზოოლოგიური შოვინიზმი, გლეხთა აჯანყებები, რევოლუციონური მუშების ხვრეტა, მასიური შიმშილი, ეპიდემიური ავადმყოფობანი, პატრიოტული ხმლების ლაპლაპი; მწერლობაში? შოვინისტური, პორნოგრაფიული, მისტიური, პესიმისტური, რელიგიური, ფეოდალური კარმიდამოს და სხვ. მოტივები. „ობიევატელი" (ამ ცნების სოციალ-პოლიტიკური გაგებით) გალ. ტაბიძე გულწრფელად შეაძრწუნა ამ ჭაობის მდგომარეობამ და არსებულ სინამდვილეს ნაწილობრივ პროტესტანტულად გაეწყო, იგონებს ოქტომბრის დიდ რევოლუციას და სარკასტულად მიმართავს მენშევიკური „ოქროს ხანის" გულჩიორა კალმოსნებს:

„იყო ბურუსი გაურღვეველი,
და კაკანებდა ტყვისმფრქვეველი.
დღემ მოღუშულმა წარბი შეხარა,
დაცლილ ჭუჭებში მკვდრები ეყარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ მაღალი ცეცხლი ავარდა
და ბნელი ცისკენ გაინავარდა.
ცეცხლი ძლიერი დიდხანს ვინახე,
რომ იმედები სხვა დავინახე.
ეს მინდა ვუთხრა მიეთ - მოეთებს:
მე ქარში ვიყავ, როცა პოეტებს
თქვენთვის საყვარელ ბულბულ - მდელოში
ტკბილად გეძინათ საქართველოში".

მართლაც, რომ „ბულბულ - მდელოს" მომღერლები, მესაზანდრეები და მეზარეები მტრულად იყვნენ განწყობილნი მოწინავე იდეებისადმი და თავიანთ ცხვირს იქით ვერას ხედავდენ. როგორც აღვნიშნეთ, გ. ტაბიძის მისტიურ და პესიმისტურ შემოქმედებაში მოცემული გამორჩეული მოტივები და განწყობილებები მხოლოდ დროებითი განწყობილებები იყო, მაგრამ ამავე დროს დასაწყისიც გ. ტაბიძის რევოლუციონური გარდაქმნისა, მის თავში რევოლუციის მოხდენის მკრთალი და სუსტი საწყისები. გ. ტაბიძის ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური გაჯანსაღება და გარდაქმნა მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში იყო შესაძლებელი. ეს ასეც მოხდა! უმწეო მისტიკოსი და პესიმისტი, „მე და ღამე", „მესაფლავე" და „მერი"-ს ცრემლიანი ავტორი, პროლეტარული რევოლუციის პირველი ქართველი ლიტერატურული თანამგზავრი გახდა, ოქტომბრის გულწრფელი რომანტიკოსი! გალ. ტაბიძე დღეს სამართლიანად პროლეტარული რევოლუციის, პროლეტარული მწერლობის მოკავშირედ ითვლება.

ოქტომბრის რევოლუციის გარეშე მას, ისევე როგორც გიორგი ქუჩიშვილს, შემოქმედებითი თვითმკვლელობა დაემართებოდა. რევოლუციამ ადამიანის მასალა გარდაქმნა, გადააკეთა! გულჩათხრობილი პესიმისტი და მისტიკოსი გალაქტიონ ტაბიძე ოქტომბრის რევოლუციამ პროლეტარული ლაშქრობის ჯარისკაცად, ახალი ქვეყნის ენტუზიასტად გადააქცია: „ჯონ რიდი", „ეპოქა" და სხ.

1918 წელს გამოვიდა ყოველთვიური სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ჟურნალი „პრომეთე", რომლის უახლოეს თანამშრომლად და ამავე დროს სარედაქციო კოლეგიად კ. გამსახურდია, ი. ყიფშიძე, აკაკი შანიძე და აკ. პაპავა ითვლებოდენ. მიუხედავათ იმისა, რომ ჟურნ. „პრომეთეს" № 1 გვაფრთხილებს „ჟურნალში მოთავსებული მასალის გადაბეჭვდა რედაქციის ნებადაურთველად აკრძალულია", ლიტერატურულ ეთიკას „ვარლვევთ" და „პრომეთეს" რედაქტორების ნებადაურთველად „პრომეთე"-ში მოთავსებული მასალებით ვსარგებლობთ.

„პრომეთე" ფედერალისტური ჟურნალი იყო, მაშასადამე, ანტირევოლუციონური, ნაციონალისტური და არქაული. ჟურნ. „პრომეთე"-ს სარედაქციო წერილში ვკითხულობთ: ჟურნალის სალიტერატურო ნაწილში მოთავსებულნი იქნებიან ერთის მხრივ თანამედროვე მწერლების ნაწარმოებნი, მეორე მხრით ძველი მწერლობის ნაშთები. ჩვენი მიზანია, რომ ამ თვალმარგალიტებს, ნათარგმნი იქნება ის თუ ორიგინალი, საუკუნეების მტვერი მოვწმინდოთ და ჩვენი მწერლობის საუნჯიდან მზეზე გამოვიტანოთ. პოლიტიკურ მიმოხილვაში დაცული იქნება სრული მიუკერძოებლობა და ობიექტივობა". „პრომეთე"-მ თავისი დაპირება მთლი-

ანად გაამართლა, გარდა პოლიტიკური მიუკერძოებლობის მომენტისა: ლიტერატურული მემკვიდრეობა იდეურ-მხატვრულად „გაათანამედროვა“, საუკუნეების მტვერი მოსწმინდა წმ. იერემიას ლოცვას და სხ. და ქართული მწერლობის „საუნჯიდან“ მზეზე გამოიტანა. „პრომეთე“-ს საზოგადოებრივი მოტივები და თემატიური ხაზი: იმპერიალისტური, ნაციონალისტური, რასიული, ეროტიული, ჰამსუნიზმი, შრომის სუფევის, ძველი კულტურის რომანტიზაცია, ანტისაბჭოთა, ილია ჭავჭავაძის ხმლისა და გუთნის კავშირის სოციალური ფორმულის რესტავრაცია და სხვ. „პრომეთე“-ს საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოტივების და თემატიური ხაზის ხაზგასმა, რომ დეკლარატიული არ იყოს, მივმართოთ ფაქტიურ, ჟურნალში მოთავსებულ კონკრეტულ მასალას.

ჟურ. „პრომეთე“ (№ 1-ში) მოთავსებულია ყოვლად არქაული[1], იმპერიალისტური და უკულტუროდ დაწერილი „ქართული ეროვნული ჰიმნი“ („ალიფაშა“-ს ხმაზე) რომელიც აკაკი შანიძეს ეკუთვნის:

„აბა ფხიზლად, ქართველებო! მიეყვეთ მამა-პაპათ კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩავუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალით პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!
და ყური ვუგდოთ გურჯი-ბოლაზს და ნუ ვაღებთ დარიალსა!
სად არ დგმულა ჩვენი ფეხი? სისხლი სად არ დაგვიღვრია?
ერანს, თურანს, ავღანისტანს—ყველგან ჩვენი ძვლები ჰყრია.
ფიცხელ ომში გაბურვებულთ ევფრატ-დიჯლა დაგვიშვრია
და ჩვენის სისხლით შეღებილი ვისლა დღესაც არი მღვრია.
ოთხი დიდი სახელმწიფო მოგვიჭამ-გაგვიცვეთია.
სადღა არის ძველი რომი, ან ძლიერი სპარსეთია?
არაბების ძლიერება, ამბობენ, დღეს ზღვის წვეთია.
და ვის ახსოვან მონღოლები? სხვების ბედიც აგეთია!
სამი ათას წელზე მეტი გვიცხოვრია· როგორც ერსა.
მრავალ შავდღეს მოვსწრებივართ, მაგრამ ბევრსაც ბედნიერსა,
უსიკვდილოთ არვის ვუთმობთ ჩვენს სამშობლოს მშვენიერსა
და გვიმღერნია, კვლავაც ვიშღერთ ჩვენ ტკბილს მრავალჟამიერსა“.

ამ ეროვნულ „ჰიმნში“ მოცემულია ქართული იმპერიალიზმის პროგრამა: ზღვიდან ზღვამდე დიდი საქართველო, ქართული „დომოსტროი“ (მიყვეთ წინაპართა კვალსა) და ეროვნული კარჩაკეტილობა. წინად სული „გვახლდა შ ო თ ა ი ს ი“, „ოთხი დიდი სახელმწიფო მოგვიჭამ-გაგვიცვეთია“. „ნუ ვაღებთ დარიალსა“ და „ვიმღეროთ ტკბილი მრავალჟამიერი“. მოცემული „ჰიმნი“ ისეთი არქაული ხერხებითაა და საშუალებებით შესრულებული, რომ ცხვირში გცემსთ წარსული ყოფა-ცხოვრებითი იდიოტიზმი და კრეტინიზმი. „ქართული ეროვნული ჰიმნი“ ძველი ლექსიკონის, დრომოჭმული პოეტური ფორმების, პოეტური ფრაზის ძველი კონსტრუქციის რესტავრაციის გაუმართლებელი და უნიჭო ცდაა.

ჟ. „პრომეთე“-ში (1918 წ. № 2) წარმოდგენილია კ. ჭიჭინაძის ბანალური ლექსი „ია“, პ. ინგოროყვას ნაციონალისტური მოხსენება—„კავკასიის“ ქვეყნების ტერიტორიალური გამიჯვნის გამო“, ქართველ მეფეთა და დიდებულთა ბეჭდების წარწერები და კ ო ნ ი ა გ ა მ ს ა ხ ო ო რ დ ი ა ს „კლასიკური“ ლექსი— „ქ ო რ წ ი ლ ი“,—„ავხიე პერანგზე არშია თხელი“, „არ ვიცი სადა ვარ, რა

[1] თუ რამდენად უკულტუროდაა შესრულებული ლექსი ოსტატობის მხრივ, სანიმუშოდ მოგვყავს: „მტრისგან ბევრჯელ დარბეულა ტფილისი და ქ უ თ ა ი ს ი, და იმედს მაინც არ ვკარგავდით, სული გვახლდა „შ ო თ ა ი ს ი“. მართლაც, რომ „ქუთაისი... შოთაისი“-ს ლიტერატურული „კვალიფიკაციისა“ იყო „პრომეთე“ და... განა მარტო „პრომეთე“?! ვ. ლ.

მქვიან ვინა ვარ?“, „ჩემს ხელში ატოკდა ეგ ძუძუს კოკორი“ და სხ. მაღალი მატერიების შესახებ! მოგვყავს ადგილები ლექსიდან:

„კოშმარში ბრწყინავენ ეგ შენი თვალები
კრთის შენი ლოყები მზით დანაფერი,
იშლება ჩემ გულში ლაქლაქა ვარდები,
ვნებისა ვარდები, რა გინდ რა ფერი.
ჩემს ხელში ატოკდა ეგ ძუძუს კოკორი,
ეგ ძუძუს კოკორი ჯერ გაუშლელი.
ა რ ვ ი ც ი ს ა დ ა ვ ა რ, რ ა მ ქ ვ ი ა ნ, ვ ი ნ ა ვ ა რ?

. . . . . .

გავხლიჩე შენ ბაგის ძოწისა ფურცელი,
ა ვ ხ ი ე პ ე რ ა ნ გ ზ ე ა რ შ ი ა თ ხ ე ლ ი.
ვარდები, ვარდები და კიდევ ვარდები.
სისხლ დაცვარული, სისხლ დანაპკური.
არ მეყო არც კოცნა, არც კოცნის შარბათი,
გადმომჩქეფარე შენ ტუჩის სურით.

. . . . . .

გათავდა ნადიმი, ზღაპარშიც ამ ნადიმს,
ვერავინ მიჰბაძავს, ვერ მიამგზავსებს.
გათავდა ნადიმი, აწ ვეღარ გადვიხდით,
ჩვენ ამგვარ ქორწილს ვნებით აღსავსეს“.

ჰოდა, ამისი და ამის გვარი „პოეტური მარგალიტების“ მწარმოებელს მოჰქონდა და, დღესაც... მოაქვს თავი „ქართული რენესანსის“ ავტორად, ქართული კულტურისათვის „წამებულად!“ „ქორწილის“ ავტორი დაფნის გვირგვინს მოელოდა, მეშჩანური დემოკრატიისაგან, ნიშნად დაფასებისა! ლექსის მეშჩანურ სტილს და ბულვარულ ხასიათს რომ თავი დავანებოთ ლიტერატურული ოსტატობის და პოეტური გამოთქმის კულტურის თვალსაზრისითაც კრიტიკის გარეშე დგას; ამას ყოველი მკითხველი იგრძნობს!

„მისწყდა რიალი, დაცალიერდა ტრიბუნა და დიდი დარბაზი.
მ უ ნ დ ა შ თ ა მ ცვ ე ლ ა დ ქ ა რ თ ლ ო ს ი ა ნ თ მ თ ლ ი ა ნ ო ბ ი ს ა
განთიადივით მოელვარე დ რ ო შ ა ს ა მ ფ ე რ ი
დ ა ზ ე დ, ვ ი თ მ ტ რ ე დ ი, თ ე თ რ ი მ ტ რ ე დ ი ტ ა ძ რ ი ს კ რ ე ტ ს ა ბ მ ე ლ ს,
დ ი დ ი მ ო ძ ღ ვ ა რ ი ს, წ ა მ ე ბ უ ლ ი ა რ ჩ ი ლ ი ს ს უ ლ ი...
მივჰყვები ქუჩებს ღვინობისთვის ბურუსით მთვრალებს,
მინდა ვახარო ძველ სალაყბოს და ნარიყალას:
ნულარ პარტახობს მ ა თ ი ჰ უ ნ ე და ნურც კალალობს —
აღდგა ერი და თაყვანსა სცემს შავ-წითელ ალამს (არ. ჭუმბაძე; „19 ღვინობისთვის საღამო“).

„ფედერალიზმის“ პარტიული ამღერებაა, მ ხ ო ლ ო ლ ეროვნული ინტერესების სტიქია, „შავ წითელ“ ალამის დემონსტრაცია. „19 ღვინობისთვის საღამო“ უაღრესად პატრიოტული განწყობილებების შემცველი პოეტური ფაქტია, „სამფერი დროშის“ აპოლოგია—სამტროდ განწყობილი პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი და „ქართლოსიანთ“ ეროვნული მთლიანობის რეაქციონური იდეოლოგია.

„შორიდან მოვედი, წინ მედო გზა ძნელი, —
და შენ კი... და შენ კი... ახ, რაღას მოველი?!
ღამეა ნათელი... მაგრამ რა ბნელი!..
ვდგავარ შენს სარკმელთან, ვიტანჯვი. ო, ნ ე ლ ლ ი!

. . . . . .

მოდი ჩემს საფლავზე! მიტირე, ო, ნელლი!“

(კ. მაყაშვილი: „რომანსი“).

კ. მაყაშვილი არისტოკრატი პოეტი იყო (ამ ცნების არა ცისფერყანწური გაგებით.), ჯერ ქალი, ო... ქალი! მერე სამშობლო. ჯერ სამშობლო, ო... სამშობლო! მერე ქალი! ასეთი იყო კ. მაყაშვილის იდეური მიმართება, თემატიური მარაგი და პოეტური „დიალექტიკა". კ. მაყაშვილი არისტოკრატიული ეროტიული ღელვისა და ქართული პატრიოტიზმის პოეტი იყო, რომელმაც საბჭოთა პირობებში პატრიოტიზმი მებრძოლ ნაციონალიზმში გადაზარდა; ამ მხრივ დამახასიათებელია მაყაშვილის ლექსი „ჩემს მარრს„—მოთავსებული გაზ. „პოეზიის დღე"-ში (1922 წ. № 3):

„არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი:
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი!
გულზე სევდა შემომაწვა თავის მძიმე ლოდებით:
საქართველო გაიჟღინთა მაყაშვილთა გოდებით...
. . . . . .
სამშობლო თუ შენ—რომელი, ახ, ვიტირო რომელი?!
დავდნი ცრემლად ორივესთვის სხვათა ცრემლის მშრობელი!..
. . . . . .
შემომხედე: მუხასავით ვდგევარ მაგრად, წყნარადა.
სადარაჯოსარა ვსტოვებ, ავდარს ვაგდებარადა!"

თებერვალმა (ე. ი. საქართველოს ოქტომბერმა) მაყაშვილს „სამუდამოდ დაუზამთრა" მაისი (ე. ი. საქართველოს „დამოუკიდებლობა", ე. წ. დემოკრატიული საქართველოს დამოუკიდებლობა პროლეტარული რევოლუციისაგან); „საქართველო გაიჟღინთა მაყაშვილთა გოდებით", ე. ი. საქართველოს მუშათა კლასის და ღარიბი გლეხობის განთავისუფლების გამო ექსპლოატატორების დიქტატურის რეჟიმისაგან, „მაყაშვილები" - ექსპლოატატორული სოციალური კლასების წარმომადგენლები „გოდებენ"! მაგრამ მიუხედავად ამ ლირიკული ნაციონალიზმისა, ეროვნული პესიმიზმისა, მინორული განცდებისა „მაყაშვილები" მაჟორულ მოტივზე გადადიან და ცდილობენ ბრძოლას ნაციონალ-დემოკრატიული, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის საქართველოსათვის, როგორც აქტიურად ისე იდეოლოგიური მაზურიკების საშუალებით.

„ავტირდი, ხელი შემოგაშველე
და მსურდა ისევ დაგბრუნებოდი,
მაგრამ წინ შემხვდა სიცალიერე,—
შენ კი მზესავით მთებს ჰშორდებოდი!
და სულ ამაოდ გეძახდა სული,
ამაოდ გდევდი თვალგანასწორი,
შენ მზე იყავი შემთვის ჩასული,
მე კი დაპრილი გლადიატორი".

ს. ფაშალიშვილი: „ჩასული მზე".

ს. ფაშალიშვილი ძირითადში ი. გრიშაშვილის მიმდევარი იყო, თუმცა „თავისებური". ს. ფაშალიშვილი უმთავრესად ეროტიული პესიმიზმის („გაცრუებული" სიყვარულის) გულდათუთქული „იადონი" იყო, მისთვის „ჩასული მზის" მელანქოლიკოსი. ასეთი იყო „პრომეთე"-ს პოეზია, ასეთი იყო „დემოკრატიული" საქართველოს იდეოლოგიურ-ლიტერატურული „მოწინავეობა".

როგორი იყო ამ სოციალ-ფედერალისტი მწერლების პოლიტიკური კონცეპცია, პოლიტიკური პოზიცია? უკეთესია სიტყვა მივცეთ ჟურ. „პრომეთე„-ს პოლიტიკურ მიმომხილველს, რომელიც დიდი რევოლუციის „ნაციონალიზაციას" და პერიფერიების „გაძლიერებას" მოითხოვდა:

„მომავალი ახალი წლისაგან ველით ჩვენ მყუდრო მოქალაქეობრივ ცხოვრებას და ხელშეუშლელ კულტურულ მუშაობას. ამ წლისგან მოვითხოვთ ჩვენ სამშობლოდან გადახვეწილ ძმებსა და შვილებს, უცხოობაში და მარტოობაში რომ ერთგულ გუშაგად დამდგარან ძველ სასამხითოში და პოლაკთა ველმიდამოში, კურლიანდიაში, ფინლანდიაში ან და პინსკის ჭაობიან არემარეში რომ ანელებდენ სამშობლოდან გამოყოლილ სამხრეთის სიცხუნვარეს... 1905 რევოლუცია ბევრის თვალშიც მხოლოდ სოციალური მოტივებით იყო გამოწვეული. უფრო მეტი, ეს რევოლუცია რუსეთის დიდ აუხიდან გადმონარტყოცნ მოხეტიალე ტალღად მიაჩნდა, რომელიც ცენტრში მოქნეულა ზვაურმა პერიფერიებისაკენ წამოაქანა. ჩვენის აზრით, ეს რევოლუცია ჩვენმა ხალხმა სულ სხვანაირად მოიმარჯვა ხელში და თუ საბელი იმისი რუსეთის პირველი რევოლუცია იყო, არსებითად იგი მხოლოდ და მხოლოდ ერთი თვალსაჩინო ეპიზოდია იმ მრავალი წლის ეროვნული რევოლუციისა, რომლის პირველი საბედისწერო თოფის ხმა მთიულეთში გაისმა 1804 წელს. დაიწერება მიუდგომელი მატიანე ამ მოძრაობისა, და ჩვენ დავინახავთ, რომ თუმცა ამ რევოლუციის პიონერებს აზრადაც არ ჰქონდათ 1905 წელს ეროვნული რევოლუციის ქარი დაეთესათ, მაგრამ ქართველმა ხალხმა ამ რევოლუციით ეროვნული ეჯანყების ქარიშხალი მოიმკო... ცენტრში წყლის ამღვრევის შემდეგ ყველანი უხმოდ შეთანხმდენ ერთი ლოზუნგის გარშემო. ეს იყო რევოლუციის გადარჩენა, რუსეთის რევოლუციის ნაციონალიზაციითა და პერიფერიების გაძლიერების სახით... ოდნავაც აგვეხსნა მაჯებზე პოლიტიკური კირთების ბორკილები და ქართველი ხალხი დღესაც, როგორც ასისა და მრავალი ათასი წლის წინად, ცალხელში გუთნითა და ცალ ხელში სამტროდ მოსულისათვის გამეტებული მახვილით განაგრძობს შრომას და ტანჯვას უკეთესი მოვავლისა და ახალი საქართველოს ბედის გამოსაკვერად...

სამფეროვანია ჩვენი ეროვნული დროშა: შავი, თეთრი და წითელი. შავბნელი იყო ჩვენი წარსული, საუკუნეთა წყვდიადში სიმართლისა ჩირაღდნით გვივლია. ალისფერი სისხლია ყოველგვარი თავისუფლებისათვის აუცილებელი გარანტია და ზვარაკი. სიუეთრე სიხპეტაკის ემბლემაა. მაშ ნურც დაჩრდილავს ღრუბელი ჩვენი მამულის ცისკიდეზე ამობრწყინებულ თავისუფლების მზეს. სპეტაკი იდეები აღვიზარდოთ ცეცხლებრ ანთებულ გულებში.

რუსეთის დამფუძნებელი კრება დათხოვნილია, მაშ გაუმარჯოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას! (კ. გ. „პოლიტიკური მიმოხილვა“).

ვიცხოვროთ მყუდროდ, ქართველებო ყველა ქვეყნისა შეერთდით, 1905 წლის რევოლიუცია მხოლოდ ერთი თვალსაჩინო ეპიზოდია იმ მრავალი წლის ეროვნული რევოლიუციისა, რომლის პირველი საბედისწერო თოფის ხმა მთიულეთში გაისმა 1804 წელს; თებერვლის რევოლუცია მისასალმებელია, რადგან ქართველმა ხალხმა ეროვნული თავისუფლება მოიპოვა; მაშ „ცალ ხელში გუთნითა, ცალშიაც... გამეტებული მახვილით“ (ილია თუ „პრომეთე“? „პრომეთე“ ფაქტიურად ი. ჭავჭავაძის გუთნისა და ხმლის ჰარმონიის საზოგადოებრივი ფორმულის გამნაღდებელი იყო), რუსეთში ძალა-უფლება საბჭოების ხელშია, მაშ გაუმარჯოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას და სხ.—გარკვეულად არქირეაქციონური მიდრეკილებანი და პლატფორმა, რასაც მოქალაქეობრივი უფლებები ჰქონდა ქართული ჟირონდის პირობებში.

ასეთი მოპოეტო ადამიანიც ბუდობდა „დემოკრატიულ სამოთხეში“—შალვა ამირეჯიბი. მას ეკუთვნის 1920 წელს გამოცემული ბატის ფრთით დაწერილი ლექსები—„მინანქრები“. ლექსები, როგორც ლექსები, მოკლებული იდეურ სიმაღლეს, თემატიურ აქტუალობას და ლიტერატურულ კვალიფიკაციას... სულ სახარინასივით მწკლატე და ლიმონადივით ტკბილი, ტკბილი... სტანსები და საალბომო ლექსები. რა მოხდა! რას ეჩხირებით აკანკალებულ ფეხებში „კეთილშობილ“ მოპოეტო თავადს! რა თქვენი ახირე-

ბული" თავის საქმეა, თუ ის უსაქმობისაგან დასევდიანებული ბუდუარის, ალბომის და თავადური ბუდის იდეოლოგიის მატარებელი გვამია, ქართული ბომონდის მოპოეტო წარმომადგენელი? გეკითხებით, რა თქვენი საქმეა (რომელთაც არ იცით, თუ რა არის დალალ-კავების ლირიკა და პატრიოტული „თრთოლვა"), თუ ყელმოღერილი თავადის ასულის მოტრფიალე მოპოეტო თავადიშვილი ნიშნად სიყვარულისა და გულთბილობისა კოლხეთის რომელიმე მთვარეს „ბულ-ბულის" ენით მიმართავს: „შენთვის ვკრეფ სოსანს, ვკრეფ გვირილას, შენ იცი, შენთვის ყვავიან ღამით, რომ არ მოდიხარ — ჭკნებიან დილას". სამართლიანი უკმაყოფილებაა. მართლაც და რა ჩვენი საქმეა, თუ ვინ და როგორი ძალით უყვარს მოპოეტო ადამიანს თავის გულიკო, რამდენი კილოვატისაა ეს სიყვარული. ჩვენი საქმეა მხოლოდ გამოვარკვიოთ, თუ რით სუნთქავდა ქართული პოეზია, ქართული ჟირონდის დროს და ამისათვის ნურას უკაცრავად, თუ ვისარგებლებთ „მინანქრები"-ს მასალითაც, მით უმეტეს, რომ „მინანქრები" „დემოკრატიული" წყობილების ხრიოკ მიწაზე ამოსული და გაზრდილი მავნე ბალახებია.

„მინანქრები" უმთავრესად თავადური უდარდელობის, ეროტიული თავშეუკავებლობის და მიჯნურობის ბიულეტენია, რასაც ქვემოთ შევეხებით. „მინანქრებ"-ში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფეოდალური ნაციონალიზმის, არისტოკრატიული პატრიოტიზმის მასალას: ფეოდალური საქართველოს სიყვარული და მასზე სევდა, პლიუს დემოკრატიული შოვინიზმი. დემოკრატიული საქართველოს მწერლობა ნაციონალისტური იყო, ე. წ. დემოკრატიული მწერლებიც („ცისარტყელა"-ს ჯგუფი) ნაციონალისტური მწერლები იყვნენ, მიუხედავათ იმისა, რომ „ცისარტყელელების" უმრავლესობა ხშირად შრომის პროცესებზე, მუშებზე, თავისუფლების შესახებ განყენებულ ლექსებს წერდა: დემოკრატიული მწერლები ქართული ნაციონალიზმის მწერლები იყვნენ! არ იყვნენ მარქსისტები, მარქსისტობა, უპირველეს ყოვლისა, პროლეტარიატის დიქტატურის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისზე დგომას და მისთვის ბრძოლას ნიშნავს. დემოკრატიული მწერლების იდეური გავლენითაც აიხსნება, რომ შ. ამირეჯიბიც ფეოდალური ნაციონალიზმიდან, ლიტერატურული ნაციონალიზმიდან პრაქტიკულ, ე. ი. დემოკრატიული ნაციონალიზმის რონებზე გადავიდა. მაგალითები:

„ვისაც საფლავნი არ დაგიკარგავთ
და გაქვთ ადგილი სად მკვდართა სტოვებთ,
სტიროდეთ მათსა დაკარგულ საფლავთ,
სტიროდეთ, რადგან მათ ველარ ჰპოებთ!
. . . . . .
იქ ბრძოლის ველზე ჩვენი ჯარი უკვე დაღლილა
და გამარჯვება წილხდომია მოსისხლე მტერსა!
. . . . . .
მ ე ი ს მ ა ზ ი ნ ე ბ ს, რომ დადგება ჟამი ამაო
და საცა არის მ ო ვ ლ ე ნ რ უ ს ნ ი ჩვენ დასახსნელად!!. და სხ.

დავუბრუნდეთ „სასაზანდრო", ბუდუარის და საალბომო მოტივებს:

„ამთქნარებული ტფილისი,
ალამპრებული ქუჩები,
ვერის ბაღები ხილისა
და იქ მკოცნელი ტუჩები.
წარბები, როგორც კამარი,
ქალის კაბებზე რუშები,

ვერცხლის სამარხი ქამარი
და დახალული ნუშები.
ღამდება. მოდის მებარხნე.
ნაგვიანები მელოტი,
საკინძგახსნილი მეარღნე
ავლაბრელ პულჩინელოთი.

. . . . . .

ნუ მეტყვი ჰოს და ნუ მეტყვი არას,
მხოლოდ მიჩვენე შენი თვალები —
ქალის ბაგენი ვერ მეტყვიან მას,
რასაც მეტყვიან თვალით ქალები.
ტურფავ, ზღვაა შენი თვალი,
შიგ ნავარდობს ქარიშხალი,
მაზედ სცურავს ერთი გემი
და იმ გემზე ჩემი ფიქრი.

. . . . . .

უკვე მოკვდა ის სნეული,
ქალბატონიც მას თან გაჰყვა,
მოწიფულ ქალს არ ელირსა
და სიყვარულს თან გადაჰყვა.
მხოლოდ დარჩა ძველი წიგნი,
ძველი წიგნი ძველის ამბით,
ალაგს ვარდით ჩანიშნული,
ჩანიშნული ალაგს ბამბით.

. . . . . .

გადმომსხდარან ტაშები
კაბებზე და ჩობებზე
და, ვით მალი რაშები,
დაგაფრენენ ნოხებზე

. . . . . .

ესე ამბავი ძველის ძველია,
მაშინ სხვაგვარი ქროდენ ქარები,
ქარი არხევდა ალბათ ქათიბსა
და ყღარუნობდენ მინანქარები!

. . . . . .

თურმე როცა შუანეთა
თვალზე ჩადრსა იფარებდა,
დოლაბერდიმ მოიხელთა.
ხელს კობაზე უტარებდა,
შუანეთა თვალს ხუჭავდა,
დოლაბერდი კაბას სწევდა,
და რა ყველას უნახავდა,
ისევ თავის გზას გასწევდა“ და სხ.

ესაა ქართული „არისტოკრატიზმის“, გადასული წოდების, თავადური ქალთამანობისა და დროსტარების პოეზია. მანანა ორბელიანისა, ამირეჯიბის ასულის, ლაურა კრენსებისა, ფეოდალური საქართველოსადმი, ფეოდალური ყოფა-ცხოვრების “სილამაზის“ გამომწვევ და გამხსენებელ მოვლენებისა და ნივთებისადმი ორგანიული სიყვარული და მონური მორჩილება; ფეოდალური ნაციონალიზმი და რომანიული უდარდელობა „მინანქრები„-ს ავტორის სტიქიაა. შ. ამირეჯიბის ეროვნული და ეროტიული „წვა“ მეთშვიკურ საქართველოში საზოგადოებრივად აუცილებელი და ბუნებრივი მოვლენა იყო, ეს დემოკრატიული წყობის შინ გაზრდილი მქრალი ყვავილები!

„მინანქრები“-ს სტილი ძირითადში არქაულია, „ძველი მწერლობის“ იდეური ხაზის და ფორმალური „ვირტუოზობის“ ტრადიციების გამგრძელებელი, ზოგიერთი ლექსი კი მოდერნისტულია (ნიმუშები: „და ჩახვეულან ეგ დალალკავნი, ვით ჩუქურთმები ქაშუეთისა“, „მე ვხედავ უცხო მოწყენილ სახეს მაგ ბეჭდის თვალში უქმად ჩარჩენილს“). შ. ამირეჯიბი ძალზე უმნიშვნელო პოეტი იყო: იდეური უბადრუკობა და ფორმალური უსუსურობა, ეპიგონობა და პლაგიატობა. და თუ მასზე შეეაჩერეთ მკითხველის ყურადღება, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ თვალსაჩინოთ გავრკვეულიყავით, თუ როგორი პოეზიის „ყვავილები“ ბიბინებდენ მენშევიკურ მდელოზე!

„მინანქრები“-ს იდეური დიაპაზონისა და მხატვრული გემოვნების იყო „დემოკრატიული საზოგადოებრივობა“, დემოკრატიული წესწყობილების კრიტიკული „აზროვნება“, საზოგადოებრივი აზრი. საბუთი?!—შემეკითხება ამხანაგი მკითხველი. დებულების საგნობრივი დამტკიცებისათვის მენშევიკური წლების ოფიციალური ლიტერატურული კრიტიკოსის ივ. გომართლის „მინანქრები“-ს ლიტერატურული შეფასება მომყავს: „მაჭარი ენის შეხებისთანავე გატკობსთ. სულ სხვაა ძველის ძველი ღვინო: უნდა რამდენჯერმე გასინჯოთ, კარგად დაწუწნოთ, ძარღვებში გაგიჯდესთ,—მხოლოდ მაშინ დააფასებთ და იგრძნობთ სიამეს. სწორედ ასეთია „მინანქრები“... სიდარბაისლე, ზრდილობა, თავდაჭერილობა თან ახლავს ამირეჯიბის პოეზიას“. შევთანხმდეთ, ამხანაგო მკითხველო, რომ გომართლის „მაჭრის და ძველი ღვინის“ თვალსაზრისი „მინანქრები“-ს იდეური და მხატვრული დონისაა, მენშევიკური, ე. ი. ფილისტერული კრიტიკული აზროვნების ზაუკეთესო ნიმუში. ივ. გომართელისათვის „დოლაბერდი კაბას სწევდა და რა ყველას უნახავდა“ და სხვ. სიდარბაისლეს, ზრდილობას და თავდაჭერილობას უდრის. მართლაც, რომ საკვირველია! თუმცა რა კუროზს არ ჰქონდა ადგილი მენშევიკური წლების „მარქსისტულ“ აზროვნებაში!

სოსო გრიშაშვილზე შეჩერება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია, ვინაიდან მას ყოველი მკითხველი კარგად იცნობს, როგორც „ქალის ფეხის“ და „კოცნის“ მეშჩანურ პოეტს! სოსო გრიშაშვილის პოეტური პრაქტიკა 18-19-20 წლებშიც „გრიშაშვილური“ ხაზით მიმდინარეობდა... იყო სანატრელი, სასურველი და სანუკვარი მგოსანი მეშჩანური დემოკრატიისა, უმთავრესად „ქალწულად“ დარჩენილი დედაკაცებისა, დამებისა, ისტერიული გიმნაზისტკებისა და სადისტებისა. გრიშაშვილის ეროტიულ პოეზიაში ნაწილობრივი დისონანსი შეიტანა 1920 წლ. ჟურნ. „ცისარტყელა“-ში (№ 4) მოთავსებულმა მისმა სონეტმა („ავლაბარში“), რომელიც „დიდმნიშვნელოვნად“ თავდება:

„დღეს კი ქართველი გულში მუდამ წყევლას აჩაღებს,
და წყევლა იმას, ვინც ჩრდილოეთის ველურ ყაჩაღებს
გაუღო კარი თერგდალეულ დარიალისა“.

ვიმეორებთ! მართალია „დემოკრატიულ“ წლებში იოსებ გრიშაშვილის „მუზა“ ძირითადში კვლავ „თვალი—მაშხალა, ფეხი—ყანწი, ხმა—მუხამბაზი“-ს ელოლიავებოდა, თათრის ქალის გაყვითლებას „თართის დოშს“ ადარებს, შეიდიშს[1] „კოპლ სონეტს“ უწერს:

„შეეხვდი შეიდიშს ნაოჭასხმულს მრავალ ბწკარადა;
ვსთქვი: მის პარტონი დღეს ცოცხალი, ნეტა, თუ არი!

[1] შ ე ი დ ი შ ი — აბრეშუმის თხელი ქსოვილი, რასაც განსაკუთრებით ქალის საშარვლად ხმარობდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ვინ შეუხსნა? ვინ მიიღო? ვინ სთქვა უარი
წუთით? მარადა?
გემრიელ რიტმით ვიდექ მე ამ კარადის წინა.
ვამბობდი: ნეტა, ეს ფუნჯები ამაწეწინა,
რომ ამოვიცნო სიცხადეში ძველი ზმანება"...

მაგრამ არ გაურბოდა ფეოდალური და ყარაჩოღული წარსულის რომანტიზაციას, მებრძოლ ქართულ ნაციონალიზმს და ანტირევოლუციონურ, რეაქციონურ მიდრეკილებებს. ფაქტები:

1 „ახ, ნეტამც იმ დროს. როცა სწერდა „დასტურლამალსა"
მეფე ვახტანგი!" (იგ. „მეფე ვახტანგი").

2 „მე დღევანდლამდე — ყველამ იცოდა—
ნეჯავრებოდა წითელი ფერი;
. . . . . .
მძულდა ჩრდილეთი ფლიდი, ორპირი,
. . . . . .
რად მინდა ქალი! რად მინდა ბაგე!
დღეს საქართველო ჯვარს იწერს, ჯვარსა".
(იხ. „საქართველოს ზადიკი". ს, ფირცხალავას: 26 მაისს).

3 „რა საჭიროა რყევა და მოცდა!
ტფილისო! ალსდგა შენს სამტროდ ხალხი —
და იალლუჯის ძთით ჩამოცოცდა,
რომ თეთრ გიორგებს ჩააცვას თალხი.
ამ გიაურებს. მმიერთა ურდოს,
ვაჭამოთ ტყვია ნაჭიკჭიკარი —
და რომ არავინ აღარ გაგვჭურდოს
ავკოლოთ. მკედრებით ქალაქის კარი.
იბრძვიან ჩვენი ცეცხლის მხედრები...
ახალგაზრდებო! დროშას შეჭფიცეთ,
რომ ერთი წყება თუ დამარცხდებით,—
მეორე — სიკვდილს დაუცდის მტკიცედ".
(იხ. „ტფილისო!").

თემას დაეუბრუნდეთ! ი. გრიშაშვილს ჰყავდა მიმდევრები: ს. ფაშალიშვილი, პოეტესა მარიჯან და მიმბაძველები ყოფ. ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიიდან. მარიჯან ჩამოყალიბდა, როგორც გრიშაშვილის ბრმად მიმბაძველი „ფრთიანი ეროსის" პოეტი. მარიჯანს რომ მისტიკა ახასიათებდეს, ამ მოსაზრების პირობითი გაგებით, ქართველი ახმატოვა იქნებოდა, მართალია, მარიჯანი წერდა: „დღეს ტფილისი კეკეტლაობს, როგორც კოხტა ცირა, ჯარს ამაყად აუმართავს დროშა ჭიაფერი", მაგრამ ის უმთავრესად „ქალური", კაფეშიგანცდილი მეშჩანური და ავადმყოფობამდე დასული სიყვარულის მგოსანია.

რა აწუხებს, რა სურს, საითკენ მიილტვის მარიჯან? როგორია მისი იდეური, თემატიური ხაზი და მხატვრული ოსტატობა? სატყვა თვით პოეტესას ეძლევა:

„როს მალონებს ჩვენ ვაჟების დაჭონდრება, დაკნინება,
თვალწინ მიდგას მშვენიერი შავგვრემანი ქანდაკება...
. . . . . .
ზეცამ მომცა წრფელი გული, გრძნობა-წმინდა, ზნე-კეთილი,
და მაკმარა მე სიცოცხლე ხანმოკლე და გაცვეთილი.
და ამასაც შემოგფიცავ საქართველოს ვახის ჯვარზე, —
მხოლოდ შენ ერთს შემოგწირავ, თუ არ გამცვლი ხვალ სხვა ქალზე
. . . . . .
მსურს ამ წუთში ჩემთან იყო ნახ-პირწმინდად გაპარსული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსურს ეგ ბაგე ალეწილი! ეგ ვაკური შენი მკერდი!
მსურს ის ხანა აღვიდგინო, როცა ლექ ებს შენთვის ვწერდი,
მსურს წარსული შენს ამბორში გადავწვა და მივცე ველად,
ნეტამც ეხლა ჩემთან იყო პირბროლი და გაპარსული...
ბუხრის პირად ნოხებია — თურქული და ძველსპარსული".

ესაა ლოცვა ფიზიკურ სიყვარულზე, ობიექტიურად მონური მორჩილება სქესობრივი განაწესისადმი, „ცხოვრებიდან ყველაფრის წალების" მეშჩანური სურვილი. იტალიელმა ბურჟუაზიულმა მწერალმა ქალმა ლომბროზომ თავის ცნობილ წიგნში—„ქალის არსება", ქალის ბუნება შემდეგნაირად განსაზღვრა: „ქალი თავისი ბუნებით იმის გამო, რომ მისი ცხოვრების ძირითადი ფუქცია დედობაა, ალტეროცენტრიულია, ე. ი. მისი ცხოვრების ცენტრი მის გარეშეა, სხვა არსებაში, უკეთ—მამაკაცში. პისარევი დაახლოვებით შემდეგსა წერდა: თუ მამაკაცები მოითხოვენ ქალებისაგან სერიოზულ გონებას, თუ ისინი არ დაკმაყოფილდებიან მსუბუქი გრაციით,—მაშინ კოკეტობა შეუძლებელი გახდება... თუ რაიმეა ცუდი ქალში,—ცუდია ფორმა, რაშიც ჩამოსხმულია მისი გაგებები, გრძნობები და მოქმედება, ხოლო ეს ფორმა ჩვენ მოვამზადეთ, მისი შეცვლა საკუთარი ძალებით ქალს არ შეუძლია ლომბროზოს დებულება, რასაკვირველია, ცალმხრივია, ზედგამოჭრილია მხოლოდ ბურჟუაზიულ და ბურჟუაზიული ქცევის ქალებზე; პისარევის ყოფითი ფორმულა დადებითია ძირითადში. მარიჯანის პოეზია „ალტეროცენტრიულია", კოკეტობაა, სიყვარულის გრძნობის პათოლოგიური განცდა, ოცნების პრინცესების იდეოლოგია. მოცემულ შემთხვევაში ცნებები „სიყვარული", „კოკეტობა", რომ გავაშიშვლოთ, მხოლოდ სქესობრივი ლტოლვის გამომჟღავნებას მივიღებთ. მარიჯანის „ქალურ" პოეზიაში ერთმანეთშია არეული ე. წ. სიყვარულის გრძნობის ჯანსაღი და ავადმყოფური საწყისები და მოტივები.

რომელი სოციალური ფენის ქალების ფსიქოლოგიურ განცდებს და მიდრეკილებებს გამოხატავს მარიჯანის პოეზია? უმთავრესად ისეთი ქალებისას, რომელნიც აღიზარდენ ისეთ სასწავლო ინსტიტუტებში, სადაც „კეთილშობილი" მოსწავლე „ქალიშვილებისათვის" კილოგრამობით ყიდულობდენ პუდრას, ფრანგულ არაყს „კეთილშობილ" ქალთა აბაზანებისათვის, ტიკინებს მათი გართობისათვის და საკენკს მათი იადონებისათვის და... მეშჩანური (მდაბიოთა) წრიდან გამოსული „ნასწავლი" ქალების „სულიერ სამყაროს", რომელნიც ცდილობდენ „სიყვარულობიის" და რომანის გათამაშებაში „კეთილშობილთ" არ ჩამორჩენოდენ. „ნაცვეთ ტუჩიდან მომიწყვიტავს ლექსი ახალი"—ღაღადებს მარიჯან! მართლაც რომ მისი პოეზია „ნაცვეთი ტუჩების" რომანტიკაა, „მწველი" და „მოხდენილი" კოცნის ფიზიოლოგიური განცდა და „მისტიკა". მარიჯანი მენშევიკურ საქართველოში გაბატონებული იდეური ჭაობის „მორცხვი მიმოზაა".

1920 წელს მენშევიკური წიგნის ბაზარზე სეზმან ერთაწმინდელის ლექსების წიგნი „პოეტი არწივი" გამოვიდა. ს. ერთაწმინდელს „საკუთარი სახე" ჰქონდა: მხედრული განწყობილებები და რიტმი. არა მგონია ს. ერთაწმინდელის „ლურჯი ხალათი" და „დაჭრილ ორბ"-ზე პოპულიარული ერთაქტიანი პიესა მოიპოებოდეს „დემოკრატიულ" საქართველოში. ს. ერთაწმინდელის მხატვრული შემოქმედება „ანარქისტული" იყო და ბოჰემური, ბუნტარულ ინტერნაციონალიზმთან დემოკრატიულ პატრიოტიზმს „ათავსებდა" (რასაკვირველია, ეკლექტიზმის საშუალებით). „პოეტ არწივ"-ში ეროვნული მომენტი გაბატონებულია კლასიურ მოტივზე, თუმცა მისი ლექსების ერთი რგოლი: „ღამე სტამბოლში", „საროსკიპოში", „აჯანყება", „დემოკრატიულ" პირობებში ერთაწმინ-



დელის პირობით იდეოლოგიურ მოწინავეობაზე ლაპარაკობს. ერთაწმინდელი „დემოკრატიული“ საქართველოს პოეზიაში ბატალური ლექსებისა და მარშების ოსტატია, თუმცა მის პოეტურ პრაქტიკაში საგრძნობ კურიოზებსაც შეხვდებით, როგორიცაა:

„ღვრის სისხლი
და სამყარო ძრწის:—ბუჰ! ბაც!
ცოდვილ მიწით, ანგელოსი ილტვის შორს: ფრრ!!!“

მართალია, „პოეტი არწივი“-ს ავტორის შემოქმედებაში არც ისე პატარა ადგილი უკავია დემოკრატიულ პატრიოტიზმს, მაგრამ ძირითადში ის იყო ბოჰემა და მოანარქისტო პოეტი:

„მივდივარ ჩუმად მუშტაიდში. როგორც ირაო,
და იარმუკის ჯიბგირები მელანდებიან...
სული-ღა' დამშთა, და არ ვიცი ვის უგირაო?
მსურს ვსთქვა რამ კიდევ.. მარა ბაგენი დუმდებიან...“

1921 წლიდან ს. ერთაწმინდელი უკვე პროლეტარული მწერალია, საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრი და ლიტერატურული შესაძლებლობის ფარგლებში დღემდე ემსახურება პროლეტარულ საზოგადოებრივობას: მცირე ფორმის პიესები, ბელეტრისტიკა, საბავშო ლიტერატურა, ლოკაფის პრაქტიკა; ს. ერთაწმინდელი რევოლუციონური ესტრადის („ლურჯი ხალათი“) საფუძვლების ჩამყრელიცაა.

1915 წელს, აკაკი წერეთლის გარდაცვალების გამო, სოციალ-პატრიოტმა ნოე ჟორდანიამ ნაციონალისტური წერილი („ჩვენი აკაკი“) გამოაქვეყნა; წერილის იდეური ხაზი: „აკაკის სტილი ეს თვით ქართველობაა, ეს ჩვენი ნაციონალური ტემპერამენტია“. ნაციონალ-დემოკრატიზმის ხაზით განვითარდა მენშევიკური ლიტერატურული კრიტიკა, გამგრძელებელი თავისი „სულიერი მამის“ ნაციონალ-დემოკრატიული ტრადიციებისა. ქართული ვანდეის ლიტერატურული უამინდობის წლებში თუ მხატვრული მწერლობა ბერწი და სავალალო იყო, უკეთეს მდგომარეობაში არც ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურის თეორია იმყოფებოდა.

ქართული ჟირონდის ნაფიცი ლიტ-კრიტიკოსი ივანე გომართელი[1] იყო, რომელიც „დემოკრატიული“ აღვირახსნილობის მიწაზე ლიტერატურულ-კრიტიკულ „ამინდს“ ჰქმნიდა. ლიტერატურულ კრიტიკაში მონდომებით მუშაობდენ აგრეთვე ვარლამ ხუროძე, „ყანწელები“, კოტეტიშვილები და სხვ. ობიექტურობით შედარებით გამოირჩეოდა ვარლამ ხუროძე; ჟურნ. „ცისარტყელა“ და გაზ. „ერთობა“-ში მოთავსებული მისი წერილები — სიმბოლისტებზე, ემილ ვერჰარნზე, გალაქტიონ ტაბიძეზე და სხვ. ძირითადში მარქსისტული კრიტიკული აზროვნების ნიმუშებია, მიუხედავად სიტყვიერი მასალის, წინადადების კონსტრუქციის ნაწილობრივ მეშჩანური ხასიათისა (მაგ. „...ნარნარი და ქალწულებრივი გრძნობა“ და სხ.). საქართველოში მენშევიკური პარტიის დიქტატურის დროს ლიტერატურული კრიტიკა არსებითად არ არსებობდა, იწერებოდა მოკლე და ვიწრო ობივატელური წერილები по поводу, იმპრესიონის-

[1] მხედველობაში გვაქვს 1919, 20, 21 წ. წ. მოქ- ივ. გომართლის მუშაობა ლიტერატურულ კრიტიკაში — ვ. ლ.

ტული, მოკითხვის ბარათის, ნაციონალისტური სტილის, და ჟანრის მხრივ „მრავალფეროვანი“. მიუხედავად ამ „ესთეტიურ მიდრეკილებისა, დემოკრატიული კრიტიკა არ ივიწყებდა „დემოკრატიული“ სახელმწიფოს პოლიტიკურ ინტერესებს და მუშათა კლასში მოთმინების „ფილოსოფიას“ ავითარებდა.

მოცემულ წერილში მხოლოდ მოქ. ივანე გომართლის ლიტერატურულ-კრიტიკულ საქმოსნობას (და ისიც გაკვრით) შევეხებით, ვინაიდან უპირველეს ყოვლისა ის ოფიციალი სახე იყო „დემოკრატიული“ საქართველოს ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნებისა და იდეოლოგიით ფაქტიური ეროვნულ-დემოკრატი; ნაციონალ-დემოკრატიზმი „დემოკრატიული“ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსია.

ივ. გომართელი უმცირესი წინააღმდეგობის კრიტიკოსი იყო, მასზე წნევას, ზეგავლენას ყოველი უმნიშვნელო ბროშურა ახდენდა: „ქართველი კრიტიკოსი ხომ პირდაპირ უბედური ადამიანია,—წერდა მოქ. გომართელი, — რადგანაც ყოველი მწერალი მას იცნობს და ისიც ყველას იცნობს. სიმართლის თქმა თუ უცნობისათვის ადვილი საქმე არ არის, ნაცნობისათვის ხომ მეტად ძნელია. ნაცნობობა თითქოს კიდეც გავალებსთ, რომ უსათუოდ კარგი თქვათ. თუ კი კარგის თქმა არ შეიძლება? მაშინ უნდა გაჩუმდე“. რა? როგორ? ამას ჰქვია მცირე დაბრკოლების წინაშე მუხლების მოყრა და თვითდინებისადმი სანთლების დანთება, კრიტიკული უხასიათობადა ობივატულური სტილის „ხათრიანობა“. სწორედ ამ ლიტერატურულ-კრიტიკული სირბილით და უხერხემლობით აიხსნება ის გარემოება, რომ ივ. გომართელი ყოველ მომწერლო ობივატელს ხოტბას ასხამდა და ამით თავადან იშორებდა „მოძალადე“ ბულბულებს! მაგრამ ლიტერატურული ეთიკა? ობიექტივობა? მწერლობის შემოქმედებითი განვითარების ინტერესები? თუმცა, გეკითხებით: რა ემორჩილებოდა წინსვლის ინტერესებს დემოკრატიულ ოლიგარქიაში რომ ლიტერატურული კრიტიკა დამორჩილებოდა?!

ვიმეორებთ, ივ. გომართელი ქართული ვანდეის ლიტერატურული კრიტიკის „სინიდისი“ და იდეური წამყვანი იყო. როგორი იყო „დემოკრატიული“ კრიტიკოსის ლიტერატურულ-პოლიტიკურ გაგებათა კომპლექსი, შეხედულებათა მიმართება? ეროვნული მწერლობის აღორძინება ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ნიადაგზე, ე. ი. შინაარსით ნაციონალ-დემოკრატიული და ფორმით ეროვნული ლიტერატურა. ივ. გომართელი, როგორც ყოველი მენშევიკი, ორტოდოქსი მარქსისტი არადროს არ ყოფილა! მარქსისტობა არ ნიშნავს აღიარო: ადამიანს უპირველეს ყოვლისა „ჰამა-სმა“ ესაჭიროება, მაშინ ჰოტენტოტიც მარქსისტი იქნება და „ქლიავის კურკის“ ამბის მომყოლი მთიულიც! მარქსისტი უპირველეს ყოვლისა ისაა, ვინც პროლეტარიატის დიქტატურის თვალსაზრისზე დგას და მისთვის იბრძვის.

ჟურნ. „ცისარტყელა“-ს 1919, 20, 21 წლებში გამოსულ ნომრებში მოთავსებულ ივ. გომართლის წერილებილან ზოგიერთი ამონაწერი მოგვყავს უკომენტარიოდ. მკითხველი თვალსაჩინოდ გაერკვევა გომართლის ანტიმარქსისტულ, სოციალ-მეშჩანურ ლიტერატურულ აზროვნებაში და მიდრეკილებებში:

„პოეზიას სამი რამ ახასიათებს: ფ ო რ მ ა, მ უ ს ი კ ა, ა ზ რ ი... პოეზია არ არის იქ, სადაც არ' არის განსაზიერებული მშვენიერება ფორმასა და მუსიკაში... როგორც ფორმით, ისე შინაარსით საუცხოოა და საშუალებას გვაძლევს ჩავიხედოთ პოეტის პატიოსან სულში... ჩვენს პოეტებს ყოველგვარი მიმართულებისას ერთი დიდი ნაკლი ემჩნევათ: სამშობლოს აღდგენამ ვერა ჰპოვა მათ გულში შესაფერი გამოხმაურება, ის აგიზგიზება, ის ენტუზიაზმი, რაც ასეთს დროს მოსალოდნელი და აუცილებელი იყო... მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუზა აქ სხარტულია, კეკლუცი და ვერცხლის წყალივით სრიალა... პოეტს ჯერ კიდევ ბევრის მოცემა შეუძლია განახლებული სამშობლოსა და გამარჯვებული დემოკრატიის სადიდებლად („ვარლამ რუხაძის პოეზია“)... შეიძლება ერი კი არა, კაცობრიობა მთლად ერთიანად მოისპოს და მშვენიერება კი არსებობდეს... მაგრამ როდესაც ერის არსებობა მსხვერპლს ითხოვს, დეე პოეზია შეეწიროს ერს: გადარჩენილი და თავისუფალი ერი შექმნის ღირსეულ პოეზიას. პოეტის საგანი მარადიულია, უკვდავი, გარემოების საყვირი ის არ უნდა გახდეს... („წერილები ხელოვნებაზე“) ეროვნული აღორძინება დემოკრატიულ ნიადაგზე... დღევანდელ დღეს საერთოდ ახასიათებს ადამიანის დაწვრილმანება, დაქვეითება. ეს გამოწვეულია საშინელი სიძვირით. მთელი ყურადღება ადამიანისა კუჭს დაემორჩილა. ვერ შოულობ იმდენს, რომ კუჭი ოდნავ მაინც დაიკმაყოფილო და ასეთ გარემოებაში ვილას ცალია სულისათვის... მშვენიერება ყველა კლასისათვის მისაღებია.. ლექსს სხეულიცა აქვს, ტანისამოსიც. მისი სხეული—აზრია; მისი ტანისამოსი — გარეგანი მოკაზმულობა, ფორმა... მისი შემოქმედება ახლა იწყებს ფრთების გაშლას, ახლა ემზადება სრული ფრენისათვის. ლამაზ ოცნების ყვავილებით შემოქარგული... ღრმა და უნაზესი სევდით, სავსე განცდა, როგორსაც პოეტი იძლევა, იშვიათია, ლუკმა-ლუკმა დაკრილი გული ცრემლშია ამოვლებული და სათუთი გრძნობის ძაფზე ასხმული.. მზის ამოსვლას ისე შეჰხარის, როგორც ტოროლა, ვარდის კოკორი ან ცვარი... („გასული წლის სიტყვაკაზმული მწერლობა“) და ა. შ.

კმარა! ყოველი ციტატა ფიზიკურად ხელშესახებია! ყოველი ციტატა ხელოვნების და ლიტერატურის მენშევიკური გაგებაა, უკეთ რეფორმისტული იდეალიზმის „ფილოსოფიაა“, მენშევიკურ მოსაზრებათა კალეიდესკოპი, ეკლექტიური შეჭამადი! ფორმალიზმი, წვრილბურჟუაზიული ესთეტიზმი, ობივატელური ინტიმობა, დემოკრატიული ნაციონალიზმის შოვინიზმში გადაზრდის მოთხოვნა, პარნასიზმი, სიმშვენიერის ცნების იდეალისტური ინტერპრეტაცია, ლიტერატურულ მშენებლობაში კლასიური ბრძოლის იგნორაცია, კუჭის, ე. ი. ვულგარული მატერიალიზმი, „დემოკრატიული“ წყობის ძირითადი საფუძვლების ლიტერატურული დაცვა, „ვარდ-ბულბულიანის“ სტილი და სხვა, — აი გომართლის თეორიულ-კრიტიკული საქმიანობის ფიზიონომია და ხარისხი. ასეთ ლიტერატორზე იტყვიან: ეკლექტიკოსია!

ასეთი იყო ძირითადში და უმთავრესად „დემოკრატიული“ საქართველოს იდეური ლიტერატურული კრიტიკა. ასეთი გახლდათ ქართული არკადიის მხატვრულ-ლიტერატურული ოფიციალი აზროვნება. თუ როგორი იყო ნაციონალისტური, ფედერალისტური და „უპარტიო“ „ჰეშმარიტი“ ქართული ლიტერატურული კრიტიკა... ეს შორს წაგვიყვანს. თუმცა რატომ? ის იმავე თეორიული საწყისებიდან გამოდიოდა, საიდანაც მენშევიკური ლიტერატურული კრიტიკა, ხოლო კეკელობიას არ თამაშობდა და უნიღბოდ იდგა „თეთრი გიორგი“-ს და „სამფეროვანი დროშის“ ფაშისტურ პოზიციაზე. (მაგ. გ. ქიქოძის წიგნში — „ეროვნული ენერგია“ — მოთავსებული ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები „რასიულობის პრინციპიდან“ გამომდინარეობს, სოც. ფედერალისტების ლიტერატურული კრიტიკა ბარჩილ ჯორჯაძის შოვინისტურ ლიტერატურულ ტრადიციებს აგრძელებდა, კოტეტიშვილები—ილია ჭავჭავაძის იდეალისტურ და ნაციონალისტურ მოტივებს „ათანამედროვებდენ“ და თეორიულად „ამაგრებდენ“ და სხ.) მენშევიკურ ლიტერატურულ კრიტიკას „დემოკრატიული“ ქალწულობის, რომელიც დიდი ხანია დაკარგა, „დაკარგვისა“ ეშინოდა.

1918, 19, 20 წლებში ტფილისი თეთრი და კრიმინალური ქალაქი იყო. ბოლშევიკური რუსეთიდან გამოქცეული და გაძევებული მონარქისტები, სოციალ-პროვოკატორები და „თავისუფალი პროფესიის“ წარმომადგენლები ტფილისში მოგროვდენ, გააცხოველეს ანტისაბჭოთა ოინბაზობა „ქართულ მიწაზე“, სევდიანობდენ თეთრ რუსეთზე და ლექსებს წერდენ აჰარელი გოგოს „ატმისფერი ლოყები“-ს შესახებ. რუსული თეთრი მწერლობის წარმომწყები და იდეური დირიჟორი პოეტი ს. გოროდეცკი იყო, რომელიც ტფილისში „პოეტების ცეხს“ ამრავლებდა, სადაც გრიგოლ რობაქიძის სწორი შენიშვნით, ე. წ. ლამაზი სქესის წარმომადგენელი უფრო მეტი იყო, ვიდრე ვაჟი, და ერთიმეორის „გაცნობა“ კიდევ უფრო მეტი, ვიდრე პოეზია. ს. გოროდეცკის ფაქტიური ინიციატივით ტფილისში ორი რუსული მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი გამოდიოდა — „ARS“ — (ხელოვნება) და „AKME“.

ჩვენ წინ დევს ტფილისში გამოცემული ხელოვნებისა და ლიტერატურის ყოველთვიური რუსული ჟურნალის (ARS[1]) პირველი ნომერი, რომელიც საპროგრამო წერილით იხსნება:

„ბედი იშვიათად კეთილშობილ არენას გვაძლევს მუშაობისათვის. ა/კავკასია კულტურის ქვეყანაა. საუკუნოების მანძილზე მრავალრიცხოვან ხალხებს აქ თავიანთი გენიის ნაყოფები მოჰქონდათ... ჩვენ ვცდილობთ ა/კავკასიის მხატვრული და მეცნიერული ყველა ძალა გავაერთიანოთ და როდესაც მიმოსვლის საშუალებანი შესაძლებლობას მოგვცემს „ARS“-მოსკოველი და პეტროგრადელი მხატვრების შრომებით დამშვენდება“.

ჟურნალში მოთავსებულია გრ. რობაქიძის წერილიც—„ქართული მოდერნიზმი“, სადაც სხვათა შორის წერია: „ქუთაისის კაბაჩოკები უცბათ პარიზის ლიტერატურულ კაფეებად გადაიქცა, სადაც ჩახლეჩილ არლნის ხმასთან და შეუწყვეტელ მრავალჟამიერთან ერთად გაისმა ძვირფასი სახელები: პოე, ბოდლერი, ნიცშე, უალდი, ვერლენი, ბალმონტი, ბელი, ბრიუსოვი, ბლოკი... ქართველი ქალი როგორც ქალი — უთუოდ პრობლემაა. ვფიქრობ მის სტიქიაში ძალიან ბევრია ძველი ამაზონკების. ქართველი ქალი გამეშჩანებული ამაზონკაა, მან არ იცის სიყვარულის გულახდილობა, არც სექსუალობის აყვავილება, არ იცის ნამდვილი „რომანი“... პ. იაშვილი პლანეტაოული ქალურობის პოეტია“ და სხ.

მოთავსებულია ოვანეს თუმანიანის ლექსი „Надпись на книге“ (Нимфе Городецкой):

„Но других стихии разгул
Здесь вас встретил. Обманул
Вас приветливый наш юг:
В час недобрый, грозовой
Тучи черныя толпой
Собираются вокруг.
Сердце — лучший наш дворец
Наших солнечных сердец.
Будьте гостьей дорогой!
Ведь на всем пути земном
Мы для женщин не найдем
Лучше участи такой“.

[1] საყურადღებო დეტალი: „ARS“ (1918 წ.) და „AKME“ (1919 წ.) ძველი ორფოგრაფიითაა დაბეჭდილი. ასე იცის „დემოკრატიამ“: ყოველგვარი რეაქციონური ქცევის ნებართვა და დაკანონება,—ბოლშევიზმის წინააღმდეგ მიმართული.

საწერ მაგიდაზე გდია „პოეტების ტფილისის ცეხის“ პირველი რუსული კრებული „АКМЕ“, გამოცემული ტფილისში 1919 წელს. კრებულში წარმოდგენილი არიან: სერგეი გოროდეცკი, ანა ანტონოვსკაია, რიპსიმე ასილიანც, ბელ-კონ ლიუბომირსკაია, ნინა გრაციანსკაია, მაგდალინა დეკაპრელევიჩ, ოლგა კამაევა, ნიკ. კაპრანოვ, სოფია მელიკოვა, ალ. კუბელიაკინ, ტატიანა პოიარკოვა, სერგეი რაფალოვიჩ, ნ. სემეიკო და სხ. „ცნობილი“ და უცნობი მოპოეტ ხროვა. განსაკვირველია, როგორ მოგროვდენ ასე „დოვლათიანად“ გრაციანსკაიები და მაგდალინები ტფილისში, ეს „გაცნობის“ მსურველები და მენშევიკური „ანგელოსების“ (ე. ი. გვარდიელების) პროტეეები?! გავეცნოთ ამ „თავისუფალი პროფესიის“ წარმომადგენლების „სულიერ ონანიზმს!“ ვიძლევი დამახასიათებელი სტროფების მონტაჟს:

„Я сумрак робкий вечности ступень
Протянет мгла безжалостные длани,
Спеши уйти со мной в с т о р о н у желаний.
Я оставалась одна на перроне,
Помню грустный, прощальный твой взгляд...
Вереницей проходят вагоны,
Дребежит убегающий ряд.
И слышу, так близко, я шелесть молитвы,
То—шум твоего дождевого плаща.
Мир навис трущебным пауком.
Уснет неукротимая тревога
Под щупальцами травленного бога.
Когда в душе твоей любовь, оставь
Того, кто нежен, свят и тих,
Пьяни бушующую кровь
Сердец безумно-молодых
И пламенем страстей своих расплавь
Всю жизнь! И кинься вновь
В кипучесть океанов огневых вплавь!
Ты-ли прошла в одеянии осени,
Золотокудрая, неуловимая?...
Но трижды, трижды я вошла бы в двери ада
Лишь за одну из девственных его ночей.
Как жутко бродить средь извилин
Своей жаржавелой души!
Обходит смерть, раскоса и хрома,
От страха побелевшие дома.
Здесь девушка нежнейших ног овал
Откинула: грызет ей грудь шакал.
Без счета высятся из-за угла,
Тоскою обезглавлены, тела.
Я почти разучилась быть нежной,
Позабыв своего короля!
Мое сердце сегодня—коробка ненужная и пустая
Смиренномудрые молебны
Я слышу в шорохе полей.
Я встала поздно. На рояле
Цветы увяли в хрустале,
И с вечера еще лежали
Его перчатки на столе...
Край занавески чуть приподнят
И тусклый свет грустит в окне,

Я знаю, целый день сегодня
Он будет думать обо мне.
Вкусить стыжусь незрелый плод,
Но ты прильнешь ко мне тепло —
И я уже не в силах боле
Не пить до дна твоей любови".

კაბაკური ბაზისი, კაბაკური ზედნაშენები, რესტორანული სტილი, ზ. გიპიუსის, ბალმონტის, ახმატოვას უბადრუკი მიმბაძველობა. სონეტებში ჩაქცეული უნიჭობა, „ქალურობის" დემონსტრაცია, გერმაფროდიტიზმი, „გაცნობისათვის" წამოწყებული მელექსეობა, „სიყვარულის" გათამაშებისა და გაკეთებისათვის. მართალი ხართ, მოქალაქე გრიგოლ! მხოლოდ ახლა მიხვდით, რომ ეს „ღვენთა" მწერლობა კი არ იყო, არამედ ორგია, თუმცა ამ „ანსამბლს" ობიექტურად თქვენც უწყობდით ხელს. ასეთი იყო კაბაკური ბაზისის ლიტერატურული კვირტები, ასეთი იყო „დემოკრატიული" წესწყობილების მწერლობა: საქართველოს მწერლობაში უკანასკნელ სკრიპკას როდი უკრავდენ თეთრგვარდიელი, პორნოგრაფი, მაზოხისტი, სადისტი და „ეროტიული პესიმიზმის" შემცველი „რუსი" მწერლუკები. სულ... ნოტებით მღეროდენ სქესზე, თეთრ რუსეთზე, თეთრ თათმანებზე და აჭარელი გოგოს „ატმისფერ ლოყებზე" და „ველურ ძუძუებზე". ვინ ივყნენ ეს მწერლუკები, რომელნიც შინაურულად გრძობდნენ თავს „დემოკრატიულ" საქართველოში? უმთავრესად საბჭოთა რუსეთიდან გამოძევებული თეთრგვარდიელები, აფერისტები, სოლოლაკის სომხის ბურჟუაზიის „ლიტერატურული" წარმომადგენელები და... „თავისუფალი ქცევის" „დამოჩკები" და „ქალწულები".

ლიტერატურული გახრწნილება სათანადო პრივილეგიებით და ე. წ. „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების" უფლებით სარგებლობდა საქართველოში ბურჟუაზიის დიქტატურის პირობებში! ასეთია „დემოკრატიული" რესპუბლიკის „კეთილშობილება" და სოციალური ბუნება! საქართველოში ჟირონდისტების დიქტატურის დროს ყოველგვარი ლიტერატურული სიბინძურე, პოლიტიკური ავანტურიზმი, აფერიზმი და შავი ტეროორი დემოკრატიული „კონსტიტუციით" ჩადეკრეტებული და დაკანონებული იყო — მიმართული საქართველოს რევოლუციონური მუშათა კლასის და ღარიბი გლეხობის ბოლშევიკური მოძრაობის წინააღმდეგ. ვერ მოხერხდა პროლეტარული რევოლუციის ადგილებზე „ნაციონალიზაცია" და „პერიფერიების" გამაგრება, ვინაიდან ოქტომბრის რევოლუცია ინტერნაციონალური, მსოფლიო მოვლენაა... და „დემოკრატიული" წყვდიადის ლამურებს ისეთივე „ბედი" ეწიათ, რაც რუსეთის დამფუძნებელი კრების მანეკენებს და „აბლაკატებს", ბურჟუაზიული კონტრევოლუციის ინტერნაციონალის დონკიხოტებს.

1885 წელს ფრ. ენგელსმა იწინასწარმეტყველა, რომ „წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატია" უკანასკნელი ბარიკადის როლში გამოვა კაპიტალისტური საზოგადოების კომუნისტური მუშებისაგან დაცვის მიზნით. უახლოეს რევოლუციაში, წერდა ენგელსი, „... წვრილბურჟუაზიული დემოკრატია უნდა პირველი მოექცეს მართველობის სათავეში, როგორც საზოგადოების კომუნისტური მუშებისაგან გადამრჩენი*".

ისტორიულმა პროცესებმა, სოციალური მოვლენების დიალექტიკამ სავსებით გაამართლა ენგელსის მოსაზრება; „რუსეთში მენშევიკებმა და ესერებმა

* Маркс и Энгельс. Исторические работы, გვ. 420.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(როგორც მთელ მსოფლიოში II ინტერნაციონალის ყველა ბელადმა 1914—1920 წ.) გამცემლობიდან დაიწყეს, ამართლებენ რა პირდაპირ თუ არაპირდაპირ „სამშობლოს დაცვას“, ე. ი. თავიანთი ყაჩაღური ბურჟუაზიის დაცვას. მათ განაგრძეს მოღალატეობა თავისი ქვეყნის ბურჟუაზიასთან კოალიციაში შესვლით, თავისი ბურჟუაზიასთან ერთად ებრძოლათ თავიანთი ქვეყნის რევოლუციონური პროლეტარიატის წინააღმდეგ“ *.

წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ლიტერატურაც უკანასკნელი ბარიკადა იყო, რომელიც „დემოკრატიულ“ საქართველოში თავგამოდებით იცავდა ბურჟუაციულ საზოგადოებას პროლეტარული რევოლუციისაგან; „დამოუკიდებელი“ საქართველოს „მწერლობა“ საქართველოს ბურჟუაზიისა და მემამულეების ანტიპროლეტარული ფრონტის უკანასკნელი ბარიკადა იყო, რომელიც გულ და გულ იცავდა დემოკრატიული შარლატანობის პრაქტიკას და თეორიას! „დემოკრატიული“, მოჩვენებითი „თავისუფლების“ ილუზიებს.

ცხოვრების ძველებური პრიოგების დარღვევასთან ერთად, თანდათან ძველი იდეებიც ირღვევა

Мы — несметные, грозные легионы труда.
Мы победили пространства морей, океанов и суши.
Светом искусственных солнц мы зажгли города,
Пожаром восстаний горят наши гордые души.
Мы во власти мятежного, страстного хмеля;
Пусть кричат нам: — Вы — палачи красоты“;
Во имя нашего завтра — сожжем Рафаэля,
Разрушим музей. растопчем искусства цветы.

Вл. Кириллов („Мы“).

„ნუთუ ძნელი გასაგებია, რომ ადამიანთა ცხოვრების პირობებთან, მათ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან ერთად იცვლება მათი წარმოდგენა, მათი აზრი და ცნებანი, ერთი სიტყვით, მთელი მათი შეგნება?

რას ამტკიცებს იდეათა ისტორია, თუ არა იმას, რომ გონებრივი მოღვაწეობა სხვაფერდება მატერიალურ მოღვაწეობასთან ერთად. ამა თუ იმ ხანის გაბატონებული იდეები ყოველთვის იყო მხოლოდ გაბატონებული კლასის იდეები. ლაპარაკობენ იდეებზე, რომელიც მთელ საზოგადოებას არევოლუციონებს. ამით მხოლოდ იმას აღიარებენ, რომ ახალი წყობის ელემენტები უკვე აღორძინდა ძველს საზოგადოებაში და ცხოვრების ძველებური პირობების დარღვევასთან ერთად თანდათან ძველი იდეებიც ირღვევა“ **.

ოქტომბრის რევოლუციამ რადიკალურად შეცვალა კერძო საკუთრებაზე დაყრდნობილი საზოგადოებრივი ურთიერთობანი საკუთარი კულტურით და ოფიციალი ლიტერატურით. ოქტომბრამდე არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურის დამხობამ ოქტომბრამდე არსებული ე. წ. სულიერი კულტურის დაშლაც გამოიწვია. ძველი იდეების რღვევა, ძველი ესთეტიური გაგება, ხელოვნებას „განსაკუთრებულ“ სპეციფიურობას აწერდა, რაც მას „არა-

* Ленин, соч., ტ. XVII, გვ. 131.
** იხ. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი—„კომუნისტური მანიფესტი“. გვ. 50.

ამქვეყნიურ“ მოელეხად ხდიდა; მსოფლიო გარდატეხის წლებიდან ხელოვნების „რომანტიული“, თვითმიზნური ლირებულება უკანა პლანზე ექცევა, რაც საზოგადოებრივად აუცილებელია და უტილიტარული, რამდენადაც ბურჟუაზიული ეთიკის ძირითად საყრდენებს ხრწნიდა და შლიდა. ამგვარად, ოქტომბრიდან მწერლობა უსაგნობას და კუსტარულ სივიწროვეს თანდათანობით შორდებოდა და სოციალურ წყალვარდნილს დაუკავშირდა, თუმცა პირველ ხანებში „საცობების“ და „მუხრუჭების“ სისტემაზე დაყრდნობილი საშინაო და საგარეო პოლიტიკა მწერლობის აქტუალურ თანადროულობაში შეჭრას ნაწილობრივ აფერხებდა.

მისტიციზმი, ინდივიდუალიზმი, შოვინიზმი, ფრთიანი ეროსი, პორნოგრაფიული მინიატურა, მდარე რომანტიზმი, მწუხრის კამერული მუსიკა, ფუტურისტული ჟონგლიორობა, შამანობა... ეოთის სიტყვით, დაცემულობის და ხრწნის ტალღებში იყო გახვეული ოქტომბრამდე არსებული ოფიციალი ლიტერატურა; ერთეული პროლეტარული მწერლების მოწოდების ზარი თითქოს იკარგებოდა ამ ვაკხანალიაში.

პეტროგრადის, მოსკოვის და სხვ. სამრეწველო, პროლეტარულ ცენტრებში ბარიკადებია ამართული, ისმის ზარბაზნების გრიალი და... ამხ. ლენინი საბჭოების ყრილობაზე კითხულობს ისტორიულ დეკრეტს მიწისა და ზავის შესახებ. ძველი წყობილება დაირღვა, ძველი იდეებიც ირღვევა. ახალი კლასი იწყებს საკუთარი ცხოვრების, ახალი კულტურის შექმნას, თუმცა ახალი კულტურის ელემენტები იქმნებოდა და იკვრებოდა პროლეტირიატისვე* მიერ პოლიტიკურ გამარჯვებამდე. ფ. ენგელსი „გლეხთა ომი საფრანგეთში“-ს წინასიტყვაობაში დაახლოებით შემდეგსა წერდა: მაშ შემდეგ რაც მუშათა მოძრაობა არსებობს, გეგმიანი და ურთიერთშორის შეთანხმებული და დაკავშირებული ბრძოლა სწარმოებს სამი—თეორიული, პოლიტიკური და პრაკტიკული, ეკონომიური მიმართულებით.

ქართულმა პროლეტარულმა ლიტერატურულმა მოძრაობამ 1921 წლიდან დაიწყო შეუჩერებელი განვითარება და ზრდა; ამ დროს ქართული ტრადიციული მწერლობა მუდმივი პატრიოტული გადამღერების და დეკადენტური უძრაობის ჭაობში იყო ჩაძირული. თარიღი—1921 წელი ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს ქართული პროლეტარული მხატვრული მწერლობა და ლიტერატურული აზროვნება 1921 წლიდან იწყება. ჩვენი ლიტერატურული წინამორბედია ე ვ. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი, მარქსისტული სალიტერატურო კრიტიკის საფუძველის ჩამყრელია ამხ ფ ი ლ ი პ ე მ ა ხ ა რ ა ძ ე. პროლეტარული პოეზიის პიონერის სანდრო ე უ ლ ი ს (ჭურიძე) პირველი კლასიურად გამართულ ლექსი 1908 წელს დაიბეჭდა, ორი ათეული წელი ენსახურება მახვილი სატირით ამხ. ს ი ლ ი ა თ ო დ რ ი ა პროლეტარულ საქმეს, ახლო წარსულში პროლეტარული მწერლობის

სამოცდაათიანი წლების ბოლოს „რუს მუშების ჩრდილოეთის კავშირი“ დაარსდა. ამავე დროს ფაბრიკაში მუშაობდა ათი წლის მოზარდი, რომელსაც წილად ხვდა რუსეთის პროლეტარიატის ერთ-ერთი პირველი პოეტობა; ეს მოზარდი იყო შკულევი. 1913 წლიდან ქ. ბაქოში არსდება ლიტერატურულ-პოლიტიკური ქართული კვირეული ჟურნალი „წყარო“, რასთანაც სამხატვრო-სალიტერატურო წრე ეწყობა. 1917 წლიდან 1921 წლამდე საქართველოში სამოქალაქო ომის პერიოდია. 1917 წლიდან ჩნდება პროლეტარული მწერლობის (რევოლუციონური მარქსიზმის, პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალიზმისათვის ლენინური ბრძოლის პოზიციაზე მდგომი მწერლობა) ჩანასახები საქართველოში. ბოლშევიკურ გაზეთებში („ბრძოლა“, „კომუნისტი“) იბეჭდებიან: ს. თოდრია, ს. ეული. ი. ვაკელი, ნ. ზომლეთელი (1920 წლის მიწურულში) და სხ. —ვ. ლ.

სარბიელზე ს. თალაკვაძე, ი. ვაკელი, ნ. ზომლეთელი, რ. კალაძე, პ. სამსონიძე და სხ. გამოვიდენ. მიუხედავად ამისა, პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობის მტკიცე წლები 1921 წლიდან იწყება.

1921 წლის 17 დეკემბერს დაარსდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია; 1922 წელს გამოვიდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამხატვრო-სალიტერატურო ყოველთვიური ჟურნალი „ქურა". № 1, ამხ. სილია თოდრიას, რ. კალაძის და ს. ეულის რედაქტორობით. „ბარიკადა", „ხომალდი" და „ლომისი" 1921/22 წლებში ქართული ლიტერატურული ყოველდღიურობის „სტილი" იყო; განსაკუთრებით „ლომისელები" ის ხალხი იყო, როგორც ჟურნალ „ქურას"-ს პირველ ნომერში ერთი ბიბლიოგრაფი წერდა, რომელთაც „თუ ფარი დაუდგათ, მზად არიან ერთი ათი საუკუნით მაინც უკან დაგვაქანონ"; ეს არაა ჰიპერბოლა, არამედ ფაქტიური სინამდვილეა. ჰოდა ეს „დამქანებლები" მტრულად შეხვდენ პროლეტარულ მწერლობას და საბჭოთა ქალალდზე ღვარძლიანად წერდენ, რომ ეული „სახლობიას თამაშობს", პროლეტარულ მწერლებს „ზეგარდმო ნიჭი" აკლიათ. ან:

„პროლეტარულ პოეზიას, როგორც ევროპაში, ისე რუსეთში ისეთივე სკანდალი მოუვიდა, როგორც ნაპოლეონ ბონაპარტის მეუღლეს ჟოზეფინას, რომლის გათხოვებაზე და დედოფლად კურთხევაზე იმდენი მითქმა-მოთქმა იყო, იმდენი ამბიცია დაიხარჯა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან „ტახტის მემკვიდრე" ვეღარ შობა"*.

ერთერთი ყანწელი იმდენად გაბოროტდა და გათავხედდა, რომ პროლეტარულ მწერლებს „Обозная сволочь революции"-ს უწოდებდა. უთუოდ აღსანიშნავია: „დემოკრატიული" მწერლების ბანაკიდან მხოლოდ ვარლამ ხუროძე იცავდა ნაწილობრივ პროლეტარული მწერლობის პოზიციებს გამსახურდიებისა და ყანწელების თავდასხმებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ვ. ხუროძე ამ დაცვაში ნაწილობრივ პერეევერზიანულ, მენშევიკურ მოსაზრებებსაც ავითარებდა:

„ან ეგების პროლეტარული პოეზიის განმავითარებლებად გამსახურდიას ტიციან ტაბიძეები მიაჩნია. აკი ერთხელ ამ ვაჟმა „პროლეტ-კულტურასაც" კი დაუწყო არშიყობა „კომუნისტის" ფურცლებზე. თუ ეს ასეა, მაშინ ნურას უკაცრავად, თუ მას პირდაპირ ვეტყვით: არა, ბატონო, თქვენ პროლეტარული პოეზიის პროფანატორები გინდათ მის იდეოლოგებათ გაასაღოთ, ეს კი არ არის მოსაწონი. განა რობაქიძე—ტაბიძეს და მისიანებს შეუძლიათ იყონ პროლეტარიატის გულისთქმათა გამომსახველნი. ეს ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან მთელი მათი წარსული ლიტერატურული მუშაობა მუშათა კლასის გარეშე იყო და პროლეტარიატის იდეა მათ სასაცილოდაც არ ყოფნიდათ" *).

მოვლენების დიალექტიკამ დაამტკიცა, რომ პროლეტარიატმა საკუთარი მწერლობა შექმნა, ხოლო პროლეტარული მწერლობის კლასიურმა მტრებმა—ნაცარ-ტუტა საკუთარ თავზე გადასაფოქვევად. დავუბრუნდეთ თემას!

ჟურნ. „ქურა"-ს (№ 1) სარედაქციო წერილში გარკვეულადაა ნათქვამი: პროლეტარული მწერლობა მუშათა კლასის კლასიური მხატვრული ლიტერატურაა და იდეოლოგიურ-მხატვრულად დაპირისპირებულია ქართული მწერლობის დანარჩენი რაზმებისადმი, პროლეტარულ შრომისა და ბრძოლის „მ ო მ წ ყ ო ბ ი ძ ა ლ ა ი" ამრიგად, ქართული პროლეტარული მწერლობა შ ი ნ ა ა რ ს ი თ პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი იქნება, ხოლო ფ ო რ მ ი თ პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ-

* იხ. გაზ. „პოეზიის დღე" № 3, 1922 წ. კ. გამსახურდიას წერილი „Orbis literarum", სადაც პატრიოტული და მისტიური ბოდვაა იმის შესახებ რომ: „ქართული რასსის მაჯებში მწვანე სისხლი სჩქეფს", „პოეტი ერის მარადიული სულის მოურავია, მისი თარჯიმანი ღმერთებთან საუბარში და მისი უკვდავი ნების ამსრულებელი მიწაზე".

* იხ. ჟ. „უკიმერიონი" № 2, 1922 წ. ჭუთაისი.

ეროვნული; „ქურა“ პროლეტარული მხატვრული მწერლობისა და კრიტიკის ქართული სამჭედლო იყო. კრიტიკა-თეორიაში წარმოდგენილია ბოგდანოვის მოხსენება („პროლეტარიატი და ხელოვნება“), გაკეთებული რუსეთის პროლეტკულტის პირველ კონფერენციაზე 1919 წელს. რ. კალაძის წერილი „ქართული მწერლობა“ და „ქურა“* და სხ.

„ქურა“-ს № 2 (1922) უკვე საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის დ ე კ ლ ა რ ა ც ი ი ა ა** მოთავსებული და პროლესთის პასუხი „ქურა“-ს კრიტიკოსებისადმი. ვინაიდან დეკლარაციას შედარებით ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მოგვყავს ვრცელი ამონაწერი:

„საქართველოში ჩვენამდისაც არსებობდა სუსტი სულის თქმით პროლეტარული რევოლუციონური ლიტერატურა იმდენად რამდენადაც არსებობდა პროლეტარიატის რევოლუციონური მაჯისცემა, პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლაში. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის აღიარების შემდეგ და საბჭოთა წესწყობილების დამკვიდრების დღიდან, ჩვენში პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა ყალიბდება ორგანიზაციულად და ფრთებს ზლის იდეურად ისე, როგორც პროლეტარული სხვა შემოქმედება საბჭოთა სისტემის სხვადასხვა სფეროში. პროლეტარული ლიტერატურა ახალი და მასთან კლასიური ხასიათის მოვლენაა ჩვენს დროში. ის დაიბადა მუშათა კლასის ბრძოლის პროცესში; მისი ზრდა და შემდეგი განვითარება დამოკიდებულია ისტორიული მსვლელობის აუცილებლობაზე, რასაც კაცობრიობა უმაღლეს საზოგადოებრივ ფორმამდე — კომუნიზმამდე მიჰყავს...

საქართველოს დღეს ახალი მზე უნათებს თავისი ცხოველმყოფელ სხივებით. დეე, სულით დაცემულებმა იტირონ თავიანთი სიუძლურე და სიბერავე, დღეს ორთქლის და ელექტრონის ბატონობაა, მათი ძალით კაცობრიობა უნდა მიწვდეს ბუნების საიდუმლოებას. ცხოვრების წინ გაქანება შობს ახალ იდეებს და აზრებს. ახალი აზრები კი ახალ დაჭედილ სიტყვებს, ეს უკანასკნელი კი ახალ სტილს და ფორმებს. და ამ პროცესშია დღეს პროლეტარული ლიტერატურა. ამ მიმდინარეობათა (ლაპარაკია „ყანწელებზე“, „ლომისელებზე“ და სხ.—ვ. ლ.) იდეოლოგია დაფუძნებულია ინდივიდუალიზმზე და საზოგადოებრივი იდეალის მიჩქმალვაზე და მტრულად განწყობილია პროლეტარიატის კოლექტიური შემოქმედებისა და შეგნებისადმი“ და სხ.

დეკლარაცია ძირითადში კლასიურად სწორ იდეოლოგიურ-ლიტერატურულ პოზიციაზე იდგა. „ქურა“-ში ერთგვარი დისონანსი შეიტანა პ. ქუთათელაძის წერილმა.—„პროლეტარული პოეზია“:

„პოეზია ათრთოლებული გულია ობიექტური სინამდვილის... პოეზიის გარეშე უხალისო იქნებოდა ჩვენი ცხოვრება და ის დაემსგავსებოდა მშრალ, უმოძრაო სფინქს, რომელიც სიმბოლოა აფრიკის ცხელ უდაბნოს ქვიშნარისა... ადამიანს, მისი გავლენის ქვეშ მყოფს, უცებ მსუბუქ ფრთებშესხმულს ავიწყდება ყოველივე სიწვრილმანე და სიდუხჭირე ცხოვრებისა და ფრთებშესხმულ ოცნებას ეძლევა. ამ შემთხვევაში პოეზია ისეთივე ჯადოსნური ხელოვნებაა, როგორიც მუსიკა, რომელიც თავდავიწყების ბურუსში ხვევს თვით მხეცებსაც კი... მაშ, ჩვენი ცხოვრების სახალისო ერთ მთავარ საგანს პოეზია წარმოადგენს და თუ ეს ასეა, იმ შემთხვევაში იგიც უნდა დადგეს იმ მკვიდრ და მაგარ ნიადაგზე, რომლიდანაც მას ადვილად შეეძლება გაფერმკრთალებული კაცის ცხოვრების აფერადება“

თურმე პოეზია „ათრთოლებული გული“ ყოფილა, „ჯადოსნური“ ხელოვნება, რომელიც მტრედის ფრთებს გამოგაბამს, დაგავიწყებს „ცხოვრების სიდუხჭირეს“ და „გაფერმკრთალებული კაცის ცხოვრებას ააფერადებს“! „ქურა“-ს სარედაქციო წერილში ვკითხულობთ, რომ პროლეტარული მწერლობა პროლე-

---

* აღნიშნული წერილები პროლეტკულტიზმის დოკუმენტებია. საერთოდ ჟურნ. „ქურა“, „კუზნიცა“-ს და პროლეტკულტიზმის ტრადიციების მატარებელი იყო. რევოლიუციონური ბრძოლის და შრომის რიტმების გამყენებული პოეზია „ქურა“-ს სტილი იყო, პროლეტკულტიზმი—იდეურ-შემოქმედებითი ღერძი.

** ეს „დეკლარაცია“ ძირითადში მოსკოვის „კუზნიცა“-ს დეკლარაციის, რაც 1921 წ. ჟ. „Кузница“-ს მე-№ 7 დაიბეჭდა, ქართული ვარიანტს წარმოადგენს ვ. ლ.

ტარული შრომის და ბრძოლის მ ო მ წ ყ ო ბ ი ძალაა, პ. ქუთათელაძე კი იმავე „ქურა“-ში წერდა, რაც პროლეტარული მწერლობა მხოლოდ „მომწყობი ძალა“ არაა. ქუთათელაძის ნაფიქრი და ნააზრევი, მისი პოზიცია გარკვეულად წვრილ-ბურჟუაზიული, მეშჩანური პოზიცია იყო პროლეტარული პოეზიის რაობის საკითხში,

ეს იყო ქართული პროლეტარული მწერლობის ორგანიზაციულ-გეგმიანი და შემოქმედებითი მოძრაობის პირველი წლები, წლები გაბედული ნაბიჯებისა და ჩავარდნებისაც. 1923 წლიდან მოყოლებული („ქარხნის ტრიუმფი“, „შარავანდედი“, „ცეცხლის ხმები“, ჯგუფები: „მომავალი“, „დინამიტი“, „პროლემაფ“) პროლეტარული მწერლობა თანდათანობით იდეურ-შემოქმედებით მტკიცდება, სძლევს მემარჯვენე მწერლობას, იძენს ლიტერატურულ მოკავშირეებს, ახალ კადრებს და მოკლე ისტორიულ გადასარბენში დაიპყრობს ჰეგემონიას.

ჩ ვ ე ნ ვ დ გ ა ვ ა რ თ ბ ო ლ შ ე ვ ი კ ი ს ი პ ა რ ტ ი ი ს ლ ო ბ ი ს პ ო ზ ი ც ი ა ზ ე, ვ ქ მ ნ ი თ ბ ო ლ შ ე ვ ი ზ მ ი ს დ ი ა დ მ წ ე რ ლ ო ბ ა ს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქართული მწერლობის მემარჯვენე სექტორი უკვე ლიკვიდაცია ქმნილია! ამის მტკიცება პოლიტიკური სიბეცე და საუწყებო ოპტიმიზმი იქნებოდა. მემარჯვენე მწერლობის გავლენა და ლიტერატურული წონა თანდათანობით მცირდება და სუსტდება, თუმცა კლასიური ბრძოლის გაძლიერებასთან დაკავშირებით ხშირად ამეღავნებენ თავს ქართული არკადიადან „მემკვიდრეობად“ მიღებული რეაქციონური მწერლების ნარჩენები.

წერილს ვამთავრებთ ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს საყურადღებო სიტყვებით:

„...ჩვენს ცხოვრებაში ყოველთვის კვდება რაიმე, მაგრამ იმას, რაც კვდება, უბრალოდ სიკვდილი კი აო სურს, ის ი:რძვის თავისი არსებობისათვის, იცავს თავის დრომოჭმულ საქმეს. ჩვენს ცხოვრებაში ყოველთვის იბადება რაიმე ახალი, მაგრამ ის, რაც იბადება, უბრალოდ კი არ იბადება, არამედ ჩხავის, ყვირის, იცავს თავისი არსებობის უფლებას. ბ რ ძ ო ლ ა ძ ვ ე ლ ს ა დ ა ა ხ ა ლ ს შ ო რ ი ს, ი მ ა ს შ ო რ ი ს, რ ა ც კვდება და რაც იბადება,—აი ჩვენი განვითარების საფუძველი“.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიო მაჭაშვილის «განგაში»-ს შესახებ

დრამატურგია ხელოვნების ურთულესი ფორმაა, ის ყველაზე უფრო მკვეთრად და მახვილად გამოსთქვამს კლასის ფსიქო-იდეოლოგიურ მისწრაფებებს, მის შეხედულებებს ცხოვრებაზე, მის თანამედროვე მდგომარეობას და პერსპექტივებს. კლასთა ბრძოლა დამკვიდრებულია თეატრების სცენებზეც. მიმავალი კლასის ხელოვანი მოვლენათა სოციალ-პოლიტიკურ ვითარების მხატვრული ანალიზის მაგიერ აბუნდოვნებს ამ მოვლენებს, ხელს აფარებს მათ ნამდვილ ბუნებას და გადაჰყავს თვისი მკითხველი თუ მაყურებელი მისტიურ ფანტაზიის სფეროში, აშორებს მათ ყურადღებას „ცოდვილ“ მიწას. რადგანაც ამ უკანასკნელის ნიადაგზე მათ აღარაფერი დარჩენიათ საიმედო.

პროლეტარული მწერალი კი წინააღმდეგ, გვაძლევს მოვლენათა ნამდვილ დიალექტიკას და დინამიკას, ეს მით უმეტეს ითქმის პროლეტარულ დრამატურგიის შესახებ. დიალექტიკა არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ისეთ თვალსაზრისს, რომელიც „გარედან შეტანილია“ მოვლენათა ვითარებაში, ის პირიქით თვით არის შინაგანი კანონი საგნების და მოვლენების ვითარებისა. აქიდან ცხადია, რომ მატერიალისტური დიალექტიკა უნდა გარდაიქცეს პროლეტარულ ხელოვნების ერთად-ერთ შემოქმედებითი მეთოდათ, გარეშე ამისა შეუძლებელია მოვლენათა სწორი კლასიურ-პროლეტარული თვალსაზრისით გაგება. შემოქმედებითი დისკუსია, რომლის მთავარ მიზანს მატერიალისტური დიალექტიკის გამოყენების სწორი გაგება უნდა შეადგენდეს გვერდს ვერ აუხვევს-დრამატურგიის სფეროს. შემოქმედებითი მეთოდის ფრონტზე დაშვებულმა გადამახინჯებებმა ყველაზე უფრო მძაფრი გამოხატულება დრამატურგიის ფრონტზე ჰპოვა. ერთის მხრივ—„ფსიქოლოგიური რეალიზმი“, რომელიც მატერიალისტური ფილოსოფიის საწინააღმდეგო აზრებს ეყრდნობოდა, ხოლო მეორეს მხრივ—„ლიტ-ფრონტის“ მექანისტური—მეტაფიზიკური თვალსაზრისი სათანადო გამოძახილს პოულობდენ დრამატურგიის სფეროში, ი. ლიბედინსკის „Высоты“ და სხ. მხატვრული ფაქტები, ხოლო მეორეს მხრივ ბეზიმენსკის, ვიშნევსკის პიესები წარმოადგენენ გადახვევას პროლეტარულ, ლიტერატურის გენერალური შემოქმედებითი მეთოდის ხაზიდან. „Выстрел“-ის მექანისტური მეთოდი სავსებით უგულებელყოფდა ლენინურ-მატერიალისტურ დიალექტიკის ძირითად შინაარსს და სამაგიერთდ მხარს უმაგრებდა მეტაფიზიკურ მატერიალიზმის აპოლოგეტებს. ეს დაბრკოლებები შემდეგში თანდათან დაძლეული იქნა; ეს რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, რომ მემარჯვენე-„მემარცხენე“ გადახრების საშიშროება პროლეტარულ დრამატურგიაში არ იყოს, არა—ასეთი საშიშროება არის და ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ მის ყოველგვარ გამოვლენას.

უკანასკნელ წლების მანძილზე პროლეტარულ დრამატურგიის ზრდა ოდავო ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ამ მოვლენას ვხედავთ საქართველოს სინამდვილეშიაც. პროლეტარულ დრამატურგიის სფეროში ჯერ მხოლოდ პირველი ნაბაჯებია გადადგმული (ა. მაშაშვილი, კ. კალაძე), მაგრამ ეს პირველი საწყისები იმდენად ჯანსაღი და ძლიერი შემოქმედების თვისებისა არიან, რომ თამამად შეიძლება ლაპარაკი პროლეტარულ დრამატურგიის უძლიერესი მომავლის შესახებ.

ახალგაზრდა პროლეტარული დრამატურგია მხატვრული ეკლეტიზმის და კლასიციზმის ეპიგონობის გზით კი არ მიდის, არამედ იგი სდგას მატერიალისტური დიალექტიკის შემოქმედებითი მეთოდის საფუძველზე, გამომდინარე აქედან იგი მთავარ მიზნად ისახავს ბრძოლას პარტიის პოლიტიკის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ. პოლიტიკური სიმახვილის, სოციოლოგიური სიღრმის, ფსიქოლოგიური დამაჯერებლობის, მხატვრული სიძლიერის გარეშე პროლეტარული დრამა შეუძლებელია წარმოვიდგინოდ. ლიტერატურული კლასიციზმის ეპოქა, რომელსაც თავის მხრივ სავსებით ეფარდებოდა აქტიორული ინდივიდუალიზმის თეატრი, ყველაზე უფრო დიდ ყურადღებას აქცევდა პიროვნებათა შინაგან, „სულიერ“ ბრძოლას. ძველი დროის ტრაგედია თავის სათავეს იღებდა რა იდეალიზმიდან ყურაღების გარეშე ვერ დასტოვებდა პიროვნების ფეტიშიზაციას, ზოგჯერ კი ეყრდნობოდა ფატალისტურ გაგებას ადამიანის მოქმედებისა. ინტელიგენციას თავი წარმოდგენილი ჰქონდა ის-

ფანტაზიები ლ. ანდრეევზე

ტორიული პროცესის ხელმძღვანელად და ხელოვნებასაც სწორედ ამ იდეების პოპულიარიზაციას სთხოვდა; მეორეს მხრივ „ფსიქოლოგიური“, „სულში ხელის ფათური“ აკმაყოფილებდა არისტოკრატიულ-კონსერვატიულ გემოვნებას.

ძველმა ინდივიდუალისტუმმა დრამამ ვერ მოახერხა განმტკიცება და ისტორიული აუცილებლობის ძალით დასტოვა მბრძანებელი სიმაღლეები. ამ სიმაღლეებს იკავებს დღეს ახალი, პროლეტარული დრამა, რომელიც ნილილისტურად კი არ უარყოფს კლასიკების მემკვიდრეობას, არამედ ლენინის თვალსაზრისის მიხედვით ახდენს მის კრიტიკულ გამოყენებას. ასეთია ისტორიის ლოგიკა. ეპოქათა ცვლები დიალექტიური კანონზომიერებით ხდება. თეატრის სცენაზე „რომანტიკოსების“, შეყვარებული ასულების, წმინდა ქალწულების, რაინდების, თავადების და ბურჟუაზიულ ინტელიგენტურ ანარქისტების ადგილს იკავებენ ჩვეულებრივი ადამიანები, მუშები, გლეხები, მშრომელი ქალები და საერთოდ ყველა ისინი ვინც ქმნიან ახალ ისტორიულ ეპოქას. ეს თეატრალური რევოლიუცია დრამატურგიდან უნდა დაიწყოს. სხვა გზა არ არსებობს. „ენციკლოპედიის გამოჩენილი რედაქტორი, საფრანგეთის ცნობილი მატერიალისტი დიდრო, რომელიც იმავე დროს ბურჟუაზიული დრამის მამამთავრად ითვლება კლასიკური ტრაგედიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს აცხადებდა, რომ დრამის მომქმედ პირებად უნდა იყვნენ გამოყვანილი არა მეფეები, პრინცები და მღელვარე ბუნების ასულები, არამედ ვაჭრები, ექიმები, გლეხები და სხ. მხოლოდ ასეთ დრამას სთვლიდა დიდრო „სერიოზულ ჟანრად“. იგი გააფთრებული ებრძოდა „ამაღლებულ“ ტრაგიზმს და ზეციურ თრთოლვებს. დიდრომ მიწასთან გაასწორა არისტოკრატიული ტრაგედია, რომელიც წმინდა ხელოვნების სახელით იბრძოდა ახალი იდეების წინააღმდეგ. ამას მოითხოვდა ახალი კლასის, ბურჟუაზიის პრაქტიკა.

პროლეტარული დრამა უნდა სცდილობდეს ყოველმხრივ შეეფარდოს პროლეტარიატის პრაქტიკას. ზე-კაცური ინდივიდუალიზმი დღეს მხოლოდ კლასიური მტრის იდეების პოპულიარიზაციას წარმოადგენს. სავსებით შემცდარი იყო ლ. ტროცკი როდესაც სწერდა: „ახალი ხელოვნება აღადგენს ყველა ძველ ფორმებს, რომელნიც შექმნა შემოქმედ სულის განვითარებამ“. ეს მთლიანად ანტილენინური და შემცდარი აზრია, რომელიც ორგანიულად გამომდინარეობს ტროცკიზმის პოლიტიკურ-ლიტერატურულ კონცეპციიდან. რეაქციონური აზრი წარსულის ხელოვნების რესტავრაციის შესახებ წარმოადგენს ხელისშემშლელ პირობას პროლეტარულ დრამის ჩამოყალიბების გზაზე.

ტრადიციული ფორმების და ჟანრების განახლება უარეს რეაქციონურ უკანდახევად უნდა ჩაითვალოს, ძველი დრამატიული ხელოვნების კრიზისი თვალსაჩინო მაჩვენებელია იმ ფაქტისა, რომ ამ უკანასკნელმა დაკარგა მასიური მკითხველი, მასიური მაყურებელი. ახალ მაყურებელს აღარ აინტერესებს ვიწრო „ფსიქოლოგიზმი“, იგი სრულიად ახალ მოთხოვნილებას უყენებს ხელოვნებას.

ამ მოთხოვნილებათა დროულობა და უაღრესი აქტუალობა კარგად გაითვალისწინა პროლეტარულ მწერლობამ. პროლეტარული პოეზიის მოწინავე ერთეულები უფრო ფართო ჟანრის ეპიურ ტილოებზე გადავიდენ და ამ მხრივ მათ ღრმა კვალი დააჩნიეს ახალ თეატრალურ მშენებლობას. ალ. მაშაშვილის („განგაში“) კ. კალაძის („როგორ“, „ხატიჯე“) პიესები თვალსაჩინოდ ადასტურებენ ამ დებულებას.

მაშაშვილი ბრძოლისა და ამბოხების პოეტია, მეოცესაუკუნის სოციალურ ქარტეხილ ყველაზე უფრო იტაცებს მის ბუნებას და საერთოდ მისი პოეზია შეუძლებელია წარმოდგენილ იქნეს ამ რევოლუციის გარეშე. „განგაშიც“ ხომ სამეურნეო რევოლიუციის სოციალ-პოლიტიკურ პრობლემებს ეხება! აქედან იგი მჭიდროდაა დაკავშირებული მაშაშვილის შემოქმედების ძირითად ხაზთან. ამასთანავე ერთად მაშაშვილი მდიდარი მხატვრული ფორმების პოეტიცაა, ფორმის რევოლიუციონერიცაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსახიობი აფხაიძე კულაკისრულში

მაშაშვილის შემოქმედების აქტივში ყოველთვის შედიოდა ის გარემოება, რომ იგი დროზე უპასუხებდა რეკონსტრუქციის პერიოდის მოთხოვნილებებს. არიან ხალხი, რომელნიც „კონკრეტიულობის" სახელით „ხელოვნებიზმის" განწყობილებებს ამართლებენ. ასეთი აზრების წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა ლენინი,

„განგაში" ხასიათდება არა მარტო თავისი იდეურობით, თემატიკური სიმახვილით, არამედ მაღალი მხატვრული დონითაც. „განგაში" აგებულია რთულ სიუჟეტზე. ამ სიუჟეტის ფარგლებში ავტორი ორგანიულად აკავშირებს მოქმედების ცალკეულ ეპიზოდებს. პიესის ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ცალკეული ტიპებას, ხასიათების კონკრეტიული ჩვენება.

ყოველ მხატვრულ ნაწარმოებს ახასიათებს ერთგვარი „ფოკუსი", ამ უკანასკნელში მოქმედებას დასასრულს თავს იყრის ნაწარმოების ყველა ფაბულარული მომენტი იდეის მძაფრი აგიტაცია და დამაჯერებლობა ბევრითაა დამოკიდებული მხატვრულ მასალის ორგანიზაციაზე. კარგი იდეა, ცუდი მხატვრული კონსტრუქციით გადმოცემული — ძლიერ ბევრს ჰკარგავს. „განგაში"-ს შესახებ ამას ვერ ვიტყვით; ამ მხრივ „განგაში" პროლეტარულ ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდისათვის ბრძოლის გზაზე ფრიად მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს, იგი ყოველგვარი „ფსიქოლოგისტური" „მღელვარების" გარეშე ხსნის მოვლენების ნამდვილ სოციალურ ბუნებას და მათ პოლიტიკურ მნიშვნელობას.

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, ტეხნიკური რევოლიუცია — ამ მასალის ფონზე იშლება მაშაშვილის დრამა. ერთის მხრივ კომუნისტური პარტიის ბრძოლა ნაციონალური საკითხის გადამახინჯების წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ—ტეხნიკური კულტურებისთვის, და ამ ნიადაგზე გამწვავებული კლასიური ბრძოლა იქცევს მაყურებლის ყურადღებას. თქვენ ჯერ კიდევ არ შეიძლება დახასიათებული იქნეს „განგაშის" მთლიანი სახე დრამის შინაგანი მთლიანობა, მომქმედ პირთა კანონზომიერი მოძრაობა და მოქმედების კლასური განვითარება ნაწარმოების თემატიური მომენტით კი არ აიხსნება, არამედ ავტორის მსოფლმხედველობით. სასტიკად სცდებიან ისინი ვინც მხატვრული ფაქტის აქტუალობას ხსნიან თემით. საკითხის ანალოგიური დაყენება პერევერზევშინის თეორიული არსენალიდან მოდის, როგორც ცნობილია პერევერზევი არავითარ როლს არ ანიჭებდა ხელოვნების იდეას და იგი საერთოდ იდეებს მხატვრულ ფაქტში ვერ „ხედავდა". ეს შეხედულება უფრო სხვაგვარ ფორმებში ახასიათებს „ლიტ-ფრონტის" თეორეტიკოსთა უმრავლესობას.

„განგაშის" არა მარტო თემა, არამედ კომპოზიციური თავისებურებაც, მოქმედების კანონზომიერება გამოდის საერთო, ჩვენი ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ კანონზომიერებიდან. უკეთ პირველი წარმოადგენს უკანასკნელის ფუნქციას და მოქცეული არიან იმ ურთიერთობაში, რომელიც არსებობს ზოგადსა კერძოს შორის. ასეთია მატერიალისტური შემოქმედებითი მეთოდის მხატვრულ ფაქტში გამოყენების პირველი და უმთავრესი პირობა. ანალოგიისთვის შეიძლება ითქვეს, რომ ძველი კლასიკური ტრაგედია, რომელიც იდეალიზმის საფუძველზე იყო დაყრდნობილი თავის მოქმედების კერძო კანონზომიერება არა თუ გამოყავდა საერთო სოციალ-პოლიტიკურ ვითარებიდან, არამედ პირიქით იგი მთავარ როლს „ძლიერ პიროვნებას" ანიჭებდა, ამავე დროს სრულებით უგულებელყოფდა საზოგადოებრივ გარემოს. ამ პუნქტში ჩვენი აზრით იდეალისტური და მატერიალისტური შემოქმედებითი მეთოდების დაპირისპირების მთავარი წერტილია. ეს უნდა გათვალისწინებული იქნეს კულტურულ მემკვიდრეობის კრიტიკული გამოყენების პროცესში;

როგორც ვსთქვით პროლეტარულ დრამის და საერთოდ პროლეტარულ მწერლობის შემოქმედებითი მეთოდის მიხედვით მწერლის მთავარი ყურადღება მოვლენათა რეალური ბუნების და საგანთა მრავალმხრივი ურთიერთდამოკიდებულების განვითარების პროცესში განხილვისკენაა მიქცეული. საზოგადოებრივ სფეროში (ისე როგორც საერთოდ ბუნებაში) მოვლენები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ურთიერთშორის და ამ

მსახ. ა. ხორავა კოლმეურნეობის თავმჯდ. როლში

კავშირის ხერხემალს საერთო კანონზომიერება წარმოადგენს, ეს უკანასკნელი ყოველი მოვლენის საკუთარ სიცოცხლეს, საკუთარ არსებობას და ინტერესს აძლევს თვისი ზეგავლენის ქვეშ და საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ კომპლექსის ერთ ერთ ელემენტად გამოჰყავს. ყოველი მოვლენა (საგანი) წინაალმდეგობათა მთლიანობას შეიცავს და ამ შინაგან წინაალმდეგობათა შემცველ ტენდენციების ბრძოლას იგი მიჰყავს წინ, განვითარების ახალ ეტაპებისაკენ. პიროვნების როლის დიალექტიურ-მატერიალისტური გაგება, რომელიც ერთის მხრივ ებრძვის პიროვნების ფატალისტურ გაგებას, ხოლო მეორეს მხრივ სუბიექტიურ იდეალისტურ „მე"-ს ზესაზღვროდ გაზვიადებას აბათილებს—მწერლის მიერ კონკრეტიულად უნდა გამოყენებული იქნეს მოქმედების მთელ მანძილზე, როდესაც თავის მხატვრულ ნაწარმოებში მას უხდება პიროვნების და კოლექტივის ურთიერთობის გარკვევა. შემოქმედებითი მეთოდის ფრონტზე პროლეტარულ ლიტერატურისთვის მთავარ საფრთხეს მოვლენათა ემპირისტული ახსნა წარმოადგენს. ხ ო ლ ო ე ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი კ ვ ა ლ ი ფ ი კ ა ც ი ა ქ მ ნ ი ლ ი უ ნ დ ა ი ქ ნ ე ს, რ ო გ ო რ ც მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე გ ა დ ა ხ რ ა და კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი ი დ ე ი ი ს პ რ ი მ ა ტ ი ს ა რ გ ა გ ე ბ ა, შ ე უ ფ ა ს ებ ლ ო ბ ა. შემოქმედებითი ემპირიზმი, რომელსაც პროლეტარული მწერალი პოლიტიკურ ოპორტუნიზმამდე მიჰყავს იწყება იქ სადაც მწერალი კლასიურ თვალსაზრისს ვერ იმარჯვებს და მოვლენას უშუალობის და გულუბრყვილო „აღტყინების" ასპექტში უცქერის. მაშაშვილი შორს სდგას ასეთი მწერლებიდან, მისი პოეზიის პოლიტიკური სიმახვილე მთლიანად გადასულია და განხორციელებულია მ-ს დრამატიულ ნამუშევარშიაც. ახალი, კომუნისტური ადამიანების (ბონდო, კომკავშირელები და სხ.) და მეორეს მხრივ კლასიური მტრების (ზურაბი, ზაკარია და სხ.), „დეკლასიური" ელემენტების (ხუშუტი, დიანოზი და სხ.) ასეთი კონკრეტიული (და იმავე დროს ზოგადი, ამ ტიპების განზოგადოება იძლევა თანამედროვე კლასიურ ბრძოლის გმირების მკვეთრ პორტრეტებს) ჩვენება მხოლოდ კლასიურ-პოლიტიკურ სიმახვილის გზითაა შესაძლებელი და პროლეტარულ მწერლისთვის ეს გზა უშუალოდ ხვდება შემოქმედების მატერიალისტურ მეთოდს. საერთოდ ხელოვნების ისტორიის მანძილზე კლასიურ ბრძოლების ეპოქებში ჩვენ ვერ ვხვდებით „უშუალო აღტყინების" საფუძველზე დაყრდნობილ მწერალს, რადგანაც არ არსებობს ზეკლასიური ხელოვნება. „არსებულის იქით მყოფი მშვენიერება"—იდეალისტების მოგონილი სისულელეა, რომელენიც დიდი გულბოდგინებით ჩქმალავდენ ბურჟუაზიული ხელოვნების კლასიურ ტენდენციურობას. ჩვენ ხელს არ ვაფარებთ პროლეტარულ ლიტერატურის კლასიურობას, მის პარტიულ ხასიათს, პირიქით ვიბრძვით იმისთვის, რომ არ იქნეს გადალუნვილი პროლეტარული ხაზი მემარჯვენე და „მემარცხენე" ბანაკებისაკენ; კლასიური გამჭრიახობის გარეშე პროლეტარული მწერლის არსებობა ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია და ამ კრიტერიუმისთვალსაზრისით რამდენადაც უფრო მაღალია ამ გამჭრიახობის ხარისხი, იმდენად უფრო მოწინავე პროლეტარულ მწერალთან გვაქვს საქმე.

„განგაში" სოციალურ თემას ეხება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს თემა ყველაზე უფრო რთულია ვიწრო „ფსიქოლოგიურ", „სასიყვარულო" კონფლიქტებსა და „ისტორიული წარსულის" თემებთან შედარებით. მიუხედავად ამისა ხსენებული თემა ძირითადში სათანადოთ იქნა დაძლეული ავტორის მიერ.

ალ. მაშაშვილის პიესაში ნათლად სჩანან ცოცხალი ადამიანები, რომელენიც თავისუფლად მოქმედებენ და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენენ ხელოვნურად მოხაზულ სქემებს, როგორც ეს ბეზიმენსკის „გასროლაშია". „მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი შ ე ხ ე დ ულ ებ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს ნ ებ ა ზ ე მ შ ვ ე ნ ი ე რ ა დ უ თ ა ვ ს დ ე ბ ა პ რ ა ქ ტ ი კ ულ ა დ უ ა ღ რ ე ს ა დ ე ნ ე რ გ ი ულ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს." ადამიანის მოქმედების ასეთი განსაზღვრა პირველ რიგში მიმართულია კვიეტიზმის წინააღმდეგ, რომლის ადგილი პროლეტარულ ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდის სფეროში არ არის. საზოგადო-

ებრივი ცხოვრება თავისი ბუნებით დიალექტიურია, ამ პროცესში ადამიანის როლი მოვლენათა მოწესრიგების და „კრიტიკულ — რევოლიუციონური“ მოქმედების სახით მეტად თვალსაჩინო ისტორიულ გარემოებას წარმოადგენს. დიალექტიკური მატერიალიზმი, როგორც არაერთხელ აღნიშნეს მარქსიზმის თეორეტიკოსებმა მოქმედების ფილოსოფიაა. ამით განსხვავდება იგი ფეიერბახისეული მეტერეტელობითი მატერიალიზმისაგან, რომლის რესტავრაციის ცდამ დებორინი მეხშევიკურ იდეალიზმამდე მიიყვანა. ადამიანი გარემო წრის პროდუქტია, მაგრამ იმავე დროს იგი ახდენს ზეგავლენას არსებულ სინამდვილეზე, ებრძვის დრომოქმულ სინამდვილეს ახალის დასამკვიდრებლად, სცდილობს „გახადოს იგი გონივრული“. „ადამიანები თვითონ აკეთებენ თავის ისტორიას... განსაზღვრულ პირობებსა და გარემოებაში. მათ შორის საბოლოო ანგარიშით გადამწყვეტია ეკონომიური ურთიერთობა“ (ფრ. ენგელსი).

საერთო ისტორიულ კანონზომიერების პროცესში ადამიანის როლის ასეთ გაგებასთან თად უნდა გათვალისწინებული იქნეს შემთხვევითობის პრობლემა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილი აქვს მთელ რიგ შემთხვევებს, რომელნიც ხშირად დიდ ზეგავლენას ახდენენ მოვლენათა მერმინდელი მსვლელობის ვითარებაზე. ეს გარემოება მითუფრო საყურადღებოა მწერლისთვის, რომელიც ხშირად მოეცევა შემთხვევით მიზეზთა მსვლელობის წინ თვისი შემოქმედებითი მუშაობის დროს. ასეთ პირობებში ის ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგავს წინ „შემთხვევის“ მატერიალისტური გაგების გარეშე. ამ თვალსაზრისით კი „შემთხვევა შედარებითი მოვლენაა“. „ორი სხვა და სხვა, კერძო და ზოგად კანონზომიერებათა შეხვედრაა“; ასეთი პირობები შეიძლება შეიქნეს საზოგადოებრივი განვითარებისა და პიროვნების თავისებურათა კვეთილობის დროს (მოვიგონოთ პლეხანოვის მაგალითები ლიუდოვიკ XV-ის ავხორცობის, მირაბოს სიკვდილისა, მეჭსიკისა და პერუს მცხოვრებთა ამერიკელებთან შეხვედრისა და სხ. შესახებ) და პიროვნებისა და კოლექტივის ურთიერთ დამოკიდებულება ხომ მთავარი თემაა პროლეტარულ მწერლისთვის!

ალ. მაშაშვილის დრამა ადამიანთა სამეურნეო, პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ ურთიერთობას ეხება. მასში მთელი რიგი სერიოზული პრობლემებია გადაჭრილი. არავითარი ეროტიზმი, „შიშველი სხეულები“ და საერთოდ ობივატელი მაყურებლის საყვარელი „დეტალები“ მაშაშვილის პიესას არ ახასიათებს. „თანამედროვე“ დრამატურგიას ხსენებული დეტალები ორგანიულ ელემენტებად მიაჩნია, მაშაშვილი კი ასეთ დათმობაზე არ წასულა ობივატელი მაყურებელის მიმართ.

„განგაშის“ სცენიური სიტუაცია ნათლად ააშკარავებდა პიესის მკვიდრ სიუჟეტს; მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება ერთგვარი სატირის ფონზე იშლებოდა მაყურებელი ვერ იპოვიდა ვერც ერთ ზედმეტ „ხუმრობას“.

„განგაშის“ შინაარსი შემდეგ ხაზებში ვითარდება:

სოფელ მარანის კოლექტივის მთავარ საქმიანობას მებამბეობა წარმოადგენს, მეზობელი სოფელი ორეთი—კი ხორბლეულის რაიონია. პირველ ხანებში სოფელ მარანის კოლექტივს ხელმძღვანელობს გადაგვარებული „კომუნისტი“ აფრასიონი, რომლის ოპორტიუნისტული საქმიანობის შედეგათ კოლექტივში თავი მოუყრიათ კლასიურად უცხო ელემენტებს: კულაკებს, ყოფილ ვაჭრებს და სხ. აფრასიონის დაუდევრობა და უსაქმობა ვნებს კოლექტივის საქმიანობას. აფრასიონი სიძეა კულაკ ზუაბისა, ხოლო ზურაბის შვილი—სიმონი—სოფლის კომკავშირის უჯრედის მდივანია, ისიც ხელს უწყობს თვისი სიძის მოქმედებას. მოქმედების მანძილზე ჩვენ მრავლად გვხვდებიან კულაკურ, საშუალო და ღარიბ გლეხთა წარმომადგენლები. პიესა იწყება არხის გარღვევით. წყალი წალეკვას უქადის ბამბისა და პურის ნათესებს. იკრიბება ორივე სოფელი და მიდის არხის შესაკეთებლად, ამ არეულობის პროცესში ჩამოდის ინსტრუქტორი კოოპერატივის სარეგიზიოდ. აქვე ნაჩვენებია არხზე მუშაობა და კოლექტივის ზარმაც წევრების ცულლუტობა. პიესაში თავიდანვე ერთ-ერთ

მსახიობი ვ. აბაშიძე საფეხურის გზაზე

მთავარ როლს ასრულებს ებრაელი მარდახა, რომლის მაგალითზე ავტორი პრაქტიკულად გვიყვენებს საბჭოთა ხელისუფლების ბრუნვას ღარიბ ებრაელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მარდახა კოლექტივის საქმიანობაში ჩააბეს და მთელი რიგი საქმეები ჩააბარეს. პიესის ეს მოტივი მოქმედების ერთ მთავარ ხაზს წარმოადგენს. პიესის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მასში ხშირად გვხვდება მასიური სცენები და გარდა ამისა ავტორი ახერხებს მასიური ფსიქოლოგიის პროცესების გადმოცემას.

შვებული წითელ-არმიელის და მტკიცე კომუნისტის ბონდოს თაოსნობით ხდება კოლექტივის ხელმძღვანელობის ძირეული გადახალისება. კოლექტივის თავმჯდომარედ ბონდოს ირჩევენ, ეს უკანასკნელი თავის პარტიულ და კომკავშირელ ამხანაგებთან ერთად იწყებს კოლექტივის წმენდისათვის მოსამზადებელ მუშაობას. კლასიური ბრძოლის პროცესი ამ მხრივ ძლიერ მკვეთრადაა ნაჩვენები. ზურაბი, ზაქარია ბამბის შესყიდვას სცდილობენ კოლექტივის წევრებისაგან, ამისათვის ზოგიერთებს ბე—საც კი აძლევენ. ისინი ამ ნიადაგზე ხელს უწყობენ პროვაკაციის გავრცელებას. სცდილობენ ბამბა ტრესტს არ ჩააბარონ. ხალხში მღელვარების გამოსაწვევად გზაში უხვდებიან ფულის მოსატანად წასულ მარდახას სურთ ფულის გატაცება, მაგრამ ამ მიზანს ვერ აღწევენ,

ზურაბი და მისი ყველა მომხრეები წმენდის შედეგად კოლექტივიდან გააქევეს.

სიმონს უკანასკნელი იმედებიც გაუცრუვდა და თავი მოიკლა.

ბონდო, როგორც მტკიცე კომუნისტი და შრომის მოყვარე ადამიანი ფრიად მძაფრ შთაბეჭდილებას ახდენს. ამ ტიპის საშუალებით მაშაშვილმა გარკვევით გვიჩვენა ახალი ადამიანის სახე, რომელიც მედგრად იბრძვის სოციალისტური მშენებლობის წინსვლის საქმისთვის. მას როგორც მოწინავე ადამიანს ინიციატივის და ფხიზელი გონების ყველა დადებითი თვისებები ახასიათებს. ბონდო ჩვენი დღეების გმირია. ქართველი ებრაელის მარდახას კოლექტივში მიღება, რაც ინტერნაციონალიზმის განმტკიცების ნიმუშს წარმოადგენს, ბონდოს თაოსნობით ხდება. ბონდომ პირველ დღეებიდანვე სასტიკი წინააღმდეგობის გაწევა დაუწყო აფრასიონის მემარჯვენე ოპორტიუნისტულ საქმიანობას. ამას ავტორი ზოგადათ კი არ გვეუბნება, არამედ პრაქტიკულად გვიჩვენებს, მაგ. არხის შეკეთების დროს. ამ კონკრეტულ მაგალითზე ავტორი ნათლად გვიჩვენებს, რომ აფრასიონი ორი სოფლის გლეხებს შორის ყოველგვარ უბრალო განხეთქილების დიდ უთანხმოებად გადაქცევას სცდილობს, ბონდო კი პირიქით მუშაობის ნაყოფერების და მოწესრიგებისათვის ზრუნავს.

> „ვინ გაჰყო ხალხის საკუთრება?—მიმართავს მოჩხუბართ. ბონდო რას სჩადიხართ, რას შვრებით! აჰყოლიხართ ინტრიგებს, კუთხურ კინკლაობას, პროვაკაციებს და თქვენს მომავალს თქვენივე ხელით ასამარებთ!.. განა ყოველი კოლექტივი მშრომელთა რესპუბლიკის ერთ-ერთი ძარღვი არ არის?! რას ჩადიხართ! მე მრცხვენია თქვენს მაგიერ!... ეხლა, ვისაც მუშაობა არ ჰსურს ჩქარა გაიცალოს აქაურობას! მეარ ვიცი რამდენი, მაგრამ ჩვენ ვრჩებით არხი უნდა შეკეთდეს...“

ეს სიტყვები კარგად ახასიათებს შეურყეველ მებრძოლს და ჩვენთვის ბუნებრივი ხდება, რომ ადამიანი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს სოციალიზმის პრაქტიკას—სხვადასხვანებამდე ვერ მივა. მას წარმოდგენილი აქვს ხვალინდელი დღის პერსპექტივები, ის როგორც მშრომელთა რესპუბლიკის ღვიძლი შვილი თვალის ჩინივით ფფრთხილდება ამ რესპუბლიკის ყველა ძარღვს. ბონდოს ახასიათებს იდეურობა, გადაწყვეტილების სიმტკიცე, რაც ბოლშევიკურ ბუნების ერთ-ერთ მთავარ თვისებას შეადგენს.

ამხ. ი. სტალინი ბოლშევიკურ მუშაობის სტილის დახასიათების დროს სწერდა, რომ მის თავისებურობას წარმოადგენს „რუსული რევოლიუციონური გაჭანება და მერიკანული საქმიანობა. რუსული რევოლიუციონური გაჭანება უმოქმედობის, კონსერვატორობის, გონებრივი სიჩლუნ-

გის და მამაპაპურ ტრადიციებისადმი მონურად დამორჩილების საწინააღმდეგო წამალია... ამერიკული საქმიანობა—ეს ის დაუცხრომელი ძალაა, რომელმაც არ იცის და არ სცნობს დაბრკოლებას, რომელიც თავის საქმიანი ჯიუტობით სპობს ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელსაც არ შეუძლია ბოლომდე არ მიიყვანოს ერთხელ დაწყებული თუ გინდ პატარა საქმე და ურომლისოდაც შეუძლებელია სერიოზული აღმშენებლობითი მუშაობა. მაგრამ ამერიკანულ საქმიანობას აქვს ყველა იმის შანსი, რომ იგი გარდაიქცეს წვრილმან უპრინციპო საქმოსნობად... ამ თავისებურმა ავადმყოფობამ თავის გამოხატულება ჰპოვა პილნიაკის მოთხრობაში „შიშველი წელი", სადაც გამოხატულია... „ბოლშევიკების" ტიპები, რომელნიც აღსავსე არიან ნებით და პრაქტიკული გადაწყვეტილებით, რომელნიც ძლიერ „ენერგიულად" „ასრულებენ" თავის ფუნქციებს" მაგრამ მოკლებული არიან პერსპექტივას, არ იციან თუ „რისთვის რა არის" (ი. სტალინი —„ლენინიზმის საკითხები" გვ. 100-101).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბონდო არავითარ შემთხვევაში არ წააგავს პილნიაკის „ბოლშევიკებს", „უთავო პრაქტიკოსებს", ბონდოს როგორც ზემოდმოყვანილ სიტყვებიდან ვნახეთ სრულებითაც არ აკლია პერსპექტივა, ხოლო მოქმედების მანძილზე კონკრეტულად მოსჩანს რომ იგი პრაქტიკული საქმიანობის მხრივაც მოწინავე პოზიციებზე სდგას. გონებრივი სიფხიზლე და ნებისყოფის სიმტკიცე—ბოლშევიკური პარტიის წევრის ეს ორი მთავარი დამახასიათებელი თვისება კარგად არის შეთავსებული ამ ტიპის შინაგან ბუნებაში.

აი რას ამბობს ბონდო:

„გამოიცვალა ქვეყანა, ოლენა!... ვინც არ აგრძნობს კომუნისტურ შრომის ბრწყინვალე მომავალს ისმკვდარია".

ბონდოს სახით მაშაშვილმა გვიჩვენა მტკიცე ბოლშევიკის ტიპი, ასეთი მტკიცე ადამიანები საგან შესდგება კომუნისტური პარტიის ლენინური რკინისებური სხეული.

ამას გარდა ბონდო მშრალი სქემა კი არ არის, ავტორი გვიჩვენებს მის ფსიქოლოგიურ განწყობილებებსაც, მის სიყვარულს ამხანაგ ჭალთან. ერთგვარ სიახლესთან გვაქვს საქმე, ჩვენ ვხედავთ, რომ ბონდო ამ სფეროშიაც თანამიმდევრად იცავს ახალი ყოფაცხოვრების სტილს.

ბონდოს მთლიანად უპირისპირდება აფრასიონი. ის ტიპიური გამოხატულებაა მემარჯვენე ოპორტიუნისტისა, რომელიც უკვე მთლიანად გადაგვარებულა, გადასცდენია ყოველგვარ საზღვრებს.

აფრასიონის გადაგვარება იქამდის მიდის, რომ იგი ბონდოს მიმართ ბრძოლის მიზნით ხალხს

ფსიქოლოგი ფ. ლ. ოთქიფანიძე აზნაურ ხუციშვილი

ასისიანებს კოლექტივის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ასეთი შედეგი მოაქვს აფრასიონისთვის „კულაკთან შეხვედრის" პროცესს. იგი ამბობს:

„ამხანაგებო, თქვენ ალბად შარშანდელი მაგალითი გახსოვთ; მართალია მაშინ ბამბა გავინაწილეთ! მაშინ, თუ გახსოვთ, მე წინააღმდეგი ვიყავ პრინციპიალურად, მაგრამ მხარი დაუჭირე ფაქტიურად..."

ასეთია აფრასიონის თვალსაზრისი; ის გადამწყვეტ მომენტში ღალატობს კოლექტივის ხელმძღვანელობას, ყოველ ნაბიჯზე ამახინჯებს კლასიურ ხაზს. მისი თვალსაზრისით „პრინციპები" არ ეთანხმებიან „ფაქტებს";

„განგაში"-ს მთავარი ღირსება, როგორც ვსთქვით, სოციალურ ტიპების სწორ გაგებაში მდგომარეობს. ამ მხრივ მაშაშვილი სათანადოდ ახასიათებს არა მარტო კომუნისტების ტიპებს (საბა, ბონდო, პეტრე) არამედ კლასიურ მოწინააღმდეგეებსაც. ამათგან მთავარია კულაკი ზურაბ ღვინიაშვილი. ზურაბის მაგალითზე ნათლადაა ნაჩვენები მთელი მომავალი კლასის ფსიქოლოგია, ავტორი იპერს კულაკის ტიპის თითქმის ყველა დამახასიათებელ მომენტს. ლენინი ასე ახასიათებდა კულაკს:

„კულაკები არიან ყველაზე მხეცური, ყველაზე უხეში და ყველაზე ველური ექსპლოატატორები... კულაკები მეტი არიან ვიდრე მემამულეები და კაპიტალისტები, მაგრამ კულაკები მაინც უმცირესობას წარმოადგენენ ხალხში... ამ სისხლის მსმელებმა ომის დროს ჯიბე გაისქელეს ძალხის გაჭირვებით, მათ ათასობით და ასი-

ᲛᲡᲐᲮᲘᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲑᲝᲚᲓᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ

ათასობით შეაგროვეს ფული პურისა და სხვა პროდუქტების ფასების გადიდებით. ესპარაზიტები სუქდებიან გალატაკებული გლეხობის ხარჯზე"... (ლენინი).

ამ საერთო თეზისის მხატვრული კონკრეტიზაცია „განგაშში" კულაკ ზურაბის ფიგურაა. ავტორი სამართლიანად ხაზს უსვამს კულაკის შეუჩერებელ მისწრაფებას სიმდიდრისაკენ, ექსპლოატაციისაკენ. ამ მოვლენის ღრმა ანალიზის გარეშე შეუძლებელია კულაკის ხასიათის ჩვენება. ჩვენ მოგვყავს ერთი საინტერესო ადგილი მეექვსე სურათიდან:

ზ ურ ა ბ: ჰო, ჰო, იტირეთ—იჩხავლ თ! იგლოვეთ ზურაბ ლენინაშვილის ოჯახი! გათავდა... გათავდა... ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი გ ა თ ა ვ დ ა!

მ ა რ თ ა: ნუ გადარეულხარ, რაც მოხდა-მოხდა!

ზ ა ქ ა რ ი ა: მარტო ხომ არა ხარ ზურაბ... ჩვენც შენს დღეში ვართ!

ზ ურ ა ბ: ჰო, მარტო არა ვარ! ჩ ვ ე ნ ბ ე ვ რ ი ვ ა რ თ ზ ა ქ ა რ ი ა, ბ ე ვ რ ი.. ჩემს აკვანზე მიწაში გახვეული უზალთუნი ეკიდა, დედის ნანინა გამდიდრება იყო ჩემი, წყეულა სილატაკე! მ ი წ ა ს ა ფ ლ ა ვ ი ს თ ვ ი ს ა ც მ შ ურ დ ა! მიწის ხორცსა და სისხლს შევეზარდე! ღ რ მ ა დ ჩ ა ძ ი რ ულ ხ ი ს ფ ე ს ვ ებ ს შ ე ვ ნ ა ტ რ ო დ ი, რ ო მ ჩ ე მ ი ვ ე ს ხ ე უ ლ ი ს ძ ა რ ღ ვ ე ბ ი ც ხ ი ს ფ ე ს ვ ებ ი ვ ი თ მ ი წ ა შ ი გ ა მ ჯ დ ა რ ი ყ ო, ს ი მ დ ი დ რ ე ს ვ ი ღ ებ დ ი, ს ი მ დ ი დ რ ე ს..."

არაჩვეულებრივი ექსპლოტატორული და მხეცური ბუნება კულაკისა კონკრეტიულად გამომჟღავნებულია მოქმედების მანძილზე, მთელი პიესის გასწვრივ.

პიესაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მ ა რ დ ა ხ ა. ჩვენ თვალწინ სდგება ის ღონისძიებანი, რომელთაც მიმართავს საბჭოთა ხელისუფლება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთა დასაცავად კლასიური მტრისაგან. ჩვენი აზრით პიესის ეს მომენტიც მის აქტივში შედის.

სრული და ყოველმხრივია ¸ხ უ შ უ ტ ი ს ფიგურა. ამ ადამიანის მაგალითად ნათლადაა ნაჩვენები აზნაურული წოდების ნარჩენები, ხუშუტი უკვე ციინიზმამდეა მისული; ამ მხრივ დამახასიათებელია მისი სიტყვები:

„გაჭირა ის დრო ზაქარია ჩემო, როდესაც ამ ულვაშებიდან ერთი ღერი ბალანი, რომ ამოგეწყვიტა—თავს გენდობოდენ, ეხლა: თავიც, რომ დააგირაო ერთ ღერ ბალანს არ გენდობიან".

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მაშაშვილის პიუველი ნაბიჯი დრამატურგიის სფეროში წარმატებით ხასიათდება. პიესის სტილი სავსებით შეეფარდება საერთოდ მოქმედების განვითარებას. „განგაში" მორიგი გამარჯვებაა პროლეტარულ ლიტერატურისა და აგრეთვე რუსთაველის თეატრისა. პიესის იდეიური მოწინავეობა-თემატიკური, ლიტერატურული აქტუალობა ერთხმად მიგვითითებს პროლეტარულ დრამატურგიის ზრდის ფაქტზე.

პიესის ნაკლად უნდა ჩაითვალოს „ავანგარდიზმის" ტენდენციები და სცენის სცენაზე გაპიანურება. გარდა ამისა ხაზი უნდა გაესვას შემდეგს: მეოთხე სურათში სიტყვიერი მასალა ბატონობს მოქმედებაზე, რითაც ხსენებული სურათის მსვლელობა ნელდება.

„განგაშის" დადგმა რუსთაველის თეატრის სცენაზე ნიშნავდა არა მარტო პროლეტარულ დრამატურგიის ზრდას, არამედ გამოხატავდა აგრეთვე თეატრის შემოქმედებითი დაკავშირებას მშრომელი მასის ინტერესებთან. რუსთაველის თეატრის თანამგზავრული გეზი „განგაშის" დად-

გმით კიდევ უფრო განატკიცდა და ამ პიესით თეატრმა სცადა რეკონსტრუქციის ტემპებისადმი ფეხდ-ფეხ მიყოლა. რუსთაველის თეატრის მხატვრული კულტურის მაღალმა დონემ კიდევ უფრო გააძლიერა მაყურებლის ინტერესი პროლეტარულ მწერლობის შემოქმედების გასცენიურებისადმი. კერძოდ ა. მაშაშვილის პიესამ, როგორც დრამატიულად და ლიტერატურულად მძლავრმა მასალამ ფართე გასაქანი მისცა რეჟი სორს სპექტაკლის მთლიანი კომპოზიციისათვის. სპექტაკლის სიძლიერე დამოკიდებულია ერთის მხრივ—რეჟისორის და აქტიორის მხატვრულ უნარზე, ხოლო მეორეს მხრივ—იგი შედეგია დრამატურგიული ფაქტის შინაგანი რაობისა. ცუდი პიესიდან კარგი სპექტაკლის „გაკეთება" შეუძლებელია. პიესას დრამატიულ რაობას დიდი ზეგავლენა აქვს აგრეთვე აქტიორზე. „განგაში" იძლეოდა მდიდარ სიტყვიერ მასალას აქტიორისთვის. ჩვენ არ შეგვიძლია ხაზი არ გაუსვათ ცალკეულ აქტიორების (და საერთოდ მთელი კოლექტივის) თამაშის მაღალ მხატვრულ დონეს.

გ. დავითაშვილმა (ბონდო) საუკეთესოდ განასახიერა შვებულისა და ახალი სოფლისათვის დაუდეგარი მებრძოლის ტიპი, ხასიათი. დავითაშვილის მიერ მოცემული ბონდო დიდხანს დარჩება მაყურებლის შთაბეჭდილებაში. კარგია **ელ. ლორთქიფანიძის** მიერ განსახიერებული საბა და **გ. სალარაძის** მიერ—მარდახა.

აკ. ხორავა (აფრასიონი); ხორავას ერთნაირად ეხერხება ამბოხებულ მთიულის ფსიქოლოგიის გადმოცემა („ანზორ"), კახელი თამამ ბიჭის ახალგაზრდის ჩვენება („სამნი"), მოხუცი კაპიტანის სწორი გაგება („რლვევა") და ბოლოს იმერელი და გადაგვარებული კომუნისტის განსახიერება („განგაში"). ჩვენ აქ არ შევუდგებით ხორავას მიერ შექმნილ სხვა მხატვრულ სახეების განხილვას, მხოლოდ ვინდა ავღნიშნოთ ის გარემოება, რომ ამ მსახიობს შინაგანი მხატვრული პოტენცია საშუალებას აძლევს შეასრულოს კონტრასტული ტიპის როლები. ხორავას მაღალი მხატვრული კვალიფიკაცია სათანადოდ გამომჟღავნებული იქნა „განგაშშიც".

ყ ფ. **აზნაურის** და ცბიერი ხუშუტის სახე **მ. ლორთქიფანიძის** მიერ იშვიათი დამაჯერებლობით იყო ნაჩვენები. აქტიორის ყოველი მოძრაობა სავსებით ეჯარდებოდა მოქმედი პირის სულიერ განწყობილებებს. აღნიშნულ უნდა იქნეს აგრეთვე **ემ. აფხაიძე** (ხაქარია), **ვ. აბაშიძე** (დიანოზი), **კორიშელი** (ხურაბი), **მეაყია** (აპოლონი).

დადგმა ეკუთვნის რეჟ. **ს. ახმეტელს** და **პატარიძეს.**

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველის თეატრმა (რეჟ. **სანდრო ახმეტელის** ხელმძღვანელობით) მთელი რიგი გაიარჯვებების შემდეგ („ანზორ", „საკე მარცხნივ", „ყამირი" „ქართა ქალაქი", „ლიანდაგი გუგუნებს", „რლვევა" და სხ.) ა. მაშაშვილის „განგაში"-ს დადგმით კიდევ უფრო განამტკიცა თავისი თანამგზავრობა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

სიმონ ხუნდაძე — „გიორგი წერეთელი“. „ნიკო ნიკოლაძე“.

[ნარკვევები მათი აზროვნებიდან]

მე-19 საუკუნის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა და კერძოდ, ინტელიგენციის კლასიური დიფერენციაციის ყოველმხრივი შესწავლა და საფუძვლიანი დამუშავება— მარქსისტული აზროვნების გადაუდებელი ამოცანაა. ამ ამოცანასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული ლიტერატურის ისტორიის მარქსისტულ-ლენინური გაგება და ამ ნიადაგზე ბრძოლა იმ აშკარა რეაქციონურ თეორიებთან, რომელსაც აყენებს ნაციონალისტური ინტელიგენცია პოლიტიკურ, სოციალურ და ლიტერატურულ საკითხების განხილვის დროს. უდავოა ის დებულება, რომ ხსენებულ ამოცანათა შესრულების გარეშე პროლეტარული მწერლობა ვერ წავა წინ; კლასიკოსებთან დამოკიდებულების პრობლემა, პირველ რიგში, წარსული ეპოქის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ლენინური შეფასების ასპექტში უნდა გადაიჭრას. პროლეტარული მწერლობა მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიური იარაღით აღჭურვილი უნდა შეებრძოლოს საზოგადოებრივ ცხოვრების და კერძოდ, ლიტერატურის ისტორიის ყოველგვარ დამახინჯებას, გაყალბებას.

კლასიური ბრძოლა მთელი თავისი სიმძაფრით აზროვნების ხსენებულ დარგებში იხატება. არჩილ ჯორჯაძის, კიტა აბაშიძის, და სხვების რეაქციონურ-შოვინისტური მსოფლმხედველობა სავსებით ყალბად აფასებდა საზოგადოებრივ აზროვნების განვითარებას და განსაკუთრებით, რევოლუციონურ მოძრაობის და რევოლუციონურ-პროლეტარულ ლიტერატურის ჩასახვის საკითხებს. რევოლუციონური მარქსიზმის წარმომადგენლები (ამბ. ფ. მახარაძე, ს. წულუკიძე და სხ.) თავიდანვე სასტიკ ბრძოლას აწარმოებდენ ნაციონალისტურ ინტელიგენციის ამგვარ საქმიანობის წინააღმდეგ. ნაციონალისტურ რეაქციონურ-ინტელიგენციის ტრადიციებს შერჩა რევოლიუციის შემდეგ მკვლევართა მთელი თაობა (ვახ. კოტეტიშვილი, კ. კაპანელი, ვ. ხუროძე და სხ.).

ერთ-ერთ პრინციპიალურ საკითხს ქართული ლიტერატურის ისტორიისას წარმოადგენს „თერგდალეულთა“ და მათი მომდევნო ნაროდნიკულ ინტელიგენციის იდეოლოგიური რაობის საკითხი. არის ხალხი, რომელიც თავდადებით ამტკიცებს, რომ ვითომ მეცხრამეტე საუკუნის ქართული ინტელიგენცია დიფერენციაციის გარეშე რევოლუციონურ მსოფლმხედველობის მატარებელი იყო და იგი იბრძოდა ბატონყმობის წინააღმდეგაც. საკითხის ასეთი გადაჭრა სავსებით მიუღებელია მარქსისტული აზროვნებისათვის. ამგვარი მოსაზრებათა უსაფუძვლობა ნათლად დაამტკიცა ამხ. ფილიპე მახარაძემ მთელ რიგ თავის ნაშრომებში. პროლეტარული მწერლობა თავიდანვე წინააღუდგა ნაციონალისტური ინტელიგენციის ცრუმორწმუნეობას მეცხრამეტე საუკუნის ქართული ინტელიგენციის „მთლიან“ მსოფლმხედველობის და რევოლუციონერობის შესახებ. სწორად უნდა იქნეს გაგებული მე-19 საუკუნის ქართული ინტელიგენციის კლასიური ბუნება, კლასიური დანაწილება. ამავე საკითხს ზემოდნაჩვენები თვალსაზრისით აშუქებდენ აგრეედვე მთელი რიგი სხვა ამხანაგებისა პროლეტარულ მწერლობიდან.

ქართულ ინტელიგენციის კლასიური ბუნების გაგების საკითხში აშკარა ანტიმარქსისტული, შეცდომა დაუშვა ამხ. სიმონ ხუნდაძემ. ამ უკანასკნელს ძლიერ ხშირად ღალატობს აზროვნების მარქსისტული მეთოდი და ამ მხრივ მისი შეცდომები გარკვეული გადახრის სახეს იღებენ. ამხ. ს. ხუნდაძე უკანასკნელ წლების განმავლობაში თავის ლიტერატურულ მუშაობის პროცესში მთელ რიგ საკითხებში ვერ იცავდა აზროვნების ლენინურ ხაზს და ამ მხრივ იგი ბუნებრივად ხვდებოდა სხვა და სხვა მკვლევართა აზრებს ანტი-მარქსისტული ბანაკიდან. სიმონ ხუნდაძის ეს შეცდომები საკმაოდ გახმაურებულია მის ახლად გამოსულ წიგნებში: „გიორგი წერეთელი“, „ნიკო ნიკოლაძე“.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ხუნდაძე ძლიერ ხშირად იმეორებს იმ ძველისძველ აზრს, რომლის მიხედვით „თერგდალეულები“ სრულიად „ახალი იდეების“, „ახალი საზოგადოებრივი აზროვნების“ და „ახალი საზოგადოებ-

რივ მიმდინარეობის“ წარმომადგენელნი იყვნენ (იხ. „ვ. წერეთელი“, გვ. 3). ხუნდაძეს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ „თერგდალეულები“ ფეოდალურ ინტელიგენციის ახალი თაობა იყო და მისი უთანხმოება ე. წ. „მამებთან“ სოციალ-პოლიტიკური ხასიათ კი არ მიმდინარეობდა, არამედ ვიწრო ლიტერატურულ საკითხებს ეხებოდა.

„60-იან წლებამდე ჩვენს აზროვნებაში გაბატონებული იყო თავად-აზნაურული იდეოლოგია“... (იქვე, გვ. 10) სწერს ხუნდაძე. ჩვენი აზრით კი თავად-აზნაურული იდეოლოგია გაბატონებული იყო არა მარტო ილიას გამოვლამდე, არამედ ფეოდალურ იდეოლოგიის სრული განმტკიცება ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის უშუალო შედეგი იყო.

ამხ. სიმონ ხუნდაძეს ახასიათებს აშკარა ოპორტიუნისტული გადახრა მარქსისტული და ლენინური მსოფლმხედველობიდან.

11 გვერდზე ავტორი სწერს: „ლიბერალური და რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა ებრძოდა რა ბატონყმობას, პოტენციაში გამოხატავდა ახალთაობის ინტელიგენციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მისწრაფებებს. ამ მიმდინარეობის გამომხატველი იყო ჟურნ. „საქართველოს მოამბე“ (1863 წ.) აქ ავტორი უკვე გადაჭრით აცხადებს, რომ „საქართველოს მოამბე“ „რადიკალურ-დემოკრატიულ“ ხასს ატარებდა და ბატონყმობას ებრძოდა. ეს აშკარა შეცდომაა. სიმონ ხუნდაძე ფიქრობს, რომ „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლა იყო ახალი რევოლიუციონური თაობის შეჯახება კონსერვატიულ-ფეოდალურ ინტელიგენციასთან. „ილია ჭავჭავაძის და მისი ჯგუფის მიერ წარმოებულ ბრძოლით—სწერს ხუნდაძე—იწყებოდა ახალი პერიოდი ქართულ საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიაში, რომ ახალმა თაობამ, რუსეთის 60-იანი წლების იდეებით შეიარაღებულმა, უკვე ჩაუყარა საფუძველი იმ მიმდინარეობას, რომელსაც უნდა გაერღვია საქართველოს საუკუნოებით დახავსებული საზოგადოებრივი ურთიერთობა“ (იქვე, გვ. 13).

რუსეთის სამოციანი წლების მოწინავე იდეების პროპაგანდა ილიას ჯგუფს სიზმრათაც კი არ მოლანდებია. სიმონ ხუნდაძე „ცილსა სწამებს“ იმ ხალხს, რომელიც მტკიცედ იდგა თავისი კლასის ინტერესების სადარაჯოზე. არ უნდა იქნას დავიწყებული ის გარემოებაც, რომ 60 იან წლების რუსეთის მოწინავე იდეები—ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და მათი თანამოაზრეთა იდეები იყო. ჩერნიშევსკი იყო 60-იან წლების რევოლიუციონური მოძრაობის ბელადი. მისი სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიურ-ესტეტიური შეხედულებანი, პრაქტიკული რევოლიუციონური მუშაობა—ძირს უთხრიდა ძველ ქვეყანას. ლენინი ჩერნიშევსკის, „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედს“ და მთლიანი „ფილოსოფიური მატერიალიზმის“ მიმდევარს უწოდებდა, რომელმაც რუსეთის ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო ვერ შესძლო დიალექტიურ მატერიალიზმამდე ამაღლება.

ვიმეორებთ, რუსეთის 60-ანი წლების რევოლიუციონური იდეოლოგიით აღჭურვილი ინტელიგენცია თავად-აზნაურობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე კი არ ზრუნავდა, როგორც ჩვენი „თერგდალეულები“, არამედ ავრცელებდენ აშკარა იაკობინურ-სოციალისტურ იდეებს, მოუწოდებდენ ხალხს „სისხლიან და დაუნდობელ რევოლიუციისაკენ“, „რომანოვების საგვარეულოს მოსპობისაკენ“ („Молодая Россия“—ცნობილი პროკლამაცია, ჩერნიშევსკის ნაწერები და სხ.), „მოუწოდეთ ხალხს არა ლოცვისკენ, არამედ საყვირისკენ: ნაჯახისკენ მოუწოდეთ რუსეთს“—ამბობდა ჩერნიშევსკი.

თქმულის შემდეგ ცხადია, რომ ამხ. სიმონ ხუნდაძე სცდება, როდესაც იგივეობის ნიშანს სვამს ილია ჭავჭავაძის რეაქციონურ ჯგუფის იდეოლოგიასა და რუსეთის სამოციან წლების ახალ იდეებს შორის.

სიმონ ხუნდაძე არაფერს ამბობს საერთოდ მწერლის კლასიური ტენდენციურობის შესახებ. „ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში უფრო ფართოდ და სიღრმით არის გაშლილი ბატონყმური საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება“... (იქვე, გვ. 33). ილიას ასეთი „ობიექტივიზმი“ სრულებითაც არ ახასიათებდა. საჭიროა გაბედული თქმა იმისი, რომ ილია კლასიური პრიზმით უცქეროდა სინამდვილეს. სიმონ ხუნდაძე კი სულ სხვაგვარად ფიქრობს. იგი გიორგი წერეთლის უპირატესობას ილიას მიმართ იმ ფაქტში ხედავს, რომ ვითომ უკანასკნელი „წინასწარ განსაზღვრულ იდეიით მიდის ისტორიულ ფაქტთან“, ხოლო პირველი წინააღმდეგ იქცევა. აქაც საკითხის ვულგარულ გაგებასთან გვაქვს საქმე.

„მესამე დასისა“ და გიორგი წერეთლის ურთიერთობის გაშუქების დროს ამხ. სიმონ ხუნდაძე უყურადღებოდ სტოვებს ილიას კონფლიქტის მნიშვნელობას გ. წერეთელთან საქალაქო თვითმართველობის არჩევნების საკითხში. ამ ნიადაგზე იქმნება შთაბეჭდილება თითქოს გიორგი წერეთელი ნამდვილი მარქსისტი გამხდარიყოს. ეს კი არ არის სწორი.

ამგვარივე ხასიათის შეცდომებს უშვებს ხუნდაძე ნიკო ნიკოლაძის აზროვნების განხილვის დროსაც.

გ. ნატროშვილი

„ლიტფრონტის“ ნამსხვრევების გამოცოცხლება (იხ. დ. ბენაშვილის ბროშურა: „მარქსისტული მეთოდოლოგიისათვის მხატვრულ შემოქმედებაში“

[გაზ. „ახ/კომუნისტის გამოცემა 1931 წ.]

შემოქმედებითი დისკუსია გრძელდება. იგი გამწვავებული ფრაქციული ბრძოლის მდგომარეობიდან გადავიდა სერიოზულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ ეტაპზე; დისკუსიას ხელმძღვანელობას კვლავ ნაპოსტოველობა უწევს, ნაპოსტოველთა ის უმრავლესობა, რომელიც ლიტერატურაში პარტიის გენერალური ხაზის გამტარებელი ძალათ ითვლება. სწორედ ამიტომ უმართავდა მას ბრძოლას კაპიტულიანტთა ის ბლოკი, რომელიც ანტი-პარტიული შეხედულების ბლოკათაა ცნობილი; მაგრამ ბლოკის ანტი-ნაპოსტოველური შეხედულებების გამოაშკარავებისა და განადგურების შემდეგაც ლიტფრონტული განწყობილებები სავსებით არაა აღმოფხვრილი. იგი ჯერ კიდევ თავს ამჟღავნებს აქა-იქ, ხან აშკარა „რევანშის“ სახით, ხან მეთოდოლოგიური დაბნეულობით.

ლიტფრონტული დონკიხოტების ასეთ მოვლენას რუსეთში „როკკოვშჩინა“ წარმოადგენს.

ჩვენში, ტატულოვშჩინის ნარჩენების გამოცოცხლების „შედეგი“ დ. ბენაშვილის ბროშურაა—„მარქსისტული მეთოდოლოგიისათვის“.

ამ ბროშურის გამოსვლა დაკავშირებულია ლიტ-ფრონტული ჭაობის ამოძრავებასთან. პროლეტლიტერატურული მოძრაობის დღევანდელი მდგომარეობა როდია ისეთი, რომ უფლება მიეცეს ვინმეს ფრაქციული ჩხირკედელაობისათვის; დ. ბენაშვილის ბროშურა ამ ჩხირკედელაობისა და ლიტერატურული „ოტსებიატინის“ იშვიათი ეგზემპლიარია.

ბროშურის მიზანია „გააშუქოს“ პროლეტლიტერატურული შემოქმედებითი მეთოდის საკითხები, რუსულ მასალებზე დაყრდნობით ავტორი ძლიერ ცუდათ ყოება შემოქმედებითი დისკუსიის პირველი ეტაპის ამბებს და ამჟღავნებს იშვიათ უცოდინარობას. ეს დაგვიანებული „ლიტ-ფრონტელი“, რაპპის ლიტერატურული ოპოზიციის სამარცხვინო დამარცხების შემდეგაც, ისევ განაგრძობს ფრაქციულ მანიპულიაციებს.

ბენაშვილის დღევანდელი აბდა-უბდა მის გუშინდელ უპრინციპობასთანაა ორგანიულად დაკავშირებული, იგი ნიმუშია ფრაქციული წვინტლიანობის. სწორეთ ამან აუბნია გზაკვალი ბენაშვილს და თავის დროზე მიიყვანა ტატულოვშჩინასთან, როცა გაცხოველებული შემოქმედებითი დისკუსიის პერიოდში სხვა მოხმაურე ყმაწვილებთან ერთად ბენაშვილიც ბანს აძლევდა მათ და ლიტერატურულ-პოლიტიკის საკითხებზე დავისა და ბრძოლის პერიოდში სამარცხვინო უპრინციპობისა და უილაჯობის პოზიცია ეჭირა; სწორედ ამ პერიოდში დაიწყო დ. ბენაშვილმა „თეორეტიკოსობა“.

ავტორის მამლაყინწური პრეტენზიები ასეთია: „მთელი რიგი ლიტერატურული, სპეციალური საკითხების **ახალი კუთხით** დაყენება“. ახერხებს მერე ამას ავტორი? ერთ ადგილას ის ამბობს, რომ მარქსიზმა ტრიუმფალურად გაიმარჯვა ჩვენში, მერე კი წუწუნებს თითქოს ვილაცეები აყალბებენ მარქსიზმს, დაბოლოს ვტყობილობთ, რომ თურმე ამ ცოდვას ნაპოსტოველები ჩადიან. მაგრამ საქმეც იმაშია რომ მის მიერ „საკითხების ახალი კუთხით დაყენება“ (?!-ა. ს.) საკმაოდ გარკვეული საკითხების დაბნელებაა. ბენაშვილი უძლურია არა თუ „ახალი კუთხით“ საკითხების დაყენებაში, არამედ ათასჯერ გადაღეჭილი საკითხების გადაცოხვნაში. მისი გაბედულება, იქამდე მიდის რომ კისრულობს ისეთ საქმეებს, რომლისათვის მას არც ძალა და არც ცოდნა შესწევს, რაც წიგნის ყოველ ფურცელზე აშკარავდება. დიდი ბაჭიაობით ხელს ჭკიდებს „ლიტერატურის ზოგიერთ საკითხში პლეხანოვის იდეალისტურ შეცდომებზე მითითებას,“ მაგრამ იქვე ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობის საკითხში პლეხანოვის ცნობილ ხუთწევრიან ფორმულირობას ეთანხმება, მიაჩნია იგი სწორ განსაზღვრად. ამას უწოდებს იგი პლეხანოვის კრიტიკას, მაშინ როცა პლეხანოვის მემკვიდრეობის ლენინურ გადაფასებაში ეს ფორმულირობა შემცდარია, მას აკლია კლასიური ბრძოლის მომენტი.

როგორც წარსულში ისე ამ წიგნშიაც ბენაშვილი გამოიყურება ფარული „ლიტ-ფრონტელად“, რომელიც „ნაპოსტოველობა“-საც ჩემულობს, მაგრამ საბოლოოდ ისევ უპრინციპობის ჭაობშია ჩაფლული. აქა-იქ იგი თითქოს აკრიტიკებს ლიტფრონტს, ბუტბუტებს მის წინააღმდეგ, მაგრამ არსებითად „ლიტფრონტულ“ დამპალ კბილებსაც ვერ ფარავს.

თუ ჩვენ ბენაშვილივით არ დავივიწყებთ რაპპის წინააღმდეგ ბრძოლაში ბეზიმენსკის როლს, მის უხეშ შეცდომებს და ბრძოლის მეთოდებს, მაშინ ბენაშვილის თვალთმაქცობაში დავრწმუნდებით; იგი სწერს: „თუ ჩვენ არ მივიღებთ მხედველობაში ბეზიმენსკის... სამართლიან და ამავე დროს მნიშვნელოვან ბრალდებებს რაპპის ხელმძღვანელ ამხანაგების წინააღმდეგ“... თითქოს ყველაფერი აშკარაა, ისმება კითხვა. რად ეფარება ბენაშვილი ბეზიმენსკის კალთას? იმისთვის ხომ არა, რომ ისიც ბეზიმენსკივით რაპპის ხელმძღვანელობაზე გაბოროტებულ ხალხის რიგებში

იდგა და დგას. ბეზიმენსკი რაპპს ბურჟუაზიულ გადაგვარებაში სდებდა ბრალს; ბენაშვილს, (როცა ყველასათვის აშკარაა „ბლოკისა“ და კერძოთ, ბეზიმენსკის ბრძოლის მიზანი, როგორც ფრაქციონერის) ეს სამართლიან ბრალდებათ მიაჩნია; ესაა სწორედ „ლიტფრონტული“ განწყობილებების გამოცოცხლება. მაგრამ ეს კიდევ „არაფერი“, რომ ბენაშვილს არ ეკუთნოდეს ისეთი ლიტფრონტული ფანტაზიორობა, როგორიცაა რაღაც „ფადეევის სკოლის“ აღმოჩენა თანამედროვე რუსულ პროლეტარულ მწერლობაში.

რა სასაცილოა და სახუმარო ბენაშვილის ლიტ-ფრონტული ტლინკები ფადეევის წინააღმდეგ. რა ბრალდებებს არ უკენებს იგი ფადეევის „სკოლას“. ამ შკოლნიკს შესწევს ინტელიგენტური „გაბედულება“, რომ „ფადეევის სკოლაში“ გააერთიანოს ფადეევი და ვორონსკი!? ყველა ამის შემდეგ ბენაშვილი ალბად ნაპოსტოველად თვლის თავს! „შემოქმედებაში შთაბეჭდილებას უეჭველად აქვს მნიშვნელობა, მაგრამ იგი ხელოვნების საფუძველი არ უნდა გახდეს—წერს ბენაშვილი, როგორც ამას ფადეევის სკოლა ფიქრობს“.

სად და როდის არსებობდა და არსებობს ტატულოვის ბეჯითო მოწაფევ ბენაშვილო „ფადეევის სკოლა“? სად ამოიკითხეთ ასეთი სიბრძნე, სად და როდის ამტკიცებდა ფადეევი ან ფადეევის ნაპოსტოველი მეგობრები, ნაპოსტოველების უმრავლესობა, რომ ხელოვნების საფუძველი უშუალო შთაბეჭდილებაა? რად ებრძვით ჭარის წისქვილებს, რად რჩებით ტატულოვშჩინის უბადრუკ ეპიგონად, რად მარჩიელობთ მოძველებულ ანგდოტებით?

მართალია, ფადეევსაც ახასიათებდა ზოგიერთი შეცდომა წარსულში, მაგრამ განა ფადეევი არ იყო რომ ებრძოდა (ავერბახთან და სხვა ამხანაგებთან ერთად) რამოდენიმე წლის განმავლობაში ვორონსკის და ვორონშჩინას. ლებედინსკისა დი ერმილოვის ცალკეულხ შეცდომების მიწერა ფადეევზე და შემდეგ ნაპოსტოველების „ფადეევის სკოლად“ გამოცხადება სინამდვილის დაუშვებელი დამახინჯებაა; ეს აროის ის, რასაც ეწოდება „ფრაქციული კრეტინიზმი“. დ. ბენაშვილის უპასუხისმგებლობა იმაშიაც მდგომარეობს, რომ ის ეყრდნობა და ასახელებს არ არსებულ დოკუმენტებს, ასე მაგალითად ერთ ადგილას ის სწერს: „ზოგიერთი ციტატები ჩვენ მოგვყავს პ. ჭიკოძის საკმაოდ ძლიერი ნაშრომიდან“ За политическую актуальность в литературной дискусий“. ბენაშვილის მეტმა არავიც იცის ასეთი „ძლიერი ნაშრომის“ არსებობა. ეს მაგალითი ლიტერატურული ძმა-ბიჭობისა და ხლესტაკოვშჩინის ნიმუშია, რაც ამავე დროს სარეცენზიო ბროშურის სტილია მთლიანად.

რა უფლებით და რა ძალით ბენაშვილი აცანცაროს ყოვლის მომთმენ ქაღალდზე ასეთი რამეები: „ადამიანები (ვორონსკი, ფადეევი, ლიბედინსკი, ერმილოვი) რომლებიც მხატვრულ შემოქმედებაში იცავენ უშუალო შთაბეჭდილებათა პრიმატს ლოღიკურად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ხელოვნება არის სინამდვილის მჭვრეტლობითი ასპექტი“. როგორ და რა ნაირად უყენებს ამ ხალხს ეს კაცი ამ ბრალდებას როცა გუშინ, გაცხოველებული შემოქმედებითი დისკუსიის პერიოდში იგი თვითონ სწერდა იდეალისტურ-გიმნაზისტურ ამბებს: „ადამიანები რომლებიც თავის მარქსისტობას „ფსიხოლოგიური რეალიზმის“ უარყოფით ამტკიცებენ—ძლიერ ცუდ საქმეს უწევენ მარქსიზმს“. „პსიხოლოგიზმის“ დამცველი ეს მუშკეტიორი აი რას წერდა ხელოვნების ბუნების შესახებ: „ხელოვნების შინაგანი ძალა იმაში მდგომარეობს რომ გვაჩვენოს მხატვრული განსხეულებით პროცესი არსებულის და ამ არსებულის იქით მომხდარ მოვლენათა ქვეყნის თვით ანალიზი“. ასეთ რეაქციონურ დებულებას ვორონსკი, ნუცუბიძესთან ერთად ბენაშვილი თუ წამოაყრანტალებს და ამის შემდეგ მას ყოფნის გამბედაობა უვიცობასთან დაკავშირებით ებრძოლოს რაღაც მის მიერ მოჩმახულ „ფადეევის სკოლას“, ნუ თუ შეიძლება ამაზე მეტი უპასუხისმგებლობა. რაა ეს, ნაპოსტეოლობაა? დისკუსიაა?. არც ერთი და არც მეორე, არამედ ლიტერატურული შარლატანობა. პროლეტლიტერატურულ მოძრაობას ასეთი სუბუქი ჟანრის გამოსვლები უსათუოდ ხელს უშლის. პროლეტარული ლიტერატურა ბოლოს და ბოლოს საჯირითო და სავარჯიშო მოედანი როდია, რომ ბენაშვილივით ლიტერატურულ „ნედოროსლმა“ იგი თეორობანას სათამაშო მოედნად გადააქციოს.

„რეფლექსოლოგიური რეალიზმის“ „თეორიის“ ავტორი — ბენაშვილი, რომელიც დისკუსიის პერიოდში ყოველად საეჭვო-იდეალისტური, ობივატელური შეხედულებით უმასპინძლდებოდა გაზ. „ახ. კომუნისტი“-სა და „ჟურნ. „ახ. ბოლშევიკის“ მკითხველებს და ყალბ ორიენტაციას აძლევდა მათ პროლეტ-ლიტერატურული დისკუსიის საკითხებზე—იმდენად კადნიერდება, რომ ჭკუის სწავლებას უწყებს ფადეევს და რაც მთავარია, ის რაც ლიბედინსკის შეცდომაა აწერს ფადეევს; ამ უკანასკნელთან აიგივებს ვორონსკ-ს. ნაპოსტოველობა ვორონშჩინასთან ბრძოლაში დავაკაცდა და რამდენად ბრმა და ანტი-ნაპოსტოველური კრეტინიზმით უნდა იყოს ადამიანი დაბრმავებული, რომ ასეთი რამეები წეროს. ნუთუ უკეთესი არ იქნებოდა რომ ბენაშვილს იმის მაგიერ რომ ასეთი აბდა-უბდა დაეწყო კარგად წაეკითხა და შეესწავლა თუ რა განსხვავებაა ვორონსკისა და ფადეევს შორის. თუ რისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეიძლება ნაპოსტოველობის „ფადეევის სკოლად წარმოდგენა და ამ „სკოლასთან“ ვოროონსკის გაერთიანება. მაგრამ თუ ბენაშვილი ნაპოსტოველობას აიგივებს ვოროონშჩინასთან, აშკარაა მხოლოდ იმისთვის რომ მას არასდროს კავშირი არ ჰქონია ნაპოსტოველებთან, მის მებრძოლ ტრადიციასთან, ცუდათ იცნობს პრ. ლიტერატურული მოძრაობის ისტორიას და ნაპოსტოველობის წინააღმდეგ ფრაქციული ბრძოლის ჭაობშია მოქცეული. მაგრამ მისი ფრაქციული ნაბიჯები იმდენათ თვალთმაქცურია, რომ ის თავის წერილის ერთ გვერდზე თუ მოჩვენებითი ნაპოსტოველია, მეორე გვერდზე ფეხის ხმას აყოლილი წვრილფეხა ლიტფრონტელი, მესამე გვერდზე ლიტფრონტის გაუბედავი „მოკრიტიკე“, საბოლოო ჯამში კი დავთარაბნეული ბუკინისტი.

აბნეულობა, ფაქტების უცოდინარობა, ფილოსოფიურ შრომებიდან უშნოდ ამოგლეჯილ ციტატებით ჟონგლიორობა, შემოქმედებითი დისკუსიის ათასჯერ გადაღეჭილი, ფაქტების უნიჭო და გაყალბებული გადმოცემა, გიმნაზისტის ციტატომანია—აი ბენაშვილის წიგნის მთელი შინაარსი და „ღირებულება“. ეს დაგვიანებული წვრილ ფეხა ლიტფრონტელი, იმის შემდეგაც როცა ლიტფრონტს, როგორც „სირცოვ-ლომინაძის საქმემ აჩვენა ზოგიერთები გარკვეულად შეეფერენ პარტიის ხაზის წინააღმდეგ“ („პრავდა“ № 19, 1931 წ.) სცდილობს ამ ნათელი და გარკვეული საკითხების დაბნეულობას, მის იმ გვარი „ახალი კუთხით“ დაყენებას, როგორც ეს იყო ლიტფრონტელების მიერ დაყენებული. ბენაშვილი არსად არ ამბობს რომ ის ლიტფრონტელია, პირიქით შეიძლება „გუნებაში“ ნაპოსტოველადაც თვლის თავს, მაგრამ წარსულში ტატულოვშჩინის ჭაობიდან საქართველოს ნაპოსტოველების წინააღმდეგ ბრძოლა და ამის სათანადო პრაქტიკა მას ერთხელ ჩამობეულ ნიღაბს კიდევ უფრო ხდის ამ ბროშურის სახით.

ტატულოვშჩინა ამკავკასიის პირობებში უნიჭო და უნიათო ლიტფრონტული თვალთმაქცობის „მოძრაობა“ იყო, ამ უნიათობის ჭაობშია მოქცეული დღესაც „მარქსისტული მეთოდოლოგიისათვის“ ბროშურის ავტორი.

მარტო ის ფაქტი, რომ წიგნის დიდი ნაწილი არ-არსებული „ფადეევის სკოლის“ „კრიტიკაა“ და ამ „კრიტიკაში“ მოცემულია და მოყვანილი მხოლოდ და მხოლოდ დაბნეულად და ცუდად ლიტფრონტული ბრალდებები, მას აშკარავებს როგორც ლიტფრონტელს, ტატულოვის მონდომებულ მოწაფეს. ყველა ამას კი ბენაშვილი „სადაო“ საკითხების „ახალი კუთხით“ დაყენებას უწოდებს; სინამდვილეში კი იძლევა ამ საკითხების გაყალბებას და პროფანაციას, მაგრამ განა ამით ამოიწურება ბენაშვილის წიგნაკი? რას ნიშნავს ლიტერატურის ისტორიის ასეთი გარკვევა? „მხატვრული ლიტერატურის ისტორია სტილთა ბრძოლის ისტორიაა. სტილთა ბრძოლა ლიტერატურაში—იგივე კლასობრივი ბრძოლაა“. განა რა სთქვა ამაზე მეტი პერევერზევის მოწაფემ ბესპალოვმა? ეს დებულება აშკარად იდეალისტურია, ფორმალისტური, მენშევიკური. ბენაშვილი იმეორებს პერევერზევის პირწავარდნილ მენშევიკურ მოსაზრებებს, პერევერზევი მასზე ადრე სწერდა: „სტილი, ეს საზოგადოებრივი კლასია, მისი განვითარება მხოლოდ ფორმაა კლასიური განვითარებისა, სტილთა ბრძოლა კლასიური ბრძოლის ფორმაა“ და სხ.

კლასიკოსების საკითხს ამ ახირებულ ბროშურაში დიდი ადგილი უჭირავს. ბენაშვილი ამ საკითხშიაც ვერ სცილდება მოწაფურ აფორიზმებს და „ამტკიცებს“ ისეთ უვიცობას, თითქოს „კლასიკოსები პირველ რიგში გარკვეულ ეპოქის ორიგინალური და ამავე დროს ორგანიული მესიტყვენი იყვნენ გაბატონებული იდეების მხატვრულად სრულ ყოფის საქმეში. კლსიკური ლიტერატურა წარმოადგენს გაბატონებული იდეების სინთეზს და ამ სინთეზის მხატვრულ ასპეტს მთლიანობაში“. გამოდის, რომ ე. ნინოშვილი ნ. ჩერნიშევსკი და სხვ. ცარიზმისა და ბურჟუაზიის ბატონობის დროის იდეების გამომხატველი მწერლები იყვნენ. ეს კლასიკოსის რაობის ფილისტერული გაგებაა. ასევე შეიძლება ითქვას ბენაშვილის ფორმალისტურ „ორიგინალობაზე“ სახეების (სახე შეცვალა **შედარებით**) საკითხში და სხ.

წიგნის შესავალში ბენაშვილი პირდება მკითხველებს საკითხების „ახალი კუთხით“ დაყენებას, პლეხანოვის გადაფასებას, ერთი სიტყვით ლიტერატურულ გადატრიალებას, მაგრამ? პლეხანოვის კრიტიკის ნაგიერ მასზე დაყრდნობაა ლიტ-ფრონტის კრიტიკის მაგიერ — ლიტფრონტული ბუქნაობა. ბენაშვილის ეს ზერელე წიგნი ნაპოსტოველობის დისკრედიტიზაციის მიზნითაა დაწერილი; ასეთი წიგნაკების კრიტიკა აუცილებელია ნაპოსტოველური მოძრაობის სიწმინდისათვის. ჩვენი მწერლობის დღევანდელი გაზრდილი ინტერესი ერთი წუთითაც ვერ მოითმენს ასეთი მოწაფური რეფერატების საზოგადოებრივ გამოტანას და მისი საშუალებით ნაპოსტოველობის წინააღმდეგ დონკიხოტურ გალაშკრებას.

ალექსანდრე ხულავა.

აკ. ჭყონია — „ნიკოლოზ ბარათაშვილი პოეტი და მოქალაქე“.

ამბ. აკ. ჭყონიას წიგნი, ნ. ბარათაშვილი— პოეტი და მოქალაქე“ მიზნად ისახავს იმ ტრადიციულ აზრის დარღვევას, რომელიც დღემდე არსებობს ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ირგვლივ. უნდა აღინიშნოს, რომ ამბ. ჭყონიამ ნაწილობრივ შესძლო მის წინაშე მდგარ ამოცანის დაძლევა. მან მარქსისტული მსოფლმხედველობით დაიწყო გაშუქება ბარათაშვილის შემოქმედებისა, იგი დაუკავშირა ფეოდალურ-არისტოკრატიულ წოდებას და, გამომდინარე აქედან, შეეხო მის ნაწერებს. აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ ამბ. აკ. ჭყონია გზა და გზა ღალატობს მარქსიზმს, ნ. ბარათაშვილი ერთ ერთი მძლავრი და მნიშვნელოვანი კლასიკოსია ქართულ ლიტერატურაში. მისი შემოქმედების შესახებ დღემდე ჩვენში არ არსებობს სწორი კრიტიკული აზრი. რეაქციონური კრიტიკა (კ. აბაშიძე, ვ. კოტეტიშვილი) მხოლოდ იმას მოუნდა, რომ ემტკიცებინა ბარათაშვილის არაკლასიურობა. მათ ავიწყდებოდათ ის ფაქტი, რომ ყოველი მწერალი კლასიურია. მათ ავიწყდებოდათ ის ფაქტი, რომ ნ. ბარათაშვილი რევოლუციონური და მეამბოხე მწერალი კი არ იყო, არამედ დაღუპვის გზაზე დამდგარი თავისი კლასის (ფეოდალური არისტოკრატიის) ნაღვლიანი მესიტყვე იყო.

ამბ. ჭყონია ბარათაშვილს არჩევს, როგორც ფეოდალური არისტოკრატიის მწერალს, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღინიშნოთ ის წინააღმდეგობები, რომელიც აღნიშნულ წიგნშია. ჭყონიას მიზანია ამტკიცოს ნ. ბარათაშვილის კლასიურობა, მაგრამ იგი ამ ხაზს ბოლომდე ვერ მიყვება; ზოგჯერ ცილდება მარქსიზმს და იდეალიზმის თვალსაზრისით აფასებს ნ. ბარათაშვილს, როგორც მწერალსა და მოქალაქეს.

ამბ. ჭყონიამ ვერ შესძლო დიალექტიური მატერიალისტური მეთოდის თანმიმდევრობით გამოყენება. არ კმარა მარტო სოციალ ეკონომიური ფონის მიმოხილვა, არამედ საჭიროა მასში მომხდარ გარდატეხების შემჩნევა, თუ რამდენად ისახებოდა ეს გარდატეხები მაშინ ლიტერატურაში.

ამბ. ჭყონიამ ვერ შესძლო ბარათაშვილის შემოქმედების მთლიანი სურათის მოცემა მარქსისტული თვალსაზრისით. იქნება აღვიხსნას ჭყონიამ სადაური მარქსიზმია, როდესაც იგი ნ. ბარათაშვილის შესახებ სწერს: **„ნ. ბარათაშვილის შემოქმედება ციდან მონაბერი ნიჭის ნაყოფია“.** კომენტარიები ზედმეტია.

როდესაც რომელიმე კლასიკოსს ვარჩევთ აუცილებლად საჭიროა იქვე გავარკვიოთ აგრეთვე თუ რა და როგორ უნდა ვისწავლოთ აღნიშნულ კლასიკოსისაგან. აკ. ჭყონიამაც ამ გზით სცადა გაერჩია ნ. ბარათაშვილი. მან სპეციალური თავიც შეიტანა წიგნში („ნ. ბარათაშვილი და თანამედროვეობა“), სადაც იგი კლასიკოსებთან დამოკიდებულების საკითხს არჩევს არა მარქსისტულად. ჭყონიას არ ესმის თუ რა უნდა ისწავლონ პროლეტარიატმა მწერლებმა კონკრეტულად კლასიკოსებისაგან. მისი გაგებით, „ვეფხის ტყაოსანს“ ჩვენ ვაფასებთ „როგორც გმირობის და სიყვარულის უცილო მქადაგებელს“. **„ვეფხის ტყაოსანი“ ამასთანავე ადამიანის შინაგანი და გარეგანი სილამაზის, სათნოებისა და სიბრძნის შეუდარებელი ხოტბა შესხმულობაა. განა ყოველივე ეს უძლიერეს ორგანიზაციულ ელემენტებს არ წარმოადგენენ ახალი ქვეყნის მშენებლობაში?! განა შესაძლებელია დავუშვათ მოგება სიძნელეებით აღსავსე სოციალიზმისათვის ბრძოლის თავგანწირული გმირობის, ამხანაგური სიყვარული და ამ ბრძოლაში ჩაბმულ პროლეტარიატის ჭკუა მახვილობის გარეშე. ჭეშმარიტად ამ შეგნების შთამნერგავი „ვეფხის ტყაოსანი“ უდიდესი ორგანიზაციული ძალით არის აღჭურვილი ჩვენი დროის თაობისათვისაც. შოთა რუსთაველის უკვდავ ნაწარმოების ეს მნიშვნელობა მით უფრო ცხადია ჩვენთვის, როცა წარმოვიდგენთ ამ პოემის უძლეველ მხატვრულ ღირსებებს: იშვიათ შინაგან და გარეგნულ მუსიკალობას, ღრმა ემოციების აღმძვრელ სურათებს, რაიც „ვეფხის ტყაოსანს“ მხატვრულ მსოფლიო ლიტერატურაში ერთ ერთ პირველ ადგილს ანიჭებს, როგორც სილამაზის ჭარმონიის და სიბრძნის საგალობელს. ასევე უნდა იქნას შეფასებული ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაც, რა თქმა უნდა, შესაფერი კრიტერიუმის დაცვით და სათანადო კონკრეტიული პირობების რაც შეიძლება ამომწურავი გათვალისწინებით“ (გვ. 117)**

ასე ესმის ამბ. ჭყონიას „ვეფხის ტყაოსნის“ და ნ. ბარათაშვილის შემოქმედების მნიშვნელობა. მისი აზრით ვეფხის ტყაოსანი იმითაა საინტერესო, რომ ის რაინდობისა და გმირობის უცილო გამომხატველია. აქედან გამომდინარე, განაგრძობს ჭყონია, თურმე ვეფხვის-ტყაოსნის გმირობა და სიყვარული დღეს პროლეტარიატს ამხნევებს და ეხმარება სოციალიზმის მშენებლობაში და ბოლოს (ჭყონია) ასკვნიან—ბარათაშვილი ასე უნდა გავიგოთ. ესეც თქვენი მარქსიზმი. არ ვიცით რა ჭონდა მხედველობაში ჭყონიას, როდესაც ვეფხის ტყაოსანის გმირობას და პროლეტარიატის მშენებლობის ენტუზიაზმს ერთმანეთან აიგივეებს? ნუ თუ განსხვავება არ არსებობს ჩვენს გმირობისა და მე 12 საუკუნის გმირობის შორის? ნუ თუ ვეფხის ტყაოსანი სიძნელეების დაძლევის ხალისს იძლევა? რატომ დაავიწყდა ჭყონიას ის უტყუარი ჭეშმარიტი დებულება, რომ ვეფხის ტყაოსანი მარტო გმირო-

ბისა და სიყვარულის პოემა კი არაა, არამედ გმირული სიმღერაა ძველ რაინდულ-ფეოდალურ საქართველოზე.

გარდა ამისა ამბ. აკ. ჭყონია ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში იძიებს უკვდავების ელემენტებს. იგი სწერს: **ნამდვილათ კი მთელ მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ვიდრე დღემდე ბარათაშვილი სცოცხლობს და იცოცხლებს მომავალში და ეს იმიტომ, რომ ნ. ბარათაშვილის პოეზიაში მეტად ძლიერია უკვდავების ამ სიტყვის მხატვრული გაგებით („ელემენტები“) (გვ. 118).**

მარქსიზმს არავითარი უკვდავება არა სწამს და არც ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაშიც, როგორც არ უნდა გვისმოდეს ის, არ შეიძლება უკვდავების ელემენტების ძებნა. ცუდათ ესმის ამბ. აკ. ჭყონიას კლასიკოსის დამოკიდებულება თავის საკუთარ კლასისადმი. მაგალითად, ჩვენ არ ვიცით თუ რას ნიშნავს: **ახალმა მწერლობამ უნდა ისწავლოს თავისი კლასთან მჭიდრო ინტიმური ძაფებით დაკავშირება“...** (გვ. 121). რას ნიშნავს კერძო ინტიმური ძაფები? მწერალს კლასთან ინტიმური ძაფები კი არ აკავშირებს, არამედ გარკვეული კლასიური მდგომარეობა და პრინციპები.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ აკ. ჭყონიას წიგნში საკმაოდაა გაბნეული ლიბერალიზმის „მარგალიტები“.

ამბ. აკ. ჭყონიამ ვერ შესძლო კვლევის პროცესში მარქსიზმს ბოლომდე შერჩენოდა. ჩვენ შევეხეთ ჭყონიას წიგნის ზოგიერთ შეცდომას, რაც მარქსიზმის ვულგარიზაციას წარმოადგენს.

საერთოდ აკ. ჭყონიამ მიაწინ მდგარი ამოცანის გადაჭრა მარქსისტულად ვერ შესძლო და იგი ლიბერალიზმის ტყვეობაში მოექცა. ბრძოლა ლიბერალიზმის წინააღმდეგ სალიტერატურო კრიტიკაში ჩვენი მორიგი ამოცანაა, რადგან გარეშე ამისა ყოველად შეუძლებელია მარქსისტულ სალიტერატურო კრიტიკის განვითარება.

კ. მ ე ლ ა ძ ე

ბ. გორბატოვი: — „უჯრედი“

„უჯრედი“-ს ავტორი ახალგაზრდა რუსი პროლეტარული მწერალია. მან მკითხველის. ყურადღება სწორედ ამ მოთხრობით მიიპყრო.

რითაა საინტერესო ბ. გორბატოვის „უჯრედი“? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მასში მოცემულია კომკავშირის ყოფა-ცხოვრება და საზოგადოებრივი მუშაობის საკითხები.

რუსულ ლიტერატურაში კომკავშირზე ბევრი ნაწარმოები მოიპოვება, მაგრამ დიდ ნაწილს აკლია სწორედ ის რაც გორბატოვის მოთხრობის დადებითი მხარეა, კომკავშირის პარტიული მუშაობის სფერო. გორბატოვის „უჯრედი“ დონბასის ერთ-ერთ კომკავშირული უჯრედის ისტორიაა, ავტორი სარგებლობს დიალექტიური მეთოდით, რამდენად იძლევა კომკავშირის უჯრედის და კომკავშირლების ურთიერთობაში წინააღმდეგობით სავსე საზოგადოებრივ ცხოვრების ჩვენებას; იგი არ აწარმოებს ფაქტებისა და და მოვლენების გალაჭულ მოცემას, ამ ფაქტების არც ემპირულ ასახვას. არამედ მუშათა ცხოვრების, კომკავშირულ ყოფის საუკეთესო ცოდნით შეიარაღებული ოსტატობით ყვება ამბავს იმის შესახებ თუ როგორ გადალახა წინააღმდეგობები კომკავშირის, მაღაროს უჯრედმა, უბრალო მუშათა უბნიდან, „სადაც ბანკოს თამაშობენ, უყვართ ლენინი, კითხულობენ მარქს, არაყს ყლაპავენ“.

უჯრედის გმირების ისტორია ეს სიძნელეებთან, დაბრკოლებებთან, საკუთარ ყოფითი წინააღმდეგობებთან მძიმე ბრძოლების გზაა.

მოთხრობის ფურცლებზე იშლება არა ყალბი გმირების სახეები, არამედ კომკავშირის წიაღში მოქმედი ცოცხალი ადამიანები, ადამიანები რომლებიც აერთებენ თავიანთ თავში გმირობას, ენტუზიაზმს, მერყეობას, საქმისადმი გატაცებას, კოლექტიურ ცხოვრებისაკენ ლტოლვას.

ყველანი თავისებურად ეხმარებიან იმ პირობებს და მოვლენებს რა გარემოებაშიაც უხდება მუშაობა უჯრედს. აი მაქსიმე ბონდარენკო—უჯრედის მდივანი, მაღაროს უბრალო მუშა ბიჭი მტკიცედ იბრძვის ახალ ცხოვრებისათვის.

აი აგიტპროპი ქალი ქალაქიდან მოსული! მას ახასიათებს წვრილ-ბურჟუაზიული ანარქიზმი, აი სენკა ალეშინი, კომკავშირელი ბიჭი, მძიმე ოჯახური ცხოვრებით გონება დაბზეული, ლოთი მამის მკვლელი. აი მაქსიმეს ძმა პეტრე, ძველი კომკავშირელი, გადაგვარებული, თავისი ლოთობით და უზნეო ყოფაქცევით დანის მსხვერპლი. აი მოზარდი აქტივი, საუკეთესო მოქმედი ბიჭები, აი კომკავშირიდან გამორიცხული სახეებიც, ოდესღაც მაგარი, აქტიური უჯრედი სიძნელეების რკალებში მოქცეული დაშლის კარამდის მისული. უბედურება ემატება უბედურებას. მაღაროში გაფიცვაა მოსალოდნელი. უჯრედის წინაშე უდიდესი ამოცანა სდგას; მტკიცე ბრძოლისა და მოქმედების წყალობით უჯრედი ისევ ფეხზე დგება, ისევ სწორდება და მაგრდება.

აი გორბატოვის ამ მოთხრობის იდეა, მთელი შინაარსი.

გორბატოვის „უჯრედი“ ისეთი ნაწარმოებია, სადაც მახვილად და გაბედულად დასმულია აქტუალური საკითხები. ეს წიგნი უნდა წაიკითხოს ყოველ კომკავშირელმა, რომ გაიგოს თუ როგორ იბრძვიან, მოქმედებენ, თუ როგორ იბადება ახალი ცხოვრება, ამ ცხოვრების ახალი ადამიანები.

ა. ს.

იაკინთე ლისაშვილი— „გაშლილი ფრონტით“.

სარეცენზიო ლექსების წიგნი („გაშლილი ფრონტი“) პოეტის ზრდის მაჩვენებელია. პოეტი თემატიურად ნაწილობრივ დაეუფლა რეკონსტრუქციის ხანის მასალას; მას თავისი მხატვრული შემოქმედების თემად რეკონსტრუქციის ხანა აქვს აღებული.

არის ბევრი გამართული სტრიქონები, ეპოქის მწვერვალებისათვის თვალების გასწორება.

მაგრამ აღებული თემა ყოველთვის არა აქვს პოეტს სავსებით დასაკმაყოფილებლად დამუშავებული. მას ეტყობა განვითარება ლექსის გაფორმებაში, მაგრამ მისი განვითარება მრავალ შემთხვევაში მიმდინარეობს ძველი მწერლობის გატკეპნილი გზით. აი მაგალითად: როგორი ლექსიკონით არის სავსე მისი ლექსები: ძვირფასი მტკვარი, უკან თამარის მივატოვეთ ციხე კლიტული, აღარ ვფიქრობდი კაცი ასე შემიყვარდება, დავიჭერდი ამოდენ გრძნობას, სისპეტაკით ამაღლებული მაგიდასთან სავსე თასებით, აღტაცებით, სიმღერით ტაშით გომბორის მთებზე გადავიარეთ, ოქროს ძაფებად ცაზე მაღლდება, დამეცემა უტკბეს წუთებად, მზე გადმოგორდა მწიფე ვაშლივით.

პოეტის მეორე დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ზოგადობა, საგნების განყენებულად მოცემა. მას რეკონსტრუქციის ხანის ამოცანები ზოგად სახეებში აქვს გაშლილი. ამ ზოგადობას პოეტი ზოგჯერ მექანიკურ აზროვნებამდეც მიყავს.

ერთ-ერთ ლექსში გვხვდება შემდეგი სტრიქონი:

„და კომუნიზმი თვალწინ შენდება“. გამოდის კომუნიზმი თავისთავად შენდება და მასში პოეტი არავითარ მონაწილეობას არ იღებს. კიდევ უფრო მიუღებელია შემდეგი ადგილები: გლეხის ცხოვრება წისქვილივით შემოტრიალდა, სოციალიზმის ყველა კედლები მაგრდებიან და ფეხზე დგებიან.

მისი ლექსების მიხედვით ჩვენ ვგებულობთ რომ, არის ცხოვრების განვითარება, მაგრამ ეს ხდება მექანისტურად, თავისთავად; საერთოდ მასა, მოძრაობა, ბრძოლა, მუშაობა აქ ძალიან მკრთალად სჩანს.

კულაკი მოცემულია არა თავისი საქმიანობის ფონზე, არა თავისი ნამდვილი სახით, არა ნილაბჩამოხდილი, არამედ ის გამოდის სცენაზე და გადის. კულაკის ბრაზი, გაბოროტება კონკრეტიული ფაქტის გარშემო არ სჩანს, ის ებრძვის კოლექტიურს, მაგრამ რისთვის, რა ზრახვები ამოქმედებს კულაკს — ამას მის ლექსებში ტყუილად დაუწყებთ ძებნას.

პოეტს მართებს დიდი მუშაობა, რომ აქ შემჩნეულ შეცდომებს და ლიაპსუსებს თავისი მხატვრულ შემოქმედებაში ლიკვიდაცია უყოს და პროლეტარულ მწერლობისათვის წაყენებულ ამოცანების სიმაღლეზე დადგეს.

ფარი

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარული მწერლების ასოციაციათა საკავშირო გაერთიანების საბჭოს მეორე პლენუმის რეზოლუცია— პროლეტარულ მწერალთა ა/კ ასოციაციის შესახებ

1. პროლეტარული მწერლების ასოციაციათა საკავშირო გაერთიანების პლენუმი აღნიშნავს ა/კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ზრდასა და განმტკიცებას.

თავად-აზნაურობის იდეოლოგიური აგენტები ბურჟუაზია და კულაკური ელემენტები, ა/კ ნაციონალისტური, კონტრ-რევოლუციონური პარტიების წარმომადგენლები თავიანთი პოზიციების შესანარჩუნებლად გაძლიერებულ ბრძოლას აწარმოებენ და შეტევაზე გადასვლას ცდილობენ. რეაქციონერების ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე და კერძოთ ლიტერატურულ დარგში პოულობს თავის გამოხატულებას რთულსა და ზოგჯერ ოსტატურად მიჩქმალულ ფორმებში.

ა/კ პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია აწარმოებს ბოლშევიკურ, შეურიგებელ ბრძოლას კლასობრივი მტრების მენშევიკურ, ნაციონალ-დემოკრატიულ, დაშნაკურ და მუსავატისტურ თავდასხმებთან, ნიღაბს ხდის მათს კონტრ-რევოლუციონურ ბუნებას და ერეკება მოკალათებულ პოზიციებიდან. პროლეტარული მწერლების ასოციაციათა საკავშირო გაერთიანების პლენუმი იწონებს საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყველა ღონისძიებას, რომელიც მიმართულია ქართულ ლიტერატურაში შინა ემიგრაციის წინააღმდეგ, იმ ცდების წინააღმდეგ, რომელიც მიისწრაფის საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერატიული გაერთიანება, კლასობრივად მტრული მიზნებისათვის გამოიყენოს.

პლენუმს სავსებით სწორად მიაჩნია საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერატიული გაერთიანების აშკარა რეაქციონური ელემენტებისაგან გაწმენდა, რომელიც მოახდინა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ ტროცკისტ-თანამგზავრ მოკავშირე ძალებთან ერთად. პროლეტარული მწერლების ასოციაციათა საკავშირო გაერთიანების პლენუმს საჭიროდ მიაჩნია ბრძოლის გაძლიერება მუსავატისტურ იდეოლოგიასთან აზერბაიჯანში, გამოცოცხლებულ დაშნაკურ-კულაკურ იდეოლოგიასთან სომხეთში, ნიღაბაფარებულ მენშევიზმისა და ნაციონალ-დემოკრატიზმთან საქართველოში, მათ ლიტერატურულ წარმომადგენლებთან, ამ ბრძოლაში თანამგზავრთა ფართო წრეების ჩაბმით.

პლენუმი აღნიშნავს, როგორც მეტად თვალსაჩინო ნაკლს, აზერბაიჯანში თანამგზავრებთან არა დამაკმაყოფილებელ მუშაობას. პლენუმი საჭიროდ სთვლის მოეწყოს აზერბაიჯანში პროლეტარულ-კოლმეურნეთა მწერლების კავშირი, საბჭოთა მწერლების კავშირი და საბჭოთა მწერლების გაერთიანებათა ფედერაცია. პლენუმი აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ ჯერ კიდევ საკმარისად არ შეასრულა პროლეტარულ მწერლების ასოციაციათა საკავშირო გაერთიანების სამდივნოს რეზოლუცია (1930 წ., მაისი) და სათანადოთ არ გაშალა ბრძოლა ძველ სახელმძღვანელოების წინააღმდეგ, კერძოდ, იმ მემარჯვენე შეცდომების წინააღმდეგ, რაც ჩადენილია ამხ. მ. კულიევის მიერ, რომლის მხრივაც საჭიროა შეცდომების სავსებით შეგნება და მათი გადაჭრით გამოსწორება.

პლენუმს საჭიროდ მიაჩნია სომხეთსა და საქართველოში საბჭოთა მწერლების ფედერატიული გაერთიანების მუშაობის გაძლიერება, ტროცკისტ მოკავშირე მწერალთა კადრებთან ერთად, ყოველგვარ რეაქციონურ იდეოლოგიასთან შეურიგებელი ბრძოლის ნიადაგზე.

პლენუმი აღნიშნავს, რომ ა/კ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ სირცოვ-ლომინაძის მემარჯვენე - „მემარცხენე“ ბლოკის ლიტერატურულ წარმომადგენლებს სათანადო ბრძოლა გადაუხადა და ა/კ ლიტფრონტს—ტატულოვშჩინას ჯეროვანად შეუტია.

პლენუმი აღნიშნავს იმ მეტად დადებითი ხასიათის ფაქტს, რომ პროლეტმწერლების (სომხეთისა და აზერბაიჯანის პროლეტმწერალთა ასოციაციები) ფენებმა, რომლებმაც შემარიგებლობა გამოიჩინეს და რომლებიც ზოგჯერ-კი ტატულოვშჩინას მხარსაც უჭერდენ, თავიანთი შეცდომები ბოლშევიკურად გამოაასწორეს. ამასთანავე ერთად პლენუმი ვალად სთვლის მიუთი-

თოს ა/კ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას მომავალში გაღრმავებული მუშაობის წარმოების საჭიროებაზე, ტატულოვშჩინისა და სხვა დანარჩენი სახის წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიის გავლენის ძირიან-ფესვიანად აღმოსაფხვრელად. ეს განსაკუთრებით იმიტომაა საჭირო, რომ ცალკე ელემენტები, რომლებმაც შეცდომები ჩაიდინეს, სცდილობენ თავიანთი შეცდომები მხოლოდ დეკლარატიულად აღიარონ, ხოლო ზოგიერთი კი—სცდილობს ეს შეცდომები მიაფუჩეჩოს და ობიექტიური მიზეზებით გაამართლოს (ალი ნაზიმი).

საჭიროა მიღებულ იქნას მხედველობაში ტატულოვშჩინის, მემარჯვენე - „მემარცხენე" განწყობილებისა და გამოსვლების რეციდივები. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ზოგიერთი მერყევი ელემენტი (რომელიც ორ ფრონტზე ბრძოლას ხშირად ამახინჯებს და ბეკ-ტომის პოზიციას უკავშირდება) სრულიად გარკვეული სახის ტენდენციას ამჟღავნებს, ტენდენციას—გაერთიანოს და დაიხელკეითოს ტატულოვის, ბუფერული ნაშთები ა/კავკასიაში (მაგ. ამხ. პირი და სხვ.).

ა/კავკასიის პროლეტარულ მწერლების ასოციაციამ მომავალშიც გადაჭრით უნდა შეუტიოს ყოველგვარ მერყეობას, პროლეტარული მწერლების საკავშირო ასოციაციათა გაერთიანების ლიტერატურული—პოლიტიკური ხაზის გამრუდებას, სასტიკად უნდა გააძლიეროს ბრძოლა ორ ფრონტზე და დაუშინოს ცეცხლი წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიის გავლენის ყოველსა და ყოველგვარ გამოხატულებას. ა/კ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ ეს ბრძოლა უნდა აწარმოოს თვით-კრიტიკის ფართოდ გაშლის ნიადაგზე, შემოქმედებითი ჯგუფების შექმნისა და გაფართოების ნიადაგზე, და ენერგიულ მუშაობით დამკვრელ მუშათა გაწვევით, რომელიც თუმცა დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული ბაქოში, მაგრამ სომხეთსა და საქართველოში საკმარისად არ არის ჩატარებული და, რაც უმთავრესია გაწვევის დასამაგრებლად გაწეული მუშაობა ჯერ-ჯერობით დამაკმაყოფილებელი არაა.

ლოკაფის საქართველოს ორგანიზაცია

არ დარჩენილა საბჭოთა კავშირში არც ერთი კუთხე, რომ არ დაარსებულიყოს ლოკაფი. კარგა ხანია რაც დაარსდა ჩვენშიც ლოკაფი, პირველად ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის სახით და შემდეგ ნაციონალური ლოკაფები.

დაგვიანებით, მაგრამ ფრიად საინტერესოდ ჩატარდა ლოკაფის საქართველოს ორგანიზაციის დაარსება; წითელი არმიის ბანაკში (ავჭალაში) ივნისის პირველ რიცხვებში მოხდა პროლეტარულ, წითელ-არმიელ და საბჭოთა მწერლების ფართო შეკრება.

შეკრებაზე მოხსენებით გამოვიდა ფრუნზეს სახელობის დივიზიის უფროსი, სამხედრო კომისარი ამხ. სოსო ბუაჩიძე; იგი ვრცლად შეეხო საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას, საბჭოთა კავშირში წარმოებულ სოციალისტურ მშენებლობას, წითელი არმიის ამოცანებს და იმ ვალდებულებებს, რასაც აყენებს ომის საფრთხე მწერლების წინაშე.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მთელი რიგი მწერლები და წითელ-არმიელები: ამიერ-კავკასიის პრ. მწერალთა ასოციაციის სახელით ამხ. ბ. ბუაჩიძე, საქართველოს პროლეტმწერალთა სახელით ს. წვერავა, წითელ-არმიელებიდან—ჩიქოვანი, საქ. მწერ. ფედერაციიდან ს. ჩიქოვანი და სხ.

ამხ. სოსო ბუაჩიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ შეკრებამ მიიღო რეზოლუცია და აირჩია წითელი არმიისა და ფლოტის ლიტერატურული გაერთიანების სახელმძღვანელო ორგანოები: საბჭო და სამდივნო.

ლოკაფის საბჭოში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ს. ბუაჩიძე, ი. უგულავა, ბლუაშვილი, ა. სულავა, პ. საყვარელიძე, ბ. ბუაჩიძე, შ. რადიანი, ს. წვერავა, რ. გვეტაძე, ა. მაშაშვილი, ტ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, გ. ტაბიძე, დარბინიანი, გრებენშჩიკოვი, ა. კოპაძე, დ. ლომაძე, კ. ლორთქიფანიძე, ს. ეული, ქარელი, ს. გეგია, ვ. დიდიძე, ს. ერთაწმინდელი, ჩიქოვანი, ფხაკაძე.

იქვე შესდგა ახლად არჩეული საბჭოს სხდომა, რომელზედაც არჩეულ იქნა საბჭოს თავჯდომარე — ს. ბუაჩიძე, მოადგილეთ — პ. მ. საყვარელიძე.

სამდივნოში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ალ. სულავა, დ. ლომაძე მეტონიძე, ს. წვერავა, ა. კოპაძე, ს. ჩიქოვანი.

ლოკაფის პ/მგ. მდივნად — ამხ. ა. სულავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦

ამხ. ფრუნზეს სახელობის დივიზიაში

საქართველოს პროლეტ. მწ. ასოციაციის სამდივნოს და ამიერ-კავკასიის ლოკაფის მიერ ქართულ 2 მსროლელ ამხ ფრუნზეს სახელობის დივიზიაში სამუშაოდ გაიგზავნა პროლეტ. მწერალი არჩილ ჩაჩიბაია, რომლის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული იქნა ლოკაფის, დივიზიის ცენტ. უჯრედი.

ჯერჯერობით უჯრედი აერთიანებს ოც წითელარმიელ მწერალს, მხატვარს, პოეტს და დრამატურგს.

ჩატარებული იქნა მოხსენებები პროლეტ. მწერლობის განვითარების გზების და ლოკაფის ამოცანების შესახებ. უჯრედი გაზეთ „წითელ არმიელში" უშვებს ლიტერატურულ ფურცლებს და აგროვებს მასალებს მხატვრული ალმანახის გამოსაცემად. უჯრედმა თავიდანვე მიაქცია ყურადღება ესტრადის საქმეს, რომელიც დივიზიაში ძალზე სუსტადაა დაყენებული. დივიზიის პოლიტგანყოფილებასთან შეთანხმებით სპეციალურ სხდომაზე გარჩეულ იქნა ჟურ. „წითელარმიელთა ესტრადი"ს ნომრები და რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ჟურნალი „წითელარმიელთა ესტრადა" მხატვრულად მდარე ხარისხის გამო გამოუყენებელი დარჩა და ხელს არ უწყობს ესტრადულ მოძრაობის განვითარებას ქართულ ნაწილებში.

ლოკაფის უჯრედი პოლიტგანყოფილების დაუზოგავი დახმარებით უკვე აყალიბებს პირველ დამკვრელ საესტრადო ბრიგადას. რომელმაც უნდა იმუშაოს, როგორც ცალკე ლეგიონების კლუბებში, ისე ნაწილების ველად გასვლის დროს და მთელი რეპერტუარი შეფარდებული იქნება წითელარმიის საბრძოლო ამოცანებთან.

✦

საქართველოს პროლეტარული მწერალთა ასოციაციის სამდივნოს 12 ივლისს გაფართოებულ სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. სიმ. წ ვ ე რ ა ვ ა ს მოხსენება დამკვრელი მუშების ლიტერატურაში გაწვევის შედეგებისა და მისი ამოცანების შესახებ.

მოხსენების ირგვლივ გამოტანილ პრაქტიკულ წინადადებებისა და რეზოლიუციის მიღების შემდეგ მოხდა 61 დამკვრელი მუშის-ლიტერატურაში გამომჟღავნებულ წრის წევრების პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში წევრებად მიღება. ასოციაციის წევრებად მიღებულია შემდეგი ამხანაგები: **1) ნაზარბეკოვი ივანე, 2) ნატრიშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე, 3) დვალი ივანე, 4) მუჯარიძე ვლადიმერ, 5) ხებრელაშვილი ნიკო, 6) ლორთქიფანიძე დავით, 7) ქებაძე გიორგი, 8) მეშვილდიშვილი ნიკო, 9) კობიაშვილი ვლადიმერ, 10) კაჭანიძე კონსტანტინე, 11) მეშვილდიშვილი სოკრატი, 12) ტაბატაძე გრიშა, 13) ჯღარკავა დავით, 14) ბეციაშვილი გიორგი, 15) ინაშვილი გიორგი, 16) ვარნაზოვი გიორგი, 17) კიკალიშვილი ვანო, 18) ქოლავა,** (სტალინის სახელობის შემკეთებელი ქარხანა), **19) ნებიერიძე, 20) ბახტაძე ვანო, 21) კალანდაძე ჭიჭიკო,** (დეპო) **22) ასათიანი,** (სატრიკოტაჟო ქარხანა): **შადური ვანო,** (ანდეზიტის სამუშაოები) **23) ქარცივაძე ივანე, 24) ნინაშვილი, 25) ნაცვლიშვილი არჩილ, 26) ოსინი,** (მაუდის ფაბრიკა) **27) მდივნიშვილი ირაკლი, 28) შუღლია არმენ, 29) ხანდამიშვილი ირაკლი, 30) სალარიძე ვასილი, 31) ლაცაბიძე ვასილი,** (26 კომუნარის სახელობის ქარხ). **32) ცაგარეიშვილი კონსტანტინე,** (აბრეშუმის ქარხანა) **33) მაისურაძე გიორგი, 34) ესებუა შალვა** (სტამბები) **35) დოლიაშვილი ზაქრო, 36) ჭუმბურიძე აბო, 37) მეფარიძე ეროდიონ, 38) ნასარიძე გუგული, 39) გაფრინდაშვილი ლასო, 40) ცირიკიძე ნიკო, 41) მუმლაძე ვარლამ,** (ჭიათურის მაღაროები) **42) ბატაიანც სოლომონ, 43) გრიგორიან სარქის, 44) ბაგდანიან არმენაკი, 45) სარქისიან გურგენ, 46) მურადიან მ., 47) დოლუხანიანი, 48) მამიკონიან მამიკონ, 49) ამიზბეკიან გურგენ, 50) ეფრატ სევ-კარაუა, 51) მამიკონ კაზახანა, 52) მინასიან, 53) გოლბა, 54) შკურატენკო, 55) კოროტენკო, 56) პოლიაკოვი, 57) ტრეტიაკოვი, 58) ნიკოლაევი, 59) კრიუკოვი, 60) ბრაკოვსკი, 61) იაკობ ჯიბლაძე.—**

გაწვევა ჯერ არ არის დამთავრებული. ის გრძელდება: ქუთაისში, ტყიბულში, სტალინისში და სხვა ქალაქებში. არსებული ლიტ. წრეების წევრების დამკვრელი მუშების ასოციაციაში მიღება მოხდება სამდივნოს შემდეგ სხდომაზე.

სამდივნოს დადგენილებით დაკვრითი წესით უნდა გამოიცეს დამკვრელი მუშების მხატვრული ნაწერები კრებულად და პატარა-პატარა წიგნაკებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეოდალიზმის ეპოქიდან—რეკონსტრუქციის პერიოდამდე

[უკრაინის ხელოვნების გამოფენა]

საქართველოს ეროვნულ გალერეიაში გამართული უკრაინის ხელოვნების გამოფენა, მით არის საყურადღებო, რომ გამოფენაზე გარკვევით და თვალსაჩინოდ ჩანს უკრაინის კულტურის განვითარება თავის საწყისიდან—დღევანდლამდე. გამოფენა ცოცხალი ილიუსტრაციაა უკრაინის კულტურის მიღწევებისა ერთ ათეულ საუკუნის განმავლობაში, ფეოდალიზმის ეპოქიდან—დღევანდლამდე.

უკრაინის კულტურა არ არის მაინც და მაინც ძველი; მისი ისტორია მეათე საუკუნიდან იწყება.

გამოფენის მიხედვით უკრაინის კულტურის ისტორია ორ ნაწილად იყოფა. ამ ისტორიის გამყოფი—ოქტომბრის დიდი რევოლუციაა. ხელოვნების კლასიურობის თვალსაზრისით ყოველმხრივ საყურადღებო და საინტერესოა რევოლუციამდე არსებულ უკრაინის მრავალსახოვანი ხელოვნება. წარმოდგენილი ნიმუშები კერამიკის, მხატვრობის, გლეხური ხელოვნების და სხვა დარგებიდან თვალსაჩინოდ ამტკიცებს მარქსიზმის იმ დებულებას, რომ ხელოვნება კლასიურია, რომ ხელოვნება გაბატონებულ კლასის ინტერესებს ემსახურება. ავიღოთ ფეოდალიზმის ეპოქის უკრაინის მხატვრობა; უკანასკნელი ყურადღებას აქცევს მხოლოდ გეტმანებს, წარჩინებულებს, ფეოდალებს და სხვ. ის „ვერ ხედავს“ მონობის უღლის ქვეშ მგმინავ გლეხს. გამოფენაზე წარმოდგენილი ერთი დოკუმენტი შეიცავს მემამულის მრისხანე „პრიკაზს“, რითაც იგი სიკვდილით ემუქრება თავის ყმა მეფანდურეს, რომელმაც ველარ გაუძლო ბატონის ექსპლოატაციას და გაიქცა...

გამოფენის ერთი ყველაზე საინტერესო განყოფილებათაგანი—ეს „გლეხური ხელოვნებაა“, რომელიც საინტერესოა არა მარტო იმიტომ, რომ ის კლასიური ბრძოლის სულით არის გაჟღენთილი, არამედ საინტერესოა, აგრეთვე ხელოვნების თვალსაზრისით. გამოფენაზე წარმოდგენილი უკრაინული გლეხური კერამიკა—მაღალი ოსტატობის ნიმუშია. უკრაინული გლეხური კერამიკა ოდნავადაც არ ამართლებს ლოზუნგს „ხელოვნება—ხელოვნებისთვის“. პირიქით უკრაინულ გლეხურ კერამიკას მაღალ მხატვრულ ღირებულებასთან ერთად აქვს „გამოყენებითი“ ღირებულებაც. კერამიკის მრავალი ექსპონატი თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ რევოლიუციამდე უკრაინის ხელოვნებაში სწარმოებდა ჩუმი, დაფარული კლასიური ბრძოლა. მეფის მოხელეების სატირულ ფორმაში გამოსახვა—უკრაინის გლეხურ კერამიკის დამახასიათებელი თვისებაა; საყურადღებოა, უკრაინის გლეხური ხალიჩები, რომლის წარმოებას უკრაინაში კარგა ხნის ისტორია აქვს. სხვათა შორის ერთ-ერთ ხალიჩაზე დახატულია წელში მოხრილი გლეხი, რომელსაც მებატონე შეუბრალებლათ სცემს.

გამოფენაზე სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ცნობილ უკრაინელ პოეტისა და მხატვრის ტარას შევჩენკოს სურათებს, რომლებიც რევოლუციონურ სულით არის გაჟღენთილი.

რევოლუცია უკრაინის ხელოვნებაში ოქტომბრის შემდეგ იწყება; ოქტომბერმა ფართო გზა გაუხსნა—თვითმყრობელობის ბრჭყალებში მოქცეულ უკრაინის ხელოვნებას, რომელიც ძალაუნებურად ერთსა და იმავე ადგილს სტკეპნიდა და ახალს არაფერს იძლეოდა.

სამოქალაქო ომის შემდეგ იწყება უკრაინის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი ტემპით განვითარება. უკრაინამ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების დახმარებით შესძლო გადაქცეულიყო ძლიერ ეკონომიურ ერთეულათ, დნეპრომშენისა და ტრაქტორომშენის ქვეყნად. უკრაინის პროლეტარიატი, რომელიც ენტუზიაზმით აშენებს სოციალიზმს, არ ივიწყებს კულტურის ფრონტს და ის ამ მხრივ მოწინავე პოზიციებზეა; კულტურული რევოლუცია უკრაინაში ნამდვილი ბოლშევიკური ტემპებითაა გაშლილი. ლენინის ლოზუნგი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ უკრაინაში ძირითადში დამთავრებულია; უკრაინის წიგნი, გრაფიკა, მუსიკა, თეატრი, კინო—თავის განვითარების მაღალ საფეხურზეა. თუ რას წარმოადგენს ოქტომბერი უკრაინის წიგნის გამომცემლობაში, ამის საილუსტრაციოთ მოვიყვანთ შემდეგ ფაქტს: ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ ათი წლის განმავლობაში უკრაინაში 3-ჯერ მეტი წიგნი გამოიცა ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან—ოქტომბრის რევოლუციამდე, ე. ი. დაახლოვებით 120 წლის განმავლობაში. უკრაინაში, წიგნისა და გრაფიკის კულტურა სათანადო სიმაღლეზეა. მეტსაც ვიტყვით: ამ მხრივ, უკრაინას მსოფლიო მიღწევებიც აქვს. საჭიროა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუძვლიანად შევისწავლოთ უკრაინული წიგნის გამოცემის ყოველმხრივი ტეხნიკა. საჭიროა ფართეთ გამოვიყენოთ მათი მიღწევები და გამოცდილებანი.. ამას მოითხოვს ქართული წიგნისა და გრაფიკის კულტურის ინტერესები.

უკრაინის თეატრალურ ხელოვნებას არ აქვს პატარა ხნის ისტორია. უკრაინულ თეატრის ჩასახვის ფესვები დაახლოვებით მე-17 საუკუნეს მიეკუთვნება. გასულ საუკუნეში არსებობდა რამდენიმე პროფესიონალური თეატრი, რომელსაც არ შეიძლება ვუწოდოთ უკრაინული თეატრი. რევოლუციამდე უკრაინა მოკლებული იყო თავის ნაციონალურ თეატრს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. რუსი შოვინისტი-რუსიფიკატორები ყოველთვის იმის ცდაში იყვენ, რომ უკრაინული თეატრი არ ყოფილიყო. „რუსულ-მალორუსული“ თეატრი (ასე უწოდებდენ ცარიზმის დროს უკრაინის თეატრს) ვალდებული იყო გაერთო თავისი „ეკზოტიკით“ რუსი ჩინოვნიკები და სხვ.

1916 წელი, უკრაინის თეატრის ისტორიაში აღსანიშნავი დატაა. ამ წელს ნახევრად არალეგალურ პირობებში, ლეს კურბასის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მსახიობთა ჯგუფი, რომელმაც შემდეგ „ახალგაზრდა თეატრის“ სახელწოდება მიიღო. „ახალგაზრდა თეატრ“-მა რევოლუციონური როლი ითამაშა უკრაინულ თეატრის განვითარების ისტორიაში. მისგან გამოვიდენ პირველხარისხოვანი თეატრალური ძალები, რომლებიც ცდილობდენ უკრაინულ თეატრის ახალ, რევოლუციონურ გზაზე დაყენებას. ჩვენთვის კარგათ ცნობილი „ბერეზილი“ „ახალგაზრდა თეატრი“-დან მოდის; აგრეთვე ივ. ფრანკოს სახ. თეატრიც, რომელიც კურბასის ყოფილი მოწაფის გნატ იურას ხელმძღვანელობით მუშაობს: როგორც „ბერეზილ“-მა ისე ფრანკოს სახ. თეატრმა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ჭარცეცხლი განვლეს.

„ბერეზილის“ გასტროლებმა გვიჩვენეს უკრაინული თეატრის მაღალი კულტურა (რეჟისორული, აქტიორული, გაფორმებითი და სხვ.). ჩვენ მოვალეობას არ შეადგენს „ბერეზილის“ სპექტაკლებისა და საერთოდ მისი შემოქმედებითი გზების გარჩევა, ეს ცალკე წერილისა და სხვა დროის საქმეა. უკრაინაში ამჟამად ასი სახელმწიფო თეატრია, მრავალი მუშურ-გლეხური თეატრი.

უკრაინულ ხელოვნების გამოფენაზე—განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უკრაინის კინოს—„უკრაინფილმ“-ს, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი კინო-ორგანიზაციაა საბჭოთა კავშირში. უკრაინის კინო თავის რიგებში ითვლის ისეთ პირველ-ხარისხოვან ოსტატებს, როგორიც დოვუენკო და ვერტოვია, რომელთა ყოველი სურათი ცხარე დისკუსიის საგანია. უკრაინის კინოს შემოქმედებითი გზები მეტად ჭრელი და მრავალფეროვანია; უკრაინის კინო ჯერ კიდევ სავსებით ვერ განთავისუფლებულა მექანისტური მსოფლმხედველობიდან, ფორმალიზმის ტყვეობიდან და სხვ. დღეს უკრაინის კინო-მუშაკები იბრძვიან დიალექტიური მატარიალიზმის მეთოდის დასაპყრობათ; ცდილობენ ამ მეთოდის კინო-ხელოვნებაში გამოყენებას.

✦

უკრაინის პროლეტარულ და მოკავშირე მწერლებს— ბოლშევიკური სალამი!

საბჭოთა უკრაინის კულტურის ათდღიურს დიდი კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რომელიც გარკვეულად ლაპარაკობს ლენინური ეროვნული პოლიტიკის აბსოლუტურ სისწორეზე. დეკადა გადაიქცევა იმ დიდ მიღწევების დემონსტრაციად, რაც უკრაინულ მწერლობას, მეცნიერებას, თეატრს, კინოს, სახვით ხელოვნებას, წიგნის მეურნეობას და სხვ. ახასიათებს. მხოლოდ უკრაინის კულტურის დეკადა ორგანიზაციულად და ყოველგვარი „ლირიკული დახევების“ გარეშე უნდა ჩატარდეს. მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა წესწყობის, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში გახდა შესაძლებელი ყოფ. რუსეთის დიდ იმპერიაში შემავალი ერების ეკონომიური და კულტურული აღორძინება. თუ ოქტომბრის რევოლიუციამდე ყოფ. რუსეთის დიდ იმპერიაში შემავალი ერები ეთნოგრაფიული ელემენტები იყო, მხოლოდ საბჭოთა ძალაუფლების დროს გახდა შესაძლებელი ერთა მონური მდგომარეობიდან გამოყვანა.

საბჭოთა უკრაინის პროლეტარული და მოკავშირე მწერლობის და სხვ. იდეური მოწინავეობა და ხარისხობრივი სიმაღლე, ეს მთელი საბჭოთა კავშირის მიღწევაა. უკრაინის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია მსოფლიო რევოლიუციონური, პროლეტარული მწერლობის ერთ-ერთი ძლიერი დამკვრელი ბრიგადაა, რომლის შემოქმედებით უნარიანობას სათანადოთ არ ვიცნობთ.

დეკადის მიზანია მოძმე ხალხების კულტურული აღმშენებლობის გაცნობა; სამწუხაროდ, სუსტად ვიცნობთ ერთიერთმანეთის კულტურულ პრაქტიკას, ისიც გაუმართლებელი თარგმანების საშუალებით და მხოლოდ ოპერის მსახიობების მეოხებით. საქართველოს დამკვრელი მუშა, კოლმეურნე და მშრომელი ინტელიგენტი მხოლოდ გაზეთის ქრონიკების საშუალებით იცნობს საბჭოთა უკრაინის კულტურას, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციის ნაყოფია და შედეგი. დეკადა უნდა ჩავატაროთ საქმიანად, ყოველგვარი საერთო ეროვნული „სტილების", საერთო ეროვნული „დაძმობილების" და რასიული „რომანტიზმის" გარეშე; სტუმარ-მასპინძლობის„ სტილი" (რასაც ნაწილობრივ ადგილი ქონდა ოლიმპიადის დროს მოსკოვში და სხვ.) დაძლეულ უნდა იქნას, ნაციონალური სალებავები და ეკზოტიკა უკუგდებულ უნდა იქნას ქართული იქნება ის, რუსული თუ უკრაინული. ვიმეორებთ, არ უნდა მოხდეს მხოლოდ იმ „სპეციალურ" „ეროვნულ" ელემენტების დემონსტრაცია, რასაც შეუძლია საბჭოთა კავშირის მოძმე ეროვნებათა ურთიერთისაგან დაშორება. დეკადის დანიშნულება — ეროვნებათა შემჭიდროვებაა პროლეტარიატის დიქტატურის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ამხ. სტალინის მითითების საფუძველზე. უკრაინის კულტურის დეკადის იდეური ხელმძღვანელები უკრაინის და საქართველოს პროლეტარული და მოკავშირე მწერლები უნდა იყვენ.

უკრაინის პროლეტარული მწერლობა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების საკავშირო გაერთიანების ერთ-ერთი დამკვრელი ბრიგადაა, რომელიც ზრდის და განვითარების სიძნელეთა დიალექტიური დაძლევით მოკლე ისტორიულ გადასარბენში ჰეგემონიას დაიპყრობს. უკრაინის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ, ბრძოლაში გამოცდილი ხელმძღვანელებით, მკაცრი იდეური ბრძოლები აწარმოვა და აწარმოებს უკრაინულ ლიტერატურულ ნაციონალ-დემოკრატიზმთან, კულაკურ მწერლობასთან, საკუთარ რიგებში — ნაციონალისტურ და „ესთეტიურ" გადახრებთან, ბოლშევიკურ შეურიგებლობით აწარმოებს ბრძოლას ორ ფრონტზე: უკრაინის პროლეტარული მწერალთა ასოციაცია ენერგიულად იბრძვის უკრაინის პროლეტარულ მწერლობის გამუშურებისა და ბოლშევიზაციისათვის, ბოლშევიკური პარტიულობის ნიადაგზე მდგომი ლიტერატურისათვის, ბოლშევიზმის დიადი მწერლობისა და ხელოვნებისათვის, თანამგზავრული მწერლების მიმდინარე პერიოდის საზოგადოებრივ ინტერესების ძირითად რგოლში შეყვანისათვის.

უკრაინის კულტურის დეკადამ მტკიცე საფუძველი უნდა ჩაუყაროს მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის კულტურის ფრონტის აქტიურ მუშაკთა და მებრძოლთა ორგანიულ და შემოქმედებით დაკავშირებას და არა „დაახლოვებას". უკრაინის, საქართველოს, ბელორუსიის და სხვ. პროლეტარულ მხატვრულ მწერლობას საერთო კლასიური მტერი ჰყავს, ე. წ. ნაციონალ-დემოკრატიზმი, საკუთარ რიგებში კი—მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტული გადახრები და მათდამი შემარიგებლობა.

ნაციონალ-დემოკრატები, ეროვნული მთლიანობის და ოქტომბრის „ნაციონალიზაციის"— იდეოლოგები და სპეკულიანტები ჩვენი ეკონომიური და კულტურული მიღწევებით გაბოროტებულნი თვალებს აბრიალებენ და დორბლებს ჰყრიან, ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გაქანებით და სოციალისტური ბუნებით თავზარდაცემულმა ემიგრაციამ პროვოკაცია პრინციპად გაიხადა და ყბედობს ქართული, უკრაინული, სომხური, თურქული და სხვ. კულტურის „გადაგვარებაზე" „რუსიფიკაციაზე", „დევნაზე" და სხვ., საბჭოთა წყობილების პირობებში; ეს იმ დროს, როდესაც საქართველოში ჟირონდისტების დიქტატურის დროს, საზოგადოებრივად მოწინავე წიგნების ხარჯზე ლოცვანები და მოზრდილ ქალვაჟთათვის „ზრდილობის ანბანები" მასიურად იცემოდა.

მოცემულ მომენტში ნაციონალიზმი და შოვინიზმი ზოოლოგიური ხერხებიდან მოდერნიზაციაქმნილ ფაშისტურ შინაარსზე გადადის და „ევგენიური" (სისხლის და რასის სიწმინდე) ლაყბობით ნაციონალიზმის; პატრიოტიზმის ანტიპროლეტარული ბუნების იდეოლოგიურ დაფარვას ცდილობს. მაგონდება კიევის ოლქის პროფკავშირთა ყრილობაზე საერთო პარტკომის მდივნის ამხ. დემჩენკოს მოხსენებიდან შემდეგი: აღსანიშნავია რეაქციონური აკადემიკოსის ეფრემოვის წერილი, რომელიც ლვოვის გაზეთებში დაიბეჭდა და რითაც ის ცდილობს ისეთი იდეური ატმოსფერის შექმნას პლუტოკრატიულ დასავლეთში, თითქოს უკრაინის ხალხი მმართველობის საბჭოთა სისტემით „უკმაყოფილია"; იმ კრიტიკულ მომენტში კი, როცა იმპერიალისტური ომის საფრთხე კონკრეტულად წამოიჭრა, ეფრემოვი აგზავნის გერმანიაში სტატიას („უკრაინის ლიტერატურის ისტორია") დასაბეჭდად, სადაც სხვათა შორის შემდეგი პროვოკაციული ადგილია: „საბედნიეროდ იმათ გარდა (ე. ი. პროლეტარული მწერლების) მრავალი ნამდვილი უკრაინული მწერალია. ისინი უუფლებობისა და ჩაგვრის საშინელ პირობებში მუშაობენ, რაც მათ ნიჭს ამახინჯებს":

ასევე სწერენ ქართველი მენშევიკები, სომეხი დაშნაკები და თურქი მუსავატელები, პროვოკაცია და დემაგოგია ემიგრაციის სტილია და საკვები მასალა. დეე იჩხაონ მათ, დეე იყრიან ტალონ პარიზის შანტანებში „ჰეშმარიტი“ ქართული, სომხური თუ უკრაინული კულტურის შესახებ.

ჩვენ ვაშენებთ ბოლშევიზმის დიად კულტურას! ლიტერატურული პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის და შოვინიზმის წვრილ-ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის საწინააღმდეგო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ხელოვნებას: ჩვენ ვქმნით ბოლშევიკურ პარტიულ მხატვრულ მწერლობას, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით.

პარტიული სალამი უკრაინის კულტურის ენტუზიასტებს.

ჟურ. „პროლეტარული მწერლობა“.

სარედაქციო კოლეგია: ბ. ბუაჩიძე, ს. ეული, კ. ლოლრთქიფანიძე, ა. მაშაშვილი, შ. რადიანი, ა. სულავა.

პ/მბ. რედაქტორი: ვალ. ლუარსამიძე

სახელგამის პირველი სტამბა, პლეხანოვის გამზირი № 91.

მთავარლიტი № 1538. შეკვ. № 1010. ტირაჟი 3500.

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა

მიიღება ხელისმოწერა 1931 წ. ყოველთვიურ ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალზე

პროლეტარული მწერლობა

საქ. პრ. მწერ. ასოციაციის ორგანო

წელიწადი მეხუთე

გამოდის ყოველთვიურად, წელიწადში 12 წიგნი

სარედაქციო კოლეგია:

ბენ. ბუაჩიძე.
სანდრო ეული.
კ. ლორთქიფანიძე.
ვ. ლუარსამიძე [პ/მგ. რედაქტ.].
ალიო მაშაშვილი.
შალვა რადიანი.
ალ. ხულავა.

ჟურნალის განყოფილებები:

1. მხატვრული პროზა და პოეზია.
2. მეცნიერულ-პუბლიცისტური განყოფილება.
3. დამკვრელი მუშების გაწვევა ლიტერატურაში.
4. ხელოვნების ფრონტი.
5. სალიტერატურო კრიტიკა. მეთოდოლოგია, ბიბლიოგრაფია და ლიტერატურული ქრონიკა.

1931 წელს დაიბეჭდება:

ახალი რომანები, პიესები, ნარკვევები და რევოლუციონური მემუარები:

ნიკო ასლამაზაშვილის.
ს. ერთაწმინდელის.
ნოე ზომლეთელის.
გ. ბუხნიკაშვილის.
კარლო კალაძის.
კონსტ. ლორთქიფანიძის.
ალიო მაშაშვილის.
პ. ჟ. საყვარელიძის.
სევასტი თალაკვაძის.
პეტრე სამსონიძის.
სილვა თოდრიასი.
ელ. პოლუმორდვინოვის.
სიმონ წვერავასი.
პანტელეიმონ ჩხიკვაძის.
მიხ. ჩიქოვანის.
დემნა შენგელაიასი.
ა. ჩაჩიბაიასი.
ს. ყულაევის.
ბორის ჩხეიძის და სხვ.

პოემები და ლექსები:

ირაკლი აბაშიძის.
კალე ბოგოლხიძის.
ა. გომიაშვილის.
სანდრო ეულის.
იონა ვაკელის.
ნოე ზომლეთელის.
კარლო კალაძის.
ალიო მაშაშვილის.
კონსტ. ლორთქიფანიძის.
ი. ლისაშვილის.
ფრიდონ ნაროუშვილის.
შაქრო ნავთლუღელის.
პეტრე სამსონიძის.
სიმონ ჩიქოვანის.
გალაქტიონ ტაბიძის.
გიორგი ძუჩიშვილის.
გიორგი კაფანიძის.
გ. ხეჩუაშვილის და სხვ.

0/1-249

ფასი 1 მ. 50 კ.

ჟურნალის სამეცნიერო-პუბლიცისტურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ:

ბენიტო ბუაჩიძე, ივ. ვაშაყმაძე, ალანი ვართანიანი, კოტე გოგრდელაძე, გაიოზ დევდარიანი, შუშა დუდუჩავა, ფილიპე მახარაძე, აკ. მახათაძე, კ. მელაძე, ბიოგრბი ნატროშვილი, ვ. იმედაძე, ს. აბულაძე, ვ. ლუარსამიძე, მამია ოგრახელაშვილი, შალვა რადიანი, დავით რონდელი, ალ. ხულავა, ბ. თავზარაშვილი, ს. ხუნდაძე, პ. შარია.

პროლეტარული მწერლობა

ბათვალისწინებულია მოწინავე მუშა მკითხველისათვის, პარტიული და კომკავშირული აქტივისა და მშრომელი ინტელიგენციისათვის.

1931 წ. „პროლეტარულ მწერლობაში" მოთავსდება: რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ხოლოზეთის, აზერბეიჯანის, ოსეთის და აფხაზეთის პროლეტარული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები და კრიტიკულ-ლიტერატურული წერილები მოძმე რესპუბლიკათა პროლეტლიტერატურულ მოძრაობაზე.

პ/მ. რედაქტორი: ვ. ლუარსამიძე

ხელისმოწერა მიიღება: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 30, სახელგამის პერიოდსექტორი; პროვინცია — სახელგამის ყველა ადგილობრივ.

რედაქციის მისამართი: ტფილისი. ი. მაჩაბელის ქ. № 13. ხელოვნების სახლი.

UNIVERSIDAD DE CHILE
BIBLIOTECA